

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITIES  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№14

2016

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2016 წლის 26 თებერვალს ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

**რედაქტორი:** ელდარ მამისთვალიშვილი

**რედაქოლებია:**

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

აპოლონ სილაგაძე

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

დავით ყოლბაია

**კორექტურა:** თამარ გოგოლაძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** გიორგი ყაზიშვილი

On February 26, 2016 the Gori State Teaching University held the III International Scientific Conference, dedicated to David the Builder. The scientific conference papers are published in the present conference proceedings.

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Apolon Silagadze

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

David Kolbaia

**Reviewer:** Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

გამომცემლობა: „ჯეოპრინტი“  
თბილისი 2016 წელი

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები  
CONTENTS Articles

- იოსებ ალიმბარაშვილი* – ჩრდილო კავკასიელები ქართულ  
ჯარში (XI-XIII სს. დასაწყისი) 7  
***Ioseb Alimbarashvili*** – NORTH CAUCASIANS IN GEORGIAN  
ARMY (BEGINNING OF 11<sup>TH</sup>-13<sup>TH</sup> CENTURIES)
- თამარ ანთაძე* – ვარლამ ჩერქეზიშვილი ესპანეთის მეფე  
ფილიპე მეორეზე 29  
***Tamar Antadze*** – VARLAM CHERKEZISHVILI ON PHILIP II  
OF SPAIN
- გურამ გაბუნია, ლია გაბუნია* – დავით აღმაშენებელი (1172-  
1125) დიდი ქართველი მეფე სრულიად საქართველოსა და  
კავკასიის დიდი ჭირისუფალი 39  
***Guram Gabunia, Lia Gabunia*** – DAVID THE BUILDER  
(1172-1125) - GREAT KING OF GEORGIA THE GREAT  
PATRON OF ALL GEORGIA
- რომან გოგოლაური* – კალმახელთა ვინაობის საკითხისათვის 55  
***Roman Gogolauri*** – IDENTITY ISSUES OF SURNAME KAL-  
MAKHELI
- თამარ გოგოლაძე* – პოეტური ფიგურის ზოგიერთი სახე სა-  
ისტორიო ტექსტში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ 64  
***Tamar Gogoladze*** – SOME POETIC FEATURES IN THE  
HISTORICAL TEXT "THE LIFE OF DAVIT, THE KING OF  
KINGS"
- ოთარ გოგოლიშვილი* – ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადო-  
ების მოღვაწეობა ბათუმის ოლქში XIX საუკუნის 80-90-იან  
წლებში 78

**Otar Gogolishvili** – THE ACTIVITY OF THE CHRISTIAN SOCIETY FOR THE RESTORATION OF THE CHRISTIANITY IN THE BATUMI DISTRICT IN THE 80-90TH OF THE XIX CENTURY

**ლია გულორდავა** – ოდიშის სამთავროს მიერ რუსეთის იმპერიისათვის სამურზაყანოს გადაცემის ისტორიიდან 92

**Lia Gulordava** – BATTLE BY THE GOVERNMENT OF SAMURZAKANO AND ODISHI TRANSMITTING ITS OWN HISTORY TO RUSSIA

**მირიან თვალაშვილი, დარეჯან მაისურაძე** – XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დისკრედიტაციის მცდელობა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ 126

**Mirian Tvaliashvili, Darejan Maisuradze** – AN ATTEMPT TO DISCREDIT THE NATIONAL LIBERATION FIGHT OF 20-IES XX CENTURY BY THE BOLSHEVIK GOVERNMENT

**მერაბ კალანდაძე** – საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის საკვანძო მომენტები 137

**Merab Kalandadze** – KEY MOMENTS OF THE ENGLAND REVOLUTION STUDIES IN GEORGIA

**იგორ კეკელია** – სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხები იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიაში 152

**Igor Kekelia** – QUESTIONS OF HISTORICAL GEOGRAPHY OF SAMEGRELO IN THE ENCYCLOPEDIA OF JOHANN HEINRICH ZEDLER

**ელდარ მამისტვალიშვილი** – ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი 185

**Eldar Mamistvalishvili** – BARDZIM, THE DUKE OF ARAGVI

- მარიამ მარჯანიშვილი* – დავით აღმაშენებელი - ზეპირსიტყვიერებასა და ტეტრალოგიაში 196  
***Mariam Marjanishvili*** – DAVID AGMASHENEBELI IN FOLKLORE AND TETRALOGIA
- თამარ მესხი* – პეტრიწონის მონასტრის მეტოქები საქართველოში 206  
***Tamar Meskhi*** – BRANCHES OF PETRITSONI MONASTERY IN GEORGIA
- მურად მთვარელიძე* – ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანი“ - თამარისა და ორი დავითის ქება 239  
***Murad Mtvarelidze*** – THE SO-CALLED „ABDULMESIANI“-PRAISE OF KING TAMAR AND TWO DAVITS
- მურმან პაპაშვილი* – 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო 253  
***Murman Papashvili*** – COUNCIL OF LYON 1274 AND GEORGIA
- თენგიზ სიმაშვილი* – სტალინის საყვარელი სტეფანია 296  
***Tengiz Simashvili*** – STALIN'S LOVER – STEFANIA
- გიორგი სოსიაშვილი* – კათოლიკოსის სამოურავოები პატარა ლიახვის ხეობაში 305  
***Giorgi Sosiashvili*** – CHURCH SAMOURAVOS (ADMINISTRATIVE DISTRICTS) IN THE SMALL LIAKHVI GORGE
- ნესტან სულავა* – დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ რამდენიმე სახისმეტყველებითი ასპექტი 322  
***Nestan Sulava*** – SEVERAL ARTISTIC ASPECTS IN DAVIT THE BUILDER “PRAYERS OF REMORSE”

*მზია ტყავაშვილი* – ქართულ-ოსური (თაგაურთა) ურთიერთობები XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში 335  
(1802 წ.)

*Mzia Tkavashvili* – GEORGIAN-OSSETIAN (TAGAURIS) RELATIONS AT THE END OF XVIII AND BEGINNING OF XIX CENTURIES (1802)

*თამაზ ფუტყარაძე* – გლეხის სახლი ქოი იალთაში (არტაანის პროვინცია) 351

*Tamaz Putkaradze* – A PEASANT HOUSE IN KOI-IALTA

*კახაბერ ქებულაძე* – საბჭოთა ოკუპაცია და რევკომების შექმნის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქუთაისის მაზრაში 372  
*Kakhaber Kebuladze* – SOVIET OCCUPATION AND THE ESTABLISHMENT OF THE REVOLUTIONARY COMMITTEE OF THE HISTORY OF SOME OF THE KUTAISI REGION

*მაია შაორშაძე* – ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII-XIII საუკუნეებში 388  
*Maia Shaorshadze* – CHRONOLOGICAL SEQUENCE OF KARTLI ARCHBISHOPS OF 12<sup>TH</sup> – 13<sup>TH</sup> CENTURIES

*ვლადიმერ წვერავა* – ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის ისტორიიდან 404  
*Vladimer Tsverava* – FROM THE HISTORY OF BICHVINTA ICON

*ოთარ ჯანელიძე* – ივანე ჯავახიშვილის საჯარო ლექციები თბილისსა და ქუთაისში 415  
*Otar Janelidze* – PUBLIC LECTURES OF IVANE JAVAKHISHVILI IN TBILISI AND KUTAISI

*იოსებ (სოსო) აღიშპარაშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**ჩრდილო კავკასიელები ქართულ ჯარში**  
**(XI-XIII ს. დასაწყისი)**

ჩრდილო კავკასიელთა დაქირავებას სამხედრო თვალსაზრისით ქართველი მეფე-მთავრები უძველესი დროიდან მიმართავდნენ.

X საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო თანდათან ჰეგემონის როლს იკავებს კავკასიაში და აქტიური საგარეო პოლიტიკის კვალდაკვალ, პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ღონისძიებები ჩრდილო კავკასიელებთან პერმანენტულ ხასიათს იძენს.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე ხშირად, ჩრდილოკავკასიელთა სამხედრო მიზნით დაქირავებას, ან ქართულ ჯარში მონაწილეობის ვალდებულებას ჰქონდა ადგილი.

დაქირავების პირობა იყო გადასახდელი თანხა, საჩუქრები, ბრძოლებში ნაშოვნი ნადავლი და ა. შ. იშვიათი არ იყო ამ მხრივ პოლიტიკური ქორწინებებიც. პოლიტიკური მოსაზრებებით იყვნენ საქართველოს სამეფო კარზე გამოთხოვილნი ჩრდილო კავკასიიდან ალდე (გიორგი I-ის მეუღლე), ბორენა (ბაგრატ IV-ის მეუღლე), გურანდუხტ (დავით აღმაშენებლის მეუღლე), ბურდუხან (გიორგი III-ის მეუღლე) დედოფლები. ხდებოდა პირიქითაც, როდესაც უმაღლესი ფენის წარმომადგენელი ქართველი ასულები ამა თუ იმ ქვეყნების დედოფლები ხდებოდნენ. ასეთი ფაქტები უცხო არც ქართველ დიდებულთა ოჯახებისათვის ყოფილა.

განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა საქართველოს სამეფო კარს ოსებთან<sup>1</sup>.

ოსები და „დიდძალი ლაშქარი სარმატთა ქვეყნიდან“ მონაწილეობენ ბაგრატ III-ის მხარეს დავით III კურაპალატთან 988 წელს წარმოქმნილ გაუგებრობაში, რაც ბაგრატ III-ის ჩრდილო კავკასიაში გავლენაზე უნდა მიუთითებდეს<sup>2</sup>.

ბიზანტიელებთან დაპირისპირებულ გიორგი I-ს (1014-1027 წწ.) კარგად ახსოვს, თუ როგორ იყენებდნენ ბიზანტიელები ეგრის-აფხაზეთის მეფეების წინააღმდეგ ოსებს. აფხაზები იძულებულნიც კი გახდნენ მათგან თავის დასაცავად ბზიფისა და კოდორის ხეობებში ციხე-სიმაგრეები აეგოთ. ამიტომ გიორგი მეფე ცდილობს ბიზანტიელებს დაასწროს და უპრეცედენტო გადაწყვეტილებას იღებს. იგი მეორე ცოლად ირთავს ოვსთა მეფის ასულს - ალდეს, ისე, რომ პირველი მეუღლე, სომხთა მეფე სენექერიმ IV-ის ასული მარიაში ისევ დედოფლად უზის.

თუმცა, ფაქტია, რომ გიორგი I-მა ალდეს გადედოფლება ვერ შეძლო. მას სომხურ-ბიზანტიური და ძლიერი შიდა ოპოზიცია დაუპირისპირდა, მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის სახით. ისიც ძნელი სათქმელია, მოასწრო თუ არა გიორგი I-მა ოვსეთიდან რაიმე დახმარების მიღება. წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. საფიქრებელია, რომ გიორგი მეფეს არ დასცალდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა - ექცია ოვსთა მეფე თავის მოკავშირედ.

---

<sup>1</sup> იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. ქართველ-ოსთა საბრძოლო პარტნიორობის ისტორიიდან, გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2011, გვ. 54-58.

<sup>2</sup> ია ჯიჭონაია. „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, თბ., 2012, გვ. 54.

შესაძლებელია, ახალგაზრდა მეფის უმიზეზო სიკვდილს რამდენადმე კავშირი ჰქონდეს მისი ამ პოლიტიკის განხორციელებასთან<sup>1</sup>.

ვერც დემეტრე (გიორგი I-ის ვაჟი ალდესთან) გაამეფეს ბიზანტიელებმა საქართველოში და აქაც გადამწყვეტი როლი მარიამ დედოფალმა ითამაშა. იგი თავის ვაჟ ბაგრატთან ერთად ბიზანტიაში გაემგზავრა, კონსტანტინოპოლში ბაგრატი კურაპალატის ხარისხში აღაზევეს, ცოლად შერთეს იმპერატორ რომანოზ III არგიროსის ძმის შვილი ელენე და დიდი ნადავლითა და მზითევით დატვირთული გამოუშვეს საქართველოში.

საბოლოოდ, ალდე, შვილიშვილ დავითთან ერთად, ისევ ოვსეთში გაემგზავრა და მას ცოლად იქაური მეფის ასული შერთო<sup>2</sup>.

ოსებთან კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა გიორგი I-ის ვაჟის - ბაგრატ IV-ის დროს, რომელსაც მეორე ცოლად ოვსთა მეფის ურდურეს ასული ბორენა ჰყავდა. ოსთა სამეფოს სახით, საქართველოს ერთგული მოკავშირე ჰყავდა იმიერკავკასიაში და ამაში ბორენა დედოფლის დამსახურება თვალსაჩინოა<sup>3</sup>.

XI საუკუნის II ნახევრიდან წინა აზიაში მეტად ძლიერ სამხედრო ძალად ჩამოყალიბდნენ თურქ-სელჯუკები. მათ

---

<sup>1</sup> ზურაბ პაპასკირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 123-127.

<sup>2</sup> გავრცელებული მოსაზრებით, ამ დავითის ვაჟს შერთეს ცოლად დავით აღმაშენებლის უმცროსი ქალიშვილი თამარ მრწემი. ამ ქორწინებისაგან მესამე თაობად წარმოსდგა თამარის მეუღლე - დავით სოსლანი.

<sup>3</sup> როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, თბ., 2003. გვ. 31.

შემოსევებს ვერც საქართველო გადაურჩა. 1068 წელს სელჯუკების მეთაურმა ალფ-არსლანმა საქართველო მეორედ დალაშქრა და თბილისი, წასვლის წინ, განჯის ამირა ფადლონს ჩააბარა. ბაგრატიმა ალფ-არსლანის წასვლით ისარგებლა, ჩრდილო-კავკასიიდან თავისი მოყვარე - დორლოელი (ბორენას ძმა) მოიწვია, რომელიც გამოემგზავრა 40 ათასი კაცით, „ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა“<sup>1</sup>. მოკავშირეებმა ფადლონი დაამარცხეს და თბილისი ისევ საქართველოს მეფემ დაიბრუნა.

საქართველოს მიერ გადატანილ ბრძოლებში ოქროს ასოებით ჩაწერილ „ძლევაი საკვირველში“, დიდგორზე 56 ათასიან ქართულ ჯარში 500 ალან-ოსიც ერია, აღარაფერს ვამბობთ გიორგი III-ისა და თამარის პერიოდზე, როდესაც, პირველ შემთხვევაში, საქართველოს სამეფო გვირგვინი ჯერ დედოფალს (ბურდუხანს) ედგა, ხოლო შემდეგ - სიძეს (დავით სოსლანს). ამ პერიოდის საქართველოს აქტიურ საგარეო პოლიტიკაში ოსები ქართული ჯარის საგულისხმო ნაწილს შეადგენდნენ.

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქართულ ჯარში ყივჩაღებს, რომელთა ჩამოსახლებით დავით აღმაშენებელმა ქართული ჯარის შესაძლებლობანი საგრძნობლად გააძლიერა.

ყივჩაღები, მდინარეების: მდ. დონეცისა და დონის შუა ადგილებში მომთაბარეობდნენ<sup>2</sup> და მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ მეზობლებს. განსაკუთრებით შეწუხებული მათი თავდასხმებით კიევის სამთავრო იყო. მხოლოდ 1063-1068 წლებში ყივჩაღებმა ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს კიევის მთავრები: ვსევოლოდი, იზიასლავი და სვიატოსლავი და კი-

---

<sup>1</sup> მატიანე ქართლისა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 313.

<sup>2</sup> იასე ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956, გვ. 199.

ევს დაემუქრნენ<sup>1</sup>, მაგრამ 1103 წელს კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმერ მონომახმა მდ. დონის ზემო წელზე მომთაბარე ყივჩაღებს მძიმე დარტყმა მიაყენა და ჩრდილო კავკასიაში გამოდევნა, სადაც ისინი ალან-ოსებს შეეჯახნენ. ამ ფაქტით ისარგებლა დავით IV აღმაშენებელმა, რომელსაც წინ დიდი გეგმები ჰქონდა და მათი მთავრის - ათრაქა შარაღანის ძის ასული შეირთო ცოლად (რომელიც საქართველოში გააქრისტიანეს და გურანდუხტი დაარქვეს), საქართველოში 40 ათასი ოჯახის გადმოსახლებისა და მათგან მუდმივი ჯარის შექმნის პირობით. ყივჩაღებმა პირობა „სინარულით“ მიიღეს.

ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ამბავი ერთბაშად ვერ მოხერხდებოდა და იდეა გურანდუხტის ცოლად შერთვისთანავე უნდა ჩასახულიყო<sup>2</sup>. არც ისაა გამორიცხული, რომ პოლიტი-

---

<sup>1</sup> Голубовский П. Печениги, тюрки и половцы до нашествия татар, Киев 1884, გვ. 78. [http://www.bulgari-istoria-2010.com/booksRu/P\\_Golubovski\\_Petscenezi\\_torki\\_polovci.pdf](http://www.bulgari-istoria-2010.com/booksRu/P_Golubovski_Petscenezi_torki_polovci.pdf)

<sup>2</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი თვალსაზრისი არ არის. ფაქტია, რომ დავითმა გურანდუხტი ყივჩაღების ჩამოსახლებაძღვე კარგა ხნით ადრე შეირთო ცოლად („რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანაო“, წერს მეფის მემკვიდრე). ზურაბ პაპასქირის აზრით, დავითისა და გურანდუხტის ქორწილი, სავარაუდოდ, 1107-1109 წლებში უნდა უნდა შემდგარიყო. მეცნიერს არგუმენტებად მოჰყავს შარაღანის (ათრაქას მამის) გარდაცვალება 1107 წელს და ბერი ანსელუსის 1109 წლით დათარიღებული წერილი იერუსალიმში დავითის ქვრივის არსებობის შესახებ (*З. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, გვ. 85-88*). მ. წურწუშია ამ ფაქტს 1104 წლის ახლო ხანებით ათარიღებს. მანვე დაადგინა, რომ ანსელუსის წერილი 1118-1122 წლებში უნდა იყოს დაწერილი. (*მ. წურწუშია. ყივჩაღთა საკითხისათვის XII ს. დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის შრომები, VI, თბ., 2012, გვ. 176; 187*). ზურაბ ავალიშვილი, ანსელუსის წერილს 1108-1109 წლებ-

კური ქორწინება სწორედ ყივჩაღთა ჩამოსახლებას ისახავდა მიზნად. ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლება დავით აღმაშენებელმა მეორე ცოლის (გურანდუხტის) შერთვის შემდეგ განახორციელა, გავრცელებული მოსაზრებით 1118-1120 წლებში<sup>1</sup>.

მამუკა წურწუმიას დაკვირვებით, მეფის ჩანაფიქრსა და რეალიზაციას შორის ასეთი დიდი შუალედი იმით იყო განპირობებული, რომ, უპირველესად, ქართული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო მზად და ისე მომძლავრებული, რომ ზედმეტი კატაკლიზმების გარეშე გადაეტანა თურქთა კიდევ ერთი მომ-

---

ბით ათარიღებდა და, მისი შინაარსიდან გამომდინარე, თვლიდა, რომ იერუსალიმს მივიდა არა დავითის ცოლი, არამედ მისი ქვრივი, „შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა“. რადგან დავითი 1108 წელს ჯანმრთელი იყო, ზ. ავალიშვილმა ივარაუდა, რომ იერუსალიმში დავითის პირველი ცოლი მეფესთან გაყრის შემდეგ უნდა ჩასულიყო (*ზურაბ ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი, 1929, გვ. 15-18*). იმავე ფაქტზე დაყრდნობით, ჯემალ სტეფნაძე ანსელუსის წერილის 1108-1109 წლებით დათარიღებას საეჭვოდ მიიჩნევდა და თვლიდა, რომ წერილი დავითის გარდაცვალების (1125 წ.) შემდეგ უნდა ყოფილიყო შედგენილი, მასში დავითის მეორე ცოლზეა ლაპარაკი და არა პირველზეო (*ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი, თბ., 1990, გვ. 11*). ე. მამისთვალიშვილი ანსელუსის წერილის 1125 წლის შემდეგ დაწერას მხარს უჭერს, მაგრამ „ქვრივ დედოფალში“ გურანდუხტს გამორიცხავს. მისივე აზრით, დავითის პირველ ცოლთან განშორება 1104-1106 წლებში უნდა მომხდარიყო (*ელდარ მამისთვალიშვილი, საქართველოს სავარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. IV, (საქართველო და ჯვაროსნები), თბ., 2014, გვ. 119-120*).

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 200; ჯემალ სტეფნაძე, სად წავიდნენ ყივჩაღები? ჟურნ. „მნათობი“, 1984, №8, გვ. 143.

თაბარე ტომის ჩამოსახლება<sup>1</sup>. მისივე აზრით, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დროს (1103-04 წ.) დავით მეფე უცოლო უნდა ყოფილიყო (ანუ, პირველ ცოლს გაცილებულია, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ ჰყავს მოყვანილი). სხვანაირად შეუძლებელია „ძეგლისწერაში“ დავითის მეუღლე-დედოფალი არ მოეხსენებინათ<sup>2</sup>. მართლაც, ალოგიკურად ჩანს, ძეგლის ავტორს ესოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტში დედოფალი არ მოეხსენებინა, როდესაც გარდაცვლილ-შემონაზვნებულ მარიამს<sup>3</sup> (დავითის დიდედა – ი. ა.) და ბიზანტიაში გათხოვილ მართა „ავლუსტინიანსაც“ (დავითის მამიდას – ი. ა.) კი ახსენებს<sup>4</sup>.

ვფიქრობთ, წინდახედული მეფე, საეკლესიო კრებაზე ერთგულთა დაწინაურებისას, წინასწარ ეკლესიის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა და იმ რისკებსა და წინააღმდეგობებსაც ითვალისწინებდა, რაც მომავალში წარმართთა ესოდენ დიდი მასის საქართველოში გადმოსახლებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ცხადია, მხოლოდ დავითის დანათესავება ათრაქა შარა-ლანისძეთან, ყივჩაღთა სამშობლოდან აყრისა და საქართველოში გადმოსახლების ერთადერთი პირობა ვერ იქნებოდა.

---

<sup>1</sup> მ. წურწუშია. ყივჩაღთა საკითხისათვის XII ს. დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში, გვ. 187, სქოლიო.

<sup>2</sup> მ. წურწუშია. ყივჩაღთა საკითხისათვის XII ს. დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში, გვ. 180.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ბაგრატ IV-ის დედა, დედოფალი მარიამი, შვილის გარდაცვალებისას (1072 წ.) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (*იხ: როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II, გვ. 38*).

<sup>4</sup> „ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა“, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, (საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლები XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. ლოლიძემ, თბ., 1970. გვ. 126.

სწორედ ამიტომ დასჭირდა მეფეს ხანგრძლივი დრო ამ ღონისძიების განსახორციელებლად, ვიდრე, ერთი მხრივ, მათ დასასახლებლად მოხერხებული ადგილების გათავისუფლება და გამოყოფა არ უზრუნველჰყო, ხოლო მეორე მხრივ, შეარჩია მოხერხებული დროც, როდესაც ვლადიმერ მონომახის ორგანიზებულმა თავდასხმებმა ჩრდილოეთიდან, ხოლო სამხრეთით ოსებთან მტრულმა დამოკიდებულებამ, ისინი იძულებულნი არ გახადა საქართველოში ეძიათ თავშესაფარი და ქართველთა მეფის ჯარში სამსახური ეკისრათ.

რატომ შეარჩია დავით აღმაშენებელმა მაინცდამაინც ყივჩაღები? პირველ რიგში მათი მხედრული თვისებებისა და ბრძოლისუნარიანობის გამო. დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ მიანიშნებს, რომ მეფემ „უწყოდა კეთილად ყივჩაღთა ნათესავისა სიმრავლე და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებასა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზავებულობა ნებითა თჳსთაო“<sup>1</sup>.

დავითმა ყველაფერი სწორად გათვალა. კიევის რუსეთი ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახის საქართველოში გადმოსახლებით, ფაქტობრივად თავიდან იშორებდა დაუძინებელი მტრის დიდ ნაწილს. მართალია, მონომახს ყივჩაღები დამარცხებული ჰყავდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი წარმატება იყო. ასე რომ კიევის მთავარი ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლებით თვითონაც დიდად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული. ასეთ ვითარებაში ვლადიმერ მონომახი კი არა, დავით IV გამოდიოდა ყივჩაღთა წინააღმდეგ მებრძოლი კიევის რუსეთის დამხმარედ<sup>2</sup>.

მეფე ჩრდილო კავკასიაში გიორგი ჭყონდიდელთან

---

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 336.

<sup>2</sup> შოთა მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986, გვ. 57.

ერთად ჩავიდა, ყივჩაღ-ოსები შეარიგა, გადმოსასვლელ ციხე-ებზე კონტროლი დაამყარა და საქართველოში ყივჩაღებთან ერთად დაბრუნდა. იმ დროისათვის ოვსეთი ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენს და მრავალი „მეფენი“ და „მთავარნი“ ჰყავს. როდესაც მეფე ოვსეთში ჩადის, „მოგებ-ნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი წინაშე დადგნეს მისსა (დავით აღმაშენებლის - ი. ა.) და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე (ყივჩაღებ-მაც და ოსებმაც - ი. ა.)“<sup>1</sup>. ისიც ნიშანდობლივია, რომ მეფემ ეს ფაქტი ყოველგვარი სამხედრო ჩარევის გარეშე, მშვიდობიანად მოაგვარა.

მემატიანის ცნობით, დავით IV-მ საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაღების „ხელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყნისათა, და მათითა თანადგომითა ქმნა საქმენი დაურწმუნებელნი“<sup>2</sup>. ყივჩაღებმა განსაკუთრებული როლი ითამაშეს დიდგორის ომში, თბილისის გათავისუფლებაში (1122 წელს) და ა.შ.

გარდა სამხედრო თვალსაზრისისა, ყივჩაღების ჩამოსახლებით მეფემ ქართველ მიწისმოქმედთა საკმაოდ დიდი ნაწილი დაუბრუნა თავის ძირითად საქმიანობას<sup>3</sup> და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას შეუწყო ხელი.

სად უნდა დაესახლებინა მომთაბარე ყივჩაღთა ესოდენ დიდი მასა (40 ათასი კომლი, ანუ, დაახლ. 200 ათასი სუ-

---

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 336.

<sup>2</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 336.

<sup>3</sup> როინ მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 171.

ლი) საქართველოში მეფეს?

დავითის ისტორიკოსი მიუთითებს, რომ მეფემ ყივჩაღნი „დააყენა ადგილთა მათ მარჯვეთა დედა წულითა მათითა“<sup>1</sup>, მაგრამ ადგილს არ აკონკრეტებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეფეს ყივჩაღები ქართლში უნდა დაესახლებინა, რადგან თურქ-სელჩუკთა შემოსევებისას, ყველაზე მეტად ეს კუთხე დაზარალდა და ხელოვნურ შევსებას საჭიროებდა<sup>2</sup>. შ. მესხიას ვარაუდით, მეფეს ყივჩაღები არა მხოლოდ შიდა ქართლში, არამედ ქვემო ქართლსა და სომხეთშიც უნდა დაესახლებინა<sup>3</sup>. იგივე აზრს იზიარებენ როინ მეტრეველი<sup>4</sup> და ზურაბ პაპასკირი<sup>5</sup> ზ. ანჩაბაძეს მიაჩნდა, რომ ყივჩაღების ნაწილი მეფეს ივრის ქვემო წელსა და აწინდელ საინგილოში უნდა დაესახლებინა, რისი დამადასტურებელიცაა ადგილობრივი ტოპონიმი „კიპჩაკი“<sup>6</sup>. ნ. მურღულია და ვ. შუშარინი ყივჩაღთა ზამთრის სადგომებად მტკვრისა და ივრის გასწვრივ ტერიტორიებს მიიჩნევენ<sup>7</sup> და ამოდიან დავით აღმაშენებლის მემატინანის ცნობიდან, რომელიც, აღნიშნულ ტერიტორიებს თურქთა ზამთრის სადგომებად მიუთითებს („ჩამოდ-

---

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 337.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1948, გვ. 209.

<sup>3</sup> შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 53-58.

<sup>4</sup> როინ მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 178.

<sup>5</sup> З. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, гв. 97

<sup>6</sup> ზურაბ ანჩაბაძე, მარინე ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებულში: საქართველო რუსთაველის ზანაში, თბ., 1966, გვ. 153-154

<sup>7</sup> М. Мургулия, В. Шушарин. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в 12-13-х вв. М. 1998, с. 150.

გიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე და იორის პირთა, ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა“<sup>1</sup>), და, როგორც კი ქართველებმა რუსთავი აიღეს (1115 წ.), თურქებს საზამთროთა ადგილთა დღომის „რიდობა“ შეექმნათ<sup>2</sup>.

დღევანდელ თურქულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თურქი ისტორიკოსის ფაჰრედინ კირზიოღლუს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ახალციხელი მესხების (ე. წ. „თურქი მესხების“) მნიშვნელოვანი ნაწილი ყივჩაღთა შთამომავლები არიან<sup>3</sup>. ანალოგიურ პათოსს იზიარებს აზერბაიჯელი ავტორი არიფ იუნუსოვიც<sup>4</sup>, რაც მთლიანად იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება და ისტორიასთან საერთო არაფერი აქვს. სომეხი მეცნიერი ს. ერემიანი თვლიდა, რომ ყივჩაღები დავით აღმაშენებელმა სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში დაასახლა და არგუმენტებად მოჰყავდა ზაქარია მხარგრძელის მიერ 1206 წელს ჩრდ. სომხეთში აგებული ღვწახვანქის მონასტერი და მის მეზობლად მდებარე სოფელი ღვწახნი<sup>5</sup>. ქველი ჩხატარაიშვილი ყივჩაღების ქართლში ჩასახლებას

---

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 332.

<sup>2</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 333.

<sup>3</sup> იხ: ეკა სალაღაია. როგორ ამახინჯებენ საქართველოს ისტორიას თურქი მეცნიერები (ინტერვიუ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ მირიან მახარაძესთან), ჟურნ. „თბილისელები“, 16.09.2010. ელ ვერსია: [http://tbilisebi.ge/?mas\\_id=5794&year=2009&rubr\\_id=27&jurn\\_id=34](http://tbilisebi.ge/?mas_id=5794&year=2009&rubr_id=27&jurn_id=34).

<sup>4</sup> А. Юнусов. Месхетинские турки: дважды депортированный народ, Баку 2000.

<sup>5</sup> Сурен Еремян. Агарцинская надпись 1184 г. Исследования по истории культуры народов Востока, Сб. в честь акад. И. Орбели, 1960, с. 83-86.

ექვექვეშ აყენებდა, რადგან 200-225 ათასი მომთაბარის ქვეყნის ცენტრში ჩამოსახლება სახელმწიფო ინტერესებს ნაკლებად შეესაბამებოდა, იგი ერემიანის მოსაზრებას ემხრობოდა და თვლიდა, დავით აღმაშენებელს ყივჩაღები ქვემო ქართლსა და სომხეთის ჩრდილოეთში უნდა დაესახლებინა, რადგან, ყივჩაღების დასახლება შეიძლებოდა მხოლოდ ისეთ ადგილას, სადაც მათ მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობები ექნებოდათ, ჩრდილო სომხეთის ტერიტორია კი ამ მხრივ შესაფერი ადგილი იყო<sup>1</sup>. იგი არც იმას გამოორიცხავდა, რომ დავით აღმაშენებელს ყივჩაღები ლორეს მხარეშიც ჩაესახლებინა. თამარის პერიოდში ეს ადგილები ზაქარია და ივანე მხარგრძელებს ებოძათ და აქ მოსახლე ყივჩაღები მხარგრძელთა საპატრონო მოლაშქრეთ იქცნენ. აქედან გამომდინარე, მხარგრძელთა საპატრონო ლაშქარი, ძირითადად, ყივჩაღური შემადგენლობისა იყო<sup>2</sup>. ანანია ჯარიძე ს. ერემიანისა და ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრებებს იზიარებს. მისი აზრით, დავით მეფეს ყივჩაღები არა მარტო სომხეთის, არამედ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც უნდა ჩაესახლებინა, რადგან ისინი საქართველოში კი არ იყვნენ საჭირონი, არამედ ეთნიკური საქართველოს გარეთ, საქართველოს სამეფოს მიერ დაჭერილ ციხე-ქალაქებში ჩასაყენებლად და ქვეყნის გარეთ სალაშქროდ. გარდა ამისა, ყივჩაღებს საზამთრო და საზაფხულო საძოვრები სჭირდებოდათ. საზამთრო საძოვრებად მათთვის მეფეს ივრისპირეთი და შირაქი უნდა გამოეყო, ხოლო ზაფხულობით ისინი სომხეთში, არარა-

---

<sup>1</sup> ქველი ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის ქართულ ჯარში, კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 170-175.

<sup>2</sup> ქველი ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის ქართულ ჯარში, გვ. 175.

ტის ველზე უნდა გადასულიყვნენო<sup>1</sup>.

გასათვალისწინებელია, ის ფაქტი, რომ 1118-20 წლები-სათვის დავით აღმაშენებელი შირვანსა და სომხეთს ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებდა (ამ ფაქტს შედარებით, გვიან 1124 წლისათვის ჰქონდა ადგილი), ამიტომ, შირაქსა და, მით უფრო, არარატის ველზე მათთვის საძოვრების გამოყოფა ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია. დავითის ისტორიკოსის ცნობიდან გამომდინარე, („დააყენა ადგილთა მათ მარჯვეთა დედა წულთა მათითა“) მომთაბარე ყივჩაღების დედა-წულიანად დასახლების ადგილად ვერც შიდა ქართლს მოვიანხრებთ. ზემონათქვამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ყველაზე დიდი რაოდენობით დავითს ყივჩაღები მაინც ქვემო ქართლსა და კახეთის ველებზე უნდა დაესახლებინა. ამ დროისათვის გიში, სამშვილდე, ლორე, ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი და სომხითი უკვე დავითის სახელმწიფო საზღვრებში შემოდიოდა.

ჩვენი აზრით, ყივჩაღთა ესოდენ დიდი მასის ერთ ადგილას კომპაქტურად ჩასახლებას დავით აღმაშენებლისნაირი გონიერი და წინდახედული პოლიტიკოსი არ დაუშვებდა და საამისოდ არაერთი არგუმენტი შეიძლება მოვიყვანოთ. თუ დავაკვირდებით, მათ დასახლების ადგილს დავითის ისტორიკოსიც მრავლობით რიცხვში მიანიშნებს. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მემატთანე ადგილებს არ აკონკრეტებს, მისი სიფრთხილითა და გონიერებით უნდა აიხსნას, რადგან მათი

---

<sup>1</sup> ანანია ჯაფარიძე. საქართველოს წმინდა მეფეები, ყივჩაღთა ჩასახლება, თბ., 2012, ელ ვერსია: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-800&a=d&c=patriarc&cl=CL3&d=HASH0521810ff9a47db51542d8.13.4#HASH0521810ff9a47db51542d8.13.4>

დასახელება პირდაპირი მინიშნება იქნებოდა მტერ-მოყვარისათვის, ქართველობა ამ ადგილებს ნებაყოფლობით მოერიდებოდა, ხოლო მტრისათვის შეიძლება საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მეხუთე კოლონის როლი შეესრულებინა.

რაც შეეხება ყივჩაღთა „დაფანტვის“ არგუმენტებს, შეიძლება ცხოვრების ყველა სფეროში ვიგულისხმოთ:

პოლიტიკური - 1118-20 წლებისათვის ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, აქედან გამომდინარე, უცხო და საბრძოლო თვისებებით გამორჩეული ყივჩაღების დიდი რაოდენობით ერთ ადგილას ჩასახლება პოლიტიკურად გაუწონასწორებელი ნაბიჯი იქნებოდა, მით უფრო, რომ დავითის ისტორიკოსისავე სიტყვით, ისინი მეფის ღალატში არაერთხელ იყვნენ შემჩნეული<sup>1</sup>;

ეთნიკურ-დემოგრაფიული - სულ რაღაც 30 წლის წინანდელი „დიდი თურქობიდან“ გამომდინარე, ქართული მოსახლეობის კატასტროფულად შემცირების შედეგად, უცხო ეთნიკური მასის დიდი რაოდენობით კომპაქტურად ჩასახლებას, ადგილზე შესაძლოა, ქართველთა დეთნიზაციის დიდი საფრთხე გაეჩინა (როგორც, მცირე ხნის წინათ, ნიზამ ალ-მულქის რეფორმას მოჰყვა მეზობელ ალბანეთში);

ეკონომიკური - ამ თვალსაზრისით ორი მომენტი გასათვალისწინებელი: იმ დროისათვის ოჯახის რჩენის ძირითადი საშუალება მიწა იყო. ყივჩაღთა ისტორიული სამშობლოს გრცელი ტრამალებისაგან განსხვავებით, საქართველოში სახანავ-სათესი სავარგულები ნაკლები იყო, ასეთ შემთხვევაში ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახის მასიური ჩასახლება და მათთვის მიწის მიცემა, ბუნებრივია, ქართველთა ხარჯზე უნდა მომხდარიყო, ამას ემატებოდა ჩამოსახლებულთა ხარჯი (იარაღი,

---

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 362.

ცხენები, სასმელ-საჭმელი). მათ შესანახად სპეციალური გადასახადი „საყვიჩალო“ დაწესდა<sup>1</sup>, რაც ადგილობრივების უკმაყოფილებას უთუოდ გამოიწვევდა. და მეორეც, ყვიჩალები განვითარების პატრიარქალურ სტადიაზე იმყოფებოდნენ, რითაც, უმცირესობაში დარჩენილი ქართული მოსახლეობის ტრადიციულ ყოფას საფრთხე შეექმნებოდა;

რელიგიური - როგორც ითქვა, ყვიჩალები წარმართები იყვნენ, რასაც არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საქართველოს მართლმადიდებლურ მოსახლეობაზე. როგორც შოთა მესხია წერდა: „ყვიჩალთა დიდი მასის ერთ ადგილზე დასახლება ხელს შეუშლიდა, გაახანგრძლივებდა მათ გაქრისტიანებას და ქართულ მოსახლეობაში შერწყმის, ასიმილაციის პროცესს. ყვიჩალთა სწრაფი ასიმილაციით, გაქრისტიანებით კი დანტერესებული იყო სამეფო ხელისუფლება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თურქული წარმოშობის ყვიჩალების გადაქცევა საქართველოს ჯარის მოლაშქრებადო“<sup>2</sup>;

დავითის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოში ჩამოსახლებული ყვიჩალების დიდი ნაწილი გაქრისტიანდა და საქართველდა: „თუთ ყვიჩაყნიცა უმრავლესნი, ქრისტიანე ქმნილნი ღლითი ღლე შეეძინებოდა სიმრავლე ქრისტესაო“, - აღნიშნავს იგი<sup>3</sup>. თუმცა, ჯემალ სტეფნაძე მიიჩნევს, რომ დავითის მიერ ჩამოსახლებული ყვიჩალების ძირითადი ნაწილი უკან მალევე გაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში.

---

<sup>1</sup> როინ მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 18; მარიამ ლორთქიფანიძე. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1999, გვ. 226-227.

<sup>2</sup> შოთა მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986, გვ. 37.

<sup>3</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 337.

ცნობილია, რომ 1130 წელს დემეტრე I-ის წინააღმდეგ შეთქმულება გამოძულავდა ივანე აბულეთის ძის მეთაურობით, ვახტანგის (ცვატას) გასამეფებლად. ვარდან დიდის გადმოცემით, დემეტრემ ნახევარძმის შეპყრობა მოახერხა და თვალები დასთხარა<sup>1</sup>.

ბუნებრივია, საქართველოში მყოფი ყივჩაღები, ყოველ შემთხვევაში, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, ათრაქა შარალანის ძის შვილიშვილის და გურანდუხტის შვილის - ცვატას მხარეზე გამოვიდოდნენ. მით უფრო, რომ დავითის სიმამრის გარდა, ყივჩაღეთიდან საქართველოში თავის დროზე გურანდუხტის „ძმანიც“ ჩამოვიდნენ<sup>2</sup>. რუსული წყაროებით ზუსტდება, რომ ათრაქას (ოტროკის) ძმა და შვილი არიან სირჩანი და კონჩაკი<sup>3</sup>. ცვატას დამარცხების შემდეგ ათრაქა, შვილებსა და თანამემამულეებთან ერთად სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო<sup>4</sup>. არგუმენტად ჯ. სტეფნაძეს მოჰყავს XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ვოლინელი (რუსეთი) მემატიანის სიტყვები, რომლის მიხედვით, ღონის მახლობლად დარჩენილი სირჩანელნი, რომლებიც თევზით ირჩენდნენ თავს, ვლადიმერ მონომახის გარდაცვალების შემდეგ, მებუკე ორევას გზავნიან საქართველოში ოტროკთან და სთავაზობენ თა-

---

<sup>1</sup> Всеобщая история Вардана Великого, под ред. М. Эмина, Москва 1861. ч. III. гл. 151.

<sup>2</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 336.

<sup>3</sup> Селезнёв Юрий Владимирович. Половецкий «князь» Кончак, «Русская правда», <http://ruspravda.info/Polovetskiy-knyaz-Konchak-2037.html>

<sup>4</sup> იასე ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 190; ჯემალ სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974, გვ. 128, სქოლიო.

ვის ქვეყანაში დაბრუნებას, ხოლო „თუ ოტროკმა არ ისურვოს წამოსვლა, ჯერ ყივჩაღური სიმღერები ემღერა მისთვის, ხოლო თუ ესეც არ გაჭრიდა, საყნოსავად ჯადოსნური მწვანელი ევშანი მიეცათ“. თითქოს, ჯადოს მიღების შემდეგ, თვალცრემლიან ოტროკს უთქვამს: „უმჯობესია ჩემი ქვეყნის მიწაში ჩონჩხად ქცეული ჩავწვე (დავიმარხო), ვინემ უცხოეთში დიდებით ვიცხოვრო“ და დაბრუნებულა საკუთარ ქვეყანაში<sup>1</sup>.

მკვლევარს ეჭვი იმაშიც ეპარება, რომ ყივჩაღთა 225 ათასიანი მასის აღრევას ქართველებში ასე მცირე კვალი დაემჩნია საქართველოს ტოპონიმიკისა და ისტორიული წყაროებისათვის<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, ჯემალ სტეფნაძის მოსაზრება ანგარიშგასაწვეია. მაგ., თუ დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებული ყივჩაღები ქართული სახელმწიფოს ნაწილნი ხდებიან, ფეოდალურ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩართულნი და მუდმივ ჯარსაც ჰქმნიან, სხვაგვარი დამოკიდებულება ჩანს გიორგი III-სა და თამარის დროს. მართალია, გიორგი III „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენ ათას კაცსაც“ ბრძანებს, „მოვიდიან“<sup>3</sup>, მაგრამ წინადადების კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ისინი საქართველოში მუდმივ მაცხოვრებლებს აღარ ჰგვანან, მით უფრო, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი თბილისში შირვანის მმართველ აღსართანთან შეხვედრისას

---

<sup>1</sup> ჯემალ სტეფნაძე, სად წავიდნენ ყივჩაღები? ჟურნ. „მნათობი“, 1984, №8, გვ. 154; იასე ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 190.

<sup>2</sup> ჯემალ სტეფნაძე, სად წავიდნენ ყივჩაღები? გვ. 154.

<sup>3</sup> ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 367.

ახსენებს „ახალ ყივჩაღებს“<sup>1</sup>. გ. ალასანიასაც ეჭვი ეპარება, რომ გიორგი III-ს დროს ყივჩაღები საქართველოში მუდმივად აღარ უნდა ცხოვრობდნენ და მხოლოდ მეფის მოწმევით ჩამოდიან დროებითი სამსახურისათვის.<sup>2</sup>

ამ თვალსაზრისით, საგულისხმო არგუმენტს გვაწვდის სტეფანოზ ორბელიანი, რომლის მიხედვით, როდესაც გიორგი III-ს ორბელები აუჯანყდნენ და მეფემ დასახმარებლად ნაყივჩაღარ ყუბასარს მოუწოდა, მათ ერთად, 500 კაციანი ჯარი ძლივს შეკრიბეს<sup>3</sup>.

თამარის დროს შამქორის ომში (1195 წ.) ყივჩაღები კვლავ „წინამსროლნი“<sup>4</sup> (ჯარის ავანგარდში) არიან და საშინაო ასპარეზზეც უმაღლეს თანამდებობებზე ინიშნებიან, რისი მაგალითიც ყუბასარ ნაყივჩაღარის ამირსპასალარობაა. ნიშანდობლივია, რომ თამარის პირველი ქმარი, ბიძისაგან დევნილი იური ბოგოლიუბსკი, სწორედ ყივჩაღებთან აფარებს თავს. თამარის გარდა, ყივჩაღებს საქართველოში გადმოსვლა და დასახლება უთხოვიათ ლაშა-გიორგისთვისაც, სამაგიეროდ, ერთგულ სამსახურს შეჰპირებიან, მაგრამ უარი მიუღიათ<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*. ტ. II, გვ. 65.

<sup>2</sup> გ. ალასანია. ყივჩაღები საქართველოში, კრებულში: „ვალერიან გაბაშვილი – 90“, თბ., 2003, გვ. 48.

<sup>3</sup> სტეფანოზ ორბელიანი. „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978. გვ. 46.

<sup>4</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*. ტ. II, გვ. 70.

<sup>5</sup> ზურაბ ანჩაბაძე, მარინე ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, გვ. 156.

1223 წელს ჩრდილო კავკასიაში მდ. კალკასთან გამართულ ბრძოლაში ყივჩაღებმა, რუსებთან ერთად, მძიმე მარცხი განიცადეს მონღოლთა სარდლებთან ჯებესა და სუბუდაისთან, რის შემდეგ ისინი კავკასიის სხვადასხვა ხალხებში გაითქვიფნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ წერილობით წყაროებში XIV ს. დასაწყისშიც (დავით VIII-სა და ვახტანგ III-ის დაპირისპირებისას) ჩანან<sup>1</sup>, პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს აღარ თამაშობენ.

### **დამოწმებანი:**

ავალიშვილი ზურაბ. ჯვაროსანთა დროიდან, *ოთხი საისტორიო ნარკვევი*, პარიზი, 1929.

ალასანია გიული. ყივჩაღები საქართველოში, კრებულში: „ვალერიან გაბაშვილი – 90“, თბ., 2003.

ალიმბარაშვილი იოსებ. ქართველ-ოსთა საბრძოლო პარტნიორობის ისტორიიდან, *გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*, თბ., 2011.

ანჩაბაძე ზურაბ, ცინცაძე მარინე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, *კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966.

ლორთქიფანიძე მარიამ. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, დავით IV აღმაშენებელი, *წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, თბ., 1979.

მამისთვალიშვილი ელდარ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. IV, (საქართველო და ჯვაროსნები), თბ., 2014.

მესხია შოთა. საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986.

---

<sup>1</sup> *ქართლის ცხოვრება*. ტ. II, გვ. 316-317.

მეტრეველი როინ. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.

მეტრეველი როინ, სამუშაო ჯაბა. მეფეთ მეფე გიორგი II, თბ., 2003.

ორბელიანი სტეფანოზ. „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.

პაპასკირი ზურაბ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

სალაღაია ეკა. როგორ ამახინჯებენ საქართველოს ისტორიას თურქი მეცნიერები. (ინტერვიუ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ მირიან მახარაძესთან) ჟურნ. „თბილისელები“, 16.09.2010.

სტეფნაძე ჯემალ. დემეტრე პირველი, თბ., 1990.

სტეფნაძე ჯემალ სად წავიდნენ ყივჩაღები? ჟურნ. „მნათობი“, 1984, № 8.

სტეფნაძე ჯემალ. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974.

ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, (საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლები XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

ჩხატარაიშვილი ქველი. უცხოელები XII საუკუნის ქართულ ჯარში, *კრებულში: საქართველო რუსთაველის ხანაში*, თბ., 1966.

ცინცაძე იასე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.

წურწუშია მამუკა. ყივჩაღთა საკითხისათვის XII ს. დასაწყისის ქართულ პოლიტიკაში, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის შრომები*, VI, თბ., 2012.

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1948.

ჯავახიშვილი ივანე. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.

ჯაფარიძე ანანია. საქართველოს წმინდა მეფეები, თბ., 2012.

ჯიჭონაია ია. „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ, თბ., 2012.

Всеобщая история Вардана Великого, *под ред. М. Эмина*, Москва 1861. ч. III.

Голубовский П. Печениги, тюрки и половцы до нашествия татар, Киев 1884.

Еремян Сурен. Агарцинская надпись 1184 г. *Исследования по истории культуры народов Востока*, Сб. в честь акад. И. Орбели, 1960.

Мургулия М., Шушарин В. Половцы, Грузия, Русь и Венгрия в 12-13-х вв. М. 1998.

Папаскири Зураб. У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982.

Селезнёв Юрий Владимирович. Половецкий «князь» Кончак.

ელ. რესურსები:

[http://www.bulgari-istoria-2010.com/booksRu/P\\_Golubovski\\_Petscenezi\\_torki\\_polovci.pdf](http://www.bulgari-istoria-2010.com/booksRu/P_Golubovski_Petscenezi_torki_polovci.pdf)  
[www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext4.htm](http://www.vostlit.info/Texts/rus11/Vardan/frametext4.htm)  
<http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=patriarc&cl=CL3&d=HASH0521810ff9a47db51542d8.13.4#HASH0521810ff9a47db51542d8.13.4>  
[http://tbiliselebi.ge/?mas\\_id=5794&year=2009&rubr\\_id=27&jurn\\_id=34](http://tbiliselebi.ge/?mas_id=5794&year=2009&rubr_id=27&jurn_id=34)  
<http://ruspravda.info/Polovetskiy-knyaz-Konchak-2037.html>

***Ioseb (Soso) Alimbarashvili***

*Gori State Teaching University*

**NORTH CAUCASIANS IN GEORGIAN ARMY**

**(beginning of 11th-13th centuries)**

**RESUME**

The article discusses the partnership history between Georgia and the South Caucasus in 11<sup>th</sup> – 13<sup>th</sup> centuries.

Reasons, forms and circumstances of participation of South Caucasians (the Ossetians and Kipchags) in Georgian army are explained as well as measures taken by David Aghmashenebeli IV with participation of South Caucasians to establish regular army.

Reasons, alleged date, settlement locations are analysed, and alternative theories of compact settlement on one location and their abode are explained.

*თამარ ანთაძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ვარლამ ჩერქეზიშვილი ესპანეთის მეფე ფილიპე მეორეზე**

ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ყურადღებას იპყრობს მისი ჩახედულება დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებში. ამ კუთხით ვარლამ ჩერქეზიშვილის საქმიანობას ქართული საზოგადოება შედარებით ნაკლებად იცნობს. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ყურადღება გაგვემახვილებინა აღნიშნულ თემაზე. ამჯერად შევეხებით ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებას ესპანეთის მეფე ფილიპე მეორისადმი, რომლის ზეობის დროს (1556-1598) ესპანეთმა თავისი ძლიერების პიკს მიაღწია. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ აფასებს ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის მოღვაწეობას ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რაც ამ კუთხით საკითხის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ღარიბია. საქმე ის გახლავთ, რომ ვ. ჩერქეზიშვილი ამ თემას საგანგებოდ არ შეხებია და გაკვრით ახსენებს თავის საინტერესო სტატიაში „მეცხრამეტე საუკუნე, ერთა აღორძინება, იტალია“, რომელიც პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1901 წლის 27 ივნისს №163 და შევიდა

ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველ ტომში (რომელიც გამოვიდა 2011 წელს). ამ ცნობასაც სწორედ აქ გადავაწყდით.

„იმ დროის მამულიშვილთა მატინანებმა, განსაკუთრებით სილვიო პელიკოს სამწუხარო მოგონებამ (ჩემი პატიმრობა) გაკვირვებულ კაცობრიობას უდანაშაულოთა ტანჯვა-წამების საოცარი სურათები გადაუშალა, ისეთი სურათები, რომლის მსგავსსაც ტიბერისა და კალიგულის დროის რომი და ფილიპე მეორისა და ტორკვემადოს დროის ისპანია თუ წარმოგვიდგენს მხოლოდ“.<sup>1</sup> მართალია, ეს მცირე ინფორმაცია ძალიან ცოტაა, მაგრამ, ვფიქრობთ, საინტერესოა და მკაფიოდ მიგვანიშნებს, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება ესპანეთის მეფის ფილიპე მეორის მმართველობისადმი. აი ეს იყო მთავარი. მას შეფასებითი დატვირთვა გააჩნია.

### X X X

ესპანეთის მონარქებისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა და ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ასეთი აზრთა სხვადასხვაობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და გამოკვეთილი კონფესიონალური სარჩული გააჩნია. პროტესტანტი ავტორებისათვის ესპანეთის მეფე ფილიპე II ლამის „პერსონა ნონ გრანტად“ იქცა და ყველაფერში ბრალს ესპანეთის მეფეს სდებდნენ. მათი მთავარი ტონის მიმცემები იყვნენ ისტორიკოსები

---

<sup>1</sup> ვ. ჩერქეზიშვილი, თხზულებანი ტ. 1. შემდგენელი და რედაქტორი დიმიტრი შველიძე, თბ., 2011.

ჯონ რიჩარდ გრინი, ანრი პირენი, უილიამ პრესკოტი.<sup>1</sup> თუ პროტესტანტ ავტორებთან მუქი საღებავი დომინირებს, კათოლიკე ავტორებთან, პირიქით, პრიორიტეტი ვარდისფერს ენიჭება. ისინი ხოტბას ასხამენ ფილიპე II, ხოლო ერეტიკოსების კოცონზე დაწვას კეთილშობილ საქმედ აღიქვამენ. ფილიპე II განდიდება თავის მწვერვალს, ზენიტს, ბუნებრივია, XIX-XX საუკუნეების ესპანურ ისტორიოგრაფიაში აღწევს.<sup>2</sup> რომელ ბანაკს უნდა მივაკუთვნოთ ვარლამ ჩერქეზიშვილი მოტრფიალეების თუ მოწინააღმდეგეების? ვიდრე ამ კითხვას გავცემთ პასუხს, მანამდე მოკლედ გადავავლოთ თვალი ესპანეთის მეფის, ფილიპე მეორის, მოღვაწეობას. ამას აქვს მნიშვნელობა და უპირატესად შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ საკითხზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბედინებს, რომ ქართულ ენაზე მასზე ფაქტიურად არაფერი იწერება.

ესპანეთის მეფე ფილიპე II დაიბადა ვალიადოლიდში 1527 წლის 21 მაისს. მისი მამა იყო ესპანეთის მეფე კარლოს I (1500-1558), რომელიც ამავედროულად იყო გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი (1530-1556), დედა - იზაბელა პორტუგალიელი (1503-1539). პირველი ცოლის მარი პორტუგალიელის გარდაცვალების შემდეგ მან იქორწინა დედოფალ მარიამ თიუდორზე (1553-1558). ეს ქორწინება უნაყოფო აღმოჩნდა. მათ შვილი არ ყოლიათ. 1558 წლის 17 ნოემბერს მარიამ თიუდორი გარდაი-

---

<sup>1</sup> Дж. Грин, История английского народа, т. 2. М. 1892. У. Прескот, История царствование Филипа II. т. 1-2. СПб. 1868. А. Пирен, Нидерландская революция, М. 1937.

<sup>2</sup> Р. Альтамира-и-Кравева, История Испании, М. 1951.

ცვალა. ფილიპე მეორედ დაქვრივდა.<sup>1</sup> მესამედ მან იქორწინა საფრანგეთის პრინცესაზე, იზაბელა ვალუაზე. ამ ქორწინების შედეგად მათ ეყოლათ ვაჟი დონ-კარლოსი, რომლის სახელიც ლეგენდების საბურველშია გახვეული, რომლის მთავარ ტონის მიმცემად ცნობილი გერმანელი დრამატურგი და ისტორიკოსი ფრიდრიხ შილერი მოგვევლინა.<sup>2</sup> შილერის დრამა „დონ-კარლოსი“ წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე.<sup>3</sup> მეოთხედ მან იქორწინა ავსტრიის პრინცესა ანაზე. მათი ვაჟი იყო ესპანეთის მეფე ფილიპე III (1598-1621).

ფილიპე სახელმწიფოს მმართველის საქმეში ადრიდანვე ამოუდგა მხარში მამას. ის უკვე 1539 წლიდან ესწრებოდა უმაღლესი სათათბირო ორგანოს სხდომას. 1543 წელს კარლოს I ინიციატივით ის დანიშნული იქნა რეგენტად. მას შემდეგ, რაც 1556 წელს კარლოს I გადადგა ის გახდა ესპანეთის მეფე.

ესპანეთის მეფე ფილიპე II (1556-1598) XVI საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორიაში, უდავოდ, ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო და მისი მოღვაწეობისადმი ერთმნიშვნელოვანდ ნიჭილისტური დამოკიდებულება, რომელიც შეინიშნებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ძალად მოახვია თავს ქართულ

---

<sup>1</sup> რ. გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, თბ., 1994. ივ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004, მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

<sup>2</sup> მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი „დონ-კარლოსის“ ისტორია - „საბჭოთა ხელოვნება“, №9. 1985.

<sup>3</sup> ვ. კიკნაძე, შილერი ქართულ სცენაზე, თბ., 1957. შ. რევიშვილი, ფრიდრიხ შილერი და ქართული საზოგადოება, თბ., 1959.

ისტორიოგრაფიას, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და სწორხაზოვანი იყო.<sup>1</sup>

ფილიპე II-მ ღრმა კვალი დატოვა XVI საუკუნის მეორე ნახევრის ესპანეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიაში. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს კვალი იყო პოზიტიური და ფილიპე II-ის მოღვაწეობას ზოტბას ასხამენ, მეორენი კი, პირიქით, მიიჩნევენ, რომ ეს კვალი მკვეთრად უარყოფითი გახლდათ და მის სახელს მხოლოდ აუგად მოიხსენიებენ. როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ფილიპე II-ის საგარეო პოლიტიკა. ეს ადვილი გასაგებია. ესპანეთის მეფე რეფორმაციას და კონტრრეფორმაციას შორის დაპირისპირების ცენტრში დგას. მისი ძალისხმევით ესპანეთი ევროპაში კონტრრეფორმაციის ბასტიონად იქცა. XVI საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ცენტრალური ადგილი უკავია უმწვავეს დაპირისპირებას ესპანეთსა და ნიდერლანდებს შორის და საზღვაო მეტოქეობას ესპანეთსა და პროტესტანტულ ინგლისს შორის. ამ დაპირისპირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ბრძოლა საფრანგეთის წინააღმდეგ.

ინგლისის და საფრანგეთის მხარდაჭერის შედეგად ნიდერლანდებმა მაინც მიაღწიეს მიზანს და 1581 წელს ჩრდილოეთის პროვინციები გამოეყო ესპანეთს. მწარე მარცხი იწვნია ესპანეთმა ინგლისთან საზღვაო კონკურენციაში. 1588 წელს ინგლისის ფლოტმა დაამარცხა „უძლეველი არმადა“, როგორც მას მედიდურად უწოდა თვითონ ფილიპე II. ზღვებზე ინგლისის ჰეგემონია დამყარდა. ეს ესპანეთის წარუმატებ-

---

<sup>1</sup> შუა საუკუნეების ისტორია, ს. სკაზკინის, ო. ვაინშტაინის და ა. უდალცოვის რედაქციით, ნაწ. 2. თბ., 1949. გ. ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწ. 2. თბ., 1970.

ლობა იყო. და ბოლოს, 1598 წლის 2 მაისს ხელი მოეწერა ვერვენის ზავს საფრანგეთთან, რომლის თანახმადაც საფრანგეთმა ესპანეთს ტერიტორიების ერთი მტკაველიც კი არ დაუთმო. ეს ანრი IV-ის საგარეო პოლიტიკის დიდი მიღწევა იყო. საფრანგეთში სამეფო ხელისუფლების განმტკიცება შეუქცევად ხასიათს იღებს.

გაუთავებელმა ომებმა თავისი გამოძახილი ჰპოვა საშინაო პოლიტიკაში, პირველ ყოვლისა კი, ფინანსებზე. ის ძალიან გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, დაპირისპირება კასტილიის ტიპის ცენტრალიზებულ სახელმწიფოსა და ტრადიციულ რეგიონალურ უფლებებს შორის არაგონში ესპანეთის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა იყო და ფილიპე II მართველობის დროს მისი გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.<sup>1</sup>

1598 წლის 13 სექტემბერს 71 წლის ასაკში ფილიპე II გარდაიცვალა. ის დაკრძალეს სამეფო პანთეონში, ელ-ესკორიალში.<sup>2</sup>

### X X X

ახლა დავუბრუნდეთ ვარლამ ჩერქეზიშვილის მოსაზრებას. როგორი იყო მისი დამოკიდებულება ესპანეთის მეფის ფილიპე მეორისადმი? ამ პატარა ფრაგმენტში საქმე გვაქვს ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის მოღვაწეობის შეფასების მცდელობასთან. ის, სწორედ, ამ კუთხითაა საყურადღებო. როგორც ვხედავთ, ის ფილიპე II-ს სახელს, მართალია,

---

<sup>1</sup> Ф. Крамер – Филипп II – в. кн: Испанские короли, Р/Д. 1997. с.110.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 85-113.

მხოლოდ ერთხელ იხსენიებს, მაგრამ უარყოფით კონტექსტში. ვფიქრობთ, ფრიად სიმპტომატური უნდა იყოს, რომ მის თვალში ესპანეთის მეფის სახელი ყოველგვარ უარყოფითთან, პირველ ყოვლისა კი, კონტრეფორმაციასთან და ინკვიზიციასთან ასოცირდება. ფილიპე II-ის მოღვაწეობისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამგვარ მიდგომას აქვს რეზონი, აზრი და გააჩნია არსებობის უფლება.

ვარლამ ჩერქეზიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება ესპანეთის მეფისადმი, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზი, პირველ ყოვლისა, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ესპანეთის მეფე ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიკურ იდეალს არ შეესატყვისებოდა. ეს ადვილი გასაგებიცაა. მისთვის მიუღებელი იყო ფილიპე II-ის ერთპიროვნული მმართველობა. ავტორიტარული რეჟიმი, ბიუროკრატიზმი. ჩვენი აზრით, იყო ამის გამომწვევი სხვა მიზეზები, რომელზეც თვალის დახუჭვა უმართებულო იქნებოდა. გასათვალისწინებელია, რომ კონტრეფორმაციასა და რეფორმაციას შორის უმწვავესი დაპირისპირების დროს ვარლამ ჩერქეზიშვილის სიმპათიები სულ მთლიანად გაცილებით უფრო პროგრესული საწყისისაკენ, რეფორმაციისაკენ იხრება. მისი პუბლიცისტური წერილები რეფორმაციისადმი სიმპათიითაა გაჯერებული და მის აპოთეოზად მიგვაჩნია. „რეფორმაციის ეპოქის დიდებულმა ისტორიულმა მოვლენებმა (ამერიკის აღმოჩენამ, ბრძოლამ ჰოლანდიის დამოუკიდებლობისათვის, მოძრაობამ ჰუგენოტების საფრანგეთში და პურიტანებისა ინგლისში) არაჩვეულებრივი მოძრაობა გამოიწვია ადამიანის მოღვაწეობის ყოველ სფეროში და მთელი ერთნახევარი საუკუნე (1490-1660) მაჯა მოქალაქეობრივ, გონებრივ და შემო-

ქმედებით ცხოვრებასა სცემდა, ისეთი ენერგიით, რომლის მსგავსს ჩვენ ვერ ვხედავთ საბერძნეთის აყვავების ხანიდან... ზერელედაც რომ გადაავლოთ თვალი ამ საკვირველ დროს, არ შეგიძლიათ არ განცვიფრდეთ დიდებული ხასიათების, გაბეღული გონებისა და ნიჭის სიმრავლით, კოლუმბიდან - კრომველამდე...<sup>1</sup> პირველ ყოვლისა, აქ ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ დროს შორის მიჯნად ვარლამ ჩერქეზიშვილი XV საუკუნის მიწურულს და XVI საუკუნის დასაწყისს, კონკრეტულად კი, ამერიკის აღმოჩენას, რეფორმაციას და რენესანსს მოიაზრებდა. ეს იყო სწორი ხედვა, რაც მისი შეხედულებების კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება.

ბუნებრივია, რომ რეფორმაციის მოტრფიალე ვარლამ ჩერქეზიშვილი ესპანეთის მეფე ფილიპე II მომხრე ვერ იქნებოდა, რადგან ესპანეთი და მისი მონარქი ევროპაში კონტრ-რეფორმაციის ბასტიონს წარმოადგენდა. საფიქრებელია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი კიდევ ამიტომ არ თანაუგრძობდა ესპანეთის მეფეს ფილიპე II.

XVI საუკუნე ესპანეთის ისტორიის „ოქროს ხანაა“. ესპანეთის თავისი ძლიერების ზენიტს, მწვერვალს, კარლოს I (1519-1556) და ფილიპე II (1556-1598) ზეობის ხანაში აღწევს. მათი ძალისხმევით ევროპაში ესპანეთის ჰეგემონია მყარდება. ძნელია დავეთანხმოთ ამერიკელ მეცნიერს ჯ. მოდელსკის, თითქოსდა XVI საუკუნეში პორტუგალიის მსოფლიო ჰეგემონია არსებობდა. ჯ. მოდელსკის მსოფლიო ჰეგემონიის გრძელი ციკლების თეორიაში ესპანეთის ჰეგემონიის

---

<sup>1</sup> ვ. ჩერქეზიშვილი, თხზულებანი, ტ. 1. თბ., 2011. გვ. 481

ადგილი ვერ მოინახა.<sup>1</sup> რამდენად ჰქონდა ვ. ჩერქეზიშვილს გაცნობიერებული XVI საუკუნეში ესპანეთის აღზევების საქმეში ფილიპე II დამსახურება? ნეგატივმა კონტრრეფორმაცია, ინკვიზიცია, ხომ არ დაჩრდილა ესპანეთის წარმატებები, რომელიც ასევე ასოცირდება ფილიპე II სახელთან? მისი პოზიცია ასეთია. მას აქვს მოქალაქეობის უფლება და, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ამრიგად ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის მოღვაწეობისადმი ქართველი პუბლიცისტის ვ. ჩერქეზიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, უწინარესად, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ჩვენი აზრით, ის ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული: 1. მისთვის, როგორც ანარქისტისთვის, ეტყობა, მიუღებელი იყო ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის ერთპიროვნული მმართველობა, აბსოლუტისტური, ავტორიტარული რეჟიმი. 2. რეფორმაციის მომხრე ვ. ჩერქეზიშვილისათვის ესპანეთის მეფის ფილიპე II სახელი ძირითადად კონტრრეფორმაციასთან და ინკვიზიციასთან ასოცირდებოდა და ქართველი პუბლიცისტისათვის მიუღებელი იყო. ამგვარი მიდგომა, უჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარი პლუსია. ყველაფერი ეს მსოფლიო ისტორიის რთულ პერიპეტეებში ქართული ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, ჩახედულების კიდევ ერთ ნიმუშად მიგვაჩნია.

---

<sup>1</sup> მ. კალანდაძე, „გრძელი ციკლები მსოფლიო პოლიტიკაში (ამერიკელი მეცნიერის ვ. მოდელსკის თეორიის ირგვლივ)“ - ქართული დიპლომატია, წელიწადური 12. თბ., 2005. გვ. 459-475.

*Tamar Antadze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**VARLAM CHERKEZISHVILI ON PHILIP II OF SPAIN  
RESUME**

In Varlam Cherkezishvili's epistolary heritage great focus is made on the issues related to the history of Western Europe. The paper dwells on Varlam Cherkezishvili's attitude to Philip II – King of Spain (1556-1598).

Information regarding this issue is quite scarce. Our source study data are rather poor. Varlam Cherkezishvili touches the issue of the Spanish King in his interesting letter „The Nineteenth Century, Renaissance of Nations, Italy“. The information is quite interesting, as it contains the author's judgement of the activities of the Spanish King Philip II.

The author's evaluation of the Spanish King is quite negative. This can be explained by the fact that Varlam Cherkezishvili associates Philip II with counter-reformation and Inquisition. The King of Spain did not correspond to his political ideal. For V. Cherkezishvili as anarchist the dictatorial governance and authoritarian regime of Philip II was unacceptable.

*გურამ გაბუნია, ლია გაბუნია*  
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**დავით აღმაშენებელი (1172-1125) - დიდი ქართველი მეფე სრულიად საქართველოსა და კავკასიის დიდი ჭირისუფალი**

დავითის **მამა** იყო – საქართველოს მეფე **გიორგი II (1072-1089)**. იგი გარდაიცვალა, დაახლოებით, 1112 წელს.

**დედა – ელენე**, ბიზანტიელი პრინცესა, თუ ოვსთა „მეფის“ (მთავრის) ასული უფრო – **ბელიანთა** საგვარეულოს წარმომადგენელი (ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დავითის ბიძა დედის მხრიდან უნდა ყოფილიყო **გიორგი ჭყონდიდელი**, შემდეგში – **ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად** წოდებული).

დავით აღმაშენებელი იყო „**მარტოღობილი**“ („მხოლოდობილი“), დედისერთა.

დავითი **დაიბადა 1072** (თუ 1073) წელს დაახლოებით **სექტემბერში** (მაშინ ახალი წელი !-ლი სექტემბრიდან იწყებოდა)

დავითს **ზრდიდა** მისი „მამამძუძე“ **გიორგი ხუცეს-მონაზონი** (შემდეგში – **იგივე გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი**).

სრულიად საქართველოს სამეფოს **დედაქალაქი** იმდროისათვის იყო **ქუთაისი** („ქუთათისი“). ქუთაისის **დედაქალაქობა 145 წელიწადს** (978/1001-1122) **გრძელდებოდა**.

დავითი **გამეფდა 1089 წელს** მაშინ იგი 16, წლის იყო. **იმეფა 36, წელიწადი**.

დავით მეფე გარდაიცვალა დაახლოებით 53 წლის ასაკში -1125 წლის 24 იანვარს; ძველი სტილით – 26 იანვარს, ახალი სტილით – 8 თებერვალს.

მისი პირველი მეუღლე იყო დედოფალი რუსუდანი, ძველი სომხური სამეფო დინასტიის (არწრუნთა? თუ არშაკუნთანა?) შთამომავალი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი დემეტრე და ქალიშვილები - თამარი და კატაა.

1118 წლის ახლო ხანებში დავითმა მეორედ იქორწინა, ამჯერად მისი თანამეცხედრე იყო ყივჩაყთა მთავრის (ათრაქა შარალანის ძის) ასული გუარანდუხტი. დავითს მასთან შეეძინა ვაჟი ვახტანგი (ცვატაა, „ცუატა“) და, როგორც ფიქრობენ ორი ასული; უფროსს უნდა რქმეოდა რუსუდანი...

\*

დავითის შემდეგ მეფობდა მისი უფროსი ვაჟი დემეტრე I (1125-1155/1156).

დავით აღმაშენებლის შვილიშვილი იყო მეფე გიორგი III (1156-1184).

დავითის შვილთაშვილი იყო დიდი თამარ მეფე (1184-1212) – წმინდა სამების გვერდით „მეოთხე წევრად“ თანააღზევებული (განდიდებული). მოგვიანებით, წმინდა თამარ მეფის ხსენების დღედ 1 (14) მაისი დაწესდა.

როგორც ცნობილია, დავით მეფის ქალიშვილ კატაას („დასავლეთის მნათობი“) მეუღლე იყო ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I „დიდი კომნენის“ შვილი სევასტოკრატორი ისააკ კომნენი. მათი ვაჟია ბიზანტიის სახელგანთქმული იმპერატორი კომნენტა დინასტიიდან – ანდრონიკე I დიდი (1183-1185). ე.ი. ანდრონიკე დიდი დავით აღმაშენებლის შვილიშვილი იყო. იგი ადრე, თავის ცოლშვილთან ერთად, დიდ-

ხანს ცხოვრობდა საქართველოში. ანდრონიკეს და მის მომხრეებს აქტიურად ეხმარებოდნენ თბილისიდან... ანდრონიკეს შთამომავლები, ანუ „დიდი კომნენები“ 257 წლის (1204-1461) განმავლობაში განაგებდნენ **ტრაპეზუნტის იმპერიას**.

დავით აღმაშენებლის ასულის - **თამარის** („აღმოსავლეთის მნათობი“) მეუღლე, ე.ი. დავითის მეორე სიძე, გახლდათ **შარვანის (შირვანის) შაჰი მანუჩეჰ II დიდი** – ყველაზე სახელგანთქმული ხელმწიფე სრულიად აზერბაიჯანის ისტორიაში. მათი შვილი იყო შაჰი **აღსართან I**.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დავით აღმაშენებლის სხვა ასულებზე (ყივჩაყი მეუღლისაგან), შესაბამისად, დაქორწინებულნი იყვნენ – **ოვსთა მეფე დავითი (ეფრემი)** და ძველი<sup>7</sup> ანუ **კიევის რუსეთის დიდი მთავარი იზიასლავ მსტისლავის ძე**.

ოვსთა მეფის დავითის (ეფრემის) შთამომავალია თამარ მეფის მეუღლე, საქართველოდან ოსეთში ადრე გადასახლებულ ბაგრატიონთა შთამომავალი – **დავით სოსლანი**. იგი იზრდებოდა საქართველოს სამეფო კარზე, თამარის მამიდის, დედოფალ რუსუდანის სამშვილდის რეზიდენციაში. დავით სოსლანი თამარ მეფეზე დაქორწინების შემდეგ საქართველოს „თანამეფედ“ იწოდებოდა...

\*

დავით მეფემ დიდი **სახელმწიფო გარდაქმნები** (რეფორმები) ჩაატარა. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური იყო **სამხედრო რეფორმა**.

დავით აღმაშენებელმა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოასახლა ჩრდილოეთის თურქული მოდემის **ყივჩაყთა 40 ათასი**

კომლი და მათგან მუდმივი, რეგულარული ცხენოსანი ჯარი შექმნა.

დავით მეფემ 1121 წლის 12 აგვისტოს, თბილისის მახლობლად, დიდგორის ველზე, გადამწყვეტ ბრძოლაში განადგურა თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი (არანაკლებ 400 ათასიანი) გაერთიანებული ლაშქარი, რომელსაც ცნობილი სარდალი ილ-ღაზი მეთაურობდა. იგი დიდგორში მიღებული ჭრილობებისგან მალე გარდაიცვალა. დავით აღმაშენებლის თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ამ გამარჯვებას „ძლევაჲ საკვირველს“ უწოდებს.

მომდევნო 1122 წელს, დავით მეფემ თითქმის 400, ჩვენი გამოთვლით, არანაკლებ 300-წლოვანი მაჰმადიანური ტყვეობისაგან დაიხსნა დედა-თბილისი და სახელმწიფოს სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში („ტფილისი“) გადაიტანა.

დავით აღმაშენებელმა, ააცილა რა სამშობლოს თურქული საფრთხე („დიდი თურქობა!“), დაასრულა საქართველოს ხელახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება.

მოგეხსენებათ თურქები სულ ახალი დამკვიდრებული იყვნენ მაშინდელ ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. „თურქთა მოსვლით“ რადიკალურად შეიცვალა მთელი წინა აზიის ეთნიკურ-პოლიტიკური რუკა! თითქმის 1.100 წელია, კაცობრიობა ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ცხოვრობს.

დიდმა დავით მეფემ ოპტიმალურად და ბრძნულად გაართვა თავი ამ ახალ და ჩვენს სასიცოცხლო რეგიონში მაშინ რადიკალურად და საშიშრად შეცვლილ გეოპოლიტიკურ გამოწვევას – ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე ასე უღმობლად დასძულ ყოფნა-არყოფნის „საკითხავს“. ქართველმა მეფემ თურქ-მაჰმადიანთა ბატონობისაგან გაათავისუფლა სრულიად საქართველო და კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი და

საფუძველი ჩაუყარა ახალი, საერთო-კავკასიური „სახლის“ – საქართველო-კავკასიის სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული თანამეგობრობის - მშენებლობას!

ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დავით აღმაშენებლისეული ისტორიული მოდელის თანამედროვე პირობებში გამოყენება საქართველო-კავკასიის მიწა-წყალზე ნანატრი მშვიდობის, ეროვნული ხსნიისა და ღირსების, და ეკონომიკური კეთილდღეობის, პოლიტიკური ძლიერებისა თუ სტაბილურობის დამყარებისა და დაცვის საიმედო გარანტია იყო და არის...

დავით მეფემ 1106 წელს, ქუთაისის მახლობლად, **გელათში**, „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“ დაიწყო **დიდი სატაძრო კომპლექსის** მშენებლობა. აქვე დააარსა გელათის სახელგანთქმული **აკადემია**. მისი პირველი მოძღვართ-მოძღვარი („რექტორი“) იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსი **იოანე პეტრიწი**. გელათი ითვლებოდა ქართველ ბაგრატოვანთა უპირველეს სამეფო „**სამუაღლდაც**“. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს ამ ახალ სამეფო განსასუენებელში დაკრძალვის პირველი (!) პატივი ერგო მეფის „თანააღმზრდელ“, მაგრამ არაბაგრატოვან დიდ სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეს, **გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს**. ერთ-ერთ უძველეს ქართულ ხელნაწერში ვკითხულობთ: **5 „საქრისტიანოსა შინა არა არს რად გაენათისთანა“**

გელათის დაარსებით ძირითადად გასრულდა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებელი, **დიდი ქართული კულტურისათვის**. იგი ადრეული ქართული ჰუმანიზმის (რენესანსი) იდეოლოგიური ცენტრი გახდა. გელათი („ქუთათის-გაენათი“) აღმოსავლურ-ქრისტიანულ მსოფლიოში „**მეორე იერუსალიმად**“, „**სხუა ათენად**“ („ახალი ელადა“) და „**ახალ**

**რომად”** მიაჩნდათ! **დიდი** და ძლიერი მართლმადიდებელ-ქრისტიანული საქართველოს სამეფო ისტორიული სარბიელიდან ჩამომავალი, მაშინდელი მსოფლიოს დიდი და ძველი სახელმწიფოს - **ბიზანტიის იმპერიის**, ანუ „**მეორე რომის**” აღიარებულ **მემკვიდრედ**, „**ახალ რომად**“ („**მესამე რომი**“) ითვლებოდა!

როგორც ცნობილია, მოგვიანებით, ახალ, „**მესამე რომად**“ მიაჩნდათ აგრეთვე გვიანი შუასაუკუნეებისა და ახალი ისტორიის ეპოქის მსოფლიოს დიდი და მოწინავე სახელმწიფოები: **გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები...**

საქართველოს დედაქალაქობის შემდგომი ხანის **ქუთაისის ისტორიაში გელათის ფაქტორმა** პირველხარისხოვანი როლი შეასრულა მისი, როგორც ქვეყნის ეროვნული კულტურისა და ცივილიზაციის ერთ-ერთ **პირველხარისხოვან** (უფრო სწორად - „**პირველხარისხოვან მეორე**“!) **ცენტრად** კვლავ დარჩენასა და განმტკიცებაში. ყოველივე ამის უკან იდგა დიდი სახელმწიფო მოღვაწის დავით აღმაშენებლის რკინისებური და მეფური ნება, სრულიად ქართული ისტორიის ლოგიკა!..

საქართველოს ახალი სახელმწიფო **სეფე-დროშა „დავითიანი” მწვანე ფერის იყო**, ფეხზე მდგომი **წმინდა გიორგის გამოსახულებით**. ამიერიდან იგი წინ უძღოდა სრულიად საქართველოს ლაშქარს. ჩვენი ქვეყნის ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ, იგი ლიხთ-იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფეს **დავით ნარინს** და მის **მემკვიდრეებს** დარჩათ. აღნიშნული სამეფო დროშა დაილუპა (სიმბოლოურად და ფაქტობრივადაც - **უძველეს ქართულ სახელმწიფოებრიობასთან ერთად!**) 1811 წელს, ახალციხესთან თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში...

დავით აღმაშენებლის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი” მის შესახებ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა: დავით მეფეს „მომხიბლავის გულწრფელობით და შემზარავის ძლიერებით აქვს ნათქვამი”-ო.

დავით მეფე დაკრძალულია მის მიერ დაარსებული გელათის სატაძრო კომპლექსის კარიბჭეში, მისთვის სპეციალურად აგებულ „საძუალეში”. გელათში, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია, დაკრძალულია გაერთიანებული საქართველოს თითქმის ყველა მეფე, მათ შორის დიდი თამარი! როგორც ცნობილია, გელათის ბადალი ისტორიული „საძუალე“ ჩვენს ქვეყანაში არსად არ არსებობს! გელათის ღვთისმშობლის დაბადების სახელობის დიდი ტაძარი დამშვენებულია დავით აღმაშენებლის გრანდიოზული ფრესკული გამოსახულებით.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დავითს – „აღმაშენებელი” „აქილევსი”, „მოსე” „ახალი დავითი” „სოლომონ ბრძენი”, „მეორე ალექსანდრე”, „მესიის მახვილი”, „ქრისტეს მხედარი”, „მეფე-მოდვარი” უწოდა, ქართულმა ავტოკეფალურმა და სამოციქულო მართლმადიდებლურ-ქრისტიანულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, „ამისთანა კაცის არხსოვნა, – წერდა დიდი ილია ჭავჭავაძე, – მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა“ მისი სახელის ხსენებაც კი „წვრთნის და ზრდის“ მის შთამომავალთ, დავით მეფის ყველა მომდევნო თაობის ჭეშმარიტ თუ გზააბნეულ უძღებ შვილებს, მის სათაყვანებელ ერსა და სრულიად საქართველოს!

დიდი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ბრძანებდა: „ავალ გელათში და ერთხელ კიდევ ვნახავ გელათის საფლავის ქვას, გოლიათურად გამოლტილ დავითს

კარიბჭის გარდიგარდმო... ვნახავ და კაცური კაცობის სიამაყეს ვიგრძნობ, „ამსოფლიური ცხოვრების“ აზრს მივწვდები“...

ღავით აღმაშენებლის **ხსენების დღეა 26 (24) იანვარი**, ახალი სტილით – **8 თებერვალი**.

თანამედროვე საქართველოში ეს დღე ოფიციალურად აღინიშნება 1989 (შიშნარევი მოკრძალებით – 1988) **წლიდან**. ამ „საკვირველ“ 1989 წელს ქართველმა ერმა რესპუბლიკის მასშტაბით იზეიმა დიდი მეფის ტახტზე აღსაყდრებიდან 900 **წლისთავი!** მისი ინიციატორი იყო აკად. **როინ მეტრეველი**. მანამდე (1984 და 1985 წლების აპრილში – „ხსოვნის დღესთან“ დაკავშირებით) იყო მისი გელათში ლეგალურად აღნიშვნის მოკრძალებული ცდები. „ღავითობა“ ქუთაისის სკოლებში სპონტანურად აღინიშნებოდა **უფრო ადრეც**, კერძოდ XIX – XX საუკუნეთა მიჯნაზე..

ამგვარად, „მეფე-მოდღვარი“ **უკვე საბოლოოდ დაუბრუნდა**“ მის სათაყვანებელ ერს და დედა-სამშობლოს!

\*

„მეფე ღავით აღმაშენებლის ძეთა და ძის ძეთა“, ანუ, მოკლედ, „ღავით აღმაშენებლის ძეთა საყმონ“ („ახალი ღავითის ძენი და ძის ძენი“, „დიდგორის შვილები“) დაარსდა **1970 წლის 24 იანვარს** (ძველი სტილით) გელათში, დიდი ქართველი მეფის გარდაცვალებიდან 845 წლისთავზე.

„საყმონ“ დამფუძნებელია აკაკი **წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის** (მაშინდელი – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი) პრფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი, სულ – 21 კაცი.

„მეფე დავით აღმაშენებლის ძეთა და ძის–ძეთა საყმოს“ დამაარსებელი და თავკაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს პროფესორი **გურამ გაბუნია**, „საყმოს“ დაფუძნებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფესორებს - **ლევან სანიკიძეს** (ამ დღეს მას 45 წელი შეუსრულდა), **პეტრე ვაჭრიძეს**, **აბელ სურგულაძეს** და სხვა ძველ „დავითიანელებს“

აქედან ამჟამად ცოცხალია მხოლოდ სრულიად საქართველოს პატრიარქი **ილია მეორე**. ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი ქვეყნისა და ერის სულიერი მოძღვარი!

დავითიანელთა „საყმოს“ დაარსებასა და ფუნქციონირებაში იმთავითვე დიდი ღვაწლი მიუძღვით – **გურამ გაბუნიას**, **პეტრე ვაჭრიძეს**, **ლევან სანიკიძეს**, **აბელ სურგულაძეს**, **გიორგი მჭედლიძეს**, **დავით ბრეგაძეს**, **არკადი გოგუაძეს**, **ლევან სვანაძეს**, **მიხეილ ნიკოლეიშვილს**, **ოთარ სვანიძეს**, **დემურ გურეშიძეს**, **თეიმურაზ ლოლაძეს**, **ვალერიან ქელბაქიანს**, **ინდიკო ტყემელაშვილს**, **გივი სანიკიძეს**, **თამაზ მეძველიას**, **თენგიზ სარალიძეს**, **ვახტანგ ალანიას**, **ანზორ ჭიჭინაძეს**, **მურთაზ ჭაბუკიანს**, **მერაბ გოგუაძეს**, **ნოდარ შარაბიძეს** და **ჯიმშერ ჯაფარიძეს**.

მოგვიანებით „საყმოს“ რიგებს შემოუერთდნენ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული სხვა „დავითიანელები“, ძირითადად ახალგაზრდები: **ოთარ ქანდარია**, **ზურაბ კუხიანიძე**, **რეზო ჭვიშვილი**, **ზაურ ქებულაძე**, **როსტომ ლორთქიფანიძე**, **ომარ ლანჩავა**, **ტარიელ ჭიღვარია**, **ვანო მატარაძე**, **ბეგური ასათიანი**, **შადიმან ყიფშიძე**, **რეზო ნაჭყებია**, **ამურ ფხაკაძე**, **ზეიმ ბახტაძე**, **ლევან მაისურაძე**, **ელიშერ ღათიაშვილი**, **ლერი სულამანიძე**, **გურამ ბახტაძე**, **გირშელ გაბუნია**, **გოდერძი ვაჭრიძე**, **ირაკლი სვანიძე**, **ონისე ქებულაძე**, **ჯემალ წვერავა**, **სოსო ბზიკაძე**, **კახაბერ ქებულაძე**, **სოსო კალანდა-**

რიშვილი, ზურაბ დათუაშვილი, ლუკა დვალისშვილი, რეზო სირბილაძე, გიზო სირბილაძე, ბიჭიკო დიასამიძე, კახაბერ სურგულაძე, მალხაზ სიორიძე, შოთა რამისშვილი, თამაზ გოგბერაშვილი, ელდარ თავბერიძე, ვლადიმერ წვერაგვა, სულხან კუპრაშვილი, მინდია ბერეკაშვილი, გოირგი ონიანი, ზაზა სოხაძე, ზაალ ლილუაშვილი, კოტე სირბილაძე, იმერი ბასილაძე, დავით წიტიანიშვილი, რობერტ გოლეთიანი, ირაკლი შენგელია, თორნიკე ეფრემიძე, მერაბ კეზევაძე, მათე ხვედელიძე, ვასილ ფერაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ნიკოლეიშვილი, ონისე ბოჭორიშვილი, დავით რეხვიაშვილი, გიორგი ღავთაძე, შალვა კირთაძე, მერაბ ირემაძე, თეიმურაზ სურგულაძე, კახა ადგიშვილი, თენგიზ წოწონავა, გაია ხოფერია, ბუბა კუდავა, გოდერძი თევდორაძე და სხვა დავითიანელები.

სხვადასხვა დროს, მეფე დავით აღმაშენებლის ძეთა და ძის-ძეთა „საყმოს საპატიო წევრებად“, სიცოცხლეშივე დაუსწრებლად ავირჩიეთ: ლევან გოთუა, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა, კოლაუ ნადირაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა (მხოლოდ იგი ავირჩიეთ გრდაცვალების შემდეგ), ვახტანგ ბოჭორიშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ილია II (დავით ლუღუშაურ-შიოლაშვილი), ანა კალანდაძე, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ დოჩანაშვილი და სხვა ღირსეული მამულიშვილები.

ამჟამად „საყმო“ 150-ზე მეტ „ფიცისკაცს“ აერთიანებს. მისი „გეოგრაფიაც“ ნელ-ნელა გაიზარდა. ქუთაისის შემდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ბათუმი – საქართველოს მთავარი „საზღვაო ბჭისკარი“ და თბილისი – სა-

ქართველოს დედაქალაქი, აგრეთვე - **ამბროლაური, მარტვილი და სხვა.**

**1979, 1971 და 1972 წლებში** ქუთაისსა (სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი) და გელათში, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობით, აღინიშნა **დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან 845 დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებისა და თბილისის განთავისუფლების 850, დავით აღმაშენებლის დაბადებიდან 900 წლისთავის თარიღები.**

ეს უკანასკნელი ჭეშმარიტად დიდი ისტორიული თარიღი **პირველად (1972) სწორედ ქუთაის-გელათში** აღინიშნა! ჩვენი ინიციატივით, სანახევროდ არალეგარულად ჩატარებულმა **სამეცნიერო სესიამ**, რომელიც მიეძღვნა დიდი მეფის დაბადებიდან 900 წლისთავს, ფაქტობრივად სათავე დაუდო დავით აღმაშენებლის საიუბილეო თარიღების აღნიშვნის ტრადიციას ჩვენს ქვეყანაში. სახელოვან 900-წლოვან იუბილეთა პატივების **ესტაფეტას სწორედ აქ**, აიეტიისა და მედეას, ბაგრატიისა და დავითის, აკაკისა და გალაკტიონის ქალაქში ჩაეყარა საფუძველი...

მოგვიანებით, ქუთაის-გელათში სათანადოდ აღინიშნა აგრეთვე დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე აღსაყდრებიდან - 900 (1989 წ.) და **სხვა ღირსშესანიშნავი თარიღებიც.**

პარალელურად, **1970 წლიდანვე**, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გელათში და საერთოდ, ქალაქ ქუთაისსა და დასავლეთ საქართველოში, „საყმოს“ წევრების ინიციატივითა და მონაწილეობით ხშირად იმართებოდა **სამეცნიერო სესიები და საღამოები** მეფე დავით აღმაშენებლის და მისი ეპოქის საქართველოს ისტორიისა და კულტურის აქტუალურ პრობლემებზე.

დავით აღმაშენებლის „საყმოს“ დაარსებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1970 წლის 16 დეკემბერს, გელათის ძველი აკადემიის ნაფუძვარზე ფუნქციონირება დაიწყო იოანე პეტრიწის სახელობის **გელათის სახალხო აკადემიამ** (დაარსების ინიციატორი – პროფ. **მიხეილ ნიკოლეიშვილი**). სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა თავისი არსებობა 1990 წლიდან შეწყვიტა. მოგვიანებით შეიქმნა **ქუთაის-გელათის მუზეუმ-ნაკრძალი**. პირველი **სტუდენტური შრომითი რაზმიც** სახელწოდებით „**დავით აღმაშენებელი**“ ქუთაის-გელათში დაფუძნდა და ა.შ. და ა. შ.

ცოტა მოგვიანებით, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **გურამ ფანჯგიჭიძის** თაოსნობით საქართველოს დედაქალაქში დაფუძნდა „**დავით აღმაშენებლის საზოგადოება**“. **საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე პირადად გახლდით მიწვეული...**

და, კიდევ ერთი **დიდმნიშვნელოვანი მოვლენა**: დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის დიდმა სულიერმა მემკვიდრემ – **ივანე ჯავახიშვილმა**, სწორედ გელათის მონასტრისა და აკადემიის დამაარსებელი დიდი მეფის ხსენების დღე – **8 თებერვალი** გამოაცხადა მის მიერვე დაფუძნებული ქართული უმაღლესი სკოლის, ჩვენი საერთო „**აღმა მატერის**“ გელათის სახელგანთქმული აკადემიის უპირველესი სულიერი მემკვიდრის - **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღედ!** როგორც ცნობილია, გელათის სამონასტრო კომპლექსსა და გელათის აკადემიას იმთავითვე ჩვენში „**ათენისა და იერუსალიმის სინთეზად თვლიდნენ**“ (გურამ თევზაძე)...

ძველი დავითიანელები ამაცობენ იმის ხაზგასმით, რომ ამჟამად ქუთაისში, თბილისში, ბათუმში და საქართველოს

სხვა ქალაქებსა და რეგიონებში ფუნქციონირებს ანალოგიური ჯგუფები, რომ მათი რიგები ყოველწლიურად იზრდება.

დასასრულს, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დავითიანელთა „საყმოს“ თავის ამ კეთილშობილურ მოღვაწეობაში იმთავითვე, თითქმის ყოველთვის მხარში გვედგა ცნობილი მეცნიერი ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე და სხვა ღირსეული პიროვნებები...

„დავით აღმაშენებლის ძეთა საყმო“ იკრიბება წელიწადში ერთჯერ, დავით მეფის ხსენების დღეს, ყოველი წლის 8 თებერვალს (1970-1975 წლებში – ძველი სტილით, 24 იანვარს) გელათსა და ქუთაისში, დიდთოვლობის ჟამს – მხოლოდ ქუთაისში.

ხანდახან (1994, 1995, 1996 წლებში) დავითიანელი „ფიცისკაცები“ დამატებით იკრიბებოდნენ 12 აგვისტოსაც, ასევე გელათში დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების – „ძღვევად საკვირველის“ („დიდგორობა“) დღესასწაულის აღსანიშნავად.

(უფრო ვრცლად იხ. გაზეთები: „ქუთაისი“, 8. II. „აღორძინება“ [ბათუმი-აჭარა], 19. II. 1998.

\*

2016 წელს დავით აღმაშენებლის ძეთა და ძის – ძეთა საყმოს არსებობის 46 წელი (47-ე შეკრება) შეუსრულდა...

ქართველთა ღმერთ-კაცთან დიდ დავით აღმაშენებელთან სუფთა სინდისით, განწმენდილი სულითა და წრფელი გულით ყოველი ახალი მიახლება, ჭემმარიტად ეროვნულ ფესვებთან დაბრუნებას, თაობათა გაწყვეტილი კავშირების აღდგენას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და

ერთიანობისათვის, სამშობლოს ბედნიერებისათვის სამსახურში დასახარჯად მზადყოფნას ნიშნავს.

გეფარავდეს და გვამხნეებდეს ჭეშმარიტად დიდი საქართველოს დაბადების უტყუარი მაცნე – დიდგორის „ძლევადა საკვირველი“.

ჟამთაღმწერელი ერთგან წერს: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბძელად ზურგი შევაქციოთ, დაღათუ იყოს სიკუდილი!“ ან გამარჯვება, ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი! ეს იყო ყველა დროისა და ყველა თაობის ქართველი კაცის ცხოვრების ნორმა და წესი...

გვახსოვდეს და გვაფხიზლებდეს გარნიისის „საქმენი საგლოველნი“ ბაზალეთისა და თბილისის ძმათამკვლელი „შინაობები“, წიწამურის, ცხუმ-აფხაზეთის, ჯიხაშკარისა და სამაჩაბლოს სისხლიანი ტრაგედიები!

მაშ, ერთგული ვიყოთ საოცარი მეფისა და ღმერთკაცის დიდი ანდერძის და ქართლოსიან-ეგროსიანთა ქვეყნის შვილებმა, „ახალი დავითის ძენმა და ძის ძენმა“ მეტი გულდაჯერებით გავწიოთ წინ დავით აღმაშენებლისაკენ!

**შენიშვნები და (პერიფრაზირების წესით) გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, გამომცემლობა - „განათლება“- თბილისი, 1990, გვ. 6, 7, 8, 16, 17, 21, რედაქტორები: ვ. ურუშაძე, დ. მხეიძე, ს. კონრეიძე.
2. დ. გვრიტიშვილი, თბილისი 1500 წლისაა, თბილისი 15000, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958 წელი, გვ. 1., 2., 3., 4.

3. შ. მესხია, თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958 წელი, გვ. 8., 9., 10., 15., 19
4. ნ. ლომოური, უძველესი უცხოური ცნობა თბილისის შესახებ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958 წელი, გვ. 20., 23., 23.,
5. გ. გაბუნია, ასე იწყებოდა დიდი საქართველო, ქუთაისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1996 წელი, გვ. 175, 176, 177, 178, 200
6. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრების სიმფონია, ლექსიკონი ტომი I, „მეცნიერება“ 1986 წელი, გვ. 60., 61., 106., 107
7. ჯუანშერი, ქართლის ცხოვრების სიმფონია, ლექსიკონი ტომი II, ჯუანშერი, „მეცნიერება“ გვ. 144., 145., 156., 179
8. როინ მეტრეველი. საქართველოს ისტორია ლექსიკონი ტომი I, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, -1979 შემდგენელი როინ მეტრეველი. გვ. 271., 283., 284
9. გურამ თევზაძე - გამონათქვამები- 2000 წელი
10. გ. ახვლედიანი, „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული წერილები, გამომცემლობა „საქართველო“ თბილისი 1990 გვ. 51., 59., 63., 103.
11. გურამ თევზაძე - გამონათქვამები- 2000 წელი.
12. გაზეთი ქუთაისი, 8, უფრო ვრცლად იხ. გაზეთები: II. „აღორძინება“ [ბათუმი-აჭარა], 19. II. 1998.
13. ფაუსტ ნადარაია, გიორგი ჭყონდიდელი, 2004, გვ. 17, 1926, 27.

*Guram Gabunia, Lia Gabunia*

*Akaki Tsereteli State University*

**DAVID THE BUILDER (1172-1125) - GREAT KING OF  
GEORGIA THE GREAT PATRON OF ALL GEORGIA  
RESUME**

**David's father was Georgia's King George II** (1072-1089). He passed away about the year of 1112.

**Mother – Elene**, a Byzantine princess, or a daughter of the Ossetians “King” (Head), most likely – member of **Bediani** family (some scientists thought that David's material uncle might be **George of Chqhondidi** subsequently known as an elder of bibliophiles of Chqhondidi).

David the Builder was an only child of his mother.

David was born in 1072 (or 1073) about September (at that time a New Year was starting from September).

David was raised by his “father-educator” George elder-monk (subsequently known as **George** elder of bibliophiles of Chqhondidi).

**Kutaisi (“Kutatisi”)** was a capital of those times Georgian Kingdom. This status of Kutaisi was lasted for 145 years (978/1001-1122).

David ascended the throne in 1089, when he was 16 years old.

He reigned 36 years.

David the King passed away aged about 53 years – **on January 24, 1125:** on January 26 by old calendar, **on February 8, by new calendar.**

His first wife was queen Rusudani, member of old Armenian dynasty (of Artsrunis or Arshakunyans), who born for him a son Demetre and daughters Tamari and Kata.

### კალმახელთა ვინაობის საკითხისათვის

სამცხის წარჩინებულ თავადთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს კალმახელთა ფეოდალურ გვარს. 1516 წლის სამცხის თავადთა სიაში შეყვანილია კალმახელთა გვარი, რომელიც შედიოდა მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში. მათი ადგილი შემდგომში დაიკავეს უზნაძეებმა<sup>1</sup>.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის V ტომში, 339-ე გვერდზე ვკითხულობთ: „კალმახი – ისტორიული ციხე საქართველოში, ტაოში. აგებული VIII ს-ში. X ს-მდე ტაოს ცენტრს წარმოადგენდა. XI ს-ში კალმახი გურგენ კურაპალატის რეზიდენცია იყო. კალმახის ციხეში ჩააბარეს მეფე ბაგრატ IV-ს (XI ს.) დატყვევებული კლდეკარის მეამბოხე ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში და მისი ძე ივანე<sup>2</sup>.

გვარი კალმახელი წარმოდგება გეოგრაფიული სახელწოდებიდან კალმახი. ზემოთხსენებული გვარი „ელ“ სუფიქსით ნაწარმოები ფეოდალური გვარია, რომელიც ისტორიული კალმახის ხეობის მფლობელობას უკავშირდება. წინამდებარე სტატია კალმახელთა ფეოდალურ გვარის ისტორიის შესწავლის ცდას წარმოადგენს.

---

<sup>1</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 35.

<sup>2</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, თბ., 1980, გვ. 339

პირველი ცნობები კალმახელთა გვარის შესახებ ეკუთვნის XI საუკუნის შუახანების „მატიანე ქართლისაჲ“-ს უცნობ ავტორს.

კალმახელთა შორის მატიანის ავტორს პირველი დასახელებული ჰყავს სულა კალმახელი, რომელიც ციხისჯვარის პატრონ გრიგოლ აბუსერიძესთან ერთად მეფე ბაგრატ IV-ის ჯარის შემადგენლობაში მყოფი, ქართლში, არყის ციხესთან, ებრძვის ლიპარიტ ბაღვაშს. ბრძოლაში ლიპარიტმა გაიმარჯვა და მეფე ბაგრატ IV გააქცია. სულა კალმახელი და გრიგოლ აბუსერიძე ტყვედ ჩავარდნენ. „შეიპყრეს სულა კალმახის ერისთავი და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ ძე აბუსერიძისა და სთხოვეს არტანუჯი სიკვდილისა ქადებითა და მისცა“<sup>1</sup>.

XI ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარში, ბიზანტიის იმპერატორის შუამდგომლობით მოხდა ბაგრატ IV-ის ლიპარიტ ბაღვაშის შერიგება. შეთანხმების შედეგად ბაგრატ IV იქნებოდა მეფე სრულიად საქართველოსი, ხოლო ლიპარიტი ერთი მხარის, მესხეთის, მფლობელი. მცირეოდენი ხნის შემდეგ მესხმა დიდებულებმა სულა კალმახელის მეთაურობით, რომელთაც ვერ აიტანეს ლიპარიტის ბატონობა, შეიპყრეს ლიპარიტ ბაღვაში, მისი ძე ივანე და ორივენი დატყვევებულნი სულამ წაიყვანა კალმახსა და იქიდან მაცნე გაუგზავნა მეფეს. ჯავახეთში მოსულ მეფეს სულამ მიჰგვარა დატყვევებული ლიპარიტი და ივანე. „და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯვარი და ოძრტე ბოდოკლდითა და სხუადცა მრავალი საქონელი და სამღვდელმობდურონი, და რადცა უნდა“<sup>2</sup>. ვფიქრობთ, რომ „სამღვდე-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2008, 285-286.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2008, 287-288.

ლმოდღურონი“-ში „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი აწყურის საკათედრო ტაძარს უნდა გულისხმობდეს. ამის შემდეგ კალმახელებმა საფუძველი ჩაუყარეს ციხისჯვრელთა ფეოდალურ გვარს. ჩვენ აქ ამაზე მეტს საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავსძენთ, რომ ციხისჯვრელებმა მომავალში დააფუძნეს ციხისჯვრელ-ჯაყელთა ფეოდალური გვარი.

ახლა ვცადოთ გავარკვიოთ, თუ ვინ არის კალმახელთა გვარის ფუძემდებელი?

ჩვენ გავიზიარებთ მკვლევარ ნ. შოშიაშვილის მოსაზრებას ახალი ჩორჩანელებიდან კალმახელთა საგვარეულოს წარმოშობის შესახებ. ამაზე არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში პირდაპირი მითითება არ გვაქვს. რაც შეეხება ახალი ჩორჩანელების საგვარეულოს ფუძემდებელს, სულა მირიანის ძეს, მან თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა ხურსიძეების საგვარეულოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეოგრაფიული ადგილი, კალმახის ციხე, ისტორიული ტაოში მდებარეობს. მის შესახებ პირველი ცნობები დაცული აქვს უცნობ ავტორს „მატიანე ქართლისაჲ“-ში. მურვან ყრუს შემოსევის დროს VIII ს-ში, როგორც სხვებმა, ასევე პიტიახშებმაც გადაწყვიტეს თავი შეეფარებინათ კლარჯეთში, მაგრამ ისინი იქ არ შეუშვეს. ამიტომაც მათი ერთი ნაწილი გადასულა ტაოში და იქ კალმახში ციხე-სიმაგრე აუგია, ხოლო მეორე ნაწილი გადასულა კახეთში<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, ნ. შოშიაშვილის მოსაზრება, სულა მირიანის შთამომავლებისაგან კალმახელთა გვარის წარმომავლობის შესახებ უნდა მიმდინარეობდეს ქართული ტრადიციიდან, რომლის მიხედვითაც ქართველ ფეოდალთა შორის მიღებული

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2008, გვ. 244

იყო საგვარეულო სახელების ტარება, რომლებიც პაპიდან შვილიშვილზე, ზოგჯერ მამიდან შვილზე გადადიოდა. ამ თეორიას, სხვათაშორის, ძალიან ბევრი ქართველი მკვლევარი უჭერს და, მათ შორის, უპირველესად შეიძლება დავასახელოთ მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი, რომლის არაერთი ნაშრომი კვლევებში გამოყენებული აქვს ნ. შოშიაშვილს<sup>1</sup>.

მიუხედავად ზემოთხსენებულ ავტორთა დიდი დამსახურებისა, აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან, ამ ვერსიის თანახმად, ჯაყელებში გავრცელებული სახელები: ბოცო, ბეშქენ, მეხნა, შემდგომში იცვლება მათთვის არატრადიციული სახელებით: სარგისი, აღბულა, შაშია, შიბილა, პაფნუტი და სხვა.

ზოლო თორელთა საგვარეულოში მიღებული სახელი ივანე გავრცელებული იყო ასევე ბაღვაშებში, ვარდანიძეებში, ციხისჯვრელებში, სულასძეებში, აბაზასძეებში, აბულეთისძეებში და სხვა. რაც შეეხება სახელს – სულა, იგი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მესხეთში. ამას ადასტურებს, როგორც ეპიგრაფიკული, ისე დოკუმენტური და ნარატიული წყაროები.

ჯავახეთში, მდ. სამსარის ნაპირას კლდეში გამოკვეთილია გუმბათიანი ეკლესია, რომელსაც აქვს სააღმშენებლო წარწერა, რომელიც თარიღდება X ს-ის 20-30-იანი წლებით, სადაც მოხსენიებულია უცნობი სულა. „.....სულამ მაშინ დაგწერე, ოდეს მცხეთის ეკლესიაი დაწუეს აგარიანთა და

---

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X-B, ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, თბ., 1940, 31.

წმინდა ნინოსი ჯელი წარიტანეს“<sup>1</sup>. თ. ჟორდანიას ქრონიკებში მოიპოვება ცნობა, რომელშიც მოხსენიებულია სულა და თარიღდება 1038 წლით. „ქ. ე ადიდე სულითა სულა ზოლავარი და შვილნი მათნი“<sup>2</sup>. ტბეთის სულთა მატთანეში ასევე მოხსენიებულია სახელი სულა. მაგ.: „სულა, იოვანი გოგიტასშვილის შვილი, სულა, კჯრიკე მოძღვრის ძმა, სულა შაუსყურიძე და სხვა“.<sup>3</sup>

ყველაზე ადრეული ეპიგრაფიკული ძეგლი, სადაც სახელი სულა არის მოხსენიებული, გახლავთ სოფ. ხუნამისში (ამჟამად თურქეთში, არტანის ჩრდილოეთით, 40 კმ. მანძილზე) აღმოჩენილი, რომელიც 1899 წელს თბილისში ჩამოიტანა და მუზეუმს გადასცა ფოცხოვის უბნის უფროსმა მიხეილ ხერხეულიძემ. ძეგლი შემდეგნაირად იკითხება „ჩ ესე ძელი ცხოვრებისაჲ აემართა ქრონიკონსა რიე უფლებასა სულადსა ჯაფარის ძისასა“.<sup>4</sup> ძეგლი 895 წლით თარიღდება, ხოლო რაც შეეხება ხუნამისს, იგი გეოგრაფიულად კალმახთან ახლოს მდებარეობს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ X ს-მდე კალმახი ტაოს ცენტრს წარმოადგენს. მის შემდეგ ტაოს ცენტრი გადადის ბანაში. X ს-ში კალმახი კი გურგენ კურაპალატის რეზიდენციაა.

---

<sup>1</sup> ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს). თბ., 1980, გვ. 275.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892, 180.

<sup>3</sup> ტბეთის სულთა მატთანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 154-155.

<sup>4</sup> ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), თბ., 1980, გვ. 109.

როგორც ჩანს, IX ს-ის 80-იან წლებში დაწყებული სისხლისმღვრელი ბრძოლა ბაგრატიონთა ერთი სახლის ორი შტოს წარმომადგენლებს შორის X საუკუნეშიც გრძელდებოდა. ამის მაგალითია აშოტ კურაპალატის უფროსი ვაჟის ადარნასეს შვილის, ზემოთხსენებული გურგენ კურაპალატის დამკვიდრება შავშეთსა და არტაანს. „ხოლო გურგენ კურაპალატი წამოვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრობდა შავშეთს და არტაანს“<sup>1</sup>. ეს ბრძოლა და წამოსვლა, როგორც ჩანს, მიწისმფლობელობის საკითხთან არის დაკავშირებული. გურგენსა და ადარნასე ქართველთა მეფეს შორის ატყდა ბრძოლა. ადარნასე ქართველთა მეფეს მიემხრო გურგენის ძმის სუმბატ მამფალის, არტანუჯელის ვაჟიშვილი ბაგრატ I მამფალი. ჩანს აქ, ამ გამოყოფილ შტოში, არტანუჯელობისათვის (სახლის უფროსობისათვის) მიმდინარეობდა ბრძოლა. „და ამის შემდგომად შეიმტერნენ ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანერთას ზედა ერთ კერძო გურგენ კურაპალატმან და ერთა მისთა, მეორე – კერძ ადარნასე ქართველთა მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი ჴევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავსა (ნიგალი – რ. გ.) და ჰბრძოდეს ერთმანეთსა“<sup>2</sup>. გურგენი დამარცხდა, ბრძოლაში დაიჭრა, შეიპყრეს და წყლულებით გარდაიცვალა. ხოლო არტანუჯელობა ამიერიდან ბაგრატიის ძმის დავითის სახლმა დაიმკვიდრა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხუნამისის წარწერაში მოხსენიებული პიროვნება სულა ჯაფარიძის ძე კალმახის მიმ-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 382.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 382.

დებარე ტერიტორიაზე მოღვაწე ხელისუფლების („უფლებასა სულაძსა ჯაფარიძისასა“) წარმომადგენელია.

როგორც ჩანს ბაგრატიონთა სახლის ორი შტოს წარმომადგენლებს შორის მიმდინარე ბრძოლების დროს სულა ჯაფარისძე ადარნასე ქართველთა მეფის მომხრეა, რის გამოც, შესაძლოა, მეფეს კალმახის საერისთაო წყალობად მისი მემკვიდრეებისათვის გადაეცა. კალმახელის გვარის გაჩენაც სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სულა კალმახელის წინაპარი სულა ჯაფარისძეა.

ამრიგად, პირდაპირი წყაროებისა უქონლობის გამო ძნელია განისაზღვროს კალმახელთა საგვარეულოს ფუძემდებლის ვინაობა. არაპირდაპირი მონაცემებით კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საგვარეულოს დამაარსებელი იყო, ამიერტაოში IX-X სს მიჯნაზე მოღვაწე წარჩინებული ხელისუფალი სულა ჯაფარისძე, რომელსაც ზემოაღნიშნული წარწერაც ცხადყოფს. საბოლოო ჭეშმარიტების დასადგენად აშკარად იგრძნობა ახალი წყაროებისა და არგუმენტების მოპოვების საჭიროება.

### **დამოწმებანი:**

1. ქართლის ცხოვრება, 1955 - ქართლის ცხოვრება, ტ. 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
2. ქართლის ცხოვრება, 2008 - ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2008.
3. შარაშიძე, 1961 - სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.

4. საქ. სახ. მუზ. მოამბე, 1940 - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X-B, ლ. მუსხელიშვილი, თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით, თბ., 1940.
5. შოშიაშვილი, 1980 - ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს), თბ., 1980.
6. ჟორდანია, 1892 - თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892.
7. ტბეთის სულთა მატიანე, 1977 - ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977.
8. ქსე, 1980 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, თბ., 1980.

***Roman Gogolauri***

*Samtskhe-Javakheti State University*

**IDENTITY ISSUES OF SURNAME KALMAKHELI  
RESUME**

The ancestral of Kalmakheli takes one of the most honorable place among nobles of Samtskhe.

In 1516, the surname Kalmakheli has been added in the Samtskhe noble list, which belonged to Samtskhe Catholicos'. They were later replaced with Uznadze, (another Georgian surname).

Kalmakheli is Georgian surname, which drives from a geographical name „ Kalmakheli” (trout). This surname is

feudal surname that is produced by suffix „el”, which is connected to ownership of trout („Kalmakheli”).

We can't share N. Shoshiashvili's opinion, that the surname Kalmakheli was a risen ancestral of „Akhali Chorchaneli” because Sula Mirian's son, founder of the ancestral „Akhali Chorchaneli” laid the foundation for the ancestral of Khurtsidze.

Due to lack resources, it's difficult to determine the identity of the founder of the ancestral of Kalmakheli. By no direct dates, we can assume that this ancestral was founded in Amiertao in IX-X c. by the successful leader Sula Jafaridze.

**პოეტური ფიგურის ზოგიერთი სახე საისტორიო  
ტექსტში „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“**

მხატვრულ ტექსტში ავტორის მონაწილეობა თითქმის არ ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აღწერილი ფაქტისა ან პერსონაჟისადმი მისი დამოკიდებულების გამოხატვის სურვილს, რომელიც წარმოადგენს „პოეტური სინტაქსის ერთ-ერთ სახეს, სტილისტიკურ ხერხს... შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ნაგარაუდევს“ (ა. ჭილაია). ესაა ე.წ. რიტორიკული ფიგურა, რომელსაც მხატვრულ მეტყველებაში (თუ ა. ჭილაიას დავეყრდნობით), პოეტურ ფიგურას უწოდებენ. იგი თავისი ბუნებით მაინც რიტორიკულია და მიმართულია როგორც კონკრეტულ ობიექტზე, ისე განყენებულ საგნებსა და მოვლენებზე. ლიტერატურის თეორეტიკოსები ასახელებენ პოეტურ ფიგურათა სახეებს (ინვერსია, ინტონაცია, პოეტური შეკითხვა, პოეტური შედახება, პოეტური მიმართვა, პოეტური შეწყვეტა ანუ შეჩერება). ქართველ ჰაგიოგრაფებსა თუ მთარგმნელებს ჯერ კიდევ ძველ დროში ტრადიცია რიტორიკული ფიგურების გამოყენებისა ტექსტში, რაზედაც მივგანიშნებს კიდევ ქეთევან ბეზარაშვილის გამოკვლევა „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ (2004 წ.).<sup>1</sup>

„რიტორიკული შეკითხვა სიცხადისა და გამოკვეთილობის, სიცოცხლის შემქმნელ ფიგურად არის მიჩნეული. კითხვა ისმება ეფექტისათვის და არა ინფორმაციისათვის. ეს ხე-

---

<sup>1</sup> ქ. ბეზარაშვილი, „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ „მეცნიერება“, თბილისი, 2004, გვ. 626.

რხი უმეტესად ეფრემის თარგმანშია დაცული... ეფრემი რომ სპეციალურად ზრუნავს მასზე, იმითაც ჩანს, რომ მის კრებულებში ეს რიტორიკული ხერხიც აღნიშნულია მარგინალური ნიშნით „შუენიერი“. რიტორიკული შეკითხვის თურმე ეფრემი კითხვითი წინადადებებით თარგმნის, მაშინ როდესაც ეფთჳიმე თხრობითად, ხოლო ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმანში ეფრემი მას განმარტავს როგორც „თავის თავში პასუხის მქონეს: ეფრემი ყურადღებას ამახვილებს ამ რიტორიკული ხერხის გამოყენებაზე თარგმანში ერთნაირი სიტყვებით დაწყებული კითხვით პერიოდების მეშვეობით. აქედან ყურადღებას ვამახვილებთ პოეტური ფიგურის ისეთ სახეებზე, როგორცაა პოეტური შეკითხვა, პოეტური მიმართვა და პოეტური შემახება, რამდენადაც სწორედ მათი ფუნქციონალური დატვირთვის კვლევას ვისახავთ მიზნად საისტორიო ტექსტში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (1123-1126 წ.წ.) და რომლის ავტორად ასახელებენ არსენ ბერ საღირისძეს (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე), თუმცა გამოქვეყნებულ ტექსტებში ძირითადად მაინც უცნობი ავტორის თხზულებად მოიხსენიება. („ქართლის ცხოვრება“).

თედო ჟორდანიას „ცხოვრების“ ავტორს სამღვდლო პირად მიიჩნევდა, ივანე ჯავახიშვილის აზრით კი, „ისტორიკოსი ღვთისმეტყველების მოტრფიალე მაინცა-და-მაინც არა ყოფილა და სწორედ ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ დავით აღმაშენებლის მემკვიდრე ან ერის კაცია, ან არადა თუ სამღვდლო პირია, – განათლებითა და აზროვნებით სრულია გაერისკაცებული მწერალი ყოფილა, რომელიც. თავისუფლად კითხულობდა და სარგებლობდა საერო ძველ ბერძნულ წარმართულ მწერლობითაც – კი“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. VIII, თსუ, 1977, თბილისი, გვ. 212.

აღნიშნული ციტატა ყურადღებას ამახვილებს ავტორის განსწავლულობაზე, იქნებოდა ის სასულიერო თუ საერო პირი.

„ცხოვრების“ ავტორის კვლევა არ წარმოადგენს ჩვენი სტატიის მიზანს, მთავარი მაინც საისტორიო ჟანრის მხატვრული ღირებულების დამადასტურებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რიტორიკული ფიგურის ზოგიერთი სახის მოძიებაა, რომელიც წინამორბედი საისტორიო თხზულებებიდან განსხვავდება მათი სიმრავლითა და ფუნქციონალური დატვირთვით.

რამდენადაც ლიტერატურათმცოდნეობა ძირითადად მხატვრულ ტექსტს ეყრდნობა, უპირანი იქნებოდა არა რიტორიკული ფიგურების, არამედ პოეტური ფიგურების მოძიება მხატვრულ ტექსტში. აქვე საინტერესო და აუცილებელი იქნება მივიჩნიოთ თუ არა დავითის ისტორიკოსის თხზულებას, რაზედაც არაერთგზის გაუმახვილებიათ ყურადღება ისტორიკოსება თუ ლიტერატურათმცოდნეებს.

როგორც ისტორიკოსები წერენ, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისიში“ „ნათლად ჩანს მისი ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება“, „საშუალო საუკუნეების ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ის ყველაფერს არ აწერს დავითის პირად ღირსებას“<sup>1</sup>. აქვე ისინი მიაწინებენ, რომ „თავისი პერსონაჟის დასახასიათებლად და მისი სიდიადის გამოსავლინებლად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უხვად სარგებლობს შედარებით მეთოდით, აქ ის ღრმა ერუდიციას იჩენს მსოფლიო ლიტერატურასა და ისტორიაში, კარგად იცნობს და იყენებს ძველი საბერძნეთის, ბიზანტიისა და ირა-

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979, გვ.422-423.

ნის ლიტერატურულ და ისტორიულ თხზულებებს<sup>1</sup> „ტროადის ომი 28 წელს გაგრძელდა, მაგრამ იქ საქებარი არაფერი მომხდარა და, თუ მაინც ზემოთჩამოთვლილი სახელმწიფოები პირები დიდების გვირგვინით არიან შემოსილი ისტორიაში, არა იმიტომ, რომ ისინი დავით აღმაშენებელზე უკეთესი ვაჟკაცი და შემმართველნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ გამოუჩნდათ ნიჭიერი მწერლები, რომლებმაც, მიუხედავად ქების ობიექტის სიმცირისა თავიანთი რიტორიკის საშუალებით ამ მოღვაწეთა დამსახურება გააზვიადეს. ამ ბერძენ და ებრაელ მწერლებს რომ ხელთ ჰქონოდათ მდიდარი მასალა დავითის შესახებ (ე.ი. იმათ რომ დავითი შეექოთ), აი, მაშინ უნდა გენახათ, თუ თავიანთი რიტორიკით როგორი სისრულით აღწერდნენ და ღვაწლისა და ამაგის შესაფერის ქებას შეუთხზავდნენ ამ დიდებული პიროვნებას“.<sup>2</sup>

კორნელი კეკელიძეც თხზულების ამ მონაკვეთზე ამხვილებს ყურადღებას: „ამასთან დაკავშირებით ავტორი გვეუბნება: ჯეროვნად და მოსაწონად რომ იქნეს „შექებული“ ესა თუ ის ისტორიული პირი, საჭიროა, პირველ ყოვლისა, რიტორობა ან „რიტორობის ხელოვნება“, მეორედ კი „ნივთნი საქმეთანი“ - სათანადო, ნამდვილი და არა მოგონილი მასალა!“<sup>3</sup> „როგორც აღვნიშნეთ, აგრძელებს კ. კეკელიძე, - ისტორიკოსს, „რიტორობის ხელოვნება“ ერთ-ერთ იარაღად მიაჩნია, სრულყოფილი ქების სათქმელად. ამიტომ ის ხშირად მიმართავს ამ იარაღს, რომელსაც ის არაიშვიათად მიჰყავს ზომიერების დაკარგვამდე, გადაჭარბება - ჰიპერბო-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 424.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 425.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, „მეცნიერება“, 1980, 1981, გვ.263.

ლამდე“<sup>1</sup>. ა. ბარამიძის (კ. კეკელიძის) აზრითვე, დავითის ისტორიკოსი უნდა იცნობდესო გიორგი მონაზონის „ხრონოგრაფს“, საიდანაც მას ამოუღია ცნობა ალექსანდრე მაკედონელის წუხილის შესახებ, რომ მან ჯერ ვერ დაიპყრო მთელი ქვეყანა (გვ.300, ხრონოგრაფი, გვ.11)<sup>2</sup> როგორც ჯერ კიდევ ივანე ჯავახივილი მიანიშნებდა თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“, „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება“ დაწერილია მშვენიერი მხატვრული, კეთილშობილური ენით და ისეთი გულწრფელობით და იმდენად საგულისხმოდ, რომ მკითხველი უნებლიედ მისდევს მის მსჯელობას და იზიბლება მისი მაღალ-ხარისხოვანი მოთხრობი“<sup>3</sup>, ე.ი. ი. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს „ცხოვრების“ ავტორის განსწავლულობასა და მჭერმეტყველების უნარზე, რაც ნაკლებად იყო დამახასიათებელი საისტორიო თხზულებებისათვის.

ლიტერატურათმცოდნე ლაურა გრიგალაშვილი დავითის ისტორიკოსის თხზულების მხატვრულ ღირსებებთან ერთად მიანიშნებს იმ პათეტიკურ ტონზე, რომელსაც იყენებს ავტორი: „იგი პათეტიურად კითხულობს: ვის ძალუმს აღრიცხოს თვინიერ ზეცისა მამისა, წარსაგებელი, რომელსაც მეფე ფარულად გასცემდა თავისი ხელითო“<sup>4</sup>.

აშკარაა, დავითის ისტორიკოსის მხატვრულ ოსტატობას თუ ერთი მკვლევარი „რიტორული ხელოვნების“ ცოდნას უკავშირებს, მეორე მის პათეტიკურ ტონზე მიანიშნებს, მაგ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 264.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თსუ, თბილისი, 1987, გვ. 140.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, ტ. 8, გვ. 220.

<sup>4</sup> ქართული მწერლობა, ტ.2, „ნაკადული“, თბილისი, 1987, გვ.

რამ არაფერია თქმული სწორედ პოეტურ ანუ რიტორიკულ ფიგურებზე, თუ თავად საისტორიო თხზულებას მხატვრულ ტექსტად მივიჩნევთ, რაც „რიტორიკის ხელოვნებით“ განსწავლულ ავტორს ახასიათებს. ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მკვლევარი ნესტან სულავა თავის წერილში („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულების განსაზღვრისათვის“), ერთგან დავითის ისტორიკოსის მიერ რიტორიკული კითხვების გამოყენებაზე ამახვილებს რა ყურადღებას, აღნიშნავს, რომ „როდესაც განსაკუთრებულზე, მნიშვნელოვანზე უნდა შეაჩეროს ყურადღება, სწორედ მაშინ მიმართვს რიტორიკულ ხერხებს, კერძოდ რიტორიკულ კითხვას, რომელიც მხატვრულ-გამომსახველობით ფუნქციას იძენს“<sup>1</sup>.

ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის ავტორი ნიკოლოზ კანდელაკი საუბრობს, ცნობილი ბერძენი რიტორისა და ფილოსოფოსის თემესტიოსის გადმოცემაზე დაყრდნობით, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, რომელშიც „განათლებას ღებულობდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მოვლინებული ახალგაზრდები (ეგენიოსი, თემესტიოსი), უნდა ვიგულისხმოთ, რომ უწინარეს სხვათა აქ განათლებას მიიღებდნენ თვით კოლხეთის მკვიდრნი, ადგილობრივი ახალგაზრდები“<sup>2</sup>.

ნ. კანდელაკის დასკვნით, „მჭევრმეტყველების ადრინდელი ძეგლების წარმოშობას საქართველოში წინ უსწრებს ისტორიული წყაროებით დადასტურებული, რიტორიკული

---

<sup>1</sup> ნ. სულავა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ - ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულების განსაზღვრისათვის“, კრებულში, „ანალები“, თბილისი, 2011, №7, გვ. 504

<sup>2</sup> ნ. კანდელაკი, „წერილები“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988, გვ. 19

სკოლის არსებობა“<sup>1</sup> გელათის, იყალთოს, გრემის აკადემიებში XI-XII საუკუნეებში ისწავლებოდა საგნები, რომლებიც შედიოდა ე.წ. trivium-quadrivium-ის ციკლში, როგორც იყო ღიალექტიკა ან ფილოსოფია, ლვთისმეტყველება, რიტორიკა, გრამატიკა და სხვ, (კ. კეკელიძე). რიტორიკული განათლების კვალი მოჩანს როგორც წმ. ნინოს ცხოვრებაში, ისე დავითის ისტორიკოსის თხზულებამდელ ისტორიულ თხზულებებსა თუ მატრიანეებში. მაგრამ „მეფეთ-მეფის დავითის“ ცხოვრებაში სწორედ მისი ავტორის განსწავლულობა იკვეთება არაერთგზის რიტორიკული შეკითხვის, რიტორიკული შედახებისა თუ რიტორიკული მიმართვის სახით და თუ დავითის ისტორიულ თხზულებას მივანიჭებთ მხატვრული ტექსტის დეფინიციას, რაც ჩვენამდე იქნა დასაბუთებული წინამორბედი ისტორიკოსებისა თუ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ, მართებული იქნება გამოვიყენოთ რიტორიკულის ნაცვლად პოეტური: პოეტური შეკითხვა, პოეტური შედახება და პოეტური მიმართვა. თითოეულ მათგანს ენიჭება ღრმა ფუნქციონალური დატვირთვა. და თუ ადრე რიტორიკა მეტ-ნაკლებად შეზღუდული სახით გამოიყენებოდა, XX საუკუნის მეორე ნახევარში მან საზღვრები გაიფართოვა. იგი გახდა საჭირო როგორც ენათმეცნიერების, ისე სემიოტიკის, მასობრივი კომუნიკაციისა თუ პოლიტიკასთვის. რომან იაკობსონის მიერ შედგენილ კომუნიკაციის აქტში ერთ-ერთია ექსპრესიული ფუნქცია კონტექსტისა, სწორედ ამ ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო პოეტური ანუ რიტორიკული ფიგურაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავითის ისტორიკოსისათვის პოეტური შეკითხვა, რომელსაც არაერთგზის იყენებს იგი ტექსტის სხვადასხვა ადგილას. „პოეტური ანუ რიტორიკული შეკითხვის დანიშნულებაა, შეკითხვის სახით გამოხატოს აზრი, განცდა

---

<sup>1</sup> იქვე.

მოკლენისადმი, რითაც ნაწარმოებს მეტი დამაჯერებლობა ენიჭება“<sup>1</sup> „იგი ჩამაფიქრებელია, შთამაგონებელია“ (ა. ჭილაია). როდესაც დავითის ისტორიკოსი აღწერს, როგორ შემოიკრიბა ყივჩაღნი და, „დაუდგინა რა მათ სპარსალარნი, თუ მმართველნი. გაილაშქრა სპარსეთს, შარვანსა და სომხითისა დიდისა“, მეფე იყო შეუღარებელი სპასპეტი და წინამძღოლი, „ახალი ალექსანდრე“, ამიტომ ჩართავს აღფრთოვანებული ავტორი „და ვინღამცა იყო წინამდგომი მისი და ანუ მიმმართი ომისა მის წინაშე?“<sup>2</sup>. შეკითხვის მეშვეობით რირიკულად „მოხსნილია“ აღნიშნულ ჰიპერბოლიზებულ დახასიათებასთან შემკამათებელიც. როდესაც ისტორიკოსი დავით მეფის სათნოებასა და ღვთისმოყვარეობაზე საუბრობს, მეტი დამაჯერებლობისათვის, რომ იგი ათი წლიდან მოყოლებული „რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა მიიღებდა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმენდილითა გონებითა უხრწნელთა ქრისტეს საიღუმლოთა თანამოწამებითა სვინდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლის მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა“<sup>3</sup>. და სვამს კითხვას: ლოცვასა და მარხვაზე რაღა საჭიროაო რაიმეს თქმა, რადგან ამას აკეთებდაო და, თუმცა აქ შეკითხვის ბოლოს კითხვის ნიშანი არ ზის, მაინც პოეტურ შეკითხვად მიგვაჩნია: „კვალად ლოცვისა და მარხვისათვის რადღა საკმარ არს თქმა, რომლისა იგი საქმარ ოდენ იყო“<sup>4</sup>.

გაოცებისა და ღვაწლის დაფასების გამომხატველია პოეტური შეკითხვა: „ვინ აღრიცხუნეს ტყვენი რომელნი მან

---

<sup>1</sup> „ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“, „ნაკადული“, თბილისი, 1966, გვ. 117

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ.1, სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 22

<sup>3</sup> იქვე, გვ. 352.

<sup>4</sup> იქვე

განათავისუფლნა და რომელნი უკუმოიხსნნა თვისთა ყივჩაყ-  
თაგან ფასითა! ვინ ჯეროვნად წარმოთქუნეს პატივის პყრო-  
ბანი მონაზონთანი, სიმდაბლით შემთხვევანი და მოკითხვანი  
და სიყვარულით შეწყნარებანი მათნი, თკითოეულისა ნიჭნი  
და საკმარნი, რომლითა უზრუნველ ყვნის ყოველთა საჭირო-  
თაგან“<sup>1</sup>.

პოეტურ შეკითხვით ცდილობს ავტორი მკითხველს,  
რომ დაანახოს, უსაქმურობით არაფერი კეთდება. იქვე კი  
თვით იძლევა პასუხს: „რათამცა ექმნნეს ესეოდენნი ძლევანი,  
ანუ რათამცა ექმნნეს და აღეხუნეს ესეოდენნი სამეფონი? ნუ  
უკუე ძილითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმუ-  
რობითა და განცხრობითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგო-  
მითა: არა, ესრეთ, არა!“<sup>2</sup>.

აღნიშნულ პოეტურ ფიგურაში დიდაქტიზმიც მოჩანს,  
რითაც ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი დავითის მიერ მი-  
ღწეულ საქმეთა მხოლოდ ღვაწლით მოპოვების აუცილებ-  
ლობაში.

ისტორიკოსი არ ერიდება სწორედ პოეტური შეკითხ-  
ვის მეშვეობით აჩვენოს, რატომ აღიქმება საიქიოს სამოთხე  
ღვთის ნების აღმსრულებელთათვის და საშინელებად ურჩისა  
და უღირსისათვის. და რომ მეფემ შეიძლება ადილოს ერთ-  
გულნი, ორგულთა ნაცვლად. აქ ავტორი იყენებს შედარე-  
ბასაც, რომ ამ უკანასკნელმა არ უნდა დააბრალოს სარკეს,  
არამედ საკუთარ თავს: „ანუ რასათვის ქადაგებულ არიან სა-  
მოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა –  
ურჩთა და უღირსთათვის? უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთ-  
ხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა და  
უღირსთა, ადიდნეს, რა უსამართლო ქმნა? ნუ უკუე ღუხ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 354

<sup>2</sup> იქვე, გვ. 358

ჭირმაცა აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე მისი ცხადად უჩუენოს!“<sup>1</sup>.

ნაწარმოების დასასრულთან ავტორი ისევ მიმართავს ბიბლიური წარმოშობის რიტორიკულ შეგონებას, მაგრამ შეკითხვის ფორმით: „ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგან მან შეკრიბა ყოველი სრულეზით თვითოეული, რომელ ყოველთათვის შეუძლებელ არს დაკვირვება ოდენ, არათუ მიბაძვება...“<sup>2</sup> ასეთ შეკითხვას იყენებს ავტორი დავით აღმაშენებლის როგორც ფიზიკური, ისე სულიერი დახასიათებისას, რომ იგი იყო „მაღალ უმაღლესთათვის“ და „მდაბალ უმდაბლესთათვის“.

არაიშვიათად ხმარობს დავითის ისტორიკოსი ბიბლიურ გამონათქვამს სოლომონისა („იცნის ქცეულებით ჟამთანი, აღსსნანი იგავთანი და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი“), რათა აჩვენოს რატომ შეეძლო დავითმა სამეფო კვერთხი „ესრეოდენ დამდაბლებული“, ესრეთ „მაღლად, ვითარ ვერვინ სხვამან?“ და ეს ყოველი იმისათვის, დავით მეფემ უფლის შიშით მოიგო და მოიმკო ნაყოფი „რომლითა ორკერძო ცხოვრება თვისი განაშუენა, რომლითა შემკუნა საქმენი თვისნი, რომლითა განაგნა კორციელნი და წარმართა სულიერნი“<sup>3</sup>

ანტონ დიდთან შედარებისას ისტორიკოსი, ახსენებს რა დავითის მიერ მოგებულ სათნოებათა, აღფრთოვანებით მიმართავს მკითხველს: „ნუ მეტყვი მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიღსენნეს!“<sup>4</sup>. ეს ერთგვარი შეცხადებაა ავტორისა დავითის ღვთისმოყვარეობასთან დაკავში-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 359-360

<sup>2</sup> იქვე, გვ. 361

<sup>3</sup> იქვე, გვ. 347

<sup>4</sup> იქვე, გვ. 352.

რებით. „პოეტური შეძახება ძირითადად ძახილის წინადადების ფორმით გამოიხატება და მიზნად ისახავს, უფრო მეტად იმოქმედოს ადამიანის განცდაზე, გააძლიეროს შთაბეჭდილება, მსმენელსა და მაყურებელს შეუცვალოს განწყობილება“<sup>1</sup>

მაგრამ აღმატებული შეძახება არის რიტორი ავტორის მიერ მკაცრად მიმართვა პირადად მკითხველისადმი, რომ დავითი თავის საქმეებს (რომელიც წინა აბზაცში არის ჩამოთვლილი თუ როგორი გულთამხილავი იყო, მომთმენი მეფე ქვეშევრდომთა მიმართ): „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ, რამეთუ არა თუ ცუდად რადმე და განსაკითხვად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად, ვიეთთათვისმე იქმოდის: ნუ იყოფინ ესე, წარვედ!“<sup>2</sup>

პოეტური მიმართვის დროს ყურადღება გადატანილია მიმართვის ობიექტზე, რომელიც შეიძლება იყოს, „როგორც კონკრეტული, ისე განწყენებული საგნები და მოვლენები“ („ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“). იგი ახლოს დგას პოეტურ შეძახებასთან, მაგრამ არა მთლად შეძახებაა, რისი ნიშნუმიცაა დავითის ისტორიკოსის პოეტური მიმართვა მეფის მეტაფორული დახასიათებისათვის: „ნუ უკვე და ლომსაცა აბრალონ ეგვევითართა, რამეთუ არა ციდადამტკაველურად იხედავს, არცა კუერნაულად კრთების“<sup>3</sup>

პოეტური ფიგურები, გამოყენებული უცნობი ავტორის საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. ჭეშმარიტი რიტორიკული ხელოვნების ნიშნუმიცაა და,

---

<sup>1</sup> ა. ჭილაია, „ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თსუ, 1971, თბილისი, გვ.349

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 355

<sup>3</sup> იქვე

არამცთუ აზუსტებს, ადასტურებს წინა აბზაცში გამოთქმულ შეხედულებებს დავით აღმაშენებლის როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი თვისებების გამოსაკვეთად, არამედ მკითხველთან მიმართვის მეშვეობით აფხიზლებს, აჯერებს და ჩააფიქრებს მას. ვფიქრობთ, იგი არამარტო პოეტური სინტაქსის გამოყენების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი მხატვრულ ტექსტში, არამედ ქართული რიტორიკული ხელოვნების წარმოჩენის კუთხით.

### **დამოწმებანი:**

ბეზარაშვილი ქეთევან „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „მეცნიერება“, თბილისი, 2004;

ქართული პროზა, III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982;

ქართული მწერლობა, 2, „ნაკადული“, თბილისი, 1987;

ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, „ნაკადული“, თბილისი, 1966;

ჭიალაია ა., „ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თსუ, 1971;

ჭიალაია რ., ლიტერატურათმცოდნეობა, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 2003;

კანდელაკი ნ., წერილები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1988;

კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თსუ, 1987;

კეკელიძე კ., ძველი ქართულის ლიტერატურის ისტორია, ტ. I, „მეცნიერება!“, თბილისი, 1980;

კეკელიძე კ., ძველი ქართულის ლიტერატურის ისტორია, ტ. II, „მეცნიერება!“, თბილისი, 1981;

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979;

„ქართლის ცხოვრება“, ტ.I, სახელგამი, 1955, თბილისი;

ი. ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. VIII, თსუ, თბილისი, 1977;

ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, თბილისი, 2012;

სულავა ნესტან, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ - ლიტერატურულ – ესთეტიკური ღირებულების განსაზღვრისათვის“, კრებულში „ანალები“, თბილისი, 2011, №7.

*Tamar Gogoladze*

*Gori State Teaching University*

**SOME POETIC FEATURES IN THE HISTORICAL  
TEXT "THE LIFE OF DAVIT, THE KING OF KINGS"  
RESUME**

The participation of the author in the fiction text is not almost seen, if we do not take into consideration the described facts or the desire to express his attitude to the character, which represents one of the forms of poetic syntax which is called poetic or rhetorical figure.

We focus on the poetic forms, such as the question of poetry, poetic address and poetic appeal as the goal of our research is their functionality in the historical text "The Life of King Davit"

Poetic figures, used in the historical novel "The Life of King Davit" by an unknown author, are the real samples of rhetorical art, which do not stipulate but confirms the views of David the Builder expressed in the previous paragraph, to

underline both physical and spiritual qualities of Davit Aghmashenebeli. It also awakes, ensures and makes the reader to think about it. We think it is important not only by using poetic syntax in a fiction text, but from the point of view of the history of Georgian rhetorical art.

*ოთარ გოგოლიშვილი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობა ბათუმის  
ოლქში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში**

რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიპყრო მთელი კავკასია. დაიწყო რუსული კოლონიური პოლიტიკის გატარება. ეს ძირითადად ნიშნავდა დაპყრობილი ხალხების ასიმილაციას. იმპერიის მიერ დაპყრობილ მუსლიმანურ რეგიონებში შეუდგნენ რუსული მართლმადიდებლური სამისიონერო პოლიტიკის განხორციელებას.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაერთიანებულმა რუს-ქართველთა ჯარმა, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერითა ხელშეწყობით, შეძლო აჭარის თურქეთის ხანგძლივი ბატონობისაგან განთავისუფლება და დედა-სამშობლოსთან მისი დაბრუნება. ახალშემოერთებული კუთხე და მისი მოსახლეობა მაშინვე მოექცა რუსული ეკლესიის, კერძოდ კი „კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოების“, ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია ერთი ფაქტი. კერძოდ, როდესაც რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი ბათუმში შემოვიდა, მას თან ახლდნენ როგორც რუსი, ასევე ქართველი ეროვნების საეკლესიო მოღვაწეები. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ქართველი საეკლესიო მოღვაწე დავით დუმბაძე. ბათუმში საზეიმოდ შემოსულ ჯარს საეკლესიო ზარების გუგუნით მიეგება წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია

და ამ ეკლესიის მრევლი. ეს იყო პირველი შემთხვევა ზარების რეკვისა, რადგან ადრე თურქები არ აძლევდნენ უფლებას ეკლესიებს ზარების დარეკვისა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ბათუმში გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა ბერძნული ეკლესიის წინამძღვარი ალექსი და დიდი შეფასება მისცა ამ ისტორიულ მოვლენას. ამასთან, მან დიდი სიყვარულით მოიხსენია დავით ღუმბაძე, რომელიც მანამდე რამოდენიმეჯერ იყო ბათუმში სამოქალაქო პიროვნების რანგში ნამყოფი. იგი ხვდებოდა ბერძნული და ბათუმში არსებული სხვა ეკლესიების წარმომადგენლებს და გებულობდა ბათუმში შექმნილ ვითარებას. ასევე იგი ინტერესდებოდა ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობით, ხვდებოდა ბათუმელ ქრისტიანებს და მათ ანუგეშებდა, ეუბნებოდა, რომ მალე ეს მხარე განთავისუფლდებოდა თურქთა ბატონობისაგან. ჩვენ ვიცოდით, რომ – განაგრძობს ალექსი – დავით ღუმბაძე ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოების წევრი იყო და მას ვაწვდიდით ინფორმაციებს ქრისტიანთა მდგომარეობის შესახებ. ალექსიმ თქვა, რომ ის დიდად მაღლობელი იქნებოდა თუ მღვდელი დავით ღუმბაძე სხვებთან ერთად დაჯილდოვდებოდა მედლით იმ თავდადებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ დიდი ისტორიული მოვლენის განხორციელების საქმეში.<sup>1</sup>

საინტერესოა ერთი ინფორმაცია, რომელსაც ახლადშემოერთებული მხარიდან მიაწოდეს რუსეთის იმპერიის წმინდა სინოდს. მოხსენება ეკუთვნის ბათუმში მოღვაწე საეკლესიო პირს ვლადისლავ მალცევს. იგი დათარიღებულია 1879 წლ-

---

<sup>1</sup> Государственный исторический архив в Санкт-Петербурге (ГИА СПб), Фонд Русско-Турецкая война 1877-1878 г.г., фонд 2011, оп. 14, д. 1123, лист. 19-26.

ის 18 აგვისტოთ. ეს მალცევი რუსეთის ჯარს შემოყოლია 1878 წლის 25 აგვისტოს და ქალაქში დარჩენილა, რათა შესწავლა მდგომარეობა და ეცნობებინა იმპერიის ცენტრისათვის. მალცევი წერს: „ბათუმი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან. მეორე წელია უკვე, რაც ამ ქალაქში ვიმყოფები და შევძელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქის შესწავლა. ბათუმში რამდენიმე ქრისტიანული ტაძარია, რომელთა შორის აღსანიშნავია წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური გრიგორიანული ეკლესია. ასევე დაიწყეს კიდევ ეკლესიების მშენებლობა. ამჟამად თითქმის დამთავრების პირასაა მისული კაზაკ პლასტუნთა ეკლესია, სამხედრო შტაბის ტერიტორიაზე მშენებარე ეკლესია. უნდა ითქვას, რომ ქრისტიანები თურქთა ბატონობის პერიოდში შევიწროვებულ მდგომარეობაში იყვნენ და ეს განპირობებული იყო რუსეთთან მომავალი ომით... ამჟამად მიმდინარეობს ადგილობრივი მაჰმადიანების თურქეთში მასიური გადასახლება და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ გადასახლებას გაგებით ეკიდებიან ადგილობრივი ბათუმელი ჩინოვნიკები. ეს კი ქმნის იმის საშუალებას, რომ უნდა შევძლოთ ამ მხარეში რუსეთიდან რაც შეიძლება მეტი ხალხის გადმოსახლება, რომელიც მოგვცემს საშუალებას ამ მხარეში ქრისტიანული მრწამსის გაძლიერებისათვის. ამისათვის წმინდა სინოდმა არ უნდა დაიშუროს არც თანხები და არც ძალისხმევა. კარგი იქნება, თუ ბევრ საეკლესიო მოღვაწეს გამოვგზავნით ამ მხარეში სამოღვაწეოდ. ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოებების საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნას წარმართული და მას ამ საქმეში წმინდა სინოდმა დიდად უნდა შეუწყოს ხელი. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ყოველ გადმოსახლებულ მოახალშენებს რაოდენობისდა მიხედვით თან წამოჰყვეს საეკლესიო პირები.

ეს უნდა გაკეთდეს არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ ბათუმის მხარეში, საიდანაც მაჰმადიანები წავიდნენ თურქეთში. იმედს გამოვთქვამ, რომ წმინდა სინოდი და ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოებები ყველაფერს გააკეთებენ ამ მხარის ქრისტიანულ მრწამსზე მოსაქცევად. ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობა ყოველნაირად გვიწყობს ხელს... რაც შეეხება ქართველთა მონღოლებას, რომ ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შეემალოს, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და ისინი დაიწყებენ ამ ახალშემოერთებულ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა. იმედი, რომ მოკლე ხანში ყველაფერი გაკეთდება ამ მხარეში რუსული მართლმადიდებლობა გაძლიერდეს და განმტკიცდეს”.<sup>1</sup> ამ მოხსენებაში შესანიშნავადაა მოცემული ის დამპყრობლური მიზნები, რომელიც ამოძრავებდა რუსულ იმპერიულ სახელმწიფო მანქანას და მის ხელშემწყობ რუსულ ეკლესიას.

1882 წელს ბათუმში რუსეთიდან ჩამოვიდა 200-მდე მოახალშენე. ისინი დაასახლეს ბათუმთან ახლოს მდებარე მიწებზე. ამ ჩამოსულებს თან ახლდა რამდენიმე მღვდელი. საყურადღებოა ერთი ინფორმაცია, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მიუვიდა 1883 წლის 12 თებერვალს: „ბათუმელი მოახალშენეები გთხოვთ დაგვეხმაროთ ეკლესიის მშენებლობის დასამთავრებლად თანხების მოზიდვაში. ჩვენ დავიწყეთ და თითქმის დამთავრების პირასაა მისული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. დაგვრჩა ცოტა რამ სამუშაოები, მაგრამ თანხა ამისათვის საკმარისი არა გვაქვს. ჩვენი მოძღვარი, მამა ივანე, ყველაფერს აკეთებს, რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს ეკლესიის მშენებლობა და რუს

---

<sup>1</sup> ГИА СПб, фонд 2011, оп. 14, д. 1123, лист. 55-59.

მოსახლეობას, რომელიც არც თუ ისე ცოტანი არიან, შესაძლებლობა მიეცეს თავის ეკლესიაში სალოცავად. თან ჩვენ ავითვისეთ ის მიწები, რომლებიც ცარიელი იყო. ასევე შევატყობინეთ ჩვენს ახლობლებსა და ნაცნობებს რუსეთში რაც შეიძლება სწრაფად გადმოსახლდნენ ამ მხარეში.”<sup>1</sup> ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ამ წერილს ასეთი რეზოლუცია დაადო: „დაუყონებლივ გამოჰყავით თანხები ეკლესიის დასამთავრებლად და მოსახლეობის კანონიერი თხოვნის დასაკმაყოფილებლად. იცოდეთ, თუ დროზე არ დამთავრდება ამ ეკლესიის მშენებლობა, ყველანი ამისათვის აგებთ პასუხს. ასევე შეისწავლეთ თავისუფალი მიწების რაოდენობა, რათა ზუსტად შევძლოთ ახალი ნაკადის რაოდენობის ჩამოყვანა და დასახლება”.<sup>2</sup> ამ რეზოლუციის შესრულება დაევალა ბათუ-ოლქის გუბერნატორის მოადგილეს, კანცელარიის თანამშრომლებს ნიკოლაევს, დავიდოვს და პოლიკარპოვს, რომელიც განაგებდა რუსეთიდან ჩამოსახლებული ხალხის თავისუფალ მიწებზე დასახლებას.

1887 წლის იანვარში ბათუმში ჩამოვიდნენ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების” წევრები პეტრე ბიკოვი, ხარიტონ ნიკიტინი, დიმიტრი ბოროვსკი, მათ თან ახლდნენ ქართველი საეკლესიო მოღვაწეები გრიგოლ სირაძე და გიორგი რამიშვილი. მათ შეისწავლეს ბათუმსა და მასთან ახლო მდებარე ტერიტორიებზე ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობა, დაადგინეს, თუ რამდენი ქრისტიანი ცხოვრობდა ბათუმში და მის ირგვლივ ტერიტორიაზე, როგორი იყო მათი დამოკიდებულება სხვა, განსაკუთრებით, მაჰმადიანური რელიგიის წარმომადგენლებთან, როგორ მიმდინარეობდა

---

<sup>1</sup> ГИА СПб, Фонд Кавказ 80-90-е годы XIX в., ф. 1089, о. 10, д. 877, л.201-205.

<sup>2</sup> ГИА СПб, ф. 1089, оп. 10, д. 877, л. 220-223.

ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა და ა. შ. 1887 წლის 24 დეკემბერს მათ წერილი გაუგზავნეს საზოგადოებას, რომელშიც მიმოხილული იყო ბათუმსა და მის ახლომდებარე ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობა. ამ წერილში ისინი მიუთითებდნენ, ბათუმში ხმა დაირხაო, რომ აქ მომავალ წელს აპირებს ჩამოსვლას რუსეთის იმპერატორი და აქაურ მოსახლეობას აქვს განზრახული მისთვის თხოვნის გადაცემა ბათუმში გრანდიოზული ეკლესიის აშენების თაობაზე.<sup>1</sup>

მართლაც, 1888 წლის სექტემბერში ბათუმში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე. მას დიდებული შეხვედრა მოუწვევს. ბათუმის საზოგადოებამ, საეკლესიო მოღვაწეებმა მას გადასცეს თხოვნა იმაზედ, რომ რუსული იარაღის სადიდებლად და რუსული მართლმადიდებლობის გაძლიერება-განსამტკიცებლად, რუსეთის იმპერიის სადიდებლად აქ აშენებულიყო გრანდიოზული ტაძარი, რომელიც იქნებოდა რუსეთის სიმბოლო, მთელ მსოფლიოში რუსული იარაღის ბრწყინვალეობა და სიძლიერე. რუსეთის იმპერატორმა არა თუ შეისმინა ეს თხოვნა, არამედ აღფრთოვანება გამოხატა ამ თხოვნისადმი და დაპირდა, რომ ის თვითონ აიყვანდა კონტროლზე და უახლოეს ხანში მოაგვარებდა ბათუმში ეკლესიის აშენების საკითხს. ეკლესიის მშენებლობა გარძელდა რამდენიმე წელს (დასრულდა 1906 წელს). ტაძარი აკურთხეს ალექსანდრე ნეველის სახელზე და იგი აშენდა ბათუმის ოლქის ქართველთა გარუსების მიზნით. ამ ფაქტის გამოხატულება იყო თუნდაც ჯერ აქ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვა, ხოლო შემდეგ თვით ეკლესიის გადაცემა სამხედრო უწყებისათვის.

---

<sup>1</sup> ГИА СПб, ф. 1089, оп. 10, д. 877, л. 230-232.

1888 წელს, საქართველოს ეგზარხოზის პალადის განკარგულებით, ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების ნაშთების არსებობის გამოსარკვევად, ბათუმ-ართვინის ოკრუგებში იმოგზაურა არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ (მოგვიანებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი). იგი მოსახლეობაში საინტერესო ფაქტის მოწმე გახდა. პალადის სახელზე დაწერა კიდევ, რომ ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, მოსახლეობა ჩუმიად ლოცულობს, საიდუმლოდ იცავს და ასრულებს შეძლებისდაგვარად ქრისტიანულ დღესასწაულებს, არ ივიწყებს მამაპაპურ ადათ-წესებსაც. სწორედ ეს გახდა საფუძველი ამბროსი ხელაიას აღენიშნა, რომ, თუ ჩვენ გონივრულად ვიმუშავებთ, ყველაფერს გავაკეთებთ მიზანმიმართულად და წინდახედულად, არ გამოვიყენებთ დაძალებას, არამედ ვიმუშავებთ დარწმუნების გზით, შევძლებთ ახსნა-განმარტებას, ვისაუბრებთ ჩვენს წარსულზე ჭკვიანურად და დამაჯერებლად, მაშინ დარწმუნებული ვარ, მაჰმადიანი ქართველების მობრუნება თავისი წინაპრების სარწმუნოებაზე არ იქნება ძნელი საქმეო.

ამბროსი ხელაიას მოგზაურობამ დააჩქარა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ გურია-აჭარის ფილიალის შექმნა 1889 წელს. მას სათავეში ჩაუდგა „განსაკუთრებული კომიტეტი“, რომელშიც შევიდნენ: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ერისთავი, გენერალ-მაიორი გრიგოლ გურიელი, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე ლორთქიფანიძე, არქიმანდრიტი ბენიამინი და ამბროსი, ბათუმის ეკლესიის დეკანოზი სიმონ ქიქოძე და იონა მეუნარგია.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა აღნიშნული განყოფილებისადმი. თვლიდა, რომ მას უნდა

ებრძოლა მაჰმადიანი მოსახლეობის კულტურული აღორძინებისა და ამით ეროვნული ერთიანობის აღდგენა-განმტკიცებისათვის. ამ სურვილს აძლიერებდა ისიც, რომ კომიტეტის შემადგენლობა ქართველებით დაკომლექტდა. ამასთან გრიგოლ გურიელს შემოერთებულ მხარეში დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა, ხოლო თავად ამ რეგიონის მოსახლეობა, მაჰმადიანობის მიუხედავად, უაღრესად ტოლერანტულად იყო განწყობილი ქრისტიანობისადმი.

განყოფილების საქმიანობის შესახებ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს 1890 წლის 21 თებერვლის სხდომა, რომლის თითქმის ყველა მონაწილე ამ ორგანოს დაარსებას საჭირო და დროულ საქმედ თვლიდა. ამავე დროს ისინი ფრთხილ და წინდახედულ მოქმედებას მოითხოვდნენ. მათ არც ის თავისებურება რჩებოდათ გაუთვალისწინებელი, რომ თურქთა მიერ მიტაცებული ქართული რეგიონებიდან აჭარამ ყველაზე კარგად შემოინახა და შეინარჩუნა ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, მაგრამ ერთბაშად მამაპაპურ რჯულზე დაბრუნება, მაინც ძნელი იქნებოდა, თანაც გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეეძლო საქმე გაერთულებინა. ამიტომ სხდომამ სავსებით სწორად გადაწყვიტა დროებით უარი ეთქვა სამისიონერო პროგრამის განხორციელებაზე და წინა პლანზე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი წამოეწია. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ სხდომამ დაადგინა, რომ ბათუმისა და ართვინის ოლქებში გაეგზავნათ ორ-ორი წარმომადგენელი (ერთი სასულიერო და ერთი საერო), რომლებიც ადგილზე შეისწავლიდნენ წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით: 1. აღეწერათ ყველა ქრისტიანული ძეგლი, რომელიც სამოღვაწეო ადგილებში იყო და აღერიცხათ ის ეკლესიები, ტაძრები და მონასტრები, რომელთა აღდგენა შეუძლებოდა; 2. მიეთითებინათ ის დასახლებული ადგილები, სადაც შესაძლე-

ბელი და აუცილებელი იყო სკოლების გახსნა; 3. განესაზღვრათ ის პუნქტები, სადაც მოსახლეობა მისიონერებს კეთილად მიიღებდა; 4. შეესწავლათ თავიანთ სამოღვაწეო რეგიონში თუ რამდენად შემორჩა ძველი ქრისტიანული ადათ-ჩვევები.<sup>1</sup>

ამ დადგენილების საფუძველზე, 1890 წლის ივნის-ივლისში აღნიშნულ ოლქებში იმოგზაურეს ოზურგეთის მაზრის მღვდელმა ექვთიმე თალაკვაძემ და გურია-სამეგრელოს სამისიონერო განყოფილების წევრმა იონა მეუნარგიამ. ჟურნალი „მწყემსი“ წერდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მათ ყველგან სიხარულით ხვდებოდა. ერთ საზოგადოებაში კი იმდენად დიდი პატივი მიაგეს, რომ, რადგან ხეირიანი ბინა არ ჰქონდათ, მასპინძლებმა ღამე სტუმრებს მეჩეთში გაათევინეს.<sup>2</sup>

სამისიონერო საზოგადოების საქმიანობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის პეტერბურგელი მწერალი და პუბლიცისტი ნიკოლოზ ლენდერი, რომელიც ორჯერ, 1892 და 1894 წლებში იმყოფებოდა ბათუმში. ნიკოლოზ ლენდერი აღნიშნავს, რომ ბათუმში და მთლიანად ბათუმის ოლქში მიმდინარეობს რუსული სახელისუფლო სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესი მიმდინარეობს უხეშად. არ ითვალისწინებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მაჰმადიანი

---

<sup>1</sup> წვერავა ვ., აჭარაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის შრომების კრებული „საისტორიო მაცნე“, № XI, 2000, 34.

<sup>2</sup> წვერავა ვ., აჭარაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიისათვის, კრებული „საისტორიო მაცნე“, № XI, 2000, 35.

სასწრაფოდ წავიდეს ბათუმიდან და მისი ოლქიდან. მათ ადგილზე სურთ ჩამოსახლონ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსახლეობა და ამით ძლიერი დასაყრდენი შეიქმნან. ამ პროცესში ჩაბმულია რუსული ეკლესია. ჩემთან საუბარში – განაგრძობს ლენდერი – კაზაკთა პლასტუნთა ბატალიონის ეკლესიის მღვდელმა, მამა ივანე პოტაპოვმა აღნიშნა, რომ ეკლესია ცდილობს ბათუმში და მის ოლქში გაძლიერდეს რუსული მართლმადიდებლური სული და ამ მიზნით ის და ბათუმში არსებული სამისიონერო საზოგადოების წევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ. განსაკუთრებით აქტიურობენ ამ საქმიანობაში რუსეთიდან ბათუმში მოვლენილი საეკლესიო პირები: სერგეი რომანცევი, პეტრე ივანოვი, მირონ ფედოტოვი და სხვები. ისინი ხშირად დადიან ბათუმის უბნებში და მოსახლეობასთან ატარებენ ახსნა-განმარტებით სამუშაოებს. ამის შედეგად ბევრი მოსახლე ჩვენს რელიგიაზე გადმოდის. ასე მაგალითად, კაზაკთა პლასტუნთა ბატალიონის ეკლესიის მრევლს შეემატა ადგილობრივი ქართველები, რომლებიც მონათლნენ რუსულ მართლმადიდებლურად და ესწრებიან ეკლესიაში გამართულ წირვა-ლოცვებს. ასევე ხდება სხვა ეკლესიებშიც. რაც შეეხება იმას, რომ მუსლიმანები აქედან მიდიან მუჰაჯირად თურქეთში, ამას ჩვენ მივესალმებით, რადგან მათგან გამოთავისუფლებულ ადგილებზე, რუსეთიდან მთავრობას შემოჰყავს დიდძალი მოსახლეობა. ამით კიდევ უფრო გაძლიერდება რუსული მართლმადიდებლური სული ბათუმის ოლქში და ამასთანავე მთავრობას შეექმნება მყარი პოზიცია. ლენდერი შემდეგ აღნიშნავს, რომ პოტაპოვმა ისიც აღნიშნა, რომ ჩვენს სამისიონერო საქმიანობაში ქართველი საეკლესიო მოღვაწეებიც გვყავს ჩაბმული, მაგრამ მათთან მუშაობაში სიფრთხილეს ვიჩენთ, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და მათმა პროპაგანდამ შეიძლება ჩვენს

საქმეს აენოს, თუმცა, ვცდილობთ, კონტროლზე ავიყვანოთ მათი სამისიონერო საქმიანობაო. ნიკოლოზ ლენდერი გაკვირვებული აღნიშნავს, რომ ასეთი აზრების მოსმენა სახელმწიფო ჩინოვნიკისგან მას არ გაუკვირდებოდა, მაგრამ საეკლესიო მოღვაწისაგან კი მსგავსი მოსაზრებების მოსმენა განსაცვიფრებელიაო.<sup>1</sup>

რაც შეეხება სამისიონერო საზოგადოების წევრებს ექ. თალაკვაძესა და ი. მეუნარგიას, მათი მოგზაურობის შემდეგი ადგილი გახლდათ სოფელი ზემოხინო. მათ დაათვალიერეს ხინოწმინდის ძველი საკრებულოს ტაძრის ნანგრევები. აქ ექ. თალაკვაძემ სოფლის მაჰმადიანი მოსახლეობის თანდასწრებით შეასრულა პარაკლისი, აქედან ისინი გაემგზავნენ სხვა სოფლებსაკენ, შემდეგ კი გადავიდნენ ართვინის მხარეში, სადაც მონახულეს შემორჩენილი ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლები. ყველა ძველ ტაძარში მღვდელი თალაკვაძე იხდიდა სამადლობელ პარაკლისებს, რომლებსაც მრავალი მაჰმადიანი ესწრებოდა.

ქართველი მღვდელმსახურების და საერთოდ ქართველი საზოგადოებისა და კომიტეტის გეგმაზომიერი და საზრიანი მოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული აღორძინების ვრცელი პროგრამის შემუშავება: 1. დაწყებითი სკოლების გახსნა ქობულეთში, ხულოში, ქედაში, მარადიდსა და მურღულში. განათლების შეტანა ხელს შეუწყობდა ხალხში მივიწყებული ეროვნული კულტურის აღორძინებას, 2. სამკურნალო დაწესებულებების გახსნა ტბეთის ცნობილ ტაძართან და ქედაში. 3. აღნიშნულ ადგილებში სასულიერო პირთა გაგზავნა, რომლებიც მედიცინაში იყვნენ გათვიცნობიერებული და ხელსაყრელ პი-

---

<sup>1</sup> Лендер Н., Кавказ и Черное море, СПб, 1897, стр. 21.

რობებში ძველ ტაძრებსა და ოჯახებშიც საეკლესიო რიტუალებს განახორციელებდნენ.

საქართველოს ეგზარქოსმა, რომელიც ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა, ამ ფაქტში რუსეთის გეგმების ხელყოფა დაინახა და ქართველი მისიონერები აჭარიდან გაიწვია, მათ ადგილზე კი გაამწესა ბერძენი და რუსი სასულიერო პირები, თუმცა მათი სამრევლოები აქ არ იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ აქამდე მღვდლებისა და მისიონერების დანიშვნა ამ რეგიონში იმერეთის ეპისკოპოსის ფუნქციებში შედიოდა. ეგზარქოსმა ეს უფლება მას ჩამოართვა და მიითვისა კიდევ მეტი, ხოლო ბათუმის ოლქის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ – ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა საქართველოს ეგზარქოს მოსთხოვა, რომ ბათუმიდან სხვაგან გადაეყვანა მღვდლები ლუკა ხუნდაძე და დავით ახვლედიანი, რადგან ისინი ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში ნაციონალისტურ იდეებს ქადაგებდნენ და სახიფათონი იყვნენ ხელისუფლებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საზოგადოება საერთოდ ატარებდა ცარიზმის პოლიტიკას და სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა, მისმა აჭარის განყოფილებამ მაინც დადებითი როლი შეასრულა. საზოგადოება თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით გეგმავდა ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული სულისკვეთების აღორძინება-განმტკიცებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამის იქით ბათუმის სამისიონერო განყოფილების მოღვაწეობა არ წასულა, რადგან რუსული დიდმპყრობელური სახელმწიფო შეგნებულად აბრკოლებდა აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის თვითგამორკვევას და ცდილობდა ყოველნაირად შეეშალა ხელი ქართველი თანამოძმეების ერთიანობისათვის და ყველაფერი დაეტოვებინა უცვლელად მანამ, სანამ არ მოხდებოდა ადგილობრივი მოსა-

ხლეობის ასიმილაცია რუსულ იმპერიულ მანქანასთან. ეგ-ზარქოსი პალატი ცდილობდა მისიონერულ საქმიანობისათვის ჩამოეშორებინათ ქართველი მღვდელმსახურები, რადგან ის კარგად ხედავდა, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა ქართველ თანამომძეებს კარგად ზედებოდა და ამაში ის მომავლისათვის სახიფათო მოვლენას ხედავდა. პალატი ამბობდა, რომ სამისიონერო საქმიანობის სულისჩამდგმელი, ბათუმის ოკრუგის უფროსი თავადი გურიელი გარდაიცვალა, თავადი ერისთავი, რომელიც მისიონერებს ყოველნაირად ხელს უწყობდა, თანამდებობიდან გადადგა, ხოლო სხვა წევრები ბათუმში არ ცხოვრობენო.

სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ბათუმის ოლქში ქართველთა სამისიონერო საქმიანობა დიდხანს შეფერხდა, თუმცა საბოლოოდ მისი აღმოფხვრა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები შემდეგშიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ახლად შემოერთებულ აჭარაში აღორძინებულიყო ქართული მართლმადიდებლური სული. ამას კი ისინი ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის დახმარებით კიდევაც ახერხებდნენ.

### **დამოწმებანი:**

წვერავა ვ., აჭარაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის შრომების კრებული „საისტორიო მაცნე“, №XI, 2000.

Государственный исторический архив в Санкт-Петербурге, Фонд Русско-Турецкая война 1877-1878 г.г.

Государственный исторический архив в Санкт-Петербурге, Фонд Кавказ 80-90-е годы XIX в.

Лендер Н. Кавказ и Черное море, СПб, 1897.

*Otar Gogolishvili*

*Batumi Shota Rustaveli State University*

**THE ACTIVITY OF THE CHRISTIAN SOCIETY FOR  
THE RESTORATION OF THE CHRISTIANITY IN THE  
BATUMI DISTRICT IN THE 80-90<sup>TH</sup> OF THE XIX  
CENTURY  
RESUME**

In the 1877-1878 years the war broke between Russia and Turkey. As a result, Adjara returned to the Mother-Georgia. This region and its population immediately occurred under the attention of the “Christian Society”. The members of this society traveled through the whole territory of the Batumi District with the aim of spreading the Christianity in Adjara but the Russian Empire considered the activity of the Georgian members of the “Christian Society” as dangerous for the interests of the Russian Empire and banned its activity.

**ოდიშის სამთავროს მიერ რუსეთის იმპერიისათვის  
სამურზაყანოს გადაცემის ისტორიიდან**

„ჟამსა ამას ჰფლობდნენ აფხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ და ბექირ-ბეგ. ამათ შეიკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუხუა და მაზუმაი და ამასთან აფხაზეთი და წარმოემართენ დადიანსა ზედა. განუდგენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ წოდებული, და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა. მცნობმან ამისმან დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზედა ეგურისასა“, - აღნიშნავს ნიკო დადიანი.<sup>1</sup> ესაა ქართულ ისტორიულ წყაროებში სამურზაყანოს პირველი მოხსენიება. ხოლო ჩვენთვის საკვლევ საკითხს, რუსეთისადმი სამურზაყანოს გადაცემას, ვფიქრობთ, წინ უძღოდა ის ურთულესი და მტკივნეული მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVI-XVII საუკუნეებიდან დაწყებული საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე ეთნო-კონფლიქტური პროცესები, რასაც

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962, 180; მსჯელობისათვის იხ. ზორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 132; კვამლავაკ., სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა-1840 წელი. თბ., 2011, 97.

მოჰყვა: 1. კავკასიელ მთიელთა ინტენსიური ჩამოსახლება აღნიშნულ ტერიტორიაზე; 2. ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან მათი შერევა და ასეთი შერევის საფუძველზე აფხაზური ეთნოსის ჩამოყალიბება. რაც შეეხება წინარე აფხაზეთს, იგი ყოველთვის კოლხეთ-ვეგრისის, ქართლისა და სრულიად საქართველოს ორგანული ნაწილი იყო. ამაზე მეტყველებს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ ლეონტი მროველის თხზულებაც, სადაც ვკითხულობთ, რომ თარგამოსმა თავის შვილს „ხოლო ვეროსს მისცა ქვეყანაი ზღვის ყურისაი დაუჩინა საზღვარი: აღმოსავლით - მთაი მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით - ზღუაი; მდინარე მცირისა ხაზარეთისაი, სადა წარსწუდების წუერი კავკასიისას. ხოლო ამან ვეროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ვერისი. აწ მას ადგილსა ჰქვან ბელია“.<sup>1</sup> აღსანიშნავია ჯუანშერის ცნობა მურვან-ყრუს ლაშქრობათა შესახებ, სადაც აფხაზეთის სამეფო 735 წელს უკვე საქართველოს ეკუთვნის. როცა არაბებმა აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრეს, ისინი გაემართნენ დასავლეთ საქართველოსაკენ, გადალახეს კლისურის კედელი, „შემუსრა ქალაქი აფშილეთისაი ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა“<sup>2</sup>. ანაკოფიაში იმყოფებოდნენ ქართლის ერისმთავარი არჩილი და მისი ძმა მირი, ხოლო ციხე სობლისს, რომლის აღებაც არაბებმა ვერ მოახერხეს, იცავდა აფხაზთა ერისთავი ლეონ<sup>3</sup>. მურვან ყრუსაგან დევნილი ძმები თავშესაფარს პოულობენ ცხუმში. ეს მიმანიშნებელია იმისა, რომ „აფხაზეთი საქართველოს კუთვნილება

---

<sup>1</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. „ქართლის ცხოვრება“, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2008, 26

<sup>2</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, „ქართლის ცხოვრება“, 2008, 236.

<sup>3</sup> იქვე, 236.

რომ არ ყოფილიყო, ის ქართლის მეფეთა საიმედო თავშესაფარი არ იქნებოდა... ჩანს აფხაზეთის ცენტრი ანაკოფია ქართველ მეფეთათვის ისეთივე საკუთრება იყო, როგორც საკუთარი ქვეყნის სხვა ნებისმიერი ციხე<sup>1</sup>. აფხაზეთი იყო წმინდა ქართული ადგილ-სამყოფელი, სადაც გრიგოლ ხანძთელს აფხაზთა მეფე თანხმდება აღაშენოს მონასტერი. უფრო მეტიც, იგი IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ცენტრს წარმოადგენდა. ხოლო როცა ბაგრატ III მეფედ აკურთხეს, იგი იწოდა აფხაზთა და ქართველთა მეფედ (აფხაზეთში იგულისხმებოდა მთელი დასავლეთ საქართველო). ბაგრატიონების სამეფო ტიტულატურის ჩამონათვალში პირველი ადგილი სწორედ „აფხაზთა მეფეს“ ეკავა. „აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ის, რომ მონღოლ-თათართა თუ, უფრო მოგვიანებით, თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად დასუსტდა, რასაც მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელი ტომების გააქტიურება, ადიღე-ჩერქეზების და თურქ-ოსმალების თანდათანობით ჩამოწოლა, რომელსაც უმძიმესად მტკივნეული და დამანგრეველი ხასიათი ჰქონდა. ისინი ჩვენი ქვეყნის ნაყოფიერ მიწა-წყალს ეუფლებოდნენ: „ასე წარმოიშვა „ახალი აფხაზეთი“, რომლის მკვიდრი მოსახლე ქართველობა (ძირითადად მეგრელობა) მოსულმა აფსუებმა (ძირითადად აბაზებმა) გააქციეს ან გაააფსუეს... ასე წარმოიშვა მაჰმადიანური აფხა-

---

<sup>1</sup> ვასვანი გ., აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998, 35.

<sup>2</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები. დ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1990, 608.

ზეთი, რომელიც თურქეთის შემდეგ რუსეთის ქვეშევრდომი სტრატეგიული პუნქტი გახდა“<sup>1</sup>.

XVII საუკუნის შუა ხანებში ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) ააგო აფხაზეთსა და მის სამფლობელოს შორის კელასურის კედელი. ოდიშის ყოველი თავადი და ეპისკოპოსი ვალდებული იყო, ერთი თვე თავისი რაზმით დაეცვა აფხაზეთის საზღვარი.<sup>2</sup> ამ ღონისძიებამ ცოტაოდენი შედეგი გამოიღო, მაგრამ წარმართი აფხაზები ძალზე აქტიურობდნენ და როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, დაკავებულ ტერიტორიაზე საგულდაგულოდ „დაეშენებოდნენ“. საბედისწერო აღმოჩნდა ასეთ ვითარებაში ლევან III დადიანის გარდაცვალება 1681 წელს. ტახტის მემკვიდრე დადიანი მანუჩარი ამ დროს მძევლად ჰყავდა გურიის მთავარს - გიორგი III გურიელს. გურიელი ოცნებობდა რა ოდიშის დაკავებაზე, მოკლა მანუჩარი და ოდიშის დასაკავებლად მოაწყო ლაშქრობა, მაგრამ სისხლით დატვირთული გურიელი არ ინდომეს მთავრად ოდიშელებმა და იგი „სამთავროში არ შეუშვეს“<sup>3</sup>. ასეთ უმძიმეს ვითარებაში, როგორც ვახუშტი გვაწვდის ცნობას: „ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავ და გამგე მათი“<sup>4</sup>.

ასეთ ვითარებაში ისარგებლა აფხაზთა მთავრის – საუსტან შარვაშიძის ვაჟმა სავარენმა და ოდიშში შევიდა, თავი მთავრად გამოაცხადა და მიიტაცა ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი. „როგორც ჩანს სორენს რაღაც ლეგიტიმური უფლებაც ჰქონდა ოდიშის ტახტზე, საფიქრებელია, და ყვე-

---

<sup>1</sup> გასვიანი გ., აფხაზეთი, 45.

<sup>2</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, 188.

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, 844.

<sup>4</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 845.

ლაზე უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ დედა ჰყავდა ოდიშის სამთავროს სახლიდან<sup>1</sup>. სორეხის გაბატონების პერიოდში გარდაიცვალა კაცია ჩიქვანი, ოდიშის გამგებელი კი გახდა მისი შვილი გიორგი, რომელიც ლიპარტიანად იწოდებოდა. გიორგი ლიპარტიანმა გიორგი გურიელის და სორეხ შერვაშიძის დასათრგუნავად გადაწყვიტა, ოდიშის ტახტზე აეყვანა ახალციხის საფაშოში მყოფი ლევან III დადიანის უკანონო შვილი ლევან IV დადიანი (1683 -1691 წწ.), რომელიც ოდიშის ტახტს დაეუფლა. თუმცა სამთავროს ისევ ლიპარტიანი განაგებდა. სორეხის ზემოთ აღნიშნული ქმედების მიუხედავად მის მიერ დაკავებული ტერიტორია არ ითვლებოდა აფხაზეთის ნაწილად. ის თავის თავს სამეგრელოს მთავარს უწოდებდა და აფხაზეთის მთავართან (სორეხის ბიძა ზეგნაყ შერვაშიძე) დიდ წინააღმდეგობაში იყო. სორეხსა და ზეგნაყს შორის ცილობა იმით დასრულდა, რომ 1685 წლის 10 აპრილს აფხაზები თავს დაესხნენ სორეხის სამფლობელოს და „მხოლოდ სორეხ შარვაშიძის სიკვდილის შემდეგ შეუერთდა ეს მხარე აფხაზთა სამთავროს“<sup>2</sup>.

მას შემდეგ, რაც ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად, ანუ სადადიანო ოდიშის ნაწილს - ცხუმის საერისთავოს აფხაზეთის მთავარი ეუფლება, და იგი მდ. კოდორიდან ენგურამდე ტერიტორიებსაც იკავებს. XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის მთავრის - ზეგნაყ შერვაშიძის შვილებმა: როსტომმა, ჯიქეშიამ და ყვაკუმ აფხაზეთის სამფლობელო მიტაცებული მიწაწყლიანად სამ ნაწილად დაიყვეს: „უფროს შვილს როსტომს ერგო მდინარეებს - ბზიფსა და კოდორს შორის ტერიტორია

---

<sup>1</sup> ხორავა ბ., სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები. წგნ.: „აფხაზეთის სამთავროს გაუქმება“, თბ., 2011, 164.

<sup>2</sup> ხორავა ბ., სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები, 165.

და აფხაზთა მთავრის ტიტული; შუათანა ძმამ, ჯიქეშიამ - მღ. კოდორსა და მღ. ლალიძგას შორის მღებარე მიწები, რომელსაც შემდეგ აბჟუა (აფხ. შუა ნაწილი) ეწოდა; უმცროსმა, ყვაპუმ - მღ. ლალიძგასა და მღ. ენგურს შორის მღებარე მიწები, რომელსაც მოგვიანებით ყვაპუს მემკვიდრის, მურზაყანის სახელის მიხედვით სამურზაყანო ეწოდა<sup>1</sup>. სამურზაყანოს ტერიტორიაზე ყვაპუს დაუმკვიდრებია სოფლები: ბედია, ფახულანი, ბარბალო და აქ მოსახლეობა ძირითადად ქართული ყოფილა.

აღსანიშნავია ისტორიკოს კ. კვაშილავას კვლევა სამურზაყანოსთან დაკავშირებით. „XVII- XVIII სს. მიჯნაზე ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში ოდიშისაგან მიტაცებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის სამთავროს ფარგლებში ჩამოყალიბდა საუფლისწულო სამფლობელო სამურზაყანო, რომელსაც შარვაშიძეთა გვერდითი შტო ჩაუდგა სათავეში არ არსებობს ისტორიული საბუთი, რომელიც ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში აფხაზი ხალხის წინაპართა მოსახლეობას დაადასტურებდა XVII ს-ის II ნახევრამდე“...<sup>2</sup>. აფხაზი მოსახლეობის ნაწილი აქ მოვიდა ბზიფის აფხაზეთიდან, ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან, ჩერქეზეთიდან, - აღნიშნავს კ. კვაშილავა. სწორედ ამ დროიდან იწყება მათი ჩამოსახლება ლალიძგა-ენგურის შუამდინარეთში. კ. კვაშილავას მიაჩნია, რომ სორეხ და ყვაპუ შარვაშიძეები იყვნენ „ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ორგანული ნაწილი, მაგრამ ლალიძგა-ენგურის სექტორის ქართული მოსახლეობის მიმართ გარკვეულ აგრესიულობას მაინც ამჟღავნებდნენ. ამის მიზანი კი ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და გამოთავისუფლებულ მიწაზე აფხაზეთის სამთავროში (კერძოდ, მის ჩრდილო-დასავ-

---

<sup>1</sup> ხორავა ბ., სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები, 165.

<sup>2</sup> კვაშილავა კ., ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, 99.

ლეთ ნაწილში) ჩრდილო კავკასიელთა ჩამოსახლების შედეგად გაჩენილი ჭარბი მოსახლეობის საცხოვრებლად განთავსება იყო“.<sup>1</sup>

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გვაცნობებს, გიორგი IV დადიანმა (1701- 1709, 1710 – 1714 წწ.) (1701 წლიდან ჩიქვანთა საგვარეულო გადადიანდა, რომელიც სამეგრელოს სამთავროს 1857 წლამდე მართავდა) დახმარებისათვის მიმართა იმერეთის ფაქტობრივ გამგებელს - გიორგი აბაშიძეს და დახმარება სთხოვა, რადგან აფხაზები აოხრებდნენ ოდიშს „კლვითა და ტყუებითა“<sup>2</sup>. აბაშიძემაც გაუწია დახმარება და დაამარცხა შარვაშიძე. შარვაშიძე იძულებული გახდა დაეთმო ენგურსა და ღალიძგას შორის არსებული მიწა-წყალი ოდიშის მთავრისადმი. აქ, ამ მხარის გამგებლად შარვაშიძეები დარჩნენ, რომლებიც აღიარებდნენ ოდიშის მთავრის ხელისუფლებას. ეს მხარე პოლიტიკურად და ეკლესიურადაც ოდიშის შემადგენელი ნაწილი იყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ როცა ყვაპუ გარდაიცვალა, კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე გელათიდან ჩამოვიდა და ნიშანი აიღო (ნიშანში იგულისხმება ერთდროული გადასახადი, გარდაცვლილის პირადი ნივთები, იარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული ეკლესიისათვის და ა. შ.). შარვაშიძეთა მემკვიდრე მურზაყანს ეს მხარე, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევრიდან იწოდებოდა „ზემო აფხაზეთად“ და „სამურზაყანო აფხაზეთად“, აუღორძინებია და მისი სახელი უწოდებიათ ამ მხარისათვის. მურზაყან შარვაშიძის შვილია ხუტუნია შერვაშიძე, რომელმაც 1757 წელს 14 დეკემბერს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში 16 თურქი აკაფა და ბრძოლის ველზე დაეცა. „...და შეერთებულნი მეფე და კაცია დადიანის ძე მიუხთენ ხრე-

<sup>1</sup> კვაშილავა კ., ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, 100.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 862-863.

სილს მყოფს ოსმალთა განდიდებულთა მხედრობათა და შეიქმნა ბრძოლა სასტიკი, სადა მამაცად ბრძოდენ მენგრელნი და ლეჩხუმელნი და განსდრიკნეს თათარნი... გარნა ძე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათგან მხლე მისი შარვაშიძე ხუტუნია მოჰკლეს ბრძოლასა ამას შინა, რომელმანცა სამაგალითოდ წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა თექვსმეტი ოსმალნი და შემდგომად ოსმალთ რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია.<sup>1</sup> ხუტუნია შარვაშიძეს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი - ლევანი და სოლომონი. ხუტუნიას გარდაცვალების შემდეგ სამურზაყანოს მმართველობა უფროს შვილს - ლევანს ზედა წილად. მათ გაიყვეს საგამგებლო ტერიტორიები. მაგალითად, ლევანს წილად ზედა სოფელი ბეღია, სოლომონს - სოფელი ბარბალო, რაც შეეხება მესამე სოფელს - ფახულანს, იგი არც ერთის საკუთრებაში არ შესულა. ის იყო სამურზაყანოს მმართველის საზაფხულო რეზიდენცია. რადგან მმართველი ლევანი იყო, ბუნებრივია, რომ ამ სოფელს ამ მომენტში ის ფლობდა. „სოფელი ფახულანი დათენილა... მფლობელობასა ქვეშე უხუცესის ძმისა ლეონისას ვითარცა სამურზაყანოისა მთავრობის საზაფხულო“<sup>2</sup>.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ვითარებაში გამოიკვეთა ლევანის აქტიური როლი, რაც აშკარად ჩანს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების წარმართვაში. იგი კარგად გრძნობს რა აფხაზეთს მთავრის - ზურაბ შარვაშიძის შესუსტებულ გავლენას აფხაზეთის სამთავროზე, ცდილობს აფხაზეთში თავისი პოლიტიკური გავლენის გაზრდას. 1771 წელს ოდიშის ლაშქრის შემადგენ-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 178

<sup>2</sup> ჭიჭინაძე თ., საქართველოს ისტორიის მასალა, სიგელი. ჟურნ. „კვალი“, №20, 1897, 394

ლობაში ფოთთან ოსმალთა წინააღმდეგ თავისი რაზმით სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც იბრძოდა, თუმცა იგივე ლევანი აფხაზთა მთავარს ზურაბ შერვაშიძესაც ეხმარებოდა სოხუმის ციხიდან ოსმალთა განდევნაში. ამბობებულმა შერვაშიძეებმა ერთობლივად შეძლეს სოხუმის ციხის აღება. ლევანმა მის მიერ გაწეული დახმარების სანაცვლოდ მოითხოვა სოხუმის ციხე. რამდენადაც ლევანს სოხუმთან ერთად რამდენიმე სოფელი დარჩა, ფიქრობენ, რომ სამურზაყანოს მფლობელის ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო.<sup>1</sup> როგორც ზემოთ აღნიშნული ვითარებიდან ჩანს, აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროები ცდილობდა სამურზაყანოს ძალების გამოყენებას საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო თვით სამურზაყანოც ახერხებს მანევრირებას და შემხვედრი ვითარების გათვალისწინებით ორივე მხარეზე მოქმედებს და ორივეს გულს იგებს. სამურზაყანოს მფლობელს აგრეთვე ეიმედება თავისი პოზიციების განმტკიცების გზაზე მესამე ძალაც, რუსული არმია, რომელიც იმ დროს საქართველოშია და 1770 წელს ლევან შარვაშიძე ამყარებს ურთიერთობას ავანტიურისტ გოტლიბ კურტ ჰენრიხ ფონ ტოტლბენთან და სთხოვს მას, მიიღოს რუსეთმა სამურზაყანო ქვეშევრდომად. მაგრამ რუსეთის ინტერესში ჯერ სამურზაყანო არ შედიოდა და ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, ტოტლბენს ვერ დააკმაყოფილებდა. ამაზე გაბრაზებულმა ლევან შარვაშიძემ თავის რაზმელებს მისცა დავალება, რომ რუსების ცხენები გაეტაცა,

---

<sup>1</sup> იხ. რაინგეი ი., მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2002, 110; მსჯელობისათვის იხ. ზაქარაია დ., პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მეოთხედში. ქელეშ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი, 1774-1800 წწ., საისტორიო ძიებანი, ტ. VI, თბ., 2003, 63

რაც უმაღლვე სისრულეში იქნა მოყვანილი. როგორც ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე აღნიშნავს: სამურზაყანოელებმა რუსი კავალერისტები ქვეითებად აქციეს.<sup>1</sup> და მზად არის, თურქეთიც გამოიყენოს, თუ რაიმე საფრთხე შეექმნება მის პოლიტიკურ მდგომარეობას. იგი სულ მალე ასეც მოიქცა. სამეგრელოს მთავრის გავლენიდან სწრაფად გამოსვლის მიზნით იგი უკავშირდება თურქეთს და სოხუმის ციხეს ისევ მას გადასცემს, რის საანაცვლოდაც მას დაენიშნა ჯამაგირი ყოველწლიურად 20 ქისა. სავარაუდებელია, რომ ლევან შარვაშიძეს საგონებელში აგდებდა აფხაზეთის მთავრის – ზურაბის მიერ ბათუმიდან ჩამოყვანილი და აფხაზეთის მთავრის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული უფროსი ძმა – მანუჩარი, სულეიმან ფაშას შვილი ქელაიმ აჰმედ ბეგი - ქელემ ბეიც, რომელიც გამოირჩეოდა ენერგიულობით და განსაკუთრებული ბრძოლის უნარით. ამ უკანასკნელს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა თურქეთთან. მალე ლევანი მართლმორწმუნე ქელემ ბეის მსგავსად მუსლიმი და სოხუმის ციხისთავი გახდა. „ეს იყო სოხუმის ბეგის სახელო, რომელიც ოდნავ მოგვიანებით ქელემ ბეიმ დაიკავა“<sup>2</sup>. ეს ნაბიჯი უფრო საზიანო აღმოჩნდა ლევანისათვის, რადგან მან სამი მტერი უცებ გაიჩინა. 1. ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ მტრის დაბრუნებას, ამიტომ დრო და დრო თავდასხმებს აწყობდნენ; 2. ზურაბ შარვაშიძე, რომელიც ამ თავდასხმებს ხელმძღვანელობდა, და 3. კაცია დადიანი. ლევანმა ანაკლიის ციხეს შეაფარა თავი, სადაც თურქული ჯარი იდგა. მისმა გამაჰმადიანებამ გამოიწვია მუსლიმი მოსახლეობის რიცხვის ზრდა (4200). სამურზაყანოში ამ დროს მხო-

---

<sup>1</sup> ანჩაბაძე გ., ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები (სტატიები, მიმართვები, ინტერვიუები). თბ., 2006, 12

<sup>2</sup> კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, 167.

ლოდ 5900 ქრისტიანი ცხოვრობდა.<sup>1</sup> მალე ოსმალეთმა სან-ლოობის მიმართულებით საკმარის მტკიცებულებად არ ჩათვალა ლევანის გამუსლიმანება და 1774 წელს სოხუმის ციხე გადასცა ქელემ ბეის. ამასობაში დასრულდა რუსეთ-თურქეთის ომი (1768-1774 წწ.). ქუჩუქ-კაინარჯის ზავით რუსეთმა იმერეთი და ოდიში ოსმალეთის ვასალურ ტერიტორიად ცნო და ქუთაისის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეებში თავისი ჯარი ჩააყენა. სამაგიეროდ უარს ამბობდა ქრისტიანობის დევნაზე, უარს ამბობდა ხარკზე - ნატურით, გადასახადებით და ქალ-ვაჟებით. ამ ბოლო პრეცედენტით რუსეთმა მიაღწია, საყოველთაოდ ელიარებინა საკუთარი ინტერესები საქართველოს ტერიტორიების მიმართ. ქუჩუქ-კაინარჯის ზავის შემდეგ ოსმალეთი აკეთებს ახალ სვლებს საქართველოს ტერიტორიაზე თავისი პოლიტიკური სარბიელის განმსატიციებლად. ამ ვითარებაში რუხის ომისათვის მზადების მთავარი მიზანი იყო სამურზაყანოდან ოდიშის მთავრის საბოლოოდ გაძევება და იმერეთისგან ოდიშის საბოლოოდ მოწყვეტა. თურქეთი არ კარგავდა დროს და ცდილობდა, აფხაზეთის მთავარი წაექეზებინა ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისაკენ. ამ ვითარების მიმართ ნ. დადიანი გვაწვდის ასეთ უალრესად საინტერესო ინფორმაციას: „ჟამსა ამას ჰფლობდენ აფხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ-აჰმედ-ბეგ და ბექირ-ბეგ. ამათ შეიკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუხუა და მაზუმაი და ამასთან აფხაზეთი და წარმოემართენ დადიანსა ზედა. განუდგენ დადიანსა სამფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ წოიდებული, და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა. მცნობმან ამისმან დადიანმა შეიკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს

---

<sup>1</sup> კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, 168.

კიდესა ზედა ეგუურისასა“.<sup>1</sup> კავკასიელი მთიელების დახმარებით გაძლიერებული აფხაზეთის მთავარი მდ. ენგურის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს იტაცებს და ამაში დახმარებას იღებს სამურზაყანოს მფლობელ ლევან შარვაშიძისაგან, მაგრამ კაცია დადიანი სათანადო აქტიურობას იჩენს აღნიშნული საფრთხის მიმართ და უკავშირდება იმერეთის მეფე სოლომონს, შეახსენებს მას ზრესილის ომს, სადაც დადიანები იმერეთის მეფის მხარდამხარ იბრძოდნენ და ამავე დროს რელიგიური პათოსის გამოყენების მიზნით შეუთვლის: „მოვიდენ აგარიანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოისა ჩემისა და შებლალვად ქრისტიანობისა და ნუ მოიხსენებ ჩვენ ორთა ურთიერთსა წყენებასა და მოვედ შემწედ ჩემდა სახელოვნითა გულითა და აჰა ჟამი მოიხსენო მსახურება ჩემი ზრესილის ბრძოლისა“.<sup>2</sup> 1780 წლის მარტში რუხის ციხესთან „შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამხედრდა ჩვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რამოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერეთ-ოდიშართასა და მიუხთა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა ბრძოლისა განგლიჯა რაზმი, და შევიდენ სპანი მეფისა და დადიანისანი რაზმსა შუა. და მხილველი ამისი აფხაზნი ვერ წინააღუდგენ, და ივლტოდენ აფხაზნი, და განემარჯვათ სახელოვნად მეფესა და დადიანსა; სადა მოიკლნენ აფხაზნი მრავალნი და შეკყრობილიცა წამოიყვანეს მრავალნი ტყვედ, და გამარჯვებული და მხიარულქმნილნი უკმოიქცნენ სახლადვე. და გარდაიხადა მეფემან თანამდები ზრესილისა. და მის ჟამიდამ იქმნა მშვიდობა ამა ორთა მეფეთა და დადიანთა შორის. და სიყვარული შესაფერი წელს ქრისტესით 1780“.<sup>3</sup> აფხაზთა და კავკასიის მთიე-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 180.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 180.

<sup>3</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 180.

ლთა გაერთიანებული ჯარი ქართველთა ლაშქარმა (სოლომონისა და დადიანის კოალიციამ) დაამარცხა, „რითაც აფხაზთა შემოტევას ოდიშის სამთავროზე ბოლო მოეღო“.<sup>1</sup> რუხის ბრძოლაში სასტიკი მარცხის შემდეგაც აგრძელებს ქელემ-ბეი სამურზაყანოს დაუფლებისათვის ბრძოლას, მაგრამ ეს ფრიად უშედეგო იყო, რადგან ენგურის მარცხენა სანაპიროს დაკავება ვერაფრით ვერ შეძლო. მალე ზურაბ შარვაშიძე და კაცია დადიანი შერიგდა. ამ ფაქტმა ოსმალეთის აფორიაქება გამოიწვია. მით უმეტეს, საერთაშორისო ვითარება ოსმალთა საზიანოდ მიდიოდა. 1. რუსეთმა 1783 წ. აპრილს შეიერთა ყირიმის სახანო, ხოლო 1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო... ამ ფაქტების გასანეიტრალეზად თურქეთს საწინააღმდეგო ღონისძიებები უნდა გაეტარებინა. ასეთ ვითარებაში ოსმალებმა დაიწყეს დამარცხებული ქელემ-ბეგის აფხაზეთში გამთავრებაზე ფიქრი. ქელემ-ბეგი ესტუმრა სტამბულს 1785 წელს, ხოლო 1786 წლისათვის ის უკვე აფხაზეთშია: „აყუს ციხესა შინა იყო ქელაიშაჰმედ-ბეგი და ეპყრნა მახლობელნი მისნი. და ფლობდა შვასოფელად წოდებულს აყუს საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგამდე ძმისწული ზურაბისა ბექირ-ბეგ“.<sup>2</sup>

1787-1791 წწ დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამ ომში თავიდანვე წარმატებას მიაღწიეს თურქებმა. აფხაზეთში, ისარგებლეს რა ამ ომში თურქეთის წარმატებით, ხელახლა გაქრისტიანებული ზურაბის სანაცვლოდ, სელიმ მეორის მხარდაჭერით, აფხაზეთის მთავარი გახდა ქელემ ბეი. „იქმნა მეფედ იმერთა ზედა სოლომონ, ძე არჩილისა, და დაიპყრა ყოველი იმერეთი... ხოლო ჟამსა მას მთავრობდა... აფხაზთა

---

<sup>1</sup> ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., 161-163.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთა ცხოვრება, 183-184.

შორის ქელაიშ აჰმედ-ბეგ შარვაშიძე“.<sup>1</sup> ყოველივე ეს მიანიშნებდა იმაზე, რომ შეიქმნა მეტად ხელსაყრელი ვითარება აფხაზეთში ოსმალეთის პოზიციების გამყარებისათვის. წარმატების გზაზე დამდგარი სელიმ III-ის ფავორიტობით ქელაიშ ბეგი უკვე აფხაზეთის მთავარი იყო 1787 წლისათვის. ხოლო ეს უკანასკნელი ოსმალეთის მთავრობისადმი სამაგიერო სიკეთის გადახდის მიზნით თავს არ ზოგავდა მის სამსახურში. ეს ის მომენტია, როცა იმერეთის სამეფოშიც დაიძაბა ვითარება და არეულობისათვის ხელსაყრელი ვითარებაა შექმნილი. კერძოდ, 1784 წლის 23 აპრილს გიორგობის დღესასწაულზე ტრაგიკულად დაიღუპა სოლომონ I და მის ტახტზე პრეტენზია გააცხადა ორმა დავითმა, სოლომონ მეფის ბიძაშვილმა და ძმისშვილმა. ოდიშის მთავრის, იმერელი გავლენიანი ფეოდალის - პაპუნა წერეთლის და ბერი წულუკიძის თავგამოდებით მეფე გახდა დავით გიორგის ძე (ბიძაშვილი სოლომონ მეფისა). 1788 წლის დეკემბრის თვეში გარდაცვალა ოდიშის მთავარი კაცია დადიანი და მთავარი გახდა მისი შვილი გრიგოლ კაციას ძე. სასიკვდილოდ გადაგებული კაცია, ითვალისწინებდა რა მის მიერ იმერეთის მეფედ დასმული დავით გიორგის ძის შესაძლო ვერაგობას მისი შვილის გამთავრებისადმი ხელის შეშლაში, მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მან სიკვდილის წინ წინასწარ ჩამოართვა სიტყვა (ფიც) იმერეთის მეფეს, რათა მისი გარდაცვალების შემდეგ, მის შვილებისთვის მამობა გაეწია: „ამისთვის მოიყვანა მეფე დავით, და ძენი თვისნი ხელთა მისთა მიაბარა და სთხოვა, რათა მოიხსენოს მსახურება მისი და ღვაწლნი, რომელნი უჩვენებთეს მას წინაშე მისა სპითა თვისთა, და შეეწიოს ძეთა მისთა და იქმნეს ნაცვლად მისა მამად ძეთა დადიანისათა მცირეწლოვანთა ყრმათა. მაშინ მეფე-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 185.

მან აღუთქვა ფიცითა შემწეობა და ნაცვლად მისსა მამობა შვილთა დადიანისათა, და წარვიდა იმერეთს. და შემდგომად სამისა დღისა გარდაიცვალა დადიანი კაცია მთავართა შორის ღირსსახსოვარი, და დაფლეს მარტვილს სამარხოსა მამათასა წელს ქრისტესით 1788 და ქმნეს მთავრად სამენგრელოსად დადიანად ძე კაციასი გრიგოლ თვრამეტი წლისა.<sup>1</sup> ამ მძიმე ვითარებაში თავი წამოყო ლევან შარვაშიძემ. ზუგდიდსა და ბელაში ჩამოყალიბდა კაცია II-ის უმცროსი ვაჟის მანუჩარის ინტერესების დამცველი ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ამ უკანასკნელის გამთავრება. პირველ რიგში ლევან შარვაშიძემ მიმართა იმერეთის მეფეს, რომ დახმარებოდა თავისი სიძის - მანუჩარის გამთავრებაში, სამაგიეროდ იგი მას მოკავშირეობას აღუთქვამდა და იმედოვნებდა, რომ სამეგრელოზეც თავისი გავლენის გავრცელებას შეძლებდა. როგორც ცნობილია, თვით იმერეთის მეფეს ამ დროს არამყარი ვითარება ჰქონდა თავის სამეფოში. როგორც ვიცით, მისი მოწინააღმდეგე იყო დავით არჩილის ძე. ასეთ ვითარებაში შემოთავაზებული წინადადება მისთვის საცთუნებელი უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, ლევან შარვაშიძე მას ქელეშ-ბეისთან ურთიერთობის გამყარებაში ხელშეწყობასც ჰპირდებოდა. 1789 წლის თებერვალში იმერეთის მეფის დახმარებით და ლევან შარვაშიძის ინიციატივით მთავრის ტიტული მანუჩარმა მოიპოვა. ცნობილია ის ფაქტი, როგორ მოქმედებდა და გადაიბირა იმერეთის მეფემ ოდიშელი დიდებულები და მთავრის ტახტზე მანუჩარი დაამტკიცა. დავით გიორგის ძის წერილში, რომელიც 1789 წლის 14 ივნისითაა დათარიღებული, მეფე ამბობს: აფხაზთა სათხოვარი გრიგოლისთვის დადიანობის წართმევაზე მანამდე უნდა გადადოს, „ვიდრემდისცა ვითარცა რუსეთის უმაღლეს-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 184.

მან კარმან ინებოს, ამ საქმის ნება მათი არს“.<sup>1</sup> ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს ისტორიკოს კ. კვაშილავას: „რა თქმა უნდა, სანკტ-პეტერბურგის გადასაწყვეტი ჯერ არ იყო სამეგრელოს მთავრის დამტკიცებისა თუ გადაყენების საკითხი. აშკარაა, რომ ნ. დადიანის ცნობა გრიგოლის ჩამოგდებისა და დავით მეფის წერილი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მეფემ დაფარა, რომ მანუჩარს ხელი შეუწყობდნენ ტახტის უსამართლოდ დაკავებაში“<sup>2</sup>. ხოლო გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეული „დადიანი გრიგოლ სიყრმისა გამოვერ წინააღმდეგ ექმნა და წარვიდა ლეჩხუმს“<sup>3</sup>. შემდეგ ნ. დადიანის ცნობის მიხედვით, მოვლენები ასე წარიმართა: სულ მალე შეიკრიბა სამეგრელოს სამთავროს შემდეგი დიდებულები, ოთხი გიორგი - კაცია დადიანის ძმა გიორგი, დადიანი კაციას ბიძაშვილი გიორგი კაცოს ძე, ძმისწული კაცია დადიანისა - გიორგი ნიკოლოზის ძე, სამეგრელოს სამთავროს სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, და ქაიხოსრო გელოვანი. მათ გადაწყვიტეს, რომ, რადგან დავით გიორგის ძემ კაცია დადიანის მიერ მის მიმართ ჩადენილი სიკეთე ვერ შეიფერა და აღთქმული ფიცის სანაცვლოდ მხოლოდ ბოროტება ჩაიდინა ნავედრები გრიგოლ კაციას ძე დადიანის მიმართ, ამიტომ შეთქმულებმა მოუხმეს დავით არჩილის ძე ბაგრატიონს, სოლომონ I-ის ძმისწულს და შეთქმულებას ფარდა ახადეს ლეჩხუმის სასახლე მურში. ოთხი გიორგის შეთქმულების ძირითადი გეგმის წარმატებით დაგვირგვინების შემადგენელი ნაწილი იყო მურს შემდგარი ქორწილი, კერძოდ, დავით არჩილის ძეს „მისცეს მეუღლედ ასული დადიანისა

---

<sup>1</sup> მაჭარაძე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, 1968, 278; კვაშილავა კ., სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან, 182.

<sup>2</sup> კვაშილავა კ., სამურზაყანოს ისტორიული წარსულიდან, 182.

<sup>3</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 184.

კაციასი და დაი გრიგოლისი მარიამ და უკუერთხეს გვირგვინი და ქმნეს ქორწილი“.<sup>1</sup> ამის შემდეგ, როგორც ნ. დადიანი აღწერს „ქართველთ ცხოვრებაში“, „ოთხი გიორგის“ ინიციატივით ლეჩხუმის სპა წამოვიდა ორი ყრმით (იგულისხმება დავით არჩილის ძე და გრიგოლ კაციას ძე - ლ. გ.) და მივიდნენ ხუნწში (სოფელია ოდიშში). აქ შეუერთდა მათ „ოდიშისა სპანი“. როგორც კი გაიგო ამის შესახებ იმერეთის მეფე დავით გიორგის ძემ, მანაც შეაგროვა ლაშქარი „იშოვნა ჯარიცა ლეკისა და დიდითა მოქადულებითა წარმოემართა ამა ორთა ყრმათა, დავითსა და გრიგოლსა ზედა, რომელი არარად რიცხვიდა და მოქადული იტყოდა: მრცხვენის ყრმათა მათ ბრძოლა, გარნა შევიპყრობ ყოველსა მენგრელთ დიდთა კაცთა და ამით დავიპყრობ სამენგრელოსაო. და მოვიდა და დაეხანაკა გაღმით ცხენისწყლისა ხონის მახლობლად“.<sup>2</sup> რამდენიმე დღის შემდეგ გამოემართა მეფე დავითი გრიგოლ დადიანისა და დავით არჩილის ძის წინააღმდეგ. ოდიშელებს ცოტა შიში კი ჰქონდათ, რადგან მეფის ჯარი უფრო მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ გაიმხნევეს თავი, „ამამაცეს გულის“<sup>3</sup> და რადგანაც მდინარე ცხენისწყალი აღიდებული იყო და ქვეითები მის გადალახვას ვერ შეძლებდნენ, ამიტომ სამეგრელოს ქვეითი ჯარი გააგზავნეს „ბუნბუას ხიდზედ გადასასვლელად“.<sup>4</sup> ქვეითებს სარდლობდა სამეგრელოს სამთავროს სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი. იგი გაიჭრა ხიდზე და „დაეხარგა გაღმით ხუნწისა მათხოჯის ქვეშე. და რა იხილეს ესე მენგრელთ სპამან ცხენოსნისამან, განვიდნენ წყალსა პირისპირ ხუნწისა. და გასვლასა თანა ეკვეთნენ ურ-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 184.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 184-185.

<sup>3</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 185.

<sup>4</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 185.

თიერთას და შეიქმნა ბრძოლაი და შემდგომად დიდისა ბრძოლისა უკუნაქციეს მოქადულობა მეფისა და გაიქცნენ სპანი იმერ-ლეკისანი. და გაემარჯვა დადიანსა გრიგოლს და დავითს სამეფოსა კაცსა, სადა მენგრელთ დიდი მხნეობა წარმოაჩინეს, წელს ქრისტესით 1789<sup>1</sup>. ოთხი გიორგის შეთქმულება დასრულდა იმერლებისა და მეგრელთა ურთიერთ სისხლისღვრით, მოკლეს მრავალი იმერელი და მრავალი მეგრელი, მათ შორის ქაიხოსრო გელოვანის ძე მანუჩარ. გაქცეულ დავით გიორგის ძეს მისდიეს უკან, აიღეს იმერეთის ყველა ციხე-სიმაგრე და იმერეთის მეფედ დასვეს დავით არჩილის ძე: „დასვეს მეფედ ქუთათისს და უწოდეს სახელად სოლომონ. და მოიქცა გრიგოლ დადიანი დიდი გამარჯვებული სპითა თვისთა სახლად თვისად, ხოლო დავით წარვიდა ლტოლვილად ახალციხედ“.<sup>2</sup>

ოთხი გიორგის შეთქმულების შედეგად იმერეთს ახალ მეფედ დავით არჩილის ძე (სოლომონ II) მოევლინა, ხოლო სამეგრელოს სამთავროს მართვის სადაავეები ისევ გრიგოლ დადიანს ერგო. სოლომონ მეფემ ტახტზე ასვლისთანავე მის გამეფებაში ოდიშის დიდებულების დამსახურების გამო გაცა წყალობის სიგელი 1789 წლის 10 სექტემბერს, რომლის ძალით, ტახტთან ერთად, დაისაკუთრა საჭილაოც, „თავისი სამართლიანის საზღვრით, აზნაურით, გლეხით, ტყით, წყლით, ეკლესიით, თავისის შემავალით სანადიროთა“<sup>3</sup>.

XIX საუნუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ამჯერად მთელი ყუ-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 185.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 185.

<sup>3</sup> ისტორიული დოკუმენტები. ტ. II. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები 1784-1810 წწ., 13-14; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები.

რადღება დასავლეთ საქართველოსკენ მიმართა. რუსეთი გულდასმით აკვირდებოდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის მუდმივ ქიშპობას ერთმანეთთან და ეძებდა ხელსაყრელ მომენტს, რათა ექსპანსია დაეწყო იმ ეპიცენტრიდან, საიდანაც დაპირისპირების ცხელი ორთქლი უფრო ჭარბად გამოდიოდა. აღსანიშნავია ის, რომ ოდიშსა და იმერეთს შორის მუდმივი დავის საგანი იყო ლეჩხუმი, ოდიშსა და გურიის სამთავროს შორის პალიასტომის ტბა და მდინარეებს - ფიჩორსა და რიონს შორის არსებული ტერიტორია, ხოლო აფხაზეთის სამთავროსთან მუდმივი ცილობის საგანს წარმოადგენდა სამურზაყანოს მომიჯნავე - ენგურისა და ღალიბჯის სივრცეში მოქცეული ტერიტორია. „XVIII საუკუნის II მეორე ნახევარში სამურზაყანო სამეგრელოს მთავრის ვასალი იყო.“<sup>1</sup> ოსმალეთის პოზიციები ამ პერიოდში საგრძნობლად შესუსტდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა საფრანგეთმა მას წაართვა ეგვიპტე. სამაგიეროდ საერთაშორისო პოლიტიკურმა სიტუაციამ რუსეთის სასრგებლოდ იწყო შემობრუნება. ქელემ-ბეი თურქეთის ვასალად თვლიდა თავს, რადგან იგი აფხაზეთის დიდ ნაწილს მისი დახმარებით დაეპატრონა. თუმცა ამ ვითარებაში მას სამეგრელოს მთავრისადმი განსაკუთრებული ბოღმა გააჩნდა და ოცნებობდა მის დასუსტებაზე, რათა სამურზაყანო საბოლოოდ მას დარჩენოდა. ამიტომ ქელემ ბეი, როცა დადიანს დახმარება სჭირდებოდა, მიდიოდა მის დასახმარებლად, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ღალატობდა მას და ბრძოლაში, თუ საბაბი მიეცემოდა, რეალურად არ ებმებოდა. ასე იყო 1794 წელს, როგორც ნ. დადიანი გვამცნობს: როცა იგი თავისი ჯარით მივიდა ხიბულაში, გრიგოლ დადიანთან, მაგრამ როცა გაიგო ის, რომ დადიანის მოკავშირე იმერეთის ყოფილი მეფე დავით

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, 673.

გიორგის ძე დავით არჩილის ძემ დაამარცხა, აიყარა და დადიანი მარტოკა დატოვა.<sup>1</sup> ასეთ ვითარებაში ოდიშის სამთავროს მუდმივმა ქიშპობამ მეზობლებთან რუსეთს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმისათვის, რომ სწორედ ოდიშის ცხელი წერტილიდან დაეწყო დასავლეთ საქართველოში სასურველი ექსპანსია. 1803 წლის დეკემბერს ოდიშის (სამეგრელოს) მთავარმა გრიგოლ დადიანმა (1788-1792, 1796-1804) რუსეთის იმპერატორისადმი „სათხოვარ პუნქტებს“ მოაწერა ხელი, რომელიც დაამტკიცა 1804 წლის ივლისში. სამეგრელოს სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ ცარიზმი სამეგრელოს სახით ხედავდა თავის ერთადერთ დასაყრდენს და ამ ეტაპზე ცდილობდა, ხელი შეეწყო მისი გაძლიერებისათვის და თითქოს ეხმარებოდა სამურზაყანოს ასევე ლეჩხუმის დაბრუნების საქმეში. „ამ ეტაპზე სამეგრელოს სამთავროს საზღვრების გაფართოება საკუთრივ იმპერიის საზღვრების გაფართოების ტოლფასი იყო“<sup>2</sup>. ამიტომ, როცა 1806 წელს ნინო ბაგრატიონი იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში ითხოვს დაუბრუნონ ქელემ-ბეგისაგან მიტაცებული ტერიტორიები, მისგან თანხმობას იღებს. მთავარმართებელი ციციანოვიც თავგამოდებით ცდილობს აცდუნოს სამურზაყანოელი თავადები, რათა ისევ სამეგრელოს შემადგენლობაში შევიდნენ<sup>3</sup>. დიახ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1803 წლის „სათხოვარი პუნქტებით“ ოდიში რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, ავტონომიის უფლებით. აღნიშნულ ვითარებაში დასავლეთ საქართველოს ოკუპაციისათვის რუსეთს ჯარი უნდა შემოეყვანა სამეგრელოში, ხოლო დადიანი რუსე-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 187.

<sup>2</sup> ქადარია თ., სამეგრელოს სამთავრო XIX ს. I ნახევარში, საღისერტაციო ნაშრომი, 2002, 99.

<sup>3</sup> აქტები, ტ. II, 176-178.

თისადმი დიდ ერთგულებას იჩენდა და ჯარის მისაღებად ემზადებოდა. 1804 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამეგრელოში რუსთა ჯარების ერთი პოლკი შევიდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრებაზე. აქ შემოყვანილი ბელევეის პოლკი სამ ნაწილად გაიყო. ერთი ჩააყენეს სამეგრელოში, მეორე - სოფ. ხონში, ხოლო მესამე - ლეჩხუმში. ამ ფაქტის მიმართ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამოვლინება იყო სამეგრელოს მთავრის - გრიგოლ დადიანის მოწამვლა 1804 წლის 24 ოქტომბერს. მალე რუსთა ჯარმა თავისი მოქმედების ასპარეზის გაფართოებაზე დაიწყო ზრუნვა და 1805 წლის გაზაფხულზე მოეწყო სამხედრო ექსპედიცია აფხაზეთში. აფხაზეთში ლაშქრობის მიზეზი იყო ოსმალთა იმპერიის მიერ აფხაზეთის მიმართ გამოვლენილი პრეტენზიებისადმი დაპირისპირება და, შესაბამისად, რუსული ძალის დემონსტრირება. ასეთ ვითარებაში ექსპედიცია-ლაშქრობის საბაბი გახდა გრიგოლ დადიანის შვილის - ლევანის გამონხნის სურვილი, რომელიც იმ პერიოდში აფხაზეთის მთავარს მძევლად ჰყავდა, მას შემდეგ, რაც იმერეთის მეფესთან ბრძოლაში დამარცხებული დადიანი რევანშის ასაღებად აფხაზეთის მთავარს სთხოვდა დახმარებას. ამ ფაქტის შესახებ ნ. დადიანი აღნიშნავს: „აწ კვალად გრიგოლისას ვიტყოდეთ. გრიგოლი რა შთავიდა ოდიშს, სთხოვა შეწევნა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა შარვაშიძესა, რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე ლალიძგამდე და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო აფხაზეთსა. ხოლო მან სთხოვა უპირმშოესი შვილი თვისი ლეონ მძევლად, უკეთუ შეეწიოს მეფესა ზედა, მისცეს მან მრავალი თეთრი და წარუგზავნა დადიანმან ძე თვისი ლეონ მძევლად. მაშინ შეიკრიბა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან ყოველი აფხაზეთი და წარმოვიდა, მოვიდა და დაებანაკა აბუღათს. იქით მოვიდა მეფე სპითა იმერთა და ლეკთა და

დაებანაკა ივანდიდს. და იწყეს ზრახვად მეფემან და ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან და ვერა შემართა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან ბრძოლად მეფისა და სთხოვა, რათა არ ავნოს დადიანსა. აღუთქვა მეფემან ფიცით არა ვნებად დადიანსა, და წარვიდა ქელაიშ-აჰმედ-ბეგ კვალად აფხაზეთად.<sup>1</sup> მაშინა დუმბაძე ასეთ ვერსიაზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს: თითქოსდა შარვაშიძეს დახმარების სანაცვლოდ დადიანისგან ანაკლიაც მიუღია და „პირობის განსამტკიცებლად, როგორც ჩანს, თავისი შვილიც მძევლად გაუგზავნია“.<sup>2</sup>

მ. დუმბაძე ამ ვითრების აღწერას ასე აგრძელებს: „დადიანის მიერ ანაკლიის „გაჩუქების“ ვერსია, როგორც ჩანს ხელსაყრელი იყო რუსეთის მთავრობისათვის. ასეთი მტკიცება ანაკლიაზე ოსმალეთის პრეტენზიების უარსაყოფელად გამოდგებოდა, მაგრამ იქ ოსმალეთის გარნიზონი იდგა“.<sup>3</sup> ანაკლიასთან რუსთა ჯარმა გენერალ რიკხოფის დღობით სულ რაღაც ერთსაათიან ბრძოლაში თვალის დახამხამებაში დაამარცხა ანაკლიის დამცველი ოსმალთა გარნიზონი და იმავე დღეს სამურზაყანოელი თავადები დააფიცა რუსთა ერთგულებაზე. რაც შეეხება ქელეშ-ბეი შარვაშიძეს, მან სასწრაფოდ გაანთავისუფლა ლევან გრიგოლის ძე. ეს ლაშქრობა იყო სერიოზული შესტი რუსეთის მხრიდან, რაც უახლოეს მომავალში მოასწავებდა დასავლეთ საქართველოში რუსთა გავლენის ზრდას, მის უცილობელ უპირატესობას ოსმალთა იმპერიასთან მიმართებაში, რაც საბოლოო ჯამში რუსეთის მიერ ამ ტერიტორიის ანექსიით უნდა დაგვირგვინებულიყო. ამ ფაქტების შემდეგ მოვლენები ასე წარი-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 192.

<sup>2</sup> დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, 181.

<sup>3</sup> დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, თბ., 1957, 181.

მართა: ოსმალთა საგანგებო რწმუნებულმა რეჯებ-ეფენდიმ მოსთხოვა რუსეთს ანაკლიის დაცლა. რუსეთი იძულებული გახდა, ეს მოთხოვნა სისრულეში მოეყვანა და ანაკლია დაებრუნებინა ოსმალეთისთვის 1805 წლის ივნისში.<sup>1</sup>

ამ პერიოდისათვის სამურზაყანოს მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანული იყო და ცაიშის ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. ქრისტიანული სარწმუნოება სამეგრელოს საზღვართან არსებულ დასახლებებში სრული გაბატონებული მდგომარეობით სარგებლობდა. 1805 წლის 9 ივლისს სამეგრელოს ახალ მთავრად ლევან V დადიანი (1805-1840) დაამტკიცეს და მან რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი დადო. ამ საზეიმო ცერემონიალზე მანუჩარ და ლევან შარვაშიძეებმა იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულების ფიცი დადეს. საზეიმო ფიცის დროს მათ ხაზი გაუსვეს სამეგრელოს მთავრისადმი მათ ქვეშევრდომობას და ამ სტატუსითვე მისცეს ფიცი რუსეთის იმპერატორს: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, აფხაზეთის თავადნი სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენის ქვეყნით და თავად აზნაურებით მისს იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ ღმერთს და წმინდა სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამარადჟამოდ და მის დიდებულების ურჩობაში და დალატობაში არასდროს არ შევიდეთდა აგრეთვე თუ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შევიტყვეთ, დიახ სწრაფად შევატყობინოთ, საცა მართებული იყოს და, როგორც ზემოთ არის დაწერილი, ის არ აღვასრულო, ღვთისგან და წმინდა სახარებისგან შეჩვენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგან ჩვენ ჩვენის ქვეყ-

---

<sup>1</sup> აქტები, ტ. II, 528, 1027.

ნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი დადიანისა“<sup>1</sup>. ამ სახეიშო ფიცში გაჟღერებული დამოკიდებულება ადასტურებდა იმას, რომ სამურზაყანომ აღიარა რუსეთისა და სამეგრელოს უზენაესი უფლება მის მიმართ. ეს იყო დასვლეთ ვეროპაში შუა საუკუნეებში სენიორ-ვასალის მსგავსი დამოკიდებულება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამურზაყანო ერთდროულად აღიარებდა თავის სენიორად სამეგრელოს მთავარს და თავისი სენიორის სენიორს (რუსეთის იმპერატორს) სენიორად („ჩემი სენიორი, რა თქმა უნდა, ჩემი სენიორია, მაგრამ ჩემი სენიორის სენიორი აგრეთვე ჩემი სენიორია“). სამურზაყანოს მმართველი ორმაგი ვასალი გახდა სამეგრელოს სამთავროს მთავრის და რუსეთის იმპერატორისა. ეს იყო კონდომინიუმის ბრწყინვალე მაგალითი. სამეგრელოს სამთავრო, გარეშე სახელმწიფოს, რუსეთის „დახმარებით“ რუსეთისგან წამოყენებულ გარკვეულ პირობებზე ნაცვალგების საფუძველზე საბოლოოდ იმორჩილებს სამურზაყანოს ურჩ მმართველებს. ამ ორმაგი უზენაესობის აღიარების მიუხედავად 1805 წელს სამურზაყანოს მფლობელის - ლევან შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ მისმა ძმისშვილმა ამ მხარის ერთ-ერთმა მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ, რომელიც იყო გრიგოლ დადიანის სიძე (დის ქმარი), შეძლო თავისი ძმების - ლევანისა და ბეჟანის სამფლობელო მამულების მიტაცება და გახდა სამურზაყანოს სრული მფლობელი. ამის შესახებ დიდი ნიკო ასე მოგვითხრობს: „დროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ჭაქვიჯისასა და თხოვითა თავადის დიმიტრის ზახარივიჩის ორბელიანისათა განუტევა იგი, ხოლო ყოველი სამურძაყანო-აფხაზეთი მიათვალა და მიაბარა საუფროსოთ და საგამგებლოდ სიძესა თვისსა მანუჩარ

---

<sup>1</sup> აქტები ტ. II, 527.

სოლომონის ძე შარვაშიძესა. არა თუ სიძობისთვის პატივსცა ესრეთ, არამედ ვინათგან იყო იგი კაცი სახელოვანი და საქმესა შინა მარჯვე“.<sup>1</sup> 1810 წელს ოდიშის დედოფალმა ნინო ბაგრატიონ-დადიანისამ კიდევ უფრო გაუმყარა პოზიციები თავის სიძეს და მემკვიდრეობის უფლებით სამურზაყანოს მორავობა უბოძა. ამ ფუნქციის მინიჭებით მანუჩარ შარვაშიძე გახდა მთავრის მოხელე, რომელიც აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული და შეზღუდული სასამართლო უფლებით, იგი იყო სარდალ-მოურავი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოყვანილი ჯარის ხელმძღვანელი გახლდათ. „სიძე ჩემი შარვაშიძე მანუჩარ მოგართვით და მოგეცით საუფროსოდ შენ და შენს მომავალს სამოურავოდ სამურზაყანოს დიდებულნი თავადნი და გლეხნი ღალიძგიდან ენგურის საზღვრამდე დადებული აწ განმტკიცებით და განავრცელებთ სრულსა სიყვარულსა თანხმობით...“<sup>2</sup>.

ნ. დადიანის გადმოცემით 1811 წელს ახალციხის საფაშოდან თითქმის მთელ საქართველოში შავი ჭირი გავრცელდა „წელსა ამას 1811, გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსვრელი სენი (ესე იგი ყამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალი განიბნენ, კნინლა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებულნი, და მრავალნი წარვიდენ აფხაზეთად... განგრძელდა ესევეითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდვიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად“.<sup>3</sup> ასეთ მძიმე ვითარებაში იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილი სამურზაყანოს და აფხაზეთს აფარებს თავს, რამაც გააძ-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 199.

<sup>2</sup> სცსსა, ფ. 4, საქმე 384, ფ. 247.

<sup>3</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 203.

ლიერა ტყვეთა სყიდვა. გახიზნულები ახალი უბედურების მსხვერპლი ხდებოდნენ აფხაზი ტყვეთა მსყიდველების ხელში. ასეთ რთულ ვითარებაში მანუჩარ შარვაშიძემ მიმართა ლევან V დადიანს თხოვნით, რომ აფხაზეთში ელაშქრა, რადგან თუ ახლავე არ უშველეთ, ტყვეები კიდევ უფრო მეტი დაიციდება და კიდევ მრავალი დაიკარგებაო. როგორც დიდი ნიკო აღწერს, რომელიც თვითონ იყო მონაწილე ამ ლაშქრობისა, როგორ შეკრიბა სამეგრელოს მთავარმა ლაშქარი, როგორ იახლა ჭყონდიდელი და ცაიშელი მღვდელმთავრები და 1812 წლის ოქტომბერში აფხაზეთისაკენ გაემართა. „ძივედით რა ბედიას, დავებანაკეთ სოფლად ხაზუბიასას და დავსდექით მუნ. ხოლო ციხე ბედიისა მას ჟამად ეპყრა ლეონ ხუტუნისა ძეს შარვაშიძეს... ხოლო ძე ლეონ შარვაშიძისა ხუტუნია და სიძე დადიანისა მანუჩარ სოლომონის ძე შურობდენ ერთმანეთში და იყვნენ ერთმანერთისა ბიძაშვილნი. და ღამესა მას ყოფნასა ჩვენსა ბედიას შემოუჩინა ხუტუნიაჲ კაცი მანუჩარ შარვაშიძესა და მძინარესა სახლსა შინა შეჰპარნენ და დასცეს ხანჯალი მძინარეს და მოჰკლეს კაცი ღირსსა ხსოვარი და საქებელი“<sup>1</sup>. მანუჩარ შარვაშიძე თხუთმეტდღიანი დატირების შემდეგ დაასაფლავეს ცაიშში და ამის შემდეგ ლევან V დადიანი „მძიმეთ იპყრა თადარივი თვისი და სთხოვა შეწევნა რუსთა და წარმოუგზავნა ორი როტა მხედრობა და მასთანა არტილერია და მხედრობა იმერთა რამოდენიმე და სარდლათ იმერთა მხედრობისა გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი და სეხნია წულუკიძე. აგრეთვე სთხოვა შეწევნა მთავარს მამიას გურიელს, და მანცა წარმოაგზავნა გურიელი მხედრობა...“<sup>2</sup>. რუსთა ჯარით ზურგმიცემული დადიანის მოწოდებას ასევე რუსის გულის მოგების მიზნით

---

<sup>1</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 203.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 204.

დადებითად პასუხობენ ერთმანეთის მტრობით ჯავრშეყრილი მთავრები და 1812 წლის დეკემბერში ლევან V დადიანი ამჯერად მეორეჯერ გაემართა ბედიისკენ. ჯარის მოახლოებისთანავე ხუტუნია შარვაშიძე „გაიპარა ღამით და წარვიდა წებელად“<sup>1</sup> ... ლევან შარვაშიძე მიხვდა, რომ უძლური იყო გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში და ბედიის ციხე უბრძოლველად ჩააბარა. ამის შემდეგ დადიანმა გულმოწყალება გამოიჩინა: „...და ვინაიდან იყო ლეონ შარვაშიძე მოხუცებული... და ამისდა პატივად მიუჩინა გამოსაზრდელად სოფელი ფახულანისა და მუნ წარვეგზავნეთ“.<sup>2</sup> გამარჯვებულმა დადიანმა ბედიის ციხე დაიკავა, გაამაგრა, შიგ მცეცხოვნეები ჩააყენა და ზუგდიდში დაბრუნდა.

ბედიასთან ბრძოლის შემდეგ ლევან დადიანმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამურზაყანოს ოდიშთან უშუალოდ შემოსაერთებლად. მან გარდაცვლილი მანუჩარის შვილების, ე.ი. თავისი დისშვილების, ალექსანდრესა და დიმიტრის მეურვეობა იკისრა და ამ მომენტიდან სამურზაყანო ნომინალური მფლობელის გარეშე დატოვა. სამურზაყანო დაექვემდებარა ოდიშის მთავრს და უშუალოდ მის მფლობელობაში შევიდა.

ოდიშის მთავარი ამ დროიდან აქტიურად შეუდგა თავისი პოლიტიკური ნების რეალურად განმტკიცებისთვის ქმედითი ღონისძიებების გატარებას. ამ დროს მეტად რთული ვითარება იყო აფხაზეთში. წებელის თემის სოფლები სამეგრელოსა და აფხაზეთის ავაზაკთა თავშესაფრად იყო ქცეული და სამურზაყანოშიც ქურდობა, ავაზაკობა ტყვის სყიდვა ხელობას წარმოადგენდა. ლევან V დადიანმა გამოსცა ვერდიქტი „სამურზაყანოს აფხაზეთის მთავრის“ სტატუსით, რო-

---

<sup>1</sup> დადიანი ნ, ქართველთ ცხოვრება, 204.

<sup>2</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 204.

მელიც თარიღდება 1815 წლის 20 ნოემბრით. მან ამ ბრძანებით ფიცი დაადებინა შარვაშიძეებს, ემუხვარებს, ანჩაბაძეებსა და მარღანიებს სამურზაყანოში წესრიგის შენარჩუნებაზე. ამის შემდეგ ლევან V-მ დახმარება სთხოვა კავკასიის მთავარმართებელს და რუსეთის ჯარების მთავარსარდალს ნ. რტიშჩევს, რათა ელაშქრა აფხაზეთში, მაგრამ წებელთან ურთიერთობა მშვიდობიანად გადაიჭრა, რადგან წებელის ბატონები - მისოსტ, სარალუფუ და ზერეფსუ მარშანიები მოლაპარაკებას აწარმოებენ ლევან V-თან და აძლევენ მას ერთგულების ფიცს (1815 წ. 29 ნოემბერი). ისინი დადებული პირობის მიხედვით სამეგრელოდან ტყვეებს არ მოიტაცებდნენ და სამურზაყანოზე თავდასხმასაც შეწყვეტდნენ: „ვიყვანეთვე კეთილითა მეზობლობითა სამთავროსა თქვენისა სამურზაყანოდ წოდებულს აფხაზეთსა ნაწილსა თანა და ოდიშისა და მისთა მცხოვრებთა“<sup>1</sup>.

მდგომარეობა ოდიშ-აფხაზეთის მთავართა შორის სამურზაყანოსთან მიმართებაში მაინც ვერ მოწესრიგდა და ასეთ ვითარებაში 1818 წლის მაისში მედიატორის ფუნქცია იკისრა იმერეთის მმართველმა ვ. კურნატოვსკიმ. მოლაპარაკება მშვიდობიანად დასრულდა და აფხაზეთის მთავარმა გიორგი შარვაშიძემ სამურზაყანოს მფლობელად ლევან V აღიარა, „მაგრამ ამ გარემოებას მომდევნო მთავარი მიხეილი არ ურიგდებოდა. დადიან-შარვაშიძის მეტოქეობა სამურზაყანოს გარშემო რუსეთის მთავრობას საბაბს აძლევდა, რომ იქ თავისი უშუალო ბატონობა დაემყარებინა. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი სამურზაყანოში 300 კაციანგან შემდგარი რუსთა ჯარის ჩაყენებით აღინიშნა (1826 წ.).<sup>2</sup> მაგრამ რუსეთ-ირანის ომის დაწყებასთან დაკავშირებით ეს

---

<sup>1</sup> აქტები, ტ. V, 507-508.

<sup>2</sup> ლუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, 268.

300 კაციანი რაზმიც გაიყვანეს სამურზაყანოდან, რამაც დადიანს სამურზაყანოში თავისი ხელისუფლების აღდგენის შესაძლებლობა კვლავ მოუპოვა და ასეთ ვითარებაში ამ ტერიტორიის დაკავებისთანავე მან დაარბია თავისი მოწინააღმდეგეები. ამ ტერიტორიაზე დადიანის უფლებების განმამტკიცებელი აქტი იყო 1827 წლის 21 აპრილს გაფორმებული წერილობითი დოკუმენტი, რომლის მიხედვით ზუფუელი თავადები აღიარებდნენ დადიანის უფლებებს ამ მხარეზე. აღნიშნულ დოკუმენტს თავისი ხელმოწერით ამყარებდა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძეც (1823-1864 წწ.). ამდენად უკვე მერემდენე აქტით ხდებოდა სამურზაყანოს სამეგრელოს ნაწილად აღიარების ფაქტი. თუმცა ეს ნაბიჯი მიხეილ შარვაშიძის მხრიდან იყო დროებითი მანევრი მისადმი ყურადღების მოსაღწეობლად. იგი ამ ფაქტით შერიგებაზე არც ფიქრობდა და ფარულად მიმდინარეობდა დაუძინებელი ომი ორ მთავარს შორის. სამურზაყანოში საბოლოოდ დამკვიდრების მიზნით ლევან V დადიანმა არ დაინდო თავის მეურვეობაში აყვანილი დისშვილი ალექსანდრე შარვაშიძე. მისი დასმენით იგი ციმბირში გადაასახლეს და გზაში დაიღუპა, ხოლო უმცროსი დიმიტრი 1832 წელს დადიანის ლაშქართან ბრძოლაში დაიღუპა.

1832 წელს რუსეთის მთავრობამ მდ. ინგირის მარჯვენა სანაპიროზე, იქ, სადაც მდინარე ორად იტოტება, ააგო ათანგელოს ციხე და შიგ თავისი ჯარი ჩააყენა. „ამ ციხეს აფხაზეთ-სამეგრელოს სამთავროებს შორის ბუფერული სიმაგრის როლი უნდა ეთამაშნა. ამავე დროს იგი ჰკეტავდა სამეგრელოში შემოსასვლელ გზას და მთავრებისადმი საკონტროლო პუნქტს წარმოადგენდა“<sup>1</sup>. ამ ფაქტის მიუხედავად მიხე-

---

<sup>1</sup> ლუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, 268.

ილ შარვაშიძეს არ განელება სამურზაყანოს დაბრუნების სურვილი და 1834 წელს გადმოლახა ცოცხალი საზღვარი აფხაზეთსა და ოდიშს შორის და შეიჭრა მდ. ღალიძგის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელ ილორში. ამ ვითარებაში მთავარმართებელი გრაფი როზენი (1832-1837 წწ.) ჩაერია და მკაცრი გაფრთხილება მისცა მიხეილ შარვაშიძეს: „მე ვალდებული ვარ, გთხოვოთ, წერილობით გამოუცხადოთ ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიცემული ფიცით თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს“<sup>1</sup>. აფხაზეთის აფხაზეთის მთავარმა ილორი უსიტყვოდ დატოვა. რუსეთის ხელისუფლება გულდასმით აკვირდებოდა ოდიშ-აფხაზეთს შორის მიმდინარე მოვლენებს და მოთმინებით ელოდებოდა მომენტს მათ შორის გადაუჭრელი დავები მომავალში გამოეყენებინა ამ სამთავროთა გაუქმების საბაბად და ეს სამომავლო აქტი ამ სამთავროების სიმშვიდეზე ზრუნვის მისიით გაემართლებინა.

1839 წელს მიხეილ შარვაშიძე, მიუხედავად იმისა, რომ დაატოვებინეს ილორი, პოზიციას არ თმობს და თხოვნით მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას, რომ სამურზაყანო გადასცემოდა აფხაზეთის სამთავროს. რაც შეეხება ამ საქმეში მთავარ „მედიატორს“ - რუსეთს, მას, უკვე აღაფრთოვანებდა მთავრებს შორის ატეხილი დავა, რომელიც თავისი ოცნების უმტკივნეულოდ ხორცშესხმის საშუალებას აძლევდა და, ამდენად, ამ ეტაპზე დაიჭირა ისევ სამეგრელოს მხარე, იმ მოტივით, რომ სამურზაყანო აფხაზეთიდან დიდი ხნის წინათ იყო გამოყოფილი. ამ დაუსრულებელი დავის პირობებში მთავარმართებელმა მოდავე მთავრებს მოსთხოვა სამურზაყანოზე მფლობელობის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდ-

---

<sup>1</sup> აქტები, ტ. VIII, 449.

გენა. ამ მოთხოვნაზე აფხაზეთის მთავარმა ვერანაირი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა, ხოლო სამეგრელოს მთავარმა დადიანმა 1810 წელს ნინო ბაგრატიონის მიერ მანუჩარ შარვაშიძეზე გაცემული სიგელი, 1818 წელს ლევან დადიანსა და გიორგი შარვაშიძეს შორის დადებული ხელსეკრულება და 1827 წ. 8 აპრილს აფხაზეთის უწინარესი თავადაზნაურების მიერ ლევან დადიანისადმი მიცემული წერილები გადასცა<sup>1</sup>. დავით დადიანი გულმოდგინებით უმტკიცებდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ „რუსეთის კანონებით სამფლობელოს ათი წლის განმავლობაში ფლობა საკმარისია მისი კუთვნილების დასამტკიცებლად, დადიანი კი სამურზაყანოს ფლობდა 40 წელიწადი, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ვახტანგის კანონების ძალითაც სამურზაყანო სამეგრელოს საკუთრებად ეცნოთ“<sup>2</sup>. დადიანის ამ დასაბუთებული პრეტენზიების გათვალისწინება რუსეთს უკვე აღარ მიაჩნდა საჭიროდ, რადგან მას სინამდვილეში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სულ მალე სამურზაყანო სამეგრელოს შემადგენლობაშიც არ დარჩებოდა, თუმცა მზად იყო, კომპენსაციის სახით მისთვის რაიმე გადაეგდო. მართლაც, 1840 წლის თებერვალში შეიქმნა სამურზაყანოს საბოქაულო, რომლის ცენტრი ბედიის ნაცვლად იყო ოქუმი. სამურზაყანოს ბოქაული შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს დაუმორჩილეს.<sup>3</sup> დადიანები, რომლებმაც რუსები სამეგრელოში დიდი იმედებით და ხვეწნა-მუდარით შემოიყვანეს, მათდა სამარცხვინოდ, ამჯერად შეეცადნენ გაესაჩივრებინათ რუსული მმართველობის შემოღება მათთვის კუთვნილ ტერიტორიაზე და თუ ეს არ იყო შესაძლებელი,

---

<sup>1</sup> ქადარია თ., სამეგრელოს სამთავრო XIX ს. I ნახევარში, 111-112.

<sup>2</sup> ცსსა, ფონდი 2, ფურცელი 57.

<sup>3</sup> აქტები, ტ. X, 248.

მაშინ საზღაური მაინც გადაეხადათ. დადიანისეული ვიწრო პოლიტიკის საზღაურმაც არ დააყოვნა და რუსეთმა სამურზაყანოს ნაცვლად 25 ათასი ვერცხლის მანეთი გადაუხადა მის ნამდვილ მფლობელს. ასე ღარჩა პოლიტიკურად ხელმოცარული და ბოლომდე გაწბილებული დადიანი „მოყვარე“ რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის მსხვერპლი. ხოლო შარვაშიძეები იმით დაამშვიდეს, რომ შეჰპირდნენ აფხაზეთში პორტის ასაშენებლად მისცემდნენ ყოველწლიურად 12 ათას მანეთს<sup>1</sup>.

1847 წელს სამურზაყანო დაუმორჩილეს ქუთაისის გუბერნატორს. ეს ფაქტი ისევ გამაღიზიანებელი აღმოჩნდა შარვაშიძეებისთვის და მოითხოვეს სოფელ ფახულანის გადაცემა. მაგრამ რუსებმა ფახულანი და სხვა სოფლები - მუჟავა, ილორი, ფურაში, ჭალე აგრეთვე დადიანს დაუტოვეს პოლიციური ზედამხედველობა კი სამურზაყანოს პრისტავს ებოძა. ამჯერად ბეჟან შარვაშიძის შვილი ლევანი პრეტენზიას აცხადებდა კოკზე. რუსი მოხელეების კომისიამ (ესპეზო, ბრუსილოვი, ტარაკანოვი, გალატერი) მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელი დიდი კოკი დადიანს გადასცეს, ხოლო მდ. ენგურის ორ ტოტს შუა, კუნძულზე მდებარე პატარა კოკი და მასში შემავალი სოფლები: შამგონა, ორსანტია, განარჯიას მუხური და ოტობაიას ნაწილი, აგრეთვე გადასცა დადიანს. საკუთრივ პატარა კოკი, რაც ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა, გადაეცა ლევან ბეჟანის ძე შერვაშიძეს, როგორც მემამულეს. თუმცა ამის მიუხედავად ეს სოფელიც პოლიციური ზედამხედველობის მხრივ დაექვემდებარა დადიანს<sup>2</sup>. ამ ფაქტით გაღიზიანებული კაცია, მანუჩარ, პაატა, ზურაბ, ანტონ და ნიკო შარვაშიძეები აწყობენ

---

<sup>1</sup> აქტები, ტ. X, 256.

<sup>2</sup> საქ. ცსსა, ფ. 1087, საქმე 57, ფურცელი 110.

აჯანყებას და იკავებენ სოფელ ფახულანს. აჯანყება ჩაახშვეს და მისი მეთაურები რუსეთს გადაასახლეს. ამას მოყვა ლევან შარვაშიძის აჯანყება, მაგრამ ისიც სამეგრელოს მილიციის დახმარებით ჩაახშვეს.<sup>1</sup> დადიანსა და შარვაშიძეებს შორის სამურზაყანოსათვის ატეხილ დაუსრულებელ დავას მოხერხებულად იყენებდა რუსეთი და ელოდებოდა მომენტს, ოფიციალურად გაეუქმებინა სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები. ასეთი ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა 1857-1867 და 1864 წლებში და იგი სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროს გაუქმებით დასრულდა. ამ ვითარებაში სადაო არც ერთ მხარეს უკვე აღარაფერი დარჩა. მეტროპოლია თანდათანობით ახდენდა კოლონიის პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიკურ ათვისებას.

*Lia Gulordava*  
*Akaki Tsereteli State University*  
**BATTLE BY THE GOVERNMENT OF  
SAMURZAKANO AND ODISHI  
TRANSMITTING ITS OWN HISTORY TO RUSSIA  
RESUME**

At the beginning of the nineteenth century Russia carefully observed the constant tension among kingdoms with each other in Western Georgia. It was looking for the right moment to carry out expansion in Western Georgia. In 1840 Russia, after a forty year old attempt, managed to take Samurzakano away from Samegrelo and the centre became Okumi instead of Bedia. Odishi governor protested accepting

---

<sup>1</sup> აქტები, ტ. X, 256.

Russian government in Samurzkano and requested Dadiani – the real owner to be in Samegrelo. But Russia paid twenty-five thousand silver instead of Samurzakano. So next politically disappointed and empty – handed victim was Dadiani by cruel Russian politics.

*მირიან თვალთაშვილი, დარეჯან მაისურაძე*  
*იაკობ გოგებაშვილის სახელობის*  
*თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-  
განმათავისუფლებელი ბრძოლის დისკრედიტაციის მცდელობა  
ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ**

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობისა და ანექსიის გამო, საქართველოს დემოკრატიული მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ემიგრაციაში წასვლის წინ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ბათუმში ჩაატარა პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვით გამოსული ჟორდანია და სხვა პარტიული ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ, რომ დროებით ტოვებდნენ საქართველოს და შესძლებდნენ ევროპის სახელმწიფოების საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, აგრეთვე ქვეყნის შიგნით ეროვნული ძალების მობილიზებით, ოკუპანტების განდევნას და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას.

საქართველოსა და კავკასიის ანტისაბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა 1921 წლის 9 ნოემბრის თათბირზე აირჩიეს სამხედრო კომისია, რომელსაც ევალებოდა კავკასიაში აჯანყების მომზადება, ბოლშევიკების კავკასიიდან განდევნა და სამართლიანობის აღდგენა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიების აზრს იზიარებდნენ და საჭიროდ მიიჩნიეს მათთან ერთად ემოქმედათ სხვა ანტიბოლშევიკურ პარტიებს. საქართველოს დემოკრატიული პარტიების გაერთიანებული ორგანოს ფუნქციებს საზღვარგარეთ ასრულებდა ჯერ „დამფუძნებელი კრების კომისია“ და „პარტიათა წარმომადგენლობა“, რომელიც შემდეგ შეცვალა „პარტიულმა კოლეგიამ“, ეს უკანასკნელი კი შეცვალა „საზღვარგარეთულმა ბიურომ“. ასეთივე გაერთიანება მოხდა საქართველოში 1922 წლის აგვისტოში, როდესაც აქ შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტი“, იგივე „პარტიულ-ტული კომიტეტი“<sup>1</sup>.

საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოებამ და რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციამ, დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ნგრევამ გამოიწვია ანტისაბჭოთა მოძრაობა იმ კუთხეებსა და რეგიონებში, სადაც შეიქმნა სათანადო ობიექტური თუ სუბიექტური პირობები. ქართველობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელმაც დემოკრატიული საქართველოს პერიოდში მცირე ხნით მაინც იგრძნო დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების ბედნიერება, ძნელად ეგუებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ოკუპაციას და კომუნისტურ რეჟიმს.

კომუნისტების ნაჩქარევმა მოძრაობამ, კვლავ ერთიანი და ცენტრალიზებული გაეხადათ „მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკა“, რა თქმა უნდა, გამოიწვიეს სამშობლოს ჭეშმარიტი და ერთგული შვილების პროტესტი. მათ არა მარტო ხმა აიმაღლეს დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის იგნორირების გამო, არამედ ისინი იარაღდებოდნენ და პარტიზანულ ბრძოლებს უმართავდნენ ოკუპანტებს. პარტიზანულმა

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, 191

მოდრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო სვანეთში, კახეთსა და ხევსურეთში. ამ საქმეში უდიდესია საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების: სოციალ-დემოკრატების, განსაკუთრებით კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისა თუ რიგითი წევრების დამსახურება.<sup>1</sup>

1921 წლის მაისში უკვე იჩინა თავი გლეხთა ანტირეჟიმული მოძრაობის პირველმა ნიშნებმა სვანეთში აჯანყებულმა სვანებმა მისასვლელი გზები გადაუკეტეს წითელი არმიის ნაწილებს. მიმდინარეობდა მოსახლეობის შეიარაღება და მზადება ქუთაისზე გალაშქრებისათვის. სვანეთიდან აჯანყება რაჭა-ლეჩხუმსაც გადაედო. მოსალოდნელი იყო დასავლეთ საქართველოს ერთიანი ამბოხი. სექტემბერში სვანთა შეიარაღებულმა რაზმებმა განაიარაღეს იქ მდგარი რუსული სამხედრო ნაწილები. სვანების გამოსვლა შინა გამცემლობის გამო დამარცხებული და ჩახშობილი იქნა.<sup>2</sup>

სვანეთის აჯანყების პარალელურად მიმდინარეობს მზადება და გამოსვლები კახეთსა და ხევსურეთში, ამ აჯანყებას უკვე „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „სამხედრო კომისია“ ხელმძღვანელობდა. უშუალო მესვეური აჯანყებისა იყო ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ოფიცერი, რომელიც ემიგრაციაში არ წავიდა, 1921 წლის გაზაფხულიდანვე ძლიერი რაზმი ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა გამოსვლებს კახეთსა და ხევსურეთში. პარტიზანული ბრძოლები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებებით გამოირჩეოდა. მაგრამ პარტიული კინკლაობის შედეგად თავი იჩინა ჩოლოყაშვილის რაზ-

---

<sup>1</sup> რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2008, 401

<sup>2</sup> ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991, 252

მების საბრძოლო მოქმედებაში გათიშვამ. ასევე შინაპარტიული კინკლაობის გამო დაიშალა ფავლენიშვილის პარტიზანული რაზმი ზემო დუშეთში.

პარტიათა გათიშულობამ მწვავე ხასიათი მიიღო, აჯანყებამ წარუმატებლობა განიცადა – რასაც მოჰყვა სამხედრო ცენტრის ჩავარდნა. 1923 წლის 19 მაისს სამხედრო ცენტრის წევრები და ეროვნული მოძრაობის სხვა მესვეურები – 15 კაცი დახვრიტეს.<sup>1</sup>

1921-22 წლების აჯანყებები სვანეთში და კახეთში სტიქიურობით ხასიათდებოდა, სამწუხაროდ, იგი საყოველთაო ორგანიზებულ მოძრაობაში ვერ გადაიზარდა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „სამხედრო ცენტრი“ ითვალისწინებდნენ წარსულის შეცდომებს, ემზადებოდნენ საყოველთაო შეიარაღებული გამოსვლებისათვის.

თავის მხრივ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა გაეანალიზებინა მოვლენები და გაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რაც შესაძლებელს გახდიდა ახალი, ანტისაბჭოთა გამოსვლის მძლავრი ტალღის თავიდან აცილებას.

ხელისუფლება ცდილობდა ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის დისკრედიტაციას. ბოლშევიკები, რუსული წითელი არმიის მიერ დემოკრატიული საქართველოს დაპყრობას და ანექსიას ასაღებდნენ ქართველ მშრომელი ხალხის რევოლუციად. რაც შეეხება სვანეთის, კახეთისა და ხევსურეთის აჯანყებებს, მას ერთი მუჭა რეაქციული თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის მიერ პროვოცირებულ ავანტურად ნათლავდნენ. თუმცა აქვე აღნიშნავდნენ, რომ არსებობდა გარკვეული ობიექტური მიზეზებიც, რაც მოსახლეობის მცირე ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა და

---

<sup>1</sup> ა. სურგულაძე, ვ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991, 253

ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა უკმაყოფილო ხალხის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისათვის.

ბოლშევიზმის იდეოლოგიები და ლიდერები ანტისაბჭოთა, მათი ფორმულირებით „კონტრევოლუციური“ გამოსვლების რამდენიმე მიზეზი არსებობდა. საქართველოში „სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ თითქმის ხელუხლებელი დარჩა კონტრევოლუციის რეზერვები, „რევოლუციურმა ხელისუფლებამ“ ამნისტირებულად გამოაცხადა ყველა ანტისაბჭოთა პარტია, რომლებმაც გააჩაღეს „კონტრევოლუციური“ საქმიანობა.

ბოლშევიკები ცდილობდნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ქართველი ხალხის ბრძოლა ვიწრო სოციალური ბრძოლის ჩარჩოებში მოექციათ და კლასობრივ ბრძოლად მონათლათ.

მრეწველობის სოციალისტურმა ნაციონალიზაციამ, რევოლუციურმა აგრარულმა რეფორმამ და ეროვნული საკითხის ინტერნაციონალისტურმა გადაჭრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაააქტიურა დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნადგურებელი მემამულურ-ბურჟუაზიული კლასები და მათი პოლიტიკური პარტიები. ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ერთგვარი ეკონომიკური ძალა შემატა ექსპლოატორულ კლასებს. პოლიტიკურად გაააქტიურა სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზია, ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც სათავეში ედგა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას ბურჟუაზიასა და მემამულეთა-ვადაზნაურობის წინააღმდეგ, გარკვეულ წილად ჯერ კიდევ ერთიან, მონოლითურ ძალას არ წარმოადგენდა, რადგან პარ-

ტიის შიგნით გარკვეული იდეური უთანხმოება და შინაპარტიული წინააღმდეგობები არსებობდა.<sup>1</sup>

საქართველოს კომუნისტური პარტიის შიგნით წინააღმდეგობებს და სისუსტეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიები შემდეგნაირად ხსნიდნენ: „საქართველოს ეკონომიკური განვითარების წვრილბურჟუაზიული ხასიათი, მძლავრი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია და მენშევიკური მთავრობის მიერ შოვინიზმით მოწამლული ატმოსფერო, დამხობილი, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუნადგურებელი კლასები და ანტი-საბჭოთა პარტიები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს საქართველოს კომუნისტური პარტიის განმტკიცებას“.<sup>2</sup>

მართალია ბოლშევიკები და მათი იდეოლოგიები საჯარო გამოსვლებში თუ პრესაში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს, ბანდიტებსა და ყაჩაღებს უწოდებდნენ, ერთი მუჟა „რეაქციული“ თავადაზნაურებისა და გზას აცდენილი „შეუგნებელი“ ბობოლა გლეხებისა და „დამნაშავეების“ ბანდიტური დაჯგუფებების ყაჩაღურ მოქმედებად ნათლავდნენ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, ეღიარებინათ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და მათ შორის ახალგაზრდობაც, ეროვნულ პოზიციებზე იდგა, მხარს უჭერდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას.

საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ ახალგაზრდობის საკმაო ნაწილი, მათ შორის მოსწავლეებიც აქტიურად აწარმოებდნენ გამოსვლებს. საბჭოთა ხელისუფლება ამ ახალგაზრდებს „მოტყუებულებს“ უწოდებდა. ამ ე.წ. „მოტყუებულმა ახალგაზრდებმა

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, 183.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976, 183.

მოაწყვეს გამოსვლები: 1992 წლის 11 თებერვალს საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის წლისათვის, ხოლო 24 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 4 წლისთავის გამო.<sup>1</sup>

ამ გამოსვლებს „წითელი ხელისუფლება“ კონტრევოლუციურსა და უცხოელი იმპერიალისტების მიერ ორგანიზებულს უწოდებდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნულ მოძრაობას – დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ხელისუფლება სხვადასხვა ეპითეტებით ამკობდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოლშევიკური გაზეთი „კომუნისტი“ - თავის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებში ვკითხულობთ: „1922 და 1923 წლებში თავადაზნაურულ-კულაკურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა გურიაში. მენშევიკებმა და კულაკებმა სიცოცხლეს გამოასალმეს საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის ერთგული ადამიანები... საბჭოთა ხელისუფლებამ დამსახურებულად დასაჯა ანტისაბჭოთა გამოსვლის მეთაურები“<sup>2</sup>.

„1922 წლის მარტიდან თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების ტერიტორიაზე შეიქმნა შეიარაღებული რაზმები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით. მათ მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ჯერ საქართველოს მთიანეთში და შემდეგ კი მთელ საქართველოში. შეიარაღებულ რაზმებს სათავეში ჩაუდგა მეფისა და მენშევიკების ყოფილი ოფიცერი ქ. ჩოლოყაშვილი. დაიწყეს მშვიდობიანი მშრომელი მოსახლეობის დაწიოკება: იჭერდნენ და ხვრეტდნენ აქტიურ კომუნისტებსა და საბჭოთა მუშაკებს“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წლის 1 ივნისი.

<sup>2</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1923 წლის 18 თებერვალი.

<sup>3</sup> გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წლის 13 სექტემბერი.

ასეთი სტატიებით საბჭოთა ხელისუფლების მესვეურები ცდილობდნენ დაეშინებინათ ხალხი, თითქოს ქ. ჩოლოყაშვილი და მისი მეგობრები, აგრეთვე სხვა შეიარაღებული ძალები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, სამშობლოს თავისუფლებისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ თავისი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ, თითქოს მათი მიზანი ყოფილიყოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ცარისტული რეჟიმის აღდგენა. ხაზს უსვამდნენ, რომ ისინი იყვნენ ბანდიტები, მოქმედებდნენ როგორც ყაჩაღები, აწიოკებდნენ და ძარცვავდნენ მოსახლეობას.

ყველა მართლაც და ყაჩაღურ და მძარცველურ შემთხვევებს, რაც საქართველოში იმ დროს არც თუ იშვიათად ხდებოდა, თავისუფლებისათვის მეგობრულ პატრიოტებს მიაწერდნენ.

„31 მაისს ღამით 10 საათზე, იყალთოს რაიმილიციის მიერ ბანდიტებთან შეტაკების დროს იქმნა მოკლული მეწისქვილე სოფ. რუისპირში მცხოვრები ყაჩაღების აგენტი ლუარსაბ სამხარაძე“<sup>1</sup>.

„30 აგვისტოს მეცხვარე თუშები შეეტაკნენ ჩოლოყაშვილის ბანდის წევრებს ლუკა კვალიაშვილს და ვანო ყარაგოზიშვილს, რომლებიც ხანგრძლივ სროლის შემდეგ ზემოსხენებული მთავარი ბანდიტები იქმნენ მოკლულნი, რომლის დროს ერთი მწყემსთაგანი თუში ბანდიტების მიერ იქმნა მოკლული. 21 აგვისტოს ფშავლის რაიონის მილიციის უფროსმა შეიპყრო ბანდიტი ქავთარაშვილი, ბანდიტი ჩოლოყაშვილის მესაიდუმლე.“<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 285, საქმე 615, ფურც. 60, გვ. 2

<sup>2</sup> იქვე, ფურც 114, გვ. 1-2

„ორმა შეიარაღებულმა გაცარცვეს ფშავლის რაიონში მოქ: ნიკო თურქესტანიშვილი, სანდრო სარქისოვი, შაქრო გვერდელაშვილი, გიორგი ბოლქვაძე, დავით საგინაშვილი, გეურქ ტერ-მარტირუხოვი და ალექსანდრე ნონიაშვილი, რომლებსაც წაართვეს სხვადასხვა ნივთები და ფულები“<sup>1</sup>.

„ამა წლის 14 მაისს (1921წ. მთ) დილით გამოენები-სას ხევსურეთში მოგვიხდა შეტაკება ბოროტმოქმედ პირებთან, (ბანდიტებთან), სადაც სროლაში მოგვიკლეს თელავის ჩონის უფროსი მამია ერისთავი და დაგვიჭირეს საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომელი წერეთელი და მიმალნენ.

ბოროტმოქმედ პირების აღმოჩენაზე და მათ შეპყრობაზე ზომებია მიღებული, დევნა გრძელდება.

თელავის მაზრა-ქალაქის მილიციის უფროსი ჯაფარიძე“<sup>2</sup>.

მრავალი ასეთი მასალის მოტანა შეიძლება, რომელშიც ყველა ის შემთხვევა, რაც ხდებოდა არა მარტო კახეთში, არამედ მთელ საქართველოში, ყაჩაღობა და ძარცვა, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლებთან საბჭოთა ძალების შეტაკება, თუ სხვა, ინათლებოდა, როგორც ბანდიტობა, უდანაშაულო მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, კონტრევოლუციონერი ბანდიტების მიერ სისხლიან ანგარიშსწორებად.

ხელისუფლების ცდა ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის ზოგ შემთხვევაში თუ მიზანს აღწევდა, ამას დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია პატრიოტული სულისკვეთების მატარებელ ხალხზე, ისინი ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ, ძალებს იკრებდნენ და ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ოკუპაციური რეჟიმის დასამხობად.

---

<sup>1</sup> იქვე, ფურც. 116, გვ. 2

<sup>2</sup> იქვე, საქმე 619, ფურც. 136

### დამოწმებანი:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976.
2. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2008.
3. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, ტ. IV, თბილისი 2012.
4. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1991.
5. გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წლის 1 ივნისი
6. გაზეთი „კომუნისტი“, 1923 წლის 18 თებერვალი
7. გაზეთი „კომუნისტი“, 1922 წლის 13 სექტემბერი
8. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 285, საქმე 615, საქმე 619.

*Mirian Tvaliashvili, Darejan Maisuradze*

*Iakob Gogebashvili Telavi State University*

**AN ATTEMPT TO DISCREDIT THE NATIONAL  
LIBERATION FIGHT OF 20-IES XX CENTURY BY  
THE BOLSHEVIK GOVERNMENT  
RESUME**

Violent Sovietization of Georgia and country's occupation by the Bolshevik Russia, led to the anti-soviet movement in the areas and in the regions, where set up a proper objective and subjective conditions.

In May 1921, emerged the first signs of peasant anti-regime movement. In Svaneti parallel were preparations for the uprising and demonstrations in Kakheti and Khevsureti. At

the same time of uprising of Svaneti were preparing and demonstrations in Kakheti and Khevsureti.

During the 1921-22 years uprisings in Svaneti and Kakheti region were characterized with its disasters, it can not moved in to the `common organized movement.

"Committee of Independence" and the "Military center " took into account the mistakes of the past, were preparing for the general armed rallies.

For its part, the Soviet authorities tried to discredit the Georgian people's struggle for independence, for this purpose, the universal struggle for liberation they put it in the framework of narrow and social class struggle.

*მერაბ კალანდაძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის საკვანძო მომენტები**

ინგლისის რევოლუციამ მძლავრი სტიმული მისცა ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და მსოფლიო ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. იგი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ინგლისის რევოლუციის შეფასების დროს ისტორიკოსთა შორის ერთსულოვნება არასოდეს არ სუფევდა და გამოთქმულია მრავალი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მოსაზრება. ამ დავას საფუძველი უკვე ინგლისის რევოლუციის თანამედროვეებმა ჩაუყარეს და ეს აზრთა სხვადასხვაობა წითელ ხაზად გასდევს მთელს ისტორიოგრაფიას. ისინი პირობით ორ ბანაკად შეიძლება გავეყოთ: ინგლისის რევოლუციის მოწინააღმდეგეები და მომხრეები. რევოლუციის მოწინააღმდეგეების მთავარ ტონისმიმცემად ამ მოვლენის თანამედროვე გრაფი კლარენდონი მოგვევლინა. არისტოკრატიული ბანაკის წარმომადგენელი გრაფი კლარენდონი, ბუნებრივია, რევოლუციის უარყოფითად შეხვდა. მისი დამოკიდებულება ინგლისის რევოლუციისადმი მტრულია. ის ინგლისის რევოლუციას „უხამს შესვენებას“ უწოდებს და მიესალმება „სტიუარტთა ბედნიერ რესტავრაციას“. XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუგო ტრევორ-როპერი, კლარენდონის

მსგავსად, უარყოფითად ეკიდება ინგლისის რევოლუციას და ეჭვს ქვეშ აყენებს მის ისტორიულ მნიშვნელობას. „მე არ მჯერა, რომ რევოლუცია წარმატებით დაგვირგვინდა, რომ მან კარგი ნაყოფი გამოიღო“. ინგლისის რევოლუციის გააზრებისას დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციაზე დგას ცნობილი ფილოსოფოსი ტომას ჰობსი. ის ინგლისის რევოლუციაზე საკმაოდ მაღალი აზრისაა. აი რას წერდა იგი. „დროში ისე როგორც სივრცეში, რომ არსებობდეს სიმალეები, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უმაღლეს დროდ აღმოჩნდებოდა ის ეპოქა, რომელიც იყო 1640-1660 წლებში“.<sup>1</sup> ამიტომ ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გამოვარკვიოთ საქართველოში ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლამ რა სახეცვლილება, მეტამორფოზი განიცადა, რა ძირითად ეტაპებად შეიძლება დაიყოს ის. ფაქტობრივად, ეს არის საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის პერიოდიზაცია. თემა არის აქტუალური და საინტერესო. ამ თემის შესწავლა საშუალებას გვაძლევს არგუმენტირებულად, მეცნიერულად, გაგაბათილოთ, მთელი რიგი, მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალისხმევით, ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ფართოდ მოიკიდა ფეხი. ამგვარი წარმოდგენა მეტად პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და ჩვენ შევეცადეთ გაგვეწორებინა ეს შეუსაბამობა. ეს ამ კუთხით საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა.

\*\*\*

---

<sup>1</sup> А. Савин, Лекции по истории Английской революции. М., 1937. გვ. 5-44. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი I (1603-1642), თბ., 1979. გვ. 3-135.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ინგლისის რევოლუციის წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, და ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ამ კულტურტრევერულ მისიას მან, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. მთავარი სწორედ ეს უნდა იყოს. პროგრამა მინიმუმი შესრულებული იქნა, რაც ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებად მიგვაჩნია.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა იდეოლოგიის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა საქართველოში ინგლისის რევოლუციით დაინტერესების საერთო სურათი. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატა, რომ სავსებით იგნორირებული იყო ინგლისის რევოლუციის სწავლების და პოპულარიზაციის საქმეში 1918-1921 წლებში სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილი. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. რეალობა კი სულ სხვაგვარი იყო.

უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა, როდის იჩინა თავი საქართველოში ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა? საკითხი საინტერესოა და აქტუალური. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესებას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება ჩანდეს და სულაც არ ასოცირდება საბჭოთა რეალობასთან. საქართველოში ინგლისის რევოლუციაზე და მის ბელადზე პირველი სპორადული ცნობები XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება და თერგდალეულთა მოღვაწეობასთან ასოცირდება. მის მთავარ ტონისმიმცემად დიდი ილია ჭავჭავაძე გვევლინება. ეს დაინტერესება არ ატარებდა პირდაპირ ხასიათს და საკითხი ეხე-

ბოდა კრომველის მიერ ირლანდიის დაპყრობას<sup>1</sup> ინგლისის რევოლუციის და კრომველისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ამის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს. ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ ილია ჭავჭავაძე და XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკა ინგლისის რევოლუციის და მისი ბელადის ოლივერ კრომველის მიმართ ნეგატიურად იყო განწყობილი. ჩვენი აზრით, არა. მათი უემპაოფილება მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხით იყო განპირობებული და ამაში ისინი სავსებით მართალი იყვნენ. ეს არ უნდა გავავრცელოთ მთელს ინგლისის რევოლუციაზე და კრომველის მოღვაწეობაზე. კონკრეტულად ამ თემისადმი როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის გამო, ძნელი სათქმელია. მხოლოდ ამ მასალის მოპოვების შემდგომ შეიძლება ამ მასზე მსჯელობა.

ინგლისის რევოლუციას, ბუნებრივია, დიდი ადგილი ეთმობა ა. ბიკოვის სამეცნიერო-პოპულარულ წიგნში „ამბები ინგლისის ისტორიიდან“<sup>2</sup>, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოში ინგლისის რევოლუციის პოპულარიზაციის საქმეში. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ინგლისის რევოლუციაზე ქართულ ენაზე ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობდა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. თარგმნილმა ლიტერატურამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ინგლისის რევოლუციის პოპულარიზაციის საქმეში.

---

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო – თხზ. ტ. 9. თბ., 1928, გვ. 24-25. ვ. ღონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970, გვ. 104-105.

<sup>2</sup> ა. ბიკოვი, ამბები ინგლისის ისტორიიდან, თბ., 1901.

ამ უაღრესად მწირმა ინფორმაციამ, რომელიც 1918 წლამდე ინგლისის რევოლუციაზე გაგვაჩნდა საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების უვერტიურად გაიჟღერა და, ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი, პირობით საქართველოში ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესების შესავალად, წინაისტორიად, შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლა პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს და მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. აი ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის საკვანძო მომენტებად გვევლინება:

1. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში ინგლისის რევოლუციის მეცნიერული სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის აკვანი დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში დაირწა. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელი-სუფლებასთან როდი ასოცირდება.

საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას სულ ცოტა ხნის წინ გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVI-XVII სს), თბ., 1920. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო (XVI-XVIII სს), თბ., 1920. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები, თბ.,

ინგლისის რევოლუციის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება ნერგავდა, სწორი არ იყო. ამგვარი ხედვა სავსებით შეესატყვისებოდა ისტორიული მეცნიერების განვითარების საერთო დონეს XX საუკუნის დასაწყისში და ევროპული, პირველ რიგში კი, რუსული ისტორიოგრაფიის კეთილისმყოფელი გავლენის ლოგიკურ შედეგად გვევლინება.

ირაკვევა, რომ ქართული ისტორიოგრაფია ინგლისის რევოლუციის შესწავლის დროს სწორი გზით მიდიოდა მეცნიერულ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული და პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე აკეთებდა აქცენტს. საფიქრებელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა. ინგლისის რევოლუციით დაინტერესება საქართველოში სულ სხვა გზით წარიმართა, რომელიც, წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ.<sup>1</sup> ეს იყო საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის პირველი პერიოდი.

2. ინგლისის რევოლუციის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში – 1921-1991 წლები. სა-

---

1920. ვ. ლავისი, ახალი ისტორია, თარგმანი ტრ. რუხაძის, ქუთაისი, 1918.

<sup>1</sup> მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტის სათავეებთან, თბ., 2009. გვ. 76. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015. გვ. 22-23; გვ. 253-260.

კითხი არის ფრიად აქტუალური და საინტერესო. მისი ერთ-მნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ძალზე მნელა და სწორი არ უნდა იყოს.

ამ ეპოქის ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ეს ერთი უკიდურესობა იყო. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების გამო ამ შრომების მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და მეტად სწორხაზოვნად მიგვაჩნია. საჭიროა დაბალანსებული მიდგომა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესება მეცნიერულ ელფერს ინარჩუნებს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი, მონოპოლია. ინგლისის რევოლუციის მარქსისტული ინტერპრეტაცია აღიქმებოდა უკანასკნელ ჭეშმარიტებად. განსხვავებული აზრი იდევენებოდა, ითრგუნებოდა. ეს ჩიხური გზა იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღებიც, სწორედ, აქ ძევეს. მას მკვეთრად გამოკვეთილი კონცეფტუალური დატვირთვა გააჩნია.

ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, წინსვლა, აშკარაა და ამის უგულვებელყოფა, იგნორირება, სწორი არ იქნება. ამ შრომებში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია, უხვი ფაქტობრივი მასალა, მრავალფეროვანი წყაროები საინტერესოა, მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია, ზოლო

მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია, რომელიც ძალად მოახვიეს თავს ქართულ ისტორიაგრაფიას. ცხადია, მოძველებულია. მათ აიღეს სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავეს ის. ფართო არჩევანი არ არსებობდა. ეს იყო არჩევანი უარესსა და ცუდს შორის. ფსონი ამ უკანასკნელზე გაკეთდა. ეს იმ რთულ ვითარებაში ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. მას გააჩნდა თავისი პლიუსები და მინუსები. ამ კომპრომისის გამო მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. მაშინ ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც მშობლიურ ენაზე ინგლისის რევოლუციაზე გავგაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს<sup>1</sup>. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ინგლისის რევოლუციის ისტორიით დაინტერესების კულმინაციად, მწვერვალად, პროფ. გივი კილურაძის წიგნი „XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია“ (ორ ნაწილად) მიგვაჩნია. ის იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია<sup>2</sup>. ეს იყო საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის მეორე პერიოდი.

3. ინგლისის რევოლუციის შესწავლა პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში. საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების საქმეში მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება 90-იანი წლების დასაწყისი, როდესაც და-

---

<sup>1</sup> მ. კალანდამე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ასალი და უახლოესი ისტორიის კათედრა, VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015.

<sup>2</sup> გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი 1. თბ., 1979. წიგნი 2. თბ., 1983.

იმაღლა საბჭოთა კავშირი. დასრულდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ხანა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისუფლად ამოისუნთქა. მან დაიბრუნა სუვერენობა. აქედან იწყება საქართველოში ინგლისის რევოლუციის ისტორიის შესწავლის მესამე პერიოდი, რომელიც დღესაც გრძელდება. უმთავრესად აქცენტი კეთდება პოპულარიზაციაზე. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მან ასახვა ჰპოვა სასწავლო ლიტერატურაში. ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი ამოცანა ინგლისის რევოლუციის მარქსისტული სტერეოტიპების და შტამების დაძლევის მცდელობა გვევლინება. ამ ხანებში ინგლისის რევოლუციაზე გამოსული ლიტერატურა ამ პრობლემის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების პირველ მოკრძალებულ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ.

\*\*\*

დასკვნის სახით. საქართველოში მსოფლიო ისტორიის, კონკრეტულად ამ შემთხვევაში კი, ინგლისის რევოლუციის შესწავლის გაშუქების დროს ჩვენ სრულიად სხვა აქცენტები დავსვით, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ შევეცადეთ ამ თემის დეპოლიტიზაციას და დეიდეოლოგიზაციას, რაც ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოური მიდგომისათვის. ვცადეთ გაგვეწორებინა საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის საერთო სურათი, რომელიც მარქსისტული იდეოლოგიის ძალისხმევით გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატა, რომ ამ საკითხის პოპულარიზაციის საქმეში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის 1918-1921 წლები, როლი ელმინირებული, ამოღებული, იქნა. ფაქტობრივად, სრულიად უგულებელყოფილი, იგნორირებული იყო, მივიწყების სქელმა მტკვერმა დაფარა. ამგვარი მიდგომა, ცხა-

დია, შემთხვევითი არ ყოფილა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. რეალობა სულ სხვაგვარია. დავაზუსტეთ საკითხის პერიოდიზაცია, რომლის მთავარ ამოსავალ წერტილად ამ სფეროში დამოუკიდებელი საქართველოს მიერ შეტანილი წვლილის რეანიმაცია გვევლინება.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ 1. საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ინგლისის რევოლუციის შესწავლის, პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა, თავი იჩინა, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ სულ ცოტა ხნის წინ, არამედ გაცილებით უფრო ადრე ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. იმ ხანებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. აღნიშნული პრობლემით დაინტერესებამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირატესად, ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის საუკეთესო მიღწევებზე აკეთებდა აქცენტს და პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის პირველი სიმპტომები, კონტურები, წანამძღვრები. ამ მონაკვეთის ისტორიული მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

2. ყველა სიკეთე მხოლოდ საბჭოთა პერიოდის საქართველოსთან როდი ასოცირდება. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, რა თქმა უნდა, ინგლისის რევოლუციის, შესწავლის აკანნი დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში, დაირწა. ქართული ისტორიოგრაფია, აღნიშნული პრობლემის შესწავლის დროს სწორი გზით მიდიოდა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქცენტს ლიბერალურ ღირებულებებზე აკეთებდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს იმ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. საფიქრებელი იყო, რომ ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ასე არ მოხდა. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ – ეს სულ სხვა გზა იყო.

3. საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლა, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა იდეოლოგია გვიმტკიცებდა. მან საინტერესო მეტამორფოზი განიცადა. ლიბერალური ღირებულებებიდან მარქსიზმისაკენ და შემდეგ კი, პირიქით, მარქსიზმ-ლენინიზმიდან თავისუფალი აზროვნებისაკენ. თავდაპირველად, ის პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის, ჩარჩოებში თავსდებოდა, შემდგომ მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირატესად, პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, კიდევ უფრო შემდეგ ამ საკითხით დაინტერესების სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი ღრმავდება, მაგრამ ის ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი მარქსისტული იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი, მყარდება. დღეს ქარ-

თული ისტორიოგრაფია ცდილობს კვლავ დაუბრუნდეს მეცნიერულ ღირებულებებს.

4. საქართველოში ინგლისის რევოლუციის შესწავლის კულმინაციად საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პრობლემის გაშუქება კი არ მიგვაჩნია, არამედ სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება.

#### **დამოწმებანი:**

1. А. Савин, Лекции по истории Английской революции, М., 1937.
2. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი 1. თბ., 1979.
3. ი. ჭავჭავაძე, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო, თხზ., ტ. 9. თბ., 1928.
4. ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970.
5. ა. ბიკოვი, ამბები ინგლისის ისტორიიდან, თბ., 1901.
6. დ. უზნაძე, ი. გველესიანი, ახალი ისტორია (XVI-XVII სს). თბ., 1920.
7. ს. ავალიანი, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო. (XVI-XVIII სს), თბ., 1920.
8. თ. ჭუმბურიძე, ახალი ისტორია, ქუთაისი, 1920.
9. ა. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 3. ახალი საუკუნეები, თბ., 1920.
10. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტისკის სათავეებთან, თბ., 2009.

11. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
12. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII ყოველწლიური კონფერენცია. თბ., 2015.
13. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წიგნი II. თბ., 1983.
14. მ. კალანდაძე, ახალ ამპლუაში – „რუბიკონი“, №30 მარტი. 1993.

***Merab Kalandadze***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**KEY MOMENTS OF THE ENGLAND REVOLUTION  
STUDIES IN GEORGIA  
RESUME**

In Georgia there is a tradition of the English Revolution studies. This process had several periods. In fact this is the theme of periodization. It is the first attempt to coverage of the issue from this perspective.

England Revolution studies in Georgia can be divided into three periods. Key moments of the England Revolution studies in Georgia, are:

In Georgia the first fragmental information around the England Revolution appears in the second half of the 19th

century. This interest toward the topic sounded like overture of the England Revolution studies in Georgia and stretch until 1918. In our view, this period can be best considered as growing of the interest toward the England Revolution in Georgia.

The interest toward this issues and first attempts of academic research was in sovereign Republic of Georgia, during 1918-1921.

The second period is the England Revolution studies in the Soviet Georgian historiography (1921-1991) - the culmination of this interest was professor G.Kighuradze's book - "England's 17th Century Revolution".

The third period is research of this issues in post-Soviet Georgian historiography, which continues till today.

We put forward completely different accents, which allows us to cancel a number of Marxist stereotypes. A. Improve the overall picture of the England revolution in Georgia, which by the Soviet government's efforts have been distorted. Presented new perspective of periodization. B. The first serious symptoms toward this issue in Georgia became evident, not in a Soviet Georgian historiography, as it was claimed, not long ago, but rather earlier, in the sovereign Republic in the years 1918-1921. At that time release of the first national textbooks on New History, we think, should be a clear illustration of our above-mentioned opinion.

C. We think that England Revolution studies, does not carry such a monotonous character, as it was emphasized by the Soviet ideology. It has undergone an interesting evolution from the liberal values of to Marxism and contrary from Marxism -Leninism to the liberal thought. D. Best period of the England revolution studies in Georgia is not Soviet

Georgian historiography, but historiography of the sovereign Georgian Republic (1918-1921).

Research of the World History and the England Revolution as well in Georgian historiography evolved in right way according western academic standards, but then, largely because of his political cataclysms in different directions It is difficult to consider that this was a step forward, the continuation of the original path.

*ივორ კეკელია*  
*მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის*  
*შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი*

**სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიის საკითხები**  
**იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიაში**

ცნობილი გერმანელი გამომცემლისა და წიგნებით მოვაჭრის – იოჰან ჰაინრიხ ცელლერის (1706-1751 წწ.) სახელს უკავშირდება ლაიფციგსა და ჰალეში პირველი სრულყოფილი გერმანულენოვანი ენციკლოპედიის 64 ტომად გამოცემა. მისი სახელწოდებაა „დიდი უნივერსალური ლექსიკონი მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგისათვის“. მასში საქართველოს თემატიკისადმი მიძღვნილი 35 სტატიაა შესული. საქართველოს შესახებ ენციკლოპედიაში დაცული ინფორმაცია ქართველი მკვლევრებისა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს, გერმანული ენიდან თარგმნეს და სათანადო საკვლევი აპარატურითურთ გამოაქვეყნეს **თამაზ გოგოლაძემ** და **გოჩა საითიძემ**<sup>1</sup>. მთარგმნელთა შეფასებით, „იოჰან ჰაინრიხ ცელლერის უნივერსალური ლექსიკონი მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ენციკლოპედია და, ამავე დროს, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი საგამომცემ-

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 14, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2011, 535-569.

ლო პროექტია, რომელიც მთლიანობაში 68 000 გვერდს და 290 000 სტატიას შეიცავს<sup>1</sup>.

იოჰან ჰაინრიხ ცელლერი 1706 წლის 7 იანვარს დაიბადა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში (მისი გერმანული სახელწოდებაა რესლაუ). მამამისი იოჰანი მეწადე იყო. საგამომცემლო საქმე ვროცლაველ წიგნებით მოვაჭრესთან – ჰანს ბრახფოგელთან ბავშვობაში შეუსწავლია. 1726 წლიდან ქალაქ ფრაიბურგში ცხოვრობდა, სადაც ცოლად შეირთო ადგილობრივი გამომცემლის, დავით რიხტერის და დოროთეა (1695-1755 წწ.). ამავე ქალაქში ცოლისა და ცოლისძმის დახმარებით დააარსა საკუთარი გამომცემლობა და გამოსცა რამდენიმე წიგნი. 1727 წელს მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ლაიფციგში, რაც მაშინდელი ევროპის ერთ-ერთ უმთავრეს საგამომცემლო ცენტრს წარმოადგენდა. აქაც ცელერს საკუთარი გამომცემლობა და წიგნების მაღაზია ჰქონდა. საგამომცემლო საქმეში მის პირველ სერიოზულ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს 1728 წელს მარტინ ლუთერის თხზულებათა თერთმეტტომეულის გამოცემა.

1730 წლის 26 მარტს ახალი საგამომცემლო პროექტის, პირველი გერმანული სასაუბრო ლექსიკონის („დიდი სრული უნივერსალური ლექსიკონი მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგისთვის“) დაარსების შესახებ ცელერის განცხადებამ მისივე ლაიფციგელი კონკურენტების პროტესტი გამოიწვია, რაც ქალაქ ჰალეში ცელერის საცხოვრებლად გადასვლის მიზეზი გახდა. 1731 წლის 6 აპრილს ადგილობრივი უნივერსიტეტის კანცლერის – იოჰან პეტერ ფონ ლუდევიგის დახმარებით „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის (შემდგომში უნგრეთისა და ბოჰემიის მე-

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 535.

ფისა და ავსტრიის ერცჰერცოგის) – კარლ VI ჰაბსბურგი-საგან (1685-17400 წწ.) უნივერსალური ლექსიკონის დაბეჭდვის ნებართვა მიიღო<sup>1</sup>.

ცელლერი საგამომცემლო პროექტის დანიშნულებას გადმოგვცემს ენციკლოპედიის საკმაოდ ვრცელ სათაურში. გამომცემელი აღნიშნავს, რომ ენციკლოპედიაში შესულია ყველა სახის ინფორმაცია, რაც „აქამდე ადამიანის გონებას შეუქმნია და შეუსწორებია“. ენციკლოპედიაში შესულია დედაძმის გეოგრაფიულ-პოლიტიკური აღწერა, ასტრონომიული და ისტორიულ-გენეალოგიური ცნობები, ასევე სტატეები წესჩვეულებების, ზღვაოსნობის, ნადირობის, თევზაობის, მადნის მოპოვების, მეღვინეობის, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის შესახებ. ენციკლოპედიით მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა გვექმნება ეკლესიის ისტორიის, საეკლესიო პირთა, წმინდა მოწამეთა, სექტანტთა და მწვალებელთა შესახებ. მასში წარმოდგენილია ინფორმაციები გამოჩენილი სწავლულების, უნივერსიტეტების, აკადემიების, საზოგადოებებისა და მათი აღმოჩენების, აგრეთვე, მითოლოგიის, ნუმისმატიკის, ფილოსოფიის, მათემატიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ და ა. შ<sup>2</sup>.

ცელლერი 45 წლის ასაკში, 1751 წელს, ლაიფციგში გარდაიცვალა<sup>3</sup>. უნივერსალურ ლექსიკონში საქართველოს თემატიკაზე საკითხების დამუშავება-შესწავლა და სტატეების სახით შეტანა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ XVIII საუკუნის

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 536-537.

<sup>2</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 537-538.

<sup>3</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 538, და იქვე დასახელებული ლიტერატურა.

პირველ ნახევარში დასავლეთი ევროპა გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა ჩვენი ქვეყნის მიმართ. ევროპელ მკვლევრებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე. „აღნიშნული თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესო სურათს ვიღებთ: ირკვევა, რომ ევროპელი მკვლევრებისთვის ცნობილი იყო ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორების..., აგრეთვე რამდენიმე ბიზანტიელი ავტორის... თხზულებებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ“<sup>1</sup>.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცედლერის ენციკლოპედიაში **სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ შესულმა ცნობებმა**. სამეგრელოს სამთავროსადმი მიძღვნილი სტატიის დიდი მოცულობა, არანაკლები მნიშვნელობის მქონე სხვა სტატიებთან („საქართველო“, „ქართლი“, „იმერეთი“...) შედარებით, ცედლერის ქართულ ენაზე მთარგმნელთა მართებული აზრით, „დამოკიდებული იყო არა იმდენად დასამუშავებელი საკითხის მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, თუ რა რაოდენობის ფაქტობრივ მასალას ფლობდნენ ავტორები ამა თუ იმ სტატიის დაწერისას“<sup>2</sup>.

სამეგრელო (Mingrelien, Mengrelien, Mengrellie, Mingrelia), ცედლერის საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით, მხარეა საქართველოში, რასაც ამჟამად **ოდიში** ჰქვია, ძველად კი **კოლხეთს** უწოდებდნენ. აღმოსავლეთით გურჯისტანი საზღვრავს, დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილოეთით – აფხაზეთი, სამხრეთით – ოსმალეთი. სამეგრელო მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიის მთიანეთის მახლობლად. იგი სამ პროვინციას – იმერეთს, გურიასა და **სადადიანოს**, ანუ

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 538-539.

<sup>2</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 539.

საკუთრივ **სამეგრელოს** აერთიანებს. პირველი სამეგრელოს აღმოსავლეთით მდებარეობს, მეორე – სამხრეთით, მესამე კი – ჩრდილოეთით<sup>1</sup>.

გურჯისტანში, რაც ოდიშის (სამეგრელოს) აღმოსავლეთით მდებარე მოსაზღვრე მხარედ არის მითითებული, როგორც ჩანს, სტატიის უცნობი ავტორი იმერეთის სამეფოს გულისხმობს. თვით იმერეთისადმი (Imerette, Imeretia) მიძღვნილ სტატიაში კი აღნიშნულია, რომ ამ სამეფოს გეოგრაფები სამეგრელოს ნაწილად თვლიან. ოსმალები ამ მხარეს ფაშატუხს უწოდებენ. იმერეთის პატარა სათავადოს გარს აკრავს კავკასიონის მთები, კოლხეთი, ანუ ე.წ. სამეგრელო, შავი ზღვა, გურიის სათავადო და საქართველო, ანუ გურჯისტანი<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup>**გოგოლაძე თ., საითიძე გ.,** იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 551. სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელწოდება იყო **კოლხიდა**, ხოლო **კოლხი** შავიზღვისპირეთში მცხოვრები ქართველების საერთო სახელი იყო. ძვ. წ. VIII ს-ის ურარტულ წყაროებში მოიხსენიება „კოლხა“. ძვ. წ. VIII ს-იდან არსებულ კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ახ. წ. II ს-დან აღმოცენდა **ვერისის სამეფო**. ვახუშტი ბატონიშვილთან ქორონიმი მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული: ქალაქ ვერისის „სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარილო ოქროს რუნი, ანუ საწმისი“. იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973. ევროპულ წყაროებში მოიხსენიება „კოლხიდა“. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ძველი პოეტებისაგან ფრიად სახელგანთქმული კოლხიდა არის აზიის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის უკიდურეს ნაპირზე და რომელსაც მკვიდრნი უწოდებენ ოდიშს და სხვები სამეგრელოს“. იხ. **ლამბერტი ა.,** სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, 101.

<sup>2</sup>**გოგოლაძე თ., საითიძე გ.,** იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 545.

სტატიაში ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთის საზღვრად აფხაზეთის მიჩნევა არასწორია: აფხაზეთის სამთავრო ოდიშის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, ხოლო ჩრდილოეთით ოდიშს სვანეთი ესაზღვრებოდა. თვით აფხაზეთისადმი მიძღვნილ მცირე სტატიაში აღნიშნულია, რომ მხარე ამ სახელწოდებით (Abascia, Avogasie, Abassa, Abasgia) სამეგრელოს, ჩერქეზეთსა და შავ ზღვას შორის მდებარეობს და ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გააჩნია<sup>1</sup>. უფრო დაწვრილებითი ცნობა, თუ სად გადიოდა ოდიშ-აფხაზეთს შორის გამყოფი ხაზი, ენციკლოპედიაში სხვაგან არის მოცემული.

ასევე მცდარია სამეგრელოს ადგილმდებარეობის მითითება ჩრდილო-აღმოსავლეთით, კაკასიის მთიანეთის მახლობლად. თუკი ავტორს ორიენტირად ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი — იმერეთი აქვს აღებული, მაშინ სამეგრელო იმერეთის დასავლეთით მდებარეობს და მათ შორის საზღვარი XVIII საუკუნეში ძირითადად ცხენისწყალზე გადიოდა. თუკი ორიენტირი გურიის სამთავრო, ანუ, ენციკლოპედიის მიხედვით, ოსმალეთია, სამეგრელოს მდებარეობის მითითება ჩრდილო-აღმოსავლეთით არც ამ შემთხვევაში იქნება მართებული, ვინაიდან გურია სამეგრელოს სამხრეთიდან ესაზღვრება.

გურიის შესახებ ენციკლოპედიაში მოთავსებული მცირე მოცულობის სტატიის ავტორისათვის ცნობილია, რომ გურიის პროვინცია (Guriel, Guria), რომლის მთავარიც ოსმალეთის სულთნის ვასალია, ესაზღვრება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და მდ. ფაზისიდან (რიონი) გონიოს ციხემ-

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., სათითოე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 542.

დეა გადაჭიმული<sup>1</sup>. მაშასადამე, ოსმალეთის დაქვემდებარებაში მყოფი გურია მდინარე ფაზისით იმიჯნებოდა მის ჩრდილოეთით მდებარე ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროსაგან.

სტატიის ავტორის ცნობა, რომ სამეგრელო სამი პროვინციისგან შედგება, როგორც მთარგმნელთა კომენტარში სამართლიანადაა მითითებული, შეცდომაა – იმერეთი და გურია სამეგრელოს, ანუ სადადიანოს პროვინციებს კი არ წარმოადგენდა, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები იყო. იმერეთი სამეფოს, ხოლო გურია სამთავროს წარმოადგენდა<sup>2</sup>.

სტატიაში ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება: სამეგრელოში, რაც თითქმის მთლიანად ტყითაა დაფარული და ჰავაც ზომიერია, ხშირად წვიმს. დაბინძურებული ჰაერი მოსახლეობისთვის მძიმე ასატანია და ზაფხულობით ხშირად შავი ჭირის გავრცელების მიზეზი ხდება. მცხოვრებლები 60 წელზე მეტხანს იშვიათად ცოცხლობენ. სამეგრელოში ჩასული უცხოელები ერთი წლის განმავლობაში მთლად ყვითლდებიან და სუსტდებიან. სტატიის ავტორი ჩამოთვლის მდინარეებს, რომლებიც კავკასიის მთიანეთში იღებენ სათავეს და შავ ზღვას

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 543. XVI-XVII საუკუნეებში ოსმალეთის სახელმწიფომ შეძლო საქართველოსთვის სამცხე-საათაბაგოს, ჭანეთის, აჭარისა და ქვემო გურიის ჩამოცილება და ოსმალეთის დანერგვა. XVIII ს-ის დასაწყისიდან ოსმალეთის გარნიზონი უკვე იდგა საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქებში. ეს ქალაქები ოსმალთაგან ტყვეთა ვაჭრობის სადგურებად იქცა. მსჯელობისათვის იხ. **ღუმბაძე მ.**, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება). თბ., 1957, 23-24.

<sup>2</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 566.

ერთვიან. ესენია: **ფაზისი** ანუ **რიონი**, **ენგური** (ლათ. **ასტოლ-ფუსი**), **კელმჰელი** (ლათ. **ქობუსი**), **ჭანისწყალი** (ლათ. **კიანე-უსი**), **ტეხური** (ლათ. **სიგამე**), **ცხენისწყალი** (ძველად **ჰიპუსი** ან **აბაშია**), **ყვირილა**, **ხობისწყალი**, **ოქუმი**, **ეხალისი** და **მოქვისწყალი**<sup>1</sup>.

ძველი კოლხეთის ჰიდრონიმთა შესახებ ცნობები ამოღებულია ძველ ბერძენ და ლათინულ ავტორთა ნაშრომებიდან. ზოგიერთი მდინარის ლოკალიზაციის შესახებ დღემდე აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა. ფაზისისა და რიონის იგივეობა ეჭვს არ იწვევს (*Fasso, Rione*)<sup>2</sup>.

სტატიაში დასახელებული **Cadurs** თანამედროვე მდ. კოდორია. XIII-XV საუკუნეებში მოღვაწე ევროპელი კარტოგრაფები – გრაციოზო ბენინკაზა, ფრედუჩე დ'ანკონე და სხვანი საზღვაო რუკებზე აღნიშნავენ კონცხს – **Coto//Cotto** და მდინარეს – **Coto//Cotto//Coro**<sup>3</sup>. დიეგო ჰომემის მიერ 1559 წელს შედგენილ შავი ზღვის რუკაზეც მდინარის სახელწოდებად მითითებულია **Coto**<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup>ეოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552.

<sup>2</sup>აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, რომ „თვით ფაზის-რიონის შესატყვისობა იმდენად ცნობილია, რომ აქ საჭირო აღარ არის ამაზე სიტყვის გაგრძელება. ცნობილია ისიც, რომ ფაზისი, ძველთა გაგებით, დღევანდელ რიონს მთლიანად არ ჰფარავს. ქუთაისს ზემოთ ფაზისად ძველი მწერლები უკვე ყვირილას სთვლიან“. იხ. **ჯანაშია ს.**, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. შრომები, VI, თბ., 1988, 268. დავით და კონსტანტინეს მარტიროლოგი განმარტავს: „მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“. იქვე, 269-270.

<sup>3</sup>მსჯელობისათვის იხ. **ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., ზორავა ბ.**, საქართველოს ისტორიული ატლასი. I. აფხაზეთი. თბ., 2013, 45-47, 97.

<sup>4</sup>**ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., ზორავა ბ.**, საქართველოს ისტორიული ატლასი, 48, 96.

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს შედგენილ სამეგრელოს რუკაზე აღნიშნავს მდინარეს **Coddors**-ის, **Corax**-ისა („**Coddors fe olim Corax**”) და **Corace**-ს ფორმით<sup>1</sup>. ლამბერტის თქმით, აყველაზე უკანასკნელი მდინარე არის **კოდორი**, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) **კორაქსი**, რადგან კოლხიდის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრით ფაზისი და მეორეს მხრით – კორაქსი“<sup>2</sup>.

ჟან შარდენის მიერ 1672 წლის რუკაზეც მდინარის სახელწოდებად აღნიშნულია „**Coddor f. ant Corax**”<sup>3</sup>. ნიკოლას ვიტსენიც (1641-1717 წწ.) შავი ზღვის რუკაზე აღნიშნავს ამ მდინარეს, რასაც მიწერილი აქვს **Koddors aut Corax**. ნარატიულ წყაროთა მონაცემები კი ასეთია: ბერძენი გეოგრაფოსი კლავდიუს პტოლემეაიოსი (ახ. წ. II ს.) კოლხეთის ქალაქების განლაგებას გეოგრაფიული კოორდინატებით გადმოგვცემს და შენიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოედინება დიდი მდინარე **კორაკი**. კოდორი აფხაზური **კოდრ?** (**კუდრ?**), **კორაქ** და ამ უკანასკნელიდან მომდინარე **კორაქს** ავტორთა მიერ ერთი და იმავე მდინარის პარალელურ ვარიანტებადაა მიჩნეული. ძვ. წ. V საუკუნის ავტორის – ჰეკატე მილეთელის მიერ პირველად დასახელებული კორაქსების ტომი, კორაქსების კედელი და კორაქსების ქვეყანა ამ მდინარის აუზში მდებარეობდა<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup>ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., ზორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი, 53, 98.

<sup>2</sup>ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბ., 2011, 201.

<sup>3</sup>ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., ზორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი, 57.

<sup>4</sup>მსჯელობისათვის ვრცლად იხ. გვანცელაძე გ., კვლავ ჰიდრონიმ **კოდორის** ეტიმოლოგიისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII. თბ., 2015, 66-71.

ცელერის ენციკლოპედიაში დასახელებული ტერშენი (Tercken), ლათ. თაზირისი (Lat. Thassiris), მკვლევართა აზრით, მდ. მოქვისწყალი უნდა იყოს. ასე ეწოდება მდინარეს თანამედროვე ოჩამჩირის რაიონში; ერთვის შავ ზღვას<sup>1</sup>.

ფლავიუს არიანესთან (ახ. წ. II ს.) შავ ზღვაში ჩამავალი კოლხეთის მდინარეები ქალაქ ფაზისიდან სებასტოპოლისამდე (დიოსკურიამდე) შემდეგი თანმიმდევრობითაა დასახელებული: ფაზისი, ქარიენტი, ქობოსი, სინგამე, ტარსურა, ჰიპოსი და ასტელეფი. ლ. ელნიცკის, ნ. ლომოურის, ნ. კეჭალმაძისა და სხვათა მიერ დასაბუთებულია, რომ არიანესეული ფაზისი – რიონს, ქარიენტი – ხობს, ქობოსი – ენგურს, სინგამე – ოქუმ-ერისწყალს, ტარსურა – მოქვს, ჰიპოსი – კოდორს შეესატყვისება. ამ დასაბუთებაში მკვლევარი მამანტი პაჭკორია სადაოდ მიიჩნევდა მხოლოდ ქარიენტისა და ქობოსის ლოკალიზაციას. მას გაუგებრად ეჩვენება ის ფაქტი, თუ რატომ უნდა მიეღო ერთ მდინარეს, ამ შემთხვევაში – მდინარე ენგურს, მახლობელი მდინარის – ხობის, ანუ ხობოსის/ქობოსის სახელი<sup>2</sup>. მ. პაჭკორია იმოწმებს სიმონ ჯანაშიმსჯელობას მდ. ქარიენტისა და ქობის//ხობ-ის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. ქობ-ე თუ ხობ-ე, ს. ჯანაშიას აზრით, დღევანდელი ხობია. XV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ საბუთში მოხსენიებული კემხელი იგივე ხობია, რასაც პეისონელის შემდეგი ცნობაც ადასტურებს: „le Kobid

---

<sup>1</sup>ტარსურაზე მსჯელობისას ს. ჯანაშია უნიშნავს, რომ „სინგამს მოსდევს მდინარე ტარსურა..., რომელსაც ანონიმის დროს თითქოს მოქე თუ მოხე-ს ეძახდნენ. მანძილი მათ შორის უდრის 120 სტ.=23, 5 ვერსს. ტარსური დღევანდელი ოქუმის მდინარედ უნდა ვიგულისხმოთ“. იხ. ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 278.

<sup>2</sup>პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. წიგნი – ფურცლები კოლხეთის წარსულიდან. თბ., 1974, 23.

zkhobi que les Turch appellent par corruption Kemkhal“. პეი-სონელისავე რუკაზე აღნიშნულია „Kobidzkhali, En Turs Kemkhal“. ჟან შარდენიც თავის რუკაზე მიუთითებს „Kelmhel[!] ant. Cobus“<sup>1</sup>. „თუ ზემოთ დადგენილ ლოკალიზაციას მივიღებთ და საფუძველი არა გვაქვს იგი არ მივიღოთ, მაშინ იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ქარიენტი არის „ცივი“, სხვა მდინარე ამ რაიონში არ არის. ცივს ამჟამად საკუთარი შესართავი არა აქვს, იგი ხობს უერთდება თითქმის უკანასკნელის შესართავთან, მაგრამ შესაძლოა წინათ დამოუკიდებლადც შეჰერთოდა ზღვას. მისი დღევანდელი მიმართულებაც ამის ეჭვს ჰბადებს: მდინარე თითქმის მიდის ზღვის ბაგესთან და მოულოდნელად უხვევს ჩრდილოეთით ხობისკენ, ისე რომ კუთხეს ჰქმნის 90<sup>0</sup>. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მოცემული სანაპიროს გეოლოგიური ისტორიაც. ქარიენტი სანაოსნო ყოფილა. ცივზედაც ნაოსნობა შესაძლებელია“, – წერს ს. ჯანაშია<sup>2</sup>. ქარიენტისა და ხობის

<sup>1</sup>ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 274-275.

<sup>2</sup>ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 275; ცი(ი)//ცია – ლელე. 1935 წელს არხში ჩაუშვეს. ლელე ყორათის ტყიდან გაედინებოდა გაღმა ქარიატაში. მდ. ციის ძველ კალაპოტს სოფ. გაღმა ქარიატის საწულაიოს უბანში, არხში ჩაშვებამდე ჭიჭე ცი//ჯვეშცი//ჭიფე ცი ერქვა. სოფ. საბაჟოდან (ქვემო ჭალადიდის თემი) მომდინარე სოფ. ყულევში უერთდებოდა ხობისწყალს. იხ. ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. III (ხობის რ., ქ. ფოთი). თბ., 2007, 184. პ. ცხადაიას ცნობით, მდ. დიდი ცია გადიოდა ტყე-ჭაობში (სოფ. საბაჟო). საუკუნეების წინათ ციი რიონის პარალელურად დიოდა და ხობისწყალში ჩაედინებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რიონმა დინების მიმართულება შეიცვალა და ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა, მდ. ციი გაწყვიტა. იქვე აღნიშნულია, რომ ლელე ცია//ჭიჭე ცია საღვამიჩაოდან ნარიონის ტბაში შემოდინდა, შემდეგ გადიოდა საბაჟოში და ქარიატა-ყულევის საზღვარზე უერთდებოდა ხობისწყალს. ქვემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ საჭოჭუოში ლელის სახელწოდებად დამოწმებუ-

ასეთ ლოკალიზაციას ეწინააღმდეგება ფლავიუს არიანეს მიერ ქობოსსა და სიგამეს//სინგამეს შორის მოცემული მანძილი – 210 სტადიონი (დაახლ. 38 კმ.). სწორედ ამ მანძილით არის დაშორებული არიანესეული სანაოსნო მდინარე სიგამე//სინგამე (ანონიმისეული ზიგანისი) მდ. ზობს. მიუხედავად იმისა, რომ მანძილი არ ემთხვევა, ს. ჯანაშია სიგამეში მაინც ინგურს გულისხმობს, რადგან შეუძლებელია ასეთი დიდი მდინარე არიანეს გამორჩენოდა<sup>1</sup>. ამასთანავე, იმას, რომ არიანეს მიერ მოცემული მანძილები არ ეთანხმება ქარიენტისა და ზობის ასეთ ლოკალიზაციას, „ეს პუნქტები ბევრად უფრო ახლოს არიან როგორც ერთმანეთთან, ისე რიონის შესართავთანაც“, ს. ჯანაშია იმ გარემოებით ხსნის, რომ „ჩვენი პერიპლის ავტორი ხშირად ღალატობს თავის ზედმიწევნილობას მანძილების ანგარიშში“<sup>2</sup>.

მ. პაჭკორიას საეჭვოდ არ ეჩვენება სინგამესა და ოქუმ-ერისწყლის იგივეობა და სწორედ ამ უდავო ორიენტირიდან – ოქუმ-ერისწყლიდან ცდილობს გადაზომოს ფლავიუს არიანეს მიერ მითითებული მანძილი – 210 სტადიონი (დაახლ. 38 კმ.) ქობოსის ლოკალიზაციისათვის. მანძილების ასეთი გადაზომვა, მ. პაჭკორიას აზრით, თუკი საფუძვლიანია, მაშინ გამოდის, რომ არიანეს დღევანდელი ზობის შესართავიდან

---

ლია ჭიჭე ცია, რასაც ახლავს ასეთი ლოკალიზაცია: „ამჟამად არხი საჭოჭუოსა და პ. ფოთში იკრებს წყლებს და ერთვის დიდციას“. იხ. **ცხადია პ.**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. III, 210, 211, 219. ამჟამად მდ. ცივი ორია: ერთი რიონს უერთდება მარჯვენა მხრიდან, ხოლო მეორე ზობისწყლის მარცხენა შენაკადია. თავის მხრივ ზობისწყლის ცივი ორ არხშია განაწილებული – ლუბეკი და მეორე მაგისტრალური არხი. იხ. **ცხადია პ.**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. III, 226.

<sup>1</sup>ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 276-277.

<sup>2</sup>ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 276.

(ენგურის გამოტოვებით) ოქუმ-ერისწყლის შესართავამდე უმოგზაურია<sup>1</sup>. მკვლევარი არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ მდ. ცივს ძველად ქარიენტი რქმეოდა, რაც ბერძნულად სასიამოვნოს, მშვენიერს ნიშნავს<sup>2</sup>. მდინარეების არიანესეული ლოკალიზაციის შესახებ მ. პაჭკორიას საბოლოო დასკვნა ასეთია: ძველი კოლხეთის მდინარეთა განლაგებისა და მათ სახელწოდებათა დღევანდელ მდინარეებთან შეფარდების, ასევე არიანესეული მანძილების უდავო ორიენტირებიდან (სოხუმი, მოქვი, გუდავა) გადაზომვისა და ფაზისის მიდამოებში ხმელეთის მაშინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ფაზისი – რიონს, ქარიენტი – ცივს, ქობოსი – ხობს, სინგამე – ოქუმ-ერისწყალის შესართავს, ტარსურა – მოქვს, ჰიპოსი – კოდორს შეეფარდება, ხოლო ამ თანმიმდევრობაში ორი დიდი მდინარე – ენგური და ლალიძგა გამოტოვებულია<sup>3</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში სავარაუდებელია, რომ უცხოელ მწერლებს მდინარეთა სახელები აერიათ: მათ მიერ აღნიშნული ხობი (ქობოსი) ფაქტობრივად იგივე ენგურია. სხვანაირად გაჭირდება იმის დაჯერება, რომ ხობი ენგურის სახელწოდება იყო. „განა იმიტომ უნდა დაეკარგა ენ-

---

<sup>1</sup>პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 23-24.

<sup>2</sup>პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 25. ქარიატა ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია ხობისწყლის ორივე მხარეს, ოდიშის დაბლობზე (ხობის მუნიციპ.). აერთიანებს ორ სოფელს – გაღმა ქარიატას და გამოღმა ქარიატას. გაღმა ქარიატა ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და ხობს 22 კმ-ით არის დაშორებული. უახლოესი რკინიგზის სადგური სოფ. ჭალდიდიშია (8 კმ). პატარა ფოთსა და გაღმა ქარიატას შორის საზღვარი მდ. ციაზე/ცივზე გადის. გამოღმა ქარიატა ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, ყულევსა და გამოღმა შუა ხორგას შუა მდებარეობს და ხობს 27 კმ აშორებს, ხოლო უახლოესი რკინიგზის სადგურს – საბაჟოს, 8 კმ.

<sup>3</sup>პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 25.

გურს თავისი ძველი სახელი – ქობოსი (თუ ასეთი მართლაც ჰქონდა), რომ იგი მის მეზობელ მდინარეს – ქარიენტს მიეღო?“<sup>1</sup>.

ცელლერის საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით მდ. ენგურის (Langur) შესატყვისად „ასტოლფუსია“ (Astolphus) დასახელებული<sup>2</sup>. თ. გოგოლაძე და გ. საითიძე პუბლიკაციის კომენტარებში შენიშნავენ, რომ აქ სახელწოდებების აღრევას აქვს ადგილი: **ასტელეფი** (და არა ასტოლფუსი) არა ენგურის, არამედ **პატარა კოდორის** სახელწოდება იყო, მდ. ენგურს კი **ქობოსი//ქობუსი** ერქვა<sup>3</sup>.

შარდენიც ენგურის (Langur) სახელად **Astolphe**-ს მიიჩნევს, რასაკვირველია, შეცდომით. „შუაღამე იყო, – წერს შარდენი, – როცა ასტოლფის მდინარის შესართავთან მივედი. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. ეს სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია... გათენებას ჯერ კიდევ ორი საათი აკლდა, როცა 14-ს ანარგიიდან გავემგზავრენით. გავიარეთ ორი ევჯი ასტოლფის აყოლებით, მერე გადმოვაბარგეთ ჩვენი ხაბაკი და დავაწყვეთ ექვს პატარა ურემზე“<sup>4</sup>. იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (XVIII ს.) ოდიშის მდინარეებს შორის ასახელებს „დიდ მდინარე ენგურს“ და რუხს

---

<sup>1</sup>პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 26.

<sup>2</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოდიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552.

<sup>3</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 566, კომენტარი 56.

<sup>4</sup>შარდენი ჟან, მოგზაურობა საქართველოში. ვასილ ბარნოვის თაგმანი. თბ., 2014, 7, 8.

– ციხეს ენგურის მარცხენა ნაპირზე<sup>1</sup>. მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს **ნგოურ**-ის ფორმით ჟაკ ფრანსუა გამბაც<sup>2</sup>.

ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“: „ამის (წალენჯიხის – ი. კ.) ჩდილოთ დის მდინარე **ეგური**, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სვანეთსა და ოდიშს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მიერთვის /ზღვას/ ანაკრიას“<sup>3</sup>. ენგური წალენჯიხის მონასტრის დასავლეთით მოედინება. მამასადამე, ვახუშტის ზემოთ მოხმობილი ცნობა ენგურის წალენჯიხის „ჩდილოთ“ დინების შესახებ მცდარია. ასევე შეცდომითაა მინიშნებული მდინარის სათავე. ენგური მოედინება ზემო სავნეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან და მისი სათავე ბევრად დაშორებულია „სვანეთსა და ოდიშს შორისს“ მდებარე „კავკასს“, ანუ ეგრისის ქედს. ენგურის ზემო წელი სვანეთშია, შუა წელში ეგრისის ქედს ჩაუვლის დასავლეთით (ქალაქ ჯვარის შემოგარენი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში), ხოლო ქვემო წელი მოიცავს ოდიშის დაბლობს, სოფ. ტყაიდან (ჩხორიის თემი) შავი ზღვის შესართავამდე.

საინტერესოა დაკვირვება ჰიდრონიმის ვახუშტისეულ დაწერილობაზე – **ეგური**. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბატონიშვილი მდინარის სახელწოდებას სწორი ფორმით უნდა

---

<sup>1</sup>გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1961, 321, 325.

<sup>2</sup>**გამბა ჟაკ ფრანსუა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1987, 83, 94, 104, 105, 111, 112, 317, 321, 329.

<sup>3</sup>**ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, 778.

გადმოსცემდეს. „ის გარდამავალი უნდა იყოს „ეგრიდან“ „ენ-გურამდე“, – წერს თ. ბერაძე და იქვე თავისი მოსაზრების გასამყარებლად გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე საბუთსაც იმოწმებს<sup>1</sup>. ედუარდ აიხვალდის ცნობით, ხორგა საკმაოდ ვრცელი სოფელია და რამდენიმე ვერსის გავლას საჭირო სოფლის ბოლოში გასასვლელად. მისი ერთი ნახევარი დადიანის საკუთრებას წარმოადგენს, მეორე ნახევარს კი თავადი ჯაიანი ფლობს. ამ უკანასკნელის სახლის წინ გაედინებოდა მდ. ხობი. საცხოვრებელი წარმოადგენდა მუხისგან ახლად ნაგებ და საკმაოდ მშვენიერ შენობას.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ხორგის სახელით ოთხი სოფელია ცნობილი ხობის მუნიციპალიტეტში: გამოლმა შუა ხორგა, გაღმა შუა ხორგა, გამოლმა პირველი ხორგა და გაღმა პირველი ხორგა. ფაქტობრივად ხორგად იწოდებოდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ხობისწყლის ორივე მხარეს, პირველ ხორგასა და ქარიატას შუა<sup>2</sup>.

ზემოთ ითქვა, რომ ბერძნული წყაროების ქობოსი იგივე მდ. ხობისწყალია (ხობოსი). არქანჯელო ლამბერტის ცნობით ენგური იგივე ძველი ასტელეფოსია. „აგრე ვფიქრობ ორი მოსაზრებით: ერთი – რომ არრიანე უჩვენებს ასტელეფოსს

---

<sup>1</sup>იხ. ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. თბ., 1971, 60; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე კეკელია ი., ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. XIV, თბ., 2012, 239-243; კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. 2013, 162-164.

<sup>2</sup>ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200.

სწორედ ჭანის-წყალის სიახლოვეს და მეორე – რომ შესავალში ამ მდინარეს აქვს მოყვანილობა ჩანვის ბუდისა (di una covert di cetra), რაც ბერძნულად გამოითქმის ასტელფოსად<sup>1</sup>.

თ. გოგოლაძეს და გ. საითიძეს ასევე აღრევად მიაჩნიათ Cianiscar-ისა და Cyaneus-ის მიჩნევა, როგორც ეს ცელლერის ენციკლოპედიაშია აღნიშნული. **კიანეუსი/ქიანე**, მათი აზრით, ეწოდებოდა არა ჭანისწყალს, არამედ მოქვისწყალს, რადგან **Cyaneus** კლავდიოს პტოლემეს რუკაზე სწორედ ტარსურას (მოქვისწყლის) ადგილზეა მოთავსებული<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ცელლერის ენციკლოპედიაში შესული სტატიის ავტორი წყაროდ იყენებდა ლამბერტის შემდეგ ცნობას: „ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ ჭანის-წყალად და რუკებზე კი იწერება **Ciane**o. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას“<sup>3</sup>.

ცელლერის მიერ დასახელებულ სამეგრელოს მდინარეებს შორის ერთ-ერთია **ტეხური** (Techur), რომლის ლათინურ შესატყვისად **სიგამეა** (Sigame) მითითებული<sup>4</sup>. თ. გოგოლაძე და გ. საითიძე ამ შემთხვევაშიც შენიშნავენ, რომ სახელწო-

---

<sup>1</sup>ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200.

<sup>2</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოდიის ცნობები საქართველოს შესახებ, 566, 58-ე კომენტარი.

<sup>3</sup>ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200; მსჯელობისათვის იხ. ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971, 148.

<sup>4</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552.

დებები არეულია: სიგამე/სინგამე, მკვლევართა აზრით, ერის-წყალს ეწოდებოდა.<sup>1</sup>

არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ტეხური შეიძლება იყოს არრიანეს სიგამე. თუმცა იმის სიტყვით ეს მდინარე მეოთხეაო ხოფის შემდეგ, ხოლო, რადგან არრიანემ შეცდომით აღნიშნა ცხენისწყლის მდებარეობა, ადვილი შესაძლებელია, რომ იგი შემცდარი იყოს სიგამეს მდებარეობის შესახებაც. არრიანე ამტკიცებს, რომ ეს მდინარე ჩაუდის ერთ ადგილს, რომელსაც მდინარის გამო ეწოდების სიგამე. ამის მსგავსი სახელი მართლა ჰქვია იმ ადგილს, რომელსაც ჩაუდის ტეხური. ამ ადგილის სახელია სენაკი (Sinaghi). ადვილი შესაძლებელია, რომ ენის განუვითარებლობის გამო სიგამე გადაიქცა სენაკ-ად (Sinaghi) და მდინარემ რომ თავისი სახელი მისცა ამ ადგილს, ადვილმა შეინახა ეს სახელი და თვით მდინარემ კი გამოიცვალა ეს სახელი სხვაზედ“<sup>2</sup> ლამბერტის რუკაზე ტეხური აღნიშნულია **Tachur**-ის ფორმით<sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სინგამე ოქუმ-ერისწყალია (იხ. ზემოთ).

ტეხური რიონის მარჯვენა შენაკადია. სათავეს იღებს ეგრისის ქედზე. მდინარის სიგრძე 108 კმ-ია. მთავარი მარცხენა შენაკადია აბაშა. მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ტეხირი<sup>4</sup> ტეხურს მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „...ამას რიონს მოერთვის ჩდი-

---

<sup>1</sup> გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 567, 59-ე კომენტარი).

<sup>2</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200.

<sup>3</sup> ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, 148.

<sup>4</sup> ცხადია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. VII, სენაკის რაიონი. თბ., 2013, 357, 358.

ლოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისუ-  
ლეთს“; აბაშის „დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა  
ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს  
ხილსა თუ სხვასა რაის. გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის  
ისულეთს ჩდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას  
შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის და-  
სავლით კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე  
დადიანისა...“; „ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რი-  
ონილამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადი-  
რიანი. ამას უწოდებენ უნაგირას...“<sup>1</sup>

ტეხური დასახელებულია ოდიშის მთავარ ბეჟან დადი-  
ანის მიერ სუჯუუნის ეკლესიისათვის მიწების შეწირულების  
წიგნში (1717 წ.): „დაბლა ისულას რიონს ღელე ჩაერთვის.  
ღალუჩა ქვიან. კ-თის ტყეს შუაზედ გამოვილის. ონტყოროს  
ტბიდგან გავა. ტეხურამდის მოაწევს და იმას აქეთ. აწ ტე-  
ხურს გამოლმა. ბერულალუ რომ ტეხურს ჩაერთვის იქედამ  
და იწყება. წმინდის. სტეფანეს საყდარს აქეთ...“<sup>2</sup>

ცელღერის ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ **ცხენის-  
წყლის (Sceniscari)** ძველი სახელწოდებაა **ჰიპუსი (Hippus,  
Abascia)** ან **აბაშია**<sup>3</sup> სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატუ-  
რაში გარკვეულია, რომ ჰიპუსი იგივე ცხენისწყალია. ვახუშ-  
ტის ცნობით, ცხენისწყლის უწინდელი სახელწოდება **თაკუ-  
ერი//მდინარე თაკუერისა** ყოფილა. ჰიდრონიმის ვახუშტი-

---

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776, 777.

<sup>2</sup> კეკელია ი., კურდღელი ე., ხარებავა ი., მასალები ოდიშის სამ-  
თავროს ისტორიისათვის. კრ. „მხარეთმცოდნე“ (ონომასტიკური და საის-  
ტორიო მასალები). II. ქუთ., 2011, 47.

<sup>3</sup> გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელღერის ენციკლო-  
პედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552.

სეულ ეტიმოლოგიას საფუძვლად უდევს „ქართლის ცხოვრების“ მემატინის ცნობები. ხალხური გადმოცემა სახელწოდებას ამ მდინარეში მტრის მოლაშქრეთა ცხენების დაზრზობას უკავშირებს. ფრანგი კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) თავის სამოგზაურო ჩანაწერებში აღნიშნავდა: „ვიდრე მარანში ჩავიღოდი, შვიდ-რვა ვერსზე ცხენისწყალი შევნიშნეთ: ეს არის ბერძნების ჰიპუსი, ანუ ცხენისწყალი; ეს სახელი მას სწრაფი დინების გამო უწოდეს“<sup>1</sup> არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: ნ. კეჭალმაძე ვარაუდობს, რომ ბერძნული წყაროების Hippius მდ. კოდორის სახელწოდებაა<sup>2</sup>

საენციკლოპედიო სტატიის ცნობა **ცხენისწყლისა და აბაშის (Abascia)** იგივეობის შესახებ მცდარია. ლამბერტის მიხედვით, ცხენისწყალთან ერთად მდინარე ფაზისს აბაშა და ტეხურიც შეერთვის: „აბაშა ძველად შეიძლება იყოს სტრაბონის გლაგკოსი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენისწყალთან ერთად ფაზისს ერთვისო“<sup>3</sup> რუკაზე მისიონერი აღნიშნავს Abascia-ს<sup>4</sup>

აბაშის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი. ბანძისა და ჭყონდიდის (მარტვილის) აღწერის შემდეგ ვახუშტი ეხება ჰიდრონიმ „აბაშის“ ეტიმოლოგიას: „ამათთა დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულითა მოაშთო ამან ჰ-ჩ აბაში, და მიერთ-

---

<sup>1</sup> გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, 129.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე კორძაზია ტ., ცხენის წყალი თუ ცენის წყალი? ვაზ. „კოლხიდა“, №133, 1911.

<sup>3</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 199-200.

<sup>4</sup> ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, 148.

გან იწოდა აბაშა... ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კაკკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამხრით“<sup>1</sup> გიულდენშტედტი გვაუწყებს, რომ აბაშა პატარა მდინარეა რიონის შემდეგ, მოედინება მთიდან და შავ ზღვას შეერთვის<sup>2</sup> მაგრამ ეს არ არის მართებული ინფორმაცია. მდინარე სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში. სიგრძე 66 კმ-ია. აბაშა მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს, სოფ. ზანათის ტერიტორიაზე, და არა შავ ზღვას. ვახუშტის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII ს-ის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. მეცნიერი ამასთანავე, მიიჩნევს, რომ „აბაშა“ მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე „პირველ სხვის სახელით“ ყოფილა, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ მეცნიერი არაფერს ამბობს<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776-777.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1961, 321.

<sup>3</sup> ვრცლად იხ. სისარულიძე ი., ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის წყაროები. გაზ. „მასარია“, №1 (28), 2003, 3; სისარულიძე ი., კეკელია ი., ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები. კრ. „მხარეთმცოდნე“, IV, ქუთ., 2013, 22; კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია (დისერტაცია), 108-109; მისივე, აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XIV, თბ., 2012, 210-238; მისივე, აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ქუთ., 2013, 32-36.

ენციკლოპედიაში მდ. ოქუმის შემდეგ დასახელებულია ეხალისი და მოქვისწყალი<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი მდინარეს ოქუმის სახელწოდებით არ იცნობს, მაგრამ სხვა წერილობითი წყაროთი დასტურდება, რომ ვახუშტი ბატონიშვილამდე ბევრად ადრე აღნიშნული მდინარე ოქუმის სახელს ატარებდა. ვგულისხმობთ ლამბერტის შემდეგ ცნობას: „ოქუმის იქით ეგრისია (Echalis) და ეგრისის იქით – მოქვისწყალი“<sup>2</sup>

ქართველ მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე ღალიძგაა. „ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების ღალიძგას“, – წერს ნიკო დადიანი<sup>3</sup> ეგრისწყლისა და ღაგის იგივეობის თვალსაზრისს მხარს უჭერდა პ. ინგოროყვა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თვით მდინარის სახელწოდება „ღალიძგა“ მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოსაზღვრე მდინარეს“, ანუ ღელეს კიდესი. მკვლევარმა ლამბერტის მიერ მოხსენიებული **Echalis** გაიაზრა, როგორც „ეგრისი“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ღალიძგას ძველის სახელწოდება ეგრისწყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII სასაქმე ისაა, რომ ლამბერტის რუკაზე, ოდიშის დასავლეთ ნაწილში, მდინარის სახელწოდებად მკაფიოდ იკითხება Echalis, ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას – ეკლესია Echalisgas (ღალიძგა)<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552.

<sup>2</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 2011, 201.

<sup>3</sup> დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, 153.

<sup>4</sup> ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მათე საუკუნისა. თბ., 1954, 128, სქოლიო.

<sup>5</sup> კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 194.

ჯუნშერის, ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ რამდენიმეგზის (სხვადასხვა სიტუაციაში) მოხსენიებული „ეგრის წყალი“ და „ეგრის მდინარე“ ლალიძგის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ამ კუთხით მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლამბერტის რუკაზე, ოქუშსა და მოქვისწყალს შუა გამოსახული მდინარე იწოდება **Echalis**-ად. ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მონიშნულია **Echalisgas**, რაც, საფიქრებელია, რომ სწორედ დასახლებული პუნქტის სახელწოდების – **ლალიძგის** (აწინდელი ბესლახუბა) შესატყვისი უნდა იყოს<sup>1</sup> მოქვისწყალს ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს და შენიშნავს, რომ „...ამ მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩდილოდამ სამხრით. გამოსდის კაკკასს და მიერთვის ილორს ზღუას“<sup>2</sup> მდინარე მოედინება ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სიგრძე 47 კმ-ია, აუზის ფართობი 336 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენს. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2560 მ-ზე და სოფ. ჯუყმურის მახლობლად შეერთვის შავ ზღვას<sup>3</sup> ამასთანავე, მოქვი ეწოდება სოფელსა და თემის ცენტრს მოქვის ნაპირზე. მოქვისწყალი აღნიშნულია კასტელის 1654 წლისა და შარდენის 1672 წლების რუკებზე.

იმ მდინარეებს შორის, რომლებიც სამეგრელოს ტერიტორიაზე მოედინება, ცელერის ენციკლოპედიაში ყვირილა-

---

<sup>1</sup> **ცხადაია პ.**, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმი. თბ., 2004, 44-45; **კეკელია ი.**, სამეგრელოსა (ოდისის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 184-194.

<sup>2</sup> **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 780.

<sup>3</sup> **აფხაზავა ი.**, მოქვი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984, 148.

ცაა დასახელებული, რაც არასწორია. ყვირილა რიონის მარცხენა შენაკადია და მოედინება იმერეთში.

საინტერესოა ცედლერის ენციკლოპედიაში მოცემული შემდეგი ცნობაც: „კავკასიონის ქვემოთ დაახლოებით 60 მილის გალავანია მაღალი კოშკებით, რომლებზედაც მუდმივად ჯარისკაცები დარაჯობენ და ყოველთვიურად იცვლებიან, რათა აფხაზები შეაჩერონ და თავიანთ ქვეყანაში შემოჭრის საშუალება არ მისცენ“<sup>1</sup> აქ იგულისხმება კელასურის კედელი, რაც აგრეთვე „აფხაზეთის დიდი კედლის“ სახელითაა ცნობილი. კედელი სოხუმის სამხრეთით, 5 კმ-ის დაშორებით იწყება და მიუყვება კელასურის მარცხენა ნაპირს, მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან ჩრდილოეთით – ლალიძგამდე. ვახუშტი თავდაცვით ნაგებობათა სისტემის აგებას, „ზღუდის შეკვლევას“ ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის სახელს უკავშირებს და შენიშნავს, რომ ეს განპირობებული იყო „აფხაზეთა გამოუსლველობისათვის“. მეცნიერი საკმაო სიცხადით მიუთითებს ზღუდის ადგილმდებარეობას, რომ იგი ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვასთან იწყება და მთამდე გრძელდება. ამასთანავე, მან იცის, რომ ეს ზღუდე წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის, და რომ იგი „გარნა აწ უქმად არს“. თუმცა დაზუსტებით არაფერს ამბობს ზღუდის სახელწოდებაზე<sup>2</sup>

ამ სიმაგრის შესახებ ცნობები დაცულია ლამბერტის ნაშრომში: „...ზღვის მხრით... მტერი ადვილად შეძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც: რადგან

---

<sup>1</sup> გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 553.

<sup>2</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 782.

ერთ ადვილას, რომელსაც ოლუშე (olusce) ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოციათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“<sup>1</sup> ჟან შარდენის თქმით, სამოცი მილის სიგრძის კედელი ოდიშს იცავდა ჩრდილოეთიდან, – აფხაზეთისაგან<sup>2</sup>

„აფხაზეთის დიდი კედლის“ გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურის (ლამბერტი, შარდენი, ვახუშტი, დიუბუა დე მონპერე, დ. ბაქრაძე, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე, მ. ივაშჩენკო, ჯ. კუდრიაცევი, დ. გულია, ბ. ბლაჟბა, ი. აძინბა...) ნაწილი მიმოიხილა თ. ბერაძემ და გამოთქვა სავსებით დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ამ სახელწოდების ქვეშ „მკვლევარები ხელოვნურად აერთიანებენ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობებს“<sup>3</sup> თ. ბერაძე მიიჩნევდა, რომ ვახუშტის ცნობა ლევან II დადიანის მიერ ზღუდის აგების შესახებ სარწმუნოა და კელასურიდან ლალიძგამდე არსებული გზა-გადასასვლელების ქვის კედელ-გალავნებით გამაგრებას ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე აფხაზი ფეოდალების თავდასხმებით შექმნილი საშიშროების თავიდან აცილება განაპირობებდა. ლევანმა საზღვარი საგანგებოდ გაამაგრა და ჩრდილოელთაგან დასაცავ ბარიერად კედელი გაავლო, ვინაიდან „იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას

---

<sup>1</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 188.

<sup>2</sup> ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975, 24.

<sup>3</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 72.

საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა“.<sup>1</sup>

უთუოდ აფხაზთა თავდასხმების მოგერიებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოდიშის მესვეურნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გამაგრებას. ამაზე ყურადღებას ამახვილებს ლამბერტი, რომელიც წერს: იმ მიზნით, რომ ოლუშედ წოდებულ ადგილას აგებულ კოშკებს შეიარაღებული მცველები არ მოკლებოდნენ, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებსა და დიდებულებს ევალებოდათ, მორიგეობით გამოეყვანათ „თავისი კაცები“ ამ ადგილების თითო თვით დასაცავად.<sup>2</sup>

სპეციალისტთა წინაშე დასმულ მთავარ კითხვას, თუ ვინ, როდის და რა მიზნით ააგო ეს კედელი, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ზ. ალექსიძემ. მან ყურადღება მიაქცია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო თხზულების – „მოქცევაი ქართლისაის“ ახალ, სინურ რედაქციაში კლისურის ზღუდის შესახებ დაცულ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ კედელი სპარსელების მიერ ყოფილა აგებული<sup>3</sup> ამ ცნობაზე დაყრდნობით, კითხვას – ვისი აგებულია ჩვენამდე მოღწეული კედელი: სპარსელთა მიერ VI ს-ში, თუ ლევან დადიანისა – XVII ს-ში, ზ. ალექსიძემ შემდეგი პასუხი გაცა: კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა უკუგდების მიზნით, დიდი ალბათობით – 553-568 წლებში, უფრო კი 553-562 წლებს შორის პერიოდში, ანუ მანამ-

---

<sup>1</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 72.

<sup>2</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 188.

<sup>3</sup> ალექსიძე ზ., როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე. ქრისტიანული კავკასია. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2. თბ., 2011, 38.

დე, ვიდრე ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის 50-წლიანი ზავი დაიდებოდა. მკვლევარს შესაძლებლობის გათვალისწინებით საეჭვოდ მიაჩნია ლევან დადიანის მიერ ამხელა კედლის აგება, ვინაიდან შესაძლებელია ოდიშის მთავარს მხოლოდ რაღაც დაემატებინა, გამოეყენებინა, შეევესო და გაემაგრებინა უკვე არსებული ნაგებობა<sup>1</sup>

მკვლევარ ი. ვორონოვის მსჯელობით, კელასურის საფორტიფიკაციო ხაზის სიგრძე 58 კმ-ს აღწევს, ხოლო კედლისა – 25 კმ-ს.<sup>2</sup>

ცელღერის ენციკლოპედიის 1741 წელს გამოცემულ 30-ე ტომში შესულია მცირე მოცულობის სტატია **რეგიას (Regia)** ციხესიმაგრის შესახებ. სტატიაში ვკითხულობთ, რომ რეგია მდებარეობს აზიაში, კავკასიონის მთიანეთში, საქართველოს ყველაზე დიდი სამეფოს – სამეგრელოს ტერიტორიაზე, რომელსაც ქვემოთ რიონი ჩამოუდის<sup>3</sup> იმერეთისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნულია, რომ იმერეთის მეფეს სამი კარგი ციხე-სიმაგრე აქვს – სკანდეს სახელით მდებარე ციხე სამხრეთით მდებარეობს, დანარჩენი ორი ფაზისის მახლობლად არის აშენებული და სკორგია და რეგია

---

<sup>1</sup> **ალექსიძე ზ.**, როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე, 40-41.

<sup>2</sup> **Воронов И.** Келасурская стена, Известия научного общества. Вып. 4, 1926; იხ. აგრეთვე **Адзинба И.**, Архитектурные памятники Аფхазии. Абидз., 1958, 106; **კეკელია ი.**, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 212-215.

<sup>3</sup> **გოგლაძე თ., საითიძე გ.**, იოჰან ჰაინრიხ ცელღერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 549.

ეწოდება<sup>1</sup>. თამაზ გოგოლაძე და გოჩა საითიძე კომენტარებში ამ ორი უკანასკნელი ციხე-სიმაგრის შესახებ აღნიშნავენ, რომ მათი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება.<sup>2</sup>

მეგრელთა საცხოვრისებისა და წეს-ჩვეულებების აღწერისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიაში საუბარია სამეგრელოს მთავრის რეზიდენციაზე – **რუხზე (Roukhs)**: მეგრელებს „უღრან ტყეებში დაახლოებით 9-10 სასახლე აქვთ აშენებული, რათა გაჭირვების შემთხვევაში თავი შეაფარონ. მათგან ყველაზე მდიდრული რუხია, სადაც სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია მდებარეობს“.<sup>3</sup>

რუხის ციხე გვიანი შუა საუკუნეების ოდიშში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. მისი მშენებლობა ვახუშტის „აღწერისა“ და სხვა ისტორიული წყაროებითაც უკავშირდება ლევან II დადიანის სახელს. ასაკს ციხის დაგეგმარება და კედლების წყობაც ადასტურებს. ციხის აშენება უმთავრესად განპირობებული იყო აფხაზთაგან ოდიშის დასაცავად. რუხი თავის რუკაზე აღნიშნული აქვს ლამბერტს. მისსავე ნაშრომში დაცულია ცნობები რუხის მშენებლობაზე: „მხოლოდ სომხების ქალაქში, – გვაუწყებს იგი, – რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე ღუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“<sup>4</sup> სომხების ქალაქში თეთინელი მისიონერი სწორედ რუხს გულისხმობს.

---

<sup>1</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 545.

<sup>2</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 565, კომენტარი 32-33.

<sup>3</sup>გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 565, კომენტარი 32-33.

<sup>4</sup> ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 179.

ვახუშტის ცნობით რუხის ციხე 1647 წელსაა აშენებული („ქრისტესსა ჩქმზ, ქართულსა ტ-ლე“). ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროზე დაყრდნობით თვლის იგი რუხის ციხის აგების თარიღად 1647 წელს<sup>1</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ციხის მშენებლობა სომეხ-ებრაელ ვაჭართა ჩხარიდან და ჩიხორიდან გადმოსახლებისთანავე, 1635-1636 წლებში უნდა დაწყებულიყო. ვახუშტის, ეტყობა, მიაჩნდა, რომ რუხის ციხის „აღშენება“ 1647 წელს დასრულდა, „თორემ, – წერდა ილია ანთელავა, – ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება“<sup>2</sup>

ციხის შესახებ ცნობა დაცულია შარდენის „მოგზაურობაში“, როცა იგი გადმოგვცემს 1672 წელს ოსმალთა შემოსევასთან დაკავშირებულ ამბებს. „ახალი ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ რუხის ციხეში ინახებოდა ოფშქეთის ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეთაგან წართმეული ზარბაზნები<sup>3</sup> გიულდენშტედტის ცნობით რუხი ციხეა ენგურის მარცხენა ნაპირზე, რაც უწინ თურქთა ხელში იყო, ამჟამად კი მიტოვებულია<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 62.

<sup>2</sup> ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, 113-114; მსჯელობისათვის იხ. კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 168-171; მისივე, ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV. თბ., 2012, 246-250.

<sup>3</sup> ზაქარაია პ., საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVI – B. თბ., 1970, 282-288.

<sup>4</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 325.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გამომცემლისა და წიგნებით მოვაჭრის – იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის მასალების მნიშვნელობა, რაც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე.

### **დამოწმებანი:**

**ალექსიძე ზ.**, როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე. ქრისტიანული კავკასია. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2. თბ., 2011.

**ანთელავა ი.**, ლევან II დადიანი, თბ., 1990.

**აფხაზავა ი.**, მოქვი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984.

**ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973.

**ბერაძე თ.**, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. თბ., 1971.

**ბერაძე თ.**, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971.

**ბერაძე თ.**, თოფურია კ., სანაძე მ., ხორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი. I. აფხაზეთი. თბ., 2013.

**გამბა ჟაკ ფრანსუა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1987.

**გვანცელაძე გ.**, კვლავ ჰიდრონიმ *კოდორის* ეტიმოლოგიისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, VII. თბ., 2015.

**გიულდენშტედტის** მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1961.

**გოგოლაძე თ., საითიძე გ.** იოჰან ჰაინრიხ ცელლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი). ქართული დიპლომატია, წელიწადული, 14, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2011.

**დადიანი ნ.**, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962.

**დუმბაძე მ.** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება). თბ., 1957.

**ზაქარაია პ.** საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ციხესიმაგრეები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVI – B. თბ., 1970.

**ინგოროყვა პ.** გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954.

**კეკელია ი., კურდღელია ე., ხარებავა ი.** მასალები ოდიშის სამთავროს ისტორიისათვის. კრ. „მხარეთმცოდნე“ (ონომასტიკური და საისტორიო მასალები). II. ქუთ., 2011.

**კეკელია ი.** აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XIV, თბ., 2012.

**კეკელია ი.** ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. ტ. XIV, თბ., 2012.

**კეკელია ი.**, აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ქუთ., 2013.

**კეკელია ი.**, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. 2013.

**კორძაძია ტ.**, ცხენის წყალი თუ ცენის წყალი? გაზ. „კოლხიდა“, №133, 1911.

**ლაშბერტი ა.**, სამეგრელოს აღწერა. თბ., 2011.

**პაჭკორია მ.**, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. წგნ.: ფურცლები კოლხეთის წარსულიდან. თბ., 1974.

**ჟან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975.

**სიხარულიძე ი.**, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის წყაროები. გაზ. „მახარია“, №1 (28), 2003.

**სიხარულიძე ი., კეკელია ი.**, ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები. კრ. „მხარეთმცოდნე“, IV, ქუთ., 2013.

**შარდენი ჟან**, მოგზაურობა საქართველოში. ვასილ ბარნოვის თარგმანი. თბ., 2014.

**ცხადაია პ.**, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004.

**ცხადაია პ.**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. III (ხობის რ., ქ. ფოთი). თბ., 2007.

**ცხადაია პ.**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. VII, სენაკის რაიონი. თბ., 2013.

**ჯანაშია ს.**, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. შრომები, VI, თბ., 1988.

**Адзинба И.**, Архитектурные рамятники Афхазии. Абидз., 1958.

**Воронов И.**, Келасурская стена, Известия научного общества. Вып. 4, 1926.

*Igor Kekelia*

*Martvili Scientific and Research*

*Centre of History and Culture Studies*

**QUESTIONS OF HISTORICAL GEOGRAPHY OF  
SAMEGRELO IN THE ENCYCLOPEDIA OF JOHANN  
HEINRICH ZEDLER  
RESUME**

The name of Johann Heinrich Zedler, a famous German publisher and bookseller, is connected with the publishing of the first complete German Encyclopedia in Leipzig and Halle. 35 articles are included in it, which are dedicated to the Georgian theme. The importance of the materials of the Zedler Encyclopedia connected with the questions of history and geography of Odishi (Samegrelo) in the second half of the XVIII century is presented in the research.

*ელდარ მამისთვალისშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**ბარძიმ არაგვის ერისთვისშვილი**

კათოლიკე მისიონერებმა რამდენიმე საინტერესო ცნობა დაგვიტოვეს XVII ს. 80-90 წლების ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, გიორგი არაგვის ერისთავის ძმის, ქართლის მსაჯულთუხუცესის (მდივანბეგი) ბარძიმ ერისთვისშვილის შესახებ. მ. თამარაშვილის მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული ცნობები, რომლებიც დაცულია თბილისში მოღვაწე კათოლიკე პატრების რომში გაგზავნილი წერილებში, შეიცავს ისეთ მასალას, რომელიც ქართულ საისტორიო მწერლობამ არ იცის. ის რამდენიმე შტრიხი, რაც ცნობილია ბარძიმ ერისთვისშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გვხვდება მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

პირველი წერილი ბარძიმ ერისთვისშვილის შესახებ ეკუთვნის უფროს პატრს ჯულიო კრემონელს და დათარიღებულია 1690 წლით. ამ საკმაოდ ვრცელი წერილიდან მოვიყვან მხოლოდ იმ ადგილებს, რომლებშიც გადმოცემულია ბარძიმის პიროვნებისა და საქართველოში არსებული ვითარების შესახებ.

1690 წლის 1 იანვარს პატრი ჯულიო კრემონელი რომში წერს, რომ ბარძიმს 1689 წელს მიუღია კათოლიკობა საიდუმლოდ და იმდენად ცდილობდა მისი ეს საქციელი არ გახმაურებულიყო, რომ, როდესაც რომში პაპს წერილს უგზავნიდა, „თავის ქართულად დაწერილ წიგნზე დაუსვა ასეთი

ბეჭედი (ჯვარი – ე. მ.), თუმცა მას თავისი ბეჭედი საცალკეო აქვს, მაგრამ არ იხმარა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არავინ გაუგოს (კათოლიკობის აღიარება – ე. მ.), და მეორედ, უდიდესი სასოების გამო... საჭიროა შეატყობინოთ (ბარძიმის ქართულად დაწერილი წერილის – ე. მ.) მთარგმნელს, რომ გაჩუმდეს და ბატონის გაკათოლიკებაზე არც წერილითა და არც სიტყვით არავის არა უთხრას, რათა არავითარი წინააღმდეგობა შეემთხვეს იმაში, რის აღსრულებასაც ფიქრობს და არც ამას რაიმე უსიამოვნება ემიზეზოს. ასევე უნდა დააბაროთ იმ მონაზონებს, რომლებიც საქართველოში მოდიან (საიდუმლო შეინახონ – ე. მ.)<sup>1</sup>. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ან ბარძიმი ატყუებდა პატრებს, ან ბარძიმი და პატრები ერთმანეთთან შეთანხმებულნი, ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ რომში კარდინალები და პაპი. ყველაფერს თუ ვერა, ბარძიმის მიზანს მაინც გავარკვევთ, რატომ უნდოდა მას რომთან დაკავშირება და მისი გავლენის გამოყენება ქართლის სამეფოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჯულიო კრემონელის მიხედვით, ბარძიმი იყო ერთ-ერთი უძლიერესი და უწარჩინებულესი საქართველოს მთავართაგანი, რომელიც იმავე დროს ლტოლვილობაში მყოფი გიორგი XI-ის მეფის ახლო ნათესავიც იყო, მაგრამ მასაც მიუძღვოდა გარკვეული წვლილი გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში<sup>2</sup>.

\*\*\*

საინტერესოა კათოლიკე პატრს გიორგი XI-ის წინააღმდეგ მოწყობილი რომელი აჯანყება აქვს მხედველობაში?

---

<sup>1</sup> თამარაშვილი დ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 277-278.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 275.

ირანისადმი თავისი შეურიგებელი პოლიტიკის გამო შაჰის კარზე გადაწყვიტეს გიორგი XI ქართლის ტახტისათვის ჩამოეშორებინათ. შაჰის ვეზირმა აჯი ალიხანმა განიზრახა მეფის წინააღმდეგ მისი ქვეშევრდომები აეჯანყებინა. ზოგიერთმა ფეოდალმა ისლამზე გადასვლის სანაცვლოდ შაჰისაგან ჯამაგირი დაინიშნა. იასონ არაგვის ერისთავმა მეფეს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა<sup>1</sup>.

გიორგი XI-ის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ისეთი მსხვილი ფეოდალები, როგორც იყვნენ: სომხითის მელიქი ქამარბეგი, რომელიც მეფეს აჯი ალიხანთან აბუზღებდა; მუხრანის ბატონის ძე ერეკლე, რომელსაც მეფე გიორგი, როგორც საკუთარ შვილს, ისე ზრდიდა; ძმები მაჩაბლები, ზაზა ქსნის ერისთავის შვილები იესე და ელიზბარი მოლაღატეები იყვნენ. მეფე მათ ისე გაუსწორდა, როგორც იმსახურებდნენ: მეფემ ერეკლე და ძმები მაჩაბლები დააპატირებინა, ქამარბეგი და ისე მოაკვლევინა<sup>2</sup>.

არაგვის ერისთავად დაინიშნა გიორგი ოთარის ძე<sup>3</sup>, მისი ძმა იყო ბარძიმი, კათოლიკე პატრების გმირი.

გიორგი მეფემ თავის უფროს ძმას რუსეთში გაუგზავნა ორი მონაზონი და არჩილს საქართველოში დაბრუნება სთხოვა. როდესაც შაჰმა ამის შესახებ შეიტყო, გიორგი მეფეს მოსთხოვა მძევლად გაეგზავნა თავისი ძმა ლევანი. გიორგიმ შაჰს ლევანის ნაცვლად უფლისწული ბაგრატი შესთავაზა. შაჰმა ახლა ორივე — ლევანი და ბაგრატი მოითხოვა. ამის შემდეგ გიორგი მეფე კახელებს დაუკავშირდა, აჯანყებისაკენ მოუწოდა და ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება შესთავაზა. მეფემ დასახული გეგმის რეალიზაციისათ-

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, IV, 459-460.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 460.

<sup>3</sup> იქვე.

ვის გარკვეული ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ მეფის ბიძამ (დედის ძმა), სპასპეტმა თამაზმა, მას მხარი არ დაუჭირა. ის ვარაუდობდა, რომ თუ მეფის მიერ დასახული გეგმა აღსრულდებოდა მისი სიძე არაგვის ერისთავი გიორგისათვის სიკეთეს არ მოიტანდა. ამიტომ სპასპეტმა თამაზმა მეფეს ულალატა და ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების კიდევ ერთი ცდა ჩაიშალა. 1688 წელს გიორგი მეფე იძულებული გახდა შვილი ბაგრატი და ძმა ლევანი შაჰთან გაეგზავნა<sup>1</sup>. თამაზი ირანელების მხარეს გადავიდა, ხოლო, როდესაც მეფემ ერისთავ გიორგის დახმარება მოსთხოვა, უარი მიიღო. მეფე გიორგიმ კიდევ ერთხელ სთხოვა გიორგი ერისთავს თანადგომა, მაგრამ კვლავ უშედეგოდ<sup>2</sup>.

გიორგი ერისთავისა და მისი ძმის, ბარძიმის მეფე გიორგისთან შერიგება მოხდა 1688 წელს.

\*\*\*

ჯულიო კრემონელს უნდოდა პაპს თავისი წერილით ზემოქმედება მოეხდინა ლტოლვილ გიორგი XI-ზე, რათა ამ უკანასკნელს მხარი დაეჭირა ბარძიმისათვის და ამის საშუალებით მეფე იმ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, რომ ემოქმედა პატრების, როგორც პაპის წარმომადგენლების მითითებით. რაც შეეხებოდა ბარძიმს, როგორც პატრი ფიქრობდა, მისი ერთგულება პაპის ტახტის, კათოლიკური სარწმუნოებისა და პატრების მიმართ გარანტირებული იყო. ჯულიო კრემონელს ამგვარი რწმენის საფუძველს აძლევდა ის გარემოება, რომ ბარძიმს სულიერ მამად მიჩენილი ჰყავდა ბერძნული ტიპიკონის კათოლიკე ეპისკოპოსი, რომელიც ყველაფერს გააკეთებდა სულიერი შვილის მორჩილებაში ყოლისათვის<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 461.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 462.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 276.

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II თავის ცნობილ ნაშრომში „იერუსალიმის პატრიარქების ისტორია“ კათოლიკე პატრების საქმიანობას საქართველოში ახასიათებდა ბარძიმის კათოლიკობაზე გადასვლის მიხედვით: „ამავე დროს მათ (კათოლიკებმა – ე. მ.) საერო სიბრძნე იციან და ხალხს ლამაზი სიტყვებით ატყუებენ, მცდარად ხსნიან წმ. წერილს და დამახინჯებით განმარტავენ წმ. მამების [ნაწერებს]. ასე გახადეს პაპისტად პარზიმი (ბარძიმი – ე. მ.). ის (ბარძიმი – ე. მ.), შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თავზე შლაპასაც დაიხურავდა“. ამით დოსითეოსს იმის თქმა უნდა, რომ ბარძიმი კათოლიკე პატრებისავით ჩაცმულ-დახურული იქნებოდაო<sup>1</sup>. ბარძიმი არის XVII საუკუნის ერთადერთი ქართველი დიდებული, რომლის კათოლიკობა სხვა წყაროთიც დასტურდება.

ზემოაღნიშნული წერილის შემდეგ იმავე პატრმა იმავე წლის 18 მარტს რომში გაგზავნა სხვა წერილი, რომელშიც გამოსჭვივის სურვილი თავისი და მისიონის საქმიანობის წარმატება წაროაჩინოს ბარძიმის კათოლიკობაზე მოქცევის მაგალითზე და ამით რომი წაახალისოს მეტი დანმარება გაუწიოს საქართველოში მოქმედ კაპუცინების მისიონს. ამავე დროს, ჯულიო ცდილობს კიდევ მეტად სრულყოს ბარძიმის, როგორც მისიონერების დამხმარეს სახე რომში კარდინალების წინაშე: „ჭეშმარიტად უნდა მოგახსენო, რომ ღმერთს

---

<sup>1</sup> *მამისთვალისშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), გვ. 225.* 1630 წელს თეიმურაზ I-ის მიერ რომში გაგზავნილი გორის მისიის ხელმძღვანელი პიეტრო დელა ვალე მოითხოვდა: „მოემარაგებინათ გორში (კათოლიკე – ე. მ.) ეკლესიის მსახურნი საჭირო სამოსელით, ასევე შავი ქსოვილებით... გაიგზავნოს შლიაპები, მღვდლის ქუდები და სხვა საგნები, რომლებიც... შეუძლებელია კაცმა იმ მხარეში იშოვოს და არც ვინმე მოიპოვება იქ, ვინც მათ გააკეთებს“. *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. III-112.*

დიდად უყვარს ეს თავისი სძალი წმინდა ეკლესია, ვინაიდან გაჭირვებაში მოუვლენს მას კეთილ ანგელოზთა მისსავე დასაცველად; ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ ამ მთავარს ნამდვილი მშვიდობის ანგელოზი, რადგან ჭეშმარიტი შვილია ეკლესიისა და დიდათ მოყვარე და მდაბალი მონა პაპისა“. ჯუღლიო კრემონელს თავის ნათქვამის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მოყავს ერთი მაგალითი ბარძიმის მიერ კათოლიკე მისიონერებისადმი დახმარების შესახებ: „ამ შვიდი წლის წინეთ, როდესაც მთელი ქალაქი ჩვენს წინააღმდეგ ამდგარი იყო და უნდოდა ჩვენის ეკლესიის და სახლის დაქცევა, ამან, რადგან კაფუცინები უყვარდა, ლტოლვილ *მეფეზე უპეტესად დაგვიცვა*, დიდი სიმხნე გამოიჩინა, ხალხი ძალით განაშორა და მთელი არეულობა დააწყნარა; ახლაც, როგორც ერთი მოციქულებრივი კაცი, ისე იქცევა ჩვენის პატივის ასამაღლებლად და კათოლიკე სარწმუნოების გასავრცელებლად. ასეთ დროებში ჩვენთვის სწორედ *ასეთი ძლიერი მფარველი იყო საჭირო*“<sup>1</sup>.

ის აღშფოთებული მოქალაქენი, რომლებიც კათოლიკეების წინააღმდეგ გამოვიდნენ, როგორც ჩანს, სომხები იყვნენ. რადგან ბარძიმმა მათ საშუალება არ მისცა დაერბიათ კათოლიკეები, ამიტომ სომხების პატრიარქმა განიზრახა ეკლესიურად დაესაჯა ის სომხები, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდნენ. აღნიშნულის განხორციელება პატრიარქმა დაავალა თბილისის სომხების ხელმძღვანელს – ვიკარიოზს. ბარძიმმა, როგორც ჯუღლიო წერს, ვიკარიოზს არ მისცა ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება.

სხვა დროს, როდესაც სომხური ეკლესიის იერარქმა, ვართაპეტმა ერთ-ერთი სომხური ეკლესია დააკეტინა, იმის გამო, რომ მან ეჭვი შეიტანა ეკლესიის პატრონისა და მღვ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 278-279.

დღის კათოლიკობისაკენ გადაზრდაში, ეკლესია ბარძიმა გააღებინა. ამ ფაქტის აღწერისას პატრი წინააღმდეგობაში ვარდება: მას, როგორც ჩანს, დაავიწყდა რომში გაგზავნილი წერილის ის ადგილი, რომლითაც პაპის მოხელეებს აფრთხილებდა, არ გაეხმაურებინათ ბარძიმის პროზელიტობა, რადგან თუ ამის შესახებ საქართველოში გაიგებდნენ, კათოლიკეებისათვის ძლიერ საჭირო ამ პიროვნებას და ამ აღმსარებლობის მრევლსაც დიდი უსიამოვნება არ აცდებოდა. ახლა კი პატრს ბარძიმი კათოლიკობის მქადაგებლად წარმოგვიდგენს: „ხოლო ბარძიმი თვით მივიდა იქ, გააღებინა ეკლესია, და უწყო მას ქადაგება კათოლიკურ სარწმუნოებაზე და ისე იმოქმედა, რომ (ვართაპეტი – ე. მ.) თითქმის დაარწმუნა იმას (ბარძიმს – ე. მ.) შეერთებულიყო და პაპის მორჩილებაში კათოლიკე სარწმუნოება ელიარებინა. ამ მთავარმა ეს იმოქმედა ეგოლენის სიმტკიცით, გულმოდგინებით და გონიერებით, რომ ამ შემთხვევაში ვერავინ შეიძლო მისთვის რაიმე წინააღმდეგი ეპასუხებინა. იმ ვართაპეტს ქადაგებაც კი აუკრძალა“<sup>1</sup>.

სულ მცირე ხნის შემდეგ (1690 წ. 27 მარტი) ბარძიმის საქებარი წერილი რომში გააგზავნა აგრეთვე პატრმა სილიბისტრემ.

პატრების წერილებმა, გარკვეული გაგებით, მიზანს მიღწია და პაპმა ალექსანდრე VIII-მ 1691 წელს გიორგი მეფეს გაუგზავნა „რჩევის წიგნი, რათა კვალად დამეგობრებოდა ბარძიმს და მას შეერთებოდა, რომ თუ მისი და სხვა კათოლიკეების დახმარებით ერთად ეზრუნათ საქართველოს საკეთილდღეოდ“. ბარძიმისთვისაც მოუძნადებიათ პაპის წერი-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 278- 279.

ლი, მაგრამ პაპის გარდაცვალების გამო მისი გაგზავნა ვერ მოუსწრიათ და იგი შეუჩერებიათ 1692 წლამდე<sup>1</sup>.

პატრების წერილებში, თითქოს სხვათა შორის, სინამდვილეში კი სერიოზული განზრახვით გატარებულია აზრი ბარძიმის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე საქართველოში, ჩანს მისი ამბიცია დადგეს მეფე გიორგიზე მალლა, როგორც ქვეყნის სპარსელთა და, საერთოდ, მაჰმადიანთა ბატონობისაგან განმათავისუფლებელი. თითქოს ის ამიტომ აუჯანყდა მეფეს: „ისიც უნდა ვსთქვა, – წერს ჯულიო ქრემონელი, – რომ ცოტათი წილი ამასაც უღევს იმაში. რომ **საქართველო გიორგი მეფეს აუჯანყდა**. გიორგიც მეტად განრისხებულა მასზედ. ეს ბარძიმი რადგან საკმაოდ მსასოებელი და გულისხმიერია, რა სცნო თუ რა ნაირის უსამართლობით ეპყრობიან სპარსელები საქართველოს და თუ რა მოელის მას მომავალში, ამისთვის დიდად ნატრობს, არა მარტო თავისგან, არამედ თვით მთელი სამეფოსგანაც მოაშოროს ეს მათი სამარცხვინო უღელი, აღმოფხვრას ერისგან გაზრწნილობა, შეტომილობა, ცრუმორწმუნება და ურწმუნობა, და დანერგოს ყველგან იესო ქრისტეს ნამდვილი და ჭეშმარიტი სარწმუნოება“. **ჩამოთვლილი ყველა მანკიერების აღმოფხვრის მიზნით ბარძიმი დაკავშირებია კათოლიკურ ეკლესიასა და რომის პაპს**<sup>2</sup>. პატრი სილიბისტრე სრულიად ნათლად აცხადებს ბარძიმის ხვაშიადის შესახებ: „**ეს ის ბატონია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საქართველოს მეფე, რადგან ყველაფერი ამაზედაა დამოკიდებული და ყველას ეს განაგებს**“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, ბარძიმს არ აკმაყოფილებდა პატრების საშუალებით რომთან მიმოწერა. წერილებში ის ყველაფერი

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 284.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 275.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 280.

ვერ ჩაიწერებოდა, რაც სინამდვილეში სურდა. ამიტომ მას განუზრახავს რომში თავისი წარმომადგენელი გაეგზავნა, მაგრამ უფროს პატრს მხარი არ დაუჭერია მისთვის. პატრები, ალბათ, ხვდებოდნენ რომ ბარძიმი თავისი პოლიტიკური ამბიციების გამო მზად იყო რომიდან მხარდაჭერის შემთხვევაში, ისეთი რამ მოემოქმედა, რაც პატრებს და პაპსაც პოლიტიკურ სკანდალში ამხელდა და პატრებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა საქართველოში. ვფიქრობ, ამით იყო გამოწვეული რომის მიერ ბარძიმთან უშუალო კონტაქტის დამყარებასა და მისთვის წერილის გამოგზავნაზე თავის შეკავება. პაპმა მნიშვნელოვანი დიპლომატიური მინიშნება გააკეთა, როცა მან წერილი გაუგზავნა გიორგი მეფეს. ამითი მან ხაზი გაუსვა, რომ რომი ქართლის სამეფოში უმაღლეს ხელისუფლად გიორგი XI-ეს ცნობდა. ასეთი პოლიტიკა სწორად მიიჩნია ახალმა პაპმა ინოკენტი XII-ემ. მან თავის წერილში (1692 წ. 26 იანვარი) შეაქო ბარძიმის ღვაწლი კათოლიკების დაცვის საქმეში და კატეგორიულად ურჩია: „საჭიროდ ვრაცხთ, შეუერთდეთ გიორგი მეფეს. ამითი ჩვენ დიდად გვასიამოვნებთ, მასთანვე ეცადეთ, რომ დაურღვევლად დაიცვათ ეგ მეგობრობა“-ო<sup>1</sup>. ძნელია იმის განჭვრეტა, როგორ განვითარდებოდა მეფე გიორგი XI-ესა და ბარძიმ ერისთვის-შვილს ურთიერთობა, ან იქნებოდა თუ ეს უკანასკნელი მხილებული კათოლიციზმისადმი ლოიალობაში, რაზეც ზემოთ აღინიშნა, რომ იგი 1692 წელს არ დაღუპულიყო.

ვახუშტი ბატონიშვილმა სულ რამდენიმე წინადადება დაგვიტოვა მისი ბიოგრაფიიდან და იგი არცთუ ისეთ დადებით პიროვნებად წარმოჩინდება, როგორადაც მას გვიხატავენ კათოლიკე მისიონერები.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 287.

ვახუშტის მიხედვით 1688 წელს ერეკლე I-მა ბარძიმი „დაადგინა კარისა თვისისა გამგედ მსაჯულთუხუცესად, ძმა გიორგი ერისთავისა“<sup>1</sup>. ის მეთაურობდა ერეკლეს მიერ არჩილ II-ის ვაჟების შესაპყრობად დვალეთში გაგზავნილ ლაშქარს, მაგრამ ბარძიმს წინ აღუდგა ადგილობრივი ფეოდალი ელიყანაშვილი და მას მეფის დავალების შესრულების საშუალება არ მისცა<sup>2</sup>. ბარძიმი ერეკლე I-ის მხარეზე იბრძოდა გიორგი XI-ის წინააღმდეგ. 1691 წ. გიორგი XI-ეს მიემხრო<sup>3</sup>, რომლის დავალებითაც ცდილობდა იმერეთის ტახტზე არჩილ II-ის განმტკიცებას, მაგრამ მისი მეთაურობით გაგზავნილმა სამხედრო ექსპედიციამ მიზანს ვერ მიაღწია და ბარძიმი ხელმოცარული დაბრუნდა ქართლში<sup>4</sup>. 1692 წ. ბარძიმი გიორგი მეფის ლაშქარს მეთაურობდა, რომელსაც დავალებული ჰქონდა კახეთის ქართლთან შემოერთება. სოფელ ნინოწმინდასან მომხდარ ბრძოლაში ბარძიმი სასიკვდილოდ დაიჭრა.

ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, „ხოლო ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავკელი, კადნიერი და არა რად ვინმე ჩნდა და უმეტეს კახნი“.

ბარძიმი ბრძოლის ველზე „ღუნოსმული და მთვრალი“ იმყოფებოდა და სწორედ კახელების ტყვიამ იმსხვერპლა<sup>5</sup>.

---

<sup>1</sup> ქართ. ცხ. IV, გვ. 464.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 465.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 467.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 855.

<sup>5</sup> ქართლის ჯარი, როდესაც ნინოწმინდასთან მივიდა, კახეთის სახლთუხუცესი რევაზ ჩოლოყაშვილი თავისიანებთან და ნინოწმინდელთან ერთად მასპინძლობდა ქართლის ჯარს, რომელსაც მეთაურობდა ბარძიმი (მასთან ერთად იყვნენ გივი ამილახვარი და სპასპეტი თამაზი). ქიზიყის მოურავი დუსია თუშებისა და ქიზიყელების მცირე რაზმით წამოვიდა ბარძიმთან ზავის სათხოვნელად. როცა ბარძიმმა გაიგო დუშიას

*Eldar Mamistvalishvili*  
*Gori State Teaching University*  
**BARDZIM, THE DUKE OF ARAGVI**  
**RESUME**

In the 80-90s of the XVII century, Bardzim Eristvisshvili, the brother of the Duke (Eristavi) of Aragvi, Giorgi, a contemporary and a high official of Giorgi XI, was one of the famous political figures and a Chief Judge of Kartli (msajultukhutsesi, mdivanbegi). He accepted Catholicism and that was the reason why he was in the centre of attention of catholic missionaries. They left some interesting information, which gives us impression of both Bardzim Eristavi and the political situation in the Kartli Kingdom of that period.

---

მოსვლის შესახებ, ეგონა საომრად მოვიდაო და ნასვამობის გამო ძალიან განრისხდა, როცა სცადეს აეხსნათ ღუშიას მოსვლის ნამდვილი მიზეზი, არავის აღარ მოუსმინა და საომრად გავიდა. შეშინებულმა ღუშიამ თოფის სროლა დაიწყო, „ჰკრა ბარდიმს მკერდსა და განვლო ბეჭსა მისსა“. *იქვე, გვ. 468.*

*მარიამ მარჯანიშვილი*  
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი*

**დავით აღმაშენებელი - ზეპირსიტყვიერებასა და  
ტექტოლოგიაში**

ცნობილია, რომ ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული პირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებები საისტორიო ხალხურსიტყვიერებას მიეკუთვნება. საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნაწარმოებებს საერთაშორისო ხასიათი აქვს, რომელსაც მრავალი პარალელი და ანალოგია ეძებნებათ მსოფლიო ეპოსში.

მრავალსაუკუნოვან ქართულ საისტორიო სიტყვიერების პირველი პერიოდი ვრცელ ისტორიულ არეალს, V-XIV საუკუნეებს, მოიცავს. ამ პერიოდის ნაწარმოებები მრავალფეროვანია, როგორც ჟანრობრივად, ისე ციკლობრივად.

ესენია ლექსები, თქმულებები და ლეგენდები ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, სვეტიცხოვლის ოსტატის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, შალვა და ივანე ახალციხელებისა და რუსუდანის შესახებ.

საისტორიო ხალხური სიტყვიერების განსაკუთრებული ისტორიული ღირებულებაა ისიც, რომ იგი აშუქებს ძველ ისტორიკოსთა მიერ უგულვებელყოფილ მნიშვნელოვან მოვლენებს.

მაშინ, როცა ძველი ისტორიკოსები დუმდნენ დავით აღმაშენებლის ზებუნებრივ ძალებზე, ხალხი ლეგენდას ქმნიდა თავის საყვარელ მეფეზე.

ხალხურ სიტყვიერებაში ყურადღებას იქცევს ლეგენდა „დავით აღმაშენებელზე“, რომელიც მოგვითხრობს: „დავით აღმაშენებელი იყო ძალიან მოწყალე და ღვთის მოყვარე. იმას უყვარდა ეკლესიების შენებადა ძალიან ხალისიანათაც ასრულებდა ამ საქმეს. ერთი ომის გათავების შემდეგ მოისურვა დავითმა აეგო დიდებული გელათის მონასტერი. მისი სურვილი, რასაკვირველია, სისრულეში უნდა მოსულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება.

წყეულმა ეშმაკმა მონიღომა ხელი შეეშალა მისთვის ამ წმინდა ღვთის სასიამოვნო საქმეში. კედლები რამდენჯერ ააშორეს ბალავერს, იმდენჯერ ანგრევდა ი წყეული ღამღამობით.

დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ, და არ იქნა კედლები ბალავერს ვერ ააშორეს. მეფე, რასაკვირველია, მიხვდა, რომ მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადასწყვიტა, როგორც არ უნდა დაჯდომოდა, ეშმაკი ხელთ ეგდო. იმან აიღო ჯამი, აავსო წყლით და დადგა ბალავრის მახლობლათ; თვითონ კი - კუთხეში მიიმალა და დაუწყო დარაჯი.

როცა კარგად დაბნელდა, სად იყო, სად არა, გაჩნდა ი წყეული და გულმოდგინეთ შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს იმან შენიშნა წყლიანი ჯამი და ზედ მივიდა. უცებ საფარიდან გამოხტა დავითი და ხელები სტაცა. ეშმაკი ჯორად იქცა, მაგრამ გულადი მეფე მაინც არ შეშინდა; იმან ამოსლო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამ დღის შემდეგ ის ამ ჯორს არ იშორებდა. ამის შემდეგ ადვილად მოათავა გელათის მონასტერიც. გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელიდან თავის ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტად დიდებია. ისინი არიან დატანებული სამ-

ხრეთ-დასავლეთის ყურეში. ერთ მათგანზე დღემდისაც არის, ვითომ დავითის მიერ გაკეთებული ძზის საათი.

დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდა. ეს „ემმაკ-ჯორი“ - კი ისევ ემსახურებოდა დავითს. დადიოდა ის აქეთ-იქით იმ ჯორით...

ის ორი ვეება ქვა და დარუბანდის კარებიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა -უკან შემოკრული. დავითიც ჯორს თავისი ხელით უვლიდა: დაყავდა წყლის დასაღვეად და საძოვრად, რადგანაც სხვას არ ენდობოდა: ემმაკია, მოატყუებს და გაექცევაო“.

ერთხელ მეფეს მოუცლელობის გამო არ შეეძლო თითონ წაეყვანა წყალზე ემმაკ-ჯორი. დაუძახა მეჯინიბეს და უბრძანა, ჯორი წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: „არამც და არამც აღვირი არ წაჰყარო“.

მეჯინიბემ მიიყვანა ემმაკ-ჯორი წყალზე, ჯორმა დასუნა წყალს, თავი ისევ მაღლა აიღო და მოყვა საშინლად ფრთხვენას და წიხლებს ისროდა. მეჯინიბემ იფიქრა: საწყალს იქნება აღვირი უშლისო და წაჰყარა. ემმაკ-ჯორმა სიხარულით დაიფრთხვინა, წყაროში ჩახტა და გაუჩინარდა.<sup>1</sup>

კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ტეტრალოგიაში, რომელსაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე წერდა, ასახა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მღელვარე ეპოქა.

თავის მონუმენტურ ქმნილებაში „მწერლის დამოკიდებულება ფოლკლორული მასალების მიხედვით საოცრად ფართო და მრავალმხრივია. ადამიანს აოცებს ის ტიტანური შრომა, რაც მწერალს ჩაუტარებია სხვადასხვა ქვეყნის ზეპი-

---

<sup>1</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბილისი, 1970, გვ. 226-227.

რი ტრადიციების შესწავლის საქმეში. მიუხედავად ამისა, რომანში ძირითადი ხვედრითი წონა, მაინც ეროვნულ ფოლკლორულ ყოფის ასახვას აქვს დათმობილი, რომლის დასტურია ზემოთ აღნიშნული ხალხურ თქმულება დავით აღმაშენებელზე.

ლევენდას მწერალი ტეტრალოგიაში ოსტატურად იყენებს, მიუსადაგებს გმირის სულიერ განწყობილებასა და მის ხასიათს.

ლევენდა დავით აღმაშენებელზე მწერალს თითქმის სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოცემული რომანში. შეცვლილია მხოლოდ დეტალები.

ტეტრალოგიის მიხედვით დედის იმედი აფრთხილებს მეფეს, რომ ლიპარიტის უბანში მარტო არ წამოვიდეს, რადგან შეიძლება ღალატით მოჰკლან; თან მეფეს მოუთხრობს მნათე მიქელას ნაამბობ თქმულებას ეშმაკის დამორჩილების თაობაზე.

ისტორიულ რომანში მიქელას გადმოცემით, „დავით მეფე უფლისწული ყოფილა მაშინ, როცა ერთ საღამოს ნადირობიდან მობრუნებულს გზაზე შემოხვდომია ეშმა, წასტანება და შეუპყრია სული ბოროტი. ეშმა ჯორად ქცეულა წამსვე, ზედ შემჯდარა უფლისწული, აქ მოუყვანია, საყბურები შეუსხამს და ამ გაღავანში შემოუგდია. მეორე დღეს ბერებს გაჰკვირებიათ, საყბურიანად რაღა სძოვსო ჯორი, საყბური აუხსნიათ თუ არა, ჯორი გაუჩინარებულა მყისვე“.<sup>1</sup>

დავითმა, როცა ეს ამბავი მოისმინა, დედისიმედი დაამშვიდა: „შენ ნურას იდარდებ, მე თუ ეშმას წურთვნა შეძ-

---

<sup>1</sup> გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ. 336.

ლებია, როგორც შენა თქვი არც ქვეგამხედვართ ასცდებათ წრთენა“.<sup>1</sup>

ტეტრალოგიაში ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს მინიჭებული მეზირის (გველის) კულტს. დავით აღმაშენებლის ბიძა მახარა გველების მგეშავია. იგი გველს თავის სურვილის მიხედვით ათამაშებს, მაგრამ გველი მაინც გველად რჩება და, მახარას აზრით, მას აუცილებლად ხერხემალი უნდა გადაუტეხოს ადამიანმა.

ხერხემალ გადატეხილი გველი სიმბოლურად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, თუ როგორ უნდა მოექცეს ქვეყნის ორგულთა და „ქვეგამხედვართ“ ეროვნული ერთიანობის სადაზღოზე მღგარი მეფე. მახარამ სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება, როცა მომავალ მეფეს ასწავლა „ქვეგამხედვართა“ ხერხემლის დროზე გადატეხა.

აღნიშნული ეპიზოდი რომანში საოცარი მხატვრული ფორმით არის აღწერილი, სადაც მწერალი რემბრანდტიესებური ფუნჯით არაჩვეულებრივ სურათს გვიხატავს.

დავითი, მახარა, ჯონდო და გვანცა სათაფლიას გამოქვაბულისაკენ გაემგზავრნენ ცხენებით. ამაღა ერთ კლდეს მიუახლოვდა. დავითმა ყველანი შეაჩერა. გამოჩნდა შავი პეპლები. ეს შავი პეპლები იქ ჩნდებიან, სადაც გველები ბუღობენ. მახარამ „ამოიღო ლელის საღამური და ტკბილად დაუკრა... აპარპალებდა შაბიამნისფერ თვალებს. დავითი ყურს უგდებდა... აქ ასწავლიდა მას იღუმალის წამყოფით გამოვლინებას ქოსა. დავითმა უჩურჩულა სტუმრებს, იყურეთო მცირე ხანს... დავითმა თვალი წაატანა, თუ როგორ მოსრიადებდა უზარმაზარი ასპიტი... მახარამ საღამური ჯიბეში ჩაიღო, თავზე წა-

---

<sup>1</sup> გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ.338.

ადგა მცურავს, ტურ-პირზე მუშტი მიიღო და დაიწყო ჩურჩული.

მერე დაწვდა, კისერში ხელი წაავლო და ისე დაგრაგნა, როგორც ქართული ასო ი. მერე რულუნებით დასვა მიწაზე გველი. დავითმა თვალი უყო. გაუღიმა თანაც: „ახლა შენ იცი!“...

მეფე უხმოდ მიეახლა ქვეწარმავალს... წამოეწია და ხელის იმგვარი მოძრაობით, როგორითაც ნაკვერჩხლებიდან აიღებენ ხოლმე რაიმეს, სამი თითი წაატანა წაწვეტებულ კულზე, აგერ აიყვანა ჰაერში. სამჯერ ზედიზედ შეატოკა ზევიდან ქვემოთკენ... ბოლოს შეუშვა ხელი და უკუდგა თავათ... ბალახებში საწყალობლად სხმარტალებდა მცურავი.

„ეს რა ჰქენი?“ ამბობდა გაოცებული გვანცა.

„ხერხემალი გადაუტეხეს უხსენებელს“, - მიუგო ქოსამ და შაბიამნისფერ თვალებში გაიელვა ეშმაკურმა ღიმილმა“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში მწერალი სიმბოლურად მიგვანიშნებს მეფის ძლიერებაზე: გველს ხერხემალი უნდა გადაუტეხო, ხოლო ჯორად ქცეული ეშმაკი კი აღვირამოდებული იყოლიო. მამასადაძე, გველის ანუ ვეზირის კულტი და ეშმაკის დამორჩილების ამბავიც კ. გამსახურდიას მიერ გამოყენებულია მიზანდასახულად, გარკვეული მხატვრული ეფექტის შესაქმნელად. მას იდეური დატვირთვაც ახლავს და ამდენად ორგანულად არის შერწყმული რომანის სიუჟეტურ ქსოვილში.

მეზირის კულტის, ეშმას-ჯორის დამორჩილების ლეგენდების გარდა მწერალი დავით აღმაშენებელში იყენებს თქმულებას გაქარხნული სასახლის შესახებ. დავითის გამეფების წელს (1089) მომხდარი მიწისძვრის შემმუსვრელი შედეგები,

---

<sup>1</sup> გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ. 340-342.

ციხეების დანგრევა, გეგუთის სასახლეში მეციხოვნეთა და-  
ლუპვა და სხვა.

მწერალს აღწერილი აქვს, როგორც წინასწარ მოახ-  
ლოებული უბედურება, რომელიც მახარამ იგრძნო, რადგან  
„აჭიხვინდაო ბაგრატიანული საომარი ცხენი, კედელზე დახა-  
ტული 20 წლის წინად“.<sup>1</sup>

გაქარჩნული ვარაზის ციხის საიდუმლოების აღწერა  
ავტორს გარკვეული შთანაფიქრის საჩვენებლად სჭირდება.  
ტეტრალოგიის მთავარი მოქმედი გმირი დავით აღმაშენებელი  
არა მარტო ემპაკის მწვრთნელია და გველის მგეშავი, იგი  
ყოველგვარი დემონური არსების დამმორჩილებელიცაა. დავით-  
თი ადამიანის მოდგმის მტერს რომანის მიხედვით ხმალში  
იწვევს, ამარცხებს მას და ანთავისუფლებს „მოჯადოებულ“  
ციხე-სიმაგრეს, რომელიც ეგზომ საჭირო იყო ქვეყნის თავ-  
დაცვისათვის. ეი ხალხის მიერ დავით აღმაშენებლისათვის  
მიკუთვნებულ ზებუნებრივ თვისებებს, მწერალი დიდი ტაქტი-  
თა და ოსტატობით იყენებს რომანის ცალკეული პასაჟების  
შესაქმნელად.

ტეტრალოგიაში ბაკური, თავისი ერთადერთი შვილის  
ვალანგის ქორწილის დღეს, დავით მეფეს ელოდებოდა სტუ-  
მრად ამალითურთ. მეფეც მოვიდა. მან ბინა დაიღო ვარაზის  
სასახლის იმ პალატში, სადაც „საკუთარი ხატება“ გამოესა-  
ხა ხუროთმოძღვარს. მეფემ სწრაფად იხმო მახარა და უჩ-  
ვენა: „კარგად დააკვირდი, მახო, ამ ხუროთმოძღვრის ხუჭუ-  
ჭა თმას, დახე ორი, ოდნავ, სულ ოდნავ შესამჩნევი რქაი  
მოუჩანს კუპრისფერ კულულებს შორის“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ. 1, თბილისი, 1954,  
გვ. 101.

<sup>2</sup> გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ. 1, თბილისი, 1954,  
გვ. 518.

„ოდნავ შესამჩნევი რქაი“ დემონურის ატრიბუტია. ამ დემონს მოუწამლავს (გველის საშუალებით) ვალანგის დაბადების დღეს გაგსებული უზარმაზარი ქვეერი, რომელსაც ბაკურმა ქორწილის დროს ახადა თავი. მექორწილეები მოიწამლნენ, მაგრამ „დავით მეფემ უაქიმა მექორწინებს, რომელთაც ქვეერში გახრწნილი გველის გესლისაგან სიკვდილი მოელოდათ, მაშინ განრისხდა ეშმა, ვარაზის ციხის ამგები. საკუთარი ხატისაგან გადმოიჭრა და ხმლით შეებრძოლა დავით მეფეს, მაგრამ სირცხვილეული გაიქცა ციხის სარკმლიდან“.<sup>1</sup> დავითი ეშმას „ვადაჯვრიანი ხმლით“ შეებრძოლა.

რომანში თქმულებებისა თუ ლეგენდების ასე შტამბეჭდავად გადმოცემა ერთ მიზანს ემსახურება: „აამაღლოს, ხელშესახებად გვიჩვენოს ხალხის მიერ ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებული დავით აღმაშენებელი, რომლის წინაშე არ არსებობდა არავითარი საფრთხე, რადგან თვითონ იყო „უშიში, ვითარცა უხორცო“.

საერთოდ, კიდევ მრავალი სახის წარმართული წესჩვეულებები, რიტუალები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია გამოყენებული „დავით აღმაშენებელში“, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია მიზანდასახულად, გარკვეული მხატვრული თვალსაზრისით იყენებს.

### **დამოწმებანი:**

1. გამსახურდია კ. (1954). „დავით აღმაშენებელი, წიგნი 1. თბილისი.
2. ჟღენტე ბ.(1967). „კონსტანტინე გამსახურდია“, თბილისი.
3. სიხარულიძე ქს. (1958). „ნარკვევები“, თბილისი.

---

<sup>1</sup> გამსახურდია კ., „დავით აღმაშენებელი“, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ. 523.

4. სიხარულიძე ქს. (1961). „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, თბილისი.
5. ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია. (1970). თბილისი.
6. ცანავა ა. (1972). „კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება“, თბილისი.

*Mariam Marjanishvili*  
*Kutaisi State Historical Museum*  
**DAVID AGMASHNEBELI IN FOLKLORE AND  
TETRALOGIA  
RESUME**

The first period of the long Georgian historical folklore encompasses the V-XIV cc. The works of this period are various in genre as well as in cycle.

These are poems, fables and legends about Vakhtang Gorgasal, David Agmashenebeli, Queen Tamar, Shota Rustaveli and other.

The particular value of historical folklore is the fact that it reflects some important events ignored and ommitted by old historians.

While old historians were silent about David Agmashenebeli's supernatural powers, people created legends about their favourite king.

One of the most notable legends in folklore is a “Legend about David Agmashenebeli”, which tells us about the submission of the devil turned into a mule.

In his tetralogia, which he was writing for a quarter of a century, Konstantine Gamsakhurdia reflected the most important epoch in the history of our country. The writer used the legend about David Agmashenebeli which he adapted to the hero's mood and character.

The legend about David Agmashenebeli is precisely used in the novel with some alterations of details and places.

According to the novel: "As a young boy, King David was coming back from hunting when he met the devil, seized it and conquered the evil spirit. The devil immediately turned into a mule. The prince ascended it, rode here and put bridles on it. Then he put it inside the fence. The next day, the monks were surprised at the sight of a mule grazing with its bridles on. As soon as they took the bridles off, the mule disappeared at once".

The tetralogia gives an important function to the cult of a serpent, when "King David broke the serpent's backbone".

In both cases, the author symbolically indicated the King's power: a serpent's backbone must be broken and the devil must be kept with bridles. Thus, the cult of a serpent and the conquest of the devil are used by K. Gamsakhurdia to create a certain stylistic effect. It is merged with the plot of the novel.

The usage of legends in the novel aims at one thing: "It shows the king possessing supernatural powers, who was not afraid of dangers as he himself is as fearless as ethereal".

**თამარ მესხი**  
*გიორგი წერეთლის სახელობის  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

## პეტრიწონის მონასტრის მეტოქები საქართველოში

1889 წელს ათენის ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების ბიულეტენის მესამე ნომერში გამოქვეყნდა ვლასიოს სკორდელისის სტატია: „*შენიშნები სტენიმაქის ბაჩკოვოს მონასტრის შესახებ*“.<sup>1</sup> სტატიაში გამოქვეყნებულია ღმრთისმშობლის ხატის ქართული წარწერის ბერძნულენოვანი თარგმანიც. როგორც ავტორი გვამცნობს, ეს წარწერა მიწერილი ყოფილა პეტრიწონის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერზე, რომელიც 1827 წელს მის დიდ ბებიას გადმოუწერია. მას შემდეგ ეს ნუსხა მათ ოჯახში ინახებოდა.<sup>2</sup>

მართალი გითხრათ, თავიდან ეს წარწერა პეტრიწონის მონასტრის იმ ცნობილი ღმრთისმშობლის ხატის წარწერა მეგონა, რომელიც დღესაც პეტრიწონის მონასტერში ასვენია, და რომლის წარწერაც 1949 წელს ნიკო ბერძენიშვილმა,<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Βλ. Σκορδέλη, Σημειώματα περί τῆς μονῆς Βατσκόβου ἐν Στενίμαχο: β. Ἐπιγραφή ἐπὶ τῆς εἰκόνας τῆς κοιμησέως τῆς εοτόκου, Δελτίον Ἱστορικῆς καὶ Ἐθνολογικῆς Ἐταιρίας Ἀθηνῶν, τόμ. Γ', 1889, 357-358.

<sup>2</sup> ვლ. სკორდელისის ოჯახი პეტრიწონის მონასტრის მრევლი იყო.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძლევად (გამარჯვება), რუმინეთ-ბულგარეთში მოგზაურობიდან, თბ., 1949, 33.

ხოლო 1971 წელს აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა.<sup>1</sup> წარწერათა შედარებამ დამარწმუნა, რომ ეს ასე არ არის. თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინთ ვლ. სკორდელისის მიერ გამოქვეყნებულ ბერძნულენოვან ტექსტს, ჩემ მიერ შესრულებულ მის ქართულ თარგმანს და აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ქართულ წარწერას:

**ვლ. სკორდელისის მიერ გამოქვეყნებული წარწერა:**

Ἰδὸν σημεινομεν τὰ γεγραμμένα γράμματα, ὁποῦ εὐρίσκονται εἰς τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου τῆς Πετριτζιώτισσας τὸ ἀσῆμι γκιουρτζίδικα, καὶ λέγουν οὗτος·

**εἰς τὸ δεξιὸν μέρος.**

«αψπγ αὐγούστου β'.: † δέσποτα κύριε Ἰησοῦ Χριστέ, ἐν ἀγίῳ πνεύματι. Ἡ παροῦσα εἰκόνα τῆς ὑπεραγίας ἐνδόξου δεσποίνης ἡμῶν Θεοῦ τῆς Μητρὸς τοῦ Κυρίου ὀνομάζεται Πετριτζούλ ἡγουν Πετριτζιώτισσα. Ὅθεν αὐτὴν τὴν ἀγίαν εἰκόνα δύο ἀδελφία τὴν ἱστορίσαμεν ὁ μὲν ἕνας Ἰγνάτιος ὁ δὲ ἕτερος Ἀθανάσιος διὰ χάριν εὐλάβειας ἡμῶν τε καὶ τὰ τέκνα μας. Τὴν ἀφιερῶσαμεν καὶ τρία χωρία διὰ τὴν ἀγίαν τῆς ἐκκλησίαν νὰ εὐρίσκωνται ὡς σιτηρέσιον, τὰ ὁποῖα χωρία εἶναι μέσα εἰς τὸ κάστρον ὁποῦ ὀνομάζεται Κάτλι· τὸ πρῶτον χωρίον λέγεται Καραλέτ, ἐξουσιάζει δύο μύλους καὶ ἕνα ἀμπέλι· τὸ

---

<sup>1</sup> А, Шанидзе, Надпись на иконе, сб.: აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971, 358.

ἕτερον χωρίον λέγεται Ἐρκνίτ· ὁμοίως καὶ αὐτὸ ἔχει δύο ἀμπέλια· τὸ τρίτον χωρίον ὀνομάζεται Λιλό· ἐτοῦτο εὐρίσκεται ἐπάνω εἰς τὸ βουνό, ἔχει καὶ αὐτὸ μερικὰ χωράφια. εἰς ἐτοῦτο τὸ χωρίον εὐρίσκεται καὶ ἡ ἐκκλησία τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου τῆς Πετριτζιώτισσας, ὅπου ὀνομάζεται ἡ ἅγια εἰκόνα γκιουρτζίδικα Πετριτζούλ».

### εἰς τὸ ἀριστερὸν μέρος.

«Ἐτούτην τὴν ὑπεραγίαν Θεὸν τὴν ἱστορίσαμεν εἰς τῶν ῥωμαίων τὴν βασιλείαν εἰς τὲς ἡμέρας τοῦ πολυχρονημένου βασιλέως Ἀνδρονίκου Μιχαήλ τοῦ Παλαιολόγου τὰ παιδιὰ καὶ εἰς τὴν Γκιουρτζίαν ἐβασίλευαν τότε βασιλεῖς Κωνσταντίνος καὶ Δημήτριος ἀπὸ τὴν γενεὰν τοῦ Παγκρατίου ἀπὸ Χριστοῦ ἔτος πεντακοσίους τριάντα (;), ἰνδικτίον ἑννέα ἐν μηνὶ δεκεμβρίου 12. Ἐσὺ δέσποινα μήτηρ τοῦ Θεοῦ βοήθησον μας καὶ συγχώρησον τὰς ἁμαρτίας μας ἐν ἡμέρᾳ κρίσεως εἰς τὸ φοβερὸν κριτήριον ἡμᾶς τε καὶ ὄλους τοὺς εὐσεβεῖς χριστιανούς»<sup>1</sup>

**ვლ. სკორდელისის მიერ გამოქვეყნებული წარწერის თარგმანი:**

*„აი, აღვნიშნავთ პეტრიწონის ღმრთისმშობლის ხატის ვერცხლის [პერანგზე] არსებულ წარწერებს, რომლებიც ქართულ ენაზე ამას ამბობენ“:*

---

<sup>1</sup> Вл. Скордэли, Σημειώματα περὶ τῆς μονῆς Βατσκοβου..., 358.

### **მარჯვენა მხარის წარწერა:**

„1783 წლის 2 აგვისტო: † უფალო იესო ქრისტე, სულისა წმიდისა მიერ. ეს ხატი ყოვლადწმიდა [და] დიდებული ქალწულისა ჰენისა ღმრთისმშობლისა, დედისა უფლისა, ეწოდება პეტრიძულ, ანუ პეტრიწონისა. ეს წმიდა ხატი დავხატეთ ორმა ძმამ: ევნატემ და ათანასემ, მადლითა ჰენი და ჰენი შვილების მორწმუნეობისა. ასევე, მისი წმიდა ეკლესიის სარჩოდ შეეწირეთ სამი სოფელი, რომლებიც მდებარეობს ციხეში, სახელად ქართლი; პირველი სოფლის სახელია კარაღეთი, ფლობს ორ წისქვილსა და ერთ ვენახს. მეორე სოფლის სახელია ერგნეთი. მასაც აქვს ორი ვენახი. მესამე სოფლის სახელწოდებაა ლილო; იგი მდებარეობს მთაზე. მასაც აქვს რამდენიმე ნაკვეთი. ამ სოფელში მდებარეობს ეკლესია პეტრიწონიტიასა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა, რომლის წმიდა ხატს ქართულად ეწოდება პეტრიძულ“.

### **მარცხენა მხარის წარწერა:**

„ეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დავხატეთ, როდესაც რომაელებთან მეფობდა დღევრძელი ანდრონიკე მიხეილ პალეოლოგისის ძე და მისი შვილები, საქართველოში კი მეფობდა მეფე კონსტანტინე და დიმიტრი, ბაგრატიის დინასტიიდან. ქრისტესით 530 წელი, ინდიქტიონი 9, დეკემბრის თვის 12.. შენ ქალწულო და დედავ ღმრთისაო, შეგვეწიე და შეგვიხრდე შეცოდებანი დღესა მას განკითხვისა წინაშე საშინელისა სამსჯავროსა ჰვენ და ყოველნი კეთილმორწმუნე ქრისტიანენი“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> აი, ასეთია ვლ. სკორდელისის მიერ გამოქვეყნებული ბერძნულენოვანი ტექსტის ზუსტი (სიტყვასიტყვითი) ქართული თარგმანი. ცხადია,

ამრიგად, სკორდელისის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტის მიხედვით, წარწერები განლაგებული ყოფილა ღმრთისმშობლის ხატის ვერცხლის პერანგის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ხატის შემწირველებად მოიხსენიებიან ძმები: ეგნატე და ათანასე. მათვე პეტრიწონის მონასტრისთვის ქართლის სამ სოფელში: კარალეთში, ერგნეთსა და ლილოში შეუწირავთ ვენახები, მიწის ნაკვეთები და ორი წისქვილი. სოფელ ლილოში ყოფილა ეკლესია პეტრიწონის ღმრთისმშობლის სახელობისა. იქ დასვენებულ ღმრთისმშობლის ხატს კი მოიხსენიებდნენ სახელწოდებით „პეტრიძულ“. პეტრიწონის ღმრთისმშობლის ხატის შექმნის დროდ დასახელებულია ის პერიოდი, როდესაც ბიზანტიაში მეფობდნენ ანდრონიკე, ძე მიხეილ პალეოლოგისა, და მისი შვილები. საქართველოში კი – მეფე კონსტანტინე და დიმიტრი ბაგრატიონები.

ვლ. სკორდელისისათვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რას ნიშნავს თარიღი «ἀπὸ Χριστοῦ ἔτος πεντακοσίους τριάντα» (ქრისტეს შობიდან 530 წელი). ამიტომ წინადადების ბოლოში კითხვითი ნიშანი დაუსვამს. ეს წარწერა შეისწავლა ბერძენმა მკვლევარმა კ. აპოსტოლიდისმა, რომელმაც ხატის შექმნის დროდ 1310 წელი განსაზღვრა.<sup>1</sup>

**აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებული 1311 წლის ხატის წარწერა:**

---

შეიძლება ქართული ტექსტის დახვეწა, მაგრამ ვინაიდან იგი თარგმანის თარგმანია, ეს შეგნებულად არ გავაკეთე [თ.მ.].

<sup>1</sup> K. Μύρτ. Ἀποστολίδου, Περὶ τῆς Μονῆς τῆς Κοιμήσεως τῆς Ὑπεραγίας Θεοτόκου τῆς Πετριτσονίτισσος, Θρακικὰ, τ. 7ος, Ἐν Ἀθήναις, 1936, 72.

„† მოიჭედა წმიდაჲ ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისაჲ პეტრიწონს, ორთა კორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღურისა ათანასის და ოქროპირისა პერპერიითა რკე (125) და წინაშე ხატისა საკანდლითა ვეცხლისაითა საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე, მიხაელ და ანდრონიკესსა პალეოლოღოს ძეთასა, ხოლო ქართლს კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბავრატონიანთასა, დასაბამითვანთა წელთა ბერძულად ხყით (6819), ხოლო ქართულად ხშიე (6915).

წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწირე მცირე ესე ძღუენი მათი და შეუნდვენ და მეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა. ამინ, ამინ იყავნ, ამინ. ქორონიკონსა ფლას (531), ინდიკტიონსა თ (9).

ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი, კაცთ მოყუარე, ამინ“<sup>1</sup>

აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებული წარწერაც მოთავსებული ყოფილა ღმრთისმშობლის ხატის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. წარწერის თანახმად, ხატის მომჭედავნი არიან ღვიძლი ძმები: მოძღვარი ათანასე და ოქროპირი – ტაოელი ეგნატეს შვილები. ხატის მოჭედვასა და ერთი ვერცხლის საკანდელეს გამოკვერაზე დახარჯულა 125 პერპერა (ბერძნული ოქროს ფული). ხატი მოუჭედავთ მაშინ, როდესაც ბიზანტიაში მეფობდა ანდრონიკე პალეოლოგი, მისი ძე მიხეილი და შვილიშვილი ანდრონიკე. საქართველოში კი – მეფე

---

<sup>1</sup> А.Шанидзе, Надпись на иконе: ак. Шаниде, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში ..., 358.

კონსტანტინე და დიმიტრი ბაგრატიონები.<sup>1</sup> წარწერის მიხედვით, ხატი მოიჭედა 1311 წელს.

ვლ. სკორდელისის მიერ გამოქვეყნებული წარწერა 1904 წელს ლ. პეტიტმა გადაბეჭდა და იმ შესავალში შეიტანა, რომელიც მან მის მიერ გამოქვეყნებულ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნულ რედაქციას დაურთო.<sup>2</sup> ამით ეს წარწერა ქართველი მეცნიერებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. მართალია, წარწერა ქართულ ენაზე აქამდე არავის უთარგმნია, მაგრამ აკ. შანიძემ იგი მის მიერ ბულგარეთში გადმოწერილ წარწერას შეუდარა და ასეთ დასკვნამდე მივიდა: „ტექსტი მოყვანილია ახალ ბერძნულზე შესრულებული არაზუსტი თარგმანის მიხედვით, რომელიც გასულ საუკუნეში გაუკეთებია ვინმე მღვდელ ზაქარიას, რომელიც საქართველოდან ჩავიდა პეტრიწონში მოსალოცად. საკმარისია აღვ-

---

<sup>1</sup> 1311 წლის ხატის წარწერის გამოქვეყნებამდე, დიმიტრი ბაგრატიონი ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი იყო. ამასთან დაკავშირებით, მ. თარხნიშვილი წერდა: „ჩემთვის ხელმისაწვდომ ქართული წყაროებიდან არა სჩანს, რომ 1311 წ. ქართლში მეფედ მჯდარიყო ვინმე კონსტანტინე ანუ დიმიტრი. ამიტომ ვთხოვ, ვისაც კი საქართველოს ისტორიიდან მეტი მასალა გააჩნია, ამავე ჟურნალის ერთ-ერთ რეგულში გვაცნობოს ამ ორ მეფეთა ვინაობა“ („ბედი ქართლისა“, №8, პარიზი 1950, 20-22; იხ. აგრეთვე: მ. თარხნიშვილი, წერილები, კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო თ. ჭუმბურიძემ, თბ., 1994, 224). ასლა უკვე დადგენილია, რომ კონსტანტინე დავით ნარინის ძეა, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გამეფდა (1293-1327 წწ.). დიმიტრი კი დემეტრე თავდადებულის ძის, ვახტანგ III-ის, შვილია. იხ.: ვ. კიკნაძე, პეტრიწონის ქართული ხატი და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, №8, თბ., 2008, 111-114.

<sup>2</sup> L.Petit, Typicon de Grégoire Pacourianos pour le monastère de Petritzos (Bachkovo) en Bulgarie, приложение к ВВ, т. XI, 1904, стр. XIX-XX.

ნიშნით, რომ წარწერაში მოხსენიებული მამა და შვილი (ეგნატე და ათანასე) „თარგმანში“ დასახელებულია ძმებად, ხოლო ეგნატეს მეორე შვილი, ოქროპირი, საერთოდ არაა ნახსენები. ასევე, არაა ნახსენები ანდრონიკე უმცროსი. გარდა ამისა, არ არის საუბარი შეკვეთის ღირებულებაზე. ორი ქართული წელთაღრიცხვიდან კი ნახსენებია მხოლოდ ერთი და ისიც შეცდომით. ასევე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მღვდელ ზაქარიას ნათავისარს, თითქოს წარწერაში იკითხებოდეს, რომ ტაოელმა ძმებმა პეტრიწონის მონასტერს საქართველოში შესწირეს სამი სოფელი: კარალეთი, ორი წისკვილით, ერგნეთი, ორი ვენახით, და ლილო, რამდენიმე მინდვრით. თითქოს, ამ უკანასკნელში მთაზე არსებობდა ეკლესია პეტრიწონის ღმრთისმშობლისა, ხატით „პეტრიძო“<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, აკ. შანიძემ 1310 წლის ხატის არსებობა გამორიცხა, ბერძნულენოვანი თარგმანის ის ცნობა კი, რომლის თანახმადაც პეტრიწონის მონასტერს საქართველოში სამი სოფელი შესწირეს, მღვდელ ზაქარიას გამონაგონად მიიჩნია. მისი ეს თვალსაზრისი ისე მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ აგერ უკვე 45 წელია მასში ეჭვი აღარავის შეუტანია.

ძნელია ისეთ ბუმბერაზ მეცნიერს შეეკამათო, როგორც აკ. შანიძე იყო, მაგრამ ამის საშუალებას მის მიერვე გამოვლენილი განსხვავებები მაძლევს:

ადვილად შეიძლებოდა დავთანხმებოდი აკ. შანიძეს იმ საკითხში, რომ წელთაღრიცხვის სისტემათა ბერძნულ ენაზე გადატანისას მთარგმნელს ერთწლიანი ცდომილება მოუვიდა. ისიც ადვილი წარმოსადგენია, რომ მთარგმნელს ანდრონიკე იმპერატორის შვილიშვილის სახელი გამორჩენოდა, რადგან

---

<sup>1</sup> А.Шанидзе, Надпись на иконе: аკ. Шანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში ..., 354 -355.

მასაც ანდრონიკე ერქვა. მაგრამ, როგორღა გამორჩა 1311 წლის ხატის წარწერაში ნახსენები ათანასის ძმის, ოქროპირის, სახელი? ან, რატომ უნდა წარმოეჩინა მამა-შვილი (ეგნატე და ათანასი) ძმებად? ამის თარგმნა ხომ რთული არ არის. ან კიდევ, თუკი ცნობა ხატისა და ვერცხლის საკანდელეს ღირებულებისა და შეწირვის შესახებ გამორჩა, როგორ ან რატომ ჩაამატა ცნობა პეტრიწონის მონასტრისთვის საქართველოში შეწირული მამულების შესახებ?

ჩემი აზრით, ის გარემოება, რომ 1310 წლის ხატის წარწერაში ეგნატე და ათანასი ძმებად მოიხსენიებიან, ხოლო 1311 წლის ხატის წარწერის მიხედვით – მამა-შვილად, იმას ნიშნავს, რომ წარწერებში ორი სხვადასხვა ეგნატე იგულისხმება. იქნებ, სწორედ ამიტომაც 1311 წლის წარწერაში ხაზგასმული, რომ იქ ნახსენები ეგნატე ტაოელია.

ვინაიდან 1310 წლის ხატის წარწერაში მოხსენიებულ ეგნატეს პეტრიწონის მონასტრისთვის, ხატის გარდა, სამი სოფელიც შეუწირავს („*შევეწირეთ მას, მისი წმიდა ეკლესიის სარჩოდ, სამი სოფელი...*“), იმას გვაფიქრებინებს, რომ ის სამეფო კარზე ან დიდ აზნაურთა შორის უნდა ვეძებოთ.

რაც შეეხება ათანასის, ნ. ბერძენიშვილის აზრით, 1311 წლის ხატის წარწერაში მოხსენიებული ათანასი და მისი ღვიძლი ძმა, ოქროპირი, პეტრიწონის მონასტერში ბერად შემდგარი ტაოელი ქართველები იყვნენ. ვინაიდან ათანასი მოძღვრადაც იწოდება (სიტყვა „*მოძღვარი*“ კი მასწავლებელს ნიშნავს), ამიტომ ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ XIV საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა პეტრიწონის სემინარია,

რომელიც გრიგოლ ბაკურიანის-ძემ დაუწესა მონასტერს და ათანასი ამ სემინარიის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო.<sup>1</sup>

ნ. ბერძენიშვილის იმ თვალსაზრისის გაზიარება, რომ 1311 წლის წარწერაში მოხსენიებული ათანასი პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე ბერი იყო, ნამდვილად შეიძლება. ისიც შეიძლება დაუშვათ, რომ 1310 და 1311 წლის ხატების წარწერებში მოხსენიებული ათანასი ერთი და იგივე პირი იყოს. სავარაუდოდ, ის ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, რათა პეტრიწონის მონასტრისთვის შეწირულობები შეეგროვებინა. ვინაიდან ათანასი 1310 წლის ხატის წარწერაში ეგნეტეს ძმად იყო მოხსენიებული (რაც შეიძლება გავიგოთ როგორც ქრისტესმიერი ძმა), შესაძლოა, ამიტომაც აღინიშნა 1311 წლის ხატის წარწერაში, რომ ოქროპირი მისი „კორციელი“ ძმა იყო.

1310 წლის ხატის არსებობის უარსაყოფად არ გამოდგება არც ის გარემოება, რომ ბერძნულ თარგმანში, ისევე როგორც 1311 წლის ქართულ წარწერაში ხატის შექმნისა და შეწირვის დროდ დასახელებულია ზეობა ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე პალეოლოგისა, მისი შვილისა და შვილიშვილისა, საქართველოში კი – კონსტანტინე და დიმიტრი ბაგრატიონებისა. რატომ არ შეიძლება დაუშვათ, რომ სწორედ დასახელებულ პირთა მეფობის დროს პეტრიწონის მონასტერს საქართველოდან ორი ხატი შესწირეს: ერთი 1310 წელს, მეორე კი – 1311 წელს.

ეს რომ მართლაც ასე მოხდა, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ. მანამდე კი ბერძნული თარგმანის ავკარგიანობას შევეხები.

---

<sup>1</sup> ბერძენიშვილი, ძლევა ..., 33-34; ამ თვალსაზრისს იზიარებდა აკ. შანიძეც: А.Шанидзе, Надпись на иконе: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში..., 364.

მე არ ვიზიარებ იმ თვალსაზრისს, რომ 1310 წლის ხატის წარწერის ბერძნულენოვანი თარგმანი არაზუსტი და ძალიან ცუდია, როგორც ამას ლ. პეტიტი და აკ. შანიძე მიუთითებენ.<sup>1</sup> მართალია, მამა ზაქარიას მიერ შესრულებული თარგმანი უხადო ბერძნულით არ გამოირჩევა, მაგრამ აზრის გამოტანა თავისუფლად შეიძლება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ვლ. სკორდელისის შენიშვნაც, რომ წარწერის გამოქვეყნებისას მას ბერძნულენოვანი ტექსტის ლექსიკონთვის ხელი არ უხლია, მხოლოდ ორთოგრაფიული შეცდომები გაუსწორებია. თარგმანიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მამა ზაქარიას არა მხოლოდ სალაპარაკო ბერძნული სცოდნია, არამედ საკმაოდ განათლებული პიროვნებაც ყოფილა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ბიზანტიური და ქართული წელთაღრიცხვის სისტემები სწორად აქვს მისადაგებული (ხატის შექმნის დროდ კ. აპოსტოლიდისმაც ხომ 1310 წელი განსაზღვრა).

საბედნიეროდ, ვლ. სკორდელისმა, 1310 წლის ხატის წარწერის ბერძნულ თარგმანთან ერთად, ის მინაწერიც გამოაქვეყნა, რომელიც მღვდელ ზაქარიას მის მიერ შესრულებული თარგმანის ქვეშ მიუწერია. სწორედ ამ მინაწერის საშუალებით შევძელი, მამა ზაქარიას ვინაობა დამედგინა.

აი, რას გვაუწყებს ეს მინაწერი:

«Εἰς τον καιρὸν τοῦ καθηγουμένου κὺρ Μακαρίου τοῦ Φιλίππουπολίτου ἦλθον ἐγὼ ὁ δοῦλος τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου ἀπὸ τὸ κάστρον Τίπλις τῆς Γκιουρτζίας, ἀπὸ τὴν ἐκκλησίαν τοῦ ἁγίου μανδιλίου Ζαχαρίας ἱερεὺς μὲ τὸν υἱόν μου τὸν Πέτρον, ἐδιάβασα

---

<sup>1</sup> როგორც ჩანს, აკ. შანიძემ ზედმეტად ენდო ლ. პეტიტის თვალსაზრისს. ამიტომაც შეაფასა ასე მკაცრად მღვდელ ზაქარიას თარგმანი.

τὰ γράμματα γκιουρτζίδικα ὅπου εἶναι γεγραμμένα εἰς τὸ ἀσῆμι τῆς εἰκόνας, καὶ ἔγραφον ἔτσι ὡς ὀρᾶς ἄνωθεν».

*„ღელთა მათ მაკარი ფილიპოპოლელის [მეუფებისა] მოვედი მე, მონა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა, გურჯისტანის ციხე-ქალაქ თბილისიდან, წმინდა მანდილოს ეკლესიიდან, მღვდელი ზაქარია, ჩემს შვილთან – პეტრესთან ერთად, წავიკითხე ქართული წარწერები, რომლებიც წერია ხატის ვერცხლის [პერანგზე] და ისე წერია, როგორც ზემოთ ხედავ“.*

ბერძნულ მინაწერში დასახელებულ „წმინდა მანდილოს ეკლესია“-ში (ἐκκλησίαν τοῦ ἁγίου μανδύου), ცხადია, ანჩისხატის ეკლესია იგულისხმება. ამიტომ, მამა ზაქარიას ვინაობის დასადგენად, მივმართე პოლიეპქტოს კარბელაშვილის წიგნს, რომელიც მან ქალაქ თბილისში მდებარე ანჩისხატის ეკლესიას მიუძღვნა. ამ წიგნში, ისტორიულ მიმოხილვასთან ერთად, გამოქვეყნებულია ანჩისხატის ეკლესიის დეკანოზების სიაც. სიაში დასახელებულია დეკანოზი ზაქარია, ძე ალექსი დეკანოზისა (ალექსი მესხიშვილისა),<sup>1</sup> რო-

---

<sup>1</sup> დეკანოზი ალექსი აღიზარდა კათოლიკოზ ანტონთან ერთად და მათი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. როდესაც ანტონი რუსეთში გააძევეს (1756 წ.), ალექსიც დასაჯეს და, სავარაუდოდ, დროებით მღვდლობიდანაც გადააყენეს. დეკანოზ ალექსის ქართველთა საზოგადოება დიდ პატივს სცემდა. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ალექსი დეკანოზს ასე მოიხსენიებს: „ის იყო მეცნიერი კაცი, მოძღვარი სულიერი ანტონი კათალიკოზისა, მწერალი ზუცურისა და მხედრულისა... ამან მრავალნი საღმრთონი წერილნი და ისტორიანი გადასწერნა“ (იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, იხ.: ქართული პროზა, წ. VI, თბ., 1984, 530). ალექსი დეკანოზს ჰყავდა შვილები – ნიკოლოზი, გიორგი, დავითი, ზაქარია, იოსები და სოლომონი. დავითი, 1783 -1801 წლებში თელავის

მელსაც ანჩისხატის ტაძარში დეკანოზად სულ სამი წელი (1788-1791 წწ) უღვაწია, რადგან ახალგაზრდა გარდაიცვალა.<sup>1</sup>

ბერძნული მინაწერის მიხედვით, მღვდელი ზაქარია პეტრიწონის მონასტერს 1783 წელს ეწვია. სუთი წლის შემდეგ (1788 წ.) რომ მისთვის დეკანოზობა ებოძებინათ, ამაში მოულოდნელი არაფერია, მით უფრო, რომ 1674 წლიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე ანჩისხატის ეკლესიაში ძირითადად პეტრე მესხის<sup>2</sup> შთამომავლები იღვწოდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ 1310 წლის ხატის წარწერის მთარგ-

---

სასულიერო სემინარიას განაგებდა, ისტორიას შემორჩა „დავით რექტორის“ სახელით. მეორე შვილმა – სოლომონ დეკანოზმა (1791-1808 წწ.), 1795 წლის კრწანისის ბრძოლის დროს, ზურგზე მოიკიდა ხელთუქმნელი ანჩის ხატი და მცხეთაში აიტანა, იქიდან კი ურმით ანანურში წაასვენა გერგეთისაკენ, რათა ყიზილბაშებს ხელთ არ ჩავარდნოდა. სოლომონ დეკანოზი მხატვარიც იყო. მისი დასატული წმ. ბარბარეს ხატი ახლაც ასვენია ანჩისხატის ეკლესიაში. ალექსი დეკანოზი გარდაიცვალა 1766 წ. და დასაფლავებულია ანჩის-ხატის ტაძრის დასავლეთის კარების წინ, პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში (ისტორიული მიმოხილვა), ტფ., 1902. ხელახალი გამოც. თბ., 2013, 107-112 (აქ და ყველა სხვა შემთხვევაში გვერდებს ამ გამოცემის მიხედვით ვუთითებ [თ. მ.].

<sup>1</sup> პ. კარბელაშვილი, ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში..., 107-112.

<sup>2</sup> პეტრე მესხი იყო დეკანოზ ალექსი მესხიშვილის პაპა. როდესაც ანჩის ხატი სამცხიდან თბილისში გადმოსასვენეს (1674 წ.), პეტრე, თავისი ცოლ-შვილით, თბილისში გადმოსახლდა. კათოლიკოსმა ღომენტიმ მას ანჩისხატის ტაძარში კანდელაკის ადგილი მისცა. პეტრე მესხი კალიგრაფიც ყოფილა. მას გადაუწერია „კონდაკი“ და სხვა წიგნები. გარდაიცვალა 1680 წ.

მწელი მღვდელი ზაქარია და პ. კარბელაშვილის წიგნში დასახელებული დეკანოზი ზაქარია ერთი და იგივე პირია.<sup>1</sup>

ამრიგად, 1310 წლის ხატის წარწერის მთარგმნელი მამა ზაქარია იყო შვილი დეკანოზ ალექსი მესხიშვილისა, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოს კულტურის ისტორიაში კარგად ცნობილ ალექსი-მესხიშვილების გვარს. სწორედ ამით აიხსნება მამა ზაქარიას განსწავლულობა და ბერძნული ენის ცოდნაც.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ცნობა პეტრიწონის მონასტრისადმი მამულების შეწირვის შესახებ, მამა ზაქარიას გამონაგონი და ჩამატებული იყოს. მაგრამ, თუ ვინმე ამ ცნობას მაინც ჩამატებულად მიიჩნევს, მაშინ ისიც უნდა აღიაროს, რომ მამა ზაქარიამ გამონაგონი კი არა, ის ინფორმაცია ჩამატა, რასაც ალექსი მესხიშვილის ოჯახი ფლობდა. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, მე მაინც იმ აზრის ვარ, რომ პეტრიწონის მონასტერში 1310 წელს შეწირული ღმრთისმშობლის ხატი ნამდვილად არსებობდა და მამა ზაქარიამ სწორედ მისი წარწერა თარგმნა.

აქ შეიძლება გაჩნდეს ასეთი კითხვა: **თუკი პეტრიწონის მონასტერში 1311 წლის ხატი დღემდე შემორჩა, 1310 წლის ხატი რატომ აღარ ჩანს?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ძნელია:

1894 წელს პეტრიწონის მონასტრის სამძოსა და ილუმენს შორის უთანხმოება მოხდა (მაშინ მონასტერში ბერძენი ბერები მოღვაწეობდნენ). ბერებმა ახალი ილუმენი აირჩიეს,

---

<sup>1</sup> ბერძნული მინაწერის მიხედვით, მღვდელ ზაქარიას შვილს, რომელიც მას პეტრიწონის მონასტერში თან ახლდა, პეტრე ერქვა. ვფიქრობ, ესეც ერთგვარი დასტურია იმისა, რომ მღვდელი ზაქარია და დეკანოზი ზაქარია ერთი და იგივე პირია.

რომელიც მსოფლიო საპატრიარქომ არ დაამტკიცა. საპატრიარქოს ამ გადაწყვეტილებამ ბერები გააღიზიანა. მათ მიერ არჩეულმა ილუმენმა კი ბულგარეთის საეპარქოსოსა და სახელმწიფოს მიმართა თხოვნით, რომ მონასტერი თავიანთი მფარველობის ქვეშ აეყვანათ. ამ შეთავაზებას ბულგარელები სიამოვნებით დათანხმდნენ.<sup>1</sup> ადრინდელი ილუმენი იძულებული გახდა, მონასტერი დაეტოვებინა. არ არის გამორიცხული, მონასტრის დატოვებისას ყოფილ ილუმენს 1310 წლის ხატი თან წაეღო, 1311 წლის ხატი კი, ვინაიდან ხანძრის მიერ იყო დაზიანებული,<sup>2</sup> იქვე დატოვა.

---

<sup>1</sup> ასე გადავიდა პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში და არა ბულგარეთის განმათავისუფლებელი ომის (1877-1878 წწ.) შედეგად, როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია დამკვიდრებული.

მსოფლიო საპატრიარქომ ბულგარეთის ეკლესიის ეს ქმედება ჰა-აგის სასამართლოში გაასაჩივრა. ვინაიდან იმ დროისათვის საქართველოს დაკარგული ჰქონდა როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეკლესიური დამოუკიდებლობა, სასამართლომ მონასტერი ისევ მსოფლიო საპატრიარქოს სულიერი მფარველობის ქვეშ დატოვა. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებით რეალობა არ შეცვლილა, მონასტერი დღემდე ბულგარელების ხელშია (A. Ζάχαριος, Η ελληνική παρoυσία στη ζάη και την παράδοση της Μονής Πετριτσονίτισσης (Μπατοκόβου), Διδακτορική διατριβή, Θεσ/νίκη, 1998, 142).

<sup>2</sup> 1898 წ. პეტრიწონის მონასტერს ეწვია რუსული არქეოლოგიური ინსტიტუტის წევრი კონსტანტინეპოლში J. Thibaut-ი, რომლის თანახმადაც, XVII საუკუნის შუა წლებში პეტრიწონის მონასტერში მომხდარ ხანძარს დაუზიანებია ღმრთისმშობლის ხატი და იგი კონსტანტინეპოლში წაუღიათ სარესტავრაციოდ (Христианский Восток, т. II, (1913), вып. I, стр. 50). იმ ხანძრის კვალი 1311 წლის ხატს დღესაც ემჩნევა. ა. შანიძის თანახმად, 1311 წლის ხატს დაზიანებული აქვს როგორც ვერცხლის პერანგი, ასევე ფერწერა. ღმრთისმშობლისა და ყრმის სახეებზე შეუძლებელია რაიმეს გარჩევა (ცხვირის, თვალების, ტურების), მაგრამ კარგადაა შემონახული ღმრთისმშობლის თავსაბურავი. ისიც ჩანს,

ვფიქრობ, წარმოდგენილი არგუმენტები სავსებით საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ საქმე მართლაც ღმრთისმშობლის ორ ხატთან და მათზე მოთავსებულ ორ განსხვავებულ წარწერასთან გვაქვს.

კვლევისას აღმოჩნდა, რომ ამავე აზრის იყო მიხეილ თარხნიშვილი. მართალია, მას არცერთი ხატი არ უნახავს, მაგრამ, როგორც თავადვე აღნიშნავს, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ტიპიკონთან ერთად, მას ბულგარეთიდან კიდევ ორი ფოტოგრაფიული ფურცელი მიუღია. მკვლევარი მიხვდა, რომ იმ არც თუ ხარისხიან ორ ფოტოზე ღმრთისმშობლის ხატის წარწერა იყო აღბეჭდილი. მ. თარხნიშვილმა წაკითხა წარწერა და 1311 წლით დაათარიღა. 1950 წელს კი ეს წარწერა, სათანადო გამოკვლევით, გამოაქვეყნა ჟურნალში „ბედი ქართლისა“. გამოკვლევაში მ. თარხნიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მის მიერ წაკითხული ქართული წარწერა განსხვავდება იმ თარგმანისგან, რომელიც ლ. პეტიტმა გამოაქვეყნა. იქვე ისიც აღნიშნა, რომ ბერძნული თარგმანი სხვა ხატს ეკუთვნოდა. იმ სხვა ხატის შექმნის დროდ კი 1310 წელი დაასახელა.<sup>1</sup>

პეტრიწონის მონასტრის 1311 წლის ხატს და ორ განსხვავებულ წარწერას არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნეს ბულგარელმა ხელოვნებათმცოდნეებმაც, მაგრამ ამ საკითხს მე-

---

რომ დედას ყრმისთვის ხელი აქვს შემოხვეული. ჩვილს კი ხელი დედის ლოყისკენ გაუწვდია...  
А. Шанидзе, Надпись на иконе: а. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში... 357.

<sup>1</sup> მ. თარხნიშვილი, ღმრთისმშობლის ხატის წარწერა პეტრიწონის მონასტერში, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1950, 20-22; იხ. აგრეთვე: მ. თარხნიშვილი, წერილები, 223-226. როგორც ჩანს, მ. თარხნიშვილმა არ იცოდა, რომ 1311 წლის ხატის წარწერა 1949 წ. ნ. ბერძენიშვილმა გამოაქვეყნა. აკ. შანიძე კი არ იცნობდა მ. თარხნიშვილის დასახელებულ გამოკვლევას [ თ.მ.].

ტად აღარ განვავრცობ, რადგან წინამდებარე სტატიის უმთავრეს მიზანს 1311 წლის ხატის ხელოვნებათმცოდნეობითი ასპექტების კვლევა კი არა, იმ ცნობების გაანალიზებაა, რომლებსაც 1310 წლის ხატის წარწერა გვაწვდის:

1310 წლის წარწერის ყველაზე მნიშვნელოვან ცნობად ის მიმაჩნია, რომ ძმებს, ეგნატესა და ათანასისს, პეტრიწონის მონასტრისთვის კარალეთში<sup>1</sup> შეუწირავთ: ორი წისქვილი და ერთი ვენახი, ერგნეთში – ორი ვენახი, ლილოში კი – რამდენიმე ნაკვეთი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ცნობაც, რომ ლილოში ყოფილა ეკლესია „*პეტრიწონიტიასს ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა*“.

სამწუხაროდ, ქართული საისტორიო წყაროები არც მამულების შეწირვის და არც „პეტრიწონიტიასს“ ეკლესიის არსებობის შესახებ, არაფერს გვაუწყებს. მაგრამ არსებობს ირიბი ცნობები, რომლებიც ლილოს ეკლესიებსა და პეტრიწონის მონასტერს შორის არსებულ კავშირზე მიგვანიშნებს. ამიტომ, პირველ რიგში, ყურადღებას ამ ცნობებზე გავამახვილებ.

1896 წელს დ. ლასკოვმა პეტრიწონის მონასტრის საძვალეში იპოვა წმ. გიორგის ფრესკა, ქართული წარწერით: „*წმიდა გიორგი ქშოეთისაჲ*“.<sup>2</sup> დ. ლასკოვს წარწერის წაკითხვაში ნ. მარი დაეხმარა. ნ. მარს წარწერის დათარიღე-

---

<sup>1</sup> კარალეთის ძველი სახელი არის ნაჭარმაგევი. იგი XI-XII საუკუნეებში ქართლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ნაჭარმაგევს იხსენიებს როგორც დავით აღმაშენებლის, ასევე გიორგი III-ისა და თამარის ისტორიკოსი.

<sup>2</sup> Извори на Българского археологического дружество: IV, 1914 (София 1915), стр. 268-270. იხ. აგრეთვე: А. Шанидзе, Фресковая надпись в кладбищенской церкви: აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში..., 364-368.

ბასთან დაკავშირებითაც გამუთქვამს თვალაზრისი. ყველაზე მისაღებ თარიღად XI საუკუნის მიწურული მიუჩნევია. მოგვიანებით ეს წარწერა აკ. შანიძემ შეისწავლა და პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით (რამდენადაც ამის საშუალებას გადმოწერილი წარწერა იძლევა), XIII-XIV საუკუნეებით დაათარიღა.<sup>1</sup>

„ქაშოეთის“, ან „ქვაშვეთის“ სახელწოდებით საქართველოში რამდენიმე ეკლესიაა ცნობილი. დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, 1932-1952 წწ.) თანახმად, ყველა ეს ტაძარი წმ. გიორგის სახელზეა აშენებული. მისივე ცნობით, ასეთი ეკლესიები ყოფილა ქართლში, კახეთში, იმერეთში, საინგილოსა და სვანეთში.<sup>2</sup> მათგან ზოგიერთს აკ. შანიძეც ასახელებს თავის გამოკვლევაში. თუმცა, უფრო მნიშვნელოვნად აკ. შანიძის ის ცნობა მიმაჩნია, რომ ერთ-ერთ რევოლუციამდელ ხუთვერსიან რუსულ რუკაზე აღნიშნული ყოფილა **ქაშუეთის მთები**:

---

<sup>1</sup> სამწუხაროდ, ეს წარწერა აღარ არსებობს. 1912 წელს დ. ლასკოვს იგი უკვე აღარ დახვედრია, А. Шанидзе, Фресковая надпись...: აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში..., 365.

<sup>2</sup> ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიებია **ქართლში**: საციციანოს მთის კალთაზე (ხაშურის გასწვრივ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე), სოფლების: თაგუეთის და დამპალას მახლობლად, სოფ. ქვაშვეთში, სოფ. მუხრანში, ბაგრატიონ-მუხრანთან უბანში (ესტატიანთ მამულში) და ლიახვის ხეობაში მდებარე სოფ. ქემერტის ბოლოში; **კახეთში**: სოფ. გურჯაანის იმ ნაწილში, რომელსაც სახასოს ეძახიან, სოფ. ზიარში, სოფ. აწყურში, „თეთრი გიორგის“ ქვემოთ ყოფილა ეკლესია, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს, მაგრამ აქ დარჩენილია დიდი ხე (იფანი), „ქვაშვეთის ხედ“ წოდებული; ამ ხესთან სალოცავად ხალხი იკრიბება „მენელსაცხებლეთა კვირიაკეს“. **იმერეთში**: სოფ. ფარცხანაყანევში, დიდ ჯინაიშში, კვანჭირში, კურსებში და ნიგოხეთში; **საინგილოში**: სოფ. ქურბუხში; **სვანეთში**: ლენჯვრის საზოგადოების სოფ. ქვაშვეთში, კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994, 13.

ერთი გორის რაიონის სოფ ხვედურეთის სამხრეთით, მეორე კი – **სოფელ პატარა ლილოს თავზე** (თბილისის მახლობლად).<sup>1</sup>

ლილოს მთაზე ახლაც არის წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც მკვლევრები გვიანი შუა საუკუნეებით ათარიღებენ. უეჭველია, რომ სწორედ ამ ეკლესიის გამო მოიხსენიება რუსულ რუკაზე ლილოს მთა სახელწოდებით „*ქაშუეთისა*“.<sup>2</sup> 1310 წლის ხატის ცნობა კი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ პეტრიწონის მონასტრის საძვალეში გამოსახული წმ. გიორგის ფრესკა წარწერით, „*წმიდა გიორგი ქაშოეთისაჲ*“, ლილოს წმ. გიორგის ეკლესიის გავლენით გაჩენილიყო. ან, ამ ეკლესიის მიერ გაღებული შეწირულობით მოეხატათ.

ეს გარემოება საშუალებას იძლევა ბერძნული წარწერის ის ცნობაც ვირწმუნოთ, რომ პეტრიწონის მონასტერს ლილოში რამდენიმე ნაკვეთი შესწირეს. სოფელში კი ყოფილა „*ეკლესია პეტრიწონიტიასა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა*“.

2001 წელს სოფელ დიდ ლილოში ერთ-ერთი ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია ააგეს. რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ის ნანგრევები სწორედ 1310 წლის ხატში მოხსენიებული „*პეტრიწონიტიასა*“ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიისა იყო.

---

<sup>1</sup> А. Шанидзе, Фресковая надпись..., აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში..., 365.

<sup>2</sup> შდრ.: „*კურიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისათვის, რომელი შენგებულ არს თხემსა მთისასა, წმიდისა კურიკესი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., 1973, 318.*

რაც შეეხება სოფლებს, კარაღეთსა და ერგნეთს, მსგავს კავშირებს პეტრიწონის მონასტერთან ჯერჯერობით ვერ მივაგენი. მაგრამ ვინაიდან სოფელ ლილოსა და პეტრიწონის მონასტერს შორის არსებული კავშირი, ასე თუ ისე, გამოიკვეთა, ვფიქრობ, ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ კარაღეთსა და ერგნეთთან დაკავშირებული ცნობებიც სინამდვილეს შეესატყვისება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: **რამ გამოიწვია ქართველების ასეთი გააქტიურება და გულუხვობა პეტრიწონის მონასტრისადმი 1310-1311 წლებში?**

ამ კითხვას რომ სწორი პასუხი გაეცეს, პირველ ყოვლისა, თვალი უნდა გადავაგლოთ პეტრიწონის მონასტრის ისტორიას გრიგოლ ბაკურიანის გარდაცვალებიდან დასახელებულ წლებამდე.

ქართული საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ პეტრიწონის მონასტერზე ზრუნავდა დავით აღმაშენებელი<sup>1</sup> და თამარ მეფე,<sup>2</sup> მაგრამ იმავე წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამის შემდეგ. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ პეტრიწონის მონასტრის ისტორია ფილიპუპოლისისა და და სტენიმახის რეგიონის ისტორიის ფონზე ვიკვლიოთ. ეს საკითხი საკმაოდ კარგად აქვთ შესწავლილი ბერძენ და ბულგარულ მკვლევრებს. სწორედ

---

<sup>1</sup> „...აღავსო ზღუა და კმელი ქუელის საქმემან მისმან. რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა მთაწმიდისა და ბორღალეთისანი...“, ქართლის ცხოვრება, ტ. I (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა) თბ. 1955, 352-353.

<sup>2</sup> „... ეხმარებოდა ელაღისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკიისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა...“, ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), ტ. II, 1959, 142.

მათ ნაშრომებზე დაყრდნობით, შევეცდები, მოკლედ გაიამბოთ, თუ როგორ აისახა რეგიონში განვითარებული მოვლენები პეტრიწონის მონასტერზე:

1189 წლის აგვისტოში (მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს) პეტრიწონის მონასტერი ჯვაროსნებმა დაარბიეს და გაძარცვეს. მონასტრის ქართველი ილუმენი კი თავიანთ იმპერატორს, ფრიდრიხ ბარბაროსას, ფილიპუპოლში მიჰკვარეს. ბარბაროსა ილუმენს კარგა ხანს ესაუბრა და გაათავისუფლა.<sup>1</sup> ამ ამბის მთხრობელი, ავსტრიელი მემატიანე ანსბერტი, სამწუხაროდ, იმას არ გვიმხელს, თუ რა საკითხებზე ისაუბრეს ქართველმა ილუმენმა და ბარბაროსამ.<sup>2</sup> არც იმას აღნიშნავს, დაუბრუნეს თუ არა ჯვაროსნებმა მონასტერს ნაძარცვი. სავარაუდოდ, არ დაუბრუნებიათ, თორემ ასეთ მნიშვნელოვან ფაქტს ისტორიკოსი გვერდს არ აუვლიდა.

ძალიან მალე, 1196 წლიდან, ფილიპუპოლის რეგიონი და მასთან ერთად პეტრიწონის მონასტერი მცირეოდენი ხნით ბულგარელთა ხელში აღმოჩნდა. ბულგარელთა მეფის, ივან ასენ I-ის (1189-1196 წწ.) მკვლელი, სახელად ივანკო, კონსტანტინეპოლში გაიქცა და იმპერატორის კარს დაუახლოვდა (ცოლად შეირთო იმპერატორის ძმისწული თუ დისწული). იმპერატორმა ივანკო ფილიპუპოლისის ეპარქიის

---

<sup>1</sup> Ansberti, Historia de expeditione Friderici imperatoris, ed. Josepho Dobrowsky, Praga, 1827, p. 17, 47. K. Μυρτ. Αποστολίδου, Περὶ τῆς Μονῆς ...Πετρῖτσονίτισσης, 59.

<sup>2</sup> ქართველი ისტორიკოსების აზრით, გერმანელი იმპერატორისა და ქართველი ილუმენის საუბარი ეხებოდა გერმანელი ჯვაროსნებისა და ქართველთა სამეფოს საერთო სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებს (შ. ბადრიძე). ბარბაროსას შეეძლო პეტრიწონელი ქართველებისაგან მიეღო ფრიად სასარგებლო ინფორმაცია საქართველოსა და მაჰმადიანური სამყაროს შესახებ (გ. ჟორდანიას), იხ.: ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, 274.

მმართველად დანიშნა. ფილიპუპოლისში დაბრუნებულმა ივან-  
კომ თავი ბულგარელთა მეფის კალოიანის ქვეშევრდომად  
აღიარა, ბიზანტიას კი ზურგი აქცია და ომი გამოუცხადა.<sup>1</sup>  
1199 წელს ბიზანტიის იმპერატორი ალექსი III თავად ჩა-  
უდგა ჯარს სათავეში და სიძის წინააღმდეგ გაილაშქრა. და-  
იბრუნა ყველა ის ციხე, რომლებიც ბულგარელებმა მაშინ  
დაიპყრეს.<sup>2</sup>

ლათინთა ბატონობის დროს (1204 წ.) პეტრიწონის  
მონასტერი ფილიპუპოლისის საფეოდალოში შედიოდა. ბიზან-  
ტიის ლათინი იმპერატორის, ბალდუინის, მიერ სამართავად  
რაინდ რენიერ დე ტრიტს (Renier de Tritt) გადაეცა.<sup>3</sup> 1205  
წელს ბულგარელებმა ფილიპუპოლისი ისევ აიღეს. რენიერი  
იძულებული გახდა, 1206 წელს დაეტოვებინა პეტრიწონის  
ციხე, სადაც ის გამაგრებული იყო.<sup>4</sup> მთელი როდოპის  
რეგიონი და მასთან ერთად პეტრიწონის მონასტერი კვლავ  
ბულგარელების ხელში აღმოჩნდა. თავიდან რეგიონს მართავ-  
და ესკლასი (Esclas), რომელიც მოგვიანებით (1208 წ.)  
ბალდუინის მემკვიდრის, ერიკოს, მკავშირე გახდა, მაგრამ  
მას შემდეგ, რაც ასენ II-მ კლოკოტნიცაში თეოდორე  
კომნენოსი დაამარცხა (1230 წ.), ასენ II-ის ხელში გადავი-

---

<sup>1</sup> K. Μυρτ. Αποστολίδης, Περί τῆς Μονῆς  
...Πετριτσονίτισσας, 59.

<sup>2</sup> Νικήτα Χωνιάτου, III, 4, σελ. 686 - Ἐφραίμ Μοναχοῦ,  
Ἀλέξιος Ἄγγελος, στοιχ. 6495.

<sup>3</sup> Βιλλαρδουΐνου, Η κατάκτηση της Κωνσταντινουπόλεως,  
Αθήνα, 2002 = Wille-Hardouin, La conquête de Constantinople, § L  
XIX, p. 85

<sup>4</sup> Βιλλαρδουΐνου, Η κατάκτηση..., § XCII, CI.

და.<sup>1</sup> 1234 წელს ფილიპუპოლისის ეპარქია იპიროსის იმპერატორმა იოანე ვატაძიმ დაიპყრო. 1261 წელს, როდესაც მიქაელ VIII პალეოლოგმა (1259-1282 წწ.) კონსტანტინეპოლიდან ლათინები განდევნა და იპიროსის სამეფოც შეიერთა, პეტრიწონის მონასტერიც მის ხელში გადავიდა.<sup>2</sup>

ერთი სიტყვით, 1189-1261 წლებში პეტრიწონის მონასტერი ხან ჯვაროსნების, ხან ბულგარელების, ხან კი ბიზანტიელების ხელში იყო და, როგორც ჩანს, საქართველოსთან კავშირს ვეღარ ამყარებდა. ცხადია, ამდენი განსაცდელის გადატანის შემდეგ, ერთ დროს უმდიდრესი მონასტერი შეჭირვებულ მდგომარეობაში იქნებოდა. სწორედ ამან განაპირობა ქართველთა გააქტიურება, ამიტომ შესწირეს მას სარჩოდ მამულები სამ სოფელში (კარალეთში, ერგნეთსა და ლილოში), ღმრთისმშობლის ორი ხატი (1310 და 1311 წწ.), საკანდელე და, ალბათ, კიდევ ბევრი სხვა საჭირო საეკლესიო ინვენტარიც, რომელთა შესახებ ცნობებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

1310 წლის ხატის წარწერის ის ცნობა, რომ პეტრიწონის მონასტერს საქართველოში მამულები შესწირეს, ვფიქრობ, იმის დასტურიცაა, რომ იმ დროს მონასტერმა კვლავ დაიბრუნა ძველი დამოუკიდებლობა და მას კვლავ ქართველები განაგებდნენ. რადგან, სხეთა (ბიზანტიელების ან ბულგარელების) ხელში მყოფი მონასტრისათვის საქართველოდან ხატები შეიძლება შეეწირათ, ფულადი დახმარებაც შეიძლება გაეღოთ, მაგრამ მამულებს საქართველოში ნამდვილად არ შესწირავდნენ.

---

<sup>1</sup> B. Zlatarsky, Η τοῦ Ἀσέν ἐπιγραφῆ παρὰ τῷ Στενιάχῳ. Bull. de la société arch. Bulg. Sophia, ἔτ. 1911, τομ. II, σελ. 231.

<sup>2</sup> K. Μυρτ. Ἀποστολίδης, Περὶ τῆς Μονῆς ...Πετριτσονίτισσης, 60.

ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, პირველ ყოვლისა, ხელს შეუწყობდა ბიზანტიის იმპერიის მაშინდელი საგარეო პოლიტიკის კურსი. მართალია, მიხეილ VIII პალეოლოგს წლების მანძილზე მთელი ყურადღება და ძალისხმევა დასავლეთზე ჰქონდა კონცენტრირებული, მაგრამ გარდაცვალებამდე (1282 წ.) რამდენიმე წლით ადრე იძულებული გახდა, იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებისკენაც მიეხედა. აღმოსავლეთს კიდევ უფრო მეტად მიაპყრეს ყურადღება მისმა დიადოხებმა – ანდრონიკე II-მ (1282-1328 წწ.) და ანდრონიკე III-მ (1328-1341 წწ.), რადგან იმ დროისათვის მცირე აზიაში ოსმალები გააქტიურდნენ.<sup>1</sup> ცხადია, ბიზანტიის იმპერატორებმა იცოდნენ, რომ აღმოსავლეთში შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად, ქართველთა თანადგომაც დასჭირდებოდათ.<sup>2</sup> ამიტომ არ არის გამორიცხული, ქართველთა კეთილგანწყობაზეც ეზრუნათ.

---

<sup>1</sup> A. A. Βασιλειφ, Ιστορία της Βυζαντινής Αυτοκρατορίας (324-1453), τ. Β', Αθήνα, 1995, 300-306.

<sup>2</sup> ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაზე ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიმერე (გარდაიცვალა 1310 წ.) მოგვითხრობს, რომ 1305 წ. ანდრონიკე II-მ ელჩები გაუგზავნა საქართველოს მეფეს და კატალონიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარი სთხოვა. ქართველებმა იმპერატორს დახმარება აღუთქვეს ისე, რომ სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვიათ, გაწეული ხარჯების დაფარვის გარდა. თუმცა, მომდევნო მოლაპარაკებები ჩაიშალა და, საბოლოოდ, კონსტანტინეპოლში მცირეოდენი ჩავიდნენ. პახიმერეს ამ ცნობასთან დაკავშირებით, ბერძენი ისტორიკოსი ა. ლაიუ წერს: „საქართველოსადმი ეს თუნდაც უშედეგო მოწოდება, მაინც სანიტერესოა. ბიზანტიელებს საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა მაშინ, როდესაც იმპერია ძლიერი იყო. ქართველი მეომრები კი იყვნენ ყველაზე მამაცთა შორის ბიზანტიის არმიებში. მაშინ, როდესაც ბიზანტია ისე დასუსტდა, რომ მის დედაქალაქსაც კი საფრთხე დაემუქრა, ქართველთა მიერ აღთქმული დაპირება დახმარების შესახებ, ამაღლეკბელია, რადგან ჩანს, რომ იმ შორეულ არეალში იმპერიის დიდება ჯერ კიდევ ახსოვდათ და

არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმჩნია ის გარემოებაც, რომ ანდრონიკე II პალეოლოგის და, თეოდორა, დავით ნარინის ცოლი იყო. მართალია, 1310 წელს დავით ნარინი ცოცხალი აღარ იყო (გარდაიცვალა 1293 წ.), მაგრამ მას თეოდორასთან საერთო შვილი (ალექსანდრე) ჰყავდა.<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვა თვალსაზრისიც არსებობს. ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, თეოდორა ანდრონიკე II-ის და კი არა, მიქაელ VIII-ის ძმის, იოანეს, ასული იყო.<sup>2</sup> ცხადია, ამ საკითხის წინამდებარე სტატიის ფარგლებში გადაჭრა შეუძლებელია, მაგრამ ის კი ნათელია, რომ იმ დროს საქართველოს სამეფოს ბიზანტიის საიმპერიო კართან ნათესაური კავშირი ჰქონდა.

ბიზანტიის იმპერატორთან მოყვრობა ქართველ მეფეებს სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლადაც გამოუყენებიათ. ასე მაგ.: არაბი ქრონოგრაფი ალ-აინი (XV ს.) გვაუწყებს: *„ეგვიპტეში, კონსტანტინეპოლის გავლით, ჩამოვიდნენ იბერიიდან წარმოვ ზავნილი [პირები], რომლებთან ერთადაც კონსტანტინეპოლის იმპერატორმა, ანდრონიკე II-მ, წარმოვ ზავნა ელჩი, წერილებით, რომლებიც ეხებოდა იბერიელთათვის ჯვრის მონასტრის დაბრუნებას და ასეც მოხდა“*<sup>3</sup> ბაიბარს ალ-მანსურის ცნობით კი, ქართველი ელჩები

---

ამას გარკვეული ემოციის გამოწვევა შეეძლო“, A.Laiou, Constantinople and the Latins; The Policy of Andronicus II 1282-1328, Cambridge, Mass., 1972, 175, 353.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, თეოდორა დავით ნარინის მეორე ცოლი იყო, რომელიც მან 1267 წ. შეირთო (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, 52).

<sup>2</sup> გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბ., 1967, 52-57).

<sup>3</sup> Χρυσοστόμου Α. Παπαδοπούλου, Η Ίερά Μονή του Σταυρού και ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικῇ Σχολῇ, Ἐν Ἱεροσολύμοις, 1905,

ეგვიპტეში გაგზავნა ქართველმა მეფემ, კონსტანტინე დავითის ძემ.<sup>1</sup> ანუ, იმავე მეფემ, რომელიც 1310 და 1311 წლის ხატების წარწერებში მოიხსენიება.

ვფიქრობ, არაბი ისტორიკოსების ცნობები ამართლებს ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ 1310 წელს პეტრიწონის მონასტერმა ძველი დამოუკიდებლობა დაიბრუნა და მას კვლავ ქართველები განაგებდნენ. ალბათ, ამიტომაც მოიხსენიებიან 1311 წლის ხატის წარწერაში ანდრონიკე II პალეოლოგი და მისი შვილიშვილი როგორც „*კეთილად მსახურნი მეფენი*“.

1310 წლის ხატის წარწერის საშუალებით, ნათელი ხდება ისიც, რომ XIV საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკის კურსი. მიჰყრობილი იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ, არამედ დასავლეთში მდებარე სულიერი და მატერიალური შემკვიდრებისადმი.

იმას, თუ რატომ არ აისახა ქართულ საისტორიო დოკუმენტებსა და წყაროებში პეტრიწონის მონასტრისათვის მამულების შეწირვის ფაქტი, თავისი მიზეზი და ახსნა აქვს. პეტრიწონის მონასტრის დამოუკიდებლობა (მოპოვებული პალეოლოგების დროს) დიდხანს არ გაგრძელებულა. იმპერატორ ანდრონიკე III-ის (1328-1341წწ.) გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქვრივმა, ანა სავოიელმა (Anna di Savoy), მხარდაჭერის სანაცვლოდ, ფილიპუპოლისი და სტენიმახის მთელი

---

27-28. მსგავს ცნობას ვაწვდიან XV ს-ის სხვა არაბი ისტორიკოსები: მუჯირ ად-დინი, ალ-მაკრიზი (XV ს.) და ა.შ. იხ.: გ. ჯაფარიძე, როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი, კრ. შოთა მესხია – 90, თბ., 2006, 289-306.

<sup>1</sup> ამ და სხვა საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ქართველ მკვლევართა ერთ ნაწილს (დ. გოჩოლეიშვილი, გ. ჯაფარიძე) მიაჩნია, რომ მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტრის დაბრუნება 1310 წელს მოხდა, გ. ჯაფარიძე, როდის დაუბრუნეს ქართველებს ..., 294.

რეგიონი ბულგარეთის მეფეს, ივან ალექსანდრეს (1331-1371 წწ.), გადასცა.<sup>1</sup> 1362 წელს ფილიპუპოლისი და როდოპის მთელი რეგიონი თურქებმა დაიპყრეს და ბერლინის ზავამდე (1878 წ.) მათ ხელში იმყოფებოდა. სწორედ ამ პერიოდში პეტრიწონის მონასტერსა და საქართველოს შორის ურთიერთობა საბოლოოდ გაწყდა. მიუხედავად ამისა, ეს დიდებული სავანე ქართველ სასულიერო პირთა მეხსიერებიდან არ წაშლილა. 1702 წელს პეტრიწონის მონასტერს ეწვია ახალციხელი მღვდელი იოანე მარკოზისშვილი, 1783 წელს კი – თბილისის ანჩისხატის ეკლესიის მღვდელი ზაქარია მესხიშვილი, რომლის წყალობითაც, 1310 წლის ხატის წარწერის ბერძნულენოვანმა თარგმანმა ჩვენამდე მოაღწია.

1310 წლის ხატის წარწერაზე საუბრისას, არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ეს წარწერა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობასთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბუთია იმ მკვლევართა თვალსაზრისებისა და არგუმენტების გასაბათილებლად, რომლებიც დღემდე ჯიუტად

---

<sup>1</sup> როდესაც ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე III გარდაიცვალა (1341 წ.), მისი შვილი, იოანე V, ჯერ ათი წლისაც არ იყო. იმპერიის მმართველობაზე პრეტენზია განაცხადა დიდმა დომესტიკოსმა იოანე კანტაკუზინელმა. დაქვრივებულ დედოფალსა და კანტაკუზინელს შორის უღმობელი ბრძოლა დაიწყო. მაშინ დრო იხელთა ბულგარეთის მეფემ, ივან ალექსანდრემ, და, მხარდაჭერის სანაცვლოდ, ანა სავოიელს ფილიპუპოლისი და სტენიმახის რეგიონი მოსთხოვა. დედოფალი დათანხმდა. თუმცა, ბულგარელი მეფისგან არანაირი დახმარება არ მიუღია, K. Παπαρδισιοπούλου, *Ἱστορία τοῦ Ἑλληνικοῦ Ἔθνους*, τομ. 5ος, Ἐν Ἀθήναις, 1925, 200-205. G. Ostrogorsky, *Οἱ Παλαιολόγοι, Ἡ Ἱστορία τῆς Βυζαντινῆς Αυτοκρατορίας*, Εκδ. Οικ. «Μέλισσα», τόμ. Β΄, 1979, 278 = *The Cambridge Medieval History*, v.IV, *The Byzantine Empire*, part. I, *Byzantium and its Neighbors*, Edited by J.M. Hussey, Cambridge at the University press, 1966.

ამტკიცებენ პეტრიწონის მონასტრის დამაარსებლის, გრიგოლ ბაკურიანის-ძის, სომხურ წარმომავლობას და იმას, რომ პეტრიწონის მონასტერი სომხებმა ააშენეს, ქართველებთან ერთად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ბანაში მყოფ გიორგი II-ს გრიგოლ ბაკურიანის-ძე ეწვია და მეფეს გადასცა მისი კუთვნილი კარის ციხე და მიმდებარე მამულები: „და წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს, და მოვიდა ბანას. ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა“.<sup>1</sup>

გრიგოლ ბაკურიანის-ძე სომეხი რომ ყოფილიყო, მაშინ თავის კუთვნილ ციხესა და მამულებს გიორგი II-ს კი არა, სომეხთა მეფეს გადასცემდა. ასევე, დაარსებიდან 223 წლის შემდეგ, უკვე შეჭირვებულ პეტრიწონის მონასტერზე სომეხი ხელისუფალნი იზრუნებდნენ და არა ქართველები. სამწუხაროდ, პეტრიწონის მონასტრის ისტორიისა და ტიპიკონის არც ქართველ და არც უცხოელ მკვლევარს 1310 წლის ხატის წარწერა ამ თვალსაზრისით არ უკვლევია, მიუხედავად იმისა, რომ ამ წარწერის ბერძნულენოვანი თარგმანი უკვე 127 წელია გამოქვეყნებულია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩემი საბოლოო დასკვნა ასეთია:

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I (ს.ყაუხჩითვილის გამოცემა), თბ., 1955, 318.

1. 1310 წლის ხატის წარწერაში გამოგონილი და ჩამატებული არაფერია. ეს წარწერა ქართული კულტურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია და მისი უგულებელყოფა არაფრით შეიძლება.

2.. 1310 წლის ხატის წარწერიდან ნათლად ჩანს, რომ XIV საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკა მიპყრობილი იყო არა მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ, არამედ დასავლეთში მდებარე სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობისადმი.

3. 1310 წელს პეტრიწონის მონასტერმა კვლავ დაიბრუნა ძველი დამოუკიდებლობა. მას კვლავ ქართველები განაგებდნენ და საქართველოსთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

4. 1310 წლის ხატის წარწერა მნიშვნელოვანია სოფლების: კარალეთის, ერგნეთისა და ლილოს ისტორიის შესასწავლად.

5. 1310 წლის ხატის წარწერა კიდევ ერთი შესანიშნავი საბუთია ისეთი საღაო საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა გრიგოლ ბაკურიანის-ძის ეთნიკური წარმომავლობა და პეტრიწონის მონასტრის მშენებლობისა და კუთვნილების საკითხები.

ვიმედოვნებ, ქართველი ისტორიკოსები 1310 წლის ხატის წარწერას ამიერიდან მაინც დაუთმობენ სათანადო ყურადღებას და საინტერესო დაკვირვებებსაც შემოგვთავაზებენ..

### **დამოწმებანი:**

ბერძენიშვილი ნ., ძლევა (გამარჯვება), რუმინეთ-ბულგარეთში მოგზაურობიდან, თბ., 1949.

გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VII, თბ., 1967.

- იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ქართული პროზა, წ. VI, თბ., 1984.
- კარბელაშვილი პ., ძველი ანჩისხატის ტაძარი ტფილისში (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 2013.
- კარბელაშვილი ა., ვინ გადაარჩინა პეტრიწონი, „წიგნის სამყარო“, №8.X.1975, №19 (175).
- კიკნაძე ვ., პეტრიწონის ქართული ხატი და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის, ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, №8, თბ., 2008, 111-114.
- თარხნიშვილი მ., წერილები, კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო თ. ჭუმბურიძემ, თბ., 1994.
- მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. II, თბ., 1980.
- მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2014.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
- შანიძე აკ., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971.
- ცინცაძე კ., ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994.

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982.

ჯაფარიძე გ., როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი, კრებ. შოთა მესხია -90, თბ., 2006.

Шанидзе А., Надпись на иконе: აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971, 355-362.

Шанидзе А., Фресковая надпись в кладбищенской церкви: აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971, 364-368.

Ansberti, Historia de expeditione Friderici imperatoris, ed. Josepho Dobrowsky, Praga, 1827.

Laiou A., Constantinople and the Latins; The Policy of Andronicus II 1282-1328, Cambridge, Mass., 1972.

Ostrogorsky G., Οι Παλαιολόγοι, Η Ιστορία της Βυζαντινής Αυτοκρατορίας, Εκδ. Οικ. «Μέλισσα», 1979, 278 = The Cambridge Medieval History, v.IV, The Byzantine Empire, part. I, Byzantium and its Neighbors, Edited by J.M. Hussey, Cambridge at the University press, 1966.

Petit L., Typicon de Grégoire Pacourianos pour le monastère de Petritzos (Bachkovo) en Bulgarie, приложение к ВВ, т. XI, 1904, стр. XIX-XX.

Zlatarsky B., Ἡ τοῦ Ἀσέν ἐπιγραφή παρὰ τῷ Στενιμάχῳ. Bull. de la société arch. Bulg. Sophia, ἔτ. 1911, том. II, σελ. 231.

Ἀμάντου Κ., Χειρόγραφα τῆς Μονῆς τοῦ Γρηγορίου Πακουριανοῦ παρὰ τόν Στενήμαχον, Θρακικά, τ. 10ος, Ἐν Ἀθήναις, 1938.

- Αποστολίδου Κ. Μύρτ., Περὶ τῆς Μονῆς τῆς Κοιμήσεως τῆς Ὑπεραγίας Θεοτόκου τῆς Πετριτσονίτισης, Θρακικά, τ. 7ος, Ἐν Ἀθήναις, 1936.
- Βιλλαρδουΐνου, Ἡ κατάκτηση τῆς Κωνσταντινουπόλεως, Ἀθήνα, 2002 (= Wille-Hardouin, La conquête de Constantinople).
- Ζαχαρός Α., Ἡ ἐλληνικὴ παρουσία στη ζωὴ καὶ τὴν παράδοση τῆς Μονῆς Πετριτσονίτισης (Μπατσκόβου), Διδακτορικὴ διατριβή, Θεσ/νίκη, 1998.
- Νικήτα Χωνιάτου, ΙΙΙ, 4, σελ. 686 - Ἐφραίμ Μοναχοῦ, Ἀλέξιος Ἄγγελος, στοιχ. 6495.
- Παπαρριγοπούλου Κ., Ἱστορία τοῦ Ἑλληνικοῦ Ἔθνους, τομ. 5ος, Ἐν Ἀθήναις, 1925.
- Σκορδέλη Βλ., Σημειώματα περὶ τῆς μονῆς Βατσκόβου ἐν Στενίμαχο: β'. Ἐπιγραφή ἐπὶ τῆς εἰκόνας τῆς κοιμήσεως τῆς Θεοτόκου, Δελτίον Ἱστορικῆς καὶ Ἐθνολογικῆς Ἐταιρίας Ἀθηνῶν, τόμ. Γ', 1889, 357-358.
- Χρυσοστόμου Α. Παπαδοπούλου (Ἀρχιμανδρίτου, Σχολάρχου τῆς Θεολ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ), Ἡ Ἱερᾶ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή, Ἐν Ἱεροσολύμοις, Ἐκ τοῦ τυπογραφείου τοῦ Ἱεροῦ Κοινοῦ τοῦ Παναγίου Τάφου, 1905.

*Tamar Meskhi*  
*Giorgi Tsereteli Institute for Oriental Studies*  
**BRANCHES OF PETRITSONI MONASTERY IN**  
**GEORGIA**  
**RESUME**

In 1889, Vlasios Skordelis and later, in 1904, L. Petit published the Greek translation of the Georgian inscription of St. Mary icon, preserved in one of the manuscripts of Petritsoni Monastery. The people, who donated the icon were brothers: Egnate and Atanase. They also donated to Petritsoni Monastery vines, patches of land and two mills in three Kartli villages: Karaleti, Ergneti and Lilo. There used to be a Petritsoni St. Mary Church in the village of Lilo. And the St. Mary icon, which was placed at that church, was called „Petridzul”. The existence of St. Mary Petritsoni Church is also proved by other historic documents.

It was revealed that Zakaria, the translator of the Georgian inscription of St. Mary icon into Greek, was the priest of Tbilisi Anchiskhati Church and the son of Archpriest Aleksii (Aleksii Meskhishvili)

**ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანი“ - თამარისა და  
ორი დავითის ქება**

„აბდულმესიანის“ სახელით ცნობილი მხატვრული ნაწარმოები უკვე საუკუნეზე მეტია სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს არა მხოლოდ ქების ობიექტთა მიმართ გამოთქმული შეხედულებების, არამედ ავტორის, ნაწარმოების ჟანრისა და სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, დღეისათვის კვლავ აქტუალურად რჩება საკითხი, თუ ვის ეძღვნება ეს ნაწარმოები. ამ მიმართებით ქართულ ლიტერატურათმცოდნობაში არსებობს სამი ურთიერთგანსხვავებული თვალსაზრისი:

1. ნაწარმოები წარმოადგენს თამარისა და დავით სოსლანის ქებას (დავით რექტორი, თეიმურაზ ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი ს. ბარათაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, დ. ბაქრაძე, ალ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ი. ლოლაშვილი)

2. პოემაში შექებულია დავით აღმაშენებელი (ნიკო მარი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი. ი. აბულაძე. პ. ინგოროყვა)

3. ნაწარმოები ეძღვნება ორ სახელოვან მეფეს თამარსა და დავით აღმაშენებელს. (კ. კეკელიძე, რ. მეტრეველი)

სამივე ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნაწარმოები წარმოადგენს ერთი ან ორი პირის ქებას. პროფ. რ. მეტრეველი

წერს: „ის ცხადია, რომ პოემაში მართლაც ორი პირია შექმნილი და ჩვენ მართებულად მიგვაჩნია იმ მეცნიერთა მოსაზრებები, რომლებმაც იმ პირთა შორის გამორიცხეს დავით სოსლანი და შესხმის ერთ-ერთ ობიექტად დავით აღმაშენებელი მიიჩნიეს.“<sup>1</sup>

დავით აღმაშენებლის, როგორც ქების ობიექტად მიჩნევის შესახებ თავის დროზე სერიოზული არგუმენტები მოიტანა აკად. კ. კეკელიძემ. მან დასახელებული თხზულებისა და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“-ს ტექსტობრივი შეჯერება-ანალიზის საფუძველზე, სრულიად მართებულად დაასკვნა, რომ ამ ორ ნაწარმოებს ბევრი რამ აქვთ საერთო აზრობრივი მიმართების თვალსაზრისით. მეცნიერი მიუთითებდა: „პოეტი ამბობს: „აღვის ხე ტანი, მსგავსად შემტანი აქვს კოწოლ-დაყრით კვიპაროზისა“ (49,1) ამასვე იმეორებს დავით აღმაშენებელი თავის „სინანულის გალობაში“: „მეგვიპტური გულმძიმობაი... კოწოლი თმათაი და სხუანი...უწარმდებურად მოვიგეო“. პოეტის სიტყვები - „უწყის ყოველმან ჟამნი და წელნი, შეყინვა ნივთთა ცით მომგვრვლებულთა (69,2) პარალელს პოულობს იმავე „გალობაში“, რომელშიც დავითი ამბობს: „ზენაის მოძრაობისა ასურის-ტანულ ზნეობათაი და ცთომილთა ვარსკვლავთა უცთომელთა კრებაი, განყრაი, სუე და ბედი და შობის დღე, ვითარცა საღმრთოთა უსმენელმან ვიჩუქენო“. პოეტის სიტყვები - „შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს ასტარტის კერპსა სადაგელთასა“. (28,4) უნდა იყოს მესოტების ანტითეზა, ამოღებული იმავე „გალობიდან“, რომელშიც დავითი ამბობს: „თაყ-

---

<sup>1</sup> რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 319.

უანის ვეც ანგაჰარებისა მამონას, ვითარ იგი ძუელთა მათ ბაალს და ასტარტეს და ქამალს საძაგელსა“<sup>1</sup>

იმის დასამტკიცებლად, რომ ეგრეთ წოდებულ „აბდულმესიანიში“ შექმულია დავით აღმაშენებელი, აკად. კ. კეკელიძეს მოაქვს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პარალელი, რაც საცილოს არ ხდის მტკიცებულებას დავით აღმაშენებლის, როგორც ნაწარმოების ქების ობიექტის შესახებ.

ობიექტურობა მოითხოვს ვთქვათ, რომ მეხოტბეთა შესწავლას დიდი ადგილი დაუთმო პროფ. ივანე ლოლაშვილმა, რომელმაც გამოწვლილვით შეისწავლა ქართული სახოტბო პოეზია, მათ შორის აღნიშნული ნაწარმოები და მყარ, არგუმენტირებულ მასალაზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ქების ობიექტად უნდა მივიჩნიოთ მეფე თამარის თანამეცხედრე დავით სოსლანი.

აქ გვინდა დროებით დავეხსნათ ქების ობიექტად კონკრეტულად რომელიმე გვირგვინოსანის მიჩნევის საკითხს და შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რა სახის ნაწარმოებია ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანი“.

აკად. ალ. ბარამიძე მიიჩნევდა, რომ, „აბდულმესიანი“ ერთი მთლიანი, დიდი მოცულობის, ვრცელი სახოტბო თხზულებაა, რომელიც 107 სტროფისაგან შედგება. უკანასკნელ სტროფში ავტორი კიდევაც ამბობს, რომ მან უგუნურებით ხელი მოჰკიდა მეტად ძნელ საქმეს „ქებასა გრძელსა, სათქმელად ძნელსა“, ვერ შეძლო სიძნელის დაძლევა, „შესხმამკობანი, მუსიკობანი“, ვერ მიუძღვნა შესაფერისად, „მაგრა

---

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 180, 181.

ვით წვლილნი, ქრისტეს მითვლილნი შექმენ მადლობის შემწირველობითო“, - მოწიწებით ასკვნის მეხოტბე“.<sup>1</sup>

თავის დროზე აკად. შ. ნუცუბიძე შეეცადა დაემტკიცებინა, რომ „აბღულმესიანი“ უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა დროს დაწერილი და სხვადასხვა პირებისადმი მიძღვნილი ორი დამოუკიდებელი სახოტბო ძეგლის მექანიკურ შერწყმა-შეერთებას, ისევე, როგორც მოგვიანებით პროფ. ი. ლოლაშვილმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ „აბღულმესიანი“ თორმეტი პატარ-პატარა კარისაგან შედგება, მაგრამ, რატომღაც ეს მოსაზრებანი არ იქნა გაზიარებული იმდროინდელ ფილოლოგიურ მეცნიერებაში.

უკანასკნელ ხანებში გამოცემულ ქართული ლიტერატურის ისტორიისა თუ სხვა საცნობარო ლიტერატურაში ეს ნაწარმოები სამართლიანადაა მიჩნეული ოდების კრებულად, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის არ არის ერთი მხატვრული ქმნილება. ამის გათვალისწინებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ეს ჰიმნები არა მხოლოდ ერთ, ან თუნდაც ორ, არამედ რამდენიმე ადამიანს შეიძლება ეძღვნებოდეს.

და აი, მივაღექით მთავარ კითხვებს: ვინ არის შექმბული ნაწარმოებში, ვინ არის მისი ავტორი და როდის იწერება ნაწარმოები.

აკად. ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ეს არის დავით აღმაშენებლის ქება, მისი ავტორია იოანე შავთელი, რომელიც არის დავითის თანამედროვე.

ცხადია, ნიკო მარის ამოსავალი იყო ფსევდორუსთველური სტროფი:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,

აბღულმესია შავთელსა, ლექსი მით უქეს რომელსა,

---

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 49.

დიღარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა  
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობე-  
ლსა.<sup>1</sup>

ნიკო მარის აზრს ყოველგვარი განსჯის გარეშე იზი-  
არებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი.

უფრო ადრე ფსევდორუსთველური ლექსის ცნობა გაი-  
ზიარა ანტონ ბაგრატიონმა: „შოთა თქუა მისთვის: „უქესო  
ლექსი შავთელს“. საერთოდ, ანტონი მაღალ შეფასებას აძ-  
ლევს ამ „პოემას“ და მის ავტორს, იოანე შავთელს:

ნეტარი ესე - პიტიკოსი კაცი,  
მაღალ-გამომთქმელ, მოძღურებითა ბრწყინვალე,  
სიბრძის- მოყუარე, მართალ-მესილოგიზმე,  
ღმრთის-მმეტყუელები, შემზმელ ყოველსა შინა-  
იოანე ბრძენ, შავთელ ზედწოდებული.

შოთა თქუა მისთვის: „უქესო ლექსი შავთელს“,  
და თამარ მეფის „ისტორიათა“ შინა  
შაირთ-გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის,  
განსწმიდა ამან სარკე უბიწოებით  
და მისცა ღმერთსა, რომლისა წინაშე დგას“<sup>2</sup>

ცნობილია, რომ მეფე თამარის კართან მართლაც იყო  
დაახლოებული იოანე შავთელი, რომელსაც ეკუთვნის შესა-  
ნიშნავი ჰიმნოგრაფიული ნიმუში „ვედრება ვარძიის ღვთისმ-  
შობლისადმი“. ამ იოვანეს შესახებ თამარის მატეიანეში „ის-  
ტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ ვკითხულობთ: „და მე-  
ფე თამარ მოვიდა ოძრხეს: და ეახლნეს შავთელი, კაცი ფი-  
ლასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და ეკლოგი

---

<sup>1</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 310.

<sup>2</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980, გვ. 275

სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობელობისა ღირსქმნილ“.<sup>1</sup>

ამასვე ადასტურებს ბასილი ეზოსმოდღვარიც: „კაცი ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღუაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი“<sup>2</sup>

ანტონის მიხედვით შავთელი არის შაირთგამომთქმელი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. ნ. სულავა: „შაირთგამომთქმელი ჰიმნოგრაფს არ აღნიშნავს... იოანე შავთელი არის საერო სალექსო საზომით დაწერილი თხზულების ავტორი, მისივე ნათქვამი „მაღალ გამომთქმელ“, რომელიც უშუალო კავშირში უნდა იყოს „შაირთ გამომთქმელთან“, იმას უნდა მიუთითებდეს, რომ საერო საზომით დაწერილი მისი თხზულება „მაღალ“ ანუ მისტიკურ-ალეგორიულ და სიმბოლურ აღთქმას მოითხოვს. „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის ბოლო სტროფში დაცული ცნობა იოანე შავთელის მიერ „აბდულმესიანის“ დაწერის თაობაზე სხვა თხზულებებთან ერთად, მის ჟანრობრივ რაობაზეც უნდა მიგვანიშნებდეს. ამ ცნობის მიხედვით ეს თხზულება ეპიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რადგან იგი სწორედ ეპიკურ თხზულებათა შორის მოიხსენიება.“<sup>3</sup>

ეს საკითხი ასევე დაამუშავა პროფ. ელ. მეტრეველმა.. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ შავთელმა ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა როგორც „ვარძიის ღვთისმშობლის ქება, ისე „აბდულმესიანი“, მაგრამ ამჟამად ცნობილი

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 95

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 136

<sup>3</sup> გ. ალიბეგაშვილი, რ. სირაძე, ნ. სულავა, ქართული ლიტერატურა, I, თბ., 2013, გვ. 284

„აბდულმესიანი“ არაა ის „აბდულმესიანი“ და არ ვიცით, ეკუთვნის ის თუ არა იოანე შავთელს.

მკვლევართა ერთი ნაწილი უკვე თანხმდება იმაზე, რომ „აბდულმესიანმა“ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ხოლო ამ სათაურით ცნობილი თხზულება სულ სხვა ნაწარმოებია - ის არის ქება მეფეთა.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დაისმის კითხვა, მაშ ვინ არის ამ ქების ავტორი. პროფ. სარგის ცაიშვილმა გასული საუკუნის დასასრულს გამოთქვა მოსაზრება, რომ ნაწარმოების ავტორი არის იოსებ შემოქმედელი, ქების ობიექტი კი - არჩილ მეფე. იგივე აზრი გაიზიარეს და თავისებურად განავრცეს პროფ. ელ. ხინთიბიძემ და ბ. დარჩიამ.

უკანასკნელ ხანებში პროფ. ნ. სულავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ თხზულება დაწერილია დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ და მასში შექებული არიან მეფე თამარი და დავით სოსლანი, მაგრამ ეს არ არის „აბდულმესიანი“, იგი დავითისა და თამარის ქებაა“. მკვლევარი იზიარებს აკად. კ. კეკელიძისა და ელ მეტრეველის თვალსაზრისს ნაწარმოების სათაურად ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანის“ შემოტანის შესახებ,<sup>1</sup> რომელსაც ჩვენც ვემხრობით.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, პრობლემა იღებს ასეთ აზრობრივ განვითარებას: ეგრეთ წოდებული „აბდულმესიანი“ უნდა მივიჩნიოთ ოდების კრებულად. ჩვენ მიერ ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა, რომ იგი შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი მხატვრული ტექსტისაგან, რომლებიც თავის შიგნით აერთიანებს გარკვეული რაოდენობის ოდა-საგალობლებს.

---

<sup>1</sup> გ. ალიბეგაშვილი, რ. სირაძე, ნ. სულავა, ქართული ლიტერატურა, I, თბ., 2013, გვ.292

პირველ ტექსტუალურ სივრცეში, ჩვენი აზრით, შემოდის ორი საქები ობიექტი მეფე თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი (1-19 სტროფი) შემდეგ მოდის დავით აღმაშენებლის ქება (20-50 სტროფები) შემდეგ სტროფებში (51-75) შექებულია მეფე თამარი, ხოლო 76-ე 88-ე და 98-ე-103 სტროფები ეძღვნება კვლავ დავით აღმაშენებელს.

ჩვენ არ გავამახვილებთ ყურადღებას სტროფების შინაარსობრივ მხარეზე. აქ სამივე გვირგვინოსანის ხოტბა წარმოდგენილია ისე, როგორც მათ ეკადრება, მაგრამ ზოგადად უნდა ვთქვათ, რომ არასწორად მიგვაჩნია მკვლევართა ცალმხრივი მიმხრობა რომელიმე დავითისადმი, რადგან ეს ნაწარმოები შეიცავს ერთის ქებასაც და მეორისაც. რაკი ორივე თვალსაზრისს (თამარისა და დავით აღმაშენებლის ქება, თამარისა და დავით სოსლანის ქება), ჰყავს თავისი მომხრეები და შესაბამისი არგუმენტებიც არსებობს, რომელთა ნაწილი ზემოთ მოვიტანეთ, აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ნაწარმოები უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სამი გვირგვინოსანის - თამარის, დავით აღმაშენებლისა და დავით სოსლანის ქება.

დავსვათ საკითხი ასე: რამდენჯერ იწყება ეგერეთ წოდებული „აბდულმესიანი“. აქვე ვიტყვი: სულ მცირე ორჯერ.

ნაწარმოების შესავალი ნაწილი იწყება უფლისადმი მიმართვით, რომ მას მოუვლინოს ძალა, რათა შეამკოს ქების ობიექტები:

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან,  
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად,  
გიძღვნა ქებანი: მწაღს აქ ებანი,  
და ვით ის დავით ვჯღე მუსიკობად.  
მესმა ზევსური: რა ენაზე, ვსური,

რომ სიტყვა მეთხზნეს მეფისა ძნობად,  
მუნ გულისხმობით თვით გულის ხმობით  
კარი სიბრძნისა სულელთა ცნობად.<sup>1</sup>

ამას მოსდევს მიმართვა ბრძენთადმი, რომ ერთად აქონ მეფე თამარი, რასაც მოჰყვება თამარის ქება, მისი შეუღარებელი თვისებების წარმოჩენა. აქვე ავტორს ყურადღების გარეშე არ რჩება იმის აღნიშვნა, რომ თამარი ბიბლიური დავითის მეგვიდრეა, მისი შთამომავალია, აქვე შემოღის დავით სოსლანის სახეც, რომლის შესამკობადაც ავტორი არ იშურებს მხატვრულ საშუალებებს.

მე-20 სტროფი ფაქტობრივად ახალი ნაწარმოების დასაწყისია. აქ პოეტი გვეუბნება, რომ მან გადაწყვიტა აღძრას ბაგენი, ე. ი. დაიწყოს საუბარი (რაც ნიშნავს იმას, რომ მანამდე მას არაფერი აქვს თქმული, ყოველ შემთხვევაში იმის მისამართით, ვის ქებასაც ახლა აპირებს). მას სურს დაიწყოს ამოთქმა მალლის, მხნე და ბრძენი სეხნიის (უნდა იგულისხმებოდეს დავით წინასწარმეტყველი) შესაქებად:

აღვძრა ბაგენი, ბრგვნილად მაგენი  
გულისხმის-ყოფით შესხმად ქებისა,  
მალლისა, მხნისა, ბრძენთა სეხნისა  
აღმოთქმად ვიწყო ნეტა რებისა?  
გოლებრ მწთოლვარე, არად მკმოლვარე  
სამართლად ღირსი ნეტარებისა.  
არა სთნავს რისხვა. გესმის? - არი სხვა:  
ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> ქართული პოეზია, I, ძველი ქართული პოეზია, თბ., 1979, გვ. 264, 265.

<sup>2</sup> ქართული პოეზია, I, ძველი ქართული პოეზია, თბ., 1979, გვ. 271.

ამ შესავალ ნაწილს მოსდევს ცნობილი სტრიქონები: „ესა მართალი: ე სამართალი, ხეს შეიქმს ხმელსა წყალ-მომდინარედ“, რაც ძალიან ჰგავს შოთა რუსთაველის ცნობილ აფორიზმს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“.

საყურადღებოა, ის ფაქტი, როდესაც აკად. კ. კეკელიძეს სურს დაამტკიცოს ნაწარმოების ობიექტად დავით აღმაშენებლის ჭეშმარიტება, პარალელებისათვის ციტირებას ახდენს არა მთელი ტექსტიდან, არამედ გარკვეული მონაკვეთებიდან და ეს მონაკვეთები ზუსტად ემთხვევა ჩვენ მიერ დავით აღმაშენებლის ქებად მიჩნეულ ტექსტს.

როდესაც ვსაუბრობთ „აბდულმესიანის“, როგორც ჩვენამდე მოუღწეველი ნაწარმოების შესახებ, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ფსევდორუსთველურ სტროფში დასახელებული ყველა ნაწარმოების გმირი გამოგონილი პერსონაჟია, ლიტერატურული გმირია და არა ისტორიული. სავარაუდოა, რომ აბდულმესიაც ლიტერატურული გმირი ყოფილიყო და არა ისტორიული პიროვნება.

ვფიქრობთ, ისევე როგორც ვერ მოაღწია სარგის თმოგველის „დილარგეთიანმა“, იგივე ბედი ეწია შავთელის „აბდულმესიანს“.

რაც შეეხება ამ სათაურით ცნობილ ნაწარმოებს, მას კ. კეკელიძემ უწოდა „თამარისა და დავით აღმაშენებლის ქება“. ეს ნაწარმოები რომ ქებათა კრებულია, ამაზე უკვე ითქვა და, რაკი, ჩვენი აზრით, ის წარმოადგენს ასევე დავით სოსლანის ქებასაც, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, სათაური ჩამოყალიბდეს ასე: „დავით აღმაშენებლის, თამარისა და დავით სოსლანის ქება“, რომლის ავტორიც უნდა იყოს იოანე შავთელი, რომელმაც თამარისა და მისი მეუღლის გვერდით არ დაივიწყა

მეფე ქალისა და ქართველთა დიდი წინაპრის, დავით აღმაშენებლის, ღვაწლი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს: რატომ შეაქებდა თამართან ერთად მასზე საუკუნით წინ მოღვაწე დავით აღმაშენებელს ავტორი?.

საქმე იმაშია, რომ თამართან ერთად დავითის მოხსენიება არაა არც შემთხვევითი და არც არაბუნებრივი. ჯერ ერთი, როგორც ვთქვით, თამარი დავითის შვილთაშვილი იყო, მეორეც დავითი და თამარი განსაკუთრებული მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ამიტომ იქ, სადაც თამარს ახსენებდნენ, ბუნებრივად შეიძლებოდა ვინმეს გაეხსენებინა დიდი ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი. მითუმეტეს ამისი პრეცედენტი ჩვენ გვაქვს თამარის მატეიანეში „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთან“, რომლის ბოლოშიც ჩართულია დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსი.

„იოანე იტყვის ჭიმჭიმელი:

თუ თალი მიღესველმან სფერო შესახა შამსისი,  
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგა დაყიყა ჯამსისი,  
დავით, - ვთქვა, - ზესთა განდიდნეს, მით ხრმალი ხორცსა სჭამს მისი,

აქილევისებერ ძალითა მპყრობელად ელადს ხამს ისი.

ამ ლექსის შინაარსი ასეთია: „თუ თალი მიღესველმა (ფილოსოსოფოსმა თალესმა) მზის სფერო (სიმრგვლე) გამოსახა (ან: სფეროს სიდიდე განსაზღვრა), ასტროლაბი მოიმარჯვა და ჯიმშედ ჯამის მინუტი უჩვენა, მე (უნდა) ვთქვა: დავითი, (როგორც მეფე და მეომარი) განდიდდა (ამაღლდა, აღზევდა) უზენაესად იმით, რომ მისი ხმალი (მტრის) ხორ-

ცსა სჭამს (მტერს მუსრს ავლებს) და მას მართებს (ან ის ჯერ არს) აქილეესებრ ძალით ელაღეთის მპყრობელი იყოს“<sup>1</sup>

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ლექსის ადრესატთან დაკავშირებით მკვლევართა შორის ერთი აზრი არ არსებობს. პ. ინგოროყვასა და ს. ყაუხჩიშვილს მიაჩნდათ, რომ ამ სტროფში შექებულია დავით სოსლანი. ი. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე ფიქრობდნენ, რომ ლექსში შექებულია უცნობი ორატორი, რომელმაც თამარის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა..

ი. ლოლაშვილი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ეს ლექსი წარმოადგენდა ფრაგმენტს უფრო დიდი ნაწარმოებისა და რაკი მისი ავტორი არის იოანე პეტრიწი - ჭიმჭიმელი, ცხადია, ლექსში შექებულია მისი თანამედროვე დავით აღმაშენებელი<sup>2</sup>

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მე-12 საუკუნეში ქართულ ენაზე უთარგმნიათ „წამებაი წმიდისა მოწამისა აბღალმესიისი, რომელი გადმოითარგმნების „მონაი ქრისტესი“<sup>3</sup>. გვინდა დავსვათ კითხვა: ხომ არ იყო აღნიშნულ თარგმანთან რაიმე კავშირში იოანე შავთელის ფაქტობრივად იგივე სახელწოდების ნაწარმოები?!

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეპიკურმა ნაწარმოებმა „აბღალმესიანმა“ ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა მისი ავტორიც, როგორც ამას „ვეფხისტყაოსანიც“ ადასტურებს, არის შავთელი, სავარაუდოა იოანე შავთელი, რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ რამდენიმე

---

<sup>1</sup> ი. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბ., 1984, გვ. 5

<sup>2</sup> ი. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბ., 1984, გვ. 6-7.

<sup>3</sup> საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიაშვილი, მ. მამულაშვილი, ა. ლამბაშიძე, თბ., 2007, გვ. 11.

მხატვრული ნაწარმოები. ესენია: „ვედრება ვარძიის ღვთისმშობლისადმი“, „დავით აღმაშენებლის, თამარისა და დავითის ქება“ - ოდების კრებული და ეპიკური ტილო „აბდულმესიანი“.

**დამოწმებანი:**

1. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
2. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1952.
3. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1971.
4. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
5. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980.
6. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959.
7. გ. ალიბეგაშვილი, რ. სირაძე, ნ. სულავა, ქართული ლიტერატურა, I, თბ., 2013.
8. ქართული პოეზია, I, ძველი ქართული პოეზია, თბ., 1979.
9. ი. ლოლაშვილი, მრავალკარედი, თბ., 1984.
10. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ე. გაბიძაშვილი, მ. მამულაშვილი, ა. ლამბაშიძე, თბ., 2007.

*Murad Mtvarelidze*  
*Gori State Teaching University*  
**THE SO-CALLED „ ABDULMESIANI "- PRAISE OF  
KING TAMAR AND TWO DAVITS  
RESUME**

The opinion concerning the genre, subject-matter of praise and the issue of the author of the so called “Abdulmesiani“ still varies in the Georgian philological science.

One part of researchers think that King Tamar and Davit Soslan are praised in this work, the other part of researchers consider that King Tamar and Davit the Builder are praised, and the rest part of researchers claim the only subject of praise is Davit the Builder.

The analysis of the text allows us to share the view, according to which the work represents a collection of odes, and we can assume that the objects of the praise of Davit the Builder, King Tamar and Davit Soslan.

As for the title, we think that this collection of Odes is not “Abdulmesiani “. The work under this title, which we consider could not have been dedicated to a historical person, has been lost. We think “The Praise to Virgin Mary of Vardzia" written by Ioane Shavteli is a collection of praises dedicated to Davit the Builder, Davit Soslan and King Tamar, and the epic poem “Abdulmesiani“ that has not reached our epoch.

## 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო

წინამდებარე ნაშრომში დასმული პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილ თემათა რიცხვს მიეკუთვნება. ეს უმთავრესად განპირობებულია პირდაპირ წყაროთა უქონლობით. მიუხედავად ამისა, ირიბი მასალების საფუძველზე შევეცადეთ გამოგვეკვლია, რა პოზიცია ეჭირა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ლიონის უნიის მიმართ და ინერგებოდა თუ არა ქართულ ნიადაგზე უნიატური იდეები. რანდენადაც ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება სპეციალურ ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებათა მიმართ წინამდებარე სტატიის შესაბამის ადგილებში აისახება, აქ თავს შევიკავებთ თემის ისტორიოგრაფიული განხილვისაგან.

პრობლემის არსში გარკვევა ამთავითვე მოითხოვს იმ ფაქტორების წარმოჩენას, რომელმაც XIII საუკუნის 20–იანი წლებიდან განაპირობა ქართული ეკლესიის რომაულ–კათოლიკურ ეკლესიასთან უშუალო კავშირის დამყარება, რომელიც XV საუკუნის ბოლომდე უწყვეტად გრძელდებოდა. ესენია: *პირველი*, დიდი „სქიზმის“ შემდეგ ქართული ეკლესია არ განდგომია აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, არ აღიარებდა „ფილიოკვეს“, არ ემორჩილებოდა რომის ეკლესიას, მაგრამ ინარჩუნებდა მასთან ლოიალურ დამოკიდებულებას და არ კიცხავდა კათოლიკური ეკლესიის დოგმებსა და წეს–ჩვეულებებს. ორ ეკლესიას შორის ის საერთო სა-

ფუძველი, რაც სინამდვილეში საერთო იყო, საქართველოში არ მიიჩნეოდა, როგორც სპეციფიკური და დიდად განსხვავებული<sup>1</sup>; *მეორე*, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს წმინდა მიწაზე ქართული მონასტრები ლათინთა საპატრიარქოს კანონიკურად დაემორჩილა, მაგრამ ამან გავლენა ვერ მოახდინა მათ თვითმყოფადობაზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულ და ლათინურ ეკლესიებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ჯერ კიდევ არ შეიმჩნეოდა ანდა არ ამჩნევდნენ<sup>2</sup>; *მესამე*, წმ. მიწაზე ქართველები ჯვაროსნებს დახვდნენ სქიზმამდელი გრძნობით და ამან შეუძნეველი გახდა ორ ეკლესიას შორის არსებული სხვაობები, თუმცა რომისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო, რომ ქართველები „...წმინდა წერილს ბერძნულად კითხულობდნენ და საიდუმლოებებსაც ბერძნული წესის შესაბამისად აღასრულებდნენ“<sup>3</sup>. *მეოთხე*, I-V

---

<sup>1</sup> პაპაშვილი მ., ქართულ-მართლმადიდებლური და საქართველოში კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობის წარსული, აწმყო და მომავალი (ფიქრები განსჯისათვის), „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №14, გვ. 94-95.

<sup>2</sup> მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა). წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბ., 2007, გვ. 135-136, 138; მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლით. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1997, გვ. 255-259; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები II, თბ., 1980, გვ. 94; წურწუშია მ., ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, ქართველოლოგია 6, თბ., 2010, გვ. 69-95; მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 123-128; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014, გვ. 345-346.

<sup>3</sup> საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. წიგნს შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურ-

ჯვაროსნული ლაშქრობების დროს საქართველო ჯვაროსანთა ბუნებრივი მოკავშირეა<sup>1</sup>, რომელიც სტრატეგიულ მიზნებს ისახავდა: საქართველოსთან კავშირში მოწინააღმდეგეთა დასუსტება საბოლოო გამარჯვებამდე<sup>2</sup>.

აღნიშნული ფაქტორებიდან ორ ეკლესიას შორის უშუალო ურთიერთობის დამყარებას სათავე დაუდო მეხუთე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ. როგორც ცნობილია, საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშამ პაპ ჰონორიუს III-ის მოწოდებით გადაწყვიტა, მიმხრობოდა მეხუთე ჯვაროსნულ (1217–1221) ლაშქრობას<sup>3</sup>, მაგრამ დამიეტასთან (1219 წ.) ლათინთა დამარცხების შემდეგ განიზრახა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა იმ ლაშქრობაში, რომელსაც უნგრეთის მეფე ანდრაშ II უხელმძღვანელებდა<sup>4</sup>. ეს მიზნები განუხორციელებელი დარჩა. 1221 წელს გიორგი IV ლაშა სირია–პალესტინისკენ გასალაშქრებლად ემზადებოდა, მაგრამ მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული სასიკვდილო ჭრილობის გამო 1223 წელს გარდაიცვალა.

---

თეს ანდრო გოგოლაძემ, თეა წითლანაძემ, თეა ქარჩავამ და ნიკოლოზ სილაგაძემ. თბ., 2015, გვ. 106.

<sup>1</sup> ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989.

<sup>2</sup> პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII-XV საუკუნეები), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, კრებული I, თბ., 2013, გვ. 100.

<sup>3</sup> პაპაშვილი მ., საქართველო–რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 77-79.

<sup>4</sup> Lajos Tardy, Relations entre la Hongrie et la Géorgie au XIII-e-XVIII-e siècles, "Bedi Kartlisa revue de kartvelologie", Paris, 1968, vol. XXV, p. 76; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014, გვ. 354.

გიორგი IV ლაშას პოლიტიკა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში გააგრძელა მისმა დამ რუსუდან მეფემ (1223–1245). თუ გიორგი-ლაშამ ვერ მოასწრო წერილობით ეპასუხა რომის პაპისათვის, რუსუდან მეფემ 1224 წლის პირველ ნახევარში რომში საგანგებოდ გაგზავნა ანის ეპისკოპოსი დავითი, რომელსაც პაპთან მისი და მხედართმთავარ ივანე მხარგრძელის წერილები მიჰქონდა<sup>1</sup>. რუსუდან მეფე ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართველოს მონაწილეობის მიმართ პაპს ალუთქვამდა მძის პოლიტიკური კურსისადმი მხარდაჭერას. მეფის ეს წერილი, ჩვენი მიზნისათვის, საინტერესოა ერთი თვალსაზრისით: კერძოდ, მასში კარგად ჩანს, რომ ამ წერილის დაწერის დროს (1224 წელი) საქართველო რომთან ეკლესიურ კავშირს ინარჩუნებდა. ეს თვალნათელია პაპისადმი მიმართვის ფორმაში. „უწმინდეს პაპს, ყველა ქრისტიანის მამას და მეუფეს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხეგალი და ასული უმდაბლესად გიკრავთ თავს და მოგესალმებით“ – წერს რუსუდან მეფე<sup>2</sup>. აქედან მარტივად იკითხება ის, რომ

---

<sup>1</sup>თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 8; Michel Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 416; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 475; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 177; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 79-80.

<sup>2</sup>თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 7; Michel Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 415; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 474; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984, გვ. 176.

საქართველოს მეფე რომის ეპისკოპოსს „ქრისტიანული სამყაროს მამად და მეუფედ“ მიიჩნევდა. ძნელია ამაში რუსუდანის რამე პოლიტიკური მიზნით ნათქვამი აზრი იგულისხმებოდეს, რადგან ასეთი საჭიროება ამ წერილის დაწერის დროს საქართველოს არ ედგა. ამასთან დაკავშირებით სავსებით სწორად დაასკვნის მ. თამარაშვილი. ის წერს: „წერილიდან ცხადათ სჩანს, რომ რუსუდანი პაპს აღიარებს მამად და ყველა ქრისტიანების მთავრად. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ეკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა არსებობდა“<sup>1</sup>. ამის არგუმენტად ავტორს მოჰყავს შემდეგი: „ამ დროს საქართველოს ეკლესია რომისაგან გაყრილი რომ ყოფილიყო, მაშინ რუსუდან სრულიადაც არ მისწერდა პაპს ასეთის შინაარსის წერილს... ესრეთი წერილი და საქართველოს მომზადება პაპის ბრძანების აღსასრულებლად სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა იმით, რომ იმ დროს კიდევ ყოფილა ერთობა. ხოლო იმ დროს, ვინც რომისაგან გაყრილნი იყვნენ, არათუ პაპს ემორჩილებოდნენ, არამედ მის წინააღმდეგ ომობდნენ“<sup>2</sup>. ძნელია, არ დაეთანხმო ამ არგუმენტებს და უარყო ავტორის დასკვნა, მაგრამ დაისმის კითხვა: დასახელებული წერილის დაწერიდან ზუსტად ათი წლის შემდეგ რა მოხდა ისეთი, რომ იმავე რუსუდან მეფემ ორ ეკლესიას შორის ერთობის დარღვევა გაამჟღავნა? ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემთ, თუ ჯერ არ დავაზუსტეთ, როდის „დაშორდა“ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რომაულ კათოლიკურ ეკლესიას.

თავიდან უნდა ითქვას, რომ პირდაპირი წყაროების არარსებობის გამო ძალიან ძნელია დავაზუსტოთ, თუ როდის დაშორდა ქართული ეკლესია რომაულ-კათოლიკურ ეკლესი-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე.

ას. აქ ჩვენ შემთხვევით არ ვიყენებთ სიტყვას „დაშორდა“, რადგან არ გავგაჩნია ქართველ იერარქთა არც ერთი სინოდალური გადაწყვეტილება, რომლის ძალით მოხდა წმ. ტახტთან ერთობის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში სავარაუდოდ არაფერი იქნებოდა. მოკლედ, ამ საკითხზე ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი დღემდე არ არსებობს. რამდენადაც ეს პრობლემა ცალკე კვლევას საჭიროებს, ჩვენ აქ მას არ ჩაუვლრძავდებით. მოკლედ, მ. თამარაშვილის მოსაზრებით, ორ ეკლესიას შორის ერთიანობა დაირღვა 1230 წლის შემდეგ<sup>1</sup>. მ. თარხნიშვილის მიხედვით, „საქართველო რომის ტახტს მოგვიანებით ჩამოშორდა და ეს გამოყოფა თანდათან განხორციელდა. პირველი ცნობა ამის შესახებ 1240 წელს გვხვდება“<sup>2</sup>. რემონ ჟანენი მიიჩნევს, რომ 1233 წელს ქართველები რომისაგან ჯერ კიდევ არ არიან საბოლოოდ განდგომილნი<sup>3</sup>. მ. პაპაშვილმა განავრცო მ. თამარაშვილისა და მ. თარხნიშვილის მოსაზრებები და დამატებითი არგუმენტების მოშველიებით 1240 წელს დაუჭირა მხარი<sup>4</sup>. მკვლევარ მ. ჯავახიშვილის მიხედვით, „ქართული ეკლესია 1054 წელსვე გაეთიშა რომს“<sup>5</sup>, რომელსაც ამის დასამტკიცებლად თითქმის არგუმენ-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 13; Michel Tamarati. Op.cit., p. 425; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია, გვ. 483.

<sup>2</sup> თარხნიშვილი მიქელ, წერილები, თამარ ჭუმბურიძის გამოცემა, თბ., 1994, გვ. 148.

<sup>3</sup> ჟანენი რემონ, საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტომი მეექვსე, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1996, გვ. 75.

<sup>4</sup> პაპაშვილი მ., საქართველო—რომის..., გვ. 52, 83-84.

<sup>5</sup> ჯავახიშვილი მ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV საუკუნეებში.

ტები არ გააჩნია და ეყრდნობა წყაროს არაზუსტ თარგმანს, რაზეც სათანადო ადვილას გვექნება საუბარი. ნ. პაპუაშვილს მიაჩნია, რომ ევქარისტული კავშირი საქართველოსა და რომს შორის XIII საუკუნიდან გაწყდა<sup>1</sup>. ლ. პატარიძის აზრით, განხეთქილება რომსა და საქართველოს შორის 1234–1240 წლებს შორის მოხდა<sup>2</sup>. ტ. მაჭარაშვილი განხეთქილების თარიღად 1230 წლის შემდგომ პერიოდს ასახელებს<sup>3</sup>. სტეფან რაპი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესია XIII საუკუნის პირველ ნახევარში შეუერთდა ბიზანტიური ეკლესიის სქიზმას<sup>4</sup>. თ. ბერაძე და მ. სანაძე აღნიშნული მოვლენა 1318 წლით დაათარიღა<sup>5</sup>, რასაც დამაჯერებელი არგუმენტები არ ახლავს. მკვლევარი გ. მაჭარაშვილი ეკლესიური ერთობის დარღვევას XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარ მოვლენად განსაზღვრავს<sup>6</sup>, რაც საკმარისი არგუმენტებით განმტკიცებული არ არის.

როგორც ვხედავთ, მკვლევართა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ აზრს, რომ ქართულ მართლმადიდებელ და რომა-

---

სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997, გვ. 105.

<sup>1</sup> პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორიის შესავალი), თბ., 1996, გვ. 301.

<sup>2</sup> პატარიძე ლ., 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. ჟურნ.: „დიპლომატი“, 2005, №1(2), გვ. 28-35.

<sup>3</sup> მაჭარაშვილი ტ., 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია. კრებ.: „საისტორიო შტუდიები“, I, თბ., 2000, გვ. 139.

<sup>4</sup> Stephan H Rapp, Georgian Christianity: The Blacwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry, Chiechester, 2010, p. 148.

<sup>5</sup> ბერაძე თამაზ, სანაძე მანანა, საქართველოს ისტორია, I, თბ., 2003, გვ. 193.

<sup>6</sup> მაჭარაშვილი გ., დიდი სქიზმა და საქართველო, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2014, გვ. 12.

ულ—კათოლიკურ ეკლესიებს შორის დაშორება მოხდა თანდა-თანობით და ამას ადგილი ჰქონდა 1230–1240 წლებს შორის. ჩვენც ამ აზრს ვიზიარებთ და რის საფუძველზე, ქვემოთ მსჯელობის დროს თანმიმდევრულად დავასაბუთებთ. ეს გასცემს პასუხს ზემოთ დასმულ კითხვას: როდის და რის საფუძველზე გამოამჟღავნა რუსუდან მეფემ ეკლესიათა შორის ერთობის დარღვევა.

როგორც ცნობილია, 1225–1230 წლებში საქართველომ ჯალალ ად-დინის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა. ჯვაროსანთა მოკავშირე საქართველო თავად განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში წმ. ტახტმა, როგორც ირკვევა, საქართველოში 1233 წელს ფრანცისკანელი მისიონერების გამოგზავნა გადაწყვიტა, რომლებიც 1217 წლიდან სირიასა და ეგვიპტეში მოღვაწეობდნენ<sup>1</sup>. პაპ გრეგორიო IX-ის „...ერთ—ერთი წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს შესახებ ცნობები მას მიუღია ფრანცისკანელი მისიონერის მორჩილი ძმა ჯაკომო და როსანოსაგან, რომელიც, როგორც პაპის ნუნციო, თავის ამხანაგებთან ერთად საქართველოში ყოფილა“<sup>2</sup>. მართალია, ამ ცნობას თარიღი არ უზის, მაგრამ იგი 1232 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი. რა გვაძლევს ამის საფუძველს? პ. მარჩელინო და ჩივეცა თავის ისტორიაში 1232 წლის ამბების გადმოცემისას წერს: „ამ დროს, როცა გრეგორიო აგზავნიდა თავის ლეგატებს გერმანიის ნიკეაში, რომში უცებ გამოჩნდა მინორიტი ჯაკომო და რუსანო, რომელიც აზიის ყველაზე იდუმალი მხარიდან დაბრუნდა... ფრა ჯაკომო..როგორც კარგი მოქალაქე, იმ მხა-

---

<sup>1</sup> P. Marcellino da Civezza, Storia universal delle mission francescane, Roma, 1857, p. 169-171.

<sup>2</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 16.

რეებში მოღვაწეობდა და ითხოვდა ახალი მუშაკების გაგზავნას, რადგან სამკალი უხვი იყო. საქართველოს მეფე (რუსუდანი – მ.პ.) ითხოვდა ღვთის ამ მოციქულების გამოგზავნას. ამის მოსმენით ცრემლმორეულმა და გახარებულმა პაპმა ბერი ჯაკომო გულში ჩაიკრა<sup>1</sup>. ამავე წყაროში ასევე ვკითხულობთ: „ამის შემდეგ [პაპმა] ბრძანა, რომ მინორიტთა დიდ ჯგუფს მიენიჭოს საგანგებო რწმუნებები და პრივილეგიები აზიის ამ მხარეში და თან აახლოს სამოციქულო კურთხევის წერილები. გრეგორიო ეპისკოპოსი, ღვთის მონათა მონა, მინოროტთა ორდენის საყვარელ შვილებს, რომლებიც მიემგზავრებიან საქართველოში, სარაცინებთან და სხვა ურწმუნოებთან, ჯანმრთელობა და მოციქულებრივი კურთხევა!“<sup>2</sup>.

თუ ამ წყაროს ვერწმუნებით, ჩანს, რომ ფრანცისკანელი მისიონერი ჯაკომო და როსანო 1232 წელს აღმოსავლეთიდან დაბრუნდა რომში. სწორედ მან მოახსენა პაპს, რომ რუსუდან მეფე მისიონერების გამოგზავნას ითხოვდა საქართველოში. როგორც ერთ–ერთი წყაროდან ირკვევა, ჯაკომო საქართველოში იმყოფებოდა 1228 წელს<sup>3</sup>. ეს მისიონერი ამაზე უფრო ადრეც უნდა ჩამოსულიყო ჩვენს ქვეყანაში. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ცნობა: 1221 წელს (და არა 1211 წელს, როგორც ი. ტაბალუა წერს<sup>4</sup> „...საქართველოში იმყოფებოდა უსაყვარლესი შვილი იაკობ დე რუსანო დომინიკელთა ორდენიდან, რომელიც თავის ჩანაწერებში მაღალ შე-

---

<sup>1</sup> P. Marcellino da Civezza. Op.cit., p. 215.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> P.Girolamo Golubovich O.F.M., Biblioteca Bio-Bibliografia della Terra Santa e dell’Oriente Franceseano, t.I (XIII s.), Firenze, 1906, p. 113; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III..., გვ. 16.

<sup>4</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.) , გვ. 74.

ფასებას აძლევს ქართველებს“<sup>1</sup>. მარჩელინო და ჩივეცას მიხედვით, ფრანცისკო ასიზელის „...მრავალ შვილთა შორის იყო რუსანო, რომელმაც ცალკეულ მიწებზე მოაბნია იესო ქრისტეს სიტყვები, შეაღწია თითოეულ ნაწილში და დატოვა თავისი გულუხვი ცხოვრება...“<sup>2</sup>.

მოხმობილ წყაროთა ცნობები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ფრანცისკანელი მისიონერი ჯაკომო და რუსანო ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, 1221 და 1228 წელს. ის რომის ეკლესიისადმი ქართველთა დამოკიდებულებას „მაღალ შეფასებას“ აძლევდა. ამ უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ რუსუდან მეფის მიერ რომის პაპის, ვითარცა ქრისტიანული სამყაროს მეთაურის, უცილო აღიარება, რაზეც შემოთ გვქონდა საუბარი. ქართველ მესვეურთა ასეთი დამოკიდებულება და განწყობა რომის პაპისადმი უშუალოდ გამომდინარეობდა ჯვაროსნული ლაშქრობების მიზნიდან: „ქტისტეს საფლავის გათავისუფლება და აღმოსავლეთის ეკლესიების ხსნა სამიში მტრებისაგან“<sup>3</sup>. თუ აღნიშნულ ცნობებს სანდოდ მივიჩნევთ და ჩავთვლით, რომ ჯაკომო და რუსანო 1228 წელს საქართველოში იმყოფებოდა, სავარაუდებელია, რომ რუსუდან მეფემ მას გაატანა წერილი პაპ გრეგორი IX-სთან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ჯაკომო და რუსანო 1232 წელს ჩავიდა რომში და, ალბათ, გადასცა პაპს საქართველოს მეფის წერილი, რომელმაც პონტიფექს ცრემლები მოჰგვარა და გახარებულმა „ჯაკომო და რუსანო გულში ჩაიკრა“.

---

<sup>1</sup> WadingoLuca. *Annales Minorum seu trium ordinum a S.Francisco institutorum. 1221-1237. T.III, 1931, p. 358-359.*

<sup>2</sup> P. Marcellino da Civezza. *Op., cit., p. 214.*

<sup>3</sup> Fedalto Giorgio. *Perchè le Crociate. Saggio interpretative, Bologna, 1980, p. 14.*

როგორც ვთქვით, რუსუდან მეფის წერილი პაპ გრიგორი IX-სადმი დღემდე უცნობია. სამაგიეროდ შემონახულია ადრესატის პასუხი. ხსენებული პაპი საქართველოს მეფეს 1234 წლის 16 აპრილს წერდა: „და, აი, ამ წერილის თქვენთან მიმტანის, მინორიტების ორდენის ბერის, საყვარელი შვილის იაკობ დე რუსანოს საშუალებით გაივით: შენ გწამს, რომ დიდების ტახტი, რომელზედაც ბრძანდები, ყოვლისშემქმნელისაგან მიიღე. შენ ღირსეულად მივიღია ამ ორდენის ბერები; როგორც ჩვენ გეწამს, გაიგე და ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრებს ერეტიკოსთა უსამართლო შეურაცხყოფისაგან, კათოლიკურ ეკლესიას შეამკობს კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებითა და სასწაულებრივი მოქმედებით. ისინი ხომ სიღარიბეს და უბედურებას სწირავდნენ თავს და მით უფრო მალღლებოდნენ იმის მიერ, ვინც მორჩილებისათვის სათნობას პატივს მიუზღავს. ამრიგად, იმისათვის, რომ მოგენიჭოს სამართლიანი წინასწარმეტყველის ჯილდო, როგორც მეფემ, იმ მეუფისათვის, რომელიც ცოცხლებსა და მკვდრებს ცეცხლით განსჯის, მოწყალებით უნდა მიიღო უბრალო პირთა მოქმედება. თუ გონიერი ხარ, შენს კეთილგანწყობას და მოწყალებას შეუფარდებ მათ საქმეებს, მათ სიძნელეებში შემწყალებლობით დაეხმარები. ჩვენი მოციქულებრივი წერილით გთხოვთ, გარწმუნებთ და მივუთითებთ შენს მეფურ ბრწყინვალებას უკვე ჩადენილი ცოდვების პატიებას; ჩვენთვის ახლობელი ხსენებული მორჩილი ძმა და ამ ორდენის სხვა ბერები სიღარიბის უღელ ქვეშ მოხალისე ლევატებად მიდიან ქრისტიან ხალხებთან, იმათთანაც, ვინც არ ცნო უფალი და მის ნეტარ სახელს ამოდ არ მოიხსენიებს. მიიღებთ კეთილგანწყობით და მოექცევით მათ მოწყალებით იმ დიდებული შემოქმედების გამო, ვინც თავი შემოგვწირა და შთამომავლობის განმზრუნელი მონობისაგან გამოგვის-

ყიდა, შვილთა თავისუფლებისაკენ მოგვიწოდა. ვისი შემწეობითაც შენ სამუდამო დიდებას მემკვიდრეობით მიიღებ“<sup>1</sup>.

ძნელია პაპის ამ წერილიდან წავიკითხოთ, რომ ქართულ მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესია განყოფაში იმყოფებიან. არც ის ჩანს, რომ რუსუდან მეფე პაპს ეკლესიათა გაერთიანებაზე წერდა. ეს ასე რომ ყოფილიყო, ადრესატი ამაზე უთუოდ უპასუხებდა საქართველოს მეფეს თავის ამ წერილში. არც ის იკითხება, რომ საქართველოს მეფე პაპს დახმარებას სთხოვდა საგარეო მტრების წინააღმდეგ, რაც ასე რომ ყოფილიყო, უთოდ აისახებოდა პაპის პასუხში. ამავე წყაროდან გარკვევით ჩანს, რომ რუსუდან მეფეს ჯაკომო და რუსანო, რომელიც, ალბათ, თავისი ინიციატივით ჩამოვიდა საქართველოში, კარგად მიუღია. ეს, როგორც ზემოთ ვთქვით, უნდა ყოფილიყო 1228 წელს. რაც მეტად საყურადღებოა, რუსუდან მეფემ კარგად იცის, რომ მისიონერები საქმიანობას ერეტიკოსთა შორის ეწევიან. მხოლოდ ეს აზრი იკითხება წერილის შემდეგი ადგილიდან: „როგორც ჩვენ გვწამს, გაიგე და ყურადღება მიაქციე იმას, რომ ვინც დღეს იცავს პატრებს ერეტიკოსთა უმართლო შეურაცხყოფისაგან, კათოლიკურ ეკლესიას შეამკობს კიდევ უფრო ცხადი მშვენიერებითა და სასწაულებრივი მოქმედებით“. ახლა ისმება კითხვა: ვინ იგულისხმებიან პაპის წერილში დასახელებულ ერეტიკოსებში? ცხადია, მასში ქართველები არ იგულისხმებიან. რატომ? იმიტომ რომ, თუ პაპს მიაჩნდა, (ალბათ,, კარგად იცოდა) ქართული ეკლესია ბერძნული სქიზმის მიმდევრია, მაშინ არა სიტყვა „ერეტიკოსე-

---

<sup>1</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს, გვ. 185; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 12-13; Michel Tamarati. Op., cit., p. 425; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია, გვ. 484.

ბი“, არამედ სქიზმატიკოსები უნდა გამოეყენებინა. უფრო სარწმუნოა „ერეტიკოსებში“ ირანსა და შუა აზიაში მცხოვრები ნესტორიანელები იგულისხმებიან, რომელთაც XIII საუკუნის 70–იან წლებში კათოლიკურმა მისიებმა „...საბოლოო დარტყმა მიაყენეს თავიანთი შეუწყნარებლობის გამო“<sup>1</sup>. თუ ჩვენი აზრი სწორია, მაშინ აღნიშნული წყარო გვაძლევს ორი დასკვნის გაკეთების საშუალებას. პირველი, კათოლიკე მისიონერები საქართველოში იგზავნებოდნენ არა ქართველების კათოლიკობაზე მოსაქცევად, არამედ ერეტიკოსებს შორის საქადაგებლად. ამ დასკვნაში ამოსავალია ის, რომ პაპის წერილში არ ჩანს, რომ მისიონერები საქართველოში იგზავნებოდნენ „სვკულის განსაწმენდად და მართალი სარწმუნოების განსამტკიცებლად“, რაც მისიონერთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს გვაძლევს იმ არგუმენტს, რომ ვთქვათ: წმ. ტახტი საქართველოს და მის ეკლესიას, როგორც კონსტანტინოპოლისას, ერეტიკულად არ მიიჩნევდა, არამედ – ბერძნული სქიზმის მიმდევრად, რაც, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული ეკლესია ბიზანტიასთან ერთად რომთან ღია კამათს არ ეწეოდა. ამიტომ ორ ეკლესიას შორის დაძაბული ურთიერთობის საფუძველი არ არსებობდა; მეორე, საქართველოს მეფეს მისიონერებისადმი მხარდაჭერით შეეძლო კათოლიკური ეკლესიის „...სასწაულებრივი მოქმედებით..“ შემკობა, ანუ რუსუდანს, ვითარცა „რომის ეკლესიის ერთგულს“, რომელიც მისიონერების გამოგზავნას ითხოვდა, საერთო მიზნით უნდა ემოქმედა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს მეფეს საერთო ინტერესებში მისიონერული უფლებები ენიჭებოდა. ცხადია, ამის საფუძველს გრეგორი IX–ს რუსუდან მეფის მიერ გამოჩენილი ინიციატი-

---

<sup>1</sup> УспенскийФ. И. История Византийской империи. Т. 5, М., 2005, с. 136.

ვა აძლევდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე მხარე ამ ეტაპზე ეკლესიათა შორის არსებულ განსხვავებებზე აქცენტს არ აკეთებდა. თუ არადა ჯაკომო და რუსანოსათვის, რომელიც საქართველოში ორჯერ მაინც იყო, ალბათ, ცხადი უნდა ყოფილიყო განსხვავებების არსებობა, უფრო სწორად ის, რომ ქართული ეკლესია სქიზმის მიმდევარი გახლდათ. ასეთი რამ რუსუდანისათვისაც დამალული ვერ იქნებოდა. ასეა თუ ისე, ორივე მხარე ეკლესიათა შორის არსებულ განსხვავებებზე ყურადღებას არ ამახვილებდა. ამის უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ქართული ეკლესია რომთან ურთიერთობაში სქიზმამდელ დამოკიდებულებას იჩენდა, ხოლო წმინდა ტახტი ქართულ ეკლესიას სქიზმაში მონაწილედ არ მიიჩნევდა. რამდენადაც ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს, ამჯერად მასზე არ შევჩერდებით.

ერთი სიტყვით, ჯაკომო და რუსანოს რომში ჩასვლის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოში დაეარსებინათ ფრანცისკანელთა მისიონი. 1233 წლის 11 აპრილის ბულით „Cum sit omnis“ პაპმა გრიგორი IX ჯაკომო და რუსანოს თავის ამხანაგებთან ერთად საქართველოში გაგზავნა დაადგინა<sup>1</sup>. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იმავე რუსანოს მოჰქონდა პაპის წერილი რუსუდან მეფესთან, რომელიც დაწერილია 1234 წლის 16 აპრილს. ამდენად, ფრანცისკანელმა მისიონერებმა საქართველოში მოღვაწეობა არა 1230<sup>2</sup> ან 1233<sup>1</sup> წელს

---

<sup>1</sup> P. Girolamo Golubovich O.F.M., Biblioteca Bio-Bibliografia della Terra Santa e dell'Oriente Francese, t.I (XIII), Firenze, 1906, p. 299; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 16.

<sup>2</sup> Michel Tamarati. Op., cit., p. 424; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია, გვ. 482.

დაიწყეს, როგორც აქამდე იყო მიჩნეული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, არამედ 1234 წელს. თუ პაპის წერილის დათარიღებას საეჭვოდ არ გავხდით, მაშინ ცხადია, რომ რუსანოს რუსუდან მეფესთან მოჰქონდა პაპ გრიგორი IX-ის 1234 წლის 16 აპრილს დაწერილი წერილი და შესაბამისად ამ წელს იწყებენ ფრანცისკანელები მოღვაწობას საქართველოში.

ერთი სიტყვით, 1234 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ბინა დაიდეს ფრანცისკელმა მისიონერებმა. ზუსტად არ ვიცით, თუ რამდენი თანამოღვაწით ჩამოვიდა ჯაკომო და რუსანო საქართველოში. ერთ–ერთი წყაროს თანახმად, ჯაკომო და რუსანო „...მოციქულთა მამამ (პაპი გრიგორი IX-მ – ავტ.)... თავის ვენახში 11 მუშაკთან ერთად გაგზავნა...“<sup>2</sup>. ამავე პატრებს მიეცათ პაპი გრიგორი IX-ის წერილი ინსტრუქცია, რომელიც დაწერილია 1234 წლის 19 აპრილს. *„დარწმუნებული ვართ, რომ ღირსეულად ასრულებთ თქვენს მოვალეობას, როგორც შეუდრეკელი მუშაკები და იღწვით იმისათვის, რომ უფლის ძირებიდან ამოძირკვით სარეველა. ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მოღვაწეობა დიდ ნაყოფს გამოიღებს. მზად ვართ, გიბოძოთ უფლება: დასახელებულ მიწებზე აზიაროთ ეკლესიიდან განდევნილები. სულის ხსნის საქმეშიც ნებას გრთავთ, ეკლესიის სათანადო წესების დაცვით ისარგებლოთ საკითხების გადაჭრის პირადი უფლებით იმათ მიმართ, ვინც ლათინებს ეკუთვნის და მოციქულებრივ ტახტს ემორჩილება. აღსარების მოსმენისა და მხსნელი მონანიების შემდეგ მათაც უფლება ეძლევათ,*

---

<sup>1</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III., გვ. 16; პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა..., გვ. 100.

<sup>2</sup>P. Marcellino da Civezza. Op., cit., p. 215.

თქვენი ორდენის მორჩილ ძმებთან ერთად გონივრულად იმსჯელონ უმნიშვნელო ცოდვათა დარღვევის თაობაზე<sup>1</sup>.

მოკლედ რომ ვთქვათ, 1234 წელს საქართველოში ბინა დაიდეს ფრანცისკანელმა მისიონერებმა. ერთი წლის შემდეგ (1235) საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ფრანცისკელი პატრების პირველი ნაბიჯები საქართველოში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ რუსუდან მეფემ 1240 წლამდე ჯაკომო და რუსანო პაპთან გააგზავნა წერილით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, პატრებმა წარმატებით დაიწყეს საქმიანობა საქართველოში. თვით სამისიონერო მოღვაწეობას სათავეში ედგა ხსენებული პატრი, რომელიც პაპის ლეგატს წარმოადგენდა რუსუდანის სამეფო კარზე<sup>2</sup>. მონღოლების მიერ საქართველოს დაპრობით მათ საქმიანობას დაბრკოლება არ მოჰყოლია. მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოქცეული საქართველო კი ახლა რომის პაპის სახით ერთადერთ მოკავშირეს ხედავდა. ამის საფუძველზე კათოლიკე მისიონერებს უფრო ფართოდ გაუღეს კარი საქართველოში<sup>3</sup>. შეუძლებელია, ამას არ წარმოეჩინა, თუ რა დოქტრინალური და საწესჩეულებო განსხვავებები არსებობდა ორ ეკლესიას შორის. ამასთან დაკავშირებით სწორად დაასკვნის მკვლევარი ტ. მაჭარაშვილი: „...ვფიქრობთ, რომ მისიონერთა ჩამოსვლამ, საქართველოს ეკლესიისათვის ცხადი გახადა ის დოგმატური სხვაობა, რაც 1054 წლის შემდეგ ნელ-ნელა შეტანილი იქნა რომის კათოლიკური ეკლესიის წესებში, ხო-

---

<sup>1</sup>Archivio Segreto Vaticano. Registro Vaticano, vol.17, f.VI; ტაბალუა ი., საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), გვ. 83.

<sup>2</sup> პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 84.

<sup>3</sup> პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა..., გვ. 100.

ლო მიღებული და დამტკიცებული ლატერანის 1215 წლის საეკლესიო კრებაზე...“<sup>1</sup>. თუმცა არც ერთი წყარო არ ადასტურებს, რომ ამაზე მხარეები დაობდნენ. ამიტომ გვიჭირს დავეთანხმობთ პროფ. ე. მამისთვალის შვილს მოსაზრებას, რომ „...ორ ეკლესიას შორის წინააღმდეგობის მიზეზი...“ დაკავშირებული იყო „...დოგმატურ საკითხებთან დავაზე, რომლებიც წინათ შეუძმნეველი იყო<sup>2</sup>. უფრო მეტიც, თვით ლიონის კრების დროსაც არ ყოფილა კონსტანტინოპოლსა და რომს შორის დოგმატურ საკითხებზე მწვავე დავა და არც ფილიოკვე იყო სავალდებულო. ასე რომ, ამ კონკრეტულ ეტაპზე ორ ეკლესიას შორის დოგმატურ საკითხებზე დავა არ შეიმჩნევა. ეს უფრო შეუძლებელი იქნებოდა ქართველთა მხრიდან მაშინ, როცა ბიზანტიაში უკვე ლათინთა იმპერია არსებობდა.

როგორც ირკვევა, 1240 წლამდე რუსუდან მეფემ პაპ გრიგორი IX-ს წერილი გაუგზავნა, რომელიც ჯაკომო და რუსანომ ჩაიტანა რომში<sup>3</sup>. ეს რომ ასეა, ჩანს პაპის საპასუხო წერილიდან, რომელიც დაწერილია 1240 წლის 13 იანვარს<sup>4</sup>. საქართველოს მეფის წერილი პაპისადმი დღემდე უცნობია, მაგრამ ადრესატის პასუხიდან ვიგებთ, თუ რას ითხოვდა ქვეყნის მპყრობელი. პირველი, მონღოლების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების აღმოჩენას და მეორე, თავისი ქვეშევრდომების კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებას. პირველ სათხო-

---

<sup>1</sup> მაკარაშვილი ტ., 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება..., გვ. 138.

<sup>2</sup> მამისთვალის შვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV..., გვ. 333.

<sup>3</sup> პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 84.

<sup>4</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 17; Michel Tamarati. Op., cit., p. 430; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 488; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 187.

ვართან დაკავშირებით, პაპი დანანებით აღნიშნავდა, რომ მისი მხედრობა ვერ დაეხმარებოდა საქართველოს, რადგან მათ შორის ძალმოცემული მუსლიმები იდგნენ და ისინი მხედრობას არ გაატარებდნენ. აქვე დასახელებულია სხვა მიზეზებიც; დასავლეთში ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლა, ფრიდრიხ II–სთან გამწვავებული ურთიერთობა და ტერიტორიული სიშორე<sup>1</sup>. რაც შეეხება მეორე თხოვნას, რუსუდან მეფის მიერ ეკლესიათა შეერთების განზრახვას, პაპმა მას „ღვთაებრივი შორსმჭვრეტელობის საუკეთესო ნიმუში უწოდა“. ეს ბუნებრივი იყო ამ დროს დასავლეთში პაპობის მიერ კატართა ერესისა და ფრიდრიხ II–ის რეფორმატორული ნაკადის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე. აკი სწორედ ამის გამო ვერ მალავდა პაპი სიხარულსა და აღფრთოვანებას. რადგან, როცა ევროპაში „დამღუპველი განხეთქილება მძვინვარებდა“ მაშინ „უცნობი მეფეები (იგულისხმება ევროპისათვის უცნობი-მ.პ) და ხალხი, მისგან ესოდენ დაშორებულნი, მიმართავდნენ მას მის წმიდა წილში შესვლის შესახებ“. რადგან ეკლესიათა გაერთიანებას რუსუდანი ითხოვდა („...რომლის მიზეზი თქვენ ხართ“ – ვკითხულობთ მასში) პაპი წერდა: **„შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ“** (ხაზგასმა ჩვენია)<sup>2</sup>. პაპის წერილიდან ეს ბოლო ადგილი პატ. მ. თამარაშვილს შეცდომით აქვს თარგმნილი. თუ არადა მის ზუსტ თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. შემდეგში პროფ. ი. ტაბალუამ ვატიკანის არქივიდან აღებული ამ წერილის ეს ადგილი ასე თარგმნა: **„რაც შეეხება იმას, რომ**

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა...გვ. 15; Michel Tamarati. Op., cit., p. 427-428; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 189.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 16; Michel Tamarati.Op.,cit., p. 429; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 487.

*თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ—თქვენი სულიერი სახლი შეუერთოთ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას, რადგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სათანადოდ მოქმედს თქვენს ხსნას და თქვენს მიმართ ჩვენს სიზარულს...<sup>1</sup>*. როგორც ვხედავთ, ი. ტაბალუას მიერ შესრულებულ თარგმანში საუბარი არ არის იმაზე, რომ რუსუდან მეფეს დაავგინდა რომის ეკლესიასთან შეერთება და ამის გამო უნდა სწუხდეს. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მკვლევრები ამაზე დაყრდნობით ასკვნიან, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რომაულ კათოლიკურ ეკლესიას სქიზმისთანავე ჩამოსცილდა. ამ წერილის დედნის ასლი ჩვენც მოგვეპოვება<sup>2</sup>. შედარებისას გამოირკვა, რომ ი. ტაბალუას მიერ შერულებული თარგმანი უმნიშვნელო სიტყვების წყობის გარდა აზრს ზუსტად გამოგვცემს.

როგორც ვხედავთ, რუსუდან მეფემ რომის პაპს ეკლესიათა გაერთიანების წინადადებით მიმართა. მასში არ ჩანს, რომ ეს უნიის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ვერც იმაზე ვიტყვით რაიმეს, თუ როგორ წარმოედგინა საქართველოს მეფეს ეკლესიათა გაერთიანება. უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ამას რუსუდან მეფე და მისი კარი პირველი შვიდი საეკლესიო კრების საფუძველზე ისახავდა მიზნად. ერთი რამ ცხადი იყო: რომსა და თბილისში ეკლესიათა შორის დოგმატურ და საწეს-ჩვეულებო საკითხებზე განსხვავებები ახლა აშკარად უნდა შეემჩნიათ, მაგრამ ამაზე აქცენტს არ აკეთებდნენ. მისიონერებს საქართველოში უნიის პრინციპებით არ აგზავნიდნენ, რადგან ისინი აქ კათოლიკურ ეკლესიას აარსებენ, რომელიც ლათინურ ტიბიკონზე იდგა. ეს იმას ნიშნავს,

---

<sup>1</sup> ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 189-190.

<sup>2</sup> Archivio Segreto Vaticano. Registro Vaticano, vol. 19, f. XL

რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავის დამოუკიდებლობაზე ხელს არ იღებდა. მიუხედავად ამისა, მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში არანაირად ხელს არ უშლიდა.

ამის დასტურს ის წარმოადგენდა, რომ 1240 წელს საქართველოში ფრანცისკელებთან ერთად ღომინიკელმა მისიონერებმაც დაიდეს ბინა<sup>1</sup>. 1245–1258 წლებში საქართველოში გამოგზავნილ მისიონერთა ახალ ნაკადს უნდა ეზრუნა ეკლესიათა ერთიანობის მისაღწევად<sup>2</sup>, მაგრამ უცნობია, თუ რა სახის ურთიერთობები ყალიბდებოდა ამ მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დროგამოშვებით, მაგრამ მაინც აგზავნიდნენ პაპები საქართველოში მისიონერებს, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მონღოლთა უღელ ქვეშ მოქცეული ქართველი პოლიტიკოსები და სასულიერო იერარქები პაპის სახით შესაძლებელ მოკავშირეს ხედავდნენ და ამ იმედით მისიონერთა საქმიანობას ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ. რაც შეეხება ეკლესიათა გაერთიანების საქმეს, მასზე ქართველ საეკლესიო იერარქებს აღარ უზრუნიათ, „რადგან საქართველოს მმართველი წრეებისათვის რომის ეკლესიასთან შეერთების საკითხს უფრო პოლიტიკური მიზანი ჰქონდა, ვიდრე სარწმუნოებრივი“<sup>3</sup>. მიუხედავად ამისა, ორ კონფესიას შო-

---

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 17; Michel Tamarati. Op., cit., p.430; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 488.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 8; ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III..., გვ. 17; პაპაშვილი მ., კათოლიკობა და ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში (XIII-XV საუკუნის I ნახევარი). კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან, ტ. III, თბ., 1996, გვ. 244-245.

<sup>3</sup> ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 111.

რის ურთიერთობებს საქართველოში სპეციფიკური ხასიათი არ შეუქნია. დოქტრინალურ დონეზე კამათი არ გამართულა. სხვა შემთხვევაში განსხვავებულობის გამო კონფლიქტი გარდაუვალი იქნებოდა და იგი უშუალოდ ასახვას იპოვიდა მისიონერთა რელაციებსა ანდა პაპების საქართველოს მესვეურებისადმი მიწერილ წერილებში. ასეთი რამ ჯერჯერობით წყაროებით არ დასტურდება. თუ არადა ეს, გამორიცხვლი იყო კათოლიკე მისიონერებს თბილისში XIII საუკუნის 60-იან წლებში „წმინდა მარტინის ქართული მონასტერი“ და მის გარდა კიდევ ოთხი მონასტერი დაეარსებინათ<sup>1</sup>. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ საქართველოში კათოლიკობამ სულ მცირე 31 წლის მანძილზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამაში უდავო დამსახურება ქართული ეკლესიის მესვეურთა ტოლერანტობასა და საქართველოში მართლმადიდებლობის მიმართ კათოლიკეთა კონფესიურ-კულტურულ ურთიერთობებს მიუძღვის.

1054 წლის სქიზმის შემდეგ რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების გაერთიანების არაერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი<sup>2</sup>, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ამ მხრივ საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა 1274 წლის ლიონის უნიას, რომელიც უცხოურ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად არის შესწავლილი, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაზე არ ითქმის. ჩვენ ამ საკითხს შევეხებით იმდენად, რამდენადაც ნაშრომში დასმულ პრობლემასთან კავშირში დაგვჭირდება. ამიტომ, ამ თემის გარშემო არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვისაგან თავს შევიკავებთ.

---

<sup>1</sup> ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.)..., გვ. 90; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 86.

<sup>2</sup> Пападакис Аристидис. Христианский Восток и возвышение папства. Церков в 1071-1453 годах, изд. ПСТГУ, 2010, с.141.

მოვლენის არსში უკეთ გარკვევის მიზნით მივმართავთ მოკლე ისტორიულ ექსკურსს. როგორც ცნობილია, 1261 წელს კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერია დაეცა. ნიკეის იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგმა (1259–1282) ლათინებს კონსტანტინოპოლი წაართვა და ბიზანტიის იმპერია აღადგინა. მიუხედავად ამისა, თვით იმპერიისა და მისი იმპერატორის მდგომარეობა ძალზე რთული გახლდათ. დასავლეთში გადახვეწილი ბოლო ლათინი იმპერატორი ბალდუინ II დახმარებას ითხოვდა. კონსტანტინოპოლის დაკარგვით შეწუხებული პაპი ურბან IV ბალდუინის მხარეს იჭერდა და კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწოდებით გამოდიოდა. ბალდუინ II-ის სიმამრი შარლ ანჟუელი (1226–1270), რომელიც მაშინ ნეაპოლსა და სიცილიას დაეუფლა, მიხეილ VIII პალეოლოგთან ომისათვის ემზადებოდა<sup>1</sup>. იმავე დროს ბოლგარები, აქაიასა და პელოპონესის ლათინი მთავრები, რომლებიც ლათინთა იმპერიის დაცემის შემდეგ დამოუკიდებელნი გახდნენ, კონსტანტინოპოლზე შეტევას შეუდგნენ<sup>2</sup>. ახლად აღდგენილი იმპერიის შიგნით მღელვარებები არ წყდებოდა, რადგან მიიჩნეოდნენ, რომ მიხეილ პალეოლოგი ტახტს უკანონოდ დაეუფლა<sup>3</sup>.

შექმნილ ვითარებაში მიხეილ პალეოლოგი უშუალო საფრთხეს შარლ ანჟუელისაგან მოელოდა<sup>4</sup>. იმპერატორმა სასწრაფოდ პაპ გრიგორი X-ს (1271–1276) მიმართა და შესთავაზა, რომ არსებული უთანხმოების გადასაჭრელად მსოფლიო საეკლესიო კრება მოეწვიათ, როგორც ეს წარსულში

---

<sup>1</sup> Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. Cambridge University Press, London-New York-Melburne, 1994, p. 41-53.

<sup>2</sup> Тальберг Н. История христианской Церкви, М., 2008, с. 164.

<sup>3</sup> Тальберг Н. История христианской Церкви, М., 2008, с. 164.

<sup>4</sup> Nicol D.M. Op., cit., p. 55.

ხდებოდა. პრინციპში ლათინები მზად იყვნენ ეს წინადადება მიეღოთ, თუმცა ახალ ვითარებაში საკუთარი მსოფლმხედველობით უყურებდნენ ასეთ კრების მოწვევას, კერძოდ, ისინი მსოფლიო კრებას განსაკუთრებულ ფორმას ანიჭებდნენ, რადგან სადავო დოქტრინალურ საკითხებზე კამათი გამორიცხული ჩანდა: ასეთი რამ უკვე საფუძველშივე მოსპობდა კათოლიკური რწმენის სიწმინდეს და რომის პაპის „უცოდველობის“ მოძღვრებას. მიუხედავად ამისა, რომი ჯერჯერობით არ სვამდა Fillioque-ს საკითხს და მხოლოდ ითხოვდა კათოლიკურ ეკლესიაში პაპის პრიმატის აღიარებას და მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქთა მიერ პონტიფექსის დიპტიქში მოხსენიებას<sup>1</sup>.

პაპმა გრიგორი X-მ, რომელსაც ძალიან სურდა ეკლესიათა გაერთიანება, მიხეილ VIII პალეოლოგთან წარმატებით დაიწყო მოლაპარაკებები<sup>2</sup>. პაპმა წერილობით მოუწონა იმპერატორს სამოციქულო ტახტისადმი დამორჩილების სურვილი და მიიწვია ლიონის 1274 წლის კრებაზე, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა ეკლესიათა გაერთიანების საკითხი<sup>3</sup>. მიხეილ პალეოლოგის თვალსაზრისით, წმ. ტახტის მიერ შემოთავაზებული პირობები სრულიად მისაღები გახლდათ. ჯერ ერთი, პაპთან შერიგებით სიცილიის მეფე შარლ ანჟუელის მხრიდან საფრთხის აღკვეთის გარანტია პრაქტიკულად რეალური ჩანდა; მეორე, უნია მაღალი ალბათობით განაპირობებდა თურქების წინააღმდეგ დასავლეთის ქრისტიანთა დახმარებას; მესამე, რაც შეეხება საკითხის საღვთისმეტყველო მხარეს, ასეთ ხელსაყრელ პირობებში, უნიას შეეძლო მომავალში სადავო

---

<sup>1</sup> ПападакисАристидис. დასახ. ნაშრ., გვ. 319-320.

<sup>2</sup> Nicol D.M. Op., cit., p. 52-54; Тальберг Н. დასახ. ნაშრ., გვ. 163.

<sup>3</sup> Nicol D.M. Op., cit., p. 55; Тальберг Н. დასახ. ნაშრ., გვ. 163.

საკითხების კომპრომისული გადაწყვეტისათვის საიმედო ფუნდამენტი შეექმნა<sup>1</sup>.

სამი წლის მანძილზე, სანამ ლიონის კრება შეიკრიბებოდა, რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ხანგრძლივი მოსამზადებელი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა<sup>2</sup>. განსახილველ საკითხებთან მიმართებაში გადაულახავი დაბრკოლებები არ წარმოქმნილა, მაგრამ აღმოსავლეთის ეპისკოპატი, მიუხედავად ზემარტივი პირობებისა, უნიას არ ეთანხმებოდა. იმპერატორი კლირიკოსებს არწმუნებდა, რომ მათ სხვა ალტერნატივა არ გააჩნდათ. პალეოლოგის არგუმენტი, რომ ლათინთა მორიგი თავდასხმის დროს კონსტანტინოპოლი დაეცემოდა და ამასთან ერთად „...წმინდა წესები და დოგმატებიც მარტივად განადგურდებოდა“, სასულიერო პირებისათვის მიუღებელი იყო<sup>3</sup>. ყოველივე ამას რომში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს და პონტიფექსმაც უნიის პირობები გაამკაცრა. პაპმა იმპერატორსა და პატრიარქს მოსთხოვა, რომ რწმენის სიმბოლო Filioque-ს წარმოთქმა წერილობით გაეგზავნათ<sup>4</sup>. ასეთ ვითარებაში იმპერატორმა მოახერხა მომხრეთა ჯგუფის შექმნა, რომელიც ბიზანტიის დელეგაციაში იქნა შეყვანილი.

მოკლედ, დიდი შრომისა და სიძნელების გადალახვის შემდეგ, 1274 წლის 7 მაისს ლიონში შეიკრიბა „მსოფლიო“ საეკლესიო კრება, რომელმაც 7 სხდომა გამართა და 17 ივლისს მუშაობა დაასრულა. კრების მუშაობაში მონაწილეობდ-

---

<sup>1</sup> Григора Никифор. Римская история, начинающаяся со взятия Константинополя латинянами. Т. 1. Книга 5, Рязань, 2004, с. 108.

<sup>2</sup> Суттнер Эрст, Христианство Востока и Запада в поисках зримого проявления единства, М., 1999, с. 76.

<sup>3</sup> Григора Никифор. Римская история, начинающаяся со взятия Константинополя латинянами. Т. 1. Книга 5, Рязань, 2004, с. 109.

<sup>4</sup> Nicol D. M. Op., cit., p. 54; Тальберг Н. დასახ. ნაშრ., გვ. 164.

ნენ ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის ლათინი პატრიარქები, 15 კარდინალი, 300 ეპისკოპოსი, 60 აბატი და ათასზე მეტი პრელატი. კრებას მეთაურობდა რომის პაპი გრიგორი X. სხდომებს საფრანგეთისა და ინგლისის მეფეთა ელჩებიც ესწრებოდნენ. მასში მონაწილე ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგს და მის დელეგაციას (35 მიტროპოლიტი და არქიეპისკოპოსი, სამეფო და საპატრიარქო კრებული) ბერძნული ეკლესიისაგან რწმუნებები არ ჰქონდათ<sup>1</sup>. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ერთადერთი ახალი დროის კრება იყო, რომელიც კათოლიკურმა ეკლესიამ მსოფლიო საეკლესიო კრებათა რიცხვში შეიტანა<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, როგორც ლიონის, ასევე ფერარა–ფლორენციის, კრებას უნდა ეწოდოს „მსოფლიო“ უნიატური საეკლესიო კრება. რატომ? ამის დამადასტურებელ არგუმენტად მოვიტანთ შემდეგს: როგორც ვიცით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების მიერ აღიარებული პირველი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება, ძირითადად გაიმართა ცრუ მოძღვრებების წინააღმდეგ. ამ კრებების მონაწილენი ერთმანეთთან შეთანხმებით ებრძოდნენ ერეტიკოსთა უმცირესობის წარმომადგენლებს. ლიონისა და ფერარა–ფლორენციის კრებების დროს კი დოგმატურ საკითხებზე ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი მოწინააღმდეგე მხარე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიები. მათი გაერთიანება უნდა მომხდარიყო კომპრომისული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რაც ასე მოხდა. სწორედ აქედან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ორივე კრებას მსოფლიო უნიატური კრება ეწოდოს. ეს შეიძლება ცალკე კვლე-

---

<sup>1</sup> Суттнер Эрст. დასახ., ნაშრ., გვ. 76-77; Успенский Ф.И. დასახ. ნარ., გვ. 171-172.

<sup>2</sup> Суттнер Эрст. დასახ., ნაშრ., გვ. 76.

ვის საკითი იყოს და ამიტომ აქ მასზე მეტს არ შევჩერდებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბერძენთა დელეგაცია ლიონში 24 ივნისს ჩავიდა და მონაწილეობა მიიღო პაპის მესამე, რომელიც ლიონის კათედრალურ ტაძარში გაიმართა მოციქულების პეტრე და პავლეს დღესასწაულთან დაკავშირებით. ეს ერთადერთი ლიტურგიული დღესასწაული იყო კრების მიმდინარეობის დროს, როცა ბერძნებმა ლათინურ და ბერძნულ ენებზე იგალობეს „რწმენის სიმბოლო“<sup>1</sup>. მოკლედ რომ ვთქვათ, კრებამ მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვის შემდეგ, დაიწყო უნიის დადების საკითხის განხილვა. უნდა ვთქვათ, რომ Filioque-ზე მსჯელობა არ გამართულა, რასაც ლათინები არ დაუმეებდნენ. პაპი ბიზანტიელებს უცდიდა, თუ როგორ წარმოთქვამდნენ რომაული რედაქციით რწმენის სიმბოლოს. მისი თხოვნით ბერძენმა ელჩებმა წაიკითხეს იმპერატორის ეპისტოლე, რომელშიც საერთოდ არ იყო ნახსენები სიმბოლო. ეპისტოლეს სხვა ნაწილში იმპერატორი აღიარებდა პაპის პრიმატს, მას უწოდებდა „კათოლიკური ეკლესიის პირველ მღვდელთმთავარს და ხელმწიფეს“, „მსოფლიო პაპს“ და „ყველა ქრისტიანის მამას“. ამაში ახალი არაფერი იყო, რადგან აღმოსავლეთში ისედაც პაპს მიიჩნევდნენ რომის სრულუფლებიან ეპისკოპოსად. აღმოსავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა ეპისტოლე უფრო გაურკვეველ გამოთქმებს შეიცავდა. არქიელები აღიარებდნენ რომის ეკლესიის დამსახურებას, მაგრამ ამის იქით არ მიდიოდნენ<sup>2</sup>.

ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ ბიზანტიის ელჩმა გიორგი აკროპოლიტმა (1217–1282) იმპერატორის სახელით ფი-

---

<sup>1</sup> Суттнер Эрст. დასახ., ნაშრ., გვ. 77.

<sup>2</sup> Катанский А. История попыток к соединению церквей Греческой и Латинской в первые четыре века по их разделении, с. 146.

ცი დადო რწმენის ლათინური სიმბოლოს მიღებაზე<sup>1</sup> და რომის ტახტისადმი ერთგულებაზე<sup>2</sup>. როცა პაპმა გრიგორი X–მ მოითხოვა ამ ფიცის წერილობითი ასლი, აკროპოლიტმა უპასუხა, რომ იგი ზღვის შტორმისას დაეკარგათ ლიონისაკენ ზღვით მგზავრობის დროს. ბოლოს ბიზანტიელებმა იმპერატორის სახელით ითხოვეს ნებართვა, რომ აღმოსავლეთში სიმბოლოს რედაქცია გამოეყენებინათ ისე, როგორც ეს მათ ტრადიციებთან იყო ახლოს<sup>3</sup>. პაპმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ „ბერძნები თავისუფლად და ყოველგვარი დროითი ანგარიშის გარეშე დამორჩილდნენ სამოციქულო კათედრას, ხოლო ახლა აქ დასწრებით ამოწმებენ თავიანთ მორჩილებას“<sup>4</sup>. 1274 წლის 6 ივლისს რომის ეპისკოპოსმა საზეიმო სხდომა ჩაატარა, რომელიც მიემდგვნა ეკლესიათა გაერთიანებას და თავის მხრივ ბერძენთა დელეგაციას დაპირდა, რომ კონსტანტინოპოლს თავიდან აარიდებდა შარლ ანჟუელის ჯარის შემოჭრას<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, ბერძნებმა მოითხოვეს, რომ რწმენის სიმბოლო მათთვის Filioque–ს გარეშე დაეტოვებინათ<sup>6</sup>. დიდმა ლოგოფეტმა გიორგი აკროპოლიტმა იმპერატორის სახელით ფიცი დადო, რომ ის უარყოფდა ეკლესიათა ყოველგვარ გათიშვას და დაპირდა ურღვევად დაიცავდა რწმენის აღსარებას

---

<sup>1</sup> Грегоровиус Фердинанд. История города Рима в средние века (от V до XVI столетия). М., 2008, с. 924.

<sup>2</sup> Geanakoplos D.J. Emperor Michael Paleologues and the West, 1258-1282: A Study in Byzantine-Latin, Cambridge, Massachusetts, 1959, p. 258.

<sup>3</sup> Грегоровиус Фердинанд. დასახ., ნაშრ., გვ. 924.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Тальберг Н. დასახ., ნაშრ., გვ. 164.

და პაპის პრიმატობას<sup>1</sup>. ბერძენი ხალხის სახელით ასეთივე ფიცი დადეს სასულიერო პირებმა<sup>2</sup>.

ამგვარად, ორ ეკლესიას შორის დაიღო უნია. ძირითადი დოქტრინალური საკითხი „ფილიოკვე“, შეიძლება ვთქვათ, რომ ბერძნებისათვის სავალდებულო არ იყო. აქ მთავარი გახლდათ ის, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას პაპის პრიმატობა ელიარებინა. პაპი გრიგორი X სიხარულს ვერ მალავდა და მადლობას ამბობდა, რომ ბერძნები თავიანთ წიაღს დაუბრუნდნენ<sup>3</sup>. საკუთრივ პონტიფიქსი კარგად ხვდებოდა, რომ ბიზანტიის იმპერატორი ამ ნაბიჯზე პოლიტიკური მიზნით წავიდა. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ ლიონში უნია შედგა პაპის გამარჯვება იყო, ხოლო მიხეილ VIII პალეოლოგისათვის დიპლომატიურ ტრიუმფს წარმოადგენდა<sup>4</sup>. მიუხედავად ამისა, ორივე მხარის ეს პირველადი ეფექტი შემდგომმა დაბალმა პოლიტიკურმა შედეგებმა დაჩრდილა.

მართალია, ლიონიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნებულებმა საზეიმოდ ჩაატარეს ლიტურგია ბერძნულ და ლათინურ ენებზე, მოიხსენიეს პაპი, ახალმა პატრიარქმა იოანე ბეკოსმა (1275–1282) ურყევად გადაწყვიტა Filioque–ს დაცვა<sup>5</sup>, მაგრამ ამის შემდეგ მთავარი იყო ბიზანტიის ეკლესიაში უნიის დანერგვა. იგი, ყველაზე რთული ჩანდა, რადგან ბერძნული სამღვდელეობა ამას მშვიდად არ შეხვდა<sup>6</sup>. იმპერატორი საკუთრივ ბერძენ არქიელებს არწმუნებდა, რომ პაპის კათოლიკური ეკლესიის მეთაურად აღიარება ეს მხოლოდ ცარი-

---

<sup>1</sup> იქვე; Григора Никифор. დასახ., ნაშრ., გვ. 259-260.

<sup>2</sup> Тальберг Н. დასახ., ნაშრ., გვ. 164.

<sup>3</sup> Geanakoplos D.J. Op., cit., p. 259-261.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 261-264.

<sup>5</sup> Успенский Ф.И. დასახ., ნაშრ., გვ. 173.

<sup>6</sup> Nicol D.M. Op., cit., p. 60-70.

ელი დაპირება იყო. „განა სერიოზულად ვინმეს სჯერა,–უსვამდა კითხვას იმპერატორი არქიელებს, – რომ პაპი კონსტანტინოპოლში ჩამოვა, რათა უხელმძღვანელოს რომელიმე კრებას? ძნელი არ არის ვალიაროთ პაპის უფლება აპელაციაზე – ნუთუ აღმოსავლეთის რომელიმე ეპისკოპოსი წავა რომში, რათა სამართალი ეძებოს? ნაკლებად სარწმუნოა – პასუხობდა იმპერატორი. ბოლოს, პაპის დიპტიქში მოხსენიება. რა არის ამაში უკანონო ანდა ტყუილი? განა ადრე ეკლესიის მამები გარემოებების მიხედვით ამას არ ეწყობოდნენ?“. „თუკი ახლა ჩვენ გონივრულად მოვეკიდებით დამუქრებულ საფრთხეს, მაშინ ეს ცოდვად არ უნდა ჩაგვეთვალოს – არწმუნებდა ბასილევსი მოწინააღმდეგეებს<sup>1</sup>, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მაშინ იმპერატორმა ყველა საშუალება გამოიყენა, მათ შორის ძალისმიერი, რათა ბერძნული სამღვდელოება უნიაზე დაეყოლიებინა.

ყოველივე ამან ურთიერთობები დაძაბა, ერთი მხრივ, რომსა და კონსტანტინოპოლს შორის და, მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით, სადაც დედაქალაქში უნიის მოწინააღმდეგეთა ფრონდა შეიქმნა<sup>2</sup>. როცა დარწმუნების ყველა საშუალება ამოიწურა, იმპერატორმა დაამყარა რეჟიმი, რომელიც ტერორს ეფუძნებოდა. უნიის მოწინააღმდეგეებს სჯიდნენ გაძე-

---

<sup>1</sup> Пахимер Георгий. История о Михаиле и Андронике Палеологах, Рязань, 2004, с. 243-244.

<sup>2</sup> დაწვრ. იხ: Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. Cambridge University Press, London-New York-Melburne, 1994; Geanakoplos D.J. Emperor Michael Paleologues and the West, 1258-1282: A Study in Bizantine-Latin, Cambridge, Massachusetts, 1959; Пахимер Георгий. История о Михаиле и Андронике Палеологах, Рязань, 2004; Успенский Ф.И. История Византийской империи. Т. 5. М., 2002; Рансимен С. Сицилийская вечерня. История Средиземноморья в XIII веке. СПб., 2007.

გებით, ქონების ჩამორთმევით, ხოლო სასულიერო პირებს – სასტიკად<sup>1</sup>. რაც შეეხება იმპერიის მოხელეებს, მათ სიკვდილით სჯიდნენ, თუ იმპერატორის წინააღმდეგ პამფლეტით გამოვიდოდნენ<sup>2</sup>. იმპერატორის და თეოდორა და დედამისი, როგორც წამქეზებლები, კონსტანტინოპოლიდან გაასახლეს და შავი ზღვის პირას წმ. გიორგის სიმაგრეში გამოამწყვდიეს<sup>3</sup>.

ჩვენ არანაირი წყარო არ მოგვეპოვება, რომელიც დაგვარწმუნებდა, რომ ლიონის საეკლესიო კრებაზე საქართველოს ეკლესია მონაწილეობდა. შესაბამისად არც ერთი პირდაპირი წყარო არ გაგვაჩნია ამ უნიის მიმართ რა პოზიცია დაიჭირა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ამ პრობლემის კვლევას შეუდგა ახალგაზრდა მკვლევარი გ. მაჭარაშვილი, რომელმაც 20 გვერდიან ნაშრომში<sup>4</sup> სცადა მისი შესწავლა. რადგან ავტორს უტყუარი მონაცემები არ გააჩნდა, საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად ირიბი წყაროები მოიშველია. მათ საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოს ეკლესია ლიონის უნიას არ თანაუგრძნობდა და „... მხარში ედგნენ იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს“<sup>5</sup>. ჩვენ მკვლევრის ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებით და მისეულ არგუმენტებს არადამაჯერებლად მივიჩნევთ. იმის დასამტკიცებლად, რომ „...საქართველოს ეკლესია უნიას არ თანაუგრძნობდა“ გ. მაჭარაშვილი იშველიებს ერთ ცნობას, რომელსაც აქვე მოვიტანთ მთლიანად, რათა საფუძვლიანი დასკვნა გავაკეთოთ. XIV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკი-

---

<sup>1</sup> Geanacoplos D.J. Op., cit., p. 298.

<sup>2</sup> Nicol D.M. Op., cit., p. 131-132.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 132.

<sup>4</sup> მაჭარაშვილი გ., ლიონის უნია და საქართველო, თბ., 2007.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 5-6.

ფორე გრიგორასის ცნობით, მიხეილ VIII პალეოლოგის ძალდობას ის, „...ვინც თავგამოდებით იცავდა თავის შეხედულებებს (ასეთები კი იშვიათნი იყვნენ), ის მედგრად და ვაჟკაცურად უწევდა წინააღმდეგობებს და ყველაფერს იტანდა და ითმენდა, რასაც კეისრის ხელი არგუნებდა. ხოლო მეტწილს არავითარი საღი მიდგომა არ აღმოაჩნდა—ესენი იყვნენ მღაბიო ხალხი და ვაჭართა ბრბო...“, მათ „...მხრებზე გაიდეს შალის წამოსასხამები, თითქოს სანახაობაზე მიდიოდნენ და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას დაიქსაქსნენ ყველგან, სადაც კი შეიტყვეს ქრისტიანი ტომები არიანო: მე ვგულისხმობ პელოპონესს და თესალიას, კოლხიდას და იმ ადგილებს, საერთოდ, სადაც კეისრის ძალაუფლება არ აღწევდა. ისინი ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდნენ, გაბნეულნი და მოხეტიალენი, და არ სურდათ მშვილობა დაეცვათ არც დასავლეთის მიმართ, არც ერთმანეთში“<sup>1</sup>. ამ ცნობაზე დაყრდნობით გ. მაჭარაშვილი წერს; „როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესია უნიას არ თანაუგრძნობდა. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ უნიას გამოქცეულებს უნიატური საქართველოსათვის შემოეფარებინათ თავი“<sup>2</sup>. ჯერ ერთი, ამ „მღაბიო ხალხმა და ვაჭართა ბრბომ“, რომელიც უნიას მხარს არ უჭერდა, არ ჩანს, რომ ძირითადად ანტიუნიატობის გამო შეაფარა თავი საქართველოს. მეორე, წყაროში გარკვევით ჩანს, რომ ისინი ძირითადად იმ ადგილებში დაისაქსნენ, სადაც ბიზანტიის იმპერატორის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა. ჩანს, ასეთ ადგილად ანტიუნიატებმა დასავლეთ საქართველოც მიიჩნიეს, მაგრამ არ ვიცით მათ აქ ნამდვილად შემოაფარეს თავი თუ

---

<sup>1</sup> გეორგიკა, ტ. VII. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1967, გვ. 133-134.

<sup>2</sup> მაჭარაშვილი გ., ლიონის უნია, გვ. 5.

არა. მესამე, თუ მართლა ანტიუნიატმა ბერძნება დასავლეთ საქართველოს შემოაფარეს თავი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ანტიუნიატურ პრინციპებზე იდგა. ამ მხრივ საქმე პირიქითაა: ჯერ ერთი, სწორედ ამ დროს საქართველოში ფრანცისკელი და დომინიკელი მისიონერები წარმატებით განაგრძობდნენ საქმიანობას და მოქმედებდა ხუთი კათოლიკური მონასტერი<sup>1</sup>. მეორე, თუ საქართველო ანტიუნიატურ პოზიციებზე იდგა, მაშინ პაპი ნიკოლოზ IV (1288-1292) 1289 წლის წერილში დემეტრე II-ს, დავით VI ნარინისა, საქართველოს პატრიარქისა და სხვა იერარქებისადმი ეკლესიათა გაერთიანების შესახებ წინააღმდეგობის ფაქტს უთუოდ ხაზს გაუსვამდა. უფრო მეტიც; პაპი საქართველოს კათალოკოსს აბრამ I-ს (1280-1310) 1289 წელს წერდა. „ამ წერილის მომტანმა, ჩვენმა საყვარელმა შვილმა, მინორიტების მონაზონმა იოანე და მონტეკორვინომ მოგვითხრო თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედება, რომლის მოსმენამ გაგვახარა“<sup>2</sup>. იოანე და მონტეკორვინო საქართველოში 1280 წლის შემდეგ ჩამოვიდა და 1288 წლისათვის გაემგზავრა აქედან<sup>3</sup>. ცხადია, ეს უკანასკნელი პაპს არ დაუმაღავდა, თუ მართლა ქართული ეკლესია უნიატების წინააღმდეგი იყო, ამ ფაქტს და თუ ეს ასეა არ არის, მაშინ რა ახარებდა პაპს? აკი წერს; „თქვენი მრავალი შესანიშნავი მოქმედების მოსმენამ გაგვახარა“.

გ. მაჭარაშვილის აზრი, რომ ანტიუნიატურ ბრძოლაში „...ქართველები დიდად ედგნენ მხარში იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს“, ემყარება ერთ წყაროს, კერძოდ, იერუსალიმის საპატრიარქოს 1200-1308 წლების „ოფიციალურ“

<sup>1</sup> პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 86-87; 90.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 20.

<sup>3</sup> პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 86-87-88.

ანგარიშს<sup>1</sup>. პატივცემული მკვლევრის მოსაზრების გაბათილება ამავე წყაროზე დაყრდნობით ადვილია. ამიტომ მას მთლიანად მოვიტანთ. „ქართველები, ვკითხულობთ ამ წყაროში, – დაახლოებით 1200 წელს მოვიდნენ მამლუქებისა და ჩერქეზების შემწეობით. ისინი დიდად დაეხმარნენ ბერძნულ საპატრიარქოს, რისთვისაც ბერძნებმა ჯერ ნიკოლოზის მონასტერი უბოძეს, მოგვიანებით კი – ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველნი ძალზე ბევრნი იყვნენ, ჩვენგან მიიღეს წმ. იაკობის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. თევდორეს, წმ. დემეტრეს, წმ. თეკლას, წმ. ეკატერინეს მონასტრები, ხოლო 1308 წელს – გოლგოთა“<sup>2</sup>. ამაზე დაყრდნობით გ. მაჭარაშვილი ასკვნის: „ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ უნიის პერიოდში ქართველები მხარში ედგნენ იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს, ანუ იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქებს“<sup>3</sup>. ამას მოსდევს ავტორის შემდეგი დასკვნაც: „თანაც ამგვარი დამოკიდებულება, – წერს ავტორი, – იყო მეტად მყარი (როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მთელი ასწლეულის მანძილზე დასტურდება). სწორედ ამის გამო ბერძნული საპატრიარქო ქართველებს უფრო და უფრო მეტ სავანეებს გადმოსცემდა. ამგვარად, იერუსალიმის ბერძნული (მართლმადიდებელი) საპატრიარქოსა და ქართველების მოკავშირეობა ლიონის უნიის წლებში უდავო ფაქტია. ეს კი თავისთავად მიანიშნებს ქართველთა ანტიუნიატობაზე...“<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> ფერაძე გრიგოლ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართველი მონასტრის შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გონაჯაფარიძემ. თბ., 1995, გვ. 36.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> მაჭარაშვილი გ., ლიონის უნია, 6. შენიშვნა 5.

<sup>4</sup> იქვე.

ამ წყაროზე დაყრდნობით ძალიან ჭირს დავეთანხმით გ. მაჭარაშვილის მიერ გამოტანილ დასკვნას. ჯერ ერთი, ამ წყაროდან გარკვევით არ ჩანს, რა დახმარება გაუწიეს წმ. მიწაზე ქართველმა სასულიერო პირებმა ბერძნებს, რომლის სანაცვლოდ მათ 1308 წლამდე 9 მონასტერი მიიღეს. რადგან ლიონის უნიის პერიოდი მოიცავს 1274–1282 წლებს, ხოლო წყარო 1200–1308 წლების პერიოდის ანგარიშს ასახავს, ვერ ვიტყვით, რომ ეს 9 მონასტერი ბერძნებმა ქართველებს ანტიუნიატურ ბრძოლაში დახმარების სანაცვლოდ გადასცეს სწორედ უნიის წლებში. ასეც რომ ყოფილიყო, მაშინაც კი გაგვიჭირდებოდა წყაროს ინფორმაციის მიხედვით მაჭარაშვილისეული დასკვნის მიღება. უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, ეს მონასტრები ქართველებმა მამლუქებისა და ჩერქეზების შემწეობით ხომ არ მიიღეს? მოკლედ, ეს ცალკე კვლევის საკითხია და აქ მასზე მეტს არ გავაგრძელებთ. ერთი სიტყვით, მონობილი წყარო არამც და არამც არ გვაძლევს იმის საფუძველს დავასკვნათ, რომ 1274–1282 წლებში წმ. მიწაზე ქართველი სასულიერო პირები ბერძნებთან ერთად იბრძოდნენ ლიონის უნიის წინააღმდეგ. უფრო მეტიც: პროფ. ე. მამისთვალიშვილის სწორი დასკვნით „თავისი შინაარსიდან და მიზანდასახულებიდან გამომდინარე, XVIII საუკუნეში შექმნილი უნდა იყოს ე.წ. იერუსალიმის საპატრიარქოს 1200-1308 წლების „ოფიციალური“ ანგარიში...“<sup>1</sup> ეს, რა თქმა უნდა, საფუძველშივე სპობს იმის საშუალებას, რომ ამ წყაროდან ამოვიკითხოთ ლიონის უნიის მიმართ ქართველთა ბრძოლა ბერძნებთან ერთად.

ცნობილია, რომ მიხეილ VIII პალეოლოგმა მთელ აღმოსავლეთს ლიონის უნიის აღიარებისაკენ მოუწოდა. ამას

---

<sup>1</sup> მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, გვ. 43.

ბიზანტიის ბევრი ეკლესია არ დაემორჩილა. ჯერ უნიამ და მერე ოპოზიციის მიმართ ანგარიშსწორებამ ათონელ მამებზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა<sup>1</sup>. მათ უნიის დადებისთანავე იმპერატორს წერილი გაუგზავნეს, რომელშიც თავაზიანად აუწყებდნენ, რომ Filioque–ს, უფუარი სეფისკვერისა და შაბათის მარხვის მიღება შეცდომას წარმოადგენდა. ამიტომ მოუწოდებდნენ, რომ „...საწყალი ბერების მიმართ, რომელთაც იმპერატორი ჭეშმარიტად უყვარდათ...“ შემწყნარებლობა გამოეჩინა<sup>2</sup>. 1278 წელს იმპერატორის მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალებმა თესალიის დესპოტის იოანე I ანგელოსის მეთაურობით განიზრახეს საეკლესიო კრების მოწვევა ოლიმპოსა და ათონელი ბერების მონაწილეობით, რათა მართლმადიდებლობის სახელით ანათემაზე გადაეცათ იმპერატორი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი და რომის პაპი<sup>3</sup>. ამის შემდეგ იმპერატორმა გამოსცა ბრძანება, რომ უნია ძალით დაენერგათ. ათონის მონასტრების წინააღმდეგობას იმპერატორმა ძალადობით უპასუხა. შესაძლებელია მისი ნებართვით პაპისტები 1280 წელს შეესიენ ათონს და ბერებს უნიის მიღება მოსთხოვეს, რასაც ივირონის გარდა ყველა მონასტერი დათანხმდა. ამასთან დაკავშირებით წყაროში ვკითხულობთ: „ლათინები გაემართნენ ივერიის ლავრაში და იქ მყოფ ბერებს მათთან შეერთება სთხოვეს. მაგრამ ამ მონასტრის ბერებმა ეს არ ინებეს, ამხილეს ბიწიერნი და დაწყევლეს ისინი მოციქულებრივ სიახლის შემოტანის გამო. ამის გამგონე უკანონოებმა მონასტრიდან ლანძღვით გამოიყვანა ყველა,

<sup>1</sup> Восток христианский. Афон, СПб., 1892, ч. III, отд. 2. №5, сс. 622-633.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 633; Каллист Влатос. Марк Эфесский и Флорентийский Собор. М., 2009, сс. 79-80.

<sup>3</sup> Успенский Ф.И. დასახ. ნაშრ., გვ. 176.

უფროსები დასვეს მონასტრის ხომალდზე და [ზღვაში] ჩაძირეს... უფრო ახალგაზრდა ბერები საქართველოდან, მონასტრის ქონებასთან ერთად, იუდეველთა ხვედრის მსგავსად იტალიაში გააგზავნეს ტყვეებად, სადაც გააძვრეს ბერის სამოსელი და იუდეველებს მიყიდეს<sup>1</sup>.

რამდენად სანდოა ამ წყაროში იტალიაში წაყვანილ ახალგაზრდა ქართველ ბერთა იუდეველებზე გაყიდვა ძნელი სამტკიცებელია, რადგან ამის საკონტროლო მასალა არ გავაჩნია. შეიძლება იგი ამ კუთხით ძალზე ტენდენციურიც იყოს, რაც ბერძნული წყაროსაგან მომხდარისა და ანტიუნიატთა განწყობა—დამოკიდებულების გამო საკვირველი არაა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი სხვა კითხვაა: რატომ დაინდეს მათ ქართველი ახალგაზრდა ბერები? წყაროში ამაზე საუბარი არ არის. არც ის ვიცით დანამდვილებით ათონის ივირონის ქართველი ბერები რამდენად იყვნენ, ბერძნების მსგავსად, უნიის შეურიგებელი მოწინააღმდეგენი. მათ რომ პაპისტებისაგან მწარე ხვედრი ერგოთ, ცხადია, მაგრამ რატომ დაინდეს? აქ შეიძლება ვიფიქროთ შემდეგი: შესაძლებელია პაპისტებმა გაითვალისწინეს ის ამბავი, რომ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ (1204 წ.) ათონის ქართველებმა პაპის იურისდიქცია აღიარეს და ჟამისწირვის უფუარი პურით შესრულება დაიწყეს, რის გამოც ბერძნებმა მათთან კავშირი გაწყვიტეს<sup>2</sup>. ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქართველი ბერები პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდნენ

---

<sup>1</sup> Повесть о нашествии папистов на Святую Гору/Афонский патерик, ч. 2, СПб., 1897, сс. 234-235; Силогава В.И. Иверский монастырь на Святой Горе Афон. [www.setmizda.ru/text/994827.html](http://www.setmizda.ru/text/994827.html); კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 77.

<sup>2</sup> თარხნიშვილი მიქელ. დასახ., ნაშრ., გვ. 43.

უნიას და სწორედ ეს გახდა საფუძველი მათი იტალიაში წაყვანისა. ყველა შემთხვევაში გ. მაჭარაშვილის მიერ აღნიშნული ფაქტის (ივირონის მონასტრის დარბევა და ქართველთა იტალიაში წაყვანა) ერთ-ერთ უტყუარ, პირდაპირ ცნობად მიჩნევა<sup>1</sup> იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველები უნიას ებრძოდნენ, ძალზე სუსტ არგუმენტად მიგვაჩნია.

ამდენად, ლიონის უნიის მიმართ ქართული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე არანაირი ხელშესახები წყარო არ გაგვაჩნია. ამიტომ უნიის მიმართ ქართული ეკლესიის თანაგრძნობაზე თუ არათანაგრძნობაზე, მიღებაზე თუ არ მიღებაზე საუბარიც შეუძლებელია, რადგან მისი ოფიციალური პოზიცია არსად ჩანს. ბიზანტიაში მიმდინარე ანტიუნიატურ პროცესებს საქართველოში გავლენა არ ჰქონია. ამის უტყუარ ფაქტად მოვიტანთ შემდეგ წყაროს. 1289 წლის 7 ივლისს პაპი ნიკოლოზ IV საქართველოს კათოლიკოს აბრამ I-ს წერდა: „იმედი გვაქვს, თქვენც, რომელსაც, როგორც მოგვითხრეს, დიდძალი ერი გყავსთ, დიდის გულმოდგინებით იზრუნოთ და ეცადოთ, რათა ეგ ერი კეთილის საქმის აღსრულებით სათნო შეიქმნას თავისი გამჩენისა და ღირსი გახდეს საუკუნო ცხოვრებისა; ამას იგი ვერ მოიპოვებს, თუ არ დაიცვა სარწმუნოება, რომელიც გასწმენდს შემცოდეს და წარხოცს ცოდვათა. ამიტომ იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელსაც, როგორც უკვე ვსთქვით, აღიარებს რომის ეკლესია. სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან შეერთების დროს გამოგიჩნდესთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ მხნედ მიუახლოვდით და ეცადეთ სხვების

---

<sup>1</sup> მაჭარაშვილი გ., ლიონის..., გვ. 7.

მოზიდვასაც... კარგად და სიადვილით, რომ შეძლოთ სხვების გაწვრთნა ხსენებულ ქრისტეს სარწმუნოებაში, ამიტომ სარწმუნოების მუხლებს აქვე აღვნიშნავთ...“<sup>1</sup>. სამწუხაროდ, მ. თამარაშვილს არ მოაქვს „სარწმუნოების მუხლები“, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ ჩამოთვლილი იქნებოდა ლიონის კრებაზე მიღებული რწმენის აქტი. როგორც ამ წყაროდან ვხედავთ, შეუძლებელია ლიონის მიმართ ანტიუნიატურად განწყობილ საქართველოში პაპს ასეთი წერილი მოეწერა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წმ. ტახტთან მიმართებაში აგრძელებდა თავის ლოალურ დამოკიდებულებას, ხელს არ იღებდა საკუთარ დამოუკიდებლობაზე და საქართველოში კათოლიკე მისიონერების საქმიანობას ხელს არ უშლიდა.

#### **დამოწმებანი:**

ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989

ბერაძე თამაზ, სანაძე მანანა, საქართველოს ისტორია, I, თბ., 2003

გეორგიკა, ტ. VII. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოცემა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1967

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995

თარხნიშვილი მიქელ, წერილები, თამარ ჭუმბურიძის გამოცემა, თბ., 1994

---

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 20.

კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955

მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე შევსებული და გადაშუშავებული გამოცემა, თბ., 2014

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, თბ., 2014

მაჭარაშვილი ტ., 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება და საქართველოს ეკლესია. კრებ.: “საისტორიო შტუდიები“, I, თბ., 2000

მაჭარაშვილი გ., დიდი სქიზმა და საქართველო, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2014

მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები II, თბ., 1980

მეტრეველი ე., ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი მოსახსენებელი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლით. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1997

მეტრეველი ე., იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერის ცდა). წიგნში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბ., 2007

პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995

პაპაშვილი მ., კათოლიკობა და ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში (XIII-XV საუკუნის I ნახევარი). კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, ტ. III, თბ., 1996

პაპაშვილი მ., ქართულ-მართლმადიდებლური და საქართველოში კათოლიკური ეკლესიების ურთიერთობის წარსული,

აწმყო და მომავალი (ფიქრები განსჯისათვის), „საისტორიო ვერტიკალები“, 2008, №14

პაპაშვილი მ., ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოლერანტობა კათოლიკობის მიმართ (XIII-XV საუკუნეები), ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა, კრებული I, თბ., 2013

პატარიძე ლ., 1054 წლის განხეთქილება და საქართველო. ჟურნ.: „დიალოგი“, 2005, №1(2)

პაპუაშვილი ნ., რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორიის შესავალი), თბ., 1996

ჟანენი რემონ, საქართველო (კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედია, ტომი მეექვსე, ნაწილი პირველი, პარიზი, 1924), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მაგლობლიშვილმა, თბ., 1996

საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. წიგნს შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ანდრო გოგოლაძემ, თეა წითლანაძემ, თეა ქარჩავამ და ნიკოლოზ სილაგაძემ. თბ., 2015

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987

ფერაძე გრიგოლ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართველი მონასტრის შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბ., 1995

წურწუშია მ., ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში, ქართველოლოგია 6, თბ., 2010

ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966

ჯავახიშვილი მ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან XI-XIV საუკუნეებში. საღისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1997

Archivio Segreto Vaticano. Registro Vaticano, vol.17, f.VI

Archivio Segreto Vaticano. Registro Vaticano, vol. 19, f. XL

Fedalto Giorgio. Perchè le Crociate. Saggio interpretative, Bologna, 1980

Geanacoplos D.J. Emperor Michael Paleologues and the West, 1258-1282: A Study in Byzantine-Latin, Cambridge, Massachusetts, 1959

Girolamo Golubovich O.F.M., Biblioteca Bio-Bibliografia della Terra Santa e dell'Oriente Franceseano, t.I (XIII s.), Firenze, 1906

Marcellino da Civezza, Storia universal delle mission francescane, Roma, 1857

Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. Cambridge University Press, London-New York-Melburne, 1994

Stephan H Rapp, Georgian Christianity: The Blacwell companion to Eastern Christianity. Editor Ken Parry, Chiechester, 2010

Tamarati Michel, L'Eglise géorgienne des origins jusqu'à nos jours, Rome, 1910

Tardy Lajos, Relations entre la Hongrie et la Géorgie au XIII-e-XVIII-e siècles, "Bedi Kartlisa revue de kartvelologie", Paris, 1968, vol. XXV

WadingoLuca. Annales Minorum seu trium ordinum a S.Francisco institutorum. 1221-1237. Т. III, 1931

Восток христианский. Афон, СПб., 1892, ч. III, отд. 2. №5

Грегоровиус Фердинанд. История города Рима в средние века (от V до XVI столетия). М., 2008  
Григора Никифор. Римская история, начинающаяся со взятия Константинополя латинянами. Т. 1. Книга 5, Рязань, 2004

Григора Никифор. Римская история, начинающаяся со взятия Константинополя латинянами. Т. 1. Книга 5, Рязань, 2004

Иверский монастырь на Святой Горе  
Афон. [www.setmizda.ru/text/994827.html](http://www.setmizda.ru/text/994827.html)

Каллист Влатос. Марк Эфесский и Флорентийский Собор. М., 2009

Катанский А. Л. История попыток к соединению церквей греческой и латинской в первые четыре века по их разделении, СПб., 1868

Пападакис Аристидис. Христианский Восток и возвышение папства. Церков в 1071-1453 годах, изд. ПСТГУ, 2010

Пахимер Георгий. История о Михаиле и Андронике Палеологах, Рязань, 2004

Повесть о нашествии папистов на Святую Гору/Афонский патерик, ч. 2, СПб., 1897  
Силогава В.И.

Рансимен С. Сицилийская вечерня. История Средиземноморья в XIII веке. СПб., 2007

Суттнер Эрст, Христианство Востока и Запада в поисках зримого проявления единства, М., 1999

Тальберг Н. История христианской Церкви, М., 2008

Успенский Ф.И. История Византийской империи. Т. 5. М., 2002

***Murman Papashvili***  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*  
**COUNCIL OF LYON 1274 AND GEORGIA**  
**RESUME**

In previous work author, relied on primary sources and special literature, asserts that Georgian Orthodox Church was separated from Roman Catholic Church between years 1230-1240. Sides never focused on differences between each other. The main idea was, that Georgian church had attitude like it was in period before schism in relationship with Rome, but the Holy See didn't recognize Georgian Church as participant of schism. Here follows, the author argues, that Rome didn't send missionaries to Georgia in principal of Union, because they were establishing Catholic Church here, which was standing on Latin typicon. This meant, that Georgian Church never abdicate its independence. Based on analysis of these events author rejects the ideas of those researchers, who considers, that Georgian church was against Union of Lyon 1274, it is convincingly substantiated, that we don't have any tangible source that Georgian state and its Church have negative dependence to Union of Lyon. Accordingly it's not confirmed that Georgian Church was fighting against Union of Lyon 1274.

## **თენგიზ სიმაშვილი**

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი*

### **სტალინის საყვარელი სტეფანია**

საქართველოს არქივებში ჩემს მიერ მოკვლეული მასალები გარკვეულწილად განსხვავდება და ავსებს იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) ბიოგრაფიას. გარკვეული ხნის წინ, საქართველოს საისტორიო არქივში მოვიძიე ერთი შეხედვით რიგითი, მცირე მოცულობის დოკუმენტი იოსებ ჯუღაშვილის შესახებ. ესაა წერილი, რომელსაც ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო 1910 წლის 26 აპრილს აგზავნის თბილისში. მასში საუბარია ქალაქ ბაქოდან ჟანდარმერიის მიერ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილისა და სტეფანია ლეანდრის ასულ ჰეტროვსკაიას სარეგისტრაციო ბარათების თბილისში გადაგზავნაზე.<sup>1</sup> \*

დოკუმენტის ანალიზმა საკმაოდ საინტერესო შედეგამდე მიმიყვანა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს კართოტეკის სარეგისტრაციო ბარათი, რომელიც შედგენილია იოსებ ჯუღაშვილზე.<sup>2</sup> მისი

---

<sup>1</sup> საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 300, გვერდი 43

\* როგორც კვლევის პროცესში გაირკვა სტეფანიას მამას ერქვა ლეონარდი - თ.ს.

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, სამუზეუმო ფონდი, დაცული დოკუმენტი

ტექსტური ანალიზიდან ჩანს, რომ საისტორიო არქივში მოძიებულ ზემოდასახელებულ დოკუმენტში სწორედ ეს სარეგისტრაციო ბარათია ნახსენები. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა, თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია იოსებ ჯულაშვილზე ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ შედგენილი კართოტეკის სარეგისტრაციო ბარათი, შესაძლებელია საქართველოში არსებულ რომელიმე არქივში ყოფილიყო დაცული სტეფანია პეტროვსკაიას სარეგისტრაციო ბარათიც. ამ უკანასკნელით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იოსებ ჯულაშვილზე შედგენილი სარეგისტრაციო ბარათის შინაარსმა, რასაც ოღნავ ქვემოთ შევხვები.

ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ, იოსებ ჯულაშვილზე შედგენილი სარეგისტრაციო ბარათის წინა მხარეს დატანილია იოსებ ჯულაშვილის სამი ფოტო გადაღებული - პროფილში, ანფასში და სრულად. აქვეა პუნქტებად ჩაწერილი იოსებ ჯულაშვილის ფიზიკური აღწერილობა და სხვა მონაცემები: „ასაკი გარეგნობის მიხედვით – 30-32: დაბადების წელი 1879 წელი, დეკემბერი;\* სიმაღლე - 1 მეტრი და 69 სანტიმეტრი; თმები - ფერი შავი, ტალღოვანი, ხშირი; აგებულება – გამხდარი; წვერი და უღვაშები – წაბლისფერი; ფორმა – თხელი; გამომეტყველება – მხიარული; განსაკუთრებული ნიშნები – ნაყვავილარი; თავის ფორმა – ოვალური; შუბლის სიმაღლე – საშუალო; წარბები –

---

\* დღე არ წერია, უფრო ზუსტად, არის რიცხვის მონახაზი, მაგრამ ის ფრაგმენტულია და დაფარულია ფოტოთი. ესაა ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელშიც სტალინის დაბადების წელი შეცდომით არის ჩაწერილი. საარქივო დოკუმენტების მიხედვით იოსებ ჯულაშვილი დაიბადა 1878 წლის 6 დეკემბერს - თ.ს.

მორკალური; ყურის ფორმა – ოვალური;\* ზემომოყვანილ ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს კართოტეკის სარეგისტრაციო ბარათის წინა მხარეზე დატანილია იოსებ ჯულაშვილის მარჯვენა ხელის თითების დაქტილოსკოპიური ანაბეჭდები.

ამ სარეგისტრაციო ბარათის მეორე გვერდზე წერია: მეტსახელი – კობა; სახელი, მამის სახელი, გვარი – ჯუღაშვილი იოსებ ბესარიონის ძე; წოდება – გლეხი; დაბადების ადგილი – გორის მაზრის, თბილისის გუბერნია; მამა – ბესარიონი; დედა – ეკატერინე გელაძე; ცოცხლები არიან თუ არა – დედა ცოცხალია; ქორწინება – უცოლო; სასიყვარულო კავშირები – პეტროვსკაია; ძმები, დები და სხვა ცნობილი ნათესავები – არა; სარწმუნოება – მართლმადიდებელი; სად მიიღო განათლება – გორის სასულიერო სსსწავლებელში; სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში; პროფესია – სახლის მასწავლებელი; ბოლო საცხოვრებელი ადგილი – ბაქო; როდის, სად და რა საქმეზეა დაკავებული – 23 მარტს, 1910 წელს ბაქოში; რა საქმეზე იყო ადრე დაკავებული – 1908 წელს ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ; ადრე ხომ იქნა ფოტოგრაფირებული, გაუკეთდა ანთროპომეტრია, აუღეს დაქტილოსკოპიური ანაბეჭ-

---

\* აქვე აღვნიშნავ, რომ ბარათის წინა მხარეზე ასევე დაკრულია მცირე ზომის ფურცელი ქართული ნაბეჭდი წარწერით - „სოსო ჯულაშვილი (სტალინი)“. ჩემი აზრით, იგი საბჭოთა პერიოდში არის ბარათზე დაწებებული. ჯერ ერთი, ქართულ ენაზე საქმის წარმოება რუსეთის იმპერიაში არ ხდებოდა. მეორეც, ამ სახის წარწერებს აკეთებდნენ 1920-იან წლებში ე.წ. „რევოლუციის მუზეუმის“ თანამშრომლები. როგორც ჩანს, 1921 წლიდან, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტი გარკვეული დროის განმავლობაში „რევოლუციის მუზეუმში“ იყო დაცული, რასაც ადასტურებს შესაბამისი შტამპი ნაბეჭდი წარწერით „რევოლუციის მუზეუმი“ - თ.ს.

დები – ფოტოგრაფირებულ იქნა ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ 1908 წელს; მხრები – საშუალო; კისერი – გრძელი;

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ამ ჩამონათვალში დოკუმენტს დაწებებული ქალაქით დაფარულია შემდეგი პუნქტები: ხელები – სიდიდე ... ; ხელის ჭერის ჩვევა...; ფეხის ტერფები – ზომა (№ ფეხის) ... ; ფეხის განსაკუთრებული ფორმები ...; სხეულის ჭერის მანერა ...; სიარულის მანერა ...; განსაკუთრებული ნიშნები – ჟესტიკულაცია, გრიმასა, მიმიკა ...; მშობლიური ენა ... ; საზღვარგარეთული აქცენტი ... ; გამოთქმა ... ; კილოკავი“.

კვლევის ამ ეტაპზე გაურკვეველია, თუ რატომ არის დაწებებული ქალაქი ბარათის ამ ადგილას. კერძოდ, აღნიშნული სარეგისტრაციო ბარათი დაზიანდა, გაიხა და ასე უხეშად ამიტომ დააწებეს, თუ სხვა მიზნით. ეს კითხვები გაჩნდა, რადგან ბარათზე დაფარულია ზუსტად ის პუნქტები, სადაც იოსებ ჯუღაშვილის – სტალინის სხეულის აგებულება-თავისებურებების შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციები უნდა ყოფილიყო ჩაწერილი. პირველ რიგში ვგულისხმობ ცნობილ ინფორმაციას იოსებ ჯუღაშვილის მარცხენა ფეხის ორი თითის შეზრდის შესახებ.

ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს კართოტეკის ზემოაღნიშნული სარეგისტრაციო ბარათის მეორე გვერდის ბოლოს, დატანილია ასევე იოსებ ჯუღაშვილის მარცხენა ხელის თითების დაქტილოსკოპიური ანაბეჭდებიც. აქვე მითითებულია ბარათის შევსების ადგილი და დრო - „ქალაქი ბაქო, ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველო, 30 მარტი 1910 წელი“. დოკუმენტს ხელს აწერს მისი შემდგენელი - „ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს თანაშემწე, პორუჩიკი პოდოლსკი“.

ზემომოყვანილი დოკუმენტების შინაარსიდან გამომდინარე, გავაგრძელებ კვლევა და საქართველოს საისტორიო არქივში, თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს ფონდში მივაგენი ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მიერ სტეფანია პეტროვსკაიას სახელზე შედგენილ კართოტეკის სარეგისტრაციო ბარათს.<sup>1</sup>

სტეფანია პეტროვსკაიას სარეგისტრაციო ბარათიც იოსებ ჯულაშვილის სარეგისტრაციო ბარათის მსგავსად შედგენილია 1910 წლის 30 მარტს. უფრო მეტიც, სარეგისტრაციო ბარათის ჩანაწერის მიხედვით სტეფანია პეტროვსკაია ბაქოში 1910 წლის 23 მარტს, ანუ იმავე დღეს დაუპატიმრებიათ, როდესაც იოსებ ჯულაშვილი.

სტეფანია პეტროვსკაიას სარეგისტრაციო ბარათის წინა გვერდზე წერია: „ასაკი გარეგნობის მიხედვით – 24 წლის; დაბადების წელი - 1885 წელი, 13 ოქტომბერი; სიმაღლე - 1 მეტრი და 61 სანტიმეტრი; თმები - ფერი ჩალისფერი, საშუალო სიხშირის; აგებულება – სუსტი; გამომეტყველება – სერიოზული; თავის ფორმა – ოვალური; შუბლის სიმაღლე – პატარა; წარბები – ჩალისფერი; თვალების ფერი – მწვანე; ყურის ფორმა – ოვალური; ცხვირის სიგრძე – საშუალო; ბარათის ამავე გვერდზე არის სტეფანია პეტროვსკაიას მარჯვენა ხელის თითების დაქტილოსკოპიური ანაბეჭდები.

სარეგისტრაციო ბარათის მეორე გვერდზე ვკითხულობთ:

მეტსახელი – *(არაა შევსებული - თ.ს.)*; სახელი, მამის სახელი, გვარი – პეტროვსკაია შტეფანია; წოდება – თავადი, ოდესიდან; მამა – ლეონარდ; დედა – გარდაცვლილია; ქორწინება – გასათხოვარი; სასიყვარულო კავშირები – **ჯულაშ-**

---

<sup>1</sup> საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 156, აღწერა 3, საქმე 3755.

ვილი; ძმები, დები და სხვა ცნობილი ნათესავები – ვიაჩეს-  
ლავი, ლეონიდი, ალექსეი; \* სარწმუნოება – მართლმადიდებ-  
ბელი; სად მიიღო განათლება – ოდესა, მარინსკის საერო  
გიმნაზია; პროფესია – სახლის მასწავლებელი; ბოლო სა-  
ცხოვრებელი ადგილი – ბაქო; როდის, სად და რა საქმეზეა  
დაკავებული – 23 მარტს 1910 წელს ბაქოში; რა საქმეზე  
იყო ადრე დაკავებული – 1907 წელს მოსკოვის ჟანდარმთა  
საგუბერნიო სამმართველოს მიერ; მხრები – საშუალო; კისე-  
რი – გრძელი; ხელები – სიდიდე - (არაა შევსებული -  
თ.ს.); ხელის ჭერის ჩვევა - (არაა შევსებული - თ.ს.); ფე-  
ხის ტარფები – ზომა (№ ფეხის) №4; ფეხის განსაკუთრე-  
ბული ფორმები – (არაა შევსებული - თ.ს.); სხეულის ჭე-  
რის მანერა - (არაა შევსებული - თ.ს.); სიარულის მანერა  
- (არაა შევსებული - თ.ს.); განსაკუთრებულობები – ჟესტი-  
კულაცია, გრიძასა, მიმიკა - (არაა შევსებული - თ.ს.); მშობ-  
ლიური ენა: რუსული; საზღვარგარეთული აქცენტი - (არაა  
შევსებული - თ.ს.);

„ქალაქი ბაქო, ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართ-  
ველო, 30 მარტი 1910 წელი“. დოკუმენტს ხელს აწერს მი-  
სი შემდგენელი - „ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართვე-  
ლოს თანაშემწე, პორუჩიკი პოდოლსკი“.

როგორც ცნობილია, იოსებ ჯუღაშვილის ირგვლივ მუ-  
დამ ტრიალებდნენ ქალები. სხვა საკითხია, თუ როგორი  
მმართველი იყო სტალინი, მაგრამ იგი, როგორც ძლიერი პი-  
როვნება, ქალებს საკმაოდ აინტერესებდათ.

თავადის ასულ სტეფანიასა და სტალინის სასიყვარუ-  
ლო ურთიერთობის შესახებ საზოგადოებისთვის ბევრი არა-  
ფერია ცნობილი. უცნობი იყო მისი ნამდვილი ფოტოც. მინდა

---

\* ჩანს მისი ძმები იყვნენ - თ.ს.

ხაზი გაუუსვა იმ გარემოებას, რომ სტეფანია პეტროვსკაიას სარეგისტრაციო ბარათს, იოსებ ჯულაშვილის სარეგისტრაციო ბარათისგან განსხვავებით აკლია პეტროვსკაიას პროფილში და ანფასში გადაღებული ფოტოები. ბარათზე დატოვებულია მხოლოდ პეტროვსკაიას სრულად გადაღებული ფოტო. ჩანს, რომ იგი მიმზიდველი გარეგნობის ქალბატონი ყოფილა.

სტალინის და პეტროვსკაიას ურთიერთობა დაიწყო 1909 წელს. საქმე იმაშია, რომ სტალინი 1908 წლის მარტში ბაქოში დააპატიმრეს და სოლვიჩეგოდსკში გადასახლეს. სწორედ იქ შეხვდა პირველად სტეფანია პეტროვსკაიას, რომელიც 1907 წელს მოსკოვში რევოლუციური საქმიანობისთვის იქნა დააპატიმრებული და შემდეგ სოლვიჩეგოდსკში გადასახლებული.

ამ გადასახლებიდან სტალინი გაიქცა და დაბრუნდა ბაქოში, სადაც რევოლუციური საქმიანობა გააგრძელა. ამავე ხანებში სტეფანია პეტროვსკაიაც გათავისუფლდა და არც მოსკოვში და ან ოდესაში კი არ დაბრუნდა, არამედ იგი მისთვის უცნობ ბაქოში სტალინთან ჩავიდა, სადაც მათ ერთად დაიწყეს ცხოვრება. როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდანაც ჩანს, ისინი 1910 წლის მარტის დასაწყისში ერთადვე დააპატიმრეს. სტალინის და პეტროვსკაიას სასიყვარულო ურთიერთობების შესახებ გამოქვეყნებული სხვა მასალებიდან ჩანს, რომ ისინი დაკითხვებისას ერთმანეთთან ურთიერთობის შესახებ თითქმის არაფერს მალავდნენ. პეტროვსკაია პირდაპირ აცხადებდა - სასიყვარულო ინტიმური კავშირი მაქვს ჯულაშვილთანო. სტალინი თავდაპირველად უარყოფდა მასთან ახლო ურთიერთობას და ამბობდა - „მე მას გადასახლებიდან ვიცნობო“. დააპატიმრებული სტალინი, უკვე რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ 1910 წლის ივნისში, ბაქოს ქალაქის

თავს სტეფანიაზე ოფიციალურად დაქორწინების ნებართვას სთხოვდა. მეტიც, მას ერთ-ერთ განცხადებაში თავის მეუღლესაც მოიხსენიებდა. სტალინს სტეფანიაზე ქორწინების ნებართვა კი მისცეს, მაგრამ ისევ გადაასახლეს, რაც მათი საბოლოოდ დაშორების მიზეზი გახდა.<sup>1</sup>

სტეფანია პეტროვსკაიას და სტალინის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა ავტორებთანაც ვხვდებით, თუმცა უცნობი იყო, რომ პეტროვსკაიას სარეგისტრაციო ბარათი საქართველოს საისტორიო არქივში, თბილისში, იყო შემონახული.

P.S. დაინტერესებულ მკითხველს, სტატიაში მოყვანილი მასალები შეუძლია ნახოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში - „სტალინის საყვარელი სტეფანია“.

#### **დამოწმებანი:**

1. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 300, გვერდი 43
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, სამუზეუმი ფონდი, დაცული დოკუმენტი
3. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი ფონდი 156, აღწერა 3, საქმე 3755
4. А. Островский, Кто стоял за спиной Сталина? Москва, 2004.
5. С. Турченко, Тюремная невеста Сталина, Рабочая газета, 25, 04, 2008.
6. Simon Sebag Montefiore, Young Stalin, New York, 2007.

---

<sup>1</sup> А. Островский, Кто стоял за спиной Сталина? Москва, 2004; С. Турченко, Тюремная невеста Сталина, Рабочая газета, 25, 04, 2008; Simon Sebag Montefiore, Young Stalin, New York, 2007

*Tengiz Simashvili*

*Iakob Gogebashvili Telavi State University,  
Scientific-Research Centre of Caucasus*

**STALIN'S LOVER – STEFANIA  
RESUME**

In Georgian archives I've retrieved very interesting documents about Ioseb Jughashvili - Stalin. Retrieving those documents and its further analysis gave me quite interesting results. I'm talking about the registration card of Ioseb Jughashvili which was filled by the Baku Gendarmerie. This document is kept in the archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia. There are several photos of Ioseb Jughashvili on the front side of the card.

There are fingerprint and other information about Ioseb Jughashvili too. One of them is information about Stalin love affairs in 1910. This was a woman under name Stefanie Petrovskaya.

In the Historical Archive of Georgia, in one of the funds of Tbilisi Gendarmerie I've found out a registration card filled on the name of Stefanie Petrovskaya by Baku Gendarmerie.

Like Ioseb Jughashvili's registration card, Stefanie Petrovskaya's registration card was filled on 30th of March 1910, too. Even more, according to the record of registration card, Stefanie Petrovskaya was arrested on the same day 23th of March 1910 in Baku, the same time when Ioseb Jughashvili was arrested. There are very important information Petrovskaya's love affair - it was Jughashvili - Stalin. There is one photo of Stefanie Petrovskaya on the front side of the card.

Different authors wrote about the love affair of Stefanie Petrovskaya and Stalin, however, it was not known that Petrovskaya's registration card and her really photo was kept in historical archive of Georgia – in Tbilisi.

### **კათოლიკოსის სამოურავოები პატარა ლიახვის ხეობაში**

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი ადმინისტრაციული სისტემა ჰქონდა, რომლის მეშვეობითაც ეკლესიის მესვეურები საკათალიკოსო ქონებას და მამულებს განკარგავდნენ. ამ სისტემაში შედიოდნენ „მცხეთიშვილები.“ როგორც მ. სურგულაძე განმარტავს: „შუა საუკუნეების საქართველოში მცხეთიშვილობა გულისხმობდა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის კუთვნილი მამულების წილობრივ ფლობას და მამულთან დაკავშირებული ყველა სხვა ვალდებულების შესრულებას. ამასთანავე მცხეთიშვილობა ნიშნავდა კათალიკოსთან არსებულ ერთგვარ სათათბირო ორგანოში მონაწილეობას – მცხეთიშვილები კათალიკოსთან ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებას ეკლესიის შიდა ორგანიზაციული, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა საკითხების შესახებ... მცხეთიშვილებს უპყრიათ კათალიკოსის კარზე სამცხეთიშვილო წილთან მიბმული ყველა ადმინისტრაციული, საეკლესიო და სამეურნეო თანამდებობა: ჯვარისმტვირთველობა, ქადაგობა, სარდლობა, მეღვინეთუხუცესობა, მსახურთუხუცესობა, მდივანმწიგნობრობა, მოურავობა, პირისმწდობა, ამირაჯიბობა, და სხვ.<sup>1</sup> მცხეთიშვილები სხვა აზნაურებთან ერთად იყვნენ გელევანიშვილები, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ეპყრათ მცხეთის „სარდლობა“ და „ჯვა-

---

<sup>1</sup> მ. სურგულაძე, მცხეთიშვილები, „ანალები“, №3, 2008, გვ. 170-184.

რისმტვირთველობა“. გედევანიშვილებს ეკლესიის წინაშე გაწეული დამსახურებისთვის პატარა ლიახვის ხეობაში (ქორდში, სათიხარში) მამულები ებოძათ. საკათალიკოსოსთან არსებული სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებთან ერთად დოკუმენტურ წყაროებში გვხვდება მოურავი. ქართლის კათალიკოსს შიდა ქართლის საეკლესიო სოფლებში რამდენიმე მოურავი ჰყავდა. კათალიკოსის მიერ მიერ დანიშნული ასეთი მოურავები გვხვდება ზერტში, ძეგვში, გომში. ქართლის კათალიკოსს თავისი სამოურაოები ჰქონდა ლიახვის ხეობაშიც. 1747 წელს, კათალიკოსმა ანტონ I გედევანიშვილებს\* დისევის მოურავობა უბოძა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩუენ, ქრისტეს ღმთისა მიერ მინდობითა დაფარულმან ძირმოდგობით დავითიან, სოლომონიან, შარავანდიან, პანკრატოვანთა რტოთაგან აღმოცენებულმან, ჩუენ, ყოვლის საქართველოსა და აღმოსავლეთისა მაკურთხეველმან, კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან მეფის იესესმან, ანტონიმ, ესე უკუნი სამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დავიწერეთ და გიბოძეთ თქუენ სვეტის-ცხოვლისა ყმათა და ჩუენსა მემკვიდრეს და ერთგულობით და თავდადებით ნამსახურთ გედევანიშვილს პეტრეს, ერასტის ძმისწულსა შენსა გიორგის, გედევანს და ივანეს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე. ასე, რომე მაღალაშვილს\*\* ფირანს თავისი ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზ კათალიკოზს იმისთ-

---

\* დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, რომელ გედევანიშვილზეა საუბარი, ჩამოთვლილია გედევანიშვილთა სახლის რამდენიმე წევრი.

\*\* მაღალასძე-მაღალაშვილები ასევე მცხეთიშვილები იყვნენ, რომელთაც საუკუნეების მანძილზე კათალიკოსისაგან ბოძებული ჰქონდათ მცხეთის მამულები და ქადაგობა. იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, თბ., 2014, გვ. 184, 213.

ვის ყმა და მამული წაერთმია საუკუნოდ. მერეთ მოხვედით ჩვენს კარს და წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოკვსენება თქვენი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩლელად. რაც სიგელი ამას იქით გამოჩნდეს, ამა სიგელმა გაამტყუნოს.“<sup>1</sup> დისევი პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერთ-ერთი უძველესი სოფელია, რომლის ახლოს სოფელ კულბითთან საკათალიკოსოს ჯერ კიდევ XI საუკუნიდან ჰქონდა ურთიერთობა. 1020 წლით დათარიღებულ მელქისედეკ კათალიკოსის სიგელში, სადაც სვეტიცხოვლისადმი შეწირული მამულებია ჩამოთვლილი, აღნიშნულია: „ყინცვისი შესავალითა მისითა და შინდებისა ნახევარი; კურბითს: რა: აზნაური, კარგი სოფელი ერთი“...<sup>2</sup> კათალიკოს მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლისადმი კულბითის შეწირვას ადასტურებს „მატიანე ქართლისა“. „შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინცვისი შესავლითა მისითა; და შინდების ნახევარი; კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი ერთი.“<sup>3</sup> დისევი იხსენიება 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების სიაში.<sup>4</sup> დისევში მცხოვრებ სასულიერო პირს ალ. ოქროპირიძეს პროფ. ი. მეგრელიძისთვის გადაუცია სიგელი, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებელს სოფელი დისევი და იქ

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 795.

<sup>2</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 33.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 295.

<sup>4</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 197.

მცხოვრები ოქროპირიძეები, ასევე მალიაძენი სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს.<sup>1</sup> 1764 წლით დათარიღებულ სიგელში, ანტონ I კათალიკოსი საუბრობს მოლარეთუხუცესისა და ნაზირის პაატა გედევანიშვილის, დამსახურებაზე. როგორც სიგელიდან ჩანს, პაატა გედევანიშვილი კათალიკოს დომენტის გაზრდილი იყო და პატრიარქს ის კონსტანტინოპოლშიც თან ახლდა.<sup>2</sup> სწორედ ამ თავდადების უბოძა წყალობის სიგელი დომენტი კათალიკოსმა პაატა გედევანიშვილს: „გიბოძეთ შენ გედევანისძე გიორგი --სარდლისშვილს პაატას, ძმათა შენთა ზაალსა და გაბრიელსა და ძმისწულსა თქვენსა გიორგისა... გიბოძეთ სომხითს თამრგვალისა და ველ-კეთილისა და დისვლისა-ამ სამისავე ნაცვლობა და მელალობა. სხუა შენი ბიძაშვილი, ზაალის შვილი დემეტრე ამოწყვეტილიყო, იმასაც და მის ჯალაბსაც შენთვის ანდერძი ექნათ, თავიანთი საკერძო ყოველიფერი და ჩვენც შემოგვეხვეწნეთ და გიბოძეთ წეროვნის მოურაობა...“<sup>3</sup> პაატა რუსეთში მყოფ ანტონ I თან ახლდა. ანტონ I სიგელიდან ჩანს, რომ ვიდრე პაატა გედევანიშვილი ცოცხალი იყო, მოლარეთუხუცესობა და ნაზირობა მას უნდა ჰქონოდა, ხოლო პაატას გარდაცვა-

---

<sup>1</sup> ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 30. აღნიშნული სიგელი შემოკლებით აქვს გამოქვეყნებული თ. ჟორდანიას, იგი დოკუმენტს 1516 წლით ათარიღებს. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 334.

<sup>2</sup> ი. ალიმბარაშვილი, კათალიკოსი დომენტი IV, „საისტორიო ძიებანი“, XII, 2013-2014, ექვთიმე თაყაიშვილის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, ავგაზეთის ორგანიზაცია, თბ., 2015, გვ. 29; ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1903, გვ. 190, №244.

<sup>3</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. III, თბ., გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 157.

ლების შემდეგ კი შიომ გედევანიშვილს უნდა გადასცემოდა.<sup>1</sup> კათალიკოსი ანატონ I გედევანიშვილებს დიდად სწყალობდა, 1764 წლის დოკუმენტით ირკვევა, რომ მან პეტრე გედევანიშვილს მეჯინიბეთუხუცესობა უბოძა.<sup>2</sup> მოგვიანებით გედევანიშვილებს, კერძოდ გაბრიელ სარდლის შვილებს ურთიერთობა დაეძაბათ ერეკლეს II, რის გამოც მათ მცხეთის სარდლობა დაკარგეს. 1783 წლის დოკუმენტში ანატონ I კათალიკოსი იოანე გედეონისშვილს მიმართავს: „შენის სახლისკაცებს—გაბრიელ სარდლის შვილებს მისი უმაღლესობა (იგულისხმება ერეკლე II — გ. ს) გაუწყრა, მაშინ სარდლობა მაღალასშვილს დავითს უბოძეთ მისმა უმაღლესობამ ჩვენმა ძმამა და ჩვენა“. ანატონმა გედევანიშვილებს კვლავ დაუბრონა სარდლობა: „და მოგეცით სარდლობა, ამ მიზეზით, რომ უფრო მართებული და ჯეროვანი საქმე იყო, რომ შენ გქონოდა, რადგან თქვენის სახლისა, დია, სამკვიდრო სახხელო იყო და არას დროს თქვენის სახლიდამ არც გამოსულიყო ეს სახხელო. ეგრეთვე ძეგვის მოურაობა როგორც სარდლობაზე სდები[ა], ისიც შენთვის გვიბოძებია“.<sup>3</sup> მოგვიანებით ანატონ II კათალიკოსმა სარდალ იოანე გედევანიშვილს დისევის მოურავობა განუახლა. 1789 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ კათედრისა ჩუენისა კათოლიკე ეკლესიისა სუეტიის წმიდისა მკვდრთა ყმათა აზნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტის და გედეონს, შვილსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; -ასე რომ მოხუეედით კარსა

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 857.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 852.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 944-945.

პალატისა ჩვენისასა და დისევის მოურაობას გვეაჯენით და ჩუენ უწულილესის გამოძიებით და ჳ[ემმარი]ტის სამართლით განსჳსჯით გამოვიძიეთ და განვიხილეთ ამისთვის და ნეტარ ხსენებულის ბიძის ჩუენის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გქონდათ ამ დისევის მოურაობისა და ჩუენც ვისმინეთ ვედრებით თხოვა თქუენი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცილობელად და წამოუსარჩელელად.<sup>1</sup> ანტონ I დროს პატარა ლიახვის ხეობაში დისევის გარდა კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული კიდევ ერთი სამოურაო არსებობდა, ეს იყო---ბადაან-ხოდელის სამოურაო. ანტონ I კათალიკოსმა აღნიშნული სამოურაოც მცხეთიშვილ—გედევანიშვილებს ჩააბარა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ესე უკუნისამდე ჟამთა და დროითა გამოსადეგი მტკიცე და დაუცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გედეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების **ოსების მოურავობა ბადაანისა და ხოდელისა**, რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად რომელიც გეწყობდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენს ერთგულობასა შინა“<sup>2</sup>.\* დოკუმენტში ნახ-

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 146, №234.

<sup>2</sup> გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

\* დისევში მცხოვრებ ოქროპირიძეებში ზემოთ ნახსენები დავით აღმაშენებლის შეწირულობის სიგელის გარდა არსებობდა გადმოცემაც, რომ

სენები ბადაანი პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი იყო. ბადაანი, როგორც ვირშის მონასტრის საკუთრება იხსენიება 1431 წლის ალექსანდრე I მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის, ვგრეთ კუალადვე ვინებეთ შემატება და გაზედაება და შევსწირეთ და მოვახსენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიღებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი; და მას აქათ, ანუ მზღვარი ჰქონებიან მისითა მიმდგამითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, მზღურიითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა სამართლიანითა ყუალათა ერთობ უნაკლულოდ, მოგუიხსენებია თქუენ, დიდისა და ცათა მომბაძავისა მცხეთისა საყდრისათუის და თქუენისა მპყრობელისა ჩუენისა სულისა მოძღურისა და მეოხისა კათალიკოხისა თეოდორესათუის: მოგუიხსენებია ძუელითგან ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან გადიღებული და შემკობილი ვირშა მთა და მონასტერი და მისნი შესავალნი, ქორდი და ბადასშვილნი და მას აქათ, რაცა ძუელითგან მთას და ანუ მამულნი, ანუ გლეხნი და ზღვარნი, და პარტახტნი ჰქონებიან, ყანითა, ვენახითა, წყლითა, წისქულითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა და ბარითა, სამხრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მისითა მიმდგამითა, სამართლიანითა ყუალათა, ყ(ოვლა)დვე უნაკლულოდ... არას ჟამისა შემოსრულობისა და

---

სოფელი დისევი მათი საკუთრება იყო, ამიტომ დისევის მოურავად კათალიკოსის მიერ გედევანიშვილების დანიშნვას მათი უკმაყოფილება გამოუწვევია. ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, შემდგენლები: სქიმიდუშენი ისიდორე (ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბ., 2012, გვ. 12.

გამოცვალებისათვის არ მოგეშალოს და ვერვინ იკადროს ამისად სარჩლად და ცილებად, ვითა ჩუენითა მომავალთა მეფეთაგან აღშენებულისა და გადიდებულისა და პატივცემულისა და აწ ჩუენგან ახლად შემოწირულისა და სამკუიდროდ მოხსენებულისა დაცილება არავის მართებს აგრე. და ვინცა დაგეცილოს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ. და ვირშისა მთისა და მონასტრისა და მისთა შესავალთა, ვითა არვინ ღირსა, ყოვლისაგან კაცისაგან უაჯო არის. და დაღათუ ვისმე შემოტყუვილითა ანუ მამული ანუ გლეხნი და ანუ ზღუარი და ყანა და ვენახნი დიდი, გინდა მცირე გამოეაჯოს, იგი ყულა ამა დაწერილითა გაგუიცუდებია და მტკიცე ესეოდენ არის. ამა **ვირშისა სახლისა** ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის და მას აქეთ, როგორცა სხუანი მცხეთისა მამულნი შუევალნი არიან, აგრეთვე ესე შუევალად და თარხნად მოგუიხსენებია და არასთანა სათხოვარი არაოდეს ეთხოებოდეს.<sup>1</sup> 1459 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც სვეტიცხოვლისადმი ფავნელ უჯარმელის შეწირულობის სიგელს წარმოადგენს, ჯინჯინისძე-ბადაშვილნი ვირშის მონასტრის საგანძურის მცველებად იხსენიებიან. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო, სამამულო, მტკიცე და შუეცვალებელი, რასაცა გინდა ჟამთა შლილობა-ქცევა-გამოცვალებასა შიგანცა დაგიწერეთ და მოგ[ა]ხსენეთ თქუენ, ვირშისა წმიდათა მთავარანგელოზთა მიქაელს და გაბრიელს, და ქ[ა]რთლისა პატრიაქსა დ(ავი)ოს, და თქუენთა

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 171-172.

მკუიდრთა მეგანძურთა, სახლისა თქუენისა უზუცესთა, ჯინჯინისძეთა: ბადას შვილთა გრიგოლს და შენტა შვილთა, ბადასა და ბევროზს, და შენტა ძმნისწყულთა შალვასა და ივანეს, და თქუენტა მომავალთა ყოველთავე. მე, უჯარმელმან ფაენელმ(ა)ნ და ჩემმან შვილმან შალვა, მას ჟამსა ოდეს დაგიცვალეთ ოჯიკასძესა ოქროთა ნასყიდსა მიქაურსა მამულსა ზედა და მოგ[ა]ნსსენეთ ქუბეშური მამული ჩარუხელისაშვილითა, გერასიმისძისეული მ[ა]მული —და— ტალაკაური, ამილბარასშვილი მამაგულა, სადენურნი ნასახლევი მისითა ჭურითა და ნავენახხევი, მურყნეველთა ზემოთ ხუითსა ქუემოთ, ფოლოცასა აქათ, გვრგვლივ თექუსმეტისა დღისა მიწა; ბროწლეს\* ქუბეშური მამული ველითა,\*\* ვენაჯკითა, წყლითა, წისქვილითა ტყითა, სანადიროთა, მითითა, ბ[ა]რითა, საძებრითა და უძებრითა, საყდრითა წილითა, სასაფლაოთა, ყოვლითურთ უნაკლულოდ. აგრევე—გერასიმისძისეული მამული მისითა მიმდგომითა ველითა, ვენახხითა, წყლითა, წისქვილითა, ტყითა, სანადიროთა, მითითა, ბ[ა]რითა, სახხმრითა და უხხმრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გამოსავლითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ. აგრევე სადუნურნი ნას[ა]ხლევი მისითა [მზლურითა] და ნავენახხევი; აგრევე ბროწლეს თექუსმეტის დღისა მიწა მოგუიხსენებია, ჩუენ,

---

\* იგულისხმება სოფელი ბროწლეითი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 181.

\*\* დოკუმენტში ინტერესს იწვევს „ქუბეშური მამული“, შესაძლებელია ქუბეშური გვარის აღმნიშვნელი იყოს. ასეთი დაბოლოვების ტოპონიმები სხვა დოკუმენტებშიც გვხვდება. 1432 წლის თირის მონასტრის სიგელში გვხვდება „ლალური“, რაც ცხინვალში მცხოვრებ ლალასძეების კუთვნილ მამულს აღნიშნავდა. იხ. გ. სოსიაშვილი, თირის მონასტრის 1432 წლის სიგელი და თავხელისძეთა საგვარეულო, „ანალები“, № 11, 2015, გვ. 168.

უჯარმელსა ფავნელსა და ჩემსა შვილსა შალვ[ა],ს, თქვენ, ვირშის თავს წმიდათა მთავარანგელოზთათუის... ხუითს მთავარანგელოზთა მკუიდრი მამული მთავარანგელოზთავე დარჩეს უსარჩლელად ყოვლის ადამის ტომისა კაცის[ა]გან.“<sup>1</sup> ვირშას მონასტრის საგანძურის მცველების ჯინჯიხისძე-ბადაშვილების საცხოვრებელი მონასტრიდან შორს არს უნდა ყოფილიყო. ზემოთ წარმოდგენილ ალექსანდრე I 1431 წლის სიგელში ბადაშვილნი და ქორდი ერთად იხსენიება. ჩვენი აზრით, კათალიკოს ანტონის სიგელში მოხსენიებული სოფელი ბადაანი ბადაშვილების სოფელი უნდა ყოფილიყო და ის პატარა ლიახვის ხეობაში ქორდთან ახლოს მდებარეობდა. ბადაშვილებით დასახლებული სოფელი ბადაანი, როგორც ჩანს, ნასოფლარად იქცა.<sup>2</sup> აღნიშნული ნასოფლარი ნიკოლოზ კათალიკოზმა კვლავ მოაშენა. ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც 1687 წლით არის დათარიღებული, ჩამოთვლილია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეული ღვაწლი, სადაც აღნიშნულია: „კიდევ ნასოფლარი ბადანი ავაშენე“.<sup>3</sup> ბადანიდან ბადაშვილები სოფელ ქორდში გადასახლდნენ, რადგან ისინი XVII საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში ქორდში იხსენიებიან. ისინი მცხეთიშვილ გელევანიშვილების ყმები იყვნენ. 1694 წელს ბადაშვილის მამული ნიკოლოზ კათალიკოსმა მცხეთის სარდალს-გიორგი გელევანიშვილს გადასცა.<sup>4</sup> ვირშას მთა,

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 96-97.

<sup>2</sup> იხ. გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, 2016, ხელნ. გვ. 7.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 592.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, 604.

ვირშას მონასტერი, სოფელი ვირშა და ვირშას წყალი არაერთ დოკუმენტში იხსენიება, აღნიშნული მონასტერს თავისი მამულები ჰქონდა ლიახვის ხეობაში, მას ეკუთვნოდა ქორდი და ბადაშვილნი. ჩვენი აზრით, აღნიშნულ სოფელთან უნდა იყოს დაკავშირებული ვირშელთა საგვარეულო.<sup>1</sup> როგორც აღვნიშნეთ, ვირშის მთავარანგელოზის მონასტერი თავისი მამულებით ალექსანდრე I სვეტიცხოველს შეწირა. კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I მიერ გაცემულ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ ვიორგი გედევანიშვილს ბადაანსა და ხოდელში ჩამოსახლებული ეკლესიის ყმობაში მყოფი ოსების ზედამხედველობა ევალებოდა. ლიახვის ხეობაში ოსებისათვის სპეციალური მოურავების დანიშვნა სხვა დოკუმენტითაც დასტურდება, 1796 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით“, ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმა ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ციციშვილს პაატას შვილს გოგიას მისცეს. ამ არეულობაში ქალაქს რომ გახლდი, ერთი ჩემი ხაბაზი დამრჩა მახარე, მებალის შვილი, გამოქცეულიყო ერთი ის და ერთი ანასტასია ბატონისშვილის ბიჭი და ნიქოზებში\* ერთს ქართველს და ერთს ოსს ის ჩემი ბიჭი კი დაეჭირათ და ის მეორე ბიჭი კი გაქცეოდათ, წაეყვანათ და თოთხმეტ ხარათ მირზაშვილის სამოურაო ოსებში გაეყიდათ. ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მიბოძოთ მირზასშვილ თამაზზედ, რომ ის ბიჭის გამყიდველიც მამიკითხოს, და ის ბიჭიც დახსნით იყოს, თუ რითაც იყოს, ჩამამგვაროს, რომ ის ბიჭი არ დამე-

---

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, ვირშის მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო (საკითხის შესწავლისათვის), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №8, 2015, გვ. 66-78.

\* ნიქოზებში უნდა იგულისხმებოდეს ქვემო და ზემო ნიქოზი.

კარგოს. იქიდან შემოეთვალა მეორეთ მყიდიანო. და ღმერთი გადღეგრძელებს, ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ არ დამეკარგოს, თქვენს საყმოში არის. აპრილის ივ, ქორონიკონს უბღ.“ იულონ ბატონიშვილმა მოურავ მირზაშვილს თამაზა ციციშვილის ყმის მოძებნა დაავალა.<sup>1</sup> დოკუმენტში კონკრეტულად არ ჩანს მირზაშვილის სამოურავო ოსებში შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსების რომელი ახალშენი იგულისხმება, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო დიდი ლიახვის სათავეები, რადგან დოკუმენტში ნახსენებია დიდი ლიახვის ხეობაში არსებული „ნიქოზები“. თამაზ მირზაშვილის სამოურავოს ტერიტორია ზუსტად არ ვიცით, თუმცა მისი, როგორც მოურავის, უფლებები გარკვეულწილად პატარა ლიახვის ხეობაშიც ვრცელდებოდა. 1778 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „არზა პატა იმერელისა ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით,“ ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმან ბენდიერის კველმწიფის ძის გიორგის ჭირი მათს მიწა მტვერს პა[ა]ტა იმერელს მოსცეს. მერმე თავად იმერეთს აზნაურისშვილის ყმა ვიყავ, ახალ-ციხეს გამყიდა, თავი დავიხსენ, ისევ ჩემს მამულს მივ[ე]ტანე. მასუკან შვილის თხოვნა დამიწყო. ავდექ. აქათ თქვენს მიწა მტვერს მოვ[ე]ტანე სურამს. მურვანიშვილმა მითხრა: ჩემთან იყავ, არავის მიქცემო. არჩილ გამოიარა დამაბეზღეს, დამიჭირა. მეორეთ არჩილიდამ დავიხსენ თავი. იქიდან არბოს ჩამოველ. მირზაშვილმა მითხრა: ბატონის ოქმი მაქვსო, ამყარა, გამატიტვლა და ისევ ჩემს უწინდელს ბატონს მიძცა.“<sup>2</sup> სოფელი არბო პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, როგორც ჩანს, თამაზ მირზაშვილს პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელზეც მიუწვდებოდა ხელი. ოსებისთვის საგანგებო მოურავ-

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 363.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 413.

ვების დაწესება ხელისუფლებისაგან, თუ ეკლესიისგან შემთხვევითი არ იყო. ახლად ჩამოსახლებული ოს მოახალშენეებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებოდათ, რათა ისინი ბარის ცხოვრებას შეგუებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან მშვიდობიანად ეურთიერთათ. ცნობილია ის რეციდივები, რაც თან სდევდა ოსთა ჩამოსახლებას. ლ ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1621-1650 წწ. შედგენილი მამულის ნასყიდობის წიგნი ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებისადმი, სადაც საუბარია ოსების მიერ ჯავის ქართული მოსახლეობის ამოწყვეტაზე.<sup>1</sup> ჩამოსახლებულ ოსებთან ურთიერთობას სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას ანიჭებდა, ეს კარგად ჩანს გიორგი XII მემკვიდრის დავით ბატონიშვილის მიერ ბარძიმ მაჩაბლისადმი გაგზავნილი წერილიდან: „თქვენ როგორც შეგეფერებოდათ, ისე გაისარჯენით, მთლად დიდის ღიახვის ოსები შემოგვარიგეთ, თქვენი ყმანი და სხვისი და კეხვის ციხეც აიღევით, რისთვისაც სახასო მამულები გვიბოძებია.“<sup>2</sup> ჩამოსახლებული ოსების ზედამხედველობისთვის, როგორც ჩანს, სამოურაოები იქმნებოდა, რაც მათთან ურთიერთობის მოწესრიგებას ემსახურებოდა, სავარაუდოდ, მოურაგებს ოსებში გადასახადებიც უნდა აეკრიფათ. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ოსებს ეკლესიის კუთვნილ სოფლებში დასახლების შემთხვევაში მოურავს (რომელიც „მცხეთიშვილი“ იყო) კათალიკოსი უნიშნავდა. ძალზე საინტერესოა ანტონ I სიგელში სიტყვები: „რომელიც შეგემლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რივიანად რომელიც გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 364, №510.

<sup>2</sup> სცსსა, ფონდი, № 1450, დავთ. 26, საბ. 162.

ოქმიც გებოძება.“ როგორც ჩანს, ბადაანში და ხოდელში ჩამოსახლებული ოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ მყარად დაქვემდებარებული ეკლესიისადმი და კათალიკოსმა სწორედ ამიტომ დაავალა გიორგი გედევანიშვილს მათი ზედამხედველობა. ანტონ I დროს დისევის, ბადაანისა და ხოდელის სამოურაოებთან ერთად დოკუმენტებში გვხვდება ძეგვის და გომის სამოურაოები. ანტონ I როდესაც იოანე გედევანიშვილს მცხეთის სარდლობა დაუბრუნა მას ძეგვის მოურაობაც უბოძა.<sup>1</sup> გომის სამოურაოს არსებობა დასტურდება 1764 წლით დათარიღებულ ანტონ I მიერ იესე თაზისშვილისადმი ბოძებულ წყალობის სიგელით: „ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა დიდმამ მამათმთავარმან ქართლის კათალიკოზ-პატრიარქმან, ძემან ქართველთა მეფისა იესესმა, პატრონმა ანტონი ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს აზნაურშვილთა თაზისშვილს მგალობელს იესეს, შვილსა შენსა სუფრაჯს ზაზას და ანდრიას, ძმისწულსა შენსა მოსიას და გოგიას. ასე, რომ: გომის მოურავი ამოსწყდა და მემკვიდრე აღარავინ ყუანდა რადგან ამოწყუეტილის აზნაურშვილის სახელო ბატონისა არის და ვისიც ბატონს ნებავს იმას უზამს წყალობას, ამას ჟამად შენი ბიძაშვილი იოსებ შემოგვეხვეწა გომის მოურაობის წყალობას და უბოძეთ გომის მოურაობა სამკუიდროდ და ქონდა რაოდენსამე წელიწადსა. მერმე ჩვენ რომ რუსეთს წავედით, იმ ხანშიდ შენი ბიძაშვილი იოსებ მომკუდარიყო და ჯანდიერის შვილს იოსებ კათალიკოზს გამოერთმევენა შენი ბიძაშვილის სახელო და აღდგომელასთვის მიეცა. ახლა ჩვენ რომ მათის სიმალლის ჩვენის ძმის მეფის ირაკლის ბრზანებით მოვედით რუსეთიდამ და ჩვენს საყდარზედ ვეგე-

---

<sup>1</sup> იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 945;

ნითვე, თქვენი ბიძაშვილის იოსების სახელო დაყ მა ისევ თქვენვე წყალობა გიყავით, რადგან გაყრილნი არ იყავით.“<sup>1</sup> კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული სამოურაოები ანტონ I მოღვაწეობის დროს არ შექმნილა, როგორც ჩანს, ასეთი სამოურაოები მანამდეც არსებობდა. ამას ადასტურებს ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ მაღალაძეებისადმი 1624 წელს ბოძებული სიგელი: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათოლიკოზმან პატრონმან ქრისტეფორემ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შაგიწყალეთ და გიბოძ[ე]თ თქუენ მაღალაძეთა ზუციასა და ივანეს და სეხნიასა და ზა[ა]ლს, შვილთა თქვენთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ასრე და ამა პირსა ზედა, რომე; სახხელოს გ[ვ]იაჯენით. აჯა და მოხსენება თქვენი შაგიწყალე და მოგბოძეთ გომნი სამოურავოდ. მიწობალიძეს ქონდა გომნი სახხელოდ, ისი სამუქაბოდ შავიჯერეთ; და გომნი სამკვიდროდ სამოურავოდ გიბოძეთ“.<sup>2</sup> კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ გაცემული 1618 წლით დათარიღებული ერთ-ერთი სიგელით დასტურდება, რომ შიდა ქართლში არსებობდა ზერტის სამოურავო. დოკუმენტის თანახმად ზერტის სამოურავო კათალიკოსმა გაბრიელის შვილს იესეს უბოძა: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ზერტი სამოურავოდ; პირველად თქვენი იყო სამკ[უი]დრო და აწცა დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ სიგლითა ამით.“<sup>3</sup>

ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ:

1. პატარა ლიახვის ხეობაში ქართლის კათალიკოსის დაქვემდებარებაში არსებული ორი სამოურავო არსებობდა. ორივე

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 850-851.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 483.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 395.

სამოურაოს კათალიკოსთან დაახლოებული გედევანიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ. გედევანიშვილები „მცხეთიშვილები“ იყვნენ, სხვადასხვა დროს ისინი კათალიკოსის სარდლები და ჯვარისმტვირთველები იყვნენ.

2. პატარა ლიახვის სამოურაოებიდან ერთი სოფელ დისევს უკავშირდებოდა. დისევი და მისი მიმდებარე ტერიტორია (სოფელი კულბითი) ჯერ კიდევ XI საუკუნიდან ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენდა. მეორე სამოურაო ბადაანსა და ხოდელში ჩამოსახლებული ოსების სამეთვალყურეოდ იყო კათალიკოსისგან შექმნილი. ოსების სამოურაო არსებობდა დიდი ლიახვის ხეობაშიც, რომელიც სამეფო ხელისუფლებას ვინმე თამაზა მირზაშვილისათვის ჰქონდა ჩაბარებული.

***Giorgi Sosiashvili***

*Gori State Teaching University*

**CHURCH SAMOURAVOS (ADMINISTRATIVE DISTRICTS)  
IN THE SMALL LIAKHVI GORGE  
RESUME**

Georgian Orthodox church had its administrative system during centuries. The head of Christian Church, - Catholicos-Patriarch, - had a management system. The system included the Mtskhetishvilis. It referred to a shared ownership by Mtskhetishvilis of Mtsketa Catholicate Church and implementation of all other obligations related to the estate. The Mtskhetishvilis occupied all administrative, Church and economic positions tied to the Mtskhetishvili shares, including

mouravi (bailiff) position. Within the period of Anton I governance two the existence of two administrative units, Samouravo, are confirmed. The mouravis (bailiffs) of both of them were Gedevanishvili. One of them, Giorgi Gedevanishvili, was granted by Catholicos with Mouravi position of Ossetians resettled in Badaani and Khodeli. They also were granted with Mouravi position of Disevi. Anthon II restored Mouravi Position of Disevi to Ioane Gedavanishvili. The duties of Catholicos Mouravi were obliged to mobilize army, as well as to collect taxes on their territorial units. There were two types of Samouravos under Catholicos subordination in the Small Liakhvi Gorge, one of them aimed to supervision of the village in the ownership of the church, and the second one (on the example of Badaani and Khodeli) was aimed to supervision of Ossetians resettled from the north Caucasus to the villages which were in the ownership of the church.

*ნესტან სულავა*  
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ რამდენიმე  
სახისმეტყველებითი ასპექტი**

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ ჰიმნოგრაფიული ტრადიციის კვალობაზე შექმნილი თხზულებაა და, ერთი მხრივ, იგი ამოზრდილია ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებზე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იდეურ-შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებსა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მსოფლმხედველობრივ და ჰიპოდიმურ-პარადიმულ სტრუქტურასთან სიახლოვე; მეორე მხრივ, იგი თავადაა მომდევნო ხანის ჰიმნოგრაფიისათვის სახისმეტყველებითი თვალსაზრისით ჰიპოდიმური წყარო, რადგან ამ საგალობლის ხატ-სახეთა ალუზიები გვხვდება XII-XIII საუკუნეების საგალობლებში. დავით აღმაშენებლის თხზულების საფუძველი, ისევე როგორც დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებისა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ შექმნისა, სინანულის მოტივია, რაც პიროვნების სულიერი ზედასვლით სრულდება. სწორედ ესაა მათი გამაერთიანებელი. რაც შეეხება თამარ მეფის, იოანე ანჩელის, იოანე შავთელის, არსენ ბულმაისიძისძის ქართველ ჰიმნოგრაფთა თხზულებებს, მათი წარმმართველი სინანულის მოტივი არაა, ისინი თავიანთი შინა-

არსითა და ხასიათით უფრო ქების გამომხატველი საგალობლებია, მაგრამ დავითის საგალობელთან სახისმეტყველებითად ამჟღავნებენ სიახლოვეს.

ჩემს სტატიაში სწორედ ამ საკითხების შესახებ მექნება საუბარი.

1. დავით აღმაშენებლის საგალობელი რვაგალობიანი ჰიმნოგრაფიული კანონია, რომელთა ბოლო ტროპარი ღმრთისმშობლისანია. ღმრთისმშობლისანის დართვა ჩვეულებრივი მოვლენაა ჰიმნოგრაფიაში, მაგრამ მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ რომელ ტროპარს ირჩევს ჰიმნოგრაფი თავისი საგალობლის ძირითადი აზრის გადმოსაცემად. ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში ღმრთისმშობლისანები შეტანილია ძლისპირებთან ერთად და კრებულს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ეწოდება, რაც ბერძნულს არ ახასიათებს. ვფიქრობ, ეს იმით აიხსნება, რომ საქართველო ყოველდღე მინდა ღვთისმშობლის წილხვედრილად მიიჩნეოდა. დავითის საგალობლების ღმრთისმშობლისანები ლ. გრიგოლაშვილმა იმ ღმრთისმშობლისანებს შეუდარა, რომლებიც ე. მეტრეველის მიერ გამოცემულ წიგნში „ძლისპირნი“ გვხვდება და აღნიშნა, რომ არც ერთი ღმრთისმშობლისანი დავითის საგალობელში არაა გამოყენებული და, შესაბამისად, დაასკვნა, რომ მათი ავტორი, როგორც მთლიანად გალობებისა, თვით დავით აღმაშენებელია<sup>1</sup>. ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ იგი არც ნევმირებულ ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანთა კრებულში აღმოჩნდა, რომელიც გ. კიკნაძემ გამოსცა. ესაა XI საუკუნის ხელნაწერი A-603, რომელიც იორდანეს კრებულის სახელითაა ცნობილი.

---

<sup>1</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბ., 2005, 100.

თუ როგორ საგანგებოდ ქმნის დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანში“ ღმრთისმშობლისანებს, პირველი გალობიდანვე ხდება ნათელი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცხრე გალობის ღმრთისმშობლისანს, რომლის მიხედვით ადამიანი საღვთო ხილვის შედეგად შეიძლება მისწვედეს ღვთაებრივ ნათელს და რომლის წარმოდგენა ღვთაებრივი მადლითა და ნათლითაა შესაძლებელი. დავიმოწმებ ტროპარს: „არად უხილავს მზესა ქალწული დედად თვნიერ შენსა, არცა ჩემოდენ ბრალეულსა - ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!“<sup>1</sup>. ტროპარს მთლიანად ნათლის ტროპიკა წარმართავს, რაც, ცხადია, ჰიმნოგრაფიულ ტრადიციასაც მისდევს და თავადაც ხდება ტრადიციის საფუძველდამდები მომდევნო ხანის საგალობლებისათვის. დავითის საგალობელში თითქმის ყველგან არის შინაგანი სახედველის ნათლით გაბრწყინებაზე ყურადღება გამახვილებული, მაგრამ საგანგებოდ მინდა გამოვყო მეცხრე გალობის ერთი ტროპარი: „მარტიო, სრულო, სამ-მზეო, ერთ-ცისკროვანებაო, განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაჲთა, სულითა ღმრთისაჲთა ძე გამოგვბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა“<sup>2</sup>, რომელსაც XIII საუკუნის საქართველოს კათოლიკოსის არსენ ბულმაისიმისძის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობელში შემდეგი ტროპარი ეხმიანება: „მომეც მე მადლი, ღმერთმთავრობითო დამბადებელო ყოველთა არსთაო და განმინათლე მიმხედველობითი, რაათა

---

<sup>1</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005, 221.

<sup>2</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005, 220-221.

ნათლითა შენ ნათელი გიხილო საცნაურად მგალობელმან შენდა, დიდებულ ხარ დიდებით, ღმერთო ჩემო ცხოველო“<sup>1</sup>. ორივე ჰიმნოგრაფი ღმერთს შინაგანი სახედველის ნათლით გაბრწყინებას შესთხოვს, ორივე საგალობელში გამოხატულია იშვიათი სწრაფვა ნათლისაკენ, შინაგანი განწმენდისაკენ, ღმერთისაკენ, ღმერთის სიმბოლური ჭვრეტისაკენ, ღვთის სიმბოლოდ კი ნათელი გვევლინება. აქვე შევნიშნავ, რომ დავით აღმაშენებლისა და არსენ ბულმაისიმიძის საგალობლები აბუსერისძე ტბელმა თავის მიერ შედგენილ კრებულში შეიტანა და ესეც მოწმობს ამ ორი ჰიმნოგრაფის სულიერ სიახლოვეს.

2. დავითის ჰიმნოგრაფიული კანონის მეხუთე გალობის, „ღამითგანსა“, ღმრთისმშობლისადმი მიძღვილ ტროპარს ეხმიანება თამარის იამბიკო. ჯერ დავითის საგალობლის ღმრთისმშობლისანს დავიმოწმებ: „ამისთვის სისხლთა ქალწულებრივითგან ჳორცნი ღმრთისანი და ახალი შეზავებაჲ, ღმერთი და კაცი, რადთა იოხდეს დედაჲ ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა!“<sup>2</sup>. თამარის იამბიკოში, რომელიც შვიდტაეპიანი ერთი სტროფია და კლასიკური იამბიკოს სტილითაა შესრულებული, დასაწყისი ტაეპები სწორედ იმ ჰიმნოგრაფიულ ტრადიციას ასახავს, რომელიც დავითის ღმრთისმშობლისანის ტროპარშია გადმოცემული. დავიმოწმებ იამბიკოს დასაწყის ტაეპებს:

„ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო,  
თბელ საიდუმლოდ, ზენადსა განგებისად,

---

<sup>1</sup> ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, 2003, 317.

<sup>2</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბ., 2005, 217.

ძისა ღმრთისა — ძედ მეშვ იქმენ არსთა მცხოვნად!“<sup>1</sup>

ღავითის ტროპარში მითითებაა ზიარებაზე, რადგან ქალწულებრივი სისხლი და ხორცი ღმრთისა შეზავდა, რის შედეგითაცაა „ახალი შეზავება“, ღმერთი და კაცი! ხოლო ზიარების საგანი მაცხოვრის სისხლი და ხორცი.

პ. ინგოროყვამ თამარის იამბიკოს ახალი ქართული თარგმანი და თეოლოგიურ ტერმინთა ახსნა-განმარტება შემოგვთავაზა: „სძალო (ღვთის-მშობელო)! შენთა ქალწულებრივთა სისხლთაგან საიდუმლო შეზავებით, ზენა განგებისამებრ, ძედ დაჰბადე ძე ღმრთისა, არსთა სასიცოცხლოდ“<sup>2</sup>. მართალია, მკვლევარს იამბიკოს შინაარსი სწორად აქვს განმარტებული, მაგრამ ყველა ხატ-სახე და სიმბოლო სრულყოფილად გახსნილ-გაშიფრული არაა. კერძოდ, მე ვგულისხმობ ტროპარის სიტყვებს „ქალწულებრივთა სისხლთა“, რომელიც უფრო ადრე ღავითის საგალობელში გვხვდება და რომელიც ჰიმნოგრაფიულ ტრადიციას ეფუძნება. სძლისპირებსა და ღვთისმშობლისანებში ხშირია მითითება, თუ როგორ შეითვისა ქალწულებრივმა სისხლმა ძე ღმრთისას ხორციელება. ამ სიმბოლოს უკეთ გასააზრებლად საჭიროა საღვთისმეტყველო ლიტურატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინება. დიონისე არეოპაგელი განმარტავს, როგორ შეითვისა ქალწული ღვთისმშობლის სხეულმა იესო ქრისტეს სხეული, ამ შეზავებას საიდუმლოს, გამოუთქმელს, ყოველი გონებისათვის შეუცნობელს უწოდებს: „არამედ ყოვლისა ღმრთისმეტყველებისასა უგანცხადებულესიცა იგი იესუდსა ჩუენებრ კორც-შესხმად ღმრთისად გამოუთქუმელვე არს ყოვლისა სიტყვსაგან და უცნაურ ყოვლისა გონებისაგან, ვიდრელა თვთ

---

<sup>1</sup> ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, 2003, 295.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, თამარ მეფის იამბიკონნი, „მნათობი“, 1941, 133.

მათ უმოხუცებულთასა ანგელოზთაგანცა. და მამაკაცებრ არს-ქმნა მისი საიდუმლოდ მოგვლიეს. ხოლო უმეცარ ვართ, თუ ვითარ ქალწულებრივთა სისხლთაგან სსჯთა სახითა შეინაწევრა გუამი მისი, გარეგან შჯულთა ბუნებისათა და თუ ვითარ დაულტოლველითა ფერკითა ვიდოდა დაუპყრობელსა მას და ნოტიასა არსებასა მწყურნებისასა მქონებელი იგი კორციელსა სიზრქესა და ნივთისა სიმძიმესა<sup>1</sup>. ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი და შეუძებელია მაცხოვრის მოვლინების ღვთაებრივი ჩანაფიქრი და განხორციელება, თუ როგორ შეითვისა და შეინაწევრა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა, მისმა ქალწულებრივმა სისხლმა სხვაგვარი სახით მოვლენილი ღვთის ხორციელი არსება მაცხოვრის შობისთვის. საეპარისია გავიხსენოთ ლუკას სახარების ის ეპიზოდი, რომელშიც ხარების სცენაა გადმოცემული (ლუკა, 1, 28-36), რომელსაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ღვთის განდიდება და მადლიერების გამოხატვა მოსდევს (ლუკა, 1, 46-54). ვფიქრობ, რომ ამ საიდუმლო ღვთისმეტყველებითი მოძღვრების საფუძველზე შეიძლება „ქალწულებრივთა სისხლთაგან“ განიძარტოს.

III. დავით აღმაშენებლის მეექვსე გალობის სიტყვები „ქორწილთა მიერ ხენუმთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“<sup>2</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. ისტორიკოსების თვალსაზრისით, აქ დავითის მიერ პირველ ცოლთან დაშორება უნდა იგულისხმებოდეს, ზოგი უფრო მკვეთრად გამოთქვამს და ამას განდევნას არქმევს, რათა ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასუ-

---

<sup>1</sup> პეტრე იბერიელი, შრომები, გამოსაცემად მოამზადა სამსონ ენუქაშვილმა, 1961, 21.

<sup>2</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბ., 2005, 217.

ლის შერთვის შესაძლებლობა მისცემოდა, რაც პოლიტიკური აქტი იყო (ი. ჯავახიშვილი, ი. ცინცაძე). ლ. გრიგოლაშვილმა ტროპარის კომენტარებისას ყურადღება გაამახვილა სიტყვაზე „ქორწილთა“, რომელიც მრავლობით რიცხვშია და, შესაბამისად, „თითქოს დავითი ორივე ქორწინებას შეცოდებად მიიჩნევდა, მაშინ როდესაც დავითის ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ გურანდუხტ დედოფალი იყო „სანატრელი და ყოველად განთქმული სიკეთითა“. ამასთან, ეკლესია ქრისტიან კაცს ცოლის შერთვის უფლებას სამჯერ აძლევს და დავითს ორჯერაც რომ ექორწინოს, ეს მას ცოდვად არ ჩაეთვლებოდა“<sup>1</sup>. მკვლევარი განაგრძობს: „ამ ადგილის გაგებისას უნდა გავითვალისწინოთ რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, რომელიც კრძალავს ეკლესიის გარეშე ქორწინებას, არასრულწლოვან ქალ-ვაჟთა ქორწინებას, სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა შეუღლებას და ა.შ. ყოველგვარ სხვა შეერთებას, რომელიც ამ კანონის დარღვევით ხდებოდა, ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ეწოდებოდა „უწესოდ ქორწინება“, „უწესონი ქორწილშეყოფანი“ (ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 371). იქნებ ასეთ ქორწინებაზეა საუბარი დავითის საგალობელში?“<sup>2</sup>. იგი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ სასულიერო ღირიკაში არცთუ იშვიათად გვხვდება სინანული საწოლის შეგინების გამო და მაგალითად მოაქვს წმ. ანდრია კრიტელი „დიდ კანონში“

---

<sup>1</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბ., 2005, 234.

<sup>2</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბ., 2005, 234.

გამოთქმული შეხედულება: „მსგავს ვიქმენ რუბენისსა... და ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა, ვითარცა მან – მამისასა“<sup>1</sup>.

ვფიქრობ, დავით აღმაშენებლის სიტყვები „ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“ დავით აღმაშენებლის მიერ ჩადენილ კონკრეტულ ცოდვას არ უნდა გულისხმობდეს. შესაძლოა, მასში იყოს მითითება პირველცოდვაზე, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა და ქორწილთა გამრავლება. ეს ღმერთთან დაშორებაა, პირველცოდვამ პირველი ადამიანების, ადამისა და ევას, ზნეობრივი და სულიერი სამყარო წარხოცა, მატერიალურზე ორიენტირებამ შეუცვალა სულიერი არსი, რის შედეგადაც ღმერთისაგან სასჯელი მიიღეს. ამ დროიდან მოყოლებული, ღმერთს დაცილებული ადამიანის ბუნება შეიცვალა, ადამიანის არსებაში ღვთისგან ჩაკირული პირველქმნილი იერარქია ამოტრიალდა, სულიერებას ზორციელებამ სძლია. ადამი და ევა ცოდვით დაცემამდე სულიერ არსში თუ არსებობდნენ, ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლის, ცოდვის ჩადენის შემდეგ მათი ბუნება და არსი შეიცვალა, მათ ფიზიკური არსი – ცოდვილი მატერიალური, სხეულებრივი არსი შეიძინეს, მათი ცოდვა მათ შთამომავლებზე გადავიდა და მათაც „ქორწილთა მიერ ხენეშთა ჰმძლავრეს საწოლსა თჳსსა“. ღვთის სასჯელმა ადამიანის სულიერება უნდა აღზარდოს. მაგრამ ამას სულიერი ცხოვრება სჭირდება, რაც მხოლოდ მაცხოვრის მოვლინების შედეგად გახდა შესაძლებელი. პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ ამიტომაც განმარტავს ქორწილის ქრისტიანულ არსს, რომელიც ზედმიწევნით არსებითად და სწორად ესმოდა დავით აღმაშენებელს.

---

<sup>1</sup> ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბ., 2005, 234.

აგრეთვე, იგი „სამოსელი საქორწინესაგან“ განძარცვა-საც უნდა მიუთითებდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა „სამოსელი პირველისაგან“ განძარცვეული ტყავის სამოსლით შემოსა და განაგლო სამოთხისაგან.

ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ დავით აღმაშენებლის თხზულებაში ჩამოთვლილია ცოდვები, რომლებიც თვით დავითს არ ჩაუდენია, მაგრამ თუ განზოგადებულად განვიხილავთ, ესენი ის ცოდვებია, რომლებიც ნებისმიერმა ადამიანმა შეილძება ჩაიდინოს თავისი ცხოვრების განმავლობაში. დავითის მიერ ჩამონათვალ ცოდვათა ფონზეა ეს კონკრეტული ცოდვაც დასახელებული, კერძოდ, „კაენის მკვლელებრი ცნობად, სეთის ძეთა ლირწებად, გმირთა სილოდით მავლობად,.. მეგვიპტური გულმძიმობად,.. კოწოლი თმათად... სოლომონისადასა წურბლისა მსგავსად ვერ-მადლარი სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად...“ და სხვ. – ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს და ყველა ადამიანს ახასიათებს. მნიშვნელობა იმას ენიჭება, ვინ როგორ განიცდის თავის ცოდვას, ვინ როგორ აფასებს საკუთარ თვისებებს, ვინ რა მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, რაც მის ზნეობრივ სახეს განსაზღვრავს. ყოველივე ამას წმ. ანდრია კრიტელის სიტყვებიც ემატება, რადგან ჩვენ მას როგორც ღვთისმსახურს და სასულიერო პირს ვიცნობთ, არაფერი ვიცით მისი ახალგაზრდობისდროინდელი ცოდვების შესახებ, მაგრამ ფაქტი ერთია, წმ. ანდრიას პიროვნული ცოდვა ზოგადკაცობიულობამდე აჰყავს და მის გამო სინანულისაკენ მოუწოდებს კაცობრიობას. დავით აღმაშენებელს მაგალითად წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ არსი, კონცეფცია და მიზანდასახულობა აქვს. ამიტომ მეფე-პოეტმა თავისი საგალობლით ადამიანის ზნეობრივი იდეალი შექმნა, ერთი მხრივ, ადამიანის დადებითი, მისაბაძი და, მეორე მხრივ, მისი უარყოფითი

თვისებების წარმოჩენით თავისი ეპოქის (არა მხოლოდ თავისი ეპოქის!) იდეალი დასახა, როგორი უნდა იყოს იგი და როგორი არ უნდა იყოს. სწორედ ესაა დავით აღმაშენებლის საგალობლის უმთავრესი მიზანიცა და ღირსებაც. ავტორის პოეტური აზროვნება, ინდივიდუალური ხელწერა იმით მჟღავნდება, რა ინტონაცია შეიტანა და რა დატვირთვა მიანიჭა თითოეულმა სიმბოლომ თუ მხატვრულმა სახემ საგალობელს. ამიტომაც მივიჩნევ დავით აღმაშენებლის საგალობელს დავით წინასწარმეტყველისა და წმ. ანდრია კრიტელის სულიერ მემკვიდრედ სულიერი ზეალსვლის ჰიპოდიმურ-პარადიმული სახისმეტყველების კვალობაზე.

წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლები ადამიანს წარმოგვიდგენენ როგორც ზესთასოფელში, ზეციურ დასში დამკვიდრებულს, ზეციურ მოქალაქეს, ზეცათა ქალაქის მკვიდრს, რომელმაც ადამიანის სულიერი ზეალსვლისათვის აუცილებელი ყველა საფეხური განვლო. ეს საფეხურები ჩამოთვლილია ორივე საგალობელში, რომელთა წინასაფეხურად, ბიბლიურ ჰიპოდიმად დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს მივიჩნევთ.

ადამიანის სრულყოფილების მოპოვებას საფუძვლად დაელო მისი სწრაფვა ღვთის შემეცნებისაკენ, ღვთისმომიშებით წარმართვა ცხოვრებისა, სვლა ზეციური მოქალაქობის მოპოვებისაკენ; როგორც ჰიმნოგრაფები, წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი, ადამიანს საზოგადოებისაგან გამოყოფენ და მასზე, როგორც კერძო, ინდივიდუალურ პიროვნებაზე, ამაზვილებენ ყურადღებას, მას ამკობენ სულიერი სილამაზით, მშვენიერებით და, რაც მთავარია, ამაღლებულობით, რომელთა საფუძველი სულიერობაა.

საზოგადოდ, საგალობელი ერთდროულად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ღვთის დიდებას, მეორე მხრივ, ადამიანის

ღვთისადმი მიმსგავსებულ, მიმბაძველ სახეს, რაც მიუთითებს, რომ არსებობს მისაბაძი და მიმბაძველი. საგალობელში ადამიანის სულიერი ხატი სულიერი განვითარების საფეხურების გათვალისწინებით წარმოისახება, რაც მისი სულიერი სისრულით, სულიერი სრულყოფით, სულიერი ზეაღსვლით მიიღწევა.

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ მდიდარი ჰიმნოგრაფიული ტრადიციების შემკვიდრეა. თხზულების აზრობრივ სიღრმეს, ზნეობრივ სიმაღლეს განსაზღვრავს დახვეწილი ლიტერატურული სიფაქიზე, ამაღლებული სტილი, ხატების, სახეთა და სიმბოლოთა მწყობრი სისტემა, სრულყოფილი კომპოზიცია და ჰიპოდემურ-პარადემული სტრუქტურა, ადამიანის სულიერი ზეაღსვლისაკენ სწრაფვა, რაც განაპირობებს ამაღლებულის შეგრძნებისა და ესთეტიკური განცდის მყარ საფუძველს.

დავით წინასწარმეტყველის სახე ჩვენამდე მოღწეულია ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით – სიძლიერითა და სისუსტით, სიყვარულითა სიძულვილით, შიშითა და გამბედაობით, შურისმაძიებლობითა და შემწყნარებლობით. ქართველი მემატიანე და უცხოელი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს მეფის იდეალად, მისაბაძად წარმოგვიდგენენ და მასში უარყოფითს ვერ ხედავენ. თავად დავით აღმაშენებელი კი, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საკუთარ თავს ცოდვით დამძიმებულ, კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველად სახავს, რაც მას, როგორც ადამიანს, როგორც მეფეს, როგორც ჰიმნოგრაფს სულიერი სრულყოფილებით, სისავსით შემკულ პიროვნებად წარმოგვადგენინებს.

*Nestan Sulava*

*Samtskhe-Javakheti State University;*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**SEVERAL ARTISTIC ASPECTS IN DAVIT THE  
BUILDER “PRAYERS OF REMORSE”  
RESUME**

Davit the Builder “Prayers of Remorse” is the work created according to hymnographic traditions. On the one hand, it was developed on hymnographic traditions, I will especially single out the Psalms of the Prophet David and the “Great Law” by St. Andria Kriteli. On the other hand, it itself represents the hypodigm source for the next hymnographic stage from the artistic point of view, because we come across the artistic image of chants and allusions in the chants of XII – XIII centuries. The basis for the Psalms of the Prophet David, the “Great Law” by St. Andria Kriteli and Davit the Builder is the motive of regret and remorse, which finishes with the ascension of the person. That`s what unites them.

The three questions are emphasized in the article: 1. St. Virgin Mary, created by the David the Builder. St. Virgin Mary is shown in an artistic way, 2. The artistic image of “Maidenly Blood” is used in David`s chants, which is explained by the biblical and evangelical teachings, 3. Troparion chant is specially discussed, where the wedding bed is cursed. In the scientific literature it is considered to be a sin committed by David the Builder. Though, it does not imply a specific sin. It is possible that it points at original sin, which caused the reproduction of humans and weddings. It causes the separation from God. The ancestral sin of Adam and Eve destroyed the ethical and spiritual world, the orientation on material world changed the spiritual essence, as a result, they received a

punishment from God. In theological literature the educated, David the Builder, knew all about it and his knowledge is reflected in the chants.

*მზია ტყავაშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის*  
*სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის*  
*ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

## **ქართულ-ოსური (თაგაურთა) ურთიერთობები XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში (1802 წ.)**

ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობები საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. ისტორიამ შემოინახა როგორც ამ ორი ხალხის კეთილმეზობლობის, ასევე ურთიერთმტრობის მაგალითები. ამ მხრივ გამონაკლისს არც XIX საუკუნის დასაწყისი წარმოადგენს. აღნიშნული პერიოდი მეტად რთული ხანაა ორივე ხალხის ცხოვრებაში.

საკითხის შესწავლაში სერიოზულ ნაკლად შეიძლება ჩათვალოს ის გარემოება, რომ ხშირად ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული საქართველოში მცხოვრები ოსებისა და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოთხი დამოუკიდებელი ოსური საზოგადოების (თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის) საქართველოსთან კონტაქტები და ისინი ერთ სიბრტყეზეა განხილული. ამჯერად ჩვენ ქართველებისა და თაგაურების (ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ერთ-ერთი ოსური საზოგადოება) ურთიერთობაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ-ოსური (ჩრდილო-კავკასიელი ოსების) ურთიერთობები არასათანადოდაა შესწავლილი. არ არსებობს სპეციალური სამეცნიერო ნაშრომი

და მას მხოლოდ ფრაგმენტულად, სხვა საკითხების გაშუქების პარალელურად, ეხებიან ოსი და ქართველი ისტორიკოსები. აქედან გამომდინარე არ ხდება აღნიშნული პრობლემის სრული გააზრება და შეფასება. ეს შესაძლოა მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზითაც იყოს გამოწვეული, რაც კვლევებისა და წამოჭრილი მთელი რიგი საკითხების უკეთ გააზრებისთვის ხელშემშლელი ფაქტორია. ასევე ყურადღების მიღმა დარჩენილი პოლიტიკური ლიდერების, როგორც ამ ხალხებს შორის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის წარმართველი ძალის, კონტაქტები.

ისტორიული ნაშრომების რიცხოვნობის მიხედვით ოსური მხარე ქართულზე ბევრად ნაყოფიერია, თუმცა ანალიზით და, ზოგადად, თვისობრივობით, აქაც არაფერი იცვლება. არაობიექტურობა და ცალმხრივობა ასეთი გამოკვლევების დამახასიათებელი თვისებაა.

ოსური ისტორიოგრაფიის არაობიექტურობის გამოვლენის ერთერთი კონკრეტული მაგალითია ამ პერიოდის ოსურ-ქართული ურთიერთობების იმ ჭრილში განხილვა, თითქოს ოსი ხალხი (როგორც საქართველოში, ისე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები) რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას მშობლიური მიწა-წყლის დაცვისთვის საკუთარი ნებით კი არ აწარმოებდა, არამედ ქართველი ბატონიშვილების წაქეზებით, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. საკითხის ასე წარმოჩენა ოს ხალხს მხოლოდ მსხვერპლის როლში წარმოგვიდგენს და აკნინებს იმ ბრძოლას, რასაც ათწლეულების განმავლობაში დამპყრობლის წინააღმდეგ ახორციელებდა. მსგავსი მოსაზრებები დღევანდელი გართულებული ვითარების ფონზე ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობის უკიდურესობამდე დაძაბვას უწყობს ხელს.

სინამდვილეში ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ოსებმა რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის სისასტიკე ქართველებზე ბევრად ადრე იგემეს და თავისუფლებისთვის ბრძოლა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გააჩაღეს. ეს განსაკუთრებით ეხებოდა თავაურებს, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს, კერძოდ კი არაგვის საერისთავოს, უშუალო მეზობლები იყვნენ.

თავაურები სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვან ადგილზე – დარიალის ხეობაში, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე, ლარსიდან ბალთამდე ცხოვრობდნენ. დარიალის გზის ყველაზე რთულ მონაკვეთად XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში რუსები, აქ მცხოვრები მოსახლეობის მტრული დამოკიდებულების გამო, სწორედ გზის ამ მონაკვეთს მიიჩნევდნენ. თავაურებსა და რუსებს შორის ურთიერთობის გართულება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის მიერ კავკასიაში აქტიური პოლიტიკის გატარების შემდეგ დაიწყო.

ეკატერინე II-ის მმართველობისას აზოვიდან კასპიის ზღვამდე დაიწყო რუსული საკორდონო ხაზების მშენებლობა, რომელიც კავკასიაზე შეტევისთვის იყო გამიზნული. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ნებისმიერ ეტაპზე რუსეთის სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში კავკასიის გადასასვლელებზე კონტროლის დამყარების აუცილებლობის საკითხი იდგა, რომელთაგან დარიალის ხეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ პერიოდში დარიალის კარი რუსეთისთვის საქართველოსთან კომუნიკაციის ერთადერთ გზას წარმოადგენდა, თუმცა რუსეთის სტრატეგიულ და სამხედრო გეგმებში მას სხვა დატვირთვაც ჰქონდა. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში კარგად იცოდნენ, რომ აღნიშნულ მაგისტრალზე კონტროლით შეძლებდნენ კავკასიის ორ ნაწილად გათი-

შვას და, კავკასიელების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, კავკასიელი ხალხის გაერთიანების თავიდან აცილებას.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთი ცენტრალურ კავკასიაში, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე, კერძოდ, კი მდინარე თერგის სანაპიროზე დაჩქარებული ტემპით ახორციელებდა ე. წ. სამხედრო ქალაქების მშენებლობას, სადაც შერეული, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და ეთნიკური კუთვნილების, მოსახლეობა ცხოვრობდა. ახალი დასახლებული პუნქტები ძირითადად რუსი კაზაკი-კოლონისტების ბაზაზე იქმნებოდა. ფართოდ გამოიყენებოდა ადგილობრივი რესურსიც – მთელი რიგი პრივილეგიები ენიჭებოდათ რუსეთის მხარეზე, სასაზღვრო ხაზთან გადასახლებულ კავკასიელებსაც, რომელთა რიცხვიც დღითიდღე იზრდებოდა. მდინარე თერგის მარცხენა სანაპიროზე 1763 წელს აშენებული ქალაქი მოზდოკი ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა<sup>1</sup>. მომდევნო წლებში რუსეთმა უფრო სამხრეთით გადმოსწია საზღვრები და 1784 წელს მდინარე თერგის ხეობის შესასვლელში ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრეს ჩაუყარა საფუძველი<sup>2</sup>.

1774 წელს სამი ოსური საზოგადოება რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა. ამან ოსურ-რუსულ ურთიერთობებში მხოლოდ ის შეცვალა, რომ რუსებმა ოსთა ნაწილი ყაბარდოსგან მიტაცებულ დაბლობზე ჩაასახლეს<sup>3</sup>, რასაც ამ უკანასკნელთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰ-

---

<sup>1</sup> ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, გვ. 235.

<sup>2</sup> История народов Северного Кавказа (конец XVIII в.-1917 г.), ред. А. Нарочницкий, Москва, 1988, გვ. 12.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 35.

ყვა, თუმცა მათ მალევე დაკარგეს ეთნიკური მახასიათებლები, მოექცნენ რუსთა ბატონობის ქვეშ და რუსეთის ერთგულ დასაყრდენად იქცნენ. მათგან განსხვავებით, თავიანთ სამკვიდროზე დარჩენილი ოსები რუსებს არ ემორჩილებოდნენ და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას აგრძელებდნენ.

აღნიშნულ პერიოდში, კავკასიაში რუსეთის მცირე სამხედრო კონტინენტის გამო, რუსეთი თავაურებთან ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობდა. გზის მომსახურებისა და მგზავრების გაცილების სანაცვლოდ თავაურებს რუსებისგან საკმაოდ დიდი შემოსავალი – XVIII-ის 70-იან წლებში წლიურად 50-დან 100 ლარამდე მანეთი ჰქონდათ. ზოგჯერ კი რუსეთის მიერ თავაურებისთვის მიცემული გასამრჯელო 100 ჩითის ხალათს შეადგენდა<sup>1</sup>.

ასეთი დიდი სარგებლის მიუხედავად, მდინარე თერგის ხეობაში მცხოვრები თავაურები, რომლებიც კარგად ხვდებოდნენ რუსების ნამდვილ ზრახვებს, ხშირად ეურჩებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და არ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებას: არ აცილებდნენ მგზავრებს, არ ახდენდნენ გზებისა და ხიდების შეკეთებას, ძარცვავდნენ რუსეთის ქვეშევრდომებს და ტყვედ მიჰყავდათ ისინი. მაგალითად, 1772 წელს თავაურებმა დაატყვევეს მოგზაური და მეცნიერი გიულდენშტედტი, რომლის გამოსახსნელად გენერალმა დე მედემა თავაურების წინააღმდეგ გაგზავნა რაზმი მაიორ კრიდნერის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა თავაურებს 30 მანეთის საჩუქრები გაუგზავნა, რის შემდეგაც მოხერხდა გიულდენშტედტის განთავისუფლება, მათი ლიდერი დუდარუკო ახმეტოვი კი იძულებული გახდა რუსებისთვის მძევალი მიეცა<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> Акты Кавказской Археографической Комиссии (შემდგომში АКАК), ред. А. Берже, т. 1, 1866, გვ. 85 .

<sup>2</sup> АКАК, I, 86.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაფერი უსისხლოდ მოგვარდა, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდებოდა.

XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ოსების მხრიდან რუსეთის ქვეშევრდომებზე თავდასხმა ხშირად ხდებოდა. ის ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის გააქტიურების პირდაპირპროპორციული იყო<sup>1</sup>. თავაურები, რომელთა რაოდენობა ამ პერიოდში 7000 სულს არ აღემატებოდა (მათ მხოლოდ 1000-მდე მეომრის გამოყვანა შეეძლოთ), რუსეთისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას და თავისი სასიცოცხლო სივრცის დაცვას, რა თქმა უნდა, ვერ ახერხებდნენ.

თავაურებსა და რუსებს შორის ასეთი დამოკიდებულება გრძელდებოდა XIX საუკუნემდე. რუსეთი თავაურთა დაპყრობის პრობებს ნელ-ნელა ამზადებდა და სამხედრო ექსპედიციებს მათ წინააღმდეგ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მიმართავდა.

რუსეთის იმპერატორის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გააუქმების შემდეგ. ოსებისა და ქართველების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა იწყება, რადიკალური ცვლილებები ხდება მათ ურთიერთობებშიც.

1802 წლამდე ქართული სამეფო სახლის წარმომადგენლები მოლოდინის რეჟიმში იმყოფებოდნენ და ქართლ-კახეთის სამეფოსა და ბაგრატიონთა დინასტიის გაუქმებას, რა თქმა უნდა, არ ელოდნენ. ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ვახტანგ ერეკლეს ძემ, შემდგომში რუსეთის ერთერთმა შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, კავკასიის ხეობებში რუსული ჯარი უპრობლემოდ გამოატარა, რისთვისაც 1801 წლის ნოემბერში იგი წმინდა ანას პირველი ხარისხის აღ-

---

<sup>1</sup> იქვე, 229, 396.

მასებით მოოჭვილი ორდენით დაჯილდოვდა<sup>1</sup>, მასთან დაახლოვებულ პირებს: გაბრიელ ყაზბეგს და გლახა ჭილაძეს კი გადასცეს ოქროს ორდენები იმპერატორის გამოსახულებით, პირველს – ცისფერი, მეორეს კი – წითელი ლენტით<sup>2</sup>. ქართველი ბატონიშვილებისათვის რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ ცნობილი გახდა 1802 წლის დასაწყისში, რასაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მოჰყვა. ქართველთა ანტირუსული გამოსვლების ფონზე თავაურთა ბრძოლასაც აზრი მიეცა.

ორივე მხარისთვის აშკარა იყო, რომ რუსეთის ექსპანსიის თავიდან აცილება მხოლოდ ერთობლივი ბრძოლით იყო შესაძლებელი, მითუმეტეს, რომ მათ ხელში კავკასიიდან რუსეთის განდევნის საკმაოდ ძლიერი ბერკეტი – დარიალის გზის გადაკეტვის შესაძლებლობა იყო. პოლიტიკური ინტერესების თანხედრამ და საერთო მტრის ფაქტორმა XIX საუკუნის დასაწყისში თავაურები და ქართველები პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირეები, მათი ბრძოლა კი ორგანიზებული და შეთანხმებული გახდა.

მეტად მნიშვნელოვანია ამ მხრივ ვახტანგ ერეკლეს ძისა და თავაურთა ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალის, რუსეთის წინააღმდეგ შეურიგებელი მეზობლის, დუდარუკო ახმეტოვის, ურთიერთობა. რუსი ჩინოვნიკები თავიანთ ოფიციალურ წერილებში ხაზს უსვამენ ამ ორი პიროვნების ურთიერთპატივისცემასა და რუსეთის წინააღმდეგ შეთანხმებულ მოქმედებას.

ვახტანგ (აღმასხან) ბატონიშვილის საგამგებლო იყო არაგვის საერისთავო, რომელიც თავაურთა სამფლობელოს

---

<sup>1</sup> იქვე, 267.

<sup>2</sup> იქვე, 268.

უშუალოდ ესაზღვრებოდა. 1802 წლის თებერვალში ვახტანგ ერეკლეს ძისთვის უკვე ცნობილი იყო რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ<sup>1</sup>. 1802 წლის თებერვალში ვახტანგი წერდა, რომ ბაგრატიონების ნაწილი რუსეთში სამუდამოდ გადასახლეს და იგივეს უპირებდნენ დანარჩენებსაც. ამის შემდეგ მან რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო და ღუდარუკო ახმეტოვს დაუკავშირდა.

ღუდარუკო დაახლოვებული იყო ვახტანგ ერეკლეს ძის უახლოეს ადამიანებთან: გლახა ჭილაძესთან და გაბრიელ ყაზბეგთან<sup>2</sup>, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ბატონიშვილების უახლოესი თანამოაზრეები იყვნენ. განსაკუთრებული პატივისცემით ოს მოსახლეობაში სარგებლობდა გაბრიელ ყაზბეგი. მის უდიდეს ავტორიტეტს რუსეთის კავკასიური ადმინისტრაცია მაშინაც იყენებდა, როდესაც იგი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას არა მარტო ჩამოსცილდა, არამედ ქართველ და ოს აჯანყებულებს დაუპირისპირდა.

ერთ-ერთი რუსული ოფიციალური დოკუმენტი იუწყება, რომ ღუდარუკოს ვაჟი რამდენჯერმე თბილისშიც იმყოფებოდა ქართველ ბატონიშვილებთან მოსალაპარაკებლად<sup>3</sup>.

1802 წლით დათარიღებულ დოკუმენტში კი დაფიქსირებულია, რომ „რუსეთის წინააღმდეგ კავშირის განმტკიცების მიზნით“, ღუდარუკო ახმეტოვი და გლახა ჭილაძე დანათესავებულან და, კავკასიაში მიღებული ტრადიციით, თავიანთი შვილები აკვანში დაუნიშნავთ<sup>4</sup>.

---

<sup>1</sup> AKAK, I, 268.

<sup>2</sup> იქვე, 128

<sup>3</sup> იქვე, 268, 269

<sup>4</sup> იქვე. 269.

ქართველებისა და ოსების შეხვედრები რუსეთის საწინააღმდეგო ერთობლივი გამოსვლების ორგანიზებას ემსახურებოდა. კავკასიის რუსული ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო, რომ ქართველები და ოსები მდინარე თერგის ადიდებას ელოდებოდნენ, რომ აჯანყებულებიყვნენ. ეს ივნის-ივლისში ხდება<sup>1</sup>.

XIX საუკუნის დასაწყისი მძიმე პერიოდი თაგაურებისთვისაც. რუსეთი უკვე იწყებს მათ საქმეებში პირდაპირ ჩარევას, რაც ჩქარდება საქართველოში მანიფესტის გამოცხადების შემდეგ აქ არეულობის დაწყების შიშით. საიმპერატორო კარზე უკვე დაგეგმილია ლარსი-ბალთის გზის შეკეთება რუსი ჯარისკაცების საშუალებით<sup>2</sup>. ეს კი დარიალის გზის რუსული სამხედრო კონტიგენტით გაკონტროლებას ნიშნავდა. თაგაურებისთვის, რა თქმა უნდა, ეს სერიოზული მიზეზი იყო იმისთვის, რომ რუსებთან ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულიყო.

ნელ-ნელა იკვეთება ქართველებისა და თაგაურების პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრაც.

მართლაც, კახეთში, ქელმენჯურის შეთქმულება მდინარე თერგზე წყალუხვობის დროს, 1802 წლის ივნისში, დაიწყო. ეს კიდევ ერთი დადასტურება იყო იმისა, რომ კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში ზუსტი ცნობა ჰქონდათ კახელ შეთქმულებთან თაგაურების მჭიდრო კავშირის შესახებ<sup>3</sup>.

ამავე პერიოდში, 1802 წლის ივნისში თაგაურებმა დუდარუკოს ხელმძღვანელობით დარიალის ხეობა გადაკეტეს, რითაც საქართველოში მყოფ რუსებს კავკასიის საკორდონო

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> მ. ტყავაშვილი, რუსული სამხედრო ექსპედიცია თაგაურელთა წინააღმდეგ კ. ენორინგის ხელმძღვანელობით... გვ. 109; AKAK, I, 130.

<sup>3</sup> AKAK, I, 269.

ხაზთან კავშირი გადაუჭრეს<sup>1</sup>. ეს რუსეთისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა.

ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ჩრდილოეთიდან (საკორდონო ხაზიდან) და სამხრეთიდან (თბილისიდან) თავაურთა წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციები დაიწყო. რუსები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს<sup>2</sup>.

ამ ექსპედიციას დუდარუკოს ცხრამეტი მომხრე შეეწირა, რუსებმა გადაწვეს მისი საცხოვრებელიც<sup>3</sup>. დუდარუკო იძულებული გახდა კნორინგისთვის საბრძოლო მოქმედებების შეჩერება ეთხოვა და რუსების მოთხოვნების შესრულების პირობა დაედო. იგი სხვა მამასახლისების მსგავსად მძევლების მიცემაზეც დათანხმდა<sup>4</sup>.

ამ მოვლენების პარალელურად დაიწყო ვახტანგ ერეკლეს ძის განეიტრალების ოპერაციაც. აჯანყებაში მის მონაწილეობაზე რუსებს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ. ნაცვალმა კობიევმა კოვალევსკის აცნობა, რომ „ბატონიშვილი ვახტანგი, და არა სხვა ვინმე იყო მთავარი დამნაშავე მთავარსარდალზე თავაურთა თავდასხმაში... გლახა ჭილაძის ქალისა და დუდარუკო ახმეტოვის ვაჟის ნიშნობა კი სწორედ ხეობაში რუსეთის ქვეშევრდომებზე ერთობლივი თავდასხმებისთვის კავშირის განმტკიცებას ემსახურებოდა“<sup>5</sup>.

1802 წლის ივლისში რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ ვახტანგ ბატონიშვილისა და გლახა ჭილაძის დაჭე-

---

<sup>1</sup> მ. ტყავაშვილი, რუსული სამხედრო ექსპედიცია თავაურელთა წინააღმდეგ კ. კნორინგის ხელმძღვანელობით... გვ. 111.

<sup>2</sup> AKAK, I, 588.

<sup>3</sup> იქვე, 375, 588.

<sup>4</sup> იქვე, 589.

<sup>5</sup> AKAK, 269.

რის ბრძანება გასცა<sup>1</sup>. ამ უკანასკნელებმა მთაში გაქცევა მოასწრეს<sup>2</sup>. რუსები ვახტანგ ბატონიშვილს ფეხდაფეხ დასდევდნენ და ჯარის შეყრისა და თავაურებთან ერთობლივი მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ. იგი ჯერ გუდამაყარში, შემდეგ კი ღუშეთში გლახა ჭილაძის სასახლეს აფარებდა თავს. მას შემდეგ რაც მაიორმა ტუჩკოვმა გლახა ჭილაძის სახლს ალყა შემოარტყა, ვახტანგ ბატონიშვილი ტყეში გაიქცა. რუს მოხელეებს ემინოდათ, რომ ის თავაურებთან არ გადასულიყო<sup>3</sup>. ვახტანგი 1802 წლის აგვისტოში შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. მის ამაღლაში დუდარუკო ახმეტოვთან დანათესავებულ გლახა ჭილაძესაც ვხედავთ<sup>4</sup>. ვახტანგ ბატონიშვილის გადასახლების შემდეგ დუდარუკო ახმეტოვი სხვა ქართველ ბატონისვილებს უკავსირდება. 1803 წლის აგვისტოში რუსეთის კავკასიურ ადმინისტრაციას ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ დუდარუკო იმყოფებოდა იმერეთში იულონ ერეკლეს ძესთან მოსალაპარაკებლად<sup>5</sup>.

ოსები და ქართველები რუსების წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლებს არ წყვეტდნენ მომდევნო პერიოდშიც. ამის საუკეთესო დადასტურებაა 1804 წლის მთიულეთის აჯანყება. რუსული ოფიციალური დოკუმენტების ცნობით, თავაურები რუსეთის ხელისუფლების მიერ დატყვევებული და რუსეთში გადასახლებული ქართველი ბატონიშვილების გამოსხნასაც გეგმავენ<sup>6</sup>.

---

<sup>1</sup> იქვე, 270.

<sup>2</sup> იქვე, 270-71.

<sup>3</sup> იქვე, 275.

<sup>4</sup> იქვე, II, 77.

<sup>5</sup> იქვე, 128.

<sup>6</sup> იქვე, 128.

რუსეთის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერი ქართველი ბაგრატიონების ძირითადი ნაწილის (დავით, იულონ, ფარნაოზ, ვახტანგ და ა. შ.) რუსეთში გადასახლების შემდეგ თავაურებისა და ქართველების ანტირუსულ გამოსვლებს შორის კავშირი შესუსტდა.

რუსეთი სულ უფრო სასტიკ ღონისძიებებს მიმართავდა თავაურთა ურჩობის ასალაგმავად. მათ ამყოფებდა ეკონომიკურ იზოლაციაში, ართმევდა მძევლებს...

1807 წელს რუსეთისგან უკიდურესობამდე შევიწროვებული თავაურებმა კავკასიის მთავარმართებელ გულოვიჩს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნეს: „მას შემდეგ, რაც მოგვაკლდა საჩუქრები და შემოსავალი, რომლებსაც ძველად ქართველი მეფეებისგან ვიღებდით, უკიდურეს გაჭირვებამდე მივედით. ამის გამო ზოგიერთი ყმაწვილი კაცი აღარ გვიჯერებს, აწყობს თავდასხმებს თქვენს ქვეშევრდომებზე და ძარცვავს მათ... ამით ჩვენი ხალხი ინაზღაურებს იმ დანაკლისს, რომელიც მიუღებელი გასამრჯელოსგან შეგვექმნა“<sup>1</sup>.

გულოვიჩი მათ შემდეგს პასუხობს: „თქვენ წერთ, რომ შეგიწყდათ შემოსავლები და უკიდურეს სიღატაკემდე მიხვედით... რომ ურჩი ყმაწვილები აღარ გიჯერებენ, ძარცვავენ მგზავრებს და იქვე წერთ, რომ გსურთ შეასრულოთ გრაფ იველიჩის ნება-სურვილი, თქვენ ჩივით მაიორ გრინევიჩზე, რომ იგი გავიწროვებთ და იმუქრებით კიდევ, რომ, თუ ის არ შეცვლის თქვენს მიმართ დამოკიდებულებას, მოხდება მრავალი უბედურება და ამაზე თქვენ პასუხი არ მოგეთხოვოთ..., მე მივითითებთ, რომ ქართველი მეფეების მიერ მიცემულ შემოსავლებს ნულარც ახსენებთ, რადგანაც ისინი აღარ არიან; ნურც ბატონიშვილებისგან მოცემული ბარათების იმედი გექნებათ, მათ მისი მოცემა აღარ შეუძლიათ. თუ თქვენ დამორ-

---

<sup>1</sup> AKAK, III, 217-218.

ჩილდებით და ერთგულად ემსახურებით რუსეთის ხელისუფლებას, აღარ დაესხმებით თავს ჩვენს ქვეშევრდომებსა და ტერიტორიებს, აღარ იქურდებთ, აღარ გაძარცვავთ და დახოცავთ გამკვლელებს, ჩვენგან გექნებათ გარკვეული გასამრჯელო“<sup>1</sup>.

გულოვიჩის აღნიშნული წერილიდან ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლება არავითარ დათმობაზე არ მიდის თავაურების მიმართ, იგი არ ღალატობს იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში კნორინგისა და ციციანოვის მმართველობის დროს აიღო და სიმკაცრით და ეკონომიკური ზეწოლით ცდილობს თავაურთა ურჩობის მოთოკვას. ამკარაა ისიც, რომ რუსეთის სახელისუფლებო წრეები არ აპირებენ თავაურების მიერ მათთვის შეთავაზებული გამოსავლის – ქართული სამეფო კარის გამოცდილების, გაზიარებას.

აღნიშნული წერილებიდან იკვეთება თავაურების მიმართ ქართული და რუსული სამეფო სახლების განსხვავებული დამოკიდებულება და მიზნები.

ერთ მხარეზეა, ქართული სახელმწიფო, რომელიც არავითარ პრეტენზიას არ აცხადებდა თავაურთა ტერიტორიაზე და მათ დამოუკიდებლობასაც არაფრით ზღუდავდა, პირიქით, გზების შეკეთებისა და მგზავრების უსაფრთხოებისთვის საჩუქრებისა და ფულის სახით თავაურებს გარკვეულ კომპენსაციას უგზავნიდა. ამკარაა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ქართველი მეფეების სახით ოსებს ქომაგი, მათი ეკონომიკური მდგომარეობის შემხიდებელი, საიმედო ეკონომიკური და პოლიტიკური დასაყრდენი და რუსეთის წინააღმდეგ ერთგული მოკავშირე მოჰკლებიათ. გულოვიჩი წერილში იმ მინიშნებასაც აკეთებდა, რომ ქართველების

---

<sup>1</sup>იქვე, III, 217.

გარეშე მართოდ დარჩენილი ოსები რუსეთისთვის არც სა-  
შიშნი იყვნენ და აღარც ანგარისგასაწევ ძალას წარმოადგენ-  
დნენ. მათი დამოუკიდებლობა დღეებს არა მხოლოდ იმიტომ  
ითვლიდა, რომ რუსეთი მათ დაპყრობას ახორციელებდა,  
არამედ იმიტომაც, რომ მათი არსებობის არეალი მოიშალა,  
რომელიც საუკუნეების მანძილზე იყო ჩამოყალიბებული.  
თაგაურების დამოუკიდებლობას მხოლოდ მათი თავისუფლება  
და ტერიტორიების ხელშეუხებლობა არ განსაზღვრავდა,  
არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან, ამ შემთხვევაში ქარ-  
თლ-კახეთთან, ურთიერთობის ფორმაც.

რადიკალურად განსხვავებულია დარიალის ხეობასთან  
მიმართებაში რუსეთის მიზნები, რომელიც თავის შეუზღუდავ  
ბატონობას ამყარებს სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვან  
გასასვლელზე, ზღუდავს აქ მცხოვრები ხალხის (ამ შემთხვე-  
ვაში თაგაურების) სასიცოცხლო სივრცეს და ართმევს მათ  
დამოუკიდებლობას, რადიკალურად ცვლის მათი ცხოვრების  
წესს, ამკვიდრებს საკუთარს, ართმევს ეკონომიკური არსებო-  
ბის საშუალებას და მათ უსიტყვო მორჩილებას აიძულებს.

XIX საუკუნის აღნიშნული დოკუმენტები, რომელიც  
თაგაურების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებიდან ხუ-  
თი წლის შემდეგ არის დაწერილი, იმ დიდ პატივისცემაზე  
მიუთითებს, რომელიც ოსებს ბაგრატიონთა საგვარეულოს  
მიმართ ჰქონდათ.

ოსები და ქართველები დამოუკიდებლობისათვის ბრძო-  
ლას როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკე შეძლგომ პერიოდ-  
შიც აგრძელებენ.

### დამოწმებანი:

1. История народов Северного Кавказа (конец XVIII в.-1917 г.), ред. А. Нарочницкий, Москва, 1988.
2. Акты Кавказской Археографической Комиссии, ред. А. Берже, т. 1, 1866.
3. Акты Кавказской Археографической Комиссии, ред. А. Берже, т. 2, 1868.
4. Акты Кавказской Археографической Комиссии, ред. А. Берже, т. 1, 1869.
5. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, რედ. გ. გელაშვილი, თბილისი, 1962.
6. Блиев М., Южная Осетия в колизиях российско-грузинских отношений, Москва, 2006.
7. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბილისი, 1969.
8. გ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბილისი, 1969.
9. ალ. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბილისი, 2006.
10. მ. ტყავაშვილი, რუსული სამხედრო ექსპედიცია თავაურელთა წინააღმდეგ კ. კნორინგის ხელმძღვანელობით და მდინარე თერგის ხეობაში ოსთა დასახლების ისტორიიდან, კრებულში: კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, რედ. რ. თოფჩიშვილი, ტ. XIV, თბილისი, 2012.
11. მ. ტყავაშვილი, მთიულეთის 1804 წლის აჯანყების როკის უბანი და ციციანოვის დამსჯელი ექსპედიცია დიდი ლიახვის ხეობაში, კრებულში: კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, რედ. რ. თოფჩიშვილი, ტ. XII, თბილისი, 2010.

*Mzia Tkavashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*

*Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

**GEORGIAN-OSSETIAN (TAGAURIS) RELATIONS AT  
THE END OF XVIII AND  
BEGINNING OF XIX CENTURIES (1802)  
RESUME**

The beginning of XIX century is rather difficult period in the Georgian and Tagauris relations. This time Russia forces its active policy in the Caucasus. Russia is especially interested in taking possession of the Caucasian passages. The object of its attack become Tagauris as they inhabit strategically rather significant place – Dariali Ravine. Russia’s activation in the Central Caucasus is followed by Tagauris’ response.


Tagauris struggle against Russia goes to a new stage after abolition of the Kartli-Kakhetian Kingdom as a result of which the Georgians and Tagauris undertake joint struggle against Russia. By blocking of Dariali road they try to isolate the Russians staying in Georgia and driving the Russians out of the Caucasus. The Georgians and Ossetians attempted joint actions against the Russians in June of year 1802. The Tagauris blocked Dariali Ravine. The same period Kelmenchuri conspiracy happened in Kakheti. The Russians undertook severe military expedition against the Tagauris. Kelmenchuri conspiracy was neutralized as well. It should be especially mentioned relations between the representatives of the Georgian Royal house and one of the holders of Tagauris – Dudaruko Akhmetov. An excellent example of the Tagauris and the Georgians joint struggle of the beginning of XIX century is Mtiuleti revolt of 1804.

**გლების სახლი ქოი იალთაში  
(არტაანის პროვინცია)**

*(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (NFR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)*

ისტორიული საქართველოს მხარეთა შორის თავისი მომხიბლავი ბუნებით გამოირჩეულია არტაანი, სადაც ბოლო დრომდე უხვად შემონახა ქართული მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლები (ციხეები, ეკლესიები). რაც შეეხება საყოფაცხოვრებო არქიტექტურას, მან გარკვეულწილად განიცადა ტრანსფორმაცია, რაც მოსახლეობის დემოგრაფიული და ეთნიკური სტრუქტურის ცვლილებებს უკავშირდება, თუმცა ამ მხრივაც ჯავახეთთან და თრიალეთთან ბევრი საერთო თავისებურების დაფიქსირება შესაძლებელია. აღნიშნული მსგავსება იდენტური ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით შეიძლება აიხსნას.

არტაანის დასახლებისა და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის საკითხები დღემდე გამოწვილვით არავის შეუსწავლია. აღნიშნული საკითხებით ჩვენი დაინტერესება საკითხის შეუსწავლევლობით და სამეცნიერო-საგრანტო პროექტით გათვალისწინებული კვლევითი ამოცანებითაა განპირობებული და სავსებით შეესაბამება დაინტერესება სავსებით შეესაბამება ჩვენს სამეცნიერო მიზანდასახულობას.



ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და მიკროკლიმატის განსხვავება-კონტრასტულობა უხსოვარი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვა საცხოვრებელ გარემო პირობებს ქმნიდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო თანამედროვე და ისტორიული საქართველოს საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების წარმოშობა-განვითარებას<sup>1</sup>. საცხოვრებელი სახლების ტიპების დასადგენად უამრავი მასალა არსებობს, მაგრამ უძველეს ტიპებთან მათი დამაკავშირებელი ხაზი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ევოლუცია სრულად არაა გამოკვეთილი<sup>2</sup>. ამიტომ საკითხის შესასწავლად ავირჩიეთ რამოდენიმე სახლის ტიპი.

---

<sup>1</sup> ადამია ი., ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, „ძეგლის მეგობარი“, №12, თბ., 1967, გვ. 3.

<sup>2</sup> დავითაშვილი გ., საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია, „ძეგლის მეგობარი“, №34, თბ., 1974, გვ. 3.

ზოგადად, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ადრეული სახეები (XIX საუკუნის ჩათვლით) თანამედროვე ნაგებობათა სახეებთან ერთობლიობაშია წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო-სა და დასავლეთ საქართველოს ადრეულ-დასახლების ფორმები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ხანის დასახლებისათვის ნიშანდობლივია ძირითადად მიწურბანიანი საცხოვრებელი სახლები სამეურნეო ნაგებობებით. ფაქტობრივად ყველა კომპლექსი მიწაშია განთავსებული.

დასავლეთ საქართველოსათვის კი დამახასიათებელია ნაგებობათა განაშენიანება მიწის ზედაპირზე.

საკვლევ რეგიონში წარმოდგენილია, როგორც ადრეული ტრადიციული მიწურბანიანი საცხოვრებლები საქონლის სადგომებით, ასევე თანამედროვე, მიწის ზედაპირზე აგებული, შედარებით კეთილმოწყობილი საცხოვრებლები საქონლის სადგომებით.

ადრეული საცხოვრისები უძველესი ტრადიციის მიხედვით მთის ფერდობებზე შენდებოდა, ვინაიდან მთა უფრო დაცული იყო მტრის შემოსევებისაგან, ვიდრე - ბარი.

არტაანის ყოფისათვის დამახასიათებელია ბანიანი სახლები. მსგავსი სახლები საუკუნეთა განმავლობაში ტიპური და ტრადიციული იყო ჯავახეთისა და თრიალეთის ქართული მოსახლეობისათვისაც. არტაანელთა საცხოვრებელი შეესაბამება რეგიონის მკაცრ კლიმატურ პირობებსა და რელიეფს და აკმაყოფილებს ოჯახის საცხოვრებელი და სამეურნეო პირობებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. არტაანის თავისებური კლიმატი და რელიეფი, მეურნეობის ხასიათი და ოჯახის სტრუქტურა განაპირობებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ხასიათს, მათ მოცულობით-სივრცით აღნაგობას.

კომპლექსში წარმოდგენილია საცხოვრებელი და დამხმარე შენობები. სახლის შიგა ნაწილის დაგეგმარებაში ასახულია ოჯახის სოციალური ფუნქცია, სქესთაშორისი ურთიერთობები, მათი ადგილი და უფლება-მოვალეობანი ოჯახში<sup>1</sup>.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებამდე სამოსახლოდ განსაზღვრულ მთის ფერდობს გამოთხრიდნენ და გააკავედნენ წინასწარ გადაწყვეტილი გეგმისა და განზომილების მიხედვით. გააკავეულ ადგილზე მონიშნავდნენ ოთკუთხა ფართს ადამიანთა სამყოფისათვის, მის გვერდით კი საქონლის სადგომისათვის. ნაგებობის სიდიდე განისაზღვრებოდა ადამიანთა სულადობისა და საქონლის სიმრავლის მიხედვით.

გაკავეულ ადგილზე ოთკუთხედებში ხის ჩივებს მიწაში ჩაარჭობდნენ და სიზუსტე-სისწორის დასაცავად სიგრძესა და სიგანეზე ძაფს გააბამდნენ. მართი კუთხეებით წარმოქმნილი ოთკუთხედების პარალელურად, გაბმული ძაფის გასწვრივ, 50-60 სმ. სიფართისა და 40-50 სმ. სიღრმის თხრილს გააკეთებდნენ, რომელიც შემდგომ ქვებით ამოივსებოდა. შრომა ნაღურ ხასიათს ატარებდა და ნათესავ-ახლობლების დახმარებით სრულდებოდა. ნაღური შრომა სამადლო საქმედ ითვლებოდა. იგი ამავე დროს უსასყიდლო, მაგრამ სახალისო საქმე იყო. ამიტომ ნადში დაუპატიჟებლადაც მიდიოდნენ. საძირკვლის სიმტკიცისათვის. შეძლებული ოჯახები თხრილში კირხსნარსაც ასხამდნენ. სახლის მეპატრონე საძირკველში საქონლის ბეწვს, ცხენის ძუას და ხურდა ფულსაც ჩაყრიდა, რადგან სწამდა, რომ სახლი ბარაქიანი, თვალშეუვალი და დალოცვილი იქნებოდა.

---

<sup>1</sup> საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 576.

საცხოვრებელი სახლის კედლის სისქე ბუნებრივ-კლიმატურ პირობების შესაბამისად განისაზღვრებოდა.

მსგავსი ადათ-წესები ვარიაციული სახესხვაობებით არტაანის სოფლებშიცაა წარმოდგენილი. ცივი კლიმატური პირობები განაპირობებდა სქელკედლიანი სახლების მშენებლობის აუცილებლობას, რადგან ზამთარში, სქელ კედლებში, სიცივე ვერ აღწევდა და ინტერიერში სითბოს შენარჩუნებას უწყობდა ხელს, ხოლო ზაფხულში კი, პირიქით - ოთახს სიმშრალესა და სიგრილეს უნარჩუნებდა. მეორე მხრივ, ქვის სქელკედლებიანი ნაგებობანი თავდაცვის კარგ საშუალებას წარმოადგენდა. მიწაში განთავსებულ სქელკედლებიან ნაგებობაში მტრის შეღწევა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მომხვდურმა არ იცოდა, მიწის ქვეშ რა წინააღმდეგობა ელოდებოდა. ნაგებობების ერთადერთი ხის კარი მტკიცედ იყო ჩარაზული. კარის შემტვრევის შემთხვევაშიც კი მომხვდური შეიძლება იქედან ცოცხალი ვერ გამოსულიყო. მტრის მიერ საკვამურიდან ცეცხლმოკიდებული ნივთის ჩაგდება (რასაც ხშირად ჰქონია ადგილი) უშედეგო იყო, რადგან მაცხოვრებლები ადვილად ახერხებდნენ მის ჩაქრობას.

საინტერესოა ნაგებობათა გადახურვის ტექნოლოგიური პროცესი. ამოშენებული კედლების მთელ სიგრძესა და სიგანეზე ზემოდან დააგებდნენ ტყავშემოცლილ მრგვალ ძელებს, რომელთა შორის არსებული სივრცე შეივსებოდა 1 მეტრამდე სიგრძის ჭერებით. მასზე 3-4 სმ. სისქის ფიცრებს დააწყობდნენ ისე, რომ სივრცე არ დარჩენილიყო. ხოლო ზევიდან 40 სმ-მდე სისქის მიწას დააყრიდნენ და ტკეპნიდნენ ფეხით, ქვის საგორავით, ხის საზეპელათი. ბანის დატკეპნა - ერთ-ერთი ყველაზე შრომატევად საქმიანობას წარმოადგენდა. თუ იგი საგულდაგულოდ არ დაიტკეპნებოდა, წვეთს ჩაუშვებდა. ამიტომ, ეს სამუშაო სრულდებოდა ურთი-

ერთდამარებით, კოლექტიური შრომის გამოყენებით, რაც სათანადო სუფრით მთავრდებოდა. ზოგჯერ მეზობლები დასახმარებლად საკუთარი სურსათ-სანოვაგითაც მიდიოდნენ.

ასეთი მიწატკეპნილი სახურავით - ბანით იყო მომთავრებული კომპლექსში შემაჯალი ყველა ნაგებობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი ბანი ბრტყელია. მიწატკეპნილი შუა ნაწილში წამოწეული უნდა ყოფილიყო, რათა შენობა დაცული ყოფილიყო წყლის ჩაჟონვისაგან. სიმტკიცისათვის სახურავს ქვემოდან ბოძებსაც უყენებდნენ.

არტაანელთა ნაწილი მაქსიმალურად იყენებს სახლის სახურავს - ბანს. მასზე თესავენ ბალახს, რომელსაც თიბავენ სეზონის მიხედვით. ბანის სიახლოვესვე იმართებოდა კალო, რომელიც ყოველთვის იყო საბძლის მხარეს.<sup>1</sup> მსგავსი თავისებურება და განლაგება დამახასიათებელი იყო თრიალეთელთა ყოფისათვის თანამედროვე არტაანშიც საცხოვრებლად მიწური სახურავით, ბანით მომთავრებული ნაგებობებია გამოყენებული, რომლებიც ერთმანეთზე მიყრილ-მიშენებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორედ ბანიანი სახლებისაგან შედგება არტაანელთა ძირითადი საცხოვრებელი ფონდი.

ზოგადად, სამხრეთ საქართველოსათვის ნიშანდობლივი ბანის გამართვის ტრადიცია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. იალალური ცხოვრების პირობებში ბანი ყველაზე ხელსაყრელი სახურავია. იგი ადვილი გასაკეთებელია და შენობას თანაბრად უნარჩუნებს ტემპერატურას. ასეთი წესით გადახურული სახლები ზაფხულობით გრილია, ზამთარში კი - თბილი.

არტაანელთა საცხოვრისის, მისი ინტერიერისა და ექსტერიერის ორგანიზაციული სტრუქტურა ვერ განიხილება იმ

---

<sup>1</sup> ჩიქოვანი თ., თრიალეთი, თბ. 1976, გვ. 53

ტექნიკური კონსტრუქციული სისტემის გარეშე, რომელიც საფუძვლად დაედო ნაგებობის კომპოზიციურ გადაწყვეტას<sup>1</sup>. საცხოვრებლის ინტერიერი იყოფა სხვადასხვა დანიშნულების გარკვეულ ფუნქციონალურ ზონებად: დამრეცერდოიანი დარბაზი, ბოსელი, სათივე, ჩარდახი, თონე, მოსავლისა და პროდუქტების შესანახი სათავსოები, რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ადგილი და ა.შ. ინტერიერის ფორმათა სიმართივე და სისადავე ქმნის ყველა დეტალის სიმსუბუქის შტაბეჭდილებას. შიგა სივრცე ხასიათდება კომპოზიციური მთლიანობით და ექვემდებარება შენობის მთლიან მხატვრულ გადაწყვეტას.



სოფ. ქოი იალთა

ჩვენი სამეცნიერო მიზანდასახულობის განხორციელება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მდგომარეობას ართულებდა თურქულ-ქურთული კონფლიქტი. იგრძნობოდა დაძაბულობა, ჩნდებოდა ეჭვი ჩვენი ექსპედიციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ზოგჯერ ისინი ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ ექსპედიციასთან განსხვავებული დამო-

<sup>1</sup> დავითაშვილი გ., საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია, „ძეგლის მეგობარი“, №34, თბ., 1974, გვ. 16

კიდებულებების გამო. შესაბამისად არ გვეძლეოდა ერთ დასახლებულ პუნქტში დიდხანს მუშაობის შესაძლებლობა. ჩვენი ინტერესების სფეროში შედიოდა საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსის არა მარტო ვიზუალური აღნუსხვა, არამედ ინტერიერისა და ექსტერიერის შესწავლა, საცხოვრებლის თითოეული სათავსოს ფუნქციური დანიშნულება, სამეურნეო დატვირთვა. ამის შესაძლებლობა ყოველთვის როდი გვეძლეოდა. ზოგჯერ სოფელში ნახევარი საათითაც კი ვერ ვჩერდებოდით, რადგან ადგილობრივნი იწყებდნენ ჩვენი იქ ჩასვლის მიზეზების ძიებას, ითხოვდნენ ნებართვის დამადასტურებელ დოკუმენტს, სამართალდამცავ სტრუქტურებს აწვდიდნენ ინფორმაციას ჩვენი იქ ყოფნის შესახებ. ასე იყო მაგალითად არტაანის რაიონის სოფელ დუდუნაში (ეხლ. ბალიქ ჩილარი), (არტაანი-ჰამაკის გზატკეცილის მე-12 კმ-ზე მდებარე შესახვევიდან 3-დე კილომეტრზე). ჩვენ მხოლოდ იმის გარკვევა მოვახერხეთ, რომ ადგილობრივნი იყვნენ თარაქამები და მათი წინაპრები „ახისკიდან გადმოვიდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს“, რომ ერთ-ერთი რესპონდენტის „ბაბუას ბაბუა თბილისიდან იყო“. გვითხრეს, რომ სოფლის ცენტრში არსებული ეკლესიის ნანგრევები „ერძენების“ იყო. დამხედურთაგან რამოდენიმე ახალგაზრდა აგრესიულობით გამოირჩეოდა და გვსაყვედურობდნენ, რომ რომ „ჩვენ არ ვიყავით სტუმართმოყვარე ხალხი“, რომ თურქებს „გურჯისტანში პოლიცია მოსვენებას არ აძლევს, გურჯები კი თურქეთში თავისუფლად დასეირნობთ“. იგივე გვითხრეს მეზობელ სოფელშიც. არაა გამორიცხული მათი ასეთი აგრესიულობა უკავშირდებოდეს სამცხე-ჯავახეთიდან ე.წ. თურქი მესხების გასახლების ისტორიულ ფაქტს. ნიშანდობლივია, რომ რეგიონის ბევრი სხვა სოფლისაგან განსხვავებით დუდუნაში მცხოვრები თარაქამები გამოირჩევიან შედარებით მაღალი სა-

მეურნეო და საოჯახო კულტურით, რაც ვიზუალურადაც კარგად ჩანს. სოფელში მრავლადაა ლამაზი, თანამედროვე სახლები. როგორც ჩანს, ქართველებთან მათი წინაპრების თანაცხოვრების პირობებში შექმნილი მაღალი სამეურნეო კულტურა გადმოიტანეს ახალ საცხოვრისში.

შედარებით უფრო თავისუფალი მუშაობის საშუალება მოგვეცა მდ. სულაქლისა და მდ. გუმუშლუ გულის სანაპიროზე მდებარე 30 კომლიან სოფელ ალთაში (ძვ. ური), სადაც მოგვეცა ქალბატონ მედინე ოჯაქის საცხოვრებელი კომპლექსის დათვალიერების შესაძლებლობა. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქურთები და თურქები არიან. სოფელი მაჰალეებად არაა დაყოფილი.



სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელი

მედინე ოჯაქის კარმიდამო შედგება ეზოსაგან, 200-დე კვ. მეტრის ფართობის საბოსტნე მიწის ნაკვეთისაგან, საცხოვრებელი და სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობებისაგან (საქონლის სადგომი, სათივე// სამანლიქი, ხალხამი (საქონლის სადგომი ღია ცის ქვეშ) თონე).



სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი

სამეურნეო კომპლექსში შედის სათბური, რაც იშვიათობას წარმოადგენს არტანის სინამდვილეში. ამ ზონის სოფლებში არ მოყავთ ბოსტნეული. სათბურში უხვად ჰქონდა მასპინძელს კიტრი (ხაიარ), პომიდორი, მაკილო, წიწკა, კარტოფილი. საცხოვრებლისაგან მოშორებით დიდ ფართობებზე თესავენ ხორბალსაც.



სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის სათბური

მედინე ოჯაქის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი წარმოადგენს დიდ, კომპლექსურ შენობას, რომლის ჭერქვეშ გაერთიანებულია ადამიანის საცხოვრისი – ერდოიანი დარბაზი, საქონლის ღია და დახურული სადგომი, სათივე, თონე, პროდუქტების შესანახი სათავსო. შესასვლელი გზით ორადაა გაყოფილი. მარჯვენა მხარეს არის ხალხამი ქვის ყორით//ჩეფერით//ღუარ-ით (ჩვენთან ტვარე) შემოსაზღვრული, სათივე და თონე. მარცხენა მხარეს განთავსებულია საცხოვრებელი, ახორი და ბოსტანი სათბურით.



სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელი

არტანელთა მიწურ-ბანიანი სახლის საოჯახო ყოფის ცენტრს, მისი სოციალური ბუნების განმსაზღვრელს წარმოადგენს ერდოიანი საცხოვრებელი ოთახი, რომელსაც შეიძლება დარბაზი ვუწოდოთ (ჯავახურის მსგავსად). იგი ქვითა და ლამკირით აშენებული ფუნდამენტალური, მტკიცე ნაგებობაა, რომელიც უძლებს საუკუნეებს.

მედინე ოჯაქის მიწურბანიანი სახლი წარმოადგენს ძველნაშენ, დახშულ, ფუნდამენტალურად შეკრულ ქვითკირის დიდ შენობას. სახლს ეზოს მხრიდან აქვს შესასვლელი ცალყურა კარი. საცხოვრებელი სახლი, რომლის გარეთა კედლების სისქე 0,5 მეტრია, შედგება შუა დერეფნის, 4

ოთახის, პროდუქტების შესანახი ამბარის, აბანოსა და სამეურნეო დანიშნულების სათავსოსაგან. სახლის შესასვლელი „კორიდორი“ - შუა დერეფანი რ მეტრის სიგრძისაა, სიგანე კი შესასვლელში უფრო ფართეა, ვიდრე დერეფნის ბოლო ნაწილი. დერეფნის მარჯვენა მხარეს არის ნოხებდაგებული ქვის იატაკიანი მუთვანი//სამზარეულო. ამ ძველი ყაიდის სათავსოში თანამედროვე ტექნიკაა (სარეცხი მანქანა) განთავსებული, ე.ი. შერწყმულია შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ყოფა.



ამ სათავსოში ამზადებენ საკვებს, რომელსაც იქვე მირთმევენ იატაკზე ფეხმორთხმულები. სკამების ნაცვლად იყენებენ ბალიშებს. მათ არ აქვთ საწოლები, ლოგინები კი ოთახის ერთ კუთხეშია დალაგებული, რომელიც იშლება პირდაპირ იატაკზე - დაწოლის წინ.



### საძინებელი

ოთახი სამხრეთის მხრიდან ღია კარებით უკავშირდება აბანოს, ხოლო დერეფნის ბოლოში, მარჯვენა მხარეს განთავსებულია ხის ამბარი. ამბარის შესასვლელთან არსებული თავისუფალი ფართი ასევე სამეურნეო ფუნქციითაა დატვირთული. ამბარი//ბელელი გამოიყენება ფქვილის, ხორბლის, პროდუქტების შესანახად.



### ამბარი

საცხოვრებელი სახლის დერეფნის მარცხენა მხარეს არის **ოთურმა ოღასი//მისაღები**, რომლის გვერდით კვლავ ორი საძინებელი ოთახია განთავსებული.

საცხოვრებელი ოთახის ფართი რაციონალურადაა განაწილებული. ოჯახის ყველა წევრს მიჩენილი აქვს თავისი ადგილი. თავ-თავიანთი კუთხე აქვთ საოჯახო დგამ-ჭურჭელს, სხვა ინვენტარს.

რეგიონის სხვა დასახლებული პუნქტებისაგან განსხვავებით, მოგრძო ტიპის ერთსართულიანი საცხოვრისებია წარმოდგენილი **სოფ. ჰასქოიში**. მთხრობელთა გადმოცემით სოფლის ერთ-ერთ უბანში „**რუმებს უცხოვრიათ.**“ „მათი გარდაცვალების შემდეგ რუმების ნასახლარებზე თურქები დასახლდნენ და ახალი სახლები ააშენესო. მეჩეთის გვერდით ადრე ეკლესია იყო. იქვე ყოფილა რუსების სამხედრო ბაზა. რესპონდენტის თქმით, სოფელს შეუნარჩუნდა ადრინდელი სახელი. როგორც ჩანს, ადრე ამ სოფელში ცხოვრობდა ბერძნული მოსახლეობა. ხეობის სახელწოდება **რუმ//ურუმ დერესი** ადასტურებს აღნიშნულ მოსაზრებას.

ჰასქოიში მოგვეცა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა **ფაიქ ალფთეჟინის** საცხოვრებელი სახლი. იგი ქვის სარდაფიანი მოგრძო ტიპის ერთსართულიანი ნაგებობაა.



### **ჰასქოი, ფაიქ ალფთეჟინის საცხოვრებელი სახლი**

სახლი დაშენებულია ქვის საძირკველზე. მთხრობელის თქმით, ადრე ეს ადგილი რუსების კუთვნილება ყოფილა. მათი წასვლის შემდეგ შენობა დანგრეულა, რომლის საძირკ-

ველზე აშენებულა აღნიშნული საცხოვრისი. სახლის მშენებლობისას გამოუყენებიათ აღრინდელი შენობის ნანგრევები.

ფაქ ალთექინის საცხოვრებელი სახლი ერთსართულიანია. იგი გრძელი, ოთხკუთხა მოყვანილობისაა ორფერდა გადახურვით. სახურავი თუნუქისაა. კედლის სისქე 63 სმ. შენობა შედგება საძინებლის (იათაქ ოდა), მისაღების (ოთურმა სალონი), მუთვალ ოდის (სამზარეულო), ბანია ოდასის (აბანო) და ფოილეთ ოდასისაგან (საპირფარეშო).



ოთურმა ოდა



იათაქ ოდა



სამზარეულო (მუთვალ ოდა//ამბარი) დამხმარე სათავსო, ბანია ოდაში გასასვლელი

ოთახების სიმაღლე 2,90 მმეტრია. მისაღები ოთახი ორფანჯრიანია. სახლს აქვს ერთი შესასვლელი. ხის მასალად ფიჭვია გამოყენებული. ჩვენი ყურადღება მიიქცია ფანჯრების კონსტრუქციამ. ციხეებისაგან განსხვავებით სახლის ფანჯარა შიგნიდან ფართოა, ქუჩის მხარეს კი ვიწრო.

რეგიონში მრავლადაა მიწურბანიანი სახლები, რომელთაგან ზოგიერთი კარგადაა შემონახული და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება.



ნაყოფიერი გამოდგა ექსპედიციის საქმიანობა **ჰანაკის რაიონის სოფ. ავეჯილარში** (ავეჯი-მონადირე). იგი ქვ. ჰანაკის სახელით მოიხსენიება საისტორიო საბუთებში.. სოფლის ცენტრიდან 0,5 კმ-ს მოშორებით, მდ. თემისწყლის (ეხლ. ავეჯილარის წყალი) სანაპიროზე მდებარეობს ძველი ნასოფლარი.



მდ. თემისწყალი // ავჯილარისწყალი

მთხრობელთა ერთი ნაწილი ნასოფლარს **თემი-ს** სახელით მოიხსენიებს. ნასოფლარში შემონახულია ძველ საცხოვრებელთა საძირკვლის ნაშთები, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, გვიანდელ შუასაუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. შესაბამისად დასახლება მიწურბანიანი სახლებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.



საძირკვლის ნაშთები (თემი)

სოფელი გაშენებული იყო თემისწყლის ორივე ნაპირზე, თუმცა ძირითადი დასახლება მარცხენა სანაპიროზე ყოფილა, რაც ვიზუალურადაც კარგად ჩანს.



თემი, ნასოფლარი

ნასოფლარი მთებს შორის ვაკე და თანმიმდევრული შეფერდების მდელოზე იყო გაშენებული. სოფლის ორივე მხარეს მთებია, ხოლო ხეობა სოფელში შესასვლელსა და გასასვლელში ვიწროვდება და ქმნის ოთხივე მხრიდან მთებით შემოსაზღვრულობის შთაბეჭდილებას. მთებს შორის, ტაფობზე, მდინარის ვაკე ზედაპირსა და მარცხენა სანაპიროს შეფერდებაზე ყოფილა გაშენებული სოფელი. ჩრდილო-დასავლეთიდან, შემალღებულ გორაკზე არის **ყიშლა ყონალის (ეხლ. ავჯილარის) ციხე**. მცენარეული საფარი თითქმის არაა, თუ არ ჩავთვლით ნასოფლარში ხეობის ბუჩქოვანი და ფოთლოვანი მცენარეების უმნიშვნელო რაოდენობას.

საინტერესოა სოფლის ძველი სახელწოდება „თემი“. იგი დასახლების ერთეულისა და ორგანიზაციული სტრუქტურის მიმანიშნებელ ტოპონიმად გვესახება. ერთ-ერთი მთხრობელის ინფორმაციით, „ადრე აქ ქართველებს უცხოვრიათ, თურქები მათი წასვლის შემდეგ მოვიდნენ (თუმცა ახლა

უმრავლესობა ქურთების შთამომავლები უნდა იყვნენ), ეს ციხეც „გურჯი უსტას“ აშენებულიაო“. ქართველების ცხოვრების კვალს ადასტურებს სოფ. ჩაიალაზის (ძვ. ორალაზი) მცხოვრები ერთ-ერთი რესპონდენტი. მისი თქმით, მისი აბლა (ბიცოლა) გურჯი ყოფილა. ამჟამად ამ სოფელში ცხოვრობენ აქთაშები, ოჯახები, იურთები, თაშდემები, ქილიჩები, ქომურჯები, გუნდუზები, აქფაები და სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები.



მთხრობელი იბრაიმ ჩობანი

მთხრობელთა მეორე ნაწილი უარყოფს ქართველების აქ ცხოვრების კვალს და არც „თემს“ ადასტურებს სოფლის სახელწოდებად. მათი ინფორმაციით ამ ნასოფლარს ადრე ესკი ქოი//ყიშლა ჰანი ერქვა. „მიწისძვრის შემდეგ გადავიდნენ საცხოვრებლად ამჟამინდელ ავჯილარში იქ მაცხოვრებლებიო“. მათი ინფორმაციით ნასოფლარს „სოფლის სასაფლაოებს“ უწოდებენ, ციხის აშენებას კი რუსებს მიაწერენ (მთხრობელი სინაშ ჩახმახი)

როგორც ჩანს, მათი კულტურული მეხსიერება შორს ვერ მიდის. რეგიონის დემოგრაფიული სურათის შეცვლის

შემდეგ მათ მენსიერებაში ქართველების ცხოვრების კვალი წაშლილია.

სოფელ ავჯილარში ამჟამად 70-მდე ოჯახი ცხოვრობს. გავრცელებული გვარებია: ჩობანი, აიღენირი, იშაკი, ქემბრიქი, ოზთურქი, აიღამირი, თოროდლუ. რესპონდენტ **იბრაიმ ჩობანის თქმით**, მისმა წინაპრებმა იცოდნენ ქურთული, მაგრამ მათ აღარ იციან და თავს თურქებად მიიჩნევენ. მთხრობელები რატომღაც ერიდებიან მათი ქურთული წარმომავლობის დაფიქსირებას, რაც, ცხადია, ამჟამინდელ პოლიტიკურ პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ამ ზონის სოფლებში საწვავად წივას//თექეზს იყენებენ. წივის დასამზადებლად საქონლის დაგროვილ პატივს გაშლიან, დატკეპნიან, დაჭრიან და ახმობენ.



წივა//თექეზი

ზოგადად, არტანელთა საცხოვრისები კონსტრუქციულ-არქიტექტურული თვალსაზრისით იმავე რიგის თრიალეთურ თუ ჯავახურ საცხოვრისებს მოგვაგონებს, თუმცა მათგან განსხვავებით ნაკლები სინატიფით ხასიათდებიან. მათი „ოთურმა სალონი“ ქართული დარბაზის არქაული ფორმას მოგვა-

გონებს. ქართველების დარბაზთან შედარებით იგი უფრო დაბალი და ბნელი ნაგებობაა. განსხვავებულია გვირგვინის კონსტრუქციებიც.

**დამოწმებანი:**

1. ადამია ი., ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში, „ძეგლის მეგობარი“, №12, თბ., 1967;
2. დავითაშვილი გ., საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია, „ძეგლის მეგობარი“, №34, თბ., 1974;
3. თ. ჩიქოვანი, თრიალეთი, თბ., 1976;
4. საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010;
5. საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია არტაანში, 2016 წლის აგვისტო, დღიურები.

***Tamaz Phutkaradze***  
*Batumi Shota Rustaveli State University*  
**A PEASANT HOUSE IN KOI-IALTA**  
**RESUME**

The study off upbringing style was still beginning in 30-ies of XX century. Kurt Levin distinguishes three upbringing styles - authoritarian, democtaric and liberal (Lewin 1939: 36). The article deals with these three style and are presented their results.

**საბჭოთა ოკუპაცია და რევკომების შექმნის ისტორიის  
ზოგიერთი საკითხი ქუთაისის მაზრაში**

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ახალი დროის ისტორიაში. ეს ნიშნავდა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ქართველი ხალხის, მისი სახელოვანი შვილების ნანატრი ოცნების ასრულებას, ერის მიერ დამოუკიდებლობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას.

ვიდრე ამ სანუკვარ ოცნებას ფრთები შეესხმებოდა, ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რთული და მძიმე გზაზე გმირობის და თავდადების საუკეთესო მაგალითი გამოავლინა. ქუთაისი და მისი რეგიონი აქტიურად იყო ამ პროცესებში ჩართული და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში.

დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამიოდე წელი იარსება. ახლადშექმნილმა საბჭოთა იმპერიამ იმთავითვე „იზრუნა“, რომ საქართველო იმპერიის შემადგენლობაში შეეყვანა. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი, ხოლო ქართველი ხალხი ამჯერად, საბჭოთა იმპერიის კოლონიური უღლის ქვეშ მოექცა.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ხელისუფლების უმაღლესი, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას მოკლებულ ორგანოს „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ წარმოადგენდა. 1921 წელს არჩეულმა საქართველოს რევკომის პრეზიდიუმმა ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით ადგილობრივი მმართველობა შემდეგნაირად მოაწყო: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებად აღიარებულ იქნა სამაზრო, საქალაქო, სათემო და სასოფლო რევოლუციური კომიტეტები. სამაზრო რევოლუციური კომიტეტები უნდა დამორჩილებოდნენ საგუბერნიო რევოლუციურ კომიტეტებს, სულ უნდა შექმნილიყო ოთხი საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტი: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, აგრეთვე სოხუმის რევოლუციური კომიტეტი. იმის გამო, რომ საგუბერნიო და საოლქო რევკომების სისტემამ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა, ამიტომ შეიქმნა სამაზრო, საქალაქო და სათემო რევკომები<sup>1</sup>.

1921 წლის 8 მარტს შეიქმნა ქუთაისის საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა საქართველოს რევკომის საგანგებო რწმუნებული ქუთაისის გუბერნიაში ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი. 24 მარტის განკარგულებით საგუბერნიო რევკომს დაქვემდებარებული სამაზრო რევკომი ჩამოყალიბდა. მის თავმჯდომარედ აკაკი დალაქიშვილი დაინიშნა, წევრებად კი თ. გორგასლიძე და ვ. სულავა<sup>2</sup>. 7 აპრილს საგუბერნიო რევკომის დადგენილებით (თავმჯდომარე დავით ლორთქიფანიძე) ქუთაისის სამაზრო რევკომი გაუქმდა, მისი მმართველობა გადა-

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია, საუკუნე, ვ. გურიელის რედაქციით. თბ., 2003, გვ. 209.

<sup>2</sup> ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში ქცსა), ფ. 305, აღწერა 1, საქმე 4, ფურც. 27.

ვიდა გუბრეგოძის განკარგულებაში. ეპოქისათვის დამახასიათებელი დინამიზმისა და არასტაბილურობის გათვალისწინებით ვითარება მალე შეიცვალა. „1921 წლის 10 აპრილს საქართველოს რევკომმა ქუთაისში ჩაატარა ქუთაისის გუბერნიის სამაზრო და საქალაქო რევკომის თავმჯდომარეთა თათბირი, მას ხელმძღვანელობდა საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე. თათბირმა მიიღო დადგენილება ქუთაისის საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტის სამაზრო რევოლუციურ კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“<sup>1</sup>.

ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებების გატარების აუცილებლობასთან დაკავშირებით საქართველოს რევკომმა 1921 წლის 15 აპრილს სპეციალური დადგენილება გამოსცა: „გუბრეგოძი გადადის ქუთაისის მაზრის რევკომად და ავრცელებს თავის უფლებამოსილებას მხოლოდ ქუთაისის მაზრაზე. რევკომის განყოფილებათა ყველა გამგეებს წინადადება ეძლევათ მოახდინონ რეორგანიზაცია გუბერნიის მაზრების, შეამცირონ შტატები, გამოუცვალონ ბეჭდები და სხვ“<sup>2</sup>.

რევკომის შემადგენლობაში შეიქმნა საბინაო, მიწის, შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, ეკონომიკური, კომუნალური, საფინანსო, ჯანმრთელობის დაცვის და სახალხო განათლების განყოფილებანი, სახალხო მეურნეობის საბჭო, სასურსათო კომიტეტი და მუშურ-გლეხური ინსპექცია.

ქუთაისის მაზრა ცალკეულ თემებისაგან შედგენილ 8 სარაიონო უბნად იყო დაყოფილი. მაზრის მცხოვრებთა საერთო რიცხვი 320000 სულს უდრიდა<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> ვაჭრიძე გ., ვაჭრიძე პ., ქუთაისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსის ისტორიისათვის. ქუთ., 1995, გვ. 13.

<sup>2</sup> ქცსა, ფ. 305, აღწერა 1, საქმე 4, ფურ. 76.

<sup>3</sup> ვაშაყმაძე ნ., საბჭოთა ხელისუფლების პირველი ეტაპი ქუთაისის მაზრაში, კრ. „მესხეთი“, ტ. X, თბილისი-ახალციხე, 2008, გვ. 21.

ქუთაისის რეკომმა სახელმწიფო აპარატის სხვა ადგილობრივი ორგანოებიც ჩამოაყალიბა, რომელთაც განსაკუთრებული დატვირთვა ეძლეოდათ. ბოლშევიკური ხელისუფლების განმტკიცების საქმეში კონტრევოლუციის, ჯაშუშობის, ბანდიტიზმის, საბოტაჟის, სპეკულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად გუბრეეკომის 25 მარტის დადგენილებით შეიქმნა საგანგებო „ტროიკა“ მ. განოკის თავმჯდომარეობით<sup>1</sup>.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისში შეიქმნა რევოლუციური ტრიბუნალიც, რომელშიც შედიოდნენ: თავმჯდომარე ვ. ბახტაძე, წევრები - ს. ადამსკი და ა. კაჭარავა<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის რევოლუციური კომიტეტისა და რევოლუციური ტრიბუნალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვ. ბახტაძე ქუთაისის იმდროინდელ მოსახლეობას შემდეგნაირად ახასიათებდა: „რა არის ქუთაისი? ანდა ვინ არიან ქუთაისელების უმრავლესობაში? ტიპიური ქალაქი ქართველები მეშჩანების, კუდმოჭრილ პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენტებისა და წვრილფეხა, აგრეთვე მამულიშვილურად მოაზროვნე სპეკულიანტებისა. აი, ქუთაისი (ძველებურად ქუთაისის თავის მცხოვრებთა 60 პროცენტში მანც)“<sup>3</sup>.

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რეკომმა იერიში მიიტანა კერძო საკუთრებაზე და „მხვილ საწარმოთა რაციონალიზაციის“ ლოზუნგით სახალხო მეურნეობის საბჭოს გადასცა თამბაქოს და გრეხილი ავეჯის ფაბრიკები, აგურისა და ყინვის დამამზადებელი ქარხნები, ლალიძისა და ბეგოვის ელექტროსადგურები, ტყავის ქარხანა, საქსოვი სახელოსნო და კერძო სტამბები. 14 მარტის დადგენილების საფუძველზე ქალაქში არსებული ბანკები ერთ

---

<sup>1</sup> ქცსა. ფ. 305, აღწერა 1, საქმე 4, ფურ. 24.

<sup>2</sup> იქვე, საქმე 119, ფურ. 76.

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1922, №42.

სახალხო ბანკად გაერთიანდა. საბანკო ოპერაციებზე მეთვალყურეობას რეეკომი ახორციელებდა, ბანკში დანიშნული სპეციალური კომისარის მეშვეობით<sup>1</sup>.

ამასთანავე, რეეკომის მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდა სახალხო სასამართლოები, რომელთაც იუსტიციის განყოფილების საშუალებით წარმართავდა. არსებულ მთავრობას იდეოლოგიურად ზურგს უმაგრებდა ქუთაისის საგუბერნიო რეეკომისა და ბოლშევიკური პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო - გაზეთი „მუშა და გლეხი“, რომელიც 1921 წლის 3 აპრილიდან გამოდიოდა, პარტიული და საბჭოთა მოღვაწის, ქუთაისის რეეკომის თავმჯდომარის მოადგილისა და რევოლუციური ტრიბუნალის ხელმძღვანელის - ვალერიან (ვალია) სამსონის ძე ბახტაძის რედაქტორობით<sup>2</sup>.

რევოლუციური კომიტეტები იქმნებოდა მაზრის სხვა რაიონებშიც. კურსების თემიდან იუწყებოდნენ, რომ იქ ადგილობრივი რეეკომი შექმნილა 1921 წლის 12 მარტს, რომელიც თურმე „იმ წამიდანვე შეუდგა ენერგიულ მუშაობას რევოლუციური წესრიგის განსამტკიცებლად“. ამ მიზნის მისაღწევად რეეკომის წარმომადგენლებს მალევე მოუხერხებიათ არასაიმედო ელემენტების განიარაღება. ასევე განუხორციელებიათ სახაზინო ქონების (საქონლის, ცხენების) ჩამორთმევა. მსგავსი ღონისძიება გატარდა თემის ყველა სოფელსა და დაბაში. რეეკომმა თემის ყოფილი გამგეობისაგან გადმოიბარა მთელი ქონება და ანგარიშები. სტატიის ბოლოს ავტორი, ვინმე „იაგო“, აღნიშნავს, რომ „მთელ თემში მტკიცე რევოლუციური წესრიგია“<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> გაზ. „სტალინელი“, 1967, №52.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გაზ. „მუშა და გლეხი“, 1921, №3.

ვანის რეკომის ჩამოყალიბების შესახებ ცნობები დაცულია ვინმე გ. სულორელის კორესპონდენციაში, სადაც აღნიშნულია, რომ „ძველი მთავრობის განდევნის შემდეგ, როგორც ყველგან, ვანშიც შედგა რევოლუციური კომიტეტი ანუ „რეკომი“, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ძველი მუშა იოსებ ვაშაყმაძე, მდივანი ა. კალანდაძე, წევრები: დ. ბაღდავაძე, კ. გამყრელიძე და ბ. ბოლქვაძე.

ტობანიერის თემში რეკომის შექმნაზე მოგვითხრობს კორესპონდენცია, გამოქვეყნებული ვინმე ს. თობანიერის ავტორობით. მასში აღნიშნულია, რომ მენშევიკური მთავრობის გადადგომის შემდეგ თემის აპარატი ადგილობრივმა კომუნისტებმა ჩაიბარეს და შეიქმნა რეკომი, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გ.ნაფეტვარიძე, ხოლო მდივნად - ა. ტაბიძე<sup>1</sup>.

ქალაქ ხონში საბჭოთა ხელისუფლება 12 მარტს გამოცხადდა. ადგილობრივი რეკომის თავმჯდომარე გახდა კორნელი ქაცარავა, რომელიც შემდეგ პოლიკარპე ბახტაძემ შეცვალა. ხონის რაიონში, ისევე როგორც მთელს საქართველოში რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო. ქართველი კომუნისტების მიერ კანონიერი მთავრობის დამხობამ, გარეშე სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, შიში და საყოველთაო უნდობლობა გამოიწვია საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ხიშტებზე დაყრდნობილი ახალი ხელისუფლების მიმართ<sup>2</sup>.

წყალტუბოს თემში გამართულ კრებაზე რეკომის თავმჯდომარედ დაუსახელებიათ ი. შვანგირაძე, ხოლო მდივნად

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> მსჯელობისათვის იხ. პ. ვაჭრიძე, ხონის ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 251.

ა. კუჭავა, რომელთაც ექვსი კლასის განათლება ქონიათ მიღებული<sup>1</sup>.

ბაღდათის თემში ჩატარებულ კრებაზე რევეკომის თავმჯდომარედ აურჩევიათ ნ. სოხაძე, მდივნად - ს. ყანჩაველი. კრების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, „სულ ნდობას ვუცხადებთ არსებულ საბჭოთა მთავრობას და მზად ვართ მასთან ერთად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ ადგილობრივი კონტრრევოლუციონერების და ხალხის მოღალატეების წინააღმდეგ“. სტატეიას ხელს აწერს ვინმე ვლ. ყანჩაველი<sup>2</sup>.

ბაღდათის რაიონის რევეკომის თავმჯდომარის ნ. სოხაძის განცხადებით რაიონში კვალიფიციური კადრების დეფიციტი იყო, ისევე როგორც სამტრედიის, ტყიბულში, მაღლაკის თემში და სხვ.<sup>3</sup>

როგორც საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა, საოკუპაციო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა დაწყებითი კლასის განათლების მქონე პირები ხდებოდნენ.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის თანახმად, რეკომები წარმოადგენდნენ რევოლუციის ქარიშხლიან დღეებთან შეფარდებულ მოქნილ და ოპერატიულ ორგანოებს, რომლებიც შემდეგ გადასცემდნენ ძალაუფლებას საბჭოებს. ითვლებოდა, რომ საქართველოს რეკომების უფლებამოსილების ხანგრძლივობას განსაზღვრავდა კონკრეტულ-ისტორიული პირობები: „საქართველო მაშინ წარმოადგენდა გლეხურ ქვეყანას, მეტად ძლიერი ინტელიგენციით, ქართველი მენშევიკების სამწლოვანი ბატონობით და მათი დემაგოგიური განცხადებე-

---

<sup>1</sup> ქცსა, ფ. 305, აღწერა 1, საქმე 122, ფურ. 476.

<sup>2</sup> „მუშა და გლეხი“, 1921, №11.

<sup>3</sup> ქცსა, ფ. 305, აღწერა 1, საქმე 70, ფურ. 45.

ბით „სახალხო ხელისუფლების”, „სოციალიზმის”, „დემოკრატიისა” და „დამფუძნებელი კრების” შესახებ ჯერ კიდევ მოსახლეობის ნაწილი იყო მოწამლული. საქართველოს პროლეტარიატი სუსტი იყო, მათი ნაწილი კვლავ განიცდიდა მენშევიკების გავლენას. ამას ემატებოდა ის რთული საერთაშორისო ვითარება, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ<sup>1</sup>.

აღწერილი ვითარების გაანალიზება თვალნათელს ხდის, რომ „მუშურ-გლეხური რევოლუციისათვის” წინაპირობები საქართველოში არ არსებობდა. მარქსისტული იდეოლოგიისაგან თავისუფალ ქართულ ისტორიოგრაფიაში რევკომების სახელდახელოდ შექმნა და მათი არაპროფესიონალიზმი აღიარებული ფაქტია: „რევკომის მთელი შემადგენლობა, როგორც წესი, მუშურ-გლეხური იყო. ინტელიგენცია მისდამი უნდობლობის გამო ხელისუფლების ორგანოებიდან განზე იდგა. რევკომის მაშინდელ წევრთა უმრავლესობა თანამდებობისათვის შეუფერებელი იყო. მათ აკლდათ ელემენტარული განათლება და წარმოდგენაც არ ჰქონდათ ნორმალურ მმართველ აპარატზე. რევკომებში აღმოჩნდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის დროის ტერორისტები, წითელრაზმელები ან დემოკრატიული მმართველობის მიმართ განაწყენებული პირები, რომლებიც შეუზღუდველი ძალაუფლების ვითარებაში ბევრ უკანონობას ჩადიდნენ და წინააღმდეგობის ყოველგვარ ცდას თრგუნავდნენ იარაღით”<sup>2</sup>.

ამ თვალსაზრისს ამყარებს საქართველოს რევკომის პირველი თავმჯდომარე ფ. მახარაძე ხელისუფლებიდან ჩამო-

---

<sup>1</sup> ბახტაძე უ., რევკომი საქართველოში, ჟურნ. „მნათობი”, 1950, №12, გვ. 75.

<sup>2</sup> სურგულაძე აკ., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 83.

ცილების შემდეგ 1921 წლის 6 დეკემბრის რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის დაწერილ თავის მოხსენებით ბარათში: „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს ადგილზე არც ისეთი პარტიული უჯრედები აღმოჩნდა, არც ისეთი პარტიის წევრები, რომელთაც უნარი ექნებოდათ მოეწყოთ ხელისუფლება. ცხადია, ამ საქმისთვის მეტწილად ხელი უნდა მოეკიდათ საეჭვო ან პირდაპირ დანაშაულებრივ ელემენტებს. აი, სად არის ჩვენი პირველი ცოდვა, - აი, სად არის ფესვი ბოროტებისა. აქედან დაიწყო ჩვენი მარცხი თუ სანახევროდ მარცხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის საქმეში<sup>1</sup>.

ქართველ ბოლშევიკებს სურდათ რეგკომები ექციათ მტკიცე ძალაუფლების მქონე ხელისუფლების ორგანოდ: „რეგკომების სისტემა, რომელიც საქართველოში წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მმართველობის გარდამავალ ფორმას, ძალისმიერი მეთოდებით იკაფავდა გზას. მისი მოქმედების ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები ატარებდა ბრძანებით ხასიათს, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის<sup>2</sup>.

ბოლშევიკები იმედოვნებდნენ, რომ ძლიერი ძალაუფლების გარეშე რეგკომები ვერ მოახერხებდნენ ადგილებზე ვითარების გაკონტროლებას. ამ თვალსაზრისით მათი შეხედულებების საილუსტრაციოდ საინტერესოა ქალაქ თბილისის რეგკომების მიერ დამტკიცებული სარაიონო რეგკომების და განყოფილებების დებულება: „რეგკომი არის საბჭოთა ხელი-

---

<sup>1</sup> თოიძე ლ., ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 119.

<sup>2</sup> ნათემლაძე მ., დაუშვილი ალ., საქართველოს უახლესი ისტორია. თბ., 2004, გვ. 21.

სუფლების ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს მმართველობის ორგანოთა მხრივ, ე.ი. შექმნა მტკიცე მუშტის, რომელსაც შეეძლება მტკიცე რევოლუციური წესრიგის დამყარება<sup>1</sup>.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკური რუსეთისთვის ხელისუფლების ცენტრალურ თუ ადგილობრივ ორგანოებს მხოლოდ ფასადის ფუნქცია ჰქონდათ მინიჭებული. ამასთან ერთად რევკომის ხელში რეალური ძალაუფლების თავმოყრის ხელისშემშლელი ფაქტორი მართვის საკითხებში არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა იყო<sup>2</sup>.

საბჭოთა საქართველოში არსებული საერთო სურათიდან გამონაკლისს არც ქუთაისის მაზრა წარმოადგენდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 8 აგვისტოს ცირკულარული მოთხოვნის საპასუხოდ გაკეთებულ თავის ანგარიშში ქუთაისის სამაზრო რევკომის თავმჯდომარე აღიარებს გამოცდილი კადრების ნაკლებობის ფაქტს, როგორც გამართული მუშაობისათვის ხელისშემშლელ გარემოებას: „საერთოდ, საქმის წარმოება რაიონში ჩაითვლება სუსტად, ვინაიდან არ არის საკმარისი შტატები გამოცდილი პირებისა. ქალაქ ქუთაისში განყოფილებების მუშაობას ემჩნევა ნაკლი, რისი მიზეზიც არის ის, რომ არ გვეყავს საკმარისი შტატები პასუხისმგებელი ამხანაგებისა და უხდებათ თითოს დაიკავონ რამდენიმე თანამდებობა და მოსამსახურეთა სრული დაუკმაყოფილებლობა“<sup>3</sup>.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის, შესაძლებელია, იმ ეტაპზე წითელი არმიის შემოსვლა უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებულ ოკუპაციად არც კი მოიაზრებოდა, მაგრამ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლით განპირობებულმა რეკვიზებმა,

---

<sup>1</sup> გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, №21.

<sup>2</sup> ვაშაყმაძე ნ., 2008, გვ. 22.

<sup>3</sup> ქცსა, ფ. 305, აღწერა 1, საქმე 34, ფურც. 7.

ბურუსით მოცულმა მომავალმა, თუ ხელისუფლების ორგანოების ნაბიჯებმა, რაც კერძო საკუთრების ლიკვიდაციისკენ იყო მიმართული, მათში უნდობლობის ატმოსფერო შექმნა. ჩვენს მიერ ზემოთხსენებულ ანგარიშში ქუთაისის რევეკომის თავმჯდომარე მთავრობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ წერდა: „ქალაქი ქუთაისი არის მეშჩანური ქალაქი, რომლის დიდი უმრავლესობა ვაჭრობა-საქეულაციას ეწევა და, რა თქმა უნდა, ასეთი შემადგენლობა არ იქნება კარგად განწყობილი მთავრობასთან. რაც შეეხება მეორე ნაწილს ქალაქის მცხოვრებთა, უფრო მუშურს და საერთოდ, მშრომელების, ის კარგ განწყობილებაშია, მაგრამ ასეთი ცოტა არის. მაზრაში მუშების და გლეხების დიდი უმრავლესობა 80-90% კარგ განწყობილებაშია მთავრობასთან, დარჩენილი 10-20%, რომლებსაც წარმოადგენენ ადგილობრივი „კულაკები“ (სვირის რაიონის, სიმონეთელები და სხვ.) რა თქმა უნდა, ვერ არიან კმაყოფილი“<sup>1</sup>.

გლეხობის ლოიალობის შესახებ გამოთქმულ ამ თვალსაზრისის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ხელისუფლება მათთვისაც მიუღებელს წარმოადგენდა. ბოლშევიკების მიერ პროპაგანდული სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა კერძო საკუთრების ლიკვიდაციას გულისხმობდა, რომლის დამკვიდრება განსაკუთრებით მტკივნეული იქნებოდა სოფლად. ამ ფაქტის ერთგვარ აღიარებას ახდენს ვ. ბახტაძე საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო და სარაიონო ორგანიზაციების პირველ კონფერენციაზე თავის მოხსენებაში: „საქართველო არის გლეხური წვრილ-ბურჟუაზიული ქვეყანა. გლეხს, როგორც ასეთს შესისხორცებული აქვს სიყვარული კერძო საკუთრებისადმი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საქართველოს არ ჰყავს პროლეტარი-

---

<sup>1</sup> იქვე, ფურც. 5.

ატი, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს რევოლუციურ მოძრაობას. სამწუხაროდ, ის მცირერიცხოვანი მუშები, რომლებიც მოიპოვებინან, ჩვენთან არიან გახრწნილი მენშევიკების მიერ”.<sup>1</sup>

ოკუპაციის პირველ წელს ომით გამოწვეულ საერთო ნგრევას ქუთაისის მაზრაში სტიქიური უბედურება დაემატა, რამაც მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო... მით უმეტეს, რომ ეს მხარე მაღალი ეკონომიკური მასვენებლის მქონეს უხვმოსავლიანს არ წარმოადგენდა: „წელს მთელი ქუთაისის მაზრა გაზაფხულისა და ზამთრის გამუდმებული გვალვების გამო მოსავლის ნაკლებობას განიცდიდა, მაგრამ არის ამ მაზრაში ერთი კუთხე, სახელდობრ, გამოჩინებულის და გულოკერის თემები, რომელიც არა თუ ნაკლოვანებას განიცდის, არამედ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეხლაც მოსავლის აღების დროს უკვე ნაწილობრივ შიმშილობს. ყოველმხრივ შევიწროებული ხალხი ჩაგარდა მეტად უხერხულ მდგომარეობაში, სოფლად უკვე დაიწყო ოთხფეხა საქონლის გაყიდვა, სპეკულანტები სარგებლობენ ასეთი მდგომარეობით და საქონელს ჩალის ფასად ყიდულობენ“, - წერდა გამოჩინებულის სათემო რევეკომის თავმჯდომარე სამაზრო რევეკომს.<sup>2</sup>

მთელს ქვეყანაში ბატონობდა ინფლაცია, ყოველდღიურად იზრდებოდა ფასები. ამ თვალსაზრისით არც ქუთაისის მაზრა წარმოადგენდა გამონაკლისს. ვითარების საილუსტრაციოდ ყურადსაღებია სამაზრო რევეკომის საფინანსო განყოფილების მიმართვა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისადმი: „თქვენდამი არაერთგზის თხოვნის მიუხედავად არ არის გამოგზავნილი ფულის ნიშნები, თუკი იგზავნება

---

<sup>1</sup> იქვე, საქმე 19, ფურც. 132.

<sup>2</sup> იქვე, საქმე 34, ფურც. 74.

ისე მცირე რაოდენობით, რომ შეუძლებელია ყველაზე აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. იმის წყალობით, რომ ფასები ყოველდღიურად იზრდება, რისი ყიდვაც დღეს შეიძლება ხვალ იგივე საგნებში სამჯერ მეტი უნდა გადაიხადო. ეს იწვევა ფულის ზედმეტ ფლანგვას, დაჟინებით გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამოავზავნოთ ჩემს მიერ ნათხოვარ თანხაზე მეტი, კიდევ ერთი მილიარდი მანეთი”<sup>1</sup>.

ფულის ნიშნების გაუფასურების გამო ვაჭრობამ ნატურალური ხასიათი შეიძინა, გლეხი ცდილობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი პირველადი მოთხოვნილების საგნებში გაეცვალა. „მიწის მუშა გაურბის სიძინდის და სხვა სანოვანის ფულზე გაყიდვას, დაჟინებით მოითხოვს ნაცვლად ამისა ნავთს და მარილს, მანუფაქტურას, რკინა-შაბიამანს და სხვა მისთვის აუცილებელ საჭირო საგნებს”<sup>2</sup>.

არსებული ვითარება ბუნებრივი პროტესტის გრძნობას ბადებდა. სოციალისტური ფენების უკმაყოფილებას სხვადასხვა წყაროები კვებავდა. მოტივაციათა განსხვავების მიუხედავად მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს ხელისუფლების მიუღებლობის, მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება აერთიანებდათ. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველ ეტაპზე განვლილი მარცხისაგან საზოგადოება თითქოს გონს მოსვლას ცდილობდა, თუმცა სხვადასხვა ფორმით წინააღმდეგობის გამოხატვას მაინც ახერხებდა. „18 მაისს-იგონებს ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატი,- ქუთაისის საზოგადოებას ქალაქის ცენტრალურ ბუღვარში საჯარო გასამართლება მოუწყვიათ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ასამართლებდნენ ვ. ლენინს და ნ. ჟორდანიას. თეზისებიც წინასწარ ყოფილა ადგილობრივ რეგკომთან დარიგებული და

---

<sup>1</sup> იქვე, საქმე 16, ფურც. 10.

<sup>2</sup> იქვე, საქმე 19, ფურც. 27.

შეთანხმებული. სასამართლოს უამრავი ხალხი დასწრებია. განხილვის შემდეგ სასამართლოს და ხალხს ერთი განაჩენი დაუდგენია: ლენინს სიკვდილი და ჟორდანიას ცაში აფრენა!... გაცოფებულ ა. გეგეჭკორს ამ პროცესის ინიციატორები იქვე შეუპყრია და ციხეში შეუყრია<sup>1</sup>.

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში, გაზეთ „მუშა და გლეხის“ ცნობით, 29 აპრილს, ღამით, პარტიული ბიუროს დამთავრების შემდეგ მანქანით სახლში მიმავალ ქუთაისის რევოლუციური კომიტეტის წევრებზე (ა. გეგეჭკორი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე, ტ. ლორთქიფანიძე და აკ. დალაქიშვილი) შეიარაღებული თავდასხმა მომხდარა. ბოროტმოქმედებმა ავტომობილს, რომელშიც ისინი ისხდნენ, ხელყუმბარიდან და იარაღიდან ესროლეს. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, ყველანი უვნებლად გადარჩნენ. საბჭოთა რეგიონალურმა პრესამ ამ ფაქტში „ჟორდანია-რამიშვილისა და მათი დამქაში ევროპელი იმპერი-ალისტების ხელი დაინახა“<sup>2</sup>.

აღნიშნულ ამბავს სხვაგვარად გადმოგვცემს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ვლასა მგელაძე. მისი მოგონებების მიხედვით, ჩვენს ქუთაისში პროვოკაცია მოაწყო. ბომბი ისროლა და ქართველ რევოლუციონერებს დააბრალა. ამის გამო რამდენიმე პიროვნება დააკავეს. მათ შორის, პოლკოვნიკი ლექვინაძე და რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს<sup>3</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ ეტაპზე ქუთაისის მაზრაში შექმნილი ვითარების გაანალიზებისას აქცენტი უმ-

---

<sup>1</sup> კირთაძე ნ., პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და ოკუპაციის პირველი წლები. თბ., 1991, გვ. 22.

<sup>2</sup> გაზ. „მუშა და გლეხი“, 1921, №19.

<sup>3</sup> მგელაძე ვ., რუსეთის მობრუნება საქართველოში, პარიზი, 1936, გვ. 30.

თავრესად სოციალ-ეკონომიკურ სურათზე გაკეთდა, მაგრამ განმსაზღვრელი მანც პოლიტიკური რეჟიმი იყო. გარკვეული თავისებურებებისა და სპეციფიკის მიუხედავად ქუთაისის მაზრის მდგომარეობა ოკუპირებული საქართველოს საერთო სურათის ერთი შტრიხია.

**დამოწმებანი:**

**ბახტაძე უ.**, რევიკომი საქართველოში, ჟურნ. „მნათობი“, 1950, №12, გვ. 75

**ვაშაყმაძე ნ.**, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ეტაპი ქუთაისის მაზრაში, კრ. „მესხეთი“, ტ. X, თბილისი-ახალციხე, 2008, გვ. 22

**ვაჭრიძე გ, ვაჭრიძე პ.**, ქუთაისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსის ისტორიისთვის. ქუთ., 1995

**ვაჭრიძე პ.**, ხონის ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 251

**თოიძე ლ.**, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.

**კირთაძე ნ.**, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და ოკუპაციის პირველი წლები. თბ., 1991, გვ. 22

**მგელაძე ვ.**, რუსეთის მობრუნება საქართველოში, პარიზი, 1936

**ნათმეღაძე მ., დაუშვილი ა.**, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004

საქართველოს ისტორია, საუკუნე, ვ. გურიელის რედაქციით. თბ., 2003

**სურგულაძე აკ., სურგულაძე პ.**, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 83

გაზ. „კომუნისტი“, 1922, №42

გაზ. „მუშა და გლეხი“, 1921, №3, 11, 19

გაზ. „სტალინელი“, 1967, №52

გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921, №21  
ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში  
ქცსა), ფ. 305, აღწერა 1, საქმე 4, 16, 19, 34, 119

***Kakhaber Kebuladze***

*Akaki Tsereteli State University*

**SOVIET OCCUPATION AND THE ESTABLISHMENT  
OF THE REVOLUTIONARY COMMITTEE OF THE  
HISTORY OF SOME OF THE KUTAISI REGION  
RESUME**

On the 26<sup>th</sup> of May 1918 Georgian Declaration of independence was one of the most important event in Georgian's new time history. This meant to restore to lose state, Georgian people and their famous Children's cherished dream.

While this dream come true Georgian people showed the best example of heroism and devotion of fighting for independence in a difficult and complicated path.

It's natural that Kutaisi was actively involved in these processes and took an important part for liberation from Russian supremacy.

Georgia was an independent country only three years. The newly created the Soviet Empire immediately “took care” to enter Georgia into their Empire. The country lost an independent and nation sovereignty and Georgian people acted under the yoke of Soviet Empire.

*მაია შაორშაძე*  
*კორნელი კეკელიძის სახელობის*  
*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

**ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი**  
**XII–XIII საუკუნეებში**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა წარმოუდგენელია საეპისკოპოსოების შესწავლისა და მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგის დადგენის გარეშე. ბოლო დროს ამ მხრივ განსაკუთრებული დაინტერესება შეინიშნება და აღნიშნულ საკითხებს არაერთი ნაშრომი ეძღვნება. როგორც ცნობილია, თავის დროზე ამ მიმართულებით კვლევაში გამორჩეული წვლილი შეიტანა წმ. მღ. პ. კარბელაშვილმა და მისი ქრონოლოგიური რიგები, მართალია, საჭიროებს მეტ დაზუსტებას და გამართვას, მაგრამ ეს ნაშრომები თავისი დანიშნულებით აქამდე რჩება ერთ-ერთ გამოკვეთილ და გასათვალისწინებელ სახელმძღვანელოდ.

რაც შეეხება ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს XII-XIII საუკუნეებში, საბედნიეროდ, დღემდე შემორჩენილია ამ საუკუნეების საისტორიო დოკუმენტები, სადაც მოხსენიებული არიან ქართლის მთავარეპისკოპოსები და მათი ვინაობის გაგება საქართველოს „ოქროს ხანად“ აღიარებულ პერიოდში, კიდევ უფრო მეტ ინტერესსა და მნიშვნელობას იძენს. აღსანიშნავია ისიც, რომ სიგელებს კათალიკოსის შემდეგ ამტკიცებს და ხელს აწერს სწორედ

ქართლის მთავარეპისკოპოსი, ხოლო შემდეგ სხვა ეპისკოპოსები. ის მღვდელმთავართა შორის უპირატესია.

დაახლოებით 1189/1200 წლებითაა დათარიღებული [დოლიძესთან 1190-1204 წწ.].<sup>1</sup> „დაწერილი შიომღვიმის კრებულისა ტონხადსძეებისადმი,“ რომელსაც ამტკიცებს ქართლის კათალიკოსი თეოდორე II (1188–1204/1205 წწ.) და ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი:

„ქ. ესე დაწერილი ჩუენ, ქ(რის)ტეს მიერ ქ(ართლი)სა მ(თავარეპისკოპო)სსა გ(იორგ)ის ჩუენითა კელითა დაგუიმტკიცებია და, ვინცა კელყოს შლად და ქცევად, და მცა იქცევის დათანეთ-თანა, ყოვლითურთ ტომით მისითურთ და კრულია ღ(მრ)თისა პირითა, აქა ამა სა[უ]კუნესა, ცათა /შინა/ და ქუეყანასა ზ(ედ)ა... და დამამტკიცებელნი ღ(მერთ-მა)ნ აკურთხნეს!“<sup>2</sup>

1195/1196 წლების „სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი,“ დამამტკიცებლებში კვლავ მოიხსენიებს ქართლის მთავარეპისკოპოსს. მართალია, დოკუმენტში მისი სახელი არ მოჩანს, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსს უნდა გულისხმობდეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მეფე თამართან ერთად ანტონ ჭყონდიდელიც მოიხსენიება. იგი იწოდება, როგორც ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტო ოპერტიმოსი.

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970. გვ. 130.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ.; 1984, გვ. 85. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ.; 1970. გვ. 131.

„ქ. ამ(ა)ს ბ(რძანე)ბასა და სიგ(ე)ლსა ღ(მრთი)სა სწო-  
რისა მეფეთ-მეფ(ი)სა თამარისასა და ანტონი ჭყონდ(ი)დ-  
(ე)ლ(ი)ს და წმიდათა მამათა მღ(უი)მელთა, რ(ომე)ლ წყა-  
როსათ(უ)ს გაჩ(ენ)ით ვლ(ე)ხნი გაუჩ(ე)ნ(ი)ან და მეწყაროე-  
თათ(უ)ს ვენაჭი და ევლოგ(ი)აი მიუც(ე)მინან, მეცა, ქ(რის-  
ტე)ს მ(ი)ერ ქ(ართლი)სა მ(თავარებისკობო)სი, მოწ(ა)მე და  
დამამტკიც(ე)ბ(ე)ლი ვარ ბ(რძანე)ბისა მათისაი...” (Ad-81).<sup>1</sup>

დაახლოებით 1200 წლის ახლოსაა შედგენილი სიგელი  
– „დაწერილი მღვიმის კრებულისა ზოსიმესადმი,” სადაც  
კიდევ ერთხელ მოჩანს, რომ ქართლის კათალიკოსის შემდეგ  
ლოკუმენტებს ყოველთვის ქართლის მთავარებისკობოსი აწ-  
ერს ხელს და ამ დროისათვის იგი ეპისკოპოსთა შორის  
პირველი მღვდელმთავარია. „...და აწ ვინცა-ვინ ესე დაწერი-  
ლი და გაგებული ჩ(უენ)ი შეცვალოს და აქციოს, რადსაცა  
მიზეზითა: ...კრ(უ)ლმცა არს პ(ირვე)ლ ღ(მრ)თისა დაუ-  
ს(ა)ბ(ა)მ(ო)ისა პირითა (12 მოციქულის, 6 კრების და 5  
პატრიარქის ჯვრით – მ. შ.), ქართლისა კათალიკოზთა  
ჯ(უა)რითა, და ქართლისა მთ(ა)ვ(ა)რებისკობოსთა ჯუარითა  
და ყ(ოველ)თა მღდ(ე)ლთმ(ო)დლ(უა)რთა ჯ(უარ)ითა აქა და  
ს(აუ)კ(უ)ნესა, ა(მე)ნ!” (დამამტკიცებელნი ღმერთმა და ყოვე-  
ლთა წმიდათა აკურთხოს).<sup>2</sup>

შემდეგი ქართლის მთავარებისკობოსი, რომელიც ლოკუ-  
მენტებში მოჩანს, არის იოანე. სიგელში „ბრძანება გიორგი  
მეფისა მღვიმისადმი” (Ad-477), რომელსაც ზოგი მკვლევარი

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.),  
შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ.  
შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 103-104.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.),  
შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ.  
შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 91.

1211/1212 წლებით ათარიღებს, ზოგიერთი კი - 1222 წლით,<sup>1</sup> იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსი მეფეს თხოვს, რომ შიომღვიმის კუთვნილი სოფლის, აგარის, მიწაზე „ზროხისა შებმაი“ აკრძალოს. მეფე ლაშა-გიორგის (1213-1223 წწ.) დაუკმაყოფილებია მთავარეპისკოპოსის თხოვნა და „ზროხისა შებმაი გაუშვია“ აგარას.<sup>2</sup>

„...[მო]გუაჴსენა ქ(რისტე)ს გამორჩეულმან სასომან და მეფემან ჩ(უე)ნმან, წ(მილამა)ნ მამამთავარმან ი(ოვა)ნე, ქ(ართლისა) მ(თავარ)ე(ბისკოპო)სმან, უდაბნოისა მღუიძისა სოფლისა აგარისა საქმე და გუეჴაჯა, რ(ომე)ლ ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედ ედვა ფუძესა ზ(ედ)ა, რა(ითა)მცა იგი გაუშუით, სალოცველად მეფობისა ჩუენისად.

ჩ(უე)ნ ვისძინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი მისი ი(ოვა)ნე ქ(ართლისა) მ(თავარ)ე(ბისკოპო)სისაი და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რ(ომე)ლი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიძისა სოფელსა აგარასა, რაიცა მღუიძისაი არს საკუირაოისა გლეხითურთ” (ხაზგასმა ჩვენია).<sup>3</sup>

დაახლოებით 1230-იანი წლების I ნახევრითა დათარიღებული „დაწერილი დემეტრე წილკნელისა საბასადმი,” რომლის მიხედვითაც, დემეტრე წილკნელმა, მამამისმა ნიკოლოზმა და ძმებმა, იოვანემ და გიორგიმ, სიგელი მისცეს საბას და მღვიმის მონასტერში მწირველად დააყენეს. დემეტრე წილკნელმა მას თავისი გამზრდელის იოვანე მთავარე-

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35-36.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 109-110.

პისკოპოსისა და თავისი მოგებული მამულები უწყალობა, რომელთა შორის იყო იოვანეს მიერ აშენებული ნათლისმცემლის ეკლესია და უშენი, რომელიც ხვარაზმელთა შემოსევის დროს მოიშალა. „...ჩ(უე)ნისა გამზრდელისა ი(ოვა)ნე მთავარებისკოპოზისა სამწირველო პ[ური]თა ჰქონებოდა დაწერით და მათი აღარ-ვინ იყო უკაცურობ[ითა] და ჟამთა შემლითა სახლი და საქონებელი ყუელაი დაშავებულ იყო.“<sup>1</sup> სამუდამო მოსახმარებლად სწირავენ ისინი მკვიდრ მამულს და პურს, აგარაში ორ ვენახს მიწით, სხალტბაში ვენახს და მიწას და წყლისპირში ვაზს მღვიმის კრებულის ნებართვით. საბას ევალებოდა წირვის გადახდა შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე თავისთვის და იოვანე მთავარებისკოპოსისათვის: „ესე ყუელა [გამზრდე]ლისა ჩ[უე]ნისა მისგან აშენებულისა ნათლისმცემლისა ეკლესია და უშენი <და> ხუარაზმელთა მორბევასა შიგა ყუელაი მოიშალა და მას ჟამსა ესე გამოვარჩიეთ, რომელ მლუიმეს გქონდეს ჩ(უე)ნსა [სამწირველოსა [სახლსა]. და [შაბათ]-კუირეთა და დღესასწაულთა ჩუენსა ეკლესიასა შიგან წირ[ვ]აი გარდაიკდებოდეს], იოვანე მთავარებისკოპოსისა და ჩუენტვს.“

შემდეგ სწირავენ სხვა მამულებსაც. სიგელში ნათქვამია, რომ, ვინც რაიმე მიზეზით ამას შეცვლიდა: „[კრულმცა არს პირითა დმრთისაითა]... და მის მთავარ[ებისკოპოზის] იოვანეს ჯუართა და მადლითა. და ვინ დაამტკიცოს, ღ(მერთმა)ნ აკ(უ)რთხენ და ყ(ოველ)თა წ(მი)დათა მისთა!“ (ხელრთვები არ იკითხება).<sup>1</sup>

როგორც ჩანს, დოკუმენტი შედგენილია ჯალალ ედდინის 1225 წლის შემოსევის შემდეგ და ხვარაზმელების

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 112-113.

რბევის შედეგად ქართლის მთავარეპისკოპოსის სამწყსოს განსაკუთრებულად დაზარალების შესახებ ამბავს გვატყობინებს. იოანე ქართლის მთავარეპისკოპოსი სწორედ ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევების მომსწრე მთავარეპისკოპოსია და ზემოთ აღნიშნული სიგელის „ბრძანება გიორგი მეფისა მღვიმისადმი,” (Ad-477) დასათარიღებლად, რომელსაც ზოგი მკვლევარი 1211/1212 წლებით განსაზღვრავს, შესაძლოა, უფრო მართებულად 1222 წელი მივიჩნიოთ.

ცნობილი სიგელიდან – „შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი” (1245-1250 წწ.) [ზოგან 1247/1250 წწ.],<sup>1</sup> შემდეგ ამბავს ვგებულობთ: როგორც სულკურთხეულ ქართლის ერისთავ გრიგოლს დაუწერია და მღვიმისათვის მისი ნასყიდი სოფელი გავაზელნი, კოტმანთან ერთად, უსამართლოდ დადებული ბეგარისაგან გაუნთავისუფლებია და, როგორც ეს ქართლის კათოლიკოსს არსენს დაუმტკიცებია, ასევე ამტკიცებს ამ სიგელს ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი.<sup>2</sup>

„ქ. ესე ვითა სულკურთხეულსა გ(რი)გ(ო)ლს ქ(ართლისა) ე(რისთა)ვსა დაუწერია და მღ(ვი)მისთ(უ)ქს მათი ნასყიდი სოფელი გავაზელნი უსამართლოსა ზედა დადებულისა ბეგარისაგან გაუნთავისუფლებიან, კოტმნისა თანა, და წმიდასა მეუფესა და მოძღუ(ა)რსა ჩ(უ)ენსა არსენი ქ(ართლი)სა კ(ათალიკო)ზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია, მე-

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 126.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ; 1965. გვ. 41.

ცა ქ(რისტ)ეს მიერ ქ(ართლი)სა მ(თავარების)კ(ობო)სი გ(იორ)გი დავამტკიცებ კანონითა წ(მიდი)სა ეკლესიისათა.”

ვინც ეს მოშალოს: „...პ(ეტრ)ე მოციქულთა თავისა ჯუარითა და ჰრისხავ(ს)მცა ხატი ქ(რისტ)ესა ლ(მრთ)ისა, რ(ომე)ლი მდგომარე არს ტაძარსა შინა დიდებისა თუისისასა სამთავროს. და ჩუენ, გლახაკისამცა ჯუარითა კრულია ცოცხალი და მკუდარი გაუქსნელად. დამამტკიცებელნი ლ(მერთ-მა)ნ აკურთხნეს!”<sup>1</sup>

სიგელს ასევე ამტკიცებს იოანე ალავერდელი, შემდეგ კი არსენ მანგლელი: „ესე, ვითა... წ(მი)დათა მეუფეთა ქრისტეს მიერ ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზს არსენის და ქ(ართლი)სა მ(თავარების)სკ<კ>(ობო)ზსა გ(იორგ)ის უჯუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია, მეცა, უნდოი არსენი მანგლელი ჩემითა კელითა ვამტკიცებ.”

„ნასყიდობის დაწერილს შიომღვიმის კრებულისა მსახურთუხუცეს გრიგოლ სურამელისადმი” (1247-1250 წწ.) [ზოგან 1249/1260 წწ.],<sup>2</sup> ამტკიცებს აგრეთვე ქართლის მთავარებისკობოსი გიორგი: „ქ. ესე, ვითა სურამელსა გრიგოლს მსახურთ-უხუცესსა მათისა სულისათუის მღუიმელთა წისქუილნი აუშენნა და მღუიმელთაგანვე გლეხი იყიდა მეწისქუილედ და მათვე მღუიმელთა შესწირა სახელდებით ქავთარელი, მე ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარებისკობოსი გიორგი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.”<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 125–126.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984. გვ. 132.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 46.

ძალზედ საინტერესო ცნობებს შეიცავს „შეწირულების დაწერილი ძაგან აბულეთის ძისა შიომღვიმისათვის” (1260 წ.). [ზოგან 1259 წ.].<sup>1</sup>

კერძოდ, ძაგან აბულეთის ძე, ერისთავთ-ერისთავ ივანეს ძე, მისი მოძღვრისა და სულიერი მამის – ქართლის მთავარეპისკოპოსის გიორგის ბრძანებითა და „გამოზრახვითა,” შიომღვიმის მონასტერს სწირავს სოფელ ანგროინს. ძაგან აბულეთის ძე აღნიშნავს, რომ სოფელი ბაღდაღში ნაშოვნია ოქროთი შეუძენია.

„...ბრძანებითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გ(იორგ)ი ქ(ართლი)ს მ(თავარების)კ(ოპო)ზისაითა, მოვაკსენე და შევსწირე წ(მი)დასა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა ძმათა და მამათა სოფელი ანგროინი, ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძაის ძესა გ(იორგ)ის შვილსა ივანეს გაეყიდა და მე ზევე უკმოვიყიდე ბაღდაღს ნაშოებითა ოქროითა. იცოდეს ღ(მერთ)მან: მუნ ჩემითა კრძმლითა ნაშოებისგან კიდე არაი ვისი ყოფილა ამის ადგილისა სყიდასა შიგა, არ მამულისაი და არ სოფელთაგან ანალები.”<sup>2</sup>

კიდევ უფრო მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს „შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი” (1259-1260 წწ.) [ზოგან 1260 წ.].<sup>3</sup>

ამ ცნობილი სიგელიდან ვგებულობთ, რომ კახა თორელმა და მისმა მეუღლემ ხათუთამ სოფელი ხოვლე რკონის მონასტერს შესწირეს. კახამ ეს მამული აღბუღასაგან იყიდა, რომელსაც თავის დროზე ეს სოფელი ორტალებისაგან (ანუ

---

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 140.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 157–158.

ვაჭრებისაგან) შეუსყიდია, რადგან მაშინ ოქრო ძვირი იყო და სოფელი იაფი.

კახა თორელი მეფე დავით ულუს ბაღდადში გაუგზავნია, რომელიც მაშინ თათრებს აულიათ. ბაღდადური ალაფი ამის გამო იაფი იყო. ზოვლეს ფასიც კახა მეჭურჭლეთუხუცესმა აქედან მოიგო. თავის დროზე 65 ათას თეთრად აღბუღასაგან ნაყიდი სოფელი ზოვლე, ახლა მან გამოისყიდა და სრული ფასი გადაიხადა, შემდეგ კი იგი რკონის მონასტერს შესწირა. საბუთს მეფის, კათალიკოს ნიკოლოზის, კახა თორელისა და მრავალი პირის ხელრთვა ახლავს, მათ შორისაა ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგიც.

ხელრთვები: [15]. „ქ. ესე, ვითა ერისთავთ-ერისთავს კახოს მათის სამკუიდრებელისათჳს რკონისა ზოვლე შეუწირავს, მათგან ნასყიდი, მათდა სამლოცველოდ, მე, უფლისა მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი დავამტკიცებ. შემცვალებელნი ამისნი შესცვალენ ღ(მერთ)ო სჯულისაგან შენისა და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს მაღლითა მისითა!“<sup>1</sup>

გვიანდელი მინაწერები: [1]. მეფე ალექსანდრე, მისი ძენი და ძმანი წერენ, რომ „...ჩუენგან და ჩუენისა სიტყუისა მომსმინოთა კაცთაგან არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, დიდის სათათროს ულუფისაგან მეტი, არა დიდი და არა ცოტა, არა გორიდაღმან და არა ატენით, არაოდეს და არას ჟამსა შიგან არა. ესე ესრე სამე შემოგვიწირავს, რომე ყოველთა წელიწადთა ღ(მრთ)ისმშობლობას დღესა კარგადებული ალაპი ჩემთუის გარდაიკდებოდეს ყოვლითურთ უნაკლულოდ...”

---

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 66-67. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 156.

[2]. მოგვიანებით აფხაზეთისა და ქართლის მეფე გიორგი წერს: „...ახლად დაგიმტკიცეთ და გაგიახლეთ და გაგაჩინეთ თქუენის მონასტრისაგან ხარების დღესა აღაპი“...<sup>1</sup>

შემდეგი დროის ქართლის მთავარეპისკოპოსი, რომელიც XIII ს. 40-იანი წლების სიგელში ჩანს, არის საბა. „განჩინება საეკლესიო კრებისა შიომღვიმის შეუვალობის შესახებ“ მიღებულია არსენ ქართლის კათალიკოსის დროს (არსენ IV ბულმაისიმიძე – 1241/42–1249/50 წწ.). კრება ადგენს და ამტკიცებს მეფე დავითის ძველ შეწირულობებს მღვიმისადმი, ასევე ჩამოთვლილია ქართლის კათალიკოსები იოვანე, ოქროპირი, გაბრიელ, მელქისედეკ, რომელთა შეწირულობები შიომღვიმისადმი არავისგან არ უნდა შეცვლილიყო.

არსენ ქართლის კათალიკოსის დაწერილს, სხვა ხელით ამტკიცებს ქართლის მთავარეპისკოპოსი საბა: „[ესე], ვითა წმიდასა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა განუჩენია ბჭობითა და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა კელით-წერილნი... დაუმტკიცებინ, მეცა გლახაკი: **ქართლის მთავარეპისკოპოზი საბა** კელის-წერით დაგამტკიცებ“...<sup>2</sup>

ამ სიგელს („ნაწყვეტი არსენი კათალიკოზის სიგელისა“), თ. ჟორდანიას ათარიღებს 1218–1227 წლებით და, როგორც ჩანს, არსენ კათალიკოსს არსენ III-ედ (XIII ს-ის 20-30-იანი წწ.) მიიჩნევს. როგორც ცნობილია, არსენმა, რომელსაც ამავე დროს მწიგნობართუხუცესის თანამდებობაც ეჭირა, დატოვა კათალიკოსობა და სიცოცხლის ბოლო წლე-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 157–158.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970. გვ. 160-161.

ბი შიომღვიმის მონასტერში უბრალო ბერის ცხოვრებით გაატარა. იგი მოიხსენიება გრიგოლ სურამელის 1247/49 წლების შიომღვიმისადმი დაწერილში. მოხსენიებულია 1270 წლის შიომღვიმის ხელნაწერის კათალიკოს-პატრიარქთა სიაშიც.

თ. ჟორდანიას მიხედვით, ეტრატზე ნაწერი ეს სიგელი დაკარგულა და ხუცური ტექსტისაგან დარჩენილა მხოლოდ ერთი ნაწილი წყევა-კრულვისა, რომელიც მეტად დაზიანებული ყოფილა.

სიგელს ახლავს არსენ კათალიკოსის ხელრთვა, რომელიც 1227 წლის ცოტა ადრე გადამდგარა კათალიკოსობიდან და შიომღვიმეში შემდგარა უბრალო ბერად. მის ნაცვლად კათალიკოსად დაუყენებიათ გიორგი. რადგან თეოდორე კათალიკოსის შემდეგ, რომელიც იყო თანამედროვე თამარ მეფისა, 1190–1200 წლებში არსენამდე, კათალიკოსად მჯდარან: ბასილი, იოანე და ეპიფანე, ამის გამო, თ. ჟორდანიას აზრით, არსენის კათალიკოსობას ერგება დაახლოებით 1218–1227 წლები და ამ დროებშია დაწერილი ეს სიგელიც.

ამასთანავე მკვლევარი მიიჩნევს, რომ სიგელს ახლავს მეფე ლაშა-გიორგის ან რუსუდანის მტკიცებითი ნაწილი.<sup>1</sup> საბუთი შეიცავს არსენ კათალიკოსის თხრობით ნაწილს შიომღვიმესთან დაკავშირებით. ასევე საუბარია სამღვდლო კრების დადგენილებაზე, სადაც განსაზღვრული ყოფილა შიომღვიმის მონასტრის უფლებები. ამ კონტექსტში მოიხსენიება კათალიკოსების: ოქროპირის, მეღქისედეკის, იოანეს და გაბრიელის განჩინებანი.

---

<sup>1</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, (1213 წ-დან 1700 წ-მდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწესობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897, გვ. 94.

რაც შეეხება საბა ქართლის მთავარეპისკოპოსს, თ. ჟორდანიას აზრით, ეს მთავარეპისკოპოსი საბა უცნობია ისტორიაში. იგი თანამედროვეა არსენისა. „საბა კარის ეპისკოპოსი და სენგელისი, მწერალი, თანამედროვე არსენ კათალიკოსისა“ – წერს იგი.<sup>1</sup>

ჩვენი აზრით, ზემოთ მოხმობილი სიგელი XIII საუკუნის 40-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს და კათალიკოს არსენ IV-ის დროინდელად უნდა მივიჩნიოთ, რადგან XIII საუკუნის 30-იან წლებში, დოკუმენტების მიხედვით, ქართლის მთავარეპისკოპოსი არის იოანე, ხოლო აღნიშნულ სიგელში ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა უჭირავს საბას. რაც შეეხება 1245-50 წლების გრიგოლ სურამელის დაწერილს მღვიმისადმი, ამ სიგელს არსენ III კათალიკოსის დამტკიცების საფუძველზე ახლავს გვიანდელი დამტკიცება გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსისა. ეს საკმარისი არგუმენტი უნდა იყოს იმის გასაანალიზებლად, თუ რომელი არსენის კათალიკოსობის დროს მოღვაწეობდა იოანე, რომლის დროს საბა და გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოსები. რაც შეეხება არსენ კათალიკოსის მოღვაწეობის ჟორდანიასეულ დათარიღებას, 1218–1227 წლებს, ამ პერიოდში ქართლის კათალიკოსი არის ეპიფანე (ეტიფანე) (1210-1220 წლები), თამარისა და ლაშა-გიორგის თანამედროვე, ხოლო შემდეგ დაახლოებით 1220-1222 წლებში ექვთიმე, შემდეგ კი არსენ III (XIII ს-ის 20-30-იანი წწ.), რომლის საკათალიკოსოდან წასვლის შემდეგ, კათალიკოსად, როგორც ჩანს, აკურთხეს ქართლის მთავარეპისკოპოსი გიორგი, ხოლო მისი ადგილი დაიკავა საბამ, რომელიც XIII საუკუნის 40-იანი წლების

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 96.

სიგელში მოიხსენიება. კათალიკოს გიორგი IV-ის (XIII ს. 30-იანი წლები) დამტკიცებულია „ვაჰანის ქვაბთა განგება.“

პირთა ანოტირებული ლექსიკონის I წიგნში „ვაჰანის ქვაბთა განგების“ დამამტკიცებლად ქართლის კათალიკოსი გიორგი V სახელდება (1393-1398 წწ.). მის დროს მეფე გიორგიმ შესწირა [სვეტიცხოველს] ქვეყანა მეტეხნი და გაიჩინა ალაპი (1393 წ. VII. 6. ქრ. II. 200-201). მასვე ლომი სუნდულისძემ შესწირა აყუშაური ვენახი (1398 წ. VII. 6. 1449-1652).<sup>1</sup> ეს ფაქტი სიმართლეს არ შეეფერება და პირთა ანოტირებულ ლექსიკონში, როგორც ჩანს, შეცდომაა გაპარული.

გარეჯის ეპიგრაფიკულ ძეგლებში (წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი – XI-XVIII სს.), რომელიც გამოსცეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, მოცემულია მეფე დემეტრე II-ის (1271-1289 წწ.) ფრესკული გამოსახულების გვერდით მდებარე იოანე მთავარეპისკოპოსის გამოსახულების განმარტებითი წარწერის ფრაგმენტი: „[...]მთ(ა)ვ(ა)რ[ე]ბის-კ(ო)პ(ო)სი ი(ო)ანე.“<sup>2</sup> გამომცემლები მიიჩნევენ, რომ ეს გამოსახულებები შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ და იოანეს პორტრეტი XIV საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შესრულებული. მათი ფიქრით, ამ მოსაზრებას იოანეს მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლებიც უწყობს ხელს.

საქმე იმაშია, რომ ამ წარწერაში გ. ჩუბინაშვილი და თ. ბარნაველი „ეპისკოპოსს“ კითხულობენ და ჩვენ ვერც იმ-

---

<sup>1</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I (XI–XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადა დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991. გვ. 646.

<sup>2</sup> გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვ. პირველი, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI–XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, თბ., 1999, გვ. 260.

ას ვივარაუდებთ, რომ იოანე მთავარეპისკოპოსსა თუ ეპისკოპოსში მაინცდამაინც ქართლის მთავარეპისკოპოსი იგულისხმება და ვერც იმას, რომ აქ სხვა ეპარქიის ეპისკოპოსზეა საუბარი. ამიტომ ამ იოანეს ჩვენ ვერც XIII და ვერც XIV საუკუნის დასაწყისის ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში ვერ შევიყვანთ.

ამრიგად, ქართლის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი XII–XIII საუკუნეებში დაახლოებით ასე გამოიყურება:

.....

**გიორგი** – 1189–1204 წწ. (XII ს. ბოლო – XIII ს. დასაწყისი).

**იოანე** – 1212/1222 წ. – 1230-იანი წლების I ნახ.

**გიორგი** – XIII ს. 30-იანი წლების II ნახ. (შემდეგ, მცირე დროით, კათალიკოსი გიორგი IV, XIII ს. 30-იანი წწ. ბოლო).

**საბა** – XIII ს. 40-იანი წწ.

**გიორგი** – 1245/47–1260 წწ. (XIII ს. 40-50-იანი წწ.).

.....

მართალია, ეს ნუსხა სრული არ არის და ქრონოლოგიაში წყვეტა არსებობს, მაგრამ რა საისტორიო წყაროებიც დღემდე შემოგვრჩა, ისიც უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. სიგელებიდან კარგად ჩანს ისიც, რომ ქართლის მთავარეპისკოპოსის ერთ-ერთი კათედრა სამთავროში მდებარეობს. ჩვენი აზრით, ამ დროს ქ. გორს და მის მიმდებარე ტერიტორიასაც ქართლის მთავარეპისკოპოსი უნდა განაგებდეს. ეს რომ ასეა, ჩანს მოგვიანებით, XVIII საუკუნიდან, როცა ქართლის მთავარეპისკოპოსს ტიტულატურაში უკვე ემატება „სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის“ წოდება. რაც შეეხება სამთავისს, მას ცალკე ეპის-

კობოსი განაგებს. შესაძლოა, ეს დღევანდელი გზებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ცოტა უცნაურად მოჩანდეს, მაგრამ იმდროინდელი შიდა ქართლის ქალაქებისა და სოფლების განლაგება და გზები, როგორც ჩანს, ისე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ სამთავრო და გორი ერთ სამწყსოს წარმოადგენდნენ, ხოლო გეოგრაფიული თვალსაზრისით, კასპი და სამთავისი ცალკე საეპისკოპოსოს ქმნიდნენ. ეს ვარაუდი კიდევ უფრო მეტ დაზუსტებას და კვლევას მოითხოვს მომავალში.

### **დამოწმებანი:**

1. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკვ. პირველი, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI–XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, თბ., 1999.
2. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I (XI–XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადა დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.
3. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, თბ., 2000.
4. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX–XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
5. ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X–XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.
6. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI–XIX სს.), ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

7. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, (1213 წ-დან 1700 წ-მდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწვობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. II, ტფ., 1897.

***Maia Shaorshadze***

*Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts*  
**CHRONOLOGICAL SEQUENCE OF KARTLI  
ARCHBISHOPS OF 12<sup>TH</sup> – 13<sup>TH</sup> CENTURIES  
RESUME**

The fact that the historical documents of 12<sup>th</sup> – 18<sup>th</sup> centuries containing data about Archbishops of Kartli are maintained up to present is of great significance and finding out of their identities in the period recognized as “Golden Age” of Georgia attracts even greater interest. It should be noted that the after the Catholicos, the deeds are approved and signed by the Archbishops of Kartli and further – by the other bishops.

He dominates among the high priesthood.

In the author’s opinion, as a result of performed researches, the chronological sequence of Archbishops of Kartli in 12<sup>th</sup> – 13<sup>th</sup> centuries was as follows:

George – 1189-1204 (late 12<sup>th</sup> and early 13<sup>th</sup> centuries)

Ioane – from 1222 to the first half of 1230-ies

George – 13<sup>th</sup> century, second half of thirties (later, for short period, the Catholicos George IV – 13<sup>th</sup> century, late thirties).

Saba – forties of 13<sup>th</sup> century

George – 1245/47 – 1260 (40-50-ies of 13<sup>th</sup> century).

## ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის ისტორიიდან

იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა სამეფოში, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების თვალსაზრისით. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება (რეფორმა) გახლდათ ახალი საეპისკოპოსო ცენტრების გახსნა იმერეთში (ქუთაისის, ნიკორწმინდისა და ხონის). საეკლესიო რეფორმების გატარების საქმეში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე საკათალიკოსო ტახტის გადმოტანა ბიჭვინთიდან გელათში.

IX საუკუნიდან მოყოლებული აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს კათედრალს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარი წარმოადგენდა. ამდენად, აფხაზეთის საკათალიკოსო - ბიჭვინთის ღვთისმშობლად, ხოლო თვით აფხაზეთის კათალიკოსი „ბიჭვინთის ღვთისმშობლის საჭეთმპყრობელ კათალიკოზად ითვლებოდა. მისი მთავარი ხატი იყო ბიჭვინთის ღვთისმშობელი”.

აფხაზეთის კათალიკოსები იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის მიერ განახლებულ გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში დამკვიდრდნენ.

სხვა მრავალ საეკლესიო სიწმინდეთა შორის, გელათში იქნა გადმოსვენებული აფხაზეთის საკათალიკოსოს მთავარი მფარველის, ბიჭვინთის ღვთისმშობლის, ხატი, რომელიც შემდგომ, 1568 წელს აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხე-

ტიდის დაკვეთით იქნა მოჭედილი, ამის შესახებ გვამცნობს თვით ხატზე შესრულებული წარწერა, რომ კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძეს ღვთისმშობლის ხატი („თავი ხატი“) მოუჭედინებია ოქროთი და შეუძკია ძვირფასი თვლებით, ხოლო სახატე კარები თურთ („გარშემო პატივი და კარნი“) გაუკეთინებია ვერცხლისაგან. ხატი დაუსვენებია ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიაში თავისი სულის საოხად (ეს ხატი ბიჭვინთიდან საკათალიკოსო რეზინდენციის გადმოტანის შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად გადმოტანილი იქნა გელათში - ვ.წ.), როგორც წარწერა მოწმობს, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი თავდაპირველად კარედი ხატი ყოფილა, ე.ი. მას ქონია სახატე კარებიანი („გარშემო პატივი და კარნი“), მაგრამ დღეს შემონახულა მხოლოდ „თავი ხატი“ (ზურგზე წარწერით), სახატე და კარები მას აღარა აქვს<sup>1</sup>.

ხატის შემკვეთი ევდემონ ჩხეტიძე ცნობილი პიროვნებაა. დასავლეთ საქართველოს ისტორიაში იგი არის კათალიკოსი, მწიგნობარი, მრავალი ხელნაწერის გადამწერინებელი, გელათის მონასტრის მაშენებელ-მომხატვინებელი. იგი მოხსენიებულია გელათის მონასტრის ტაძრის კედლის წარწერებში, ასაფლავია გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში. საინტერესოა ევდემონის საფლავის წარწერა, სადაც იხსენიება ეს ხატიც<sup>2</sup>. ბიჭვინთის ხატის წარწერა კარგ ცნობას იძლევა ევდემონის კათალიკოსობის დასაწყისი თარიღის გარკვევისათვის (1557 წელი).

ეს ხატი ამჟამად (1945 წლიდან, როცა ექ. თაყაიშვილმა სხვა განძთან ერთად იგი საქართველოში ჩამოიტანა) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ხატი ოქროზე ნაჭედი ზომით 40×32. ხატზე გამოსახუ-

---

<sup>1</sup> ბ. ლომინაძე, ბიჭვინთის ხატის 1568 წლის წარწერა, გვ. 101.

<sup>2</sup> იქვე.

ლია ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი, რომელსაც ხელში ყრმა იესო უჭირავს; ყრმა ქრისტეს მარცხენა ხელში გრაგნილი უკავია, მარჯვენათი კურთხევას იძლევა. ღვთისმშობელის ზემოთ, თავთან არის წარწერა ყდ/წა იჟ/ქე [ყოვლად] წმინდა /იესუ/ქრისტე]. ღვთისმშობლის გვერდით არეებზე გამოსახულია ორი ანგელოზი და ორი წმინდა მამა სათანადო წარწერებით. წარწერები გამოსახულებებს მიწერილი აქვთ ხატის ორნამენტირებულ კარნიზში. მარცხნივ: მთვრა/ნგლი/მიქელ ინენტ/ლისმც/ემელი (იოანე ნათ/ლიმც/ემელი), მარჯვნივ: მთვრა/ნგლი/გბრლ (მთავარა/ნგელოზი გაბრიელი), ი/ნეოქროპ/ირი (იოანე/ოქრო/პირი), ყველა წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და გამოყვანილია რელიეფურად. ხატი შემკულია ორნამენტებით და ძვირფასი თვლებით. ხატის ზურგზე გადაკრულია ვერცხლის ფურცელი, რომელზედაც გამოყვანილია წარწერა რელიეფურად ასომთავრული დამწერლობით<sup>1</sup>.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის წარწერა დათარიღებულია ქორონიკონით, ქრისტეს მოსვლითგან, ინდიქტიონით და დასაბამითგან, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს ხატი 1568 წელს დამზადებულად მივიჩნიოთ. მაგრამ ამ დათარიღებისას ერთი კითხვა იჩენს თავს. მაინც როდინდელია ეს ხატი? თუ ევდემონ ჩხეტიძემდელი დოკუმენტებში გარკვევით არის მითითებული ნახსენები: „ბატონი ბიჭვინთისა ღვთისმშობელი“. უეჭველია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისთანავე და უფრო ადრეც. ბიჭვინთის ტაძარში იყო დასვენებული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მე-16 საუკუნეში თურქების შემოსევის შედეგად ან დაიკარგა ან გაიძარცვა. ამ მიზეზებს კათალიკოზი არ ასახელებს, მაგრამ თავის დროზე

---

<sup>1</sup> ბ. ლომინაძე, ბიჭვინთის ხატის 1568 წლის წარწერა, გვ. 99.

აღნიშნული ხატი რომ დიდი სიწმინდეთაგანი იყო, ამას ხატის ზურგზე მოთავსებული სანაწილეც ცხადყოფს. როგორც მკვლევარი გ. ტყეშელაშვილი ფიქრობს, ევდემონ კათალიკოზმა შეამკო და მოჭედა ის. ხატის ზურგი ანუ სანაწილე უჯრები, რომლებიც 36 ნაწილად არის დაყოფილი და მათ შუა ჯვრის ცარიელი ბუდეა დარჩენილი – ვერცხლისა. სანაწილეში ჩასვენებულია წმინდა ნაწილები – ცვილში ამოვლებული წმინდანის ძვლები. სამწუხაროდ, ვერ ღვინდება მათი ვინაობა<sup>1</sup>.

სწორედ ამ სანაწილის წმინდა ნაწილების დადგენით შესაძლებელად მიგვაჩნია „თავი ხატის“ ქრონოლოგიური წარმომავლობის დადგენა.

როგორც აწ გასვენებული მკვლევარი გ. ტყეშელაშვილი ფიქრობდა, სანაწილის უჯრების გათვალისწინებით, მასში მოთავსებული იყო მნიშვნელოვანი და ღირებული რელიქვიები, უპირველესად კი, მარიამ ღვთისმშობლისა, იოანე ნათლისმცემლისა და იოანე ოქროპირის, ხოლო „თავი ხატი“ უნდა იყოს ანდრია პირველწოდებულის მიერ აწყურში დატოვებული ხატის პირი, რომელშიც შემდგომ ჩაუსვენებიათ სხვადასხვა სიწმინდენი<sup>2</sup>.

კიდევ ერთი საბუთი, რომლითაც შესაძლებელია ევდემონ ჩხეტიძის ღვაწლის განსაზღვრა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატისადმი. კერძოდ, ევდემონ ჩხეტიძის საფლავის ქვის წარწერა წმ. გიორგის ეკლესიაში: „ქ. განუსვენე სულსა მონისა შენისასა აფხაზეთის კათალიკოზს ევდემონ ჩხეტიძეს და მე დამარხულმან საფლავთა შინა მეფეთასა დავახატვინე

---

<sup>1</sup> გ. ტყეშელაშვილი, გელათის საგანძური, გვ. 56.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 57.

საყდარი ესე და შევამკე ხატი ბიჭვინთისა ღვთისმშობელი სახსენებლად სულისა ჩემისა, ამინ“<sup>1</sup>.

როგორც ტექსტიდან ირკვევა კათალიკოსს მოუხატვი-  
ნებია წმ. გიორგის საყდარი და, რაც მნიშვნელოვანია ამჟე-  
რად ჩვენთვის, შეუძკია ბიჭვინთის ღვთისმშობელი.

ხატის შემკობა არ ნიშნავს ახლად შექმნას ანუ კათა-  
ლიკოზმა შეამკო ანუ მოჭედა ძველი ხატი, დაზიანებული და  
ამის შემდეგ იგი, როგორც მყარი სიწმინდე, დაასვენა გე-  
ლათს თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ  
გამოდის, რომ ბიჭვინთის საყდრის „თავი ხატი“, ევდემონ  
კათალიკოსამდე არ არსებობდა და იგი სპეციალურად გე-  
ლათში საკათალიკოსო საყდრის გადმოტანის შემდგომ გაიჭე-  
და. ამდენად, ბიჭვინთის ღვთისმშობელი არის უძველესი ხა-  
ტი მათში განთავსებული სიწმინდეებითურთ და მისი ხელმე-  
ორედ შემკობა უკავშირდება ევდემონ კათალიკოსის სახელს.

ვფიქრობთ, ღვთისმშობლის ხატი ვიდრე მას ევდემონ  
ჩხეტიძე შეამკობდა, წარმოადგენდა ფიცარზე /ანდრია პირ-  
ველწოდებულის მიერ დატოვებული) ფერწერულ ხატს,  
რომლის ზურგზეც ჩასმული ან მიმაგრებული იყო წმინდა  
ნაწილები.

აფხაზეთის კათალიკოსს ევდემონ ჩხეტიძეს 1568 წელს  
მოუჭედვინებია ღვთისმშობლის ოქროს ხატი... „ევდემონ ჩხე-  
ტიძისძემან მოვაჭედინე და შევამკე ხატი ესე ყოვლად წმიდისა  
დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწუ-  
ლისა მარიამის ძითურთ, თავი ხატი ოქროთა და თუალთა  
მიერ და მარგალითთა ბრწყინვალედ განვაშვენე, ხოლო გა-  
რეშემო პატივი და კარნი ვერცხლითა დავასკვნე ტაძარსა

---

<sup>1</sup> ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიი-  
დან, თბ., 1966, გვ. 181.

წმიდისა ღვთისმშობლისასა ბიჭუნთას, სალოცველად, სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა მოსატყვევლად. ამინ“<sup>1</sup>.

ხატის წარწერაში ჩუენს ყურადღებას იქცევს მითითება იმაზე, რომ ევდემონს ეს ხატი დაუსვენებია ბიჭვინთის ტაძარში: „დავასვენე ტაძარსა წმიდისა ღვთისმშობლისასა ბიჭვინთას“. მაგრამ, როგორც ვიცით, ბიჭვინთის ეს ღვთისმშობელი საუკუნეების განმავლობაში გელათის მონასტერში იმყოფებოდა. როგორ მოხდა მისი ბიჭვინთიდან გადმოსვენება: იმის ცოდნას, თუ როდის იქნა ბიჭვინთიდან ხატი წამოსვენებული, ან რა დროიდან იმყოფებოდა გელათში (როგორც ქალბატონი ბაბილინა ფიქრობს, ხატი, შეიძლება, მას შემდეგ, რაც ის გელათში გააკეთეს, აღარც წაუღიათ ბიჭვინთაში), მნიშვნელობა აქვს ბიჭვინთიდან კათალიკოსის საბოლოო წამოსვლის დასადგენად.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ბიჭვინთიდან ხატის წამოღების ფაქტი და არა ის, რომ ხატი ევდემონმა მაინცდამაინც ბიჭვინთაში დაასვენა. ეს იმიტომ, რომ აფხაზეთის კათალიკოსები წამოსულნი ბიჭვინთიდან შემდგომშიც სწირავდნენ აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებს ხატებს და სხვა ნივთ-სამკაულებს და ასევე დაასვენებდნენ იქაურ ეკლესიებში, თუნდაც ზოგჯერ ამ ეკლესიაში ერთი მღვდელი ყოფილიყო.

მამასადაძმე, მნიშვნელობა ენიჭება იმ მომენტს, რომ ბიჭვინთის ეს ხატი გარკვეული დროიდან გელათშია. როგორც განსვენებულმა მეცნიერმა ბაბილინა ლომინაძემ გაარკვია თავის მონოგრაფიაში და ჩვენც ვეთანხმებით<sup>2</sup> მას ამ ნაწილში, რომ ხატი გელათში შეამკეს და ევდემონს თავის ეპიტაფიაში ნათქვამი აქვს „ხატი ბიჭვინთისა ღვთისმშობელი“. დამწერმა

---

<sup>1</sup> ბ. ლომინაძე, ბიჭვინთის ხატის 1568 წლის წარწერა, გვ. 101.

<sup>2</sup> ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ..., გვ. 181-186.

რატომ იხმარა სადაურობისა და რომელობის აღნმიშენელად ასეთი ეპითეტი? (ბიჭვინთის), ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ ეპიტაფიის დამწერს. თუ გამომთქმელს, ეს დასჭირდა განსხვავებულობის აღსანიშნავად, იმ გარემოში, სადაც სხვა სადაურობის ხატებიც ინახებოდნენ? სწორედ, გელათში ასეთი სხვა ღვთისმშობლები. მაშინ არა ერთი ესვენა. მათაც ასე, სადაურობითა და კუთვნილობით, უწოდებდნენ: მაგ.: „ხახულის ღვთისმშობელი“, „გელათის ღვთისმშობელი“, „აწყურის ღვთისმშობელი“<sup>1</sup>.

ევდემონის პერიოდში ბიჭვინთის ხატის გელათში არსებობას ამართლებს ისტორიული სიტუაციაც. ეს ის დროა, როცა სხვა ეკლესიებიდან ხატების გამოხიზვნა ხდება დასავლეთ საქართველოში – გელათში. ეს გამოწვეულია შესაბამისი კათედრების მტრის ტერიტორიაზე მოხვედრით და იქ მღვდელმსახურების შეწყვეტით. ასე მაგალითად, მეფე ბაგრატ III დროს აწყურიდან გელათში მოდის მაწყვერელი ეპისკოპოსი ანტონი (რომელიც შემდეგში ეპისკოპოსადაც აკურთხეს გელათში), რომლის დროსაც აწყურის ხატიც გადმოასვენეს გელათში.

ამ დასკვნას ამართლებს ევდემონ ჩხეტიძის შემდეგ აფხაზეთის კათალიკოზის ექვთიმე საყვარელიძის ერთი საბუთი, სადაც ექვთიმე წერს: „ნებითა ღვთისადათა არის ევდემონ კათალიკოზის შემოწირული ერთი ოქროს ხატი ბიჭვინთისა ღვთისმშობელი გელათს ასვენია. ერთი ჯვარი მოთვალმარგალიტული, ... ნებითა ღვთისადათა შევწირე მე აფხაზეთისა კათალიკოზმან ეფთვიმი საყუარელიძემან ბიჭვინთისადა ღვთისმშობელსა გვირგვინი ოქროსა მოთვალმარგალიტული“. აქ პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ ექვთიმე საყვარელიძის

---

<sup>1</sup> ბ. ლომინაძე, გვ. 183.

დროს ბიჭვინთის ღვთისმშობელი უკვე გელათშია. ექვთიმე კი, როგორც ვთქვით ევდემონის მომდევნოა.

ამგვარად, ექვთიმეს ეს მითითება – ბიჭვინთის ღვთისმშობელი გელათს ასვენია – ეპიტაფიის მონაცემთან ერთად მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ევდემონის დროს კათალიკოსის დამკვიდრება გელათში უკვე დამთავრებულია.

გელათში ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატს, სანამ მუზეუმში მოათავსებდნენ, ბევრი განსაცდელი გადაიტანა. XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში იგი ორჯერ განდაღვის საგანი ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომლებიც ხატის აფხაზეთში დაბრუნებას ითხოვდნენ. მკვლევარმა მ. კეზევაძემ, ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული საბუთების გამოყენებით, ეს საკითხი საამჟამოზე გამოიჭანა და დაინტერესებულ პირთ იგი შეუძლიათ იხილონ მონოგრაფიაში<sup>1</sup>.

რაც შეეხება ბიჭვინთის ღვთისმშობლის (უმცროს) ხატს იგი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. იგი არის ბიჭვინთის ხატის ასლი, რომელიც XVII საუკუნეშია დამზადებული ოდიშის (სამეგრელოს) მთავრის ლევან III-ის დაკვეთით 1661-1663 წლებში. ხატი ზომით არის 29,4×14,5 სმ. ხატზე გამოსახულია ოდიგეტრიის სტილის ღვთისმშობელი. იგი ვერცხლით ნაჭედია და მოოქროვილია. დედნისაგან განსხვავებით, ეს ხატი ტრაპიზი ყოფილა, რაზედაც ჩარჩოზე დარჩენილი გადაბმის ადგილები მოწმობს, ხატი შემკულია 81 პატიოსანი და ნახევრადპატიოსანი თვლით.

სამწუხაროდ, საისტორიო საბუთებიდან არ ჩანს თუ თავდაპირველად სად იყო იგი დასვენებული. შესაძლებელია

---

<sup>1</sup> მ. კეზევაძე, გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს, გვ. 204-210

ხატი ოდიშის სამთავროში იყო, კერძოდ, ხობის მონასტერში, რადგან ეს ტაძარი ბიჭვინთის ტაძრის მეტოქე იყო. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, აფხაზეთის კათალიკოსები შედარებით მუდმივად სამეგრელოში იმყოფებოდნენ, ხოლო ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი (ასლი) და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები განუყოფელი იყვნენ (მაგალითად, მელაქია კათალიკოსი, რომელიც ძირითადად სამეგრელოში იმყოფებოდა). მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის კათალიკოსები უკვე ქუთაისსა და გელათში იმყოფებიან და, ჩვენი აზრით, ხატიც (ასლი) უკვე გელათშია. საერთოდ, ქართული ორომჭედლობის ისტორიიდან ცნობილია „თავი ხატის“ ასლის დამზადების შემთხვევები. ასეთ მაგალითს წარმოადგენს ამ პერიოდში დამზადებული შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორია, რომლის დედანი იყო გელათის ხახულის ღვთისმშობელი.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის (ასლი) ხატი მე-19 ს. ქუთაისის საკათედრო ტაძრის სამხრეთ კარიბჭეზე მინაშენ ეკლესიაში დაათვალიერა მ. ბროსემ. ბაგრატის ტაძარში გელათიდან ხატის გადმოსვენება დაკავშირებული უნდა იყოს დოსითეოს ქუთათელთან, რომელიც ითვლებოდა აფხაზეთის კათალიკოსის მოსაყრდელ და საკათალიკოს ტახტის საგანძურის ნუსხაში ასე იხსენიება: „ხატი უნცროსი ბიჭვინთისა ღვთისმშობლისა“.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ხატი დაათვალიერა და აღწერა ა. მურავიოვმა. 1837 წელს დასრულდა ქუთაისში ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის /ე.წ. „სობოროს“/ მშენებლობა. ხატი ბაგრატის ტაძრიდან აქ გადმოიტანეს. სწორედ 1923 წელს ბიჭვინთის ღვთისმშობლის (უმცროსი)

ხატი, ვიდრე საკათედრო ტაძარს დაანგრევდნენ, გადაეცა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს და დღესაც აქ იმყოფება.

**დამოწმებანი:**

1. **ლომინაძე ბ., 1966** - ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორები). I, თბ., 1966.
2. **ლომინაძე ბ., 1960** - ლომინაძე ბ., ბიჭვინტის ხატის 1568 წლის წარწერა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960.
3. **კეზევაძე მ., 2006** - კეზევაძე მ., გელათის მონასტერი ევზარქოსობის დროს. ქუთ., 2006.
4. **ტყეშელაშვილი გ., 2006** - ტყეშელაშვილი გ., გელათის საგანძური. ქუთ., 2006.
5. **საყვარელიძე თ., 1987** - საყვარელიძე თ., XIV-XIX სს. ქართული ოქრომჭედლობა, ნაკ. I, თბ., 1987.

*Vladimer Tsverava*

*Akaki Tsereteli State University*

**FROM THE HISTORY OF BICHVINTA ICON  
RESUME**

King Bagrat III took the important measures in his kingdom to reinforce his central authority. One of the important measure was the starting of episcopacy centres and moved from Bichvinta to Gelati, in st. Georgie's church.

Among of other church chings, the icon of Our Lady of Bichvinta, who is the main patron of Aphkazeti was brought to Gelati. Then it was set off by the order of Evdemon Chlhetidze. The icon is 40x32 sm. It is created on the gold and is set off with precious stones. It was taken to France among the other

treasure was brought back to Georgia, the icon was delivered to the Art Museum of Georgia and it's there even today.

There is the icon of Our Lady (young) of Bichvinta, which was created in 1661-1663 by the chief of Odishi and it represents the copy of the original icon. It is smaller 29,4x14,5 sm. It is sewed with silver and is golden too. The icon is decorated with honest and half honest gens. Today, it is kept in public Museum of Kutaisi.

## **ივანე ჯავახიშვილის საჯარო ლექციები თბილისსა და ქუთაისში**

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ქართველი ერის ერთ-ერთი გამორჩეული შვილი, მრავალი შემამკობელი ეპითეტით მოიხსენიება, მათ შორის: „ერის მედროშე“ (კოლაუ ნადირაძე), „ქართული მეცნიერების სინდისი“, „ისტორიის სჯულმდებელი“ (ლადო ასათიანი), „მოდვარი და განმანათლებელი“ (ისიდორე დოლიძე), „კაცი, რომელმაც აწყო გააძლიერა წარსულის ცოდნით“ (კონსტანტინე გამსახურდია) და სხვ.

სახელოვანი სწავლული და პირველ ქართული უნივერსიტეტის მესაძირკვლე არა მარტო დიდი მეცნიერი და თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე იყო, არამედ ჩინებული ლექტორიც. თბილისის უნივერსიტეტის დაფუძნებამდე ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგში მოღვაწეობდა და, ბუნებრივია, საუნივერსიტეტო კურსებს რუსულად უძღვებოდა. რაც შეეხება ქართველი მსმენელებისათვის განკუთვნილ საჯარო ლექციებს, იმ დროს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიმწირის მიუხედავად, ისტორიკოსი მუდამ ქართულ ენაზე კითხულობდა.

თანამედროვეთა გადმოცემით, ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებული ორატორული თვისებებით დაჯილდოებული არ ყოფილა, ლექციებზე ზეპირ საუბარს ის ხშირად თავისივე

დაწერილი ტექსტის წაკითხვას ამჯობინებდა, მაგრამ მისი მშვიდი, გაწონასწორებული მეტყველება და დარბაისლური სტილი თანაბრად იპყრობდა საუნივერსიტეტო-აკადემიურ თუ უფრო ფართო აუდიტორიას. „საუბრობდა სადად და დამაჯერებლად ურთულეს პრობლემათა გამო, მისი არგუმენტირება და მთელი მისი მეტყველება მოკლებული იყო ყოველივე ყალბ პათოსს, პროფესიულ რიტორიკასა და სოფიზმს“.<sup>1</sup> ამასთან, თემის შინაარსი, სათქმელის სიღრმე, სიახლე და დამაჯერებლობა, აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა მეცნიერის ლექციებს მიმზიდველსა და საინტერესოს ხდიდა.

აღსანიშნავია, რომ საჯარო ლექციების კითხვა მომავალმა დიდმა მეცნიერმა თავდაპირველად რუსეთში დაიწყო. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ივანე ჯავახიშვილი ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრაზე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1903 წლიდან კი იგი უკვე ამ უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტია. ამავე წელს უკავშირდება მისი პირველი საკვირაო ლექციებიც ამ ქალაქში მცხოვრები ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის.

სწორედ იმ ხანებში პეტერბურგში ჩამოყალიბდა ქართული ისტორიის მოყვარულთა წრე, რომელიც კვირაში ერთხელ, ქალაქის ცენტრალურ უბანში მდებარე გ. თარხნიშვილის ბინაზე იკრიბებოდა. სხვადასხვა უმაღლესი სკოლის ქართველი სტუდენტები შეუწელებელი ინტერესით უსმენდნენ ივ. ჯავახიშვილის მშობლიურ ენაზე წაკითხულ ლექციებს. წრის ერთ-ერთი წევრის ა. ჩიჯავაძის გადმოცემით, „ამ ლექ-

---

<sup>1</sup> გურგენიძე დ., ივანე ჯავახიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1996, გვ. 44.

ციებს ესწრებოდა კარგა ბლომად სტუდენტობა და რამდენიმე იმ დროს პეტერბურგში მყოფი პირი, ჩამოსული თავის საქმეებზე“.<sup>1</sup>

ხსენებული წრის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „შესდგა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა წრე, რომელიც დიდის ხალისით სწავლობს ქართულ ისტორიასა და ლიტერატურას. ახალგაზრდა პრიატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი უკითხავს მათ ყოველ კვირას ლექციებს კერძო ბინაზედ, მსმენელნი გულმოდგინედ ემზადებიან ამ ლექციებისათვის“.<sup>2</sup>

XIX საუკუნის პირველ ქართულ „არასამთავრობო ორგანიზაციას“ - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას XX საუკუნის დამდეგიდან ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება - სახალხო უნივერსიტეტები შეემატა. მათი მთავარი დანიშნულება ზრდასრულ მოსახლეობაში უწიგნურობის ლიკვიდაცია და განათლების გავრცელება იყო.

პირველი სახალხო უნივერსიტეტი 1867 წელს ინგლისში გაიხსნა. მსგავსი კერები შემდეგ დანიასა და სკანდინავიის სხვა ქვეყნებში აღმოცენდა. მალე ეს სიახლე გერმანიასა და საფრანგეთშიც დაინერგა. მოძრაობამ სახალხო უნივერსიტეტების შესაქმნელად რუსეთის იმპერიაში, და მათ შორის საქართველოში, ფართო გავრცელება 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ჰპოვა.

აგრძელებდა რა დიდ თერგდალეულთა გზას, ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევდა დრო ხალხის

---

<sup>1</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 84.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1903 წ., 18 თებერვალი.

ფართო ფენებში ცოდნის შეტანისა და საგანმანათლებლო საქმიანობისთვისაც დაეთმო.

ეს მით უფრო, რომ თვითმპყრობელობის პირობებში საქართველოში ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა არ არსებულა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძალისხმევით გახსნილ სკოლებში მოსწავლეებს მხოლოდ პირველდაწყებითი განათლების მიღება შეეძლოთ. განათლებაზე მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებდნენ რუსულენოვანი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლა ყველას როდი შეეძლო. ქართული ჟურნალ-გაზეთების ზრუნვა მოსახლეობაში განათლების პოპულარიზაციისათვის დიდად სასარგებლო იყო, მაგრამ არ კმაროდა. ამიტომ მეცნიერების სხვადასხვა დარგში საჯარო ლექციებს, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სერიოზული ყურადღება უნდა დათმობოდა. ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც აქტიურად გამოეხმაურა ამ ახალ წამოწყებას, ფართოდ ჩაერთო და საკუთარი წვლილი შეიტანა მის დამკვიდრებაში.

პირველი საჯარო ლექცია, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა თბილისში 1906 წელს წაიკითხა, „ზნეობრივი მოძღვრების ისტორიას“ ეძღვნებოდა. ლექციის ტექსტი ავტორის ხელმოწერით გაზეთმა „ივერიამ“ თავის ოთხ ნომერში გამოაქვეყნა იმავე წლის მაისის თვეში.<sup>1</sup> აქ გამოკვეთილი იყო საკითხები: ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი. მეცნიერი განიხილავდა, რა საქველმოქმედო დაწესებულებები არსებობდნენ ძველ საქართველოში და ვინ იყვნენ მათი დამფუძნებლები; როგორი იყო მაშინდელი ზნეობრივი და საზოგადოებრივი შეხედულებანი, რომლებსაც ემყარებოდა ქველმოქმედება. განმარტებულია, რომ ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე

---

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1906 წ., 7, 14, 21, 28 მაისი №10-13.

იყო დამყარებული. ავტორი გამოყოფდა გლახაკებს (მათხოვრებს) და მეუღლებს (მონაზნებს), რომლებიც სარგებლობდნენ ქველმოქმედთა შემწევობით, „გლახაკებს მთელი ქრისტიანეთა კრებული - ეკლესია ეხმარებოდა, ხოლო მონაზნებს კი კერძო პირები, თითოეული გულშემატკივარი და თანამგრძობელი“.<sup>1</sup> შემდგომში, ისე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჩვენშიც ზოგი რამ შეიცვალა და ქველმოქმედებამ თავდაპირველი უანგარო ხასიათი რამდენადმე დაკარგა. მონასტრებისათვის შეწირული ქონების სანაცვლოდ, რომელიმე აზნაური ან ხელისუფალი იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ ქონებრივად ეხმარებოდა ბერებს, არამედ მარტო იმაზე, რომ წმინდა მამები მის სულს ღმერთს შეავედრებდნენ.<sup>2</sup>

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, გლახაკების დახმარება ჩვენში ბაგრატ პირველი კურაპალატის დროიდან (IX საუკუნე), სახელმწიფო რანგშია აყვანილი. მაშინ შემოღებული „გლახაკთა ნაწილი“ (ერთგვარი საქველმოქმედო გადასახადი მათ დასახმარებლად) საქართველოში XIII საუკუნემდე არსებულა. მთელი სახელმწიფო შემოსავლის და დაპყრობილი ქვეყნების ხარჯის 10 %-ს ქველმოქმედებას ახმარდნენ. „ზნობრივი მოვალეობის ასრულებაზე ქართველი საზოგადოება და მთავრობა სამღვდელთაზე ნაკლებად არ ზრუნავდა“, - დაასკვნია მეცნიერი.<sup>3</sup>

მომავალი დიდი ისტორიკოსი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის მასწავლებელთა განზრახვას, 1907 წელს, საშობაოდ, გაემართათ საჯარო ლექციები რუსეთში მოღვაწე სხვადასხვა მეცნიერის მონაწილეობით. ამ „საშობაო უნივერსიტეტში“ წაიკითხა მან ლექცია საქართველოს ეკო-

---

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1906 წ., 7 მაისი №10.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1906 წ., 21 მაისი №12.

<sup>3</sup> გაზ. „ივერია“, 1906 წ., 28 მაისი №13.

ნომიკური ისტორიიდან, რომელსაც სხვებთან ერთად ილია ჭავჭავაძეც დაესწრო.

თანადროულ პრესას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ეს ღირშესანიშნავი ამბავი. გაზეთ „ისარი“ გამოქვეყნდა ინფორმაცია და ლექციის მოკლე მიმოხილვა. „ახალგაზრდა მეცნიერმა ჯავახიშვილმა წარსულ კვირას წაიკითხა საჯარო ლექცია: „ეკონომიკური ისტორია საქართველოს უძველესი დროიდან მეცამეტე საუკუნემდე ქრისტესშობის შემდეგ“, ვკითხულობთ გაზეთში. პუბლიკაციის ავტორი ალ. ფრონელი აღნიშნავდა: „საგანი ძნელია, მასალები მცირე და, მიუხედავად ამისა, სიმცირეს მასალისას არ შეუშინდა ლექტორი, რაც გამოქვეყნებულია, იმას თავი მოუყარა და შედარებით სავსე სურათი დაგვიჩატა ჩვენის საქართველოს წარსულის ეკონომიკური ვითარებისა. მსმენელმა ბევრი ახალი რამ გაიგონა თავის ქვეყნისა და უეჭველია გულწრფელად ისიამოვნებდა. ...ლექციამ თითქმის სამ საათს გასტანა. ლექცია ლექტორმა იმედიანად დაასრულა: ბევრი გაჭირვება უხილავს საქართველოს, ბევრი უბედურება და ვაი-ვაგლახი განუცდიო, მაგრამ თუკი ოდესმე მცირედაც მაინც რიგიან პირობებში ჩავარდნილა, მკვდრეთით ამდგარა და ფენიქსისებრ განახლებულა“.<sup>1</sup>

ივანე ჯავახიშვილის ამ საჯარო ლექციას მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე ასე იხსენებდა: „1907 წელს საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი: ჭავჭავაძე ილია, რომლის თანდასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს. მომხსენებელი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონებით უკვე მოწიფული. ... ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა - სწონის და ზომავს

---

<sup>1</sup> გაზ. „ისარი“, 1907 წ., 7, 10 იანვარი.

ნათქვამს. სიტყვა თითქო არ ემორჩილება - ალბათ ცდილობს, არც მეტი თქვას და არც ნაკლები. არც ერთხელ ხმის ამოდება: ნააზრის ცხადება ისე გულისხმიერია მისი, დამსწრენი გულდასმით ისმენენ ყოველ სიტყვას მომხსენებლისას - და გრძნობენ თანდათან, რომ მათში რაღაც იზრდება ნელ-ნელა. ანუ უკეთ - რაღაც იმართება - მზე ტკბილი და ძალის მომგვრელი. ... თავდება მოხსენება. მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, ხოლო თვალი მაინც ილიას მიმართ უჭირავთ: უნდათ გაიგონ, თუ რას იტყვის დაუღალავი მობრძავი საქართველოს კულტურისა. ნელი, მოკლე, შინაგან აღვივებული სიტყვით ამჩნევს დიდი ქართველი ირგვლივ თავმოყრილთ თავის განხარებას. ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას - რიგიდან რიგებს - ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება. მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება - თითქო ჰსურს გამხსენებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია“.<sup>1</sup>

ივანე ჯავახიშვილის ამ საჯარო ლექციით კმაყოფილ ილია ჭავჭავაძეს ერთ კერძო საუბარში უთქვამს: „საქართველოს ისტორია ასე უნდა იწერებოდესო“.<sup>2</sup>

მეცნიერის ეს ლექცია ეფუძნებოდა 1907 წელს გამოცემულ მის მონოგრაფიულ ნაშრომს „საქართველოს ეკონომიური ისტორია IX-XIII სს“. მიჩნეულია, რომ ამ ნაშრომით ივანე ჯავახიშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში დაამკვიდრა სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება და „მანამდის თითქ-

---

<sup>1</sup> რობაქიძე გ., ივანე ჯავახიშვილი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, № 2-3, გვ. 188.

<sup>2</sup> ღუმბაძე მ., ივანე ჯავახიშვილის აღრინდელი შემოქმედება. 1898-1912, თბ., 1984, გვ. 72.

მის ხელშეუხებელი საკითხების მეცნიერულ კვლევას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა”.<sup>1</sup>

1907 წლის ზაფხულში, თბილისში მყოფ ივანე ჯავახიშვილს გადაუწვევია წაეკითხა 5-6 ლექცია საქართველოს ზოგადი ისტორიის საკითხებზე უძველესი დროიდან XVIII საუკუნის დამლევამდე. სათანადო განცხადება ლექციების შესახებ საზოგადოებას პერიოდულმა პრესამ მიაწოდა,<sup>2</sup> ხოლო შემდეგ გამოქვეყნდა ჩატარებული ლექციების მიმოხილვაც. გავეცნოთ ამ მასალას:

„კვირას, 17 ივნისს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში პრივატ-დოცენტმა ივ. ალ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია: „დამოკიდებულება მთავრობასა და წოდებათა შორის საქართველოში IX-XIII საუკუნეების განმავლობაში. ლექციას ბევრი ხალხი დაესწრო და ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვეს“.<sup>3</sup>

ახალი განცხადება დაინტერესებულ საზოგადოებას ქართველი მეცნიერის ახალ ლექციებზე იწვევდა: „21, 22 და 23 ივნისს, საღამოს 7 საათზე ტფილისის საკრებულოს საზამთრო სადგომში პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივ. ალ. ჯავახიშვილი წაიკითხავს სამ ლექციას შემდეგ თემაზე: „კულტურის ისტორია საქართველოში უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე“.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> ლუბაძე მ., ივანე ჯავახიშვილის აღრინდელი შემოქმედება. 1898-1912, თბ., 1984, გვ. 65.

<sup>2</sup> გაზ. „ისარი“, 1907 წ., 13 ივნისი.

<sup>3</sup> გაზ. „ისარი“, 1907 წ., 19 ივნისი.

<sup>4</sup> გაზ. „ისარი“, 1907 წ., 20 ივნისი.

ივანე ჯავახიშვილს რომ გამოცხადებული ყველა ლექცია ჩაუტარებია, ამის თაობაზეც ინფორმაცია გაზეთმა „ისარმა“ შემოგვიწვინა.<sup>1</sup>

საჯარო ლექციები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე იმ დროს იმდენად აქტუალური და პოპულარული იყო რომ, როდესაც 1907 წელს თბილისში „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ დაარსდა, მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი, ექვთიმე თაყაიშვილი აპირებდა საზოგადოებისათვის ერთგვარი სახალხო უნივერსიტეტის ხასიათი მიეცათ. ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ამ ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოების ნადვილი წევრი იყო, მისი თავმჯდომარეობაც შესთავაზეს, მაგრამ მეცნიერი არ დათანხმდა. სამაგიეროდ, მას არასოდეს უთქვამს უარი საზოგადოების სასარგებლოდ საჯარო ლექციების ჩატარებაზე.

1908 წელს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით თბილისში ე.წ. „ზაფხულის უნივერსიტეტი“ ამოქმედდა,<sup>2</sup> რომლის ეგიდით რამდენიმე ლექცია გაიმართა. მათ შორის, 8 მაისს თბილისის საკრებულოს დარბაზში მეცნიერმა ქართულად ისაუბრა თემაზე „ეკონომიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში მეთევრამეტე საუკუნეში“.<sup>3</sup>

1908 წლის 14 ივნისს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფი-

---

<sup>1</sup> გაზ. „ისარი“, 1907 წ., № 138-139, 27-28 ივნისი.

<sup>2</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 85.

<sup>3</sup> ჟურნ. „ჩვენი კვალი“, 1908, № 3 (8 ივნისი), გვ. 39.

ური და მეთოდოლოგიური შეხედულებების განვითარება VIII-XII საუკუნეთა განმავლობაში“.<sup>1</sup>

ფედერალისტური მიმართულების გახეთი „ამირანი“ გამოცემაში ამ მოხსენებას და გამოაქვეყნა მისი ერთგვარი რეზიუმე. საგაზეთო პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ მეცნიერს ძირითადი ყურადღება გაუმახვილებია იოანე საბანისძეზე, გიორგი მთაწმინდელზე, ეფრემ მცირესა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსზე. იოანე საბანიძის შესახებ ივანე ჯავახიშვილს უთქვამს: მან იმ დროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა აღწერა და ჩვეულებრივი მოვლენა არაჩვეულებრივ საზოგადოებრივ მნიშვნელობის მოვლენად დაგვისურათაო; გიორგი მთაწმინდელმა პირველმა განსაზღვრა, როგორი წყაროებით უნდა ესარგებლა ისტორიკოსს, როცა მას სურდა სრული და ნდობის ღირსი „ცხოვრება“ დაეწერა, რაგვარი ცნობები და საბუთები შეიძლებოდა უტყუარად და ჭეშმარიტად ეღიარებინა მწერალს; ეფრემ მცირემ ფილოლოგიური მეთოდები უმწვერვალებს წერტილამდე მიიყვანა, ხოლო დავითის ისტორიკოსის შედარებითი მეთოდი ფართოა და გაბედული, მისი შედარების სფერო განუსაზღვრელია.

მეცნიერი ძალიან მაღალი აზრისა იყო ხსენებულ მოღვაწე-მოაზროვნეთა შესახებ. „ყველა ეს ისტორიკოსი იმდენად ნიჭიერი და შესანიშნავი ისტორიკოსები იყვნენ, რომ თითოეული განათლებული ერის მწერლობისათვის სასიქადულო და

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი ამის თაობაზე მიუთითებს თავისი გამოკვლევის - „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლათ“ პირველი წიგნის წინასიტყვაობაში, იხ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 21; გაზ.

დამამშვენებელი იქნებოდა“<sup>1</sup> ხაზგასმით აღუნიშნავს ივანე ჯავახიშვილს.<sup>2</sup>

ქართველ სწავლულთა შორის ივანე ჯავახიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა, საჯარო ლექცია ქუთაისშიც გამართა. ეს იყო 1908 წლის ივლისში. იმ დროს ქუთაისში ჯერ კიდევ არ არსებობდა სახალხო უნივერსიტეტი, არც სახალხო სახლი და არც სახალხო აუდიტორია. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი მოკლებული იყო სახალხო საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ქალაქში არც ამ საქმეზე „მუდმივად მზრუნველი“ ადამიანები მოიპოვებოდნენ, საჯარო ლექციების პრაქტიკა მაინც შემოუღიათ. გაზეთის ცნობით, ლექტორები თბილისიდან მოდიან და იქაურ ლექციებს იმეორებენო.

„ისო“-ს ფსევდონიმით ხელმოწერილ საგაზეთო კორესპოდენციაში ვკითხულობთ: თბილისელებისათვის კარგად ცნობილმა ლექტორმა ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია „აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა მე-18 საუკუნეში“. ლექცია მეტად საინტერესო იყო. ლექტორს ახალი სტატისტიკურ მასალა და დავთრები აღმოუჩენია ამ

---

<sup>1</sup> „ამირანი“, 1908 წ., № 86, 18 ივნისი.

<sup>2</sup> ცოტა მოგვიანებით, ნაშრომში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა: „ქართული საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: იოანე საბანისძეს, რომელმაც თავისი შრომა გარკვეულ გეგმაზე ააგო, ... ცხოვრების კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და თავის თანამედროვეებსაც დაანახვა; ... გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უადრესად განავითარა და მასობრივი მაგალითი შეჰქმნა; ...ეფრემ მცირეს, ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდებისა და ტექნიკის საუკეთესო თეორეტიკოსსა და ჩვენში ანალოგიის მეთოდის შემომღებს; აგრეთვე დავით აღმაშენებლის შესანიშნავ ისტორიკოსსაც, რომელმაც ისტორიული შედარება სამოთხრობო მეთოდად აქცია“. იხ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 43-44.

საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. ავტორი სინანულს გამოხატავდა, რომ ლექციას ცოტა მსმენელი დასწრებია, რადგან „ჩვენი ქვეყნის შესახებ ქართული ლექციები არც მაგრე რიგათ აინტერესებს ჩვენს საზოგადოებასო“.<sup>1</sup>

არდადეგების პერიოდში, როცა ივანე ჯავახიშვილი სამშობლოში ჩამოსვლას ახერხებდა, გადაუდებელ მოვალეობად მიაჩნდა, თბილისში, ქუთაისში თუ სხვა დიდ ქალაქში საჯარო ლექციით გამოსვლა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის საკითხებზე.<sup>2</sup>

თავისი ლექციებით ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ისტორიის ცოდნას ავრცელებდა და ამასთან ერთად, სამშობლოსადმი სიყვარულს თუ უკეთესი მომავლისადმი რწმენას აღვივებდა“.<sup>3</sup>

ახალგაზრდა მეცნიერის საჯარო ლექციებს საზოგადოება დიდი ინტერესით ხვდებოდა. ივანე ჯავახიშვილის ლექციები ქართველ ხალხს აყვარებდა სამშობლოს, უნერგავდა თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სურვილს.<sup>4</sup> იმდროინდელი ქართული პრესა გულთბილად და აქ-

---

<sup>1</sup> გაზ. „ხომლი“, 1908 წ., 17, 19, 20 ივლისი.

<sup>2</sup> მეცნიერს უყურადღებოდ არც ქ. გორი დაუტოვებია. 1909 ამ ქალაქის დაინტერესებულ საზოგადოებასაც ჰქონდა შესაძლებლობა მოესმინა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი საჯარო ლექცია. იხ. ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 85.

<sup>3</sup> დუმბაძე მ., ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება. 1888-1912, თბ., 1984, გვ. 14.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუ-

ტიურად ეხმაურებოდა ამ ლექციებს, მაღალ შეფასებას აძლევდა მათ მეცნიერულ დონესა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ივანე ჯავახიშვილი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, საუბრობდა უმთავრესად მასზე, რის დიდ ნაწილსაც უშუალოდ იკვლევდა, ყველა საჭირო შემთხვევაში იმოწმებდა პირველწყაროებსა და კონკრეტულ ფაქტებს. მოქმედება თვით მის მიერვე შემუშავებული პრინციპით: „მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოიდგინოს“.<sup>1</sup> ამასთან, საზოგადოებამ უნდა იცოდეს „უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.<sup>2</sup>

ივანე ჯავახიშვილის ლექციები იყო პროფესიონალი ისტორიკოსის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევის ერთგვარი ანგარიში საზოგადოების წინაშე, მაგრამ იმავდროულად ეს საჯარო საუბრები უფრო მეტსაც ნიშნავდა. აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის სიტყვით, ლექციებზე ივანე ჯავახიშვილი მსმენელს ზოგად, ფართო და დამთავრებულ წარმოდგენას უქმნიდა „ისტორიულ მოვლენათა და ეპოქების სურათებზე“.<sup>3</sup>

საქართველოში ლექცია-საუბრებით საგანმანათლებლო მუშაობის გაგრძელებას საფრთხე შეუქმნა კავკასიის რუსუ-

---

ძვლიანობას ანიჭებს“. იხ. სართანია დ., შტუდიები ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდოლოგიიდან, თბ., 2005, გვ. 5.

<sup>1</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 40.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., მამულიშვილობა და მეცნიერება, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1998, გვ. 67-68.

<sup>3</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 86.

ლი ადმინისტრაციის განზრახვამ, აკრძალა სახალხო უნივერსიტეტებში ქართულ ენაზე საჯარო ლექციების კითხვა. ქართველი საზოგადოება უკმაყოფილოდ შეხვდა ამ ამბავს. ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „სახალხო უნივერსიტეტის დაარსება ჩვენ მრავალმხრივად გვახარებდა და გვეგონა, რომ იქ ჩვეულებრივი გარუსების და გადაგვარების პოლიტიკა თავს არ იჩენდა, რადგან ამ სიმპატიურ დაწესებულების მიზანი ყოველ პოლიტიკურ ბრძოლის გარეშე სდგას; ის ავრცელებს ხალხში ცოდნას, მაგრამ აქაც მოვსტყუვდით. ფრთის გაშლაც ვერ მოასწრო ახალმა დაწესებულებამ და აკრძალეს ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა. ეს ისეთი აშკარა შეუსაბამობაა, ისეთი ზედმეტი ძალადობაა, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე მოისპობა“.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ჟურნალის პუბლიცისტის ვარაუდი გამართლდა. ხელისუფლებას უკან დაუხევია და ქართულ ენაზე ლექციების წაკითხვის აკრძალვა გაუუქმებია.

1909 წლის მაისის მეორე ნახევარში ივანე ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და ორი საჯარო ლექცია დაგვემა. ამის შესახებ გაზეთი „ჩვენი აზრი“ შემდეგს იუწყებოდა: „ქართული თეატრი. ოთხშაბათს და ხუთშაბათს, 27 და 28 მაისს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივ. ალ. ჯავახიშვილი წაკითხავს ქართულათ ორ ლექციას: „ქართული სამართლის ისტორია“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი თითო ლექციისათვის, ლოჟები: ლიტერის 5 მ.; ბენუარი და ბელეტაჟი 3 მ.; პარტერი: 1 რიგი 1მ. 50 კ.; 2-4 რიგი 1 მან.; 5-10 რიგი 75 კ.; 11-17 რიგი 50

---

<sup>1</sup> ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1909, №6, გვ. 5.

კ.; გალერია 1 რიგი 30 კ.; დანარჩენი - 20 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილით 10-2 ს.; საღამოთი 6-8 ს“.<sup>1</sup>

ხსენებული ლექციები ძირითადად VII-XII საუკუნეების ქართული იურიდიული აზროვნების მიმოხილვას მიეძღვნა. ეს იყო მეცნიერის კვლევა-ძიების ერთი ნაწილი ამ დიდი პრობლემის ირგვლივ, რომელიც იმავე წელს გაგრძელებებით დაიბეჭდა ქართულ პერიოდულ პრესაში (ჟურნალები: „ერი“, „ჩვენი ერი“ და „საქართველოს მოამბე“).

როგორც მაშინდელ პერიოდულ პრესაშია აღნიშნული, ლექციებზე, „რომლის საგანი ფრიად და ფრიად საინტერესო იყო“, დამსწრეთა რიცხვი მცირე ყოფილა. ლექციების შინაარსით „ძლიერ კმაყოფილი“ დარჩენილა ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც „სწყურია სამშობლო კულტურის წარსულისა და აწმყოს შესწავლა“.

მეცნიერის ლექციებსა და მასზე განხილული საკითხის წარმოჩენას გაზეთმა „დროება“ თავის ორ ნომერში დაუთმო ადგილი. მიმოხილვა მიხაკო წერეთელს ეკუთვნოდა. მისი სიტყვით, „რვა საათის განმავლობაში ვუგდე ყური და არ მახსოვს, ერთი მეტი სიტყვა წამოსცდენოდეს (ივანე ჯავახიშვილს, - ო. ჯ.) უსაბუთოდ ან რაიმე გატაცებული ჰიპოთეზით შეემკოს საერთო სურათი და პერსპექტივა ჩვენი სამართლის განვითარების მიმდინარეობისა. ... საგნის სიდიდეს მისთვის სრულიადაც ვერ წაურთმევია მეცნიერის კეთილსინდისიერება და სიდინჯე, გამჭრიახობა და სურვილი მოვლენათა დაწვრილებითი ანალიზისა.“-ო.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909 წ., 27, 28 მაისი.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1909 წ., № 117; ასევე, მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 45.

მიხაკო წერეთელი იმასაც შენიშნავდა, რომ „ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი ასწავლის და არა „ორატორობს“. ვისაც სწავლა უნდა, მხოლოდ ის მივიდეს ხოლმე მის ლექციებზე, „საორატოროდ“ კი არა მგონია მას სცალოდეს ან ეინტერესებოდეს იგი”.

ივანე ჯავახიშვილმა მომდევნო წლის იანვარშიც არ დაარღვია ტრადიცია და თბილისში ყოფნისას რამდენიმე საჯარო ლექცია ჩაატარა. გაზეთმა „მომავალი“ გამოაქვეყნა ასეთი განცხადება:

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი ქართულად წაიკითხავს ოთხ ლექციას საქართველოს ისტორიიდან შემდეგ დღეებში: 13, 14, 15 და 17 იანვარს. ლექციების საგანი: „ქართული ისტორიული ლიტერატურა საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობასთან შეკავშირებული V-XVIII საუკუნეებში. ლექციები წაიკითხება პუშკინის სახელობის სახლში, ალექსანდრეს ბაღში და დაიწყება 17 იანვარს საღამოს 8 საათზე, ხოლო დანარჩენი ლექციები - 7 საათზე.

ფასები ათი შაურიდან ხუთ შაურამდე. ბილეთები იყიდება პუშკინის სახელობის სახლშივე“.<sup>1</sup> ამ ფაქტის გამო მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ტფილისში სამ საჯარო ლექციაში მთელი ქართული საისტორიო მწერლობა იყო განხილული უძველესი დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნის დასასრულამდე“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> გაზ. „მომავალი“, 1910 წ., 14 იანვარი.

<sup>2</sup> ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 21.

ყველა დაგეგმილი ლექცია ჩატარდა. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ კმაყოფილებით შენიშნავდა, რომ ლექციები მეცნიერმა მშობლიურ ენაზე წაიკითხა.

ფრიად საინტერესო ლექციების მთავარ ღირსება იყო - „სიუხვე ცნობათა და მათი კრიტიკა, მერე კიდევ მოხერხებული კონცენტრაცია აუარებელ მასალისა, რითაც ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი მართლაც განირჩევა ჩვეულებრივ პროფესორთაგან. ოთხ ლექციაში ისეთნაირად გაცნობა მთელი ამ აუარებელი მასალისა, მისი დახასიათება და კრიტიკა ისე, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი წვრილმანიც არ იქმნას გამოტოვებული, ძლიერ ძნელი საქმეა და ყველა პროფესორს არ შეუძლია“, - ხაზს უსვამდა ლექციის ერთ-ერთი დამსწრე და ჟურნალში გამოქვეყნებული მიმოხილვის ავტორი.<sup>1</sup> იმავე ჟურნალში (ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით) დაბეჭდილია ლექციების შინაარსიც, რომლის საჟურნალო ვერსია ასევე მიხაკო წერეთლის მომზადებულია.<sup>2</sup> აღნიშნულ საჯარო ლექციებში განვითარებული დებულებები მეცნიერმა შემდეგში განავრცო და ცალკე წიგნადაც გამოსცა სახელწოდებით „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

1913 წლის ზამთარში ივანე ჯავახიშვილმა თბილისში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ძველი ქართული ხელოვნება“, რომელშიც გააშუქა ქართული ხელოვნების განვითარების გზა და მსმენელი ეროვნული კულტურული მემ-

---

<sup>1</sup> ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1910, №13 (24 იანვარი), გვ. 9. „B“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული მიმოხილვის ავტორი მიხაკო წერეთელია.

<sup>2</sup> იხ. აღმანახი „მოამბე“, 1910, № 1 (31 იანვარი), გვ. 12-14; ჟურნ. „ერი“, 1910, №1 (7 თებერვალი), გვ. 9-11; №2 (14 თებერვალი), გვ. 9-11; №3 (21 თებერვალი), გვ. 5-7.

კვიდრეობის მდიდარ ისტორიას აზიარა. საუბარი ოთხ საათს გაგრძელებულა. „ლექცია მეტად საინტერესო გამოდგა. პროფესორს შეუკრებია აუარებელი და დიდმნიშვნელოვანი მასალა ქართული ძველის ხელოვნებისა, ქრისტიანობის ხანიდან XVII საუკუნემდე“, აცნობებდა მკითხველს გაზეთი „მერცხალი“.<sup>1</sup> ლექციის შინაარსი გაზეთ „სახალხო გაზეთის“ სამ ნომერში დაიბეჭდა.<sup>2</sup> მიმოხილვა სრულდებოდა ცნობით, რომ „პროფესორი ივანე ჯავახიშვილი „მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა და რამდენიმეჯერ გამოიწვია საზოგადოებამ, რომელიც ოთხი საათის განმავლობაში პირდაპირ სულგანბული ისმენდა ამ საყურადღებო ლექციას“.<sup>3</sup>

საგულისხმოა, რომ ასეთივე შინაარსის ლექცია სათაურით „ძველი ქართული ხელოვნების ისტორია“ ივანე ჯავახიშვილს 1913 წლის 16 იანვარს ქუთაისშიც წაუკითხავს.<sup>4</sup> საჯარო ლექცია თეატრში გამართულა და დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოუწვევია.<sup>5</sup> ამის მიუხედავად, ერთ-ერთ მსმენელმა ფსევდონიმით „Z“, ადგილობრივ გაზეთში, ლექციას მეტად კრიტიკული შეფასება მისცა. გავეცნოთ მოკლედ ამ სტატიას: ავტორის სიტყვით, „სამწუხაროთ, ის, რაც პატივცემულმა პრივატ-დოცენტმა წაიკითხა, არ შეიძლება ჩაითვალოს ძველი ქართული ხელოვნების ისტორიით. ხელოვნების ისტორია შეიცავს გაცილებით უფრო ფართე შინაარსს, ვიდრე ი. ჯავახიშვილმა თავის ლექციაში მოგვცა.

---

<sup>1</sup> გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., 15 იანვარი.

<sup>2</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., 18, 19, 20 იანვარი.

<sup>3</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წ., 20 იანვარი.

<sup>4</sup> გამოცხადებული იყო, რომ მეცნიერს 5 იანვარს, ქუთაისის თეატრში უნდა წაეკითხა ლექცია თემაზე „ქალაქის თვითმმართველობა მენვიდმეტესა და მეთვრამეტე საუკუნეებში“, მაგრამ შემდეგ ლექციის თემაცა და თარიღიც შეუცვლიათ.

<sup>5</sup> გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., 18 იანვარი.

... ლექტორმა გაგვაცნო არა ქართული ხელოვნება, არამედ ერთი დარგი ამ ხელოვნებისა, სახელობრ, ხუროთმოძღვრება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე სიტყვას, რომელიც იყო თქმული ქართულ ძველ მხატვრობაზე და ტანისამოსის ისტორიაზე. ... ლექცია წარმოადგენდა მკრთალ ნაწყვეტებს ქართული ხელოვნების ისტორიიდან“.

ლექტორს მსმენელთა ყურადღება განსაკუთრებით საეკლესიო ხუროთმოძღვრებაზე შეუჩერებია. დაუნასიათებია შენობათა სხვადასხვა ნაწილი, რომელთათვისაც წყაროებში მოიძიება შესაბამისი ტერმინები. „ამ დეტალების აღწერა შეიძლება არხეოლოგიისთვის ძალიან საჭიროა, მარა უნდა გამოვტყდეთ, მაყურებლისათვის მეტად მოსაწყენი იყო“, - დასძენდა პუბლიკაციის ავტორი.

„Z“ წინააღმდეგობაში ვარდებოდა, როდესაც ჩამოთვლიდა ლექციაზე განხილულ საკითხებს, კერძოდ: სასახლეების, კოშკების, ციხეების გარეგნული და შინაგანი სტრუქტურა, მათი მოყვანილობა და მოხაზულობა; სასახლეების მიმდებარე წალკოტები; ქანდაკება; ხის ჩუქურთმა და ორნამენტი; ოქრომჭედლობა. თუკი ლექტორი ხუროთმოძღვრების პარალელურად, ყველა ჩამოთვლილ თემასაც შეეხო, ასევე ისაუბრა მხატვრობასა და ტანსაცმელზეც, გამოდის რომ იგი არ შემოფარგლულა ხელოვნების მხოლდ ერთი დარგით, როგორც ამას კრიტიკოსი წერდა.

ლექციის დასასრულ, ივანე ჯავახიშვილს მიუმართავს საზოგადოებისათვის და ურჩევია, მოუაროს ხელოვნების ძეგლებს, რომლებიც ინგრევა და ილუპება მათივე დაუდევრობით. „არასდროს მოგვიტევებს შთამომავლობა, რომ ისეთი დიდებული ძეგლი ხელოვნებისა მთელ დედამიწაზე, როგორიც არის ბაგრატიის ტაძარი, ჩვენ ისეთ საშინელ მდგომარეობამდის მივიყვანეთ, რომელშიდაც იგი ახლა იმყოფება. ქარ-

თველები მოვალენი არიან მთელი კაცობრიობის წინაშე შეინახონ ის, რაც ეკუთვნით არა მარტო მათ, არამედ მთელ კაცობრიობასო“.<sup>1</sup>

მიუთითებდა რა ლექციის ხარვეზებზე, „Z“ წერდა: ლექცია განმარტებული უნდა ყოფილიყო „ბუნდოვანი სურათებით“, მაგრამ ისინი იმდენად ბუნდოვანი გამოდგა, რომ ვერაფერს გაარჩევდით. „ჯადოსნურ ფანარს“ ხშირად ჭირდებოდა ლექტორის მიშველება, ბოლოს კი სულ გამოირთო, რაც ლექციის შთაბეჭდილებას ასუსტებდა. „ლექტორი არ შეეცადა ერვენებინა, რა ალაგი უჭირავს ქართულ ხელოვნებას საზოგადოთ და ხუროთმოძღვრებას კერძოთ მსოფლიო ხელოვნებაში. საჭირო იყო აგრეთვე აღნიშვნა და გარკვევა იმისი, თუ რამდენათ დამოკიდებული იყო ქართული ხუროთმოძღვრება უცხოურ ხუროთმოძღვრებისაგან. საჭირო იყო აღნიშვნა..., რა არის საკუთარი შემოქმედების ნაყოფი და რა უცხოეთისა. - აი კითხვები, რომელზედაც უნდა მოეცა პასუხი ლექტორს და ამაზე ოდნავ მაინც დასაბუთებული პასუხი არ მოგვცა“.

არ მოიპოვება მასალა, რომელიც ცხადყოფდა, უპასუხა თუ არა კრიტიკულ წერილს რაიმე ფორმით ივანე ჯავახიშვილმა. მაგრამ რამდენად პროფესიონალური იყო „Z“-ის შენიშვნები, ამის გარკვევა შესაძლებელია. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ივანე ჯავახიშვილის განსახილველი ლექციის შინაარსი დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“. მასში მკაფიოდ ჩანს შემდეგი: იქ, სადაც მასალა იძლეოდა უცხოური და ქართული ხუროთმოძღვრების ერთმანეთისაგან გამორჩევის საშუალებას, ივანე ჯავახიშვილი ამას მიუთითებდა. მაგალითად, ის ამბობდა: „რეგალი ნახევარ სფეროიანი გუმბათი იშვიათია ქარ-

---

<sup>1</sup> გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., 19 იანვარი.

თულ ეკლესიაში და მოიპოვება მხოლოდ ისეთ ეკლესიებში, რომლებიც აშენებულია ბიზანტიის გავლენის ქვეშ (მარტვილში, ატენის ტაძარში). ქართულ ხელოვნებაში გუმბათის ორივე ნაწილი - ყელიცა და თავიც წახნაგოვანია“. ან კიდევ: „ციხეები შენდებოდნენ ოთხ-კუთხე ან რგვალ შენობად. ოთხკუთხედი ძველი ღროის არის, შემდეგში კი რგვალი. რომელია ქართული რიგის ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი, ეს უნდა გამოირკვეს, ჯერ კი გამოურკვეველია. ... საფარის ეკლესიის კანკელის შესახებ უვაროვას ქალსა და კონდაკოვს ჰკონიათ, რომ იგი ბიზანტიურია, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოვება. წინააღმდეგ, არშიებს ქართული ხასიათი აქვს და იმას ამტკიცებს, რომ იგი ქართული ხელოვნების ნიმუშია“.<sup>1</sup>

1914 წლის 7 და 8 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ თბილისში გამართა საჯარო ლექცია „საქართველოს ეკონომიკური წესწყობილება და მდგომარეობა XVII-XVIII საუკუნეებში“. გაზეთში მოცემული იყო ლექციის გაშლილი გეგმა, რომელსაც ასეთი სახე ჰქონდა: 1. მასალები და წყაროები საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესასწავლა; 2. სახელმწიფო მართვა-გამგეობა და ეკონომიკურ-საფინანსო წესწყობილება საქართველოში; 3. საქალაქო მართვა-გამგეობა, წეს-წყობილება და დაწესებულებანი; 4. მოსახლეობა; 5. მცხოვრებთა უფლებრივ-ქონებრივი უსწორ-მასწორობა; 6. ქართლ-კახეთში მცხოვრები სხვადასხვა ერები, მათი რიცხვი და რაოდენობა; 7. ქალაქები საქართველოში; 8. მეურნეობა და აღებ-მიცემობა; 9. სახელმწიფო მუდმივი და ღროვამოშ-

---

<sup>1</sup> გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., 19 იანვარი.

გებითი გადასახადები; 10. საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების შემოსავალი.<sup>1</sup>

მეცნიერმა მსმენელებს განუმარტა, რომ „ქართული ტაძრების სიდიადე მოთხოვნილებით იყო განპირობებული, ე.ი. ქართველი ხალხის კულტურული დონე იმდენად მაღალი იყო, რომ უბრალოდ ნაგები შენობა მათ გემოვნებას ვერ დააკმაყოფილებდაო. ქართული ტაძრების ნაშთები ამტკიცებენ, - ამბობდა ლექტორი, - რომ ნამდვილი მოთხოვნილება იყო მშვენიერის ბუნებისა და ხელოვნებისა, ხუროთმოძღვრე-საჯარო ლექციები ჩვეულებრივ ფასიანი იყო და მათზე დასწრება სპეციალური ბილეთებით შეიძლებოდა. ბილეთებს ლექციის მომწყობი დაწესებულება ყიდდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილი თავისი საჯარო ლექციების შემოსავალს საზოგადო და საქვეყნო საქმეებს ახმარდა. მაგალითად ასეთი ფაქტის დამოწმებაც შეიძლება: 1914 წლის სექტემბერში თბილისში ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ქართული დრამატული თეატრის შენობა. პეტროგრადში მყოფი მეცნიერი კიტა აბაშიძეს ატყობინებდა: „ქრისტესშობის შუა რიცხვებში კვლავ საქართველოსკენ ვიბრუნებ პირს. ტფილისში და ქუთაისში მე ლექციების წაკითხვას ვაპირებ (თუ ეხლანდელი პირობების მიხედვით შესაძლებელი იქნება) (მხედველობაში ჰქონდა მიმდინარე მსოფლიო ომი, - ო. ჯ.) ქართული თეატრის ასაკებ თანხის გასაძლიერებლად და ომიანობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ“.<sup>3</sup>

არსებობს სხვა, არანაკლებ საინტერესო საარქივო მასალაც, რომელშიც აღნუსხულია საქართველოს საისტორიო და

---

<sup>1</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1914 წ., 5 იანვარი.

<sup>2</sup> გვრიტიშვილი დ., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968, გვ. 28.

<sup>3</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 131.

საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ წაკითხული საჯარო ლექციების შემოსავალი. ივანე ჯავახიშვილთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქართულ თეატრში მის მიერ 1914 წლის 7 და 8 იანვარს ჩატარებულ ლექციებს საზოგადოებისათვის მიუცია წმინდა შემოსავალი 168 მანეთი და 45 კაპიკი. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვით, „მეტად დავალებული ვართ ამ მხრით ჩვენი საზოგადოების წევრის, პროფესორ ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის მიერ რომელიც საზოგადოების სახელით და საზოგადოების სასარგებლოდ თითქმის ყოველ წელს კითხულობდა ლექციებს, ან საყურადღებო მოხსენებებს აკეთებდა საზოგადო კრებაზე. ამ ლექციების საგანი იყო: ქართული სამართლის ისტორია, ძველი ქართული ხელოვნების ისტორია, ეკონომიკური სტრუქტურა და მდგომარეობა საქართველოსა, ქართველი ისტორიკოსები და მათი ნაწარმოებნი, სახელმწიფო წესწყობილება ძველ საქართველოში და სხვ.“ გაწეული ღვაწლისათვის მეცნიერს საზოგადოების საბჭოს დადგენილებით, წერილობითი მადლობა გადუხადეს.<sup>1</sup>

ივანე ჯავახიშვილმა ტრადიცია 1915 წელსაც გააგრძელა და ამ წლის პირველ თვეში თბილისში კვლავ გამართა საჯარო ლექცია. ჟურნალ „კლდე“-ს ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში პუბლიცისტი დავით კასრაძე ფართოდ მოგვითხრობს ამ ფაქტის შესახებ. მისი სიტყვით, „ფრიად საგულისხმო ლექცია წაკითხა ჩვენმა თანამემამულემ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს უფლების ისტორიიდან მე-VIII და მე-XIV საუკუნეებში. ვამბობთ, საგულისხმიერო, ... რომ უფრო ნათელი, უფრო ცხადი შეიქმნა ჩვენი წარსულის სი-

---

<sup>1</sup> მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 43.

დიადე. ეხლა დავრწმუნდით, რომ საქართველოს არა მარტო ხმალ-კაპარჭის მომარჯვებაში ჰქონია უნარი, რომ მისი წარსული არა მარტო ხმლის წვერზე იყო დამოკიდებული, არამედ სოციალურადაც და პოლიტიკურადაც იგი სადიადო წერტილზე მდგარა“.

„დღეს უფრო, ვიდრე სხვა დროს ახალგაზრდებს გაგვეღვიძა სურვილი ჩვენი წარსულის შესწავლისა, - განაგრძობს დ. კასრაძე. - დღეს უფრო, ვიდრე სხვა დროს ვგრძნობთ საჭიროებას დავუკვირდეთ ჩვენის წარსულის პოლიტიკურს და სოციალურ ცხოვრებას, ვისწავლოთ და აღვადგინოთ ჩვენი უფლებათა და ჩვეულებათა უსაჭიროესი ტერმინოლოგია შინაური ცხოვრების მოსაწყობად.

ბ-ნი ივ. ჯავახიშვილის ლექცია ... ჩვენს მიმდინარე ცხოვრებაში ხაზგასასმელია, როგორც ერთი უშესანიშნავესი გამომაფხიზლებელი საყვირის ძახილი...

მადლობის ღირსია ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი ასეთი მნიშვნელოვანი ლექციის წაკითხვისათვის, მაგრამ უფრო მეტი მადლობის ღირსი იქნება თუ აიღებს და და რაც შეიძლება მოკლე ხანში სახელმძღვანელოდ გამოსცემს იმავე ლექციას თუნდაც იმ მინიატურული სახით, როგორც მან წავგიკითხა 18 იანვარს, მართლაც ამ ღირშესანიშნავ ჩვენთვის ისტორიულ დღეს“, - ასრულებდა ლექციის მიმოხილვას დავით კასრაძე.<sup>1</sup>

ივანე ჯავახიშვილმა „ისტორიოგრაფიული ხასიათის კლასიკური ნაშრომები შექმნა, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად და იმ სახითაა გაკეთებული, რომ ამ საკითხზე წერა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ნიშნავს, როგორც იტყვიან ხოლმე, „ილიადას“ წერას ჰომეროსის შემდეგ“ - წერდა აკადე-

---

<sup>1</sup> ჟურნ. „კლდე“, 1915, №3, 25 იანვარი, გვ. 14-15.

მიკოსი გიორგი ჩიტაია.<sup>1</sup> ასევე მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო მეცნიერის საჯარო ლექციები, რომლებსაც ის 10-ზე მეტი წლის განმავლობაში კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და მრავალრიცხოვან მსმენელს აცნობდა და აყვარებდა მშობლიურ ისტორიას. ეს კარგად ჩანს მიხაკო წერეთლის წერილშიც ივანე ჯავახიშვილისადმი, რომლიდანაც ამონარიდით ვამთავრებ წინამდებარე სტატიას:

„თქვენი მონოგრაფიებისა და წიგნების გამოცემა დიდი საქმეა არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ თვით ჩვენი განკაცებისათვისაც. საუკეთესო პროპაგანდაა იგი საქართველოს იდეისა. ეს დაკვირვებით და გამოცდილებით ვიცი. ჯერ თბილისში რომ ვიყავი თვალთ ვნახე, რამდენი ურწმუნო და უმეტარი მთარჯულა თქვენმა ლექციებმა და საქართველო აწამებია. ...

თქვენ, ბატონი ვანო, იმიტომ გაქვსთ მოპოვებული ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჩვენს გულში, რომ ქართულ მეცნიერების ნამდვილი დამწყები ხართ, ქართულად სწერთ, ქართულად კითხულობთ ლექციებს, საქართველოსთვის გინდათ მეცნიერება“.<sup>2</sup>

ივანე ჯავახიშვილის საჯარო ლექციებს, მათი საგანმანათლებლო დანიშნულების გარდა, ჰქონდა კიდევ ერთი წარუვალი ღირებულება: ეს ლექცია-საუბრები იყო ერთგვარი ისტორიული ნარატივი, რომელიც ქართველ საზოგადოებას ხელს უწყობდა საკუთარი თავის შეცნობასა და „სულის წვრთნაში“, უყალიბებდა მას კოლექტიურ მეხსიერებას და ამზადებდა ეროვნული თავისუფლებისათვის. მეცნიერის ლექ-

---

<sup>1</sup> ენიშკის მოამბე, 1943, №XIII, გვ. 282.

<sup>2</sup> წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 310-311; ასევე, მიხაკო წერეთელი ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014, გვ. 93, 95.

ციებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა შეცვლილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში, როდესაც საჭირო გახდა ახალი ფასეულობებისა და იდენტობის ძიება. ეს სინამდვილე კი 1917 წელს თვითმპყრობელობის დამხობამ და რუსეთის იმპერიის დაშლამ შეაპირობა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წარმოშობას.

### **დამოწმებანი:**

- გვრიტიშვილი დ., ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968.
- გურგენიძე დ. ივანე ჯავახიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1967.
- ღუმბაძე მ., ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1888-1912), თბ., 1984.
- მეტრეველი რ., საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982.
- რობაქიძე გ., ივანე ჯავახიშვილი, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986 , №2-3.
- სართანია დ., შტუდიები ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდოლოგიიდან, თბ., 2005.
- წერეთელი მ. ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.
- წერეთელი მ. ივანე ჯავახიშვილის შესახებ, თბ., 2014.
- ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982.
- ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
- ჯავახიშვილი ივ., მამულიშვილობა და მეცნიერება, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1998.
- ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984.

- ალმანახი „მოამბე“, 1910, №1 (31 იანვარი).  
გაზ. „ამირანი“, 1908 წ., №86, 18 ივნისი.  
გაზ. „ივერია“, 1903 წ., 18 თებერვალი.  
გაზ. „ივერია“, 1906 წ., 7, 14, 21, 28 მაისი.  
გაზ. „ისარი“, 1907 წ., 7, 10 იანვარი.  
გაზ. „ისარი“, 1907 წ., 13, 19, 20, 27 ივნისი.  
გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., 15 იანვარი.  
გაზ. „მომავალი“, 1910 წ., 14 იანვარი.  
გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913-1914 წწ., №797, 800, 801, 802; 1080. 1084.  
გაზ. „ჩვენი აზრი“, 1909 წ., 27, 28 მაისი.  
გაზ. „ხომლი“, 1908 წ., 17, 19, 20 ივლისი.  
ჟურნ. ენიმკის მოამბე, 1943, №XIII.  
ჟურნ. „ერი“, 1910, № 1, №3.  
ჟურნ. „კლდე“, 1915, №3, 25 იანვარი.  
ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1909, №6.  
ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1910, №13 (24 იანვარი).  
ჟურნ. „ჩვენი კვალი“, 1908, № 3 (8 ივნისი).

***Otar Janelidze***

*Gori State Teaching University*

**PUBLIC LECTURES OF IVANE JAVAKHISHVILI IN  
TBILISI AND KUTAISI  
RESUME**

This article deals with public lectures by a celebrated scientist and prominent national figure, founder of the first Georgian University, Academician Ivane Javakhishvili in Tbilisi and Kutaisi in 1906-1915, on various issues of the past history of the country.

Parallel to his teaching and research activities, Ivane Javakhishvili found it necessary and needed to contribute his time to introducing education and knowledge to wide ranges of people. This was the goal of public lectures launched under the auspices of the public University, in which Ivane Javakhishvili was one of the first to be involved. Finances obtained from the lectures the scholar would always spend for public and country needs.

Society always met Ivane Javakhishvili lectures with great interest. These lectures were a kind of historical narrative, which supported the society to understand its identity and “temper its soul”, to form its collective memory and inspired it to fight for freedom.